ქართული სამართლის საფუძვლები

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი
2013

УДК 340(479.2)
ქ.279

წიგნში გაშუქებულია საქართველოს უახლესი კანონმდებლობისა და სამართლებრივი დოქტრინის ძირითადი საკითხები.

განკუთვნილია იურისპუდენციით დაინტერესებული ფართო მკითხველთათვის.

წიგნი მოამზადა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თანამშრომლებმა.

ავტორთა კოლექტივი:

დოცენტი მაყვალა კახაძე (კარი VII), პროფესორი მზია ლეკვეიშვილი (კარი IX), პროფესორი ვალერიან მეტრეველი (კარი I), პროფესორი რომან შენგელია (კარი IV), † პროფესორი ალექსანდრე შუშანაშვილი (კარი III თავი V, კარი X), დოცენტი პაატა ცნობილაძე (კარი II, კარი III თავი I,II,III,IV , დოცენტი ზურაბ ძლიერიშვილი (კარი V) პროფესორი ლადო ჭანტურია (კარი VI), დოცენტი ირმა ხარშილაძე (კარი VIII),

რედაქტორი - პროფესორი რომან შენგელია

რეცენზენტები - პროფესორი ჯონი ხეცურიანი
პროფესორი ზაურ წულაია

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013

ISBN 99928-22-20-1

წინათქმა

დიდი ჭირთათმენისა და მსხვერპლის ფასად, მაგრამ მაინც სტაბილურად და მასშტაბურად ხორციელდება ქართული სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის მყარი საფუძვლების შექმნა. დღეს ფუნქციონირებადი ბევრი საჯარო და კერძო ინსტიტუტი მრავალი პარამეტრით შეესაბამება ცივილიზებული მსოფლიოს მაღალ სტანდარტებს. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საბაზრო მეურნეობის პრინციპების დამკვიდრებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში. მიღებულია დემოკრატიული კონსტიტუცია, მნიშვნელოვნად განმტკიცდა კანონიერება და მართლწესრიგი, მეცნიერება კვლავაც იპყრობს ახალ სიმაღლეებს, ცხოვრების წესად იქცა არჩევნების ჩატარება, წარმატებით განხორციელდა საქართველოს გაერთიანება ევროპის საბჭოსა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, სერიოზული პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძვლები ჩაეყარა საქართველოს მონაწილეობას უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სამართლებრივი რეფორმის სფეროში მიღწეული შედეგები. სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა სტრუქტურისა და საქმიანობის ძირეული გარდაქმნა დროის მოთხოვნა გახდა. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა დონეზე დაცვისა და ახალი სახის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფილი რეგულირების აუცილებლობამ განაპირობა კანონშემოქმედებითი საქმიანობის გააქტიურება. მიღებულ იქნა ეროვნული ინტერესების შესაბამისი ასეულობით საკანონმდებლო აქტი. სამართლის ძირითად დარგებში შემუშავებულია ახალი კოდექსები. კანონმდებლობის შექმნა და სრულყოფა მომავალშიც გაგრძელდება.

ამჟამინდელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ვითარების შესაბამისი სამართლებრივი აქტების პრაქტიკული რეალიზაცია, მათ სწორ შეფარდებასთან ერთად, ბევრად არის განპირობებული საზოგადოების მართლშეგნების მაღალი დონით. აუცილებელია სამართლებრივი კულტურის ამაღლებისათვის მუდმივი ზრუნვა. სამართლებრივ ცოდნას მოსახლეობის ფართო ფენები უნდა დაეუფლოს. რაც უფრო ადრე და კვალიფიციურად იქნება გადაჭრილი ეს ამოცანა, მით უფრო წარმატებით განხორციელდება სახელმწიფოსა და მისი ორგანოების, ნებისმიერი თანამდებობის პირის საქმიანობის მკაცრ სამართლებრივ საფუძველზე გადაყვანა, მით უფრო მტკიცე საფუძვლები შეიქმნება ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ ვალდებულებათა განსახორციელებლად, კანონის უზენაესობის დასამკვიდრებლად.

სამართლებრივი კულტურისა და ცოდნის ამაღლებისათვის ზრუნვა სკოლიდან უნდა დაიწყოს და გაგრძელდეს უმაღლეს სასწავლებლებსა და შრომით კოლექტივებში. მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში. ისინი უშუალოდ მონაწილეობენ მრავალი სახის სამართლებრივ ურთიერთობაში. ამიტომ სახელმწიფოსა და სამართლის ძირითადი ცნებების ათვისება, სამართლის ამა თუ იმ დარგით ახალგაზრდობისათვის დადგენილ უფლება-მოვალეობათა შინაარსში გარკვევა ხელს შეუწყობს ყოველმხრივ მომზადებულ და განვითარებულ პიროვნებებად მათ ჩამოყალიბებას, პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებასა და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამომუშავებას. ასევე მნიშვნელოვანია მოსახლეობის სამართლებრივი ცოდნით აღჭურვა. საბაზრო მეურნეობა, რომელიც ძირითადად კერძო ინიციატივისა და ავტონომიურობის საფუძვლებს ემყარება, საზოგადოების მხრივ სერიოზული სამართლებრივი კულტურის გამოვლენის აუცილებლობითაა განპირობებული. საზოგადოების თითოეულმა წევრმა უნდა იცოდეს თავისი უფლება-მოვალეობები, სახელმწიფოსა და სამართლებრივ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები.

სწორედ ზემოაღნიშნულ ამოცანათა გადაწყვეტაში დახმარების აღმოჩენაა ამ წიგნის მიზანი. იგი შედგენილია ახალი კანონმდებლობისა და შესაბამისი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე. თემატიკა ძირითადად განსაზღვრულია სკოლებისა და უმაღლესი არაიურიდიული სასწავლებლების პროგრამების შეჯერების საფუძველზე. ამიტომ საკვლევით შესაძლებელია მისი დამხმარე სახელმძღვანელოს სახით გამოყენება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ამასთან, წიგნში განხილულია ისეთი საკითხებიც, რომლებიც პირველად ქვეყნდება ან შედარებით სრულყოფილ წარმოდგენას ქმნიან უკვე ნაცნობ, მაგრამ ადრე ნაკლებად დამუშავებულ დაბულებებზე და რომლებიც იურისპრუდენციის ძირითადი პრობლემების გარკვევაში დაეხმარება არა მარტო აბიტურიენტებსა და სტუდენტებს, არამედ იურიდიული პროფილით მომუშავე პრაქტიკოსებსა და სამართლის პრობლემებით დაინტერესებულ ნებისმიერ მკითხველს.

ნაშრომი ქართული სამართლის საფუძვლებში შედარებით სრულყოფილი სასწავლო და პოპულარული წიგნის შექმნის ცდას წარმოადგენს და, ცხადია, ნაკლისაგან დაზღვეული არ იქნება. ამიტომ სიამოვნებით მივიღებთ ყველა საქმიან და სასარგებლო შენიშვნას.

რომან შენგელია

კარი პირველი

საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა და განვითარება

თავი I. სახელმწიფოებრიობის წარმოშობა საქართველოში

უძველეს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა ხალხებმა ადამიანთა ერთად ცხოვრების ისეთი ფორმა განვლეს, როგორიცაა პირველყოფილი გვაროვნულ-ტომობრივი წყობილება, რის შემდეგაც ჩამოყალიბდა პოლიტიკური გაერთიანებები. აღსანიშნავია, რომ ისტორიულ საქართველოს მიწა-წყალზე წარმოიშვა სამი პოლიტიკური გაერთიანება (სახელმწიფო): **დიაოხი (ტაო)**, **კოლხა (კოლხეთი)** და **იბერია**. ამ სახელმწიფოების წარმოშობამდე საქართველოს ტერიტორიაზე ადრეკლასობრივი საზოგადოება არსებობდა. ასე მაგალითად, III ათასწლეულიდან ჩვ.წ.აღ-მდე აღმოსავლეთ საქართველოში — ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ყალიბდება მტკვარ-არაქსის კულტურა, ხოლო დასავლეთ საქართველოში კი — კოლხური.

საქართველოს ტერიტორიაზე პირველი პოლიტიკური გაერთიანება ჩამოყალიბდა სამხრეთ აღმოსავლეთით, ეს იყო **დიაოხის** სახელმწიფო, რომელმაც თავისი არსებობა ჩვ.წ.აღ-მდე VIII საუკუნის შუა ხანებში დაასრულა. დიაოხის შესახებ ქართლი ისტორიული ან სხვა სახის წყაროები არ შემონახულა. მასზე ცნობებს გვაწვდიან უცხოური წყაროები, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურარტული წარწერები. ურარტუს მეფეებს არაერთგზის ულაშქრიათ ტაოს წინააღმდეგ. ისინი თავიანთი ბრძოლების შესახებ კლდეზე ამოკვეთილ წარწერებში იუწყებიან, რომ **დიაოხი, ანუ ტაო** ძლიერი და მდიდარი სახელმწიფო იყო, რომელსაც ჰყავდა მონარქი თავისი სამოხელეო აპარატით, ჰქონდა თავისი დედაქალაქი და სხვ.

შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით წარმოიშვა მეორე პოლიტიკური გაერთიანება (სახელმწიფო) — **კოლხა**. მისი სრულყოფილ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება ჩვ.წ.აღ-მდე VIII საუკუნეში დასრულდა. კოლხას სამეფოს შესახებ მრავალ ცნობას გვაწვდის როგორც ურარტული, ისე ძველი ბერძნული წყაროები. მათი გადმოცემით

კოლხა მონათმფლობელური სახელმწიფო ყოფილა, რომელსაც გარკვეული „წვლილი“ შეუტანია დიაოხის დამხობაში.

ჩვ.წ.აღ-მდე VII-VI საუკუნეებში კოლხას ადგილს იჭერს ეგრისის, ანუ კოლხეთის ძლიერი სახელმწიფო. ეგრესის ძირითადი მოსახლეობა (ეთნიკური სახელწოდების მიხედვით ეგრი, მეგრი-მეგრელი) ქართველური ტომები იყვნენ. მისი დედაქალაქი ყოფილა ციხეგოჯი, რომელიც დღევანდელი ნოქალაქევის ადგილას მდებარეობდა. ამ სახელმწიფოს ჰყავდა მეფე-მონარქი თავისი სამოხელეო აპარატით.

ჩვ.წ.აღ-მდე VI საუკუნიდან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდება ბერძნული ახალშენები: ფაზისი (ფოთის მახლობლად), დიოსკურია (სოხუმის მახლობლად), პიტიუნტი (ბიჭვინთა-გაგრის ტერიტორიაზე), გინეოსი (ოჩამჩირე). აქაური ახალშენები ბერძნული ქალაქ-პოლისების მსგავს პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდა, რომლებსაც მართავდნენ უხუცესთა საბჭოები და სახალხო კრებები.

ზემოთ დასახელებული ბერძნული ქალაქი-პოლისების გარდა, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა ასევე ადგილობრივი ქალაქური ტიპის დასახლებები (პოლიტიკური ერთეულები). მაგალითად, ვანისა და დაბლაგომის, კუტაიას ანუ ქუთაისის დასახლებები.

ეგრისის, ანუ კოლხეთის სახელმწიფო საკმაოდ ძლიერი ჩანს, რომელსაც საკუთარი ფული „კოლხური თეთრი“ ჰქონია. მისი დაპყრობა ვერ შეძლო ამ პერიოდში ძლევამოსილმა სახელმწიფომ — ირანმა. ეგრისის სახელმწიფოში მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობა შედიოდა. რაც შეეხება მთის მოსახლეობას — სვანებს, ისინი ისევ გვაროვნული წყობილების სტადიაზე იყვნენ, ჰყავდათ გვარის უხუცესები, ტომთა ბელადები, ჰქონდათ გვარისა თუ ტომის საბჭოები.

მესამე პოლიტიკური გაერთიანება (სახელმწიფო) იყო იბერია. იგი ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ საქართველოში ჩვ.წ.აღ-მდე VI-IV საუკუნეებში. ამ სახელმწიფოს ფორმირებაში დიდი როლი შეასრულა ხეთური კულტურის მატარებელმა მცირეაზიური ქართველური ტომების — მუშაკების (მოსხების) გადაადგილებამ აღმოსავლეთისაკენ, დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ისინი დასახლდნენ მტკვრის ზედა წელსა და მდინარე ჭოროხის აუზში, კერძოდ, სამცხეში, ჯავახეთში, კოლაში, არტაანში, ტაოში, კლარჯეთში, შავშეთსა და სპერში (აჭარა). ჩვ.წ.აღ-მდე III საუკუნეში იბერია, ანუ ქართლი ძლიერი სახელმწიფოა. მას ემორჩილებიან ჩრდილო კავკასიის მთიელი ხალხები და აღმოსავ-

ლეთით მცხოვრები ალბანელები. ქართლის სამეფომ მიმდებარე დასავლეთი საქართველოს ტერიტორიის ნაწილიც შემოიერთა, სადაც შეიქმნა ქართლის საერისთავო — **არგვეთი**.

როგორი იყო საქართველოს ტერიტორიაზე წარმოშობილი პოლიტიკური გაერთიანებების სახელმწიფო წყობილება, მისი ცენტრალური თუ ადგილობრივი მმართველობა? სამწუხაროდ, ამ საკითხის სრულად, მთელი სიზუსტით წარმოჩენა შეუძლებელია. რაც შეეხება იბერიის სახელმწიფოს, მისი მმართველობის ფორმა მონარქიული იყო, მას მეფე-მონარქი განაგებდა. მეფობა მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადადიოდა. ქვეყნის ძლიერებისა თუ დასუსტების შესაბამისად იცვლებოდა მეფის კომპეტენცია საკანონმდებლო, აღმასრულებელ თუ მართლმსაჯულების სფეროში. იბერიის სამეფოში მეფის შემდეგ მეორე პირი იყო **მთავარსარდალი**, ანუ **სპასპეტი**. მაღალი თანამდებობა ეკავა სამეფო სახლის წინამძღოლს, ანუ **ეზოსმოძღვარს**, რომელიც სამეფო კარზე მმართველობის სხვადასხვა დარგს ხელმძღვანელობდა. დიდი როლი ეკისრებოდათ **სასულიერო კულტისმსახურთ**.

ადგილობრივი მმართველობის განსახორციელებლად ქვეყანა დაყოფილი იყო **საერისთავოებად**. საერისთავო არ იყო მხოლოდ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, მას ეთნიკური ნიშნებიც გააჩნდა, საერისთავოებს **ერისთავები** განაგებდნენ, ზოგჯერ მათ **პიტიახშების** სახელითაც მოიხსენიებენ.

იბერიის სამეფო გვარის წარმომადგენლები, ანუ სეფეწულნი ძირითადად სამხედრო საქმით იყვნენ დაკავებულნი, ხოლო სასამართლო ფუნქციებს ახორციელებდნენ: **მეფე. ერისთავები, მთავარსარდალი** და **ქურუმები** — რელიგიური კულტის მსახურნი.

ახალი წ.აღ-ით IV საუკუნიდან საქართველოში მყარდება ფეოდალური წყობილება, რომელიც გრძელდება თითქმის XIX საუკუნემდე. ამ ხნის მანძილზე საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად ორი სამეფო ფიგურირებს: აღმოსავლეთით — **იბერია**, ანუ **ქართლის** სამეფო და დასავლეთით — **ეგრისი**, რომელიც კოლხეთის ადგილას აღმოცენდა. მას **ლაზიკის** სახელითაც მოიხსენიებენ.

VI საუკუნეში სპარსეთის აგრესიის შედეგად იბერიაში მეფობა გაუქმდა (523 წ.), უმეფობა VIII საუკუნის პირველ ნახევრამდე გაგრძელდა. VII საუკუნიდან საქართველო არაბთა სახალიფომ დაიპყრო.

არაბთა ბატონობის შედეგად მოიშალა ქართული სახელმწიფოებრიობა, მართალია, საერისთავოები არ გაუქმებულა, მაგრამ მათ

დაპყრობილ რეგიონებში თავისი მოხელეები ჩააყენეს, რომელთა მეშვეობით ექსპლუატაციას უწევდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

VIII-X საუკუნეების დასასრულს არაბთა ბატონობის დასუსტების შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება ახალი პოლიტიკური ერთეულები — სამეფო-სამთავროები: **თბილისის საამირო, კახეთის, ჰერეთის, ეგრისის, აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთის** საერისთავოები. IV-X საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო წყობილებისა და მმართველობის შესახებ აღსანიშნავია შემდეგი: 523 წლიდან, ე.ი. ქართლში მეფობის გაუქმებიდან, ქვეყანას მართავს შაჰის მიერ დანიშნული მოხელე **მარზპანი**. საქართველოს სხვა ტერიტორიაზე საერისთავოები და ერისთავთა გამგებლობა არ მოშლილა არაბთა ბატონობის პერიოდშიც.

IX საუკუნის დასასრულიდან დაიწყო ქართული სამეფო-საერისთავოების ლტოლვა გაერთიანებისაკენ. ამ პროცესს ხელს უწყობდა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორები და იდეოლოგიური მხარე. ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა სარწმუნოებრივი გაერთიანება.

საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბება განხორციელდა ბაგრატ III-ის დროიდან, ე.ი. X საუკუნის დასასრულიდან, მაგრამ საბოლოოდ ქვეყნის გაერთიანება დავით აღმაშენებელმა შეძლო, რის შედეგაც ჩამოყალიბდა, დაიხვეწა და დასრულებული სახე მიიღო ქვეყნის სახელმწიფო წყობილებამ და მმართველობამ. გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს მმართველობა **მონარქიული** იყო. მონარქს ექვემდებარებოდა **საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო, სამხედრო თუ საფინანსო ფუნქციები.**

ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა **დარბაზი,** რომელშიაც შედიოდნენ მაღალი თანამდებობის საერო თუ სასულიერო, მეფის ერთგული პირები. დარბაზს მეფე იწვევდა და განაგებდა. ცნობილია დარბაზობის ორი წესი: **დარბაზობა დიდი წესით,** ანუ დარბაზის ღია სხდომა და **დარბაზობა მცირე წესით,** ანუ დარბაზის დახურული (საიდუმლო) საქმიანი სხდომა.

გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი ორგანო იყო **სავაზირო,** რომელშიაც **6 ვაზირი** შედიოდა:

1. **მწიგნობართუხუცესი ჰყონდიდელი,** ანუ **ვაზირთუპირველესი,** იგივე პრემიერ-მინისტრი (კანცლერი).

2. **ათაბაგი** — მეფის შვილის აღმზრდელი, მსხვილი ფეოდალი.
3. **ამირსპასალარი**, ანუ სამხედრო უწყების ხელმძღვანელი.
4. **მანდატურთუხუცესი**, ანუ სამეფო კარზე დარბაზობის, სასახლის კარის ეტიკეტისა და აუდიენციის დროს წესრიგის დაცვის უწყების ხელმძღვანელი.
5. **მეჭურჭლეთუხუცესი**, ანუ საფინანსო უწყების ხელმძღვანელი.
6. **მსახურთუხუცესი**.

ადგილობრივი მმართველობა ასეთი სახითაა წარმოდგენილი:

1. **საერისთავოები და ერისთავები.**
2. **ხევი და ხევისთავი.**
3. **თემი, თემის მამასახლისი** (უფროსი).
4. **ციხე და ციხისთავი.**

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან, ქვეყნის შიგნით აშლილობისა და დამპყრობელ სახელმწიფოთა ზეწოლის შედეგად, ერთიანი ფეოდალური საქართველო იშლება სამეფო-სამთავროებად და ყალიბდება: **ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები, სამცხის საათაბაგო**. ეს უკანასკნელი XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ოსმალეთმა მიიტაცა. XVI-XVII საუკუნეებში **იმერეთის სამეფო ქუცმაცდება გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის დამოუკიდებელ სამთავროებად**.

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცების შედეგად თითოეულ პოლიტიკურ ერთეულს თავისი სპეციფიკური წყობა და მმართველობა ჰქონდა, მაგრამ მათ გამგებლობაში მაინც შეინიშნება მსგავსი პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების არსებობა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ თუ სამხრეთ საქართველოში, რაც გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების გავლენით უნდა აიხსნას.

XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში არ შენელებულა ქართველ პროგრესულ მოღვაწეთა ბრძოლა ქვეყნის გასაერთიანებლად, მაგრამ უშედეგოდ. აშკარა გახდა მეზობელი სახელმწიფოების მიერ საქართველოს შთანთქმის საფრთხე. სწორედ ამიტომ 1783 წელს დაიდო მფარველობითი ტრაქტატი რუსეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის, ხოლო 1801 წელს რუსეთმა გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო, მოსპო სახელმწიფოებრიობა და იგი, როგორც ტერიტორიული ერთეული, თავის იმპერიას შეუერთა. მალე მათ დასავლეთი საქართველო — იმერეთი, სამეგრელო, გურია, აფხ-

აზეთი და სვანეთი დაიპყრეს. ამრიგად, XX საუკუნის დასაწყისში მთელი საქართველო რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა. ასე გაგრძელდა 1917 წლამდე. ამ წელს რუსეთში დაემხო მეფის ხელისუფლება, ეროვნულმა ერთეულებმა, ანუ კოლონიებმა, მათ შორის საქართველომაც დამოუკიდებლობა მოიპოვა.

თავი II. ქართული სამართლის წყაროები

ამა თუ იმ ხალხის კულტურაზე მსჯელობისას ყურადღება ექცევა ამ ხალხის ლიტერატურას, ხელოვნებას, ისტორიას... ქართველი ხალხის კულტურაზე საუბრისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის სამართლებრივ კულტურას, ანუ როგორი სამართალი ჰქონდა ჩვენს ხალხს უძველესი დროიდან.

სამართლებრივი კულტურის მხრივ გამოირჩევიან რომაელები, რომლებმაც შექმნეს ისეთი კანონები (კანონმდებლობა), რაც საფუძვლად დაედო მსოფლიოს მრავალი ხალხის სამართალს.

ქართველ ხალხს, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ კულტურულ ერს, უძველესი დროიდან შეუმუშავებია კანონები და მაღალი სამართლებრივი კულტურაც ჰქონია.

ქრისტიანული რელიგიის მიღების შემდეგ საქართველოში მოქმედებდა ქრისტიანული საეკლესიო სამართალი. ბერძნულიდან ქართულად ითარგმნებოდა მსოფლიოს მართლმადიდებლური საეკლესიო კანონები. X საუკუნეში ბერძნულიდან ნათარგმნი ყოფილა **„დიდი სჯულის კანონი“** (მთარგმნელი უცნობია). იგივე ძეგლი XI საუკუნის დასაწყისში უთარგმნია ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს არსენ იყალთოელს, ხოლო X საუკუნის დასასრულს ცნობილ ქართველ მოღვაწეს, საეკლესიო სამართლის მცოდნეს – ექვთიმე მთაწმინდელს ბერძნული კანონიკური (საეკლესიო) მწერლობის სხვადასხვა წყაროების მიხედვით შეუდგენია ეგრეთ წოდებული **„მცირე სჯულის კანონი“**, რომელიც ქართული ეკლესიების სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო.

უცხოური (ბერძნული) საეკლესიო კანონების გარდა, საქართველოში მოქმედებდა ქართული ეკლესია-მონასტრების მიერ მიღებული დადგენილებები თუ წესდებები, რომელთა შორის აღსანიშნავია **1103 წლის „რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისდება“**, ასევე „კათალიკოსთა სამართალი“ და მრავალი სხვა.

საეკლესიო კანონების გვერდით საქართველოში იწყება საერო ხასიათის კანონების შემუშავება და მიღება, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ **„ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი“, „გიორგი ბრწყინვალეს სამართლის წიგნი“, „ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი“, „ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებული“ და „საკუთრივ ვახტანგ VI სამართლის წიგნი“**. ფართო საკანონმდებლო საქმიანობა გაიშალა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. ქართველი ბატონიშვილები – ვახუშტი ბაგრატიონი, იოვანე და დავით ბატონიშვილები – ოცნებობდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე და ამისათვის სახელმწიფოს მოწყობის პროექტებს ადგენდნენ, კანონთა კოდექსებს ქმნიდნენ.

როგორც ცნობილია, ქართველმა ხალხმა ვერ მოიპოვა რეალური დამოუკიდებლობა XX საუკუნის 90-იან წლებამდე. დღეისათვის, როდესაც ქართველმა ხალხმა იურიდიულად მიიღო დამოუკიდებლობა – გაიშალა ფართო, ეროვნული საკანონმდებლო საქმიანობა, მომზადებულია კოდექსები სისხლის, სამოქალაქო და სხვა დარგებში. 1999 წლის ბოლოსათვის საქართველოს პარლამენტმა 700-მდე კანონი მიიღო, რომელშიაც გათვალისწინებულია ქართული სამართლებრივი კულტურის მონაპოვარიც.

ქართული სამართლის უამრავი წყარო მოიპოვება, რომელთა მეშვეობითაც ჩამოყალიბდა ქართული სამართალი.

ქართული სამართლის **პირდაპირი** და **არაპირდაპირი** წყაროები არსებობს.

პირდაპირი წყაროები ის ფორმებია, რომლებიც სამართლის ნორმებადაა ჩამოყალიბებული. მაგალითად, გიორგი ბრწყინვალეს, ვახტანგ VI, ბექასა და აღბუღას და სხვ. სამართლის წიგნები ქართული სამართლის პირდაპირი წყაროებია, რადგან მასში პირდაპირაა მოცემული ცნობები სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე.

არაპირდაპირი წყაროებია: მატერიალური კულტურის ძეგლები, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები, მხატვრული თუ საისტორიო ხასიათის ნაწარმოებები და სხვ. მაგალითად, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ქართული სამართლის არაპირდაპირი წყაროა, რადგან მასში უამრავი ცნობაა მოცემული (არაპირდაპირ) ქართული სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ. ქართული სამართლის წყაროები შეიძლება დავყოთ ასევე საეკლესიო და საერო ხასიათის წყაროებად.

საეკლესიო ხასიათის წყაროები, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, ისეთი ძეგლებია, რომლებიც შეეხება და არეგულირებს საეკლესიო ურთიერთობებს.

თავის მხრივ საეკლესიო წყაროები, რომლებსაც იყენებდნენ საქართველოში, შეიძლება დაიყოს: **უცხოურ საეკლესიო წყაროებად, ანუ კანონიკური ხასიათის ძეგლებად და ქართული საეკლესიო ხასიათის ძეგლებად.**

უცხოური საეკლესიო წყაროებიდან საქართველოში მოქმედებდა: ა) **„დიდი სჯულის კანონი“** ბ) **„მცირე სჯულის კანონი“**. ეს უკანასკნელი შეუდგენია და ქართულად უთარგმნია ათონის იერთა მონასტერში მოღვაწე ქართველ სჯულის მეცნიერს ექვთიმე მთაწმინდელს. ქართული სამართლის საეკლესიო წყაროებია, აგრეთვე ადგილობრივი ეკლესია-მონასტრების მიერ მიღებული კანონები, საეკლესიო დადგენილებები, ეკლესიათა ტიპიკონები, განაჩენები თუ გადაწყვეტილებები, რომელთა რაოდენობა რამდენიმე ათასს აღწევს. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ორი ძეგლს: 1. **რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ძეგლისდებას**, 2. **„კათალიკოსთა სამართალს“**.

„რუის ურბნისის 1103 წ ძეგლისდება“ ქართული საეკლესიო სამართლის საუცხოო ძეგლია, რომელიც საეკლესიო და საერო ცხოვრების მრავალ საკითხს არეგულირებს.

„კათალიკოსთა სამართალი“ XVI საუკუნეში დასავლეთ საქართველოში უნდა იყოს შედგენილიყო. მის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა წინ აღდგომოდა დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ საშინელ მოვლენას — ტყვეების გაყიდვას, რომელმაც მუსრი გაავლო საქართველოს გენოფონდს. **„კათალიკოსთა სამართალმა“** ამ დანაშაულის ჩადენისათვის, „ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი“ — სიკვდილით დასჯა („ძელსა მიეცეს“) დააწესა.

რაც შეეხება ქართულ საერო ხასიათის ძეგლებს, ისინი ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ა) **სახელმწიფო სამართლებრივი (კონსტიტუციური)** ხასიათის ძეგლები, ბ) **სისხლისა და სამოქალაქო სამართლებრივი** ხასიათის ძეგლები.

სახელმწიფო სამართლებრივი (კონსტიტუციური) ხასიათის ძეგლები უამრავია. მათგან აღსანიშნავია: 1. **„ხელმწიფის კარის გარიგება“**, 2. **„დასტურლამალი“**.

1. **„ხელმწიფის კარის გარიგება“** გაერთიანებული ფეოდალური

საქართველოს სახელმწიფო სამართლებრივი (კონსტიტუციური) ხასიათის ძეგლია. იგი 1919 წელს აღმოაჩინა ექვთიმე თაყაიშვილმა და დალუპვას გადაარჩინა. ძეგლის ტექსტი მთლიანად არ შემორჩა, იგი ნაკლულია.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ დახასიათებულია გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობა. ძეგლის მიხედვით სახელმწიფოს მეთაურია მეფე, რომელსაც ემორჩილება ეკლესიაც. ხელისუფლების მეორე ორგანოა დარბაზი. დარბაზის სხდომას იწვევს მეფე „დიდი წესით“ და „მცირე წესით“; მეფის დასაყრდენია „სავაზირო“, ანუ უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელშიაც 6 ვაზირი შედის: მწიგნობართუხუცესი — ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი. ძეგლში მოცემულია ვაზირობის წესები, „ხელმწიფის კარის გარიგება“ მუხლებად არ არის დაყოფილი. იგი ექვთიმე თაყაიშვილმა პირობითად 39 მუხლად დაყო.

2. „დასტურლამალი“ სახელმწიფო სამართლებრივი ხასიათის ძეგლია. იგი შედგენილია ვახტანგ VI-ის მიერ 1707-1709 წლებში. ძეგლის სახელწოდება სპარსულ-არაბულიდან მომდინარეობს — „დასტურ ალ-ვამალ“ და მოქმედების, განრიგს, დასტურს ნიშნავს. თვით ვახტანგ VI მას უწოდებს „სჯულისდებასა სახელმწიფოთასა“, რომელშიაც მოცემულია „წესი და განგება სამეფოსა დარბაზისასა“, ასევე მასში აღნუსხულია „ყოველნი ხელისუფალნი და მოქმედნი დარბაზის რიგისანი“. „დასტურლამალი“, როგორც სახელმწიფო სამართლებრივი ხასიათის ძეგლი, უამრავ ნორმას შეიცავს სამეფო კარის მოხელეთა, მეფის სამდივნოს, საპოლიციო აპარატისა თუ საგადასახადო სისტემის შესახებ.

ქართული სამართლის პირდაპირი წყაროებიდან მეტად მნიშვნელოვანია სისხლისა და სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათის ძეგლები, ასეთია:

1. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტი;
2. გიორგი ბრწყინვალეს სამართალი;
3. ბექასა და აღბუღას სამართალი;
4. ვახტანგ VI სამართლის წიგნი;
5. ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებული და სხვა.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი 1909 წლამდე უცნობი იყო და ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის ნაწილად ითვლებოდა. 1909 წელს აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის 99-102-ე მუხლები

უნდა ეკუთვნოდეს ბაგრატ III კურაპალატს. ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებებიც არსებობს. აკადემიკოს ი. დოლიძის აზრით, ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის 176 მუხლიდან ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის 60-მდე მუხლი, რომელიც დართულია, შერეულია ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის მუხლებში.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის შემორჩენილი მუხლები ძირითადად სისხლის სამართლის ნორმებია, მასში ვხვდებით სამოქალაქო და საოჯახო, ასევე საპროცესო სამართლის ნორმებსაც.

გიორგი V ბრწყინვალის სამართლის წიგნი შედგენილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის. მას შემდეგ, რაც გიორგი V მოახერხა საქართველოს კვლავ გაერთიანება, მან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვისაც „მოიცალა“, სადაც ადგილი ჰქონია სრულ ანარქიას, კერძოდ, ადგილობრივი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობას, გახშირებულ მკვლელობებს, ქურდობას, ყაჩაღობას, „ციხის დაქცევას“, „სალაშქრო საქმეზე უარის თქმას“ და სხვა სახის დანაშაულობებს. გიორგი V ადგილზე გასცნობია ვითარებას, პირადად შემოუვლია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი თანმხლებ პირებთან ერთად, დაბრუნებულა ქალაქში და საკანონმდებლო კრება მოუწვევია, რომელზედაც კანონი მიუღია, ანუ **„ძეგლი დაუდვია“**. ეს ძეგლი 46 მუხლისაგან შედგება და ძირითადად სისხლის სამართლის ნორმებია, მასში მხოლოდ 5 მუხლი ეხება სამოქალაქო და საოჯახო სამართლის საკითხებს. ძეგლისდებაში დასახელებულია ცალკეული სახის დანაშაული (მკვლელობა, დაჭრა, სხეულის დაზიანება, მეკობრეობა, ანუ ქურდობა, ცოლის დაგდება, სალაშქრო საქმისათვის თავის არიდება და სხვ.) და მათზე გამოყენებული სასჯელები. სასჯელის ძირითადი სახეა დანაშაულის გამოსასყიდი თანხა, ანუ **„სისხლის ფასი“**.

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის სრული სახელწოდებაა **„სამართალი კაცთა შეცოდებისა ყოველისავე“**. იგი საქართველოს სამხრეთისათვის (მესხეთ-ჯავახეთი) იყო შედგენილი XIV საუკუნის დასაწყისში. ამ პერიოდში მესხეთ-ჯავახეთს საქართველოს მთელი ტერიტორიის თითქმის მესამედი ეჭირა.

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი წინათ მხოლოდ **„აღბუღას კანონებით“** მოიხსენიებოდა და არ იყო ცნობილი არც ბექა და არც ბაგრატ კურაპალატი. დღეისათვის კი დადგენილია, რომ აღბუღას კანონების 176 მუხლიდან ბექას ეკუთვნის მხოლოდ 65 მუხლი, ხოლო

66-98 მუხლები – ბექას შვილიშვილს აღბუღას, 99 მუხლიდან დაახლოებით 60 მუხლი – ბაგრატ კურაპალატს, დანარჩენი შემდგომ არის დამატებული და წარმოადგენს კანონიკური სამართლის ფრაგმენტს.

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნს წინ უძღვის შესავალი. იგი ამ წიგნის შემდგენელს აღბუღას ეკუთვნის, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ბექას სამართლის წიგნზე დაყრდნობით შეუმუშავებიათ ახალი სამართლის წიგნი, განუხილავთ იგი საკანონმდებლო კრებაზე და მიუღიათ. აღბუღა იყო სამცხის ათაბაგ-ამირსპასალარი, რომელმაც საფუძვლად აიღო ბექას კანონები და მას დაუმატა ახალი მუხლები გახშირებულ დანაშაულობათა მოსაწესრიგებლად.

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის მუხლების უმეტესობა სისხლის სამართლის დარგს ეკუთვნის. მასში შეტანილია მკვლელობის, სხეულის დაზიანების, შეურაცხყოფის, ცილისწამების, სქესობრივი დანაშაულის, ქალის მოტაცების, გაძარცვის, ქურდობის, მექრთამეობისა და ღალატის მომწესრიგებელი ნორმები. მასში ვხვდებით ასევე სამოქალაქო, საოჯახო სამემკვიდრეო და პროცესუალური სამართლის ნორმებსაც.

ქართულ საკანონმდებლო საქმიანობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ვახტანგ VI. მან „ჭკვიან კაცთა“ კომისია შეადგინა, რომელთა ხელშეწყობით ფართო საკანონმდებლო საქმიანობა გაშალა და სჯულმდებლობის დიდი კრებული შექმნა. მას ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულს უწოდებენ. აკადემიკოს ი. დოლიძის აზრით, ვახტანგ VI არის ქართველი „იუსტინიანე“ და მის მიერ შედგენილი კრებული კი – საქართველოს „კორპუს იურის ცივილის“.

ვახტანგ VI საკოდიფიკაციო საქმიანობა იმიტომაცაა დასაფასებელი, რომ მან არა მარტო საკუთარი სამართლის წიგნი შეადგინა (საკუთრივ ვახტანგის სამართალი), არამედ მოკრიბა, მოიძია ძველი ქართული სამართლის წიგნები, მათ შორის: გიორგი ბრწყინვალის, აღბუღას (ასე უწოდებს იგი ბექა-აღბუღას სამართლის წიგნს), კათალიკოსთა სამართალი და კრებულში შეიტანა. ვახტანგ VI ამით როდი დაკმაყოფილდა. მან უცხოური სამართლის ძეგლები „მოიძია“, მათ შორის მოსეს, ანუ ებრაული სამართალი, ბერძნული, ანუ რომაული სამართალი და სომხური სამართალი. ისინი გამართა (გადმოაქართულა) და კრებულში შეიტანა. ამ გზით მან დიდი კოდიკო მიიღო, რომლის მსგავსს ვერ ვიპოვით ვერც ერთი ხალხის სამართლის ისტორიაში.

ვახტანგ VI ზემოხსენებული უცხოური სამართლის ძეგლები

უცვლელად კი არ გადმოათარგმნინა, არამედ მას'ში გარკვეული ცვლილებები შეიტანა. ისინი გადამუშავებული სახითაა თარგმნილი, ქართველი ხალხის პრაქტიკულ მოთხოვნილებათა შესაბამისად და, შეიძლება ითქვას, რომ ისინი თავისებურ ქართულ ვერსიას წარმოადგენენ.

ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებული შედგება:

1. **ზანდუკი, ანუ კრებულის საძიებელი;**
2. **კრებულის შესავალი;**
3. **სამართალი მოსესი (ებრაული სამართლის ქართული ვერსია);**
4. **სამართალი ბერძნული (ქართული ვერსია);**
5. **სამართალი სომხური (ქართული ვერსია);**
6. **სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა (ანუ თვით ვახტანგ VI სამართალი);**
7. **სამართალი აღბუღასი (ანუ ბექასა და აღბუღას სამართალი);**
8. **სამართალი მეფის გიორგისა (ანუ გიორგი V — ბრწყინვალეს სამართალი);**
9. **„კათალიკოზთა სამართალი".**

თავი III. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა

როგორც ცნობილია, 1801 წლიდან აღმოსავლეთ საქართველო — ქართლ-კახეთის სამეფო ოფიციალურად შეიერთა რუსეთმა, გაუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა (მეფობა) და რუსეთის იმპერიის ტერიტორიულ ერთეულად აქცია იგი. 1810 წლიდან იწყება დასავლეთ საქართველოში სახელმწიფოებრიობის გაუქმება და მისი გადაქცევა რუსეთის გუბერნიად.

ქართველი ხალხი, მისი მოწინავე წარმომადგენლები არ შერიგებიან ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაკარგვას. ამის დამადასტურებელია აჯანყებები თუ შეთქმულებები ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ერეკლე II შთამომავლების — ბატონიშვილების იოანე და დავით ბაგრატიონების ოცნება, თუ პრაქტიკული მოღვაწეობა ქართლ-კახეთის სამეფოს აღსადგენად. ისინი მომავალი სამეფოს პოლიტიკური მოწყობის პერსპექტივებს ჭვრეტდნენ და სამართლის კოდექსების საინტერესო პროექტებს აყალიბებდნენ, რომლებშიაც დეტალურად იყო განსაზღვრული დამოუკიდებელი, სუვერენული ქართლ-კახე-

თის სამეფოს მართვა-გამგეობისა და კანონმდებლობის საკითხები.

საქართველოს სახელმწიფოს რეალური აღდგენა მოხდა რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შედეგად, როდესაც დაემხო მეფის ხელისუფლება და რუსეთის იმპერიაში შემავალმა კოლონიებმა – მათ შორის საქართველომაც დამოუკიდებლობა მოიპოვა.

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს მოსახლეობის წარმომადგენლობითმა ორგანომ ეროვნულმა საბჭომ მიიღო და გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რის შედეგადაც დამყარდა საქართველოს რესპუბლიკა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში ნათქვამია: „...ქართველი ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი სახელმწიფოა.

დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა.

საერთაშორისო საქმიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური რესპუბლიკაა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან...“.

საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით. აღდგა დაკარგული სახელმწიფოებრიობა, მსოფლიოს ხალხებს ემცნო, რომ არსებობს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო.

საქართველოს დამოუკიდებლობა მრავალმა ქვეყანამ ცნო. მათ შორის რუსეთმაც. თუმცა უნდა ითქვას, რომ რუსეთს არ სურდა საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი „ხელიდან გაშვება“, მაგრამ მას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით ამ პერიოდში ძალზე მძიმე მდგომარეობა შეექმნა და იძულებული გახდა არათუ ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, არამედ დაედო ხელშეკრულება 1920 წლის 7 მაისს, რომლის ძალით იგი არ ჩაერეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში. რუსეთის გარდა, საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო: ბელგიამ, ეგვიპტემ, ესპანეთმა, რუმინეთმა, ჰოლანდიამ, ჩინეთმა, ინგლისმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

საქართველოს დამოუკიდებლობა, ქვეყნის ხელისუფლების მმართველობის, სასამართლო ორგანოთა, ასევე მოქალაქეთა ძირითა-

დი უფლებანი, საარჩევნო სისტემისა და სხვა საკითხები ოფიციალურად გაფორმდა 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციით. აღსანიშნავია, რომ ეს კონსტიტუცია გამოირჩევა ცნებების სიზუსტით, აზრის სისადავითა და, რაც მთავარია, დემოკრატიულობით. სამწუხაროდ, მას „სიცოცხლე“ არ ეწერა, სულ 4 დღე იარსება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი დღეებიდანვე ქვეყანა ანარქიამ, ეკონომიკურმა კატასტროფამ და შიმშილმა მოიცვა. ამას ხელს უწყობდა მეზობელი სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი — რუსეთი და თურქეთი.

საბჭოთა რუსეთი არ აპირებდა დაეკარგა საქართველო. იგი მიზანსწრაფულად ახორციელებდა საქართველოს კვლავ დაპყრობასა და მიერთებას. უხეშად ერეოდა საშინაო საქმეებში, ფეხქვეშ გათელა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და სუვერენიტეტის შესახებ, 1921 წლის 11 თებერვალს შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე, უმოკლეს ვადაში დაიპყრო ქვეყნის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი და 1921 წლის 25 თებერვალს იძულებით დაამყარა აქ საბჭოური ხელისუფლება.

თავი IV. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა

როგორც უკვე აღინიშნა, 1921 წლის 25 თებერვლიდან საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა. მალე იგი „გაერთიანდა“ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, როგორც მოკავშირე რესპუბლიკა, რომელსაც იურიდიულად ჰქონდა სახელმწიფოებრიობა — თავისი კონსტიტუცია, საკუთარი ტერიტორია, ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, უმაღლესი სასამართლო თუ პროკურატურა, მაგრამ ეს იყო იურიდიულად და ფაქტობრივად, საქართველო არ წარმოადგენდა სუვერენულ სახელმწიფოს.

ქართველი ხალხი, მისი ინტელიგენცია თუ მოწინავე წარმომადგენლები 70 წლის მანძილზე ოცნებობდნენ ქვეყნის რეალურ დამოუკიდებლობას. ზოგჯერ აშკარადაც კი გამოხატავდნენ დამოუკიდებლობის მოთხოვნებს, რისთვისაც სისხლიან ტერორს უწყობდა მათ საბჭოთა კავშირი. ასეთი გამოსვლები იყო: 1924, 1936, 1949-1952, 1956 წლებში, დაბოლოს, 1989 წლის 9 აპრილს. ეს უკანასკნელი

სისხლიანი ტრაგედია მთელი ქართველი ხალხის სულისკვეთების გამოხატულებად იქცა — მიეღწია ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის.

საქართველოს მიზანსწრაფულობას ხელი შეუწყო თვით საბჭოთა კავშირში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკების ლტოლვამ დამოუკიდებლობისაკენ, ასევე მსოფლიო პროგრესული ძალების მოთხოვნამ — დაშლილიყო უკანასკნელი იმპერია და თავისუფლება მისცემოდა მასში შემავალ ერებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის რეალურ საწყისად უნდა მივიჩნიოთ ეროვნულ-დემოკრატიული ძალების პირველი გამარჯვება 1990 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებში. ეს იყო პირველი მრავალპარტიული, ფაქტობრივად დემოკრატიული არჩევნები, რომლის შედეგადაც სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში მოვიდა „მრგვალი მაგიდა, დემოკრატიული საქართველო“. ამ დღიდან საქართველოში ფაქტობრივად დაემხო საბჭოთა ხელისუფლება.

ეროვნული ძალების ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე იწყება ანტისაბჭოთა, ანტიკომუნისტური ღონისძიებების გატარება, რითაც უნდა გაუქმებულიყო საქართველოში სოციალისტური წყობილება და დამყარებულიყო ნამდვილი დემოკრატია, ნამდვილი ქართული, სუვერენული სახელმწიფოებრიობა.

1990 წლის 14 ნოემბერს ახლად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება მის თავმჯდომარედ ზ. გამსახურდიას არჩევის შესახებ.

ამავე სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება საქართველოს სსრ სახელწოდების შეცვლის შესახებ და ჩვენს ქვეყანას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკა“.

1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

ახლად ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ რესპუბლიკას არ ჰქონდა არც კონსტიტუცია და არც სხვა ნორმატიული აქტები, ამიტომ თავის პირველსავე სხდომაზე მისმა პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციური ხასიათის აქტი — „კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, რომელიც სამოქმედოდ შემოღებულ იქნა მიღებისთანავე. ეს იყო ფაქტობრივად საქართველოს „მცირე კონსტიტუცია“, რომელშიაც ჩამოყალიბდა ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი, ცენტრალური თუ ადგილობრივი ორგანოები. ამ დოკუმენტით შემოღებულ იქნა პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის პოსტი. აღმას-

რულებელ ხელისუფლებას განახორციელებდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტი, აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებდა ასევე პარლამენტის სპიკერისა და მისი მოადგილეების უფლება-მოვალეობებს. კანონში გათვალისწინებული იყო ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს, ასევე შეიარაღებული ძალების კომპეტენცია. ცალკე თავი ეძღვნებოდა სასამართლო ხელისუფლებას.

ზემოთ აღნიშნული „კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ სრულყოფილი არ იყო და ვერ ასრულებდა კონსტიტუციის დანიშნულებას, ამიტომაც სახელმწიფოს მეთაურმა და ახლად არჩეულმა პარლამენტმა დაიწყო მუშაობა ახალი კონსტიტუციის შესაქმნელად.

1993 წლის 25 მარტს პარლამენტმა მიიღო დადგენილება – „სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობის“ თაობაზე, ხოლო 1995 წლის 1 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონები საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნების შესახებ.

1995 წლის 2 ივლისს საკონსტიტუციო კომისიამ დაამთავრა მუშაობა საკონსტიტუციო პროექტზე. 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ქვეყნის ახალი კონსტიტუცია.

ახალი კონსტიტუციის საფუძველზე ორჯერ აირჩიეს პარლამენტი – 1995 წელსა და 1999 წლის 31 ოქტომბერს. ასევე ორჯერ იქნა არჩეული საქართველოს პრეზიდენტად ედუარდ შევარდნაძე – 1995 წლის 5 ნოემბერსა და 2000 წლის 9 აპრილს.

კარი მეორე

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია

თავი I. ძირითადი ცნებები სახელმწიფოს შესახებ

§1. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, როგორც მეცნიერება და სასწავლო დისციპლინა

სახელმწიფო და სამართალი არა მხოლოდ იურიდიული, არამედ ასევე სოციალური ინსტიტუტებია. ისინი წარმოადგენენ სოციოლოგიის, ეკონომიკური მეცნიერების, პოლიტოლოგიის, ფსიქოლოგიის, ისტორიისა და განსაკუთრებით ფილოსოფიის შესწავლის საგანს.

მაგრამ, ვერც ერთ მათგანში ვერ ნახავთ სახელმწიფოთმცოდნეობისა და იურისპრუდენციის პრობლემების იმდაგვარ შერწყმას, როგორც ეს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაშია. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან თუ სხვა მეცნიერებები შეისწავლიან და იკვლევენ სახელმწიფოსა და სამართლის ცალკეულ მხარეებს, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერების ერთ-ერთი დარგი, შეისწავლის სახელმწიფოსა და სამართლის აღმოცენების, განვითარებისა და ფუნქციონირების ზოგად და სპეციფიკურ კანონზომიერებებს, ანუ ამ ორი სოციალური მოვლენის ყველა უმნიშვნელოვანეს მხარეს.

ამ გარემოებით განისაზღვრება მისი როლი სხვა იურიდიულ მეცნიერებებთან ურთიერთობაში. ის ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

ჯერ ერთი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია არსებითად არის შესავალი მეცნიერება იურისპრუდენციაში. ის შეიმუშავებს სახელმწიფოთმცოდნეობისა და იურისპრუდენციის საწყის ცნებებსა და კატეგორიებს, ავლენს და აყალიბებს კანონზომიერებებს, რომელიც გამოიყენება ყველა სხვა იურიდიული დისციპლინების შესწავლისას. ეს საშუალებას აძლევს სამართლებრივი კვლევის სხვადასხვა სფეროში მომუშავე იურისტებს ისაუბრონ ერთ სამეცნიერო ენაზე, განავითარონ შესაბამისი დებულებები იურისპრუდენციის სხვადასხვა დარგში და სხვა.

მეორე, შეიმუშავებს რა ზოგადთეორიულ დებულებებს, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია იყენებს იურისპრუდენციის ყველა სხვა შემადგენელი ნაწილის მიღწევებს. როდესაც ის იკვლევს, ადარებს და განაზოგადებს ცალკეული იურიდიული, დარგობრივი და სპეციალური იურიდიული მეცნიერებების თეორიულ დებულებებს, ისინი ხდება ყველა ამ მათგანის მონაპოვარი. ასე, მაგალითად, კონსტიტუციური სამართლის, სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის მეცნიერებების მიღწევები შესაბამისად ადამიანისა და მოქალაქის უფლებების უზრუნველყოფის, სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული პასუხისმგებლობის სფეროებში სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის მიერ აყვანილია ზოგადთეორიული კონსტრუქციის დონეზე, რომელიც გამოიყენება ყველა სხვა იურიდიული მეცნიერებებისა და სასწავლო დისციპლინების მიერ. ამრიგად, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის კავშირი სამართლებრივი მეცნიერების სხვა დარგებთან ორმხრივი და ურთიერთშემავსებელია.

მესამე ნიშანი შეიძლება ჩავთვალოთ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის მთავარ თვისებად, ის გვევლინება მეთოდოლოგიურ, მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით მაორიენტირებელ მეცნიერებად იურისპრუდენციაში, რაც მჟღავნდება მის მიერ საწყისი თეორიული დებულებების შემუშავებაში, რომელსაც არ შეიძლება მეთოდოლოგიური მნიშვნელობა არ ჰქონდეს. კერძოდ, საუბარი ეხება სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის კანონზომიერებებს, მათ ურთიერთთანაფარდობას, არსსა და სოციალურ დანიშნულებას, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებების საწყისებსა და მათ გარანტიებს.

§2. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის ძირითადი თეორიები

წარსული და თანამედროვე დროის მეცნიერულმა აზროვნებამ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ მთელი რიგი თეორიები წამოაყენა. მათ შორის ყველაზე მეტად ცნობილი და გავრცელებულია: თეოლოგიური, პატრიარქალური, საზოგადოებრივი ხელშეკ-

რულების, ორგანული, ძალმომრეობის, ფსიქოლოგიური, ისტორიულ-მატერიალისტური თეორიები.

თეოლოგიური თეორია სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ ყველაზე ადრეული თეორიაა, რომელიც აღმოცენდა მსოფლიოს შესახებ პირველსაწყისი რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენებიდან. რამდენადაც მსოფლიო შექმნა ღმერთმა, ამიტომ სახელმწიფოცა და სამართალიც ღვთაებრივი წარმოშობისაა. ამ თეორიის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია სწავლული-ღვთისმეტყველი თომა აკვინელი.

პატრიარქალური თეორია წამოაყენა ჯერ კიდევ არისტოტელემ. იგი სახელმწიფოში ხედავს დიდ ოჯახს, რომელიც ისევე ზრუნავს თავის ქვეშევრდომებზე, როგორც მამა – თავის შვილებზე. პატრიარქალური თეორიის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლება გარკვეულწილად მამის ძალაუფლების გაგრძელებაა, ანუ მონარქის, სახელმწიფოს ძალაუფლება ხალხისათვის – ეს არის როგორც მამის ძალაუფლება ოჯახში.

საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია აღმოცენდა ძველ საბერძნეთში (სოფისტები), აღორძინდა და გადამუშავდა ფეოდალიზმის კრიზისის პერიოდში. მისი წარმომადგენლები (თომას ჰობსი, ჯონ ლოკი, ჟან-ჟაკ რუსო, შარლ ლუი მონტესკიე და სხვ.) განიხილავდნენ სახელმწიფოსა და სამართალს, როგორც ადამიანის გონების პროდუქტს და არა როგორც ღვთის ნებას. ადამიანები, გამოვიდნენ რა „ბუნებრივი“ (ადრესახელმწიფოებრივი) მდგომარეობიდან, გაერთიანდნენ სახელმწიფოში განსაზღვრული პირობებით, რომლებიც ჩადებულია მათ მიერ ნებაყოფლობითა და ურთიერთთანხმობით დადებულ საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში. ამ პირობებიდან უმთავრესი იყო სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრების დაცვა და ხელშეკრულების დამდები ინდივიდების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. თუ მმართველები არღვევდნენ მათსა და ინდივიდებს შორის დადებულ ხელშეკრულებას, მაშინ მათ შეიძლება ჩამოერთვათ ხელისუფლება.

ორგანული თეორია სახელმწიფოს წარმოადგენს, როგორც ადამიანის ორგანიზმის რაღაც მსგავსებას. ძველბერძენი მოაზროვნე პლატონი, მაგალითად, ადარებდა სახელმწიფოს სტრუქტურასა და ფუნქციას ადამიანის სულის შესაძლებლობებსა და მხარეებს. არისტოტელე თვლიდა, რომ სახელმწიფო მრავალ ურთიერთობაში გვაგონებს ადამიანის ცოცხალ ორგანიზმს და ამ საფუძველზე უარყ-

ოფდა ადამიანის არსებობის შესაძლებლობას სახელმწიფოს გარეშე. ისევე, როგორც ადამიანის სხეულისაგან მოკვეთილ ხელებსა და ფეხებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად ფუნქციონირება, ისე ადამიანსაც არ შეუძლია იარსებოს სახელმწიფოს გარეშე. ამ თეორიის უდიდესი წარმომადგენელი გ. სპენსერი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო არის საზოგადოებრივი ორგანიზმი, რომელიც შედგება ცალკეული ადამიანისაგან, მსგავსად იმისა, რომ ცოცხალი ორგანიზმი შედგება უჯრედებისაგან. თუ ორგანიზმი ჯანმრთელია, მაშინ მისი უჯრედები ნორმალურად ფუნქციონირებს. თუ უჯრედები დაავადებულია, მაშინ ისინი ამცირებენ მთელი ორგანიზმის, ე.ი. სახელმწიფოს ეფექტურ ფუნქციონირებას. სახელმწიფო და სამართალი ორგანული ევოლუციის პროდუქტია.

ძალმომრეობის თეორია ჩამოყალიბებულია ე. დიურინგის, ჯ. გუმპლოვიჩის, კ. კაუცკისა და სხვათა ნაშრომებში. მათი აზრით, სახელმწიფო ძალადობის, მტრობის, ერთი ტომის მიერ მეორის დაპყრობის შედეგია, იგი იქცევა სახელმწიფოსა და სამართლის პირველწყაროდ. დამარცხებული ტომი მონა ხდება, ხოლო გამარჯვებული — გაბატონებულია, ე.ი. ალმოცენდება კერძო საკუთრება, გამარჯვებულები ქმნიან იძულების აპარატს დამარცხებულების სამართავად, რომელიც გადაიქცევა სახელმწიფოდ. ისტორიისათვის ცნობილია ერთი ხალხის მიერ მეორეთა დაპყრობის შედეგად სახელმწიფოთა არსებობის რეალური ფაქტები (მაგალითად, ოქროს ურდო). მაგრამ ისტორიაში ძალადობის როლის აბსოლუტიზირება არ შეიძლება, რადგან ბევრი სახელმწიფო და სამართლებრივი სისტემა იქმნებოდა წარსულშიც და ახლაც არა მხოლოდ გარეშე დაპყრობების ან ძალმომრეობის გზით.

ფსიქოლოგიურ თეორიას სახელმწიფოსა და სამართლის აღმოცენების მიზეზები დაჰყავს ადამიანის ფსიქიკის ამა თუ იმ თვისებებამდე, ბიოფსიქიკურ ინსტინქტებამდე და სხვა. ამ თეორიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანის ფსიქოლოგიური მოთხოვნილებაა იცხოვროს ორგანიზებული საზოგადოების ფარგლებში. ინდივიდის ფსიქიკას თითქოს თავიდანვე ახასიათებს მოთხოვნილება მორჩილებისადმი, ქედი მოიხაროს „გამოჩენილი ადამიანების“ წინაშე. ინდივიდის ფსიქოლოგიიდან გამოჰყავდა სახელმწიფოსა და სამართლის შექმნის აუცილებლობა ზ. ფროიდს, სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მოძღვრებასა და სოციოლოგიაში ფსიქოლოგიური

მიმართულების ფუძემდებელს. ის გამოდიოდა პირველსაწყისი ურდოს არსებობიდან, რომლის დესპოტი მეთაური მოკლეს მისმა აჯანყებულმა შვილებმა, რომლებსაც განსაკუთრებული ბიოფსიქიკური, სექსუალური ინსტინქტები ამოძრავებდათ. მომავალში ადამიანის აგრესიული მოქმედებების აღსაკვეთად საჭირო გახდა სახელმწიფოს, სამართლის, სოციალური ნორმებისა და საერთოდ ცივილიზაციის შექმნა.

მატერიალისტური (მარქსისტული) თეორია გამოდის იქიდან, რომ სახელმწიფო აღმოცენდა, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური მიზეზებით, შრომის საზოგადოებრივი დანაწილებით, კერძო საკუთრების აღმოცენებით, შემდეგ კი საზოგადოების კლასებად დაყოფით. პირველყოფილი თემური წყობილების შემცვლელად მოგვევლინა სახელმწიფო, ხოლო ჩვეულებების შემცვლელად — სამართალი.

სხვათა შორის, სულ ახლო წარსულში აღნიშნული თეორია სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის ერთადერთ საფუძვლად ითვლებოდა. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან კლასობრივი ნიშანი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ამოსავალ ქვაკუთხედს წარმოადგენდა. თუმცა მასთან ერთად სხვა თეორიებმაც შეიძლება თამამად განაცხადონ არსებობის პრეტენზია, მით უმეტეს, კაცობრიობამ აღიარა მათი ეს უფლება.

§3. სახელმწიფოს ცნება, არსი და ტიპოლოგია

სახელმწიფო ისტორიულად განვითარებადი მოვლენაა, საზოგადოებრივი პროგრესის შედეგი. საზოგადოების მუდმივ განვითარებასთან ერთად, იცვლება სახელმწიფოც, მისი მიზნები და ამოცანები, მმართველობითი სტრუქტურები და ფუნქციები. ამის შესაბამისად იცვლება შეხედულებებიც სახელმწიფოს ცნების, მისი როლისა და მნიშვნელობის შესახებ. თუმცა იმავდროულად, როგორც დაამტკიცა მსოფლიო მეცნიერებამ და საზოგადოებრივმა პრაქტიკამ, ნებისმიერ სახელმწიფოს ახასიათებს ისეთი უნივერსალური ნიშნების ერთობლიობა, რომლებიც მჟღავნდება მისი განვითარების ყველა ეტაპზე.

ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ სახელმწიფოს განმარტებები, რომლებსაც იძლეოდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის იურისტები, იმდენად ტიპიურია, რომ არსებითად გარჩევა ძნელია. ამის მიზეზი იყო ის, რომ ყველა მკვლევარი სახელმწიფოს, როგორც ერთობის სპეციფიკურ მახასიათებლად, აღი-

არებდა ხალხს, საჯარო ხელისუფლებასა და ტერიტორიას.

XX საუკუნემ სახელმწიფოს განმარტების შინაარსობრივ ნაწილში რაიმე არსებითი ცვლილება არ შეიტანა. იურისტებიც, სოციოლოგებიც, ეკონომისტებიცა და სხვა სპეციალისტებიც სახელმწიფოს განმარტავენ, როგორც ერთობას, რომლის სტრუქტურის საფუძველში დევს ტერიტორია, ხალხი და სახელმწიფო ხელისუფლება.

ცალკე უნდა აღინიშნოს მარქსისტულ-ლენინური მიდგომა ამ საკითხისადმი. მის მიხედვით, სახელმწიფო არის გაბატონებული კლასის პოლიტიკური ორგანიზაცია. ეს მოძღვრება პირველად მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმწიფო ხელისუფლების ძალადურ მხარეს — კლასის დიქტატურას. აქედანაა სახელმწიფო ორგანიზმში ყველაზე მთავარი ადმინისტრაციული აპარატის ცნობა, როგორც მანქანა ერთი კლასის ბატონობის შესანარჩუნებლად მეორეზე.

ასეთმა მიდგომამ მომავალში საშუალება არ მისცა საბჭოთა მეცნიერებს დაენახათ სერიოზული ცვლილებები, რაც ხდებოდა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მხედველობაში მიიღება ის ფაქტი, რომ ნებისმიერი სახელმწიფო არა მხოლოდ რომელიმე კლასის ან სოციალური ჯგუფის ბატონობის იარაღია, არამედ ასევე მთელი საზოგადოებაა და იგი გვევლინება მისი გაერთიანებისა და ინტეგრაციის საშუალებად. შედეგად, სახელმწიფო ახორციელებს ზოგადსოციალურ ფუნქციებსაც, მოქმედებს მთელი საზოგადოების ინტერესებით.

ამრიგად, ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ სახელმწიფოს განმარტება შემდეგი სახით:

სახელმწიფო არის საზოგადოების ერთიანი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია მმართველობისა და იძულების სპეციალური აპარატი, რომლის მეშვეობითაც განაგრცობს თავის ხელისუფლებას მთელ მოსახლეობაზე ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში, იღებს ქცევის სავალდებულო წესებს და აღჭურვილია სუვერენიტეტით.

სახელმწიფოს არსის წვდომა გულისხმობს გამოვავლინოთ ის მთავარი, განმსაზღვრელი, რაც განაპირობებს მის ობიექტურ აუცილებლობას საზოგადოებაში.

სახელმწიფოს თვისებრივ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ იგი მთელი თავისი სახესხვაობით გამოდის, როგორც პოლიტიკური ხელისუფლების

ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც მართავს მთელ საზოგადოებას.

რაც შეეხება სახელმწიფოს ტიპოლოგიას, დღესდღეობით სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში სახელმწიფოს ტიპოლოგიის საკითხები განიხილება უმეტესად ორ ასპექტში: ფორმაციულსა და ცივილიზაციურში.

ფორმაციულ მიდგომას ეყრდნობა სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტულ-ლენინური ტიპოლოგია. მის თანახმად, სახელმწიფოს ისტორიული ტიპი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რომელ ეკონომიკურ ბაზისს ეფუძნება ეს სახელმწიფო. გასაგებია, რომ ასეთი მიდგომისას სახელმწიფო განიხილება, როგორც კლასობრივი ორგანიზაცია.

მარქსისტული ტიპოლოგია გამოყოფს სამ ექსპლუატატორული ტიპის სახელმწიფოს – მონათმფლობელურს, ფეოდალურსა და ბურჟუაზიულს და ერთ არაექსპლუატატორული ტიპის სახელმწიფოს – სოციალისტურს, რომელიც წარმოდგენილი იყო უმაღლეს და საბოლოო ისტორიულ ტიპად.

თუმცა ეს თეორიული პროგნოზი პრაქტიკაში არ დადასტურდა. საზოგადოებამ, პირიქით, მიიღო უძრავი ხასიათი, შეწყვიტა განვითარება.

გაცილებით ფართო აღიარება იურიდიულ ლიტერატურაში მიიღო ცივილიზაციურმა მიდგომამ. ფორმაციულისაგან განსხვავებით, ცივილიზაციური მიდგომის მომხრეები აყალიბებენ სახელმწიფოს შემდეგნაირ ტიპოლოგიას: უძველესი სახელმწიფოები (ძველი საბერძნეთი, ძველი აღმოსავლეთი, ძველი რომი), შუა საუკუნეების სახელმწიფოები (დასავლეთევროპული, აღმოსავლეთევროპული, აზიური), თანამედროვე სახელმწიფოები (განვითარებულ-სოციალური, სამართლებრივი, განვითარებადი).

ცივილიზაციური მიდგომა საზოგადოების ისტორიისადმი საშუალებას იძლევა უფრო ფართოდ და ღრმად ავხსნათ ესა თუ ის ისტორიული ეპოქა. ეს მიდგომა ორიენტაციას გვაძლევს შევიმეცნოთ წარსულში ადამიანის საქმიანობის ყველა ფორმის: პოლიტიკურის, სოციალურის, შრომითი და სხვ. მეშვეობით. ადამიანი ამ მიდგომით განიხილება, როგორც შემოქმედი და კონკრეტული პიროვნება და არა მხოლოდ განსაზღვრული კლასის წარმომადგენელი. ეს კი ნიშნავს, რომ სახელმწიფო არ უნდა განვიხილოთ, მხოლოდ როგორც განსაზღვრული კლასის პოლიტიკური ხელისუფლების ინსტრუმენტი, არამედ ასევე, როგორც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური

და სულიერი განვითარების, ხალხის კონსოლიდაციის, ადამიანების მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

დღესდღეობით მეცნიერებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფოებრიობის პროგრესის ცნებას. განსაზღვრულია მისი შეფასების კრიტერიუმებიც. ეს არის პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების დონე, ხალხის სულიერება, ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება, მატერიალური კეთილდღეობა, იდეოლოგიის ხასიათი და ა.შ. სწორედ ამ პოზიციას მიეკუთვნება სახელმწიფოს აღმოცენებისა და განვითარების ცივილიზაციური მიდგომა, რომელიც საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნეს საზოგადოებრივი ფაქტორების მთელი ერთობლიობა, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტულ სახელმწიფოს განსაზღვრული ტიპის თვისებას ანიჭებს.

§4. სახელმწიფოს ძირითადი ნიშნები

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები ერთმანეთისაგან განსხვავდება თავისი განვითარების დონით, ყველა მათ ახასიათებს საერთო ნიშნები, რომელიც ამ საზოგადოებრივ მოვლენას განასხვავებს სხვა საზოგადოებრივი წარმონაქმნებისაგან. რომელია ეს ნიშნები?

1. მოსახლეობის დაყოფა ტერიტორიული პრინციპის მიხედვით. სახელმწიფო პოლიტიკური ხელისუფლების ერთიანი ტერიტორიული ორგანიზაციაა მთელი ქვეყნის მასშტაბით. სახელმწიფო ხელისუფლება ვრცელდება მთელ მოსახლეობაზე განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში. მოსახლეობის ტერიტორიული დაყოფა, სისხლითნათესაური კავშირებისაგან განსხვავებით, ბადებს ახალ სოციალურ ინსტიტუტს — მოქალაქეობას ან ქვეშევრდომობას, უცხოელებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს. ტერიტორიული პრინციპით ხელისუფლების განხორციელებას მივყავართ მისი სივრცობრივი ფარგლების, სახელმწიფო საზღვრების დადგენამდე, რომელიც გამოყოფს ერთ სახელმწიფოს მეორისაგან.

ამრიგად, მოსახლეობა და ტერიტორია სახელმწიფოს აღმოცენებისა და ფუნქციონირების მატერიალური წინაპირობებია.

2. სახელმწიფოს მეორე ნიშანია საჯარო ხელისუფლება. სახელმწიფო თავად წარმოადგენს პოლიტიკური ხელისუფლების განსაკუთრებულ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია საზოგადოების მარ-

თვის სპეციალური მექანიზმი (აპარატი). ასეთი მექანიზმის მთავარ რგოლს სახელმწიფო ორგანოები ქმნიან. ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების გარდა, სახელმწიფოს აქვს იძულების სპეციალური აპარატიც, რომელიც შედგება შეიარაღებული ძალების, პოლიციის, ჟანდარმერიის, დაზვერვის, ციხეებისა და სხვა დაწესებულებებისაგან. თავისი ორგანოებისა და დაწესებულებების ასეთი სისტემების მეშვეობით სახელმწიფო იცავს საკუთარ საზღვრებს, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს და სხვ. ძირითად სახელმწიფო ორგანოებს, რომელიც დამახასიათებელია ყველა ისტორიული ტიპისა და სახესხვაობის სახელმწიფოსათვის, განეკუთვნება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები. საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სახელმწიფო ორგანოები იცვლება როგორც სტრუქტურულად, ისე ფუნქციურად.

3. საგადასახადო სისტემა. ასეთი სისტემა მოიცავს მოსახლეობიდან გადასახადებისა და მოსაკრებლების აკრეფას, რაც საჭიროა საჯარო ხელისუფლების შესანარჩუნებლად. დღესდღეობით გაფართოვდა საგადასახადო სისტემის შინაარსი და იგი ჩინოვნიკური აპარატის შენახვის გარდა, გულისხმობს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების — სოციალურის, ეკონომიკურის, განათლების, ჯანმრთელობისა და სხვა — დაფინანსებას.

4. სუვერენიტეტი ნიშნავს უზენაესობას. სახელმწიფო ხელისუფლების სუვერენული ორგანიზაციაა. სახელმწიფოს სუვერენიტეტი სახელმწიფო ხელისუფლების ისეთი თვისებაა, რომელიც გამოიხატება მოცემული სახელმწიფოს უზენაესობასა და დამოუკიდებლობაში, სხვა ნებისმიერი ხელისუფლების მიმართ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საგარეო ურთიერთობებში.

სახელმწიფოს სუვერენიტეტის გარდა, განასხვავებენ სახალხო და ეროვნულ სუვერენიტეტს. სახალხო სუვერენიტეტი ნიშნავს ხალხის უფლებას თავად გადაწყვიტოს თავისი ბედი, ჩამოაყალიბოს სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივები, მისი ორგანოების შემადგენლობა, გააკონტროლოს სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობა.

ეროვნული სუვერენიტეტი ნიშნავს ერის თვითგამორკვევის უფლებას ცალკე გამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდეც კი.

სუვერენიტეტი ფორმალური იქნება, თუ ის გამოცხადებულია იურიდიულად და პოლიტიკურად, ფაქტობრივად კი არ ხორციელდება სხვა სახელმწიფოს ზეგავლენისა და აგრესიის გამო.

სუვერენიტეტის იძულებით შეზღუდვა დაუშვებელია, თუმცა დაშვებულია მისი ნებაყოფლობით შეზღუდვა სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკების გზით საერთო მიზნების მისაღწევად.

5. სახელმწიფო სიმბოლოები. ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი ოფიციალური სახელწოდება, ჰიმნი, გერბი, დროშა, სახელმწიფო ღღესასწაულები, რაც განასხვავებს მათ სხვა სახელმწიფოების ასეთივე ატრიბუტებისაგან.

ასეთია მოკლედ სახელმწიფოს ძირითადი ნიშნები, რომელიც ჟამთა მსვლელობის პარალელურად ვითარდება და შინაარსობრივად იცვლება.

§5. სახელმწიფოს ფორმის ცნება და სტრუქტურა

სახელმწიფოს შესწავლა ფორმის თვალსაზრისით ნიშნავს, პირველ ყოვლისა, განვიხილოთ მისი აგებულება, ძირითადი შემადგენელი ნაწილები, შინაგანი სტრუქტურა, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების მეთოდები. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს თვით სახელმწიფო ფორმის განმარტებაც, რომელიც ამგვარად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: **სახელმწიფოს ფორმა — ეს არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია და მოწყობა, რაც განპირობებულია სახელმწიფოს არსითა და სოციალური დანიშნულებით, რომლითაც მჟღავნდება შესაბამისი საზოგადოების ისტორიული, ეკონომიკური, ეროვნული თავისებურებები, დემოკრატიისა და კულტურის განვითარების დონე.**

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მყარად დამკვიდრდა აზრი, რომლის თანახმად სახელმწიფოს ფორმა სტრუქტურულად შედგება მმართველობის ფორმის, სახელმწიფო წყობილებისა და სახელმწიფო რეჟიმისაგან. ამასთან, მხედველობაში მიიღება, რომ სახელმწიფოს ფორმის ყველა სტრუქტურული ელემენტი შეადგენს ორგანულ მთლიანობას. ეს არის არა სამი ფორმა, არამედ ერთიანი სახელმწიფო ფორმის სამი ასპექტი, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განუმეორებელ სახეს იძენს.

სახელმწიფოს განვითარების ისტორიული პროცესი ხასიათდება მისი ფორმების სიუხვით. ერთი მხრივ, სახელმწიფოს ერთი და იმავე

ტიპის ფარგლებში შეიძლება შეგვხვდეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციისა და საქმიანობის სხვადასხვა ფორმა, ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოებში შეიძლება მსგავსი ფორმები იყოს. სხვა სიტყვებით, სახელმწიფო ფორმის კატეგორია უშუალოდ არის დამოკიდებული მის შინაარსზე და განისაზღვრება მისით.

იმისათვის, რომ მივიღოთ კონკრეტული სახელმწიფოს, როგორც განსაკუთრებული პოლიტიკური ორგანიზაციის ამომწურავი დახასიათება, აუცილებელია გავაანალიზოთ ნიშნების ერთობლიობა.

I. **მმართველობის ფორმა გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურას, მათი შექმნის წესსა და მათსა და მოსახლეობას შორის ურთიერთქმედებას.**

მმართველობის ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმით, რომ ერთი პირის მიერ ხორციელდება ხელისუფლება, თუ ის ეკუთვნის კოლეგიურ ორგანოს. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს მონარქიულ მმართველობის ფორმასთან, მეორეში — რესპუბლიკასთან.

მონარქია — ეს ისეთი მმართველობის ფორმაა, რომლის დროსაც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება ერთპიროვნულია და, როგორც წესი, გადადის მემკვიდრეობით. კლასიკური მონარქიული ფორმის ძირითადი იურიდიული თვისება არის სახელმწიფო მეთაურის მიერ (მეფე, ხელმწიფე, იმპერატორი, შაჰი) ხელისუფლებით სარგებლობა სიცოცხლის ბოლომდე, ტახტის დაკავება მემკვიდრეობით ან ნათესაობის მიხედვით. მონარქის იურიდიული პასუხისმგებლობა არ არსებობს.

ისტორია და თანამედროვეობა იცნობს მონარქიის სხვადასხვა ფორმებს.

როდესაც მონარქიის ძალაუფლება შეუზღუდავია, მმართველობის ფორმა, ე.წ. **აბსოლუტური მონარქიაა.** მისთვის დამახასიათებელია ხალხის სრული უუფლებობა, წარმომადგენლობითი დაწესებულებების არარსებობა, მთელი ძალაუფლების თავმოყრა მონარქის ხელში. შეუზღუდავ მონარქიაში მონარქის ნება სამართლის ერთ-ერთი წყაროა („სახელმწიფო — ეს მე ვარ“ — საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XIV-ის სახელმწიფოს ფორმულა).

თუ მონარქი არ ფლობს ძალაუფლებას მთელი მოცულობით, მაშინ მმართველობის ფორმა, ე.წ. **შეზღუდული მონარქიაა.** თავის მხრივ შეზღუდული მონარქია იყოფა დუალისტურ და საპარლამენტო მონარქიად.

დუალისტური მონარქიისათვის დამახასიათებელია სახელმწიფო

ხელისუფლების ფორმალურ-იურიდიული განაწილება მონარქსა და პარლამენტს შორის. აღმასრულებელი ხელისუფლება მონარქის ხელშია, საკანონმდებლო — პარლამენტის. პარლამენტი ორპალატიანია. ქვედა პალატა აირჩევა, ზედა — ინიშნება მონარქის მიერ. მონარქს აქვს ვეტოს უფლება პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებზე, რაც მათ ძალაში შესვლის შესაძლებლობას არ აძლევს.

საპარლამენტო მონარქია ხასიათდება იმით, რომ მონარქის უფლებები ფორმალურად და ფაქტობრივად შეზღუდულია სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ყველა სფეროში. საკანონმდებლო ხელისუფლება მთლიანად ეკუთვნის პარლამენტს, აღმასრულებელი — მთავრობას, რომელიც თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. მთავრობა ყალიბდება პარლამენტის არჩევნებში გამარჯვებული პარტიის შემადგენლობიდან. მონარქი მხოლოდ ფორმალურად ამტკიცებს მას. საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო სფეროში მონარქის ხელისუფლება სიმბოლურია, საკანონმდებლო აქტები მიიღება პარლამენტის მიერ და ფორმალურად ხელს აწერს მონარქი, ანუ მოქმედებს პრინციპი, რომლის თანახმად „მონარქი მეფობს", მაგრამ არ მართავს.

II. **რესპუბლიკა — ისეთი მმართველობის ფორმაა, რომლის დროსაც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება მოსახლეობის მიერ გარკვეული ვადით არჩეული ორგანოების მიერ.** რესპუბლიკური მმართველობის ფორმის ძირითადი იურიდიული ნიშნებია: სახელმწიფო მეთაურისა და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა უმაღლესი ორგანოების არჩევითობა განსაზღვრული ვადით, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებენ არა საკუთარი უფლებებით, არამედ ხალხის დავალებით; კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფოს მეთაურის იურიდიული პასუხისმგებლობა; უმაღლესი სახელმწიფოს ხელისუფლების გადაწყვეტილებათა სავალდებულობა ყველა სხვა სახელმწიფო ორგანოებისათვის; სახელმწიფოს მოქალაქეთა ინტერესების უპირატესი დაცვა, პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთპასუხისმგებლობა და სხვა.

თანამედროვე რესპუბლიკები იყოფა ორ სახედ: საპარლამენტოდ და საპრეზიდენტოდ.

საპარლამენტო რესპუბლიკას ახასიათებს პარლამენტის უზენაესობა ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ორგანიზაციაში. ასეთ

რესპუბლიკაში მთავრობა ყალიბდება პარლამენტის მიერ იმ დეპუტატთა შემადგენლობიდან, რომლებიც მიეკუთვნებიან არჩევნებში გამარჯვებულ პარტიას (ან პარტიებს). მთავრობის წევრები პასუხისმგებელნი არიან პარლამენტის წინაშე. მთავრობა მანამდე მართავს ქვეყანას, ვიდრე სარგებლობს საპარლამენტო უმრავლესობის ნდობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ან გადადგება, ან სახელმწიფოს მეთაურის მეშვეობით ცდილობს პარლამენტის დათხოვნას და ახალი ვადამდელი არჩევნების ჩატარებას.

სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი ასეთ რესპუბლიკაში არჩევა თავად პარლამენტის მიერ. სახელმწიფოს მეთაურის არჩევის ასეთი ფორმა წარმოადგენს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საპარლამენტო კონტროლის ძირითად სახეს. რაც შეეხება მის უფლებამოსილებებს, შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტის მდგომარეობა საპარლამენტო რესპუბლიკაში ძალზე წააგავს მონარქის მდგომარეობას საპარლამენტო მონარქიაში, მისი ფუნქციები წმინდა ნომინალურ, ფორმალურ ხასიათს ატარებს. გაცილებით რეალურ ძალაუფლებას ფლობს მთავრობის მეთაური – პრემიერ-მინისტრი (გერმანიაში – კანცლერი).

მთავრობის მეთაური საპარლამენტო რესპუბლიკაში, როგორც წესი, არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერია, ის აყალიბებს მთავრობას, რომელიც ახორციელებს უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას და პასუხს აგებს პარლამენტის წინაშე.

რესპუბლიკური მმართველობის ფორმის მეორე სახესხვაობაა **საპრეზიდენტო რესპუბლიკა**. აქ პრეზიდენტის ხელში თავმოყრილია სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურის უფლებამოსილებები.

საპრეზიდენტო რესპუბლიკის ყველაზე დამახასიათებელ იურიდიულ ნიშნებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი: პრეზიდენტის არჩევისა და მთავრობის ფორმირების არასაპარლამენტო მეთოდი; მთავრობას აყალიბებს პრეზიდენტი, მაგრამ პარლამენტის თანხმობით; მთავრობის პასუხისმგებლობა პრეზიდენტის და არა პარლამენტის წინაშე; პრეზიდენტს არა აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება და, პირიქით, პარლამენტს შეუძლია კონსტიტუციის უხეში დარღვევისას პრეზიდენტის წინააღმდეგ აღძრას იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხი; პრეზიდენტი არის უმაღლესი მთავარსარდალი და სხვა.

ცივილიზებულ სახელმწიფოებში საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა მოქმედებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საფუძველზე. საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკების გარდა, რეალურ ცხოვრებაში არსებობს შერეული (ნახევრადსაპრეზიდენტო) რესპუბლიკა. მასში შერწყმულია ორივე მმართველობის ფორმისათვის დამახასიათებელი ნიშნები და ასევე სპეციფიკური თავისებურებები.

III. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია სახელმწიფო ფორმის მეორე ბლოკად გამოყოფს „სახელმწიფოს წყობილების“ცნებას.

სახელმწიფოს წყობილება გულისხმობს სახელმწიფოს ეროვნულ-ტერიტორიულ ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას, აგრეთვე სახელმწიფოს, როგორც ერთიანსა და მის ცალკეულ ნაწილებს შორის ურთიერთობის ხასიათსა და პრინციპებს.

სახელმწიფო წყობილების ორი სახეა – უნიტარული და ფედერაციული.

უნიტარული სახელმწიფო ერთიანი მთლიანი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია, რომელიც შედგება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისაგან, რომლებიც ექვემდებარებიან ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს და არ აქვთ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ნიშნები. უნიტარულ სახელმწიფოში მოქმედებს ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების ერთიანი სისტემა, ერთი კონსტიტუცია და ერთიანი საკანონმდებლო სისტემა, ერთიანი საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკა და სხვ.

სახელმწიფო მოწყობის გაცილებით რთულ ფორმას წარმოადგენს ფედერაცია, რომლის სუბიექტებს გააჩნიათ სახელმწიფო სუვერენიტეტი.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ფედერაციულ სახელმწიფოებრივ მოწყობას უნიკალური თავისებურებები აქვს, შეიძლება გამოვყოთ ყველა ფედერაციისათვის დამახასიათებელი საერთო იურიდიული ნიშნები. კერძოდ, ფედერაციულ სახელმწიფოებში არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების საერთოფედერალური ორგანოები, რომელთა გადაწყვეტილებები სავალდებულოა ფედერაციის სუბიექტებისათვის მხოლოდ იმ ზომითა და ფარგლებში, როგორადაც ეს განსაზღვრულია კანონით. უმაღლეს ფედერალურ ორგანოებთან ერთად არსებობს ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები.

სამოკავშირეო ფედერაციის ტერიტორია მოიცავს მისი სუბიექტების ტერიტორიების ერთობლიობას, ფედერაციის სუბიექტის ყველა მოქალაქე იმავდროულად არის მთელი ქვეყნის მოქალაქე. ფედერაციისათვის დამახასიათებელია ფედერალური შეიარაღებული ძალები, ერთიანი საფინანსო, საგადასახადო, ფულადი სისტემა. ძირითად საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას ახორციელებს ფედერალური ორგანოები.

როგორც წესი, ფედერაცია აღმოცენდება ნორმატიული ხელშეკრულების (საბჭოთა კავშირის შექმნა 1922 წ.) ან კონსტიტუციის მიღების საფუძველზე (როგორც ეს იყო 1787 წელს აშშ-ში).

ფედერაციის სუბიექტების დამოუკიდებლობა ყველაზე ხშირად განისაზღვრება სპეციალური ნორმატიული აქტით ან კონსტიტუციით უფლებამოსილებათა გამიჯვნის გზით.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან, თუმცა ნაკლებად გავრცელებულ სახელმწიფო მოწყობის ფორმას წარმოადგენს **კონფედერაცია. ეს არის სუვერენული სახელმწიფოების დროებითი კავშირი, რომელიც იქმნება ერთობლივი პოლიტიკური, ეკონომიკური ან სამხედრო ამოცანების გადასაწყვეტად.** კონფედერაცია არ ქმნის ერთიან სახელმწიფოს. როგორც წესი, მიზნების რეალიზაციის შემდგომ ის ან იშლება, ან გარდაიქმნება ფედერაციად.

სახელმწიფოთა ასოცირებული გაერთიანების თავისებური ფორმაა თანამეგობრობა. ასეთმა გაერთიანებამ დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა და კონსტრუქციულობა დასავლეთ ევროპაში ევროპის თანამეგობრობის სახით. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ზოგიერთი მისი ყოფილი რესპუბლიკა ცდილობს შექმნას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ), თუმცა მისი სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბუნება ჯერ კიდევ გაურკვეველია და ჩამოყალიბების სტადიაშია.

IV. სახელმწიფო (პოლიტიკური) რეჟიმის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობა.

სახელმწიფო (პოლიტიკური) რეჟიმი განსაზღვრავს ხელისუფლების შინაარსსა და მის ხასიათს — დემოკრატიულს თუ არადემოკრატიულს.

დემოკრატიული სახელმწიფო რეჟიმი ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: ხელისუფლება ხორციელდება მოსახლეობის მიერ არჩეული

წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ, თავისუფლად საქმიანობენ კონსტიტუციის ფარგლებში ჩამოყალიბებული სხვადასხვა პარტიები, მოძრაობები, არსებობს იდეოლოგიური პლურალიზმი, რეალურად არის გარანტირებული ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები, მათი რეალიზაციისა და დაცვის საშუალებები, განმტკიცებულია სამართლის უზენაესობა და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა.

არადემოკრატიული რეჟიმები ემყარება მთელი სახელმწიფო ხელისუფლების ფაქტობრივ თავმოყრას ერთი ადამიანის (დიქტატორის) ან პირთა ჯგუფის (ხუნტის) ხელში. ასეთ რეჟიმებს უწოდებენ **ავტოკრატიულს, ავტორიტარულს, ტერორისტულს ან ტოტალიტარულს**. გაბატონებული იდეოლოგიიდან გამომდინარე, ასეთი რეჟიმი შეიძლება იყოს ფაშისტური ან რასისტული.

ამრიგად, სახელმწიფოს ფორმა განისაზღვრება ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მისი შემადგენელი ელემენტის — მმართველობის, წყობილების ფორმებისა და სახელმწიფო რეჟიმის ერთობლიობით.

§6. სახელმწიფოს მექანიზმის ცნება და მნიშვნელობა

სახელმწიფოს მექანიზმი ეს არის სახელმწიფო ორგანოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ერთიანი, იერარქიული სისტემა, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლებას, სახელმწიფოს ამოცანებსა და ფუნქციებს.

ეს განმარტება საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ სახელმწიფოს მექანიზმის ძირითადი თავისებურებები.

ჯერ ერთი, სახელმწიფოს მექანიზმი შედგება ადამიანთა განსაკუთრებული ჯგუფისაგან, რომელიც პროფესიონალურ საწყისებზე ახორციელებს მმართველობას. მათ სახელმწიფო მოხელეებს უწოდებენ.

მეორე, მექანიზმის პირველადი ელემენტები — სახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები იერარქიულად ექვემდებარებიან ერთმანეთს.

მესამე, სახელმწიფო მექანიზმის ელემენტები ფლობენ სახელისუფლო უფლებამოსილებებს. ამიტომ ისინი მოქმედებენ არა საკუთარი, არამედ სახელმწიფოს სახელით.

რა სახით ახორციელებს სახელმწიფოს მექანიზმი საზოგადოების მართვას?

პირველ ყოვლისა, წარმოებს ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება სამართლის ნორმების მეშვეობით: გამოიცემა ნორმატიული აქტები. ყველა მოქალაქე, მათი ორგანიზაციები, თანამდებობის პირები და სახელმწიფო ორგანოები უნდა დაემორჩილონ სამართლის ნორმებს, შეასრულონ მისი მოთხოვნები და არ დაარღვიონ ისინი. ამასთან დაკავშირებით გამოიყოფა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის სამი ძირითადი ფორმა: **სამართალშემოქმედებითი**, რომელიც მიმართულია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შემუშავებისა და გამოცემისაკენ; **სამართალგამოყენებითი** — როგორც სახელმწიფო ორგანოების მიერ ხელისუფლების განხორციელების ფორმა, სამართლის ნორმების რეალიზაციის მიზნით; **სამართალდაცვითი** — სახელმწიფოს სამართლებრივი საქმიანობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლის ნორმების დაცვას.

სახელმწიფო ორგანოების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მათი კლასიფიკაცია შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვადასხვა საფუძვლების მიხედვით.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მიხედვით ისინი იყოფა: **საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებად.**

ფორმირების წესის მიხედვით განასხვავებენ პირველად და ნაწარმოებ სახელმწიფო ორგანოებს. პირველადი ორგანოები არც ერთი სხვა ორგანოს მიერ არ იქმნება, ისინი ან აღმოცენდებიან მემკვიდრეობის წესით (მონარქია), ან აირჩევიან დადგენილი პროცედურით (წარმომადგენლობითი ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები). ნაწარმოები ორგანოები იქმნება პირველადი ორგანოების მიერ, რომლებსაც ენიჭებათ სახელისუფლო უფლებამოსილებები (აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოები, პროკურატურის ორგანოები და ა.შ.).

ტერიტორიული სფეროს მიხედვით სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა იყოფა უმაღლეს (პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა, უმაღლესი სასამართლო), ცენტრალურ (დარგობრივი სამინისტროები, უწყებები) და ადგილობრივ ორგანოებად (საბჭოები, მუნიციპალიტეტები, აღმასკომები, გამგეობები, მერიები და ა.შ.).

უფლებამოსილებების მიხედვით განასხვავებენ **საერთო** (მინისტრთა საბჭო, მთავრობა) და **სპეციალური კომპეტენციის ორგანოებს** (პროკურატურა).

უფლებამოსილებათა განხორციელების წესის მიხედვით არსებობს

კოლეგიური (პარლამენტი, მინისტრთა საბჭო) და ერთპიროვნული სახელმწიფო ორგანოები (სამინისტროები).

ამრიგად, სახელმწიფოს ნორმალური სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად, მის წინაშე მდგომი ამოცანებისა და მიზნების განსახორციელებლად, აუცილებელია სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების ფუნქციონირება, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფუნქციების, ამოცანების, სტრუქტურის, კომპეტენციისა და საქმიანობის სფეროს მიხედვით. ყველა სახელმწიფო ორგანო და დაწესებულება ასრულებს რა განსაზღვრულ ამოცანას, მოქმედებს შეთანხმებულად და ქმნის ერთიან სისტემას.

§7. სახელმწიფოს ფუნქციები

სახელმწიფოს ფუნქციების ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოს (მისი ყველა ორგანოს) საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მათ წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი ამოცანების განსახორციელებლად საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ ისტორიულ ეტაპზე.

სახელმწიფოს სოციალური დანიშნულება და მისი არსი ყველაზე მეტად ვლინდება მის ფუნქციებში. სახელმწიფოს ყოველ ფუნქციას აქვს თავისი ზემოქმედების ობიექტი. სწორედ ეს ობიექტი გვევლინება სახელმწიფოს ფუნქციების დაყოფის კრიტერიუმად.

რამდენადაც სახელმწიფო ისტორიული კატეგორიაა, მისი ფუნქციებიც იცვლება თვით სახელმწიფოს განვითარების პროცესში.

იურიდიულ ლიტერატურაში სახელმწიფოს ფუნქციებს ყოფენ ორად — **საშინაოდ** და **საგარეოდ**. პირველი დაკავშირებულია სახელმწიფოს ამოცანების რეალიზაციასთან ქვეყნის შიგნით, ხოლო მეორე — სახელმწიფოთშორის დონეზე, სადაც ის გამოდის, როგორც საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტი.

იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების ცივილიზებული ხასიათიდან გამომდინარე, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს დემოკრატიული სახელმწიფო, თანამედროვე სახელმწიფოს საშინაო ფუნქციას განეკუთვნება:

ა) ეკონომიკური ფუნქცია, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების შემუშავებასა და კოორდინაციაში;

ბ) იდეოლოგიური ფუნქცია, რაც გამოიხატება სახელმწიფოს

საქმიანობაში განსაზღვრული იდეოლოგიის, მათ შორის, რელიგიური, განათლების, კულტურის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის მხარდაჭერასა და მეცნიერულ შემუშავებაში;

გ) სოციალური ფუნქცია, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს პიროვნების სოციალური დაცვა, ნორმალური ცხოვრების პირობები;

დ) კონსტიტუციური წყობის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის ფუნქცია;

ე) ეკოლოგიური ფუნქცია, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი რეჟიმის დადგენას ბუნებათსარგებლობის სფეროში;

ვ) კულტურული ფუნქცია, რაც ნიშნავს სახელმწიფოს მრავალმხრივ მხარდაჭერას კულტურის განვითარებისათვის, განსაკუთრებით ეროვნული ლიტერატურის, ხელოვნების, კინოს, მეცნიერებისა და სხვა სფეროში.

თანამედროვე სახელმწიფოს საგარეო ფუნქციებს მიეკუთვნება:

ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა;

ბ) ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოებთან, რომელიც მიმართულია ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სხვა ურთიერთობების დასამყარებლად;

გ) მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების კოლექტიური უსაფრთხოებისა და მშვიდობის უზრუნველყოფაში მონაწილეობა. საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა ხალხის ინტერესები და ეროვნული თავისებურებები;

მოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით სახელმწიფოს ფუნქციები იყოფა **მუდმივ** (რომლებიც ხორციელდება სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე) და **დროებით** (რომლებიც წყვეტენ მოქმედებას გარკვეული ამოცანის შესრულების შემდგომ) ფუნქციებად.

იურიდიულ ლიტერატურაში სახელმწიფოს ფუნქციებს ყოფენ ასევე ძირითად და არაძირითად ფუნქციებად. ეს, რასაკვირველია, პირობითია, ვინაიდან სახელმწიფოს ყოველი ფუნქცია ობიექტურად აუცილებელია მოცემული სახელმწიფოსათვის. თუმცა ამას არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მიერ განვითარების სხვადასხვა ეტაპზე პრიორიტეტული მიმართულებების აღსანიშნავად გარკვეული ფუნქციებისათვის უპირატესობის მინიჭება, რაც თავისთავად ძირითად მნიშვნელობას იძენს.

§8. სამართლებრივი სახელმწიფო და მისი დამახასიათებელი ნიშნები

სამართლებრივი სახელმწიფო — მრავალმხრივად განვითარებადი მოვლენაა. საზოგადოებრივი პროგრესის პროცესში ის იძენს ახალ თვისებებს, ივსება ახალი შინაარსით, რომელიც შეესაბამება საზოგადოების არსებობის კონკრეტულ პირობებს და მისი განვითარების დონეს. ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოს საერთო საწყისი არის მისი კავშირი სამართალთან.

თუ შევაჯამებთ თანამედროვე მიდგომებს, იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის უკანასკნელ მიღწევებს, მაშინ შედეგად შეიძლება მივიღოთ სამართლებრივი სახელმწიფოს შემდეგი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

1. **კანონის უზენაესობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.** ეს პრინციპი გულისხმობს კანონის მაღალ ავტორიტეტს საზოგადოებაში, მის საყოველთაო პატივისცემას.

ყველა მოქალაქემ, თანამდებობის პირმა, სახელმწიფო ორგანომ და ორგანიზაციამ, განურჩევლად უნდა შეასრულოს და დაიცვას სახელმწიფოში მოქმედი კანონები. სახელმწიფოს ძირითადი კანონია — კონსტიტუცია, რომელშიც ფორმულირებულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების პრინციპები, კანონიერების მყარი რეჟიმი, სამართლებრივი წესრიგის სტაბილურობა.

2. **მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების რეალური უზრუნველყოფა,** რაც აუცილებელია სამართლებრივი სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირებისათვის. ადამიანის თავისუფლება გვევლინება, როგორც მისი უფლება. თავისუფლების რეალური გამოვლინება მოცემულია ფორმულაში — „ყველაფერი დაშვებულია, რაც არ არის კანონით აკრძალული".

3. **პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთსანაცვლო პასუხისმგებლობა** მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. სახელმწიფო თავის თავზე იღებს მოვალეობას ყველა მოქალაქისათვის უზრუნველყოს სამართლიანობა და თანასწორობა. ემორჩილებიან რა სამართალს, სახელმწიფო ორგანოებს არ შეუძლიათ დაარღვიონ მისი წესები და პასუხს აგებენ ამ მოვალეობის დარღვევის ან შეუსრულებლობისათვის. ასეთ სამართლებრივ საწყისებზე აიგება პიროვნების პასუხისმგებლობაც

სახელმწიფოს წინაშე. სამართლებრივ სახელმწიფოში არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელიც იზოლირებული იქნებოდა პასუხისმგებლობისაგან. კონსტიტუციისა და კანონის წინაშე ყველა თანასწორია.

4. **ხელისუფლების დანაწილება** სამართლებრივი სახელმწიფოს ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპია. ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების დაყოფა სამ შედარებით დამოუკიდებელ ხელისუფლებად აღკვეთს ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას და ტოტალიტარული მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბებას. ხელისუფლების დანაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად განმტკიცებულია „შეკავებისა და გაწონასწორების" განსაკუთრებული სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ხელისუფლებათა ურთიერთქმედებას, არამედ ასევე კანონით დადგენილი მათი უფლებამოსილებების ურთიერთშეზღუდვას.

თავი II. ძირითადი ცნებები სამართლის შესახებ

§1. სამართლის არსი, ცნება და ნიშნები

სამართალი ერთ-ერთი ურთულესი საზოგადოებრივი მოვლენაა. ის, ისევე როგორც სახელმწიფო, საზოგადოებრივი განვითარების შედეგია.

მეცნიერული სამართალშემეცნების ძიება ათასწლეულებს ითვლის. ეს დაიწყო მას შემდეგ, რაც კაცობრიობა გადავიდა საზოგადოებრივი ურთიერთობების პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი საშუალებებით მოწესრიგებაზე. რამდენადაც საზოგადოება, ადამიანთა ცხოვრების პირობები გამუდმებით ვითარდება, იცვლება ადამიანთა წარმოდგენებიც სამართლის შესახებ.

იურისპრუდენციისათვის ცნობილია ათეულობით სამართლებრივი თეორია, რომლებიც განსხვავებულად ხსნიან სამართლის ბუნებას. მაგრამ ამ თეორიების სიუხვის მიუხედავად, სამართლის ნიშნების გამოვლენისას მაინც იკვეთება მათი საერთო შეხების წერტილები, რაც, საბოლოო ჯამში, საშუალებას გვაძლევს შევიმუშავოთ სამართლის ცნების ოპტიმალური თუ არა, მეტ-ნაკლებად მისაღები ვარიანტი. საუბარია იმ ნიშნებზე, რომელიც

განსაზღვრავს სამართლის არსს, შინაარსსა და ფორმებს, მის სოციალურ დანიშნულებას, საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მისი მომწესრიგებელი ზემოქმედების რეალურ გარანტიებს. ამ პოზიციებიდან განისაზღვრება სწორედ სამართლის შემდეგი ნიშნები და თავისებურებები.

1. სამართალი — პირველ ყოვლისა, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ქცევის წესების, ნორმების ერთობლიობაა. საზოგადოებაში უამრავი სახესხვაობით არსებული სოციალური ნორმებიდან მხოლოდ სამართლებრივი ნორმები გამომდინარეობს სახელმწიფოსაგან.

სამართლის ნორმები დგინდება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ ან უშუალოდ, ან სხვა სოციალური ნორმებისათვის (ჩვეულებებისათვის) სანქციის მინიჭების გზით.

2. სამართალი — სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ქცევის წესების უბრალო ერთობლიობა როდია, ის არის მათი სისტემატიზებული ერთობლიობა. ეს არის არა ერთმანეთთან დაუკავშირებელი სამართლის ნორმების შემთხვევითი კრებული, არამედ მეცნიერულ საფუძველზე აგებული, მკაცრად მოწესრიგებული სისტემა.

3. სამართალი — ეს არის ქცევის წესების სისტემა, რომელსაც აქვს ზოგადსავალდებულო ხასიათი, ეი. ის უნდა შესრულდეს სამართლის ყველა სუბიექტის მიერ, ვისზეც ის ვრცელდება, მიუხედავად იმისა, სურთ თუ არა ეს (რასაკვირველია, იმ შემთხვევების გარდა, როცა სამართლის ნორმა იძლევა ქცევის ამა თუ იმ ვარიანტის არჩევის შესაძლებლობას).

ზოგადსავალდებულო ნორმები სრული სახით ვრცელდება სახელმწიფოზეც და იმ სახელმწიფო ორგანოებზეც, რომლებმაც გამოსცეს სამართლის ნორმების შემცველი სამართლებრივი აქტი.

4. სამართლის ნორმები ყოველთვის ყალიბდება ოფიციალურად გამოხატულ წერილობით ფორმაში, ასეთი ფორმები შეიძლება იყოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები (კანონები, დეკრეტები, ბრძანებები, დადგენილებები და ა.შ.), კანონმდებლობით დადგენილი ნორმატიული ხელშეკრულებები, სახელმწიფოს მიერ სანქციონირებული ჩვეულებები, პრეცედენტები. ასეთი ოფიციალური წერილობითი ფორმა სამართლის ნორმებს ანიჭებს ფორმულირების სიზუსტესა და განამტკიცებს მათ განსაზღვრულ იურიდიულ ძალას, ანუ მათ ადგილსა და მნიშვნელობას ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების იერარქიაში. ყველაფერი ეს საშუალებას იძლევა ფორმალურად მაინც გავმ-

იყნოთ სამართალი სხვა სოციალური ნორმებისაგან.

5. სამართალი, მისი სათანადო რეალიზაციის უზრუნველყოფა სახელმწიფოს მიერ. ამისათვის არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო ზემოქმედების საშუალებები: დაცვის, გაფრთხილების, იძულების, პასუხისმგებლობისა და სხვა. სახელმწიფო ზემოქმედების საშუალებები გამოიყენება მხოლოდ ამისათვის უფლებამოსილი ორგანოების მიერ და კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

სამეცნიერო და იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად სახელმწიფოს, როგორც სამართლის რეალიზაციის გარანტის როლი დაიყვანება მხოლოდ იძულებამდე, ან უკეთეს შემთხვევაში დაცვამდე. სინამდვილეში კი საშუალებების არსენალი, რომელთა მეშვეობით სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართლებრივი დანაწესების განხორციელებას, გაცილებით ფართოა. საკმაოდ უსაფუძვლოდ არის უარყოფილი წახალისების, სამართალდარღვევის პროფილაქტიკის, აღმზრდელობითი საშუალებები.

ზემოაღნიშნული სამართლის ნიშნები საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ მისი ზოგადი განმარტება.

სამართალი — ეს არის ზოგადსავალდებულო ქცევის წესების, ნორმების სისტემა, რომელიც დადგენილია ან სანქციონირებულია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ, ან რეფერენდუმის გზით, მათი შესრულება სავალდებულოა ყველასათვის, ხოლო რეალიზაცია უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ.

§2. სამართლის ტიპოლოგია

სამართლის არსის გარკვევა საშუალებას იძლევა ავხსნათ მისი აღმოცენება განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში, გამოვავლინოთ მისი ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერებები. სამართლის არსი, როგორც მისი სხვა ნიშნები, ისტორიულად ცვალებადია, რაც განპირობებულია ობიექტური ფაქტორებით (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური). სამართლის არსის ასეთი ობიექტურად განპირობებული ცვალებადობა საფუძვლად უდევს მის ტიპოლოგიას, ანუ სამართლის ისტორიული ტიპების გამოყოფას.

სამართლის ისტორიული ტიპი — ეს არის ყველაზე არსებითი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს განსაზღვრული საზოგა-

დებრივ-ეკონომიკური ფორმაციის სამართლებრივ სისტემებს ან კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების ეტაპს.

დღესდღეობით სამართლის თეორიაში ჩამოყალიბდა სამართლის ისტორიული ტიპების განსაზღვრის ორი მიდგომა: ფორმაციული და ცივილიზაციური.

ფორმაციული მიდგომა სამართლის ტიპოლოგიის საფუძველში დებს კაცობრიობის ისტორიის დაყოფას ეტაპებად, რომელიც შეესაბამება საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებს — მონათმფლობელურს, ფეოდალურს, კაპიტალისტურსა და სოციალისტურს.

ცივილიზაციური მიდგომა განსხვავდება იმით, რომ სამართლის ტიპოლოგიის საფუძველში ჩადებულია კაცობრიობის ცივილიზაციის განსაზღვრული დონე, ანუ ვიწრო გაგებით — საზოგადოების სამართლებრივი კულტურა. ამის შესაბამისად სამართლის ტიპების სახით გამოყოფენ უძველეს, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე სამართალს. თავის მხრივ, უძველესი სამართალი იყოფა ძველაღმოსავლურ (ჩვეულებით), ბერძნულ (პოლისურ), რომაულ სამართლად; შუა საუკუნეების სამართალი — ევროპულ (პარტიკულარულ), ადრეპრეცედენტულ, აღმოსავლეთ-რელიგიურ სამართლად; თანამედროვე სამართალი — რომანულ-გერმანულ (კონტინენტურ), პრეცედენტულ (ანგლოსაქსურ, საერთო), რელიგიურ-ტრადიციულ სამართლად.

სამართლის სხვა კლასიფიკაციაც არსებობს, თუმცა ძნელი არ არის შევამჩნიოთ, რომ სამართლის ტიპოლოგიის ცივილიზაციური მიდგომის დროსაც განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება საზოგადოებრივი წარმოება და მისით განსაზღვრული სოციალური თავისუფლების დონე. უძველესი სამართალი ხომ მის სხვადასხვა გამოხატულებაში ასე თუ ისე ამჟღავნებდა მონათმფლობელურ ურთიერთობებს, შუა საუკუნეების სამართალი — ფეოდალურს, ხოლო თანამედროვე სამართალი — საბაზრო, ანუ ადამიანებს შორის კაპიტალისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობებს.

§3. სამართალი და მორალი

სამართალთან ერთად საზოგადოებაში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია მორალურ (ზნეობრივ) ნორმებს.

მორალის ქვეშ იგულისხმება ქცევის წესები, რომელიც ისტორი-

ულად ჩამოყალიბდა საზოგადოებაში ადამიანთა წარმოდგენებისა და შეხედულებების შესაბამისად კეთილისა და ბოროტის, ღირსებისა და პატივის, სამართლიანობისა და უსამართლობის და სხვათა შესახებ.

სამართალსა და მორალს მრავალი საერთო ნიშანი აქვს. ეს ერთობა განპირობებულია იმით, რომ სამართალიცა და მორალიც, პირველ რიგში, აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, აქვს ერთი და იგივე სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული საფუძველი და სხვა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან და სხვადასხვა სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება.

ა) პირველ ყოვლისა, ისინი წარმოშობით განსხვავდებიან. მორალური ნორმები საზოგადოებაში ყალიბდება ისტორიულად ადამიანის ცნობიერებაში არსებული წარმოდგენების საფუძველზე – კეთილისა და ბოროტის, სამართლიანობის, მოვალეობისა და სხვათა შესახებ. ამისგან განსხვავებით, სამართლის ნორმები დგინდება, იცვლება ან უქმდება სახელმწიფოს მიერ.

ბ) ეს ნორმები განსხვავდება **მოქმედების სფეროთიც**. მორალური ნორმები სამართალთან შედარებით არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობების გაცილებით ფართო სფეროს. სამართალი აწესრიგებს ყველაზე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელიც გარეშე კონტროლს ექვემდებარება. მორალური ნორმები კი აწესრიგებს ისეთ ურთიერთობებს, რომელიც გარეშე კონტროლს არ ექვემდებარება. მაგალითად, ისეთი ურთიერთობები, როგორიცაა: მეგობრობა, ამხანაგობა, სიყვარული და სხვა. სამართალს არ შეუძლია ამ ჯგუფის ურთიერთობებზე ეფექტური ზემოქმედება.

გ) ეს ნორმები განსხვავდება **მათი გამოხატვის ფორმებითაც**. სამართლის ნორმები განმტკიცებულია ოფიციალურ დოკუმენტებში, იურიდიულ აქტებში, ე.ი. სამართლის ნორმებს აქვთ თავისი გარეგანი გამოხატულების მკაცრი ფორმები. მორალური ნორმები კი ამგვარად არ გამოიხატება. ისინი ადამიანთა ცნობიერებაშია, ე.ი. დაუწერელი წესებია, თუ არ ჩავთვლით იმ შემთხვევებს, როცა მორალური ნორმები განმტკიცებულია რელიგიურ აქტებში.

დ) დაბოლოს, სამართლებრივი და მორალური ნორმები განსხვავდება **მათი უზრუნველყოფის საშუალებებით**. რამდენადაც სამართლის ნორმები დგინდება სახელმწიფოს მიერ, ის დაინტერესებულია

მათი შესრულებით. მაღალი სამართლებრივი კულტურის დონის მქონე საზოგადოებაში სამართლის ნორმები უმეტესად სრულდება ადამიანთა დარწმუნების ძალით. თუმცა სამართლისათვის დამახასიათებელია იძულების აპარატის ამოქმედება მათ მიმართ, ვინც არღვევს მას. მისგან განსხვავებით, მორალი ეყრდნობა მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის ძალას. მორალური ნორმების დარღვევა იწვევს საზოგადოებრივ ზემოქმედებას გაკიცხვისა და სხვათა საზით.

§ 4. სამართლის ნორმის ცნება და სტრუქტურა

სამართლის ნორმა — ეს არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ზოგადი ხასიათის ქცევის წესი, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრულ სახეს და მისი რეალიზაცია უზრუნველიყოფა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ.

სამართლის ნორმა გათვალისწინებულია მრავალჯერადი გამოყენებისათვის. ის ვრცელდება არა ერთ კონკრეტულ, არამედ ყველა იმ შემთხვევაზე, როცა აღმოცენდება ნორმით გათვალისწინებული სიტუაცია, ე.ი. მოცემული სახის შემთხვევების შეუზღუდავ რაოდენობაზე.

ნორმატიული აქტების იურიდიული ანალიზი, რომელიც აუცილებელია ნებისმიერი სამართლებრივი საქმიანობისას, გულისხმობს ყოველი იურიდიული ნორმის აზრის სწორ გარკვევას. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის ნორმის სტრუქტურის ცოდნას. თავის მხრივ, ნორმის სტრუქტურის ცოდნა მნიშვნელოვანია კანონმდებლისათვის, რამდენადაც იგი უზრუნველყოფს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მუხლების მკაფიო, რაციონალურ, ლოგიკურ ჩამოყალიბებას.

სამართლის ნორმის სტრუქტურა გულისხმობს მის შინაგან აგებულებას, მისი აუცილებელი შემადგენელი ელემენტების ურთიერთკავშირს.

სამართლის ნორმის სტრუქტურის კლასიფიკაციის ყველაზე გავრცელებულ ვარიანტს წარმოადგენს მისი დაყოფა სამრგოლიან კონსტრუქციად, რომლის თანახმად ნორმის შემადგენელი ნაწილებია: ჰიპოთეზა, დისპოზიცია, სანქცია.

ჰიპოთეზა — ნორმის ის ნაწილია, რომელიც მიუთითებს, თუ რა

პირობებისა და გარემოებების დადგომის შემთხვევაში გამოიყენება მოცემული ნორმა. სხვა სიტყვებით, ნორმის ეს ნაწილი მიუთითებს მისი მოქმედების პირობებზე.

დისპოზიცია — ნორმის ის ნაწილია, რომელშიც მოცემულია, თუ როგორი უნდა იყოს სუბიექტთა ქცევა ჰიპოთეზით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ე.ი. ნორმის შინაარსის განსაზღვრული ქცევის წესი.

სანქცია — ნორმის ის ნაწილია, რომელშიც მითითებულია დისპოზიციაში ჩამოყალიბებული დანაწესის შეუსრულებლობის იურიდიული შედეგი, ანუ ის, თუ პასუხისმგებლობის რა ზომა განისაზღვრება მოცემული ნორმის დარღვევის შემთხვევაში.

§5. სამართლის ნორმათა სახეები

სამართლებრივი ნორმების სხვადასხვა სახეებად კლასიფიკაცია ხორციელდება სხვადასხვა კრიტერიუმების საფუძველზე,

სამართლის დარგების მიხედვით გამოყოფენ საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სისხლის, საფინანსო და სხვა სამართლის დარგების ნორმებს.

სამართლის დარგების ფუნქციონალური თავისებურებებიდან გამომდინარე, ისინი იყოფა **მატერიალურ** და **პროცესუალურ** დარგებად. ამდენად, შეიძლება გამოვყოთ მატერიალური და პროცესუალური ნორმები. პირველი უშუალოდ განამტკიცებს სამართლის სუბიექტთა უფლებებსა და მოვალეობებს, ხოლო მეორე აწესრიგებს სხვადასხვა საქმეთა გადაწყვეტის წესს, ე.ი. მატერიალური სამართლის ნორმების რეალიზაციის წესს.

ფუნქციონირების მიხედვით, რომელსაც ასრულებს სამართლის ნორმები, ისინი იყოფა რეგულაციურ და სამართალდაცვით ნორმებად.

რეგულაციური ნორმა განსაზღვრავს სუბიექტთა უფლებებსა და იურიდიულ მოვალეობებს, მათი აღმოცენების პირობებს.

სამართალდაცვითი ნორმა კი განსაზღვრავს სუბიექტის მიმართ სახელმწიფოს იძულებითი ზომების გამოყენების პირობებს, ასეთი ზომების ხასიათსა და შინაარსს.

ნორმების ხასიათის მიხედვით მათ განასხვავებენ იმისდა მიხედვით, თუ რას ადგენენ ნორმები — უფლებებსა თუ მოვალეობებს. ამ

ნიშნის მიხედვით ნორმები იყოფა აღმჭურველ, ამკრძალავ და მავალებელ ნორმებად.

პირთა წრის მიხედვით ნორმები იყოფა ზოგადად და სპეციალურად. ზოგადი ნორმები ვრცელდება მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მოსახლეზე, სპეციალური ნორმები კი მოქმედებს პირთა განსაზღვრული წრის მიმართ (სამხედრო მოსამსახურეები, პენსიონერები, ინვალიდები და ა.შ.).

განსაზღვრულობის ხარისხის მიხედვით არსებობს აბსოლუტურად განსაზღვრული, შედარებით განსაზღვრული და ალტერნატიული ნორმები.

იურიდიული ძალის მიხედვით ნორმები იყოფა საკანონმდებლო და ქვეკანონურ ნორმებად და სხვა.

§6. სამართლის წყაროები (ფორმები)

სამართალს, ისევე როგორც სხვა საზოგადოებრივ მოვლენებს, თავისი გარეგანი გამოხატულების ფორმები აქვს. იურიდიულ მეცნიერებაში ასეთ ფორმებს სამართლის წყაროებსაც უწოდებენ.

სამართლის წყაროები — ეს არის სამართლის ნორმების ოფიციალური გამოხატვისა და განმტკიცების საშუალებები მათთვის ზოგადსავალდებულო იურიდიული ძალის მინიჭების მიზნით.

იურიდიული მეცნიერება გამოყოფს სამართლის წყაროების რამდენიმე ფორმას. ყველაზე გავრცელებულია სამართლებრივი ჩვეულებები, იურიდიული პრეცედენტები, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, ნორმატიული ხელშეკრულებები, იურიდიული დოქტრინები, რელიგიური დოგმები და სხვა.

სამართლებრივი ჩვეულება — ეს არის საზოგადოებაში მრავალჯერადი განმეორების შედეგად ისტორიულად ჩამოყალიბებული ქცევის წესი, რომელიც სანქციონირებულია სახელმწიფოს მიერ სამართლის ნორმების სახით.

იურიდიული პრეცედენტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებას (პირველ რიგში, სასამართლოს), კონკრეტულ იურიდიულ საქმეზე, ენიჭება ზოგადი ნორმის ხასიათი. სხვა სიტყვებით, კონკრეტულ საქმეზე გამოტანილი სასამართლო ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილება ხდება სავალდებ-

ულო ნიმუში ანალოგიური საქმეების გადაწყვეტისას. იურიდიული პრეცედენტი, როგორც სამართლის წყარო, გამოიყენება ანგლოსაქსური სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში.

იურიდიული დოქტრინები განსაზღვრულ ისტორიულ ეტაპზე ასევე გვევლინებოდა, როგორც სამართლის წყარო. მაგალითად, ყველაზე ავტორიტეტული რომაელი იურისტების (იულიანე, გაიუსი, იუსტინიანე და სხვა) მეცნიერულ ნაშრომებს სამართლის წყაროების ძალა ჰქონდა. ინგლისურ სასამართლოებში მოსამართლეები ასევე ხშირად იყენებდნენ ცნობილი იურისტების ნაშრომებს სამართლის წყაროების სახით.

დღესდღეობით იურიდიული დოქტრინები აღარ გვევლინება სამართლის წყაროდ.

ნორმატიული შინაარსის ხელშეკრულება ასევე გვევლინება სამართლის წყაროდ. როგორც ცნობილია, ხელშეკრულება — ეს არის ორი ან მეტი მხარის შეთანხმება. ხელშეკრულება სამართალში საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. თუმცა ყველა ხელშეკრულება როდი წარმოადგენს სამართლის წყაროს. ასეთად გვევლინება მხოლოდ ისეთი ხელშეკრულება, რომელშიც მოცემულია ზოგადი ხასიათის წესები. ნორმატიული ხელშეკრულება — ეს არის შეთანხმება სამართლის სხვადასხვა სუბიექტებს შორის, რომელშიც მოცემულია სამართლის ნორმები. დღესდღეობით ასეთი ხელშეკრულებები ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო სამართალში.

რელიგიური დოგმები ფართოდ გამოიყენებოდა ფეოდალურ სამართალში. რელიგიური „კანონები“ აწესრიგებდა საოჯახო მემკვიდრეობითი ურთიერთობების მნიშვნელოვან ნაწილს.

დღესდღეობით რელიგიურმა ტექსტებმა დაკარგა სამართლის წყაროს ადრინდელი მნიშვნელობა, თუმცა ზოგიერთი მათგანი მაინც მოქმედებს მუსლიმანურ სახელმწიფოებში.

ყველაზე გავრცელებულ სამართლის წყაროს მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში წარმოადგენს **ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები.**

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი გულისხმობს სამართალშემოქმედების სუბიექტთა ოფიციალურ წერილობით დოკუმენტს, რომელიც შეიცავს სამართლის ნორმებს.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი ოფიციალური დოკუმენტია, რომელიც შეიცავს ზოგადსავალდებულო ქცევის წესებს და იგი

მოქმედებს მუდმივად მის ოფიციალურ გაუქმებამდე. ყველა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი იყოფა ორ ნაწილად: კანონებად და ქვეკანონურ აქტებად. კანონებს წამყვანი ადგილი უკავია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების იერარქიაში.

კანონი — ეს არის სახელმწიფოში უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ან რეფერენდუმის გზით განსაკუთრებული წესით მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც აწესრიგებს უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს.

იურიდიული ძალის მიხედვით კანონები იყოფა კონსტიტუციურ, ორგანულ და მიმდინარე (ჩვეულებრივ) კანონებად.

კონსტიტუციურ კანონებს მიეკუთვნება კონსტიტუცია და ის კანონები, რომელსაც ცვლილებები და დამატებები შეაქვს მასში. კონსტიტუციას, როგორც ქვეყნის უზენაეს კანონს, უმაღლესი იურიდიული ძალა გააჩნია და ფაქტობრივად ყველა სხვა ნორმატიული აქტების იურიდიულ ბაზას წარმოადგენს.

ორგანული კანონები მიიღება კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მასში მითითებული დეფინიციური ნორმების საფუძველზე. ჩვეულებრივი კანონები კი მიიღება სხვა დანარჩენ შემთხვევაში.

კანონის მიღების განსაკუთრებული წესი გამოიხატება საკანონმდებლო პროცესის სტადიებში. ცნობილია ოთხი ძირითადი სტადია: 1) კანონპროექტის შეტანა პარლამენტში, ანუ საკანონმდებლო ინიციატივის უფლების განხორციელება; 2) კანონპროექტის განხილვა; 3) კანონპროექტის მიღება; 4) კანონის გამოქვეყნება.

საკანონმდებლო ინიციატივის არსი გამოიხატება განსაზღვრული სუბიექტების მიერ კანონპროექტის საკანონმდებლო ორგანოში შეტანის უფლების განხორციელებაში. საკანონმდებლო ინიციატივის სუბიექტები, როგორც წესი, განისაზღვრება სახელმწიფოთა კონსტიტუციებით.

კანონპროექტის განხილვა ხორციელდება საკანონმდებლო ორგანოს რეგლამენტის თანახმად. პროექტების განხილვა წარმოებს რამდენიმე წაკითხვით, რომელიც უმეტესად მერყეობს ერთიდან სამამდე.

კანონპროექტის მიღება ხორციელდება კენჭისყრის გზით. ჩვეულებრივ, ამა თუ იმ სახის კანონისათვის დადგენილია სხვადასხვა ოდენობის კვორუმი. კერძოდ, კონსტიტუციური კანონპროექტების მიღება გაცილებით გართულებულია ხმების უმრავლესობის თვალ-

საზრისით, ვიდრე ორგანული ან ჩვეულებრივი კანონის.

კანონის გამოქვეყნება და ძალაში შესვლა საკანონმდებლო პროცესის უკანასკნელი სტადიაა, რაც გამოიხატება კანონის ნამდვილი ტექსტის მოთავსებაში ამისათვის სპეციალურად დადგენილ ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. თუ კანონში სპეციალურად არ არის მითითებული მისი ძალაში შესვლის თარიღი, მაშინ ასეთ შემთხვევებში დადგენილია მისი ძალაში შესვლის სხვადასხვა ვადები. მაგალითად, საქართველოში, თუ კანონში არ არის პირდაპირ მითითებული მისი ძალაში შესვლის თარიღი, მაშინ კანონი ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

რაც შეეხება **ქვეკანონურ** ნორმატიულ აქტებს, ისინი იყოფა ზოგად, ადგილობრივ, უწყებრივ და შიდაორგანიზაციულ აქტებად.

ზოგადი ქვეკანონური აქტები თავისი იურიდიული ძალით მოსდევს კანონებს. მათი მოქმედება ვრცელდება ყველა პირზე ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში. მათ მიეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების აქტები: პრეზიდენტის ბრძანებულებები, მთავრობის დადგენილებები.

ადგილობრივ ქვეკანონურ აქტებს გამოსცემენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები (მუნიციპალიტეტის, მერიის, პრეფექტის, გამგებლის გადაწყვეტილებები და დადგენილებები).

უწყებრივი ნორმატიული აქტები გამოიცემა სამთავრობო ორგანოების სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ (სამინისტროები, კომიტეტები, უწყებები) და ვრცელდება მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრულ სფეროზე.

შიდაორგანიზაციული ქვეკანონური აქტები გამოიცემა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ თავისი შიდა საკითხების რეგლამენტაციისათვის და ვრცელდება ამ ორგანიზაციის წევრებზე (ინსტრუქცია და სხვ.).

§7. ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სისტემა საკმაოდ რთულია. აქტები გამოიცემა უამრავი ორგანოს მიერ, რომელთაც აქვთ სხვადასხვა სახელწოდება და სხვადასხვა იურიდიული ძალა. გარდა ამისა, ამ აქტების შინაარსი მუდმივად იცვლება. ყველაფერი ეს ართულებს ნორმატიულ-სამართლებრივი ინფორმაციით სარგებლობის პრობლემას. მაგრამ

იურიდიულმა მეცნიერებამ შეიმუშავა ისეთი საშუალება, რომელიც წყვეტს ამ პრობლემას. ეს არის **ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია.**

ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების, ცალკეული პირის მიზანმიმართულ საქმიანობას ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოწესრიგებისა და სრულყოფის მიზნით, მის მოყვანას განსაზღვრულ სისტემურ ერთიანობაში.

სისტემატიზაციის ორი ძირითადი სახე არსებობს: **ინკორპორაცია და კოდიფიკაცია.**

ინკორპორაცია — მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ისეთი გაერთიანებაა, როცა ისინი მთლიანად ან ნაწილობრივ თავსდება სხვადასხვა საკანონმდებლო კრებულებში მათი ნორმატიული შინაარსის ცვლილების გარეშე.

ინკორპორაციის შედეგად ხდება მოქმედი კანონმდებლობის გარეგანი დამუშავება, ე.ი. მათი გარეგანი მოწესრიგება (მათი დალაგება ალფაბეტური, ქრონოლოგიური, საგნობრივი ნიშნების მიხედვით).

კოდიფიკაცია კი სისტემატიზაციის ისეთი სახეა, რომელიც გულისხმობს ნორმატიულ-სამართლებრივი მასალის არა მხოლოდ გარეგან, არამედ მის შინაგან დამუშავებასაც. ეს სისტემატიზაციის გაცილებით რთული ფორმაა. კოდიფიკაციისას ხორციელდება ნორმატიული მასალის არსებითი გადამუშავება: უქმდება მოძველებული ნორმები, იქმნება ახალი, სწორდება არსებული ხარვეზები. დღესდღეობით კოდიფიკაციის ყველაზე გავრცელებული ფორმებია: კოდექსები, წესდებები, დებულებები.

§8. სამართლის ნორმების რეალიზაცია

სამართლის ნორმები აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანთა ქცევაზე, აწესრიგებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ე.ი. საუბარია სამართლის ნორმათა რეალიზაციაზე.

სამართლის ნორმათა რეალიზაცია არის მათი დანაწესების გადატანა ადამიანთა ქცევაში.

სამართლის რეალიზაციის პროცესი საკმაოდ რთულია და ხორციელდება სხვადასხვა ფორმებში. სამართლებრივი რეგულირების ხერხებისა და ქცევის ხასიათის გათვალისწინებით ასხვავებენ სამართლის რეალიზაციის შემდეგ ფორმებს:

ა) დაცვა — ეს რეალიზაციის ისეთი ფორმაა, რომელიც გამოიხ-

ატება სამართლის სუბიექტების მიერ ნორმის აკრძალვის მკაცრ შესრულებაში, ე.ი. ისეთი მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებაში, რომელიც საზიანოა საზოგადოებისათვის. თუ აკრძალვა არ ირღვევა, ინდივიდები და ორგანიზაციები არ ჩადიან ნორმით აკრძალულ მოქმედებებს, ამით ეს ნორმები რეალიზდება.

ბ) **შესრულება** – ეს სამართლის რეალიზაციის ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც სამართლის სუბიექტები მოვალენი არიან აქტიური მოქმედებებით შეასრულონ სამართლის ნორმების მოთხოვნები. სამართლის ნორმები ამ შემთხვევაში რეალიზდება მხოლოდ აქტიური მართლზომიერი ქცევის გზით.

გ) **სამართლის ნორმათა გამოყენება** – ეს რეალიზაციის ისეთი ფორმაა, რომელიც გამოიხატება სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული თავისი უფლებების განხორციელებაში. გამოყენება დაკავშირებულია დაშვებული მოქმედებების შესრულებასთან.

ჩამოთვლილი ფორმები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ისინი განისაზღვრებიან, როგორც სამართლის ნორმების უშუალო რეალიზაციის ფორმები.

უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებისას ყველა შემთხვევაში როდია საკმარისი მხოლოდ სამართლის სუბიექტთა ქცევა. სამართლის ნორმათა დაცვა, შესრულება და გამოყენება ყოველთვის არ იძლევა სამართლის ნორმის სრული მოცულობით რეალიზაციის საშუალებას. ხშირად სამართლის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ კომპეტენტური ორგანოების მონაწილეობით. რეალიზაციის ასეთ ფორმას ეწოდება სამართლის შეფარდება.

სამართლის შეფარდება – ეს არის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების ან თანამდებობის პირების საქმიანობა, რომელიც ხორციელდება კანონით სპეციალურად დადგენილი ფორმით, სამართლის ნორმების რეალიზაციის მიზნით კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურ-სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების გზით.

სამართლის ნორმების შეფარდების სტადიებია:

1. საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და ანალიზი;
2. სამართლის ნორმების შერჩევა, რომელიც გამოიყენება მოცემული ფაქტობრივი გარემოებებისას;

3. სამართლის ნორმის ტექსტის ნამდვილობის შემოწმება;
4. სამართლის ნორმის განმარტება, შესაძლებელი კოლიზიის გადაწყვეტა;
5. საქმეზე გადაწყვეტილების მიღება და სამართლის ნორმის შეფარდების აქტის გამოცემა, მისი გადაცემა აღმასრულებლისათვის;
6. მიღებული აქტის რეალიზაცია.

სამართლის ნორმათა შეფარდებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ნორმის ზუსტი ტექსტის დადგენასა და მის სწორ რეალიზაციას, მაგრამ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ერთსა და იმავე ურთიერთობას ერთბაშად აწესრიგებს ორი ან მეტი მსგავსი ხასიათის ნორმა. ამ შემთხვევაში სახეზეა **სამართლის ნორმათა კოლიზია**. როგორ წყდება საკითხი? პირველ რიგში, გამოიყენება ნორმა, რომელიც უფრო ზემდგომი ორგანოს მიერ არის მიღებული, ხოლო თუ ორივე ნორმა მიღებულია ერთი და იმავე ორგანოს მიერ, მაშინ გამოიყენება ნორმა, რომელიც უფრო ახალია.

საკითხის გადაწყვეტისას შეიძლება აღმოცენდეს სხვა სახის პრობლემაც. მაგალითად, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ კონკრეტული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი ნორმა, არადა ეს ურთიერთობა თავისი ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროებს სამართლებრივ რეგულირებას. ამ შემთხვევაში სახეზეა **ხარვეზი კანონმდებლობაში**.

ოპერატიული გამოსავალი ამ შემთხვევაში არის **ანალოგიის** გამოყენება, ე.ი. საქმის განხილვა ან იმ ნორმების საფუძველზე, რომელიც აწესრიგებს მსგავს, მონათესავე ურთიერთობებს (**კანონის ანალოგია**) ან სამართლის საერთო პრინციპებისა და დებულებების საფუძველზე (**სამართლის ანალოგია**).

§9. სამართლის ნორმათა მოქმედების ფარგლები

სამართლის ნორმათა სწორი რეალიზაციისათვის აუცილებელია სამართლის ნორმათა მოქმედების ფარგლების დადგენა. ამ შემთხვევაში გამოყოფენ სამ ძირითად სფეროს: 1) სამართლის ნორმის მოქმედებას დროში; 2) სამართლის ნორმის მოქმედებას სივრცეში; 3) სამართლის

ნორმის მოქმედებას პირთა წრის მიმართ. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

სამართლის ნორმის მოქმედება დროში ნიშნავს — თუ რა მომენტიდან შევიდა ნორმა ძალაში და როდის წყვეტს ის მოქმედებას.

ნორმატიული აქტი მოქმედებას იწყებს მისი ძალაში შესვლის მომენტიდან. ძალაში შესვლის სხვადასხვა წესები არსებობს, კერძოდ:

— აქტი ძალაში შედის მისი მიღების მომენტიდან;

— აქტი ძალაში შედის იმ დროიდან, რომელიც მითითებულია თვით აქტში ან სპეციალურ აქტში მისი სამოქმედოდ შემოღების შესახებ;

— აქტი ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან განსაზღვრული დროის შემდეგ. საქართველოში საკანონმდებლო აქტები ძალაში შედის მათი გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნორმატიული აქტის მოქმედების შეწყვეტის ვადის განსაზღვრა.

ჩვეულებრივ, ნორმატიული აქტი იურიდიულ ძალას კარგავს მისი მოქმედების შეწყვეტით. ეს ხდება განსაზღვრული გარემოებების დადგომისას. ჯერ ერთი, აქტი იურიდიულ ძალას კარგავს მოქმედების ვადის გასვლის გამო, თუ ის მიღებული იყო განსაზღვრული ვადით. მეორე, ის კარგავს იურიდიულ ძალას მისი პირდაპირი გაუქმების შედეგად. როგორც წესი, ამის შესახებ მიეთითება ახალ აქტში ან აქტების სპეციალურ ნუსხაში, რომლებმაც დაკარგეს ძალა ახალი აქტების მიღებასთან დაკავშირებით. მესამე, ნორმატიული აქტი კარგავს იურიდიულ ძალას მაშინაც, როცა ის ფაქტობრივად იცვლება ახალი აქტით, თუმცა ძველი აქტი ოფიციალურად არ გაუქმებულა. ასეთი გზა მაინც არ არის სასურველი, ვინაიდან პრაქტიკაში შეიძლება გაუგებრობა და მცდარი გადაწყვეტილებების მიღება გამოიწვიოს. დაბოლოს, მეოთხე, აქტი წყვეტს მოქმედებას და კარგავს იურიდიულ ძალას იმ შემთხვევაში, როცა იცვლება გარემოებები, რისთვისაც ის იყო გათვალისწინებული, ანუ ვითარების შეცვლის გამო (მაგალითად, თუ ის იყო გათვალისწინებული საომარი მოქმედებების პერიოდისათვის).

სამართლის ნორმის მოქმედებასთან დროში დაკავშირებულია **სამართლის ნორმის უკუძალის** საკითხი. **იმ ურთიერთობებზე, რომელიც აღმოცენდა მის ძალაში შესვლამდე,** ჩვეულებრივ, კანონს უკუძალა არ გააჩნია. მაგრამ არსებობს გამონაკლისები: იმ შემთხვევაში, თუ

ნორმატიულ აქტში პირდაპირაა მითითებული ამის შესახება, ან თუ ის ამსუბუქებს ადამიანის მდგომარეობას.

ნორმატიული აქტების მოქმედება სივრცეში ნიშნავს იმ ტერიტორიის განსაზღვრას, რომლის ფარგლებშიც მოცემული ნორმა ექვემდებარება სავალდებულო შესრულებას. აქტის სივრცობრივი მოქმედება, პირველ ყოვლისა, დაკავშირებულია სახელმწიფოს ტერიტორიის ცნებასთან. სახელმწიფოს ტერიტორიის შემადგენლობაში შედის მთელი ხმელეთი მისი საზღვრების ფარგლებში – წიაღის, ეროვნული და ტერიტორიული წყლების, საჰაერო ზონის ჩათვლით, სამხედრო და არასამხედრო გემები სახელმწიფო დროშის ქვეშ, საზღვარგარეთ არსებული საელჩოები და საკონსულოების ტერიტორიები.

სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების აქტები ვრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

ნორმატიული აქტების მოქმედება პირთა წრის მიმართ ნიშნავს მათ გამოყენებას სამართლის სუბიექტთა განსაზღვრული კატეგორიის მიმართ, ანუ იმას, თუ ვისზე ვრცელდება მოცემული ნორმები.

ზოგადი წესით, სახელმწიფოს ნორმატიული აქტები ვრცელდება ყველა პირის მიმართ, ვინც იმყოფება მის ტერიტორიაზე. ეს, პირველ რიგში, ეხება ქვეყნის მოქალაქეებს, მოქალაქეობის არმქონე პირებს, უცხოელ მოქალაქეებს, ასევე სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა ორგანიზაციას..

თუმცა არსებობს გარკვეული თავისებურებებიც. ზოგიერთი ნორმატიული აქტი ვრცელდება პირთა განსაზღვრულ კატეგორიაზე, ორგანოზე, ორგანიზაციაზე. მაგალითად, კანონი „პოლიციის შესახებ". ზოგიერთი აქტი ვრცელდება მხოლოდ პენსიონერებზე, სამხედრო მოსამსახურეებზე და ა.შ.

გარდა ამისა, საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობების თანამშრომლები (ელჩები, კონსულები, მრჩევლები, სამხედრო ატაშეები და მათი თანაშემწეები), მათი ოჯახის წევრები და ზოგიერთი სხვა უცხოელი მოქალაქეები სარგებლობენ, ე.წ. ექსტერიტორიულობის უფლებით, ეი. აღჭურვილი არიან დიპლომატიური იმუნიტეტით. ეს ნიშნავს, რომ ისინი სარგებლობენ პირადი ხელშეუხებლობით და არ ექვემდებარებიან დაკავებას ან დაპატიმრებას. თუმცა ეს სრულებით არ გამორიცხავს, რომ დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა პატივი არ სცენ სახელმწიფოს კანონებს და თვითნებურად იმოქმედონ.

§10. სამართლის ნორმათა განმარტება

სამართლის ნორმათა განმარტება გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების, არასახელმწიფო ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების საქმიანობას სამართლის ნორმის აზრის გარკვევის მიზნით, ანუ იმ მიზნით, თუ რა შინაარსი ჩადო მასში კანონმდებელმა.

სამართლის ნორმის განმარტების მნიშვნელობა იქიდანაც მჟღავნდება, რომ სამართლის ნორმა სწორად იყოს რეალიზებული, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ეფექტიანობას.

იურიდიულ მეცნიერებაში სამართლის ნორმათა განმარტება სხვადასხვა საფუძვლებით კლასიფიცირდება. ყველაზე გავრცელებულია მისი დაყოფა ხერხების, მოცულობისა და სუბიექტების მიხედვით.

ხერხების მიხედვით განმარტება შეიძლება იყოს გრამატიკული, სისტემატიკური, ისტორიულ-პოლიტიკური და ლოგიკური.

მოცულობის მიხედვით სამართლის ნორმის განმარტება საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ, თუ რა მოცულობით შეესაბამება ნორმის შინაარსი და აზრი მის ტექსტუალურ გამოხატულებას. მოცულობის მიხედვით განმარტება შეიძლება იყოს **ადეკვატური, განვრცობითი და შეზღუდული.**

სუბიექტებისა და შესაბამისად განმარტების შედეგების იურიდიული ძალის მიხედვით ის იყოფა ოფიციალურ და არაოფიციალურ განმარტებად.

ოფიციალური განმარტება არის იურიდიული ნორმის აზრის განსაზღვრა, რომელსაც იძლევა ამისათვის უფლებამოსილი ორგანო და რომელიც სავალდებულოა ამ ნორმის შემფარდებელი ყველა სუბიექტისათვის.

არაოფიციალურ განმარტებას კი იძლევა ის ორგანო ან პირი, რომელსაც ოფიციალურად არა აქვს სამართლის ნორმების აზრის გასარკვევად ფორმალურ-სავალდებულო განმარტების მიცემის უფლებამოსილება. ასეთი განმარტების უფლება აქვს ყველა ორგანოს, თანამდებობის პირს, საზოგადოებრივ ორგანიზაციას, სამეცნიერო დაწესებულებას, მოქალაქეს. ის არ არის სავალდებულო ნორმის შეფარდებისას.

§11. სამართლებრივი ურთიერთობები

სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების იურიდიული ფორმა, რომელიც აღმოცენდება სამართლის ნორმებისა და განსაზღვრული ცხოვრებისეული გარემოებების საფუძველზე სამართლის კონკრეტულ სუბიექტებთან დაკავშირებით.

ამ ცნებიდან გამომდინარე, შეიძლება განვიხილოთ სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი ნიშნები:

1. სამართლებრივი ურთიერთობა აღმოცენდება სამართლის ნორმების ან განსაზღვრული ცხოვრებისეული გარემოებების (იურიდიული ფაქტების) საფუძველზე;

2. სამართლებრივი ურთიერთობა აღმოცენდება კონკრეტულ პირებს, ურთიერთობის მხარეებს შორის. თუ გაურკვეველია შესაბამისი ურთიერთობის კონკრეტული მონაწილე, ის არ შეიძლება ვცნოთ ურთიერთობად;

3. სამართლებრივ ურთიერთობას ახასიათებს მხარეთა ურთიერთსანაცვლო უფლებებისა და მოვალეობების არსებობა;

4. მხარეთა ურთიერთსანაცვლო უფლებებისა და მოვალეობების განხორციელება, როგორც წესი, ხდება ნებაყოფლობით, მაგრამ აუცილებლობისას გარანტირებულია სახელმწიფო ზეგავლენით იძულებითი ზომების გამოყენებისა და იურიდიული პასუხისმგებლობის ჩათვლით;

5. სამართლებრივ ურთიერთობას აქვს თავისი სტრუქტურა, რომელიც გულისხმობს მისი შემადგენელი ელემენტების ერთობლიობას. ესენია:

- სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი;
- სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი;
- სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა სუბიექტური უფლებები და მოვალეობები;
- იურიდიული ფაქტები.

1. **სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები** შეიძლება იყვნენ ინდივიდები (ფიზიკური პირები), ორგანიზაციები (იურიდიული პირები) და სახელმწიფოც კი.

სუბიექტს ახასიათებს ორი თვისება — **უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.**

უფლებაუნარიანობა არის პირის უნარი იქონიოს უფლებები და

მოვალეობები. უფლებაუნარიანობა პირს აღმოუცენდება დაბადების მომენტიდან, მაგრამ ასეთი უნარი ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათ დამოუკიდებლად შეძენასა და განხორციელებას. მაგალითად, უფლებაუნარიანი სამოქალაქო უფლებებთან მიმართებაში შეიძლება იყვნენ მცირეწლოვანი ბავშვები, ჭკუასუსტები, მაგრამ მათ უფლებებს განახორციელებენ მათი წარმომადგენლები (მშობლები, მეურვეები).

ქმედუნარიანობა – არის პირის უნარი, თავისი მოქმედებებით შეიძინოს სუბიექტური უფლებები და მოვალეობები, განახორციელოს ისინი ან უარი თქვას მათზე.

უფლებაუნარიანობისაგან განსხვავებით, ქმედუნარიანობა ფიზიკურ პირს აღმოუცენდება გარკვეული ასაკის მიღწევიდან. ამისდა მიხედვით განასხვავებენ ქმედუნარიანობის ორ სახეს – შეზღუდულსა და სრულს. საქართველოში შეზღუდული ქმედუნარიანობა აქვთ 7-დან 18 წლამდე პირებს, ხოლო სრული – 18 წლიდან.

რაც შეეხება იურიდიულ პირებს, მათი ქმედუნარიანობა აღმოცენდება რეგისტრაციის მომენტიდან.

2. **სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი** არის ის, რისკენაც მიმართულია ამ ურთიერთობის მონაწილეთა საქმიანობა.

სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის ფასეულობა, დაწყებული მატერიალურიდან, დამთავრებული – სულიერამდე. მატერიალური ფასეულობებია: კონკრეტული საგნები, მემკვიდრეობით დატოვებული ქონება და სხვა მრავალი.

სამართალურთიერთობის ობიექტის სახით შეიძლება მოგვევლინოს პირადი არაქონებრივი ღირებულებები – კანონით დაცული მოქალაქის ღირსება და პატივი, სიცოცხლე, ჯანმრთელობა, მიმოწერის საიდუმლოება და სხვ.

სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **მოქმედებას**, ე.ი. სუბიექტთა ქცევის განსაზღვრულ სახეს. ეს არის ადამიანთა გადაყვანა და ბარგის გადატანა, შენობისა და ქონების დაცვა და სხვა.

სამართალურთიერთობის ობიექტები უშუალოდ უკავშირდება მისი მონაწილეების (მხარეების) ინტერესებს. მაგრამ ეს ინტერესები ერთნაირი როდია. ერთი მხარისათვის, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს შრომის პროდუქტი, მეორისათვის – მისი ანაზღაურება. ამრიგად,

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესებიდან გამომდინარე, მასში შეიძლება იყოს ორი ან მეტი ობიექტი.

3. **სამართლებრივი ურთიერთობის მხარეთა უფლებები და მოვალეობები სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია.**

უფლება — ეს არის პირის შესაძლებლობა შეასრულოს სამართლის ნორმით აღიარებული და განმტკიცებული მოქმედება ან მოსთხოვოს სხვას ასეთი მოქმედების შესრულება.

უფლება გამოიხატება სამ ნაირსახეობაში:

ა) სუბიექტის დადებითი ქცევის შესაძლებლობაში დაიკმაყოფილოს თავისი კანონიერი ინტერესები;

ბ) სუბიექტის შესაძლებლობაში მოვალე პირებისაგან მოითხოვოს გარკვეული მოქმედების შესრულება თავისი ინტერესების დასაკმაყოფილებლად;

გ) სუბიექტის შესაძლებლობაში მიმართოს კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს თავისი დარღვეული უფლებების აღსადგენად და დასაცავად.

მოვალეობა — ეს არის პირის შესაძლებლობა შეასრულოს კანონით დადგენილი სავალდებულო ქცევა, ან თავი შეიკავოს კანონით აკრძალული მოქმედების შესრულებისაგან.

მოვალეობის შინაარსი გამოიხატება ორ ნაირსახეობაში:

ა) სამართლებრივი ურთიერთობის სხვა მონაწილეთა სასარგებლოდ აქტიური დადებითი მოქმედებების შესრულების აუცილებლობაში;

ბ) სამართლის ნორმით აკრძალული მოქმედებების შესრულებისაგან თავშეკავების აუცილებლობაში.

4. სამართლებრივი ურთიერთობები, როგორც სამართლებრივი დანაწესების რეალიზაციის ფორმა, აღმოცენდება, იცვლება და წყდება არა თავისით, არამედ გარკვეული ცხოვრებისეული გარემოებების შედეგად. ასეთ ცხოვრებისეულ გარემოებებს ეწოდება იურიდიული ფაქტები. ასეთად კი ისინი იმიტომ იწოდებიან, რომ, ჯერ ერთი, განისაზღვრებიან სამართლებრივი ნორმებით და, მეორე, იწვევენ იურიდიული შედეგების დადგომას.

ამრიგად, იურიდიული ფაქტები ეს არის კონკრეტული ცხოვრებისეული გარემოებები, რომელთა საფუძველზე აღმოცენდება, იცვლება და წყდება სამართლებრივი ურთიერთობები.

იურიდიული ფაქტები მრავალფეროვანია. მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა ფაქტორებით ხდება: მათგან გამოწვეული შედეგებისა და მათი ნებითი ხასიათის მიხედვით.

მათგან გამოწვეული შედეგების მიხედვით იურიდიული ფაქტები იყოფა სამართალწარმომშობ, სამართალშეცვლით და სამართალშემწყვეტ ფაქტებად.

სამართალწარმომშობი ფაქტები იწვევს სამართლებრივი ურთიერთობის აღმოცენებას. ასეთია: სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებები, შრომითი ხელშეკრულებები, ქორწინების რეგისტრაცია, ზიანის მიყენება, დანაშაულის ჩადენა და სხვა.

სამართალშეცვლითი ფაქტები იწვევს სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების შეცვლას. მაგალითად, ბრძანება მუშაკის თანამდებობრივი დაწინაურების შესახებ, მისი თანამდებობრივი მოვალეობების შეცვლის შესახებ და სხვა.

სამართალშემწყვეტი ფაქტები იწვევს სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტას. ასეთებია: სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის გარდაცვალება, ხელშეკრულების მოშლა და სხვა. ნებითი ხასიათის მიხედვით ფაქტები იყოფა ხდომილებად და მოქმედებად.

ხდომილება ეს ისეთი იურიდიული ფაქტებია, რომელთა დადგომა არ არის დამოკიდებული სამართლის სუბიექტთა ნებაზე (წყალდიდობა, ადამიანის ბუნებრივი სიკვდილი და სხვა).

მოქმედება ეს არის ადამიანთა ნებითი ქცევის აქტი. ისინი წარმოადგენენ მათი შეგნებული საქმიანობის გამოხატულებას, თავისუფალი ნების გამომჟღავნებას. ნებითი მოქმედებები შეიძლება იყოს **მართლზომიერი და არამართლზომიერი.**

§12. მართლზომიერი ქცევა, სამართალდარღვევა და იურიდიული პასუხისმგებლობა

მართლზომიერი ქცევა – ეს არის სამართლის სუბიექტის გაცნობიერებული მოქმედება, რომელიც შეესაბამება სამართლებრივ დანაწესებს, არ ეწინააღმდეგება მათ და უზრუნველყოფილია (გარანტირებულია, დაცულია) იურიდიული საშუალებებით.

ეს განმარტება საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მართლზომიერი ქცევის შემდეგი ძირითადი ნიშნები:

ჯერ ერთი, ქცევა მართლზომიერად ჩაითვლება, თუ შეესაბამება სამართლის ნორმის მოთხოვნებს ან არ ეწინააღმდეგება მას.

მეორე, მართლზომიერი ქცევა შეიძლება ჩაითვალოს ასეთად და გამოიწვიოს მოსალოდნელი იურიდიული შედეგები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ქცევა ჩადენილია შეგნებულად ქმედუნარიანი პირის მიერ.

მესამე, მართლზომიერი ქცევა დაცულია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ შესაბამისი იურიდიული საშუალებების გამოყენების გზით.

მართლზომიერი ქცევის ანტიპოდია სამართალდარღვევა.

სამართალდარღვევა ეს არის დელიქტუნარიანი პირის არამართლზომიერი, ბრალეული მოქმედება, რომელიც ზიანს აყენებს სხვა პირებს, საზოგადოებას მთლიანად და იწვევს სახელმწიფო იძულების დადგენილ ზომებს. ამ განმარტებაში მოცემულია სამართალდარღვევის ძირითადი ნიშნები, რომლებიც შეიძლება ასე დავახასიათოთ.

ჯერ ერთი, სამართალდარღვევა ეს არის სამართლის სუბიექტის ქცევის ფაქტი, რაც გამოიხატება მოქმედებაში ან უმოქმედობაში. სამართალდარღვევა არ შეიძლება იყოს აზრი, გრძნობა, ადამიანის სურვილი, მისი ცნობიერება, ნება, თუ ისინი არ გამომჟღავნდა მის მოქმედებაში. სამართალდარღვევას არ წარმოადგენს ხდომილება (წყალდიდობა, ქარიშხალი, ზავავი), რომელსაც ადგილი აქვს ადამიანთა ნებისგან დამოუკიდებლად.

მეორე, სამართალდარღვევა შეიძლება იყოს მხოლოდ არამართლზომიერი ქცევა, ე.ი. ქმედება, რომელიც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს.

მესამე, სამართალდარღვევად ჩაითვლება მხოლოდ ბრალეული არამართლზომიერი მოქმედება, რომელშიც მკაფიოდაა გამოხატული სუბიექტის უარყოფითი, ქარაფშუტული დამოკიდებულება სამართლისადმი.

მეოთხე, სამართალდარღვევად ითვლება მოქმედება, რომელიც ჩადენილია დელიქტუნარიანი პირის მიერ, ე.ი. იმ პირის მიერ, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი მოქმედების არამართლზომიერება და იურიდიული პასუხისმგებლობის შედეგები.

მეხუთე, სამართალდარღვევად ითვლება არამართლზომიერი მოქმედება, რომელიც რეალურად აყენებს ზიანს საზოგადოებას, სახელმწიფოს, კონკრეტულ პიროვნებას. რეალური ზიანის არარსებობა საშუალებას გვაძლევს არ ჩავთვალოთ არამართლზომიერი ქცევა სამართალდარღვევად.

მეექვსე, სამართალდარღვევად ითვლება არამართლზომიერი ქცევა, რომლისთვისაც პირდაპირაა გათვალისწინებული სახელმწიფოს იძულებითი ზომა.

სამართალდარღვევის შემადგენლობა მოიცავს ოთხ ძირითად ელემენტს: სუბიექტს, ობიექტს, სუბიექტურ და ობიექტურ მხარეს.

სამართალდარღვევები ერთმანეთისაგან განსხვავდება სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით, რის საფუძველზეც გამოვყოფთ შემდეგი სახის სამართალდარღვევებს: სისხლისსამართლებრივს, ანუ დანაშაულს, ადმინისტრაციულ სამართლებრივს, ანუ გადაცდომას, დისციპლინურსა და სამოქალაქო სამართლებრივს (დელიქტებს).

დანაშაული სამართალდარღვევის ყველაზე მძიმე სახეა. დამნაშავედ ცნობა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, თანაც მხოლოდ ამისთვის დადგენილი პროცესუალური ფორმით. პირებს, რომლებმაც მოიხადეს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა, გარკვეული პერიოდით უნარჩუნდებათ ნასამართლობა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომა) ითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, საკუთრების, მმართველობის დადგენილი წესების ხელყოფა, რომელთათვისაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

დისციპლინურ სამართალდარღვევად ითვლება შრომითი, სამსახურებრივი, სამხედრო, სასწავლო დისციპლინის დარღვევა.

სამოქალაქო სამართალდარღვევა კი ეს არის არამართლზომიერი ქცევის შედეგად პიროვნებისათვის, ორგანიზაციისათვის ან მათი ქონებისათვის ზიანის მიყენება, ასევე კანონსაწინააღმდეგო გარიგებების დადება, სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა, საავტორო უფლებების დარღვევა და სხვა.

სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ქმედითი საშუალებაა იურიდიული პასუხისმგებლობა.

იურიდიული პასუხისმგებლობა ნიშნავს სამართალდამრღვევი პირის მიმართ სამართლებრივი სანქციების გამოყენებას.

პირის იურიდიული პასუხისმგებლობა ეს არის კონკრეტული სამართალდარღვევის სუბიექტური, ე.ი. პირადი მოვალეობა პასუხი აგოს მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის. იურიდიული პასუხისმგებლობა განისაზღვრება კანონით.

ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, განასხვავებენ სისხლისსამართლებრივ (სასჯელი), ადმინისტრაციულ (სახდელი), დისციპლინურ და სამოქალაქო პასუხისმგებლობის სახეებს. იურიდიული პასუხისმგებლობის თითოეულ სახეს ახასიათებს პასუხისმგებლობის სპეციფიკური ზომები და მათი გამოყენების განსაკუთრებული წესი.

§13. კანონიერება და მართლწესრიგი

კანონიერება ნიშნავს სამართლის ყველა სუბიექტის მიერ ქვეყანაში არსებული კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების ზუსტად და განუხრელად შესრულებას. კანონიერების მოთხოვნათა უგულებელყოფისათვის დგება იურიდიული პასუხისმგებლობა.

კანონიერების ძირითადი მოთხოვნებია:

1. კანონის უზენაესობა ყველა სხვა აქტების მიმართ;

2. კანონის გამოყენება და ერთიანი გაგება მისი მოქმედების მთელ ტერიტორიაზე;

3. ყველას თანასწორობა კანონის წინაშე, თანამდებობრივი, სოციალური, ქონებრივი და სხვა მდგომარეობის მიუხედავად;

4. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვისი უფლებები და თავისუფლებები;

5. სამართალდარღვევათა აღკვეთა და მათ წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა.

კანონიერების მოთხოვნათა დაცვის შედეგად საზოგადოებაში ყალიბდება სამართლებრივი წესრიგი, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების მიზანია.

მართლწესრიგი ეს არის კანონიერების მოთხოვნათა დაცვის შედეგად დამყარებული საზოგადოებრივი წესრიგი.

მაშასადამე, მართლწესრიგი არის კანონიერების შედეგი. მისი ძირითადი ნიშნებია:

1. ეს არის წესრიგი, რომელიც ყალიბდება საზოგადოებრივ ურთიერთობებში;

2. ის განისაზღვრება სამართლის ნორმებით;

3. მყარდება კანონიერების დაცვის შედეგად;

4. გულისხმობს საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებელ ორგანიზებულობას;

5. უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა სამართლებრივი ზემოქმედების ზომების მეშვეობით.

კანონიერება და მართლწესრიგი, სახელმწიფო დისციპლინა, აუცილებელი პირობაა სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების, დემოკრატიის განვითარების, პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

კარი მესამე

საქართველოს კონსტიტუციური სამართალი

თავი I საქართველოს კონსტიტუციური სამართლის, როგორც სამართლის დარგის ცნება, წყაროები

საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი, საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემის განუყოფელი ნაწილია.

სასამართლოს ერთიან სისტემაში კონსტიტუციური სამართალი წამყვანი დარგია. ეს განპირობებულია იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაკუთრებული შინაარსით, რომელიც რეგულირდება მოცემული დარგისა და ამ ურთიერთობებზე კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზემოქმედების მეთოდების მეშვეობით. კონსტიტუცია შეიცავს პრინციპებსა და ნორმებს, რომლებსაც გააჩნიათ ფუძემდებლური მნიშვნელობა როგორც კონსტიტუციური სამართლისათვის, ისე სამართლის სხვა დარგებისათვის. კერძოდ, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ორგანიზაციისა და საქმიანობის კონსტიტუციური საფუძვლები იმავდროულად ადმინისტრაციული სამართლის საწყისი დებულებებია. კონსტიტუციური ნორმები განამტკიცებს საკუთრებისა და მისი მემკვიდრეობის უფლებას, ინტელექტუალური საკუთრების უფლების ხელშეუვალობას, რითაც კონსტიტუცია ადგენს სამოქალაქო სამართლის საფუძვლებსა და სხვა.

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი გარკვეულწილად განსაზღვრავს კიდეც საქართველოს ერთიანი სამართლის სისტემის შემდგომი განვითარების მიმართულებებს, რადგან სამართლის ნებისმიერი დარგის ძირითადი წყარო სწორედ კონსტიტუციაა.

კონსტიტუციური სამართალი ყველაზე უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული საერთაშორისო სამართალთან, ვიდრე სხვა ნებისმიერი დარგი.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის ფარგლებში უზრუნველყოფილია, ჯერ ერთი, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მიზნები, ამოცანები და ასევე თვით სახელმწიფოს დამოკიდებულება საერთა-

შორისო სამართლის ზოგადად მიღებულ პრინციპებსა და ნორმებთან, და მეორე, კონსტიტუციური სამართალი აწესრიგებს ზოგიერთ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც, მართალია, არ ეხება უშუალოდ საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცედურას, მაგრამ მაინც გააჩნია როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო მნიშვნელობა (უცხოელი მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობისა და თავშესაფრის უფლების საფუძვლების განმტკიცება).

ყოველივე ამას თავისი კონსტიტუციური რეგლამენტაცია აქვს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ“.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის ნორმებით მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობების, ანუ კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების სწორი აღქმა და გაგება საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ მისი საგანი, გავმიჯნოთ იგი სამართლის სხვა დარგებისაგან და ამის საფუძველზე, უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ კონსტიტუციური სამართლის, როგორც სამართლის წამყვანი დარგის, ხასიათი.

ამისათვის საჭიროა გავარკვიოთ და ჩამოვაყალიბოთ ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთა მოწესრიგებაც ხორციელდება კონსტიტუციური სამართლის ნორმებით. საქართველოს კონსტიტუციური სამართლის ნორმები აწესრიგებს:

ა) საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელიც შეადგენს საქართველოს საზოგადოებრივი წესწყობილების საფუძვლებს, ე.ი. პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს, სოციალურ სტრუქტურას;

ბ) საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ (ფედერალურ) მოწყობას, ე.ი. სახელმწიფოსა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის ურთიერთობის ორგანიზაციას, საქართველოს სუვერენიტეტსა და კომპეტენციას, მისი შემადგენელი ნაწილების სამართლებრივ მდგომარეობას;

გ) საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, რაშიც გამოიხატება

პიროვნების სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლები საქართველოში და რაც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში;

დ) ურთიერთობებს, რომელიც ყალიბდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციისა და განხორციელების პროცესში. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით, განსაზღვრავს სახელმწიფოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების ჩამოყალიბების წესსა და მათ ფუნქციებს, საარჩევნო სისტემის კონსტიტუციურ პრინციპებს;

ე) საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის წესსა და პრინციპებს.

როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციური სამართლის მოწესრიგების სფერო საკმაოდ მრავალფეროვანია და სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს მხარეებს უკავშირდება. სწორედ ეს განაპირობებს ზემოთ ჩამოთვლილი ურთიერთობების მოწესრიგებას, პირველ ყოვლისა კი, კონსტიტუციურ დონეზე.

ამრიგად, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ კონსტიტუციური სამართლის ცნება:

საქართველოს კონსტიტუციური სამართალი არის სამართლის დამოუკიდებელი დარგი, კონსტიტუციური ნორმებისა და ინსტიტუტების სისტემური ერთობლიობა, რომელიც განამტკიცებს და აწესრიგებს სახელმწიფოს საზოგადოებრივი წყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლებს, სახელმწიფო ორგანოთა შექმნის წესსა და მათ ფუნქციებს, პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობას, რაც გამოიხატება ადამიანისა და მოქალაქის სამართლებრივი სტატუსის განმტკიცებასა და ქვეყნის ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ მოწყობაში.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი აქტების ნუსხაც საკმაოდ მრავალფეროვანია. მათ რიცხვს მიეკუთვნება: კონსტიტუცია, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, კონსტიტუციური კანონები, ორგანული კანონები, ჩვეულებრივი კანონები, ბრძანებულებები, დეკრეტები და სხვა. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება სპეციფიკური იურიდიული ნიშნებითა და იურიდიული ძალის მიხედვით. ამიტომ საქართველოს კონსტიტუციური სამართლის წყაროების სისტემა მკაცრ იერარქიულ ხასიათს ატარებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული აქტებიდან კონსტიტუციური

სამართლის წყაროებს მთლიანად და სრულიად განეკუთვნება კონსტიტუცია და კონსტიტუციური კანონები, ორგანული კანონები, რადგან მათში ყველა ნორმა კონსტიტუციურ-სამართლებრივი ხასიათისაა. რაც შეეხება დანარჩენ ნორმატიულ აქტებს, ისინი კონსტიტუციური სამართლის წყაროებად მოგვევლინება მხოლოდ მაშინ, თუ მათში მოცემული იქნება კონსტიტუციური სამართლის საგნით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები.

თავი II. საქართველოს კონსტიტუცია, მისი ისტორიული განვითარება და მნიშვნელობა

§1. კონსტიტუციის ცნება და არსი

ტერმინი „კონსტიტუცია" ლათინური სიტყვაა („CONSTITUCIO") და ნიშნავს დაწესებას, დადგენას. იგი გვხვდება ჯერ კიდევ რომის იმპერიის კანონმდებლობაში. თუმცა არც მონათმფლობელური, არც ფეოდალური საზოგადოებები არ იცნობენ კონსტიტუციას, როგორც სახელმწიფოს ძირითად კანონს, რომელშიც განმტკიცებული იქნებოდა მისი მოწყობის მთელი საფუძვლები. ეს ტერმინი მაშინ გამოხატავდა იმპერატორთა სხვადასხვა სახის ბრძანებებსა და დადგენილ წესებს.

კონსტიტუციის აღმოცენება, როგორც წესი, ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგი იყო. იგი ცდილობდა დაემკვიდრებინა დროის შესაბამისი ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები.

პირველი კონსტიტუციები დაიწერა ჯერ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1787 წელს, ხოლო შემდეგ კი — საფრანგეთსა და პოლონეთში 1791 წელს.

ამრიგად, კონსტიტუცია არის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ მიღებული იმპერატიული ძალის მქონე ნორმატიული აქტი, ანუ უზენაესი კანონი, რომელიც ადგენს საზოგადოებრივი წესწყობილების საფუძვლებს, სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობას, მოქალაქეთა სამართლებრივ მდგომარეობას, სახელმწიფო ორგანოთა შექმნის წესსა და მათი საქმიანობის ძირითად პრინციპებს.

კონსტიტუციას, როგორც ნორმატიულ აქტს, ზოგიერთი თავისებურება გააჩნია და იგი წარმოიშობა თავად კონსტიტუციური ნორმების

თავისებურებებისაგან. პირველ ყოვლისა, საქართველოში არ არის მიმდინარე კანონმდებლობით მოწესრიგებული ისეთი ურთიერთობები, კონსტიტუციას რომ არ ემყარებოდეს, ეი. კონსტიტუციაში დადგენილია ზოგადი ხასიათის სამართლებრივი ნორმები, რომელიც მთელი მიმდინარე კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოწესრიგების საფუძვლებს წარმოადგენს.

კონსტიტუცია ხასიათდება მასში დადგენილი ნორმების შინაარსის მასშტაბით. იგი თავისი ზემოქმედებით მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს: პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სოციალურს, სულიერს. ამით კონსტიტუცია განსხვავდება ყველა სხვა სახის აქტებისაგან, რომელიც ურთიერთობათა ცალკეულ სფეროს აწესრიგებს.

საქართველოს კონსტიტუციას გააჩნია უმაღლესი იურიდიული ძალა და გამოიყენება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები, რომელიც მიიღება საქართველოში, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას.

კონსტიტუციის მნიშვნელობა განისაზღვრება იმითაც, რომ მასში დადგენილი ნორმები გვევლინება, როგორც ხალხის სახელმწიფოებრივი ნების გამომხატველი ფორმა, მასში იურიდიული მნიშვნელობის ფორმით დადგენილია მიზნები, რომელსაც ისახავს საზოგადოება და მისი ორგანიზაციის პრინციპები.

§2. კონსტიტუციონალიზმის განვითარება საქართველოში

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის მიღებამდე კონსტიტუცია, როგორც ერთიანი საკანონმდებლო აქტი, საქართველოში არ არსებობდა. ამ პერიოდის განმავლობაში მიღებულ იქნა დეკრეტები და სხვა კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტები, რომლებშიც განმტკიცებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლით მოპოვებული უფლებები. ამ პერიოდის ნორმატიული დოკუმენტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი კონსტიტუციური ხასიათის აქტი, რომელიც 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის სახელწოდებითაა ცნობილი, რომელშიაც პირველად განისაზღვრა საქართველოს პოლიტიკური ფორმა, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და სხვა. დამფუძნებელი კრება არჩეულ იქნა 1919 წლის 12 მარტს. პირველი ამოცანა, რომელიც მიზნად

დაისახა დამფუძნებელმა კრებამ, ეს იყო საქართველოს კონსტიტუციის შემუშავება. 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელი კრება იძულებული გახდა ნაჩქარევად დაემტკიცებინა კონსტიტუციის პროექტი, ხოლო 1921 წლის 17 მარტს, ბათუმიდან გასვლის რამდენიმე საათით ადრე, დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მოქმედების დროებით შეჩერების შესახებ. ამ დროს საქართველოში უკვე დამყარებული იყო საბჭოთა ხელისუფლება.

მიუხედავად იმისა, რომ დამფუძნებელმა კრებამ ვერ მოახერხა 1921 წლის კონსტიტუციის ტექსტის საბოლოო დამუშავება და კონსტიტუცია ფაქტობრივად ძალაშიც არ შესულა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი სახელმწიფოს ძირითადი კანონის სრულყოფილი და დახვეწილი ნიმუში იყო. მისი შედგენისას გათვალისწინებულ იქნა როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციონალიზმის გამოცდილება, ისე საქართველოს სინამდვილისათვის დამახასიათებელი ისტორიული, კულტურული და სხვა სახის თავისებურებანი. 1921 წლის კონსტიტუცია შედგება 17 თავისა და 149 მუხლისაგან. კონსტიტუციის პირველივე მუხლით აღიარებულია საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა. კონსტიტუციის გვირგვინს წარმოადგენს მისი მე-3 თავი, რომელშიც დეტალურადაა ჩამოყალიბებული საქართველოს მოქალაქეთა დემოკრატიული უფლებები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს და მათი უფლებების კონსტიტუციურ გარანტიებს. ძალზე საინტერესოდაა წარმოდგენილი სახელმწიფო ორგანოთა სისტემა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების სახით. კერძოდ, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იყო ხალხის მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით 3 წლის ვადით არჩეული საქართველოს პარლამენტი, მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა მთავრობა, რომლის თავმჯდომარეს ირჩევდა პარლამენტი ერთი წლის ვადით, ხოლო მთავრობის წევრებს — მინისტრებს იწვევდა მთავრობის თავმჯდომარე. მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე პირის არჩევა არა უმეტეს ზედიზედ ორი ვადით შეიძლებოდა. მართლმსაჯულების სისტემას

კი ხელმძღვანელობდა სენატი. სახელმწიფო ორგანოთა ასეთი იერარქიული და ფუნქციური დახასიათება, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველო 1921 წლის კონსტიტუციით საპარლამენტო რესპუბლიკა იყო.

კონსტიტუციაში ცალკე განიხილებოდა ქვეყნის ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი, საიდანაც ჩანს, რომ საქართველო თავისი წესწყობილების ფორმის მიხედვით დეცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. კონსტიტუციით რომელიმე ტერიტორიული ერთეული განსაკუთრებული ავტონომიური სტატუსით არ სარგებლობდა, თუ არ ჩავთვლით სოხუმის ოლქის (აფხაზეთი), სამუსლიმანო საქართველოსა (ბათუმის ოლქი) და ზაქათალის ოლქის ოდნავ განსხვავებულ სტატუსს უნიტარული საქართველოს შემადგენლობაში.

კონსტიტუციის სხვა დანარჩენი თავები შეეხება სახელმწიფოს ფინანსებსა და კონტროლს, სახელმწიფო თავდაცვას, კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესსა და სხვა.

§3. საბჭოთა პერიოდის საქართველოს კონსტიტუციები

1921 წლის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გზაზე შემდგარი საქართველო ანექსირებულ იქნა რუსეთის მიერ. 25 თებერვალს სამხედრო ოკუპაციის გზით საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და შეიქმნა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ თავისი პირველი კონსტიტუცია მიიღო **1922 წლის 2 მარტს.** ამის შემდეგ საქართველოს სსრ-ში მიღებულ იქნა კიდევ სამი კონსტიტუცია.

საკანონმდებლო წესით განმტკიცებული იყო სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი პრინციპები და დებულებები.

ა) სახელმწიფო წყობილების ფორმად გამოცხადდა პროლეტარიატის დიქტატურა, რომლის მიზანი იყო ბურჟუაზიული წესწყობილებიდან სოციალიზმში გადასვლის განხორციელება;

ბ) მთელი ძალაუფლება გადაეცა მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოებს. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების ყრილობა, ყრილობათა შორის პერიოდში კი — ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური აღმასრულებე-

ლი კომიტეტი (ცაკი), ცაკ-ის სესიათა შორის პერიოდში — მისი პრეზიდიუმი.

მმართველობის უმაღლესი ორგანო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო იყო, რომელსაც ქმნიდა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

ადგილობრივი ორგანოების სახით შესაბამისად გვევლინებოდა მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები;

გ) საქართველოში გაუქმდა კერძო საკუთრება;

დ) ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა ურთიერთობა აგებული იყო ე.წ. დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძველზე;

ე) 1922 წლის კონსტიტუციის 96-ე მუხლის თანახმად, დაარსდა ერთი მთლიანი სახალხო სასამართლო ერთი მუდმივი მოსამართლისა და ორი ან ექვსი მორიგი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით, სამაზრო თუ საქალაქო რაიონის ტერიტორიის გათვალისწინებით;

ვ) 1922 წლის კონსტიტუციის პირველი მუხლის სპეციალურ შენიშვნაში მითითებულია, რომ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე შევიდნენ: აჭარის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც როგორც კონსტიტუციიდან ირკვევა, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას უკავშირდება, ამ რესპუბლიკათა შორის დადებული განსაკუთრებული საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე.

1922 წლის კონსტიტუცია ისეთი იურიდიული შინაარსის მატარებელი დოკუმენტია, რომლის წყალობით იგი მოგვევლინა ხანგრძლივი მოქმედების ნალმის დისტანციური მართვის მექანიზმად საქართველოში არა მანძილის, არამედ დროის თვალსაზრისით. მის სავალალო შედეგებს დღესაც ვიმკით სხვადასხვა აგრესიის, საქართველოს სუვერენიტეტისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის სახით.

საქართველოს სსრ 1927 წლის კონსტიტუციამ რაიმე არსებითი ცვლილებები არ მოახდინა საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო აპარატის სტრუქტურაზე. თუმცა მეორე კონსტიტუციით გაცილებით მეტად იყო გაზრდილი ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების უფლებრივი მდგომარეობა.

1927 წლის კონსტიტუციაში პირველად გაჩნდა ტერმინი — „საპროკურორო ზედამხედველობა“, რომელიც მოცემული კონსტიტუციის 72-ე მუხლის თანახმად, ერთიან სახალხო სასამართლოსთან იყო არსებული.

წინა კონსტიტუციასთან შედარებით, მე-4 და მე-5 თავებში საკმაოდ დეტალურად იქნა რეგლამენტირებული ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკებისა და ოლქის სამართლებრივი მდგომარეობა.

გარდა ამისა, 1927 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუცია აწესრიგებდა მოქალაქეთა უფლებრივ მდგომარეობას, საარჩევნო სისტემას, ლენინურ ეროვნულ პოლიტიკასა და სხვა.

1937 წლის 13 თებერვალს საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს სსრ მესამე კონსტიტუცია, რომლის საფუძველს წარმოადგენდა 1936 წლის, ე.წ. სტალინური კონსტიტუცია, რომელიც სხვათა შორის, სსრ კავშირის არსებობის ისტორიაში ყველაზე დემოკრატიულ კონსტიტუციად არის აღიარებული.

ისტორიული პირობების ცვლილებების შესაბამისად, 1937 წლის კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად, საქართველოს სსრ-ში მთელი ძალაუფლება გადაეცა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ საფუძველს შეადგენდა.

ამ კონსტიტუციით საქართველოს სსრ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, რომელიც ერთადერთი საკანონმდებლო ორგანო იყო და რომელიც აირჩეოდა 4 წლის ვადით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ირჩევდა მის პრეზიდიუმს თავმჯდომარის, მისი ორი მოადგილის ავტონომიური რესპუბლიკების მიხედვით, მდივნისა და პრეზიდიუმის 13 წევრის შემადგენლობით.

უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო იყო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

ადგილობრივ ორგანოებად გვევლინებოდა შესაბამისად, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები.

ამ კონსტიტუციამ პირველად დაადგინა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნები ფარული კენჭისყრით.

1937 წლის კონსტიტუციაში პირველად პოვა ასახვა საქართვე-

ლოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ საკითხმა, ანუ სწორედ ამ დოკუმენტით გადაწყდა საქართველოს სსრ დარაიონების საკითხი.

წინა კონსტიტუციებთან შედარებით, კიდევ უფრო დაკონკრეტდა სასამართლო და პროკურატურის ორგანოთა სისტემა, მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციური პრინციპები.

აირჩეოდა სასამართლოს ყველა რგოლი. საქართველოს უზენაესი სასამართლო აირჩეოდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ 5 წლის ვადით, ხოლო სახალხო სასამართლოებს ირჩევდნენ შესაბამისი რაიონების მოქალაქეები საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით 3 წლის ვადით.

საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის პროკურორებს ნიშნავდა სსრ კავშირის გენერალური პროკურორი 5 წლის ვადით.

1937 წლის კონსტიტუციით საკმაოდ დამაჯერებლად იქნა დეკლარირებული მოქალაქეთა ისეთი უმნიშვნელოვანესი უფლებები და თავისუფლებები, როგორიცაა: სიტყვის, ბეჭდვის, კრებისა და მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების თავისუფლება და სხვა.

1978 წლის 15 აპრილის კონსტიტუცია არა მხოლოდ შინაარსით, არამედ ფორმითაც განსხვავებული იყო.

განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენდა პრეამბულა, ანუ ძირითადი კანონის შესავალი, თეორიული ნაწილი.

წინა კონსტიტუციები საქართველოს სსრ-ს ახასიათებდა როგორც მუშებისა და გლეხების სახელმწიფოს. 1978 წლის კონსტიტუციამ ამ ფორმულაში ჩართო ინტელიგენციაც, ამასთან, მოცემულმა კონტიტუციამ პირველად შემოიღო ცნება — „ხალხი“.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები, დაწყებული უმაღლესი საბჭოდან, დამთავრებული სასოფლო საბჭოთი, ქმნიდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ერთიან სისტემას. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აირჩეოდა 5 წლით, ხოლო ადგილობრივი საბჭოები — 2,5 წლით.

აღნიშნულმა კონსტიტუციამ კიდევ უფრო გააფართოვა წინა კონსტიტუციით გათვალისწინებული მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები და დაადგინა ახალი უფლებები და თავისუფლებები, კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვისა და ბინის უფლება და სხვა.

163-ე მუხლი ადგენდა, რომ საქართველოს სსრ-ში მართლმსაჯულება ხორციელდებოდა მხოლოდ სასამართლოს მიერ. ამასთან, სასამართლო არ იყო ერთადერთი ორგანო, რომელსაც უნდა დაეცვა საქართველოს მოქალაქეთა უფლებები. არსებობდა სამართალდამცავი ორგანოების მთელი სისტემა, 1978 წლის კონსტიტუცია შეიცავდა სპეციალურ კარს – „მართლმსაჯულება, არბიტრაჟი და საპროკურორო ზედამხედველობა“.

ასეთია მოკლედ საქართველოს საბჭოთა პერიოდის კონსტიტუციების განვითარების ზოგადი შტრიხები. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის კონსტიტუციაში მეტ-ნაკლებად აისახა საქართველოსათვის დამახასიათებელი თავისებურებანი, ისინი მაინც არ შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების დამოუკიდებელი კანონშემოქმედებითი საქმიანობის ნაყოფად, რადგან ყოველი კონსტიტუცია ფაქტობრივად სსრ კავშირის შესაბამისი კონსტიტუციის გადმოქართულებულ ანალოგიას წარმოადგენდა.

§4. კონსტიტუციური კანონმდებლობის განვითარება 1995 წლის 24 აგვისტომდე

80-იანი წლების დასასრული და 90-იანი წლების დასაწყისი საქართველოს ისტორიაში ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდად არის ცნობილი.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში პირველად ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები. 1991 წლის 9 აპრილს კი მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების მთელი კომპლექსი საჭიროებდა თანამედროვე საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რადგანაც ამ პერიოდში დაიწყო ხელისუფლების ახალი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება. საქართველოში ეს ეტაპი დარჩა „გარდამავალი პერიოდის“ სახელწოდებით, რომლის შესაბამისად უნდა შედგენილიყო გარდამავალი პერიოდის კონსტიტუციაც.

საქართველოს ახალარჩეულმა უზენაესმა საჭმო, რომლის უფლებამოსილება 5 წლით განისაზღვრებოდა, უამრავი ცვლილება შეიტანა 1978 წლის კონსტიტუციის შინაარსში. ეს ეხებოდა კონსტიტუციის

პრეამბულას, სახელმწიფო სიმბოლოებს – გერბს, დროშას, ჰიმნს. სახელმწიფო წყობილების შეცვლასთან დაკავშირებით კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა სიტყვა – „საბჭოთა სოციალისტური“.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ეწოდათ საკრებულოები, ხოლო მთავრობის ადგილობრივ ორგანოებს – პრეფექტურები.

შემოღებულ იქნა ახალი მმართველობითი სტრუქტურა პრეზიდენტის ინსტიტუტის სახით. საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენდა სახელმწიფოს მეთაურს. ამასთან, დადგინდა პრეზიდენტის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატურის როგორც მინიმალური, ისე მაქსიმალური ასაკობრივი ცენზი, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტად შეიძლებოდა არჩეულიყო დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35-დან 65 წლამდე.

ასაკობრივი შეზღუდვის გარდა, აუცილებელი იყო პრეზიდენტად ასარჩევი პირის საქართველოში მუდმივი ცხოვრება უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.

პრეზიდენტის მიერ მისი უფლებამოსილების შეუსრულებლობის შემთხვევაში მას ცვლიდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო თუ მასაც არ შეეძლო აღნიშნულის განხორციელება, ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტის უფლებამოსილება ეკისრებოდა პრემიერ-მინისტრს ახალი პრეზიდენტის არჩევამდე.

1991 წლის ბოლოს უკიდურესად გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებას შედეგად მოჰყვა უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა და პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმება. 1992 წლის 6 იანვარს შეიქმნა სამხედრო საბჭო, რომელსაც დროებითი ხასიათი ჰქონდა. ამ და სხვა გარემოებათა გამო, გარდამავალი პერიოდის კონსტიტუციამ ფაქტობრივად შეწყვიტა მოქმედება, რასაც შედეგად მოჰყვა სამხედრო საბჭოს 1992 წლის თებერვლის დეკლარაცია 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ. იმავე წელს შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო.

1921 წლის კონსტიტუცია, მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად სრულყოფილი იყო, საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარების მოცემულ ეტაპზე არსებული სინამდვილისათვის უკვე შეუსაბამო დოკუმენტს წარმოადგენდა. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მის აღდგენას ფაქტობრივად არ მოჰყოლია რეალური განხორციელება.

1992 წელს არჩეულ იქნა პარლამენტი, რომელმაც იმავე წლის 6 ნოემბერს მიიღო „მცირე კონსტიტუციის“ სახელწოდებით ცნობილი „კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“. ეს იყო კონსტიტუციური ხასიათის აქტი, რომლითაც განისაზღვრებოდა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მხარეები: სახელმწიფო ორგანოთა შექმნის წესი და ფუნქციები, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის ძირითადი პრინციპები.

აღნიშნული კანონის არსებითი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ, ჯერ ერთი, მასში პირველად პოვა ასახვა 1921 წლის კონსტიტუციის ძირითადმა დებულებებმა და მეორე, ერთგვარად ჩამოყალიბდა სახელმწიფო მექანიზმის ახალი სტრუქტურა.

კანონის პირველივე მუხლით ხელისუფლების წყაროდ გამოცხადდა ხალხი, მმართველობის ფორმად კი — დემოკრატიული რესპუბლიკა.

უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებდა საქართველოს პარლამენტი, რომელიც აირჩეოდა 3 წლით, უმაღლეს აღმასრულებელ-განმკარგულებელ ხელისუფლებას — საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, რომელიც იმავდროულად იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, სასამართლო ხელისუფლებას — სასამართლო.

საქართველოს პარლამენტი თავისი შემადგენლობიდან ირჩევდა: პარლამენტის სპიკერს, ანუ პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილესა და პარლამენტის სპიკერის ორ მოადგილეს.

თუ პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს შეუწყდებოდა უფლებამოსილება, მისი მოვალეობის დროებითი შესრულება ეკისრებოდა პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრის მიერ ამ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში — პარლამენტის სპიკერს.

პრემიერ-მინისტრს უფლება ჰქონდა პარლამენტის წინაშე დაეყენებინა მინისტრთა კაბინეტისადმი ნდობის საკითხი. პრემიერ-მინისტრის გადადგომის შემთხვევაში უნდა გადამდგარიყო მინისტრთა კაბინეტის მთელი შემადგენლობა.

ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს წარმოადგენდა ქალაქის, რაიონის, დაბის, თემისა და სოფლის საკრებულოები და გამგეობები ან გამგებლები.

მკაფიოდ განისაზღვრებოდა სახელმწიფო ორგანოებისა და თან-

ამდებობის პირთა წრე, რომელსაც ენიჭებოდა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. ესენი იყვნენ: სახელმწიფოს მეთაური, პარლამენტის წევრი, პარლამენტის კომისია, მინისტრთა კაბინეტი, უზენაესი სასამართლო, უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო, გენერალური პროკურორი, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები, მოქალაქეთა ჯგუფი, რომელიც პარლამენტში წარადგენდა ათი ათასი ამომრჩევლის მიერ ხელმოწერილ განცხადებას.

ასეთია სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის მოკლე მიმოხილვა, რომელმაც 1995 წლის კონსტიტუციის მიღებამდე უდავოდ შეასრულა თავისი დადებითი ფუნქცია ქართული სახელმწიფოებრიობისა და კონსტიტუციონალიზმის განვითარებისათვის.

მნიშვნელოვანი აქტი იქნა მიღებული 1993 წლის 25 მარტს „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ კანონის სახით. მას შემდეგ ამ აქტმა გარკვეული ცვლილებები განიცადა და ამჟამადაც მოქმედებს, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

§5. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა თითქმის ერთსულოვნად დაამტკიცა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ახალი კონსტიტუცია, რომელიც შედგება პრეამბულის, 9 თავისა და 109 მუხლისაგან.

ახალი კონსტიტუციის მიღების აუცილებლობა მრავალმა ფაქტორმა განაპირობა. ჯერ ერთი, საქართველოში მყარად მოიკიდა ფეხი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების ჩვენთვის მანამდე უცნობმა სახეებმა. მეორე, საზოგადოება გადავიდა წარმოების ახალ წესზე, რომლის საფუძველსაც სოციალისტური საერთო-სახალხო საკუთრების ნაცვლად, კერძო საკუთრება წარმოადგენდა. ცხოვრებამ განაპირობა სახელმწიფო მექანიზმის ახალი სისტემის ჩამოყალიბება, ანუ დემოკრატიული ცენტრალიზმის ნაცვლად, ხელისუფლების დანაწილების პრინციპების პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებლობა და ა.შ.

პრეამბულაში განსაზღვრულია საქართველოს მოქალაქეთა მიზნები და ამოცანები ჩვენი სახელმწიფოებრიობის მშენებლობისა და განვითარების გზაზე.

ზოგადი დებულებები განსაზღვრავს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების ორგანიზაციას, საქართველოს სახელმწიფოს გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს, ფედერალური მოწყობის სამომავლო პერსპექტივებს, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას.

მეორე თავი — მოქალაქეობა და ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები ახალი კონსტიტუციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. კონსტიტუცია მოიცავს ისეთ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც ადრე არ იყო აღიარებული, მაგალითად, სიცოცხლის უფლება, აზრისა და რწმენის თავისუფლება, ინფორმაციის უფლება, ბეჭდვის თავისუფლება — ცენზურის აკრძალვა, გაფიცვის უფლება და სხვა.

ცვლილებები შევიდა ადრე არსებული უფლებებისა და თავისუფლებების შინაარსში: აიკრძალა ორმაგი მოქალაქეობა, მოქალაქეობის ჩამორთმევა და საქართველოს მოქალაქის გაძევება საქართველოდან, შრომის მოვალეობის ნაცვლად, გამოცხადდა შრომის თავისუფლება.

შეიქმნა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ახალი ინსტიტუტი **საქართველოს სახალხო დამცველის** სახით.

საქართველოს კონსტიტუციის **მესამე, მეოთხე და მეხუთე** თავები ეძღვნება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას, კერძოდ, შესაბამისად, სამი ხელისუფლების — საკანონმდებლო (პარლამენტი), აღმასრულებელი (პრეზიდენტი, მთავრობა) და სასამართლო (უზენაესი სასამართლო, საკონსტიტუციო სასამართლო) ხელისუფლებათა ფორმირების წესებსა და ფუნქციებს. პრინციპი, რომელიც საფუძვლად დაედო სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას, ხელისუფლების დანაწილებაა.

დღის წესრიგში დადგა კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობაზე კონტროლის აუცილებლობა, ანუ **კონსტიტუციის** დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა. ამ მიზნით დასაბამი მიეცა კიდევ ერთი ახალი საკანონმდებლო-ინსტიტუციური სისტემის დამკვიდრებას **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს** ჩამოყალიბების სახით.

მექვსე თავი ეძღვნება სახელმწიფო ფინანსებისა და კონტროლის საკითხებს, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენისა და მიღების წესს, ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

მეშვიდე თავში განხილულია საქართველოს თავდაცვასთან დაკავშირებული საკითხები.

მერვე თავი ეძღვნება კონსტიტუციის გადასინჯვის წესს. შეი-

ძლება ითქვას, რომ კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის პროცედურა საკმაოდ გართულებულია, რაც განაპირობებს მის სტაბილურობას. კერძოდ, შეზღუდულია ასეთი შესწორებების პროექტების ინიციატორთა წრე. ესენია: ა) პრეზიდენტი; ბ) პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი; გ) არანაკლებ 20000 ამომრჩეველი. გადასინჯვის პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

კონსტიტუციის მეცხრე თავი კი ეხება გარდამავალ დებულებებს, რომელიც აწესრიგებს კონსტიტუციის ძალაში შესვლის, მოქმედი კანონმდებლობის კონსტიტუციასთან შესაბამისობისა და სხვა საკითხებს.

თავი III. საქართველოს საზოგადოებრივი წესწყობილების კონსტიტუციური საფუძვლები

§1. საზოგადოებრივი წესწყობილების ცნება

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის მეცნიერება საზოგადოებრივი წესწყობილების ქვეშ გულისხმობს მოცემულ სახელმწიფოში საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური საფუძვლების ერთობლიობას.

ყოველი ქვეყნის საზოგადოებრივი წესწყობილების საფუძველში დევს წარმოების განსაზღვრული წესი, სახალხო ხელისუფლებისა და სახალხო მმართველობის განსხვავებული პრინციპები და განხორციელების გზები.

საქართველოს საზოგადოებრივმა წესწყობილებამ, საკანონმდებლო წესით, რეალურად განამტკიცა ადამიანთა საყოველთაოდ აღიარებული სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები და სხვა.

მართალია, კონსტიტუციაში ცალკე თავი არა აქვს დათმობილი საზოგადოებრივი წესწყობილების საფუძვლებს, მაგრამ იგი აშკარად მჟღავნდება სხვადასხვა დებულებებში.

მაგალითად, კონსტიტუციის პრეამბულაში გამოხატულია საქართველოს მოქალაქეთა ნება — დაამკვიდროს დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება.

კონსტიტუციის მე-5 მუხლით საქართველოში სახელმწიფო ხე-

ლისუფლების წყაროს წარმოადგენს ხალხი, რომელიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებით და სხვა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს საზოგადოებრივი წესწყობილების შინაარსს შეადგენს ისეთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტები, როგორიცაა: საზოგადოების ეკონომიკური სისტემა, საზოგადოების სოციალური სტრუქტურა და პოლიტიკური სისტემა.

§2. საქართველოს ეკონომიკური სისტემის კონსტიტუციური საფუძვლები

ეკონომიკური სისტემა ეს არის კომპლექსური კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს საქართველოში საკუთრების, წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ურთიერთობათა მომწესრიგებელი ძირითადი პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობას.

კონსტიტუციური რეგულირების საგანია, პირველ ყოვლისა, სამეურნეო საქმიანობის ზოგადი პრინციპები, საკუთრების უფლება და მისი გავრცელების საზღვრები, მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების წესი, სახელმწიფოს ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩარევის ფორმები და ფარგლები, სახელმწიფოს საბიუჯეტო-საფინანსო სისტემის საფუძვლები, ეკონომიკური რეგულირების სფეროში ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის უფლებამოსილებათა განაწილება.

ყველა ამ ურთიერთობათა და მათი რეგულირების მექანიზმს საქართველოს კონსტიტუციამ მიანიჭა სრულიად ახალი ინტერპრეტაცია, ვიდრე ეს მანამდე არსებობდა. ჯერ ერთი, საქართველოში დამკვიდრდა მანამდე არსებული ურთიერთობები და მეორე, შესაბამისად ახალი ეკონომიკური ურთიერთობების კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის განსხვავებული მოდელი. საზოგადოება სოციალისტური, განაწილებითი ურთიერთობებიდან გადავიდა სასაქონლო-ფულად და ფულად-საკრედიტო ურთიერთობებზე. მეურნეობის სოციალისტური სისტემის ნაცვლად, დაიწყო ეკონომიკის საბაზრო ორგანიზაცია. ეკონომიკის თავისუფლება ეს არის ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის ძირითადი პრინციპი.

ეკონომიკური სისტემის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია კერძო საკუთრება, რომელმაც შეცვალა სოციალისტური (საზოგადოებრივი) საკუთრება.

უნდა ითქვას, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს დემოკრატიულობას ცხადყოფს ის, თუ იურიდიულად რამდენად მოცულობითია პირის უფლებრივი მდგომარეობა საკუთრებასთან მიმართებაში, თუ ეკონომიკურად რამდენად დამოუკიდებელია იგი.

ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციური გარანტიის მაგალითს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც პირდაპირაა აღიარებული საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებები. იკრძალება საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

კონსტიტუციური გარანტიის კიდევ ერთი მაგალითია 30-ე მუხლი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას“, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უარი თქვა მანამდე ათეული წლების განმავლობაში არსებულ მონოპოლიურ ეკონომიკაზე.

საქართველოს ეკონომიკური სისტემის განუყოფელ ნაწილს და ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციური რეგულირების საგანს წარმოადგენს სახელმწიფოს საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო და საგადასახადო სისტემის საფუძვლები.

სახელმწიფოს ბიუჯეტში გამოიხატება თვით სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. კონსტიტუციის მე-6 თავში განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის შედგენისა და მიღების წესი. კონსტიტუციის 95-ე და 97-ე მუხლებით განისაზღვრება ის ორგანოები, რომლებიც განახორციელებენ საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვაზე ზედამხედველობას. ესენია, შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკი და საქართველოს კონტროლის პალატა.

§3. საზოგადოების სოციალური სტრუქტურა

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში საზოგადოების სოციალური სტრუქტურა უშუალოდ უკავშირდებოდა კლასობრივ ელემენტებს.

ეს ბუნებრივიცაა, რადგან მარქსისტული მოძღვრებით, თავად სახელმწიფოს წარმოშობის ერთადერთ საფუძვლად მიჩნეული იყო კერძო საკუთრების ალმოცენება, საზოგადოების კლასებად დაყოფა და ექსპლუატაცია.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე გლობალურმა პროცესებმა — სოციალურმა, პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, ეკოლოგიურმა, დემოგრაფიულმა და სხვა მრავალმა — სხვაგვარად განსაზღვრა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პრიორიტეტი კლასობრივთან შედარებით მსოფლიოს ყველა რეგიონსა და მათ შორის საქართველოშიც.

დღეს საზოგადოებაში არ არის გაბატონებული კლასი. ყოველ შემთხვევაში კონსტიტუცია ამის შესახებ არაფერს ითვალისწინებს. ყველას აქვს შესაძლებლობა დაიკავოს ნებისმიერი სოციალური მდგომარეობა, ადამიანის მიერ ცხოვრების გზის რეალური არჩევანი არ არის შეზღუდული. თანამედროვე საბაზრო წარმოება და მისგან გამომდინარე ინდივიდუალური საზოგადოებრივი თავისებურებები ამის დასტურია. საზოგადოების სოციალური სტრუქტურის განხილვისას ამოსავალი წერტილი უნდა იყოს არა ადამიანთა ქონებრივი მდგომარეობა და ამ გაგებით მათი მატერიალური თანასწორობა, არამედ მათი თანასწორობა კანონის წინაშე. ადამიანებს შორის ქონებრივი განსხვავება ყოველთვის იყო და იქნება. მთავარი ისაა, რომ მათ ყველას ჰქონდეს ერთნაირი უფლებრივი მდგომარეობა. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლიო კი, ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია, მისი სოციალური კუთვნილების ჩათვლით.

ამრიგად, საზოგადოების სოციალური სტრუქტურა საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით გულისხმობს ხალხს, სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის მქონე ყველა ადამიანის გაერთიანებას, რომლებიც ერთიანი ძალისხმევით ახორციელებენ კიდეც სახელმწიფო ხელისუფლებას საქართველოში.

§4. საქართველოს პოლიტიკური სისტემა

პოლიტიკური სისტემა არის სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სახელმწიფო (პოლიტიკური) ხელისუფლება.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემა გულისხმობს სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი სოციალური ინსტიტუტების

სისტემას, რომლებიც ახორციელებენ პოლიტიკურ ფუნქციებს. ეს სოციალური ინსტიტუტებია: სახელმწიფო, პარტიები, პროფკავშირები, სხვა ორგანიზაციები და მოძრაობები, რომლებიც მონაწილეობენ საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროშიც. მათი ძირითადი მიზანია ხელისუფლების მოპოვება, შენარჩუნება და გამოყენება.

საქართველოს პოლიტიკური სისტემის დახასიათებისას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება იმას, თუ ვის ეკუთვნის ხელისუფლება სახელმწიფოში და ვინ ახორციელებს მას.

ამ საკითხის გარკვევის მიზნით მივმართოთ საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტს, რომელშიც პირდაპირაა მითითებული ზოგადი ხასიათის დებულება სახალხო ხელისუფლების შესახებ. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი".

კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე „ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით". აქ საუბარია ხალხის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში მონაწილეობის საშუალებაზე. კერძოდ, პოლიტიკური სისტემის ორ დემოკრატიულ ინსტიტუტზე.

პირველ შემთხვევაში, ე.ი. უშუალო, ანუ პირდაპირი დემოკრატიის დროს, სახელმწიფო ხელისუფლების სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ხალხი. თუმცა პრაქტიკულად შეუძლებელია, რომ მთელმა ხალხმა, როგორც „ერთმა ადამიანმა" მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. ამისათვის, სახელმწიფოებრივმა პრაქტიკამ შეიმუშავა განსაკუთრებული პოლიტიკური ინსტიტუტი — საარჩევნო კორპუსი, რომელიც აერთიანებს ყველა ამომრჩეველს. მასში, როგორც წესი, საარჩევნო ცენზების პირობებში არ ხვდება ყველა ინდივიდი.

საარჩევნო კორპუსი არ არის სახელმწიფო ორგანო. ეს არც საკანონმდებლო, არც აღმასრულებელი და არც სასამართლო ხელისუფლებაა. იგი ხალხის ნების უშუალო გამომხატველი და პირველდაწყებითი სუვერენიტეტის მატარებელია.

თანამედროვე პირობებში დემოკრატიის ინსტიტუტი, რომელიც ხორციელდება გადაწყვეტილებების უშუალოდ ყველას მიერ მიღების მიზნით, შეუძლებელია ტექნიკური სირთულეების გამოც. იგი

გვხვდება მხოლოდ ცალკეული უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტისას რეფერენდუმის სახით.

საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლი ითვალისწინებს რეფერენდუმის მოწყობის წესებსა და იმ საკითხების ზუსტ ნუსხას, რომელთა შესახებ არ შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა.

წარმომადგენლობითი დემოკრატიის დროს, გადაწყვეტილებები მიიღება ხალხის მიერ საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვილი მათი წარმომადგენლების — პარლამენტისა და სხვა ორგანოების მიერ, რომლებიც საქართველოს პოლიტიკური სისტემის საფუძველს წარმოადგენენ.

საქართველოს პოლიტიკური სისტემის ღია ხასიათიდან გამომდინარე, ხალხის მიერ წარმომადგენლობითი დემოკრატიის განხორციელება ნიშნავს იმას, რომ ირჩევს რა წარმომადგენლობით ორგანოს (მაგალითად, პარლამენტს), ხალხი აძლევს მას მანდატს განახორციელოს სახელმწიფოს ხელისუფლება ხალხისავე სახელით.

ხალხის სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში მონაწილეობის კიდევ ერთ ფაქტორს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სახალხო ინიციატივა. საქართველოს კონსტიტუციის 67-ე და 102-ე მუხლებით, შესაბამისად, ჩვეულებრივი კანონპროექტის წარმოდგენას ესაჭიროება არანაკლებ 30 000 ამომრჩევლის ხელმოწერა, კონსტიტუციური კანონპროექტის წარსადგენად კი — არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის.

და მაინც, ზემოაღნიშნულის მიუხედავად, პოლიტიკური სისტემის უძირითადეს რგოლს სახელმწიფო წარმოადგენს.

სახელმწიფო განასახიერებს მთელ ხალხს, გამოხატავს მის სახელმწიფოებრივ ნებას.

სახელმწიფოს განსაკუთრებული ადგილი პოლიტიკური სისტემის სხვა ელემენტებს შორის განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

ჯერ ერთი, სახელმწიფო ეს არის მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთადერთი სრულუფლებიანი ორგანიზაცია;

მეორე, სახელმწიფო განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების ძირითად მიმართულებებს ყველასი და თითოეულის ინტერესების გათვალისწინებით.

მესამე, სახელმწიფო ოფიციალური წარმომადგენელია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

პოლიტიკური სისტემის არც ერთ ელემენტს ასეთი თვისებები და ფუნქციები არ ახასიათებს.

პოლიტიკურ სისტემაში დიდ როლს ასრულებს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი სოციალური ინსტიტუტები — პოლიტიკური პარტიები (გაერთიანებები).

პოლიტიკური პარტია (გაერთიანება) მყარი სტრუქტურისა და საქმიანობის მუდმივი ხასიათის მქონე დამოუკიდებელი საზოგადოებრივი გაერთიანებაა, რომელიც გამოხატავს თავისი წევრებისა და მომხრეების პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში მონაწილეობას, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ფორმირებისა და ასევე ხელისუფლების განხორციელებას ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში არჩეული თავიანთი წარმომადგენლების მიერ.

სახელმწიფო კი ზუსტად ის სოციალური ინსტიტუტია, სადაც პარტიული ინტერესები, მიზნები და იდეალები შეიძლება მოგვევლინოს როგორც საზოგადოებრივი ინტერესები. ამიტომ სახელმწიფო გამოდის პოლიტიკური ბრძოლის უმნიშვნელოვანეს და ძალზედ ფასეულ ობიექტად, განსაზღვრავს პარტიების მონაწილეობას სახელმწიფო ხელისუფლების მოპოვებაში.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია არ შეიცავდა საგანგებო დებულებას, რომელიც განსაზღვრავდა პოლიტიკური პარტიების სტატუსსა და მათ როლს პოლიტიკურ სისტემაში, თუმცა არაპირდაპირ განამტკიცებდა მრავალპარტიულობის პრინციპს.

არანაკლებ მნიშვნელოვანი და რთულია პოლიტიკური სისტემის ჩარჩოებში ურთიერთობები სახელმწიფოსა და პროფესიულ კავშირებს, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის.

პროფესიული კავშირები აღმოცენდა ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე როგორც ისეთი ორგანიზაციები, რომელიც გამოხატავდა და იცავდა მომსახურეთა გარკვეული კატეგორიის ინტერესებს. თანამედროვე პირობებში პროფესიული კავშირები მძლავრი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაა.

თავი IV. პიროვნება და სახელმწიფო

§1. მოქალაქეობის ინსტიტუტი საქართველოში

მოქალაქეობა, როგორც საქართველოს კონსტიტუციური სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტი, სამართლებრივი ნორმების ერთობლიობაა, რომელიც განამტკიცებს საქართველოს მოქალაქეობის პრინციპებს და აწესრიგებს მოქალაქეობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

მოქალაქეობა არის პირის მყარი პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირი საქართველოს სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ურთიერთსანაცვლო უფლებების, მოვალეობებისა და ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობის ერთიანობით.

იმისათვის, რომ უფრო ღრმად ჩავწვდეთ მოქალაქეობის არსსა და მნიშვნელობას, აუცილებელია განვიხილოთ მასთან დაკავშირებული ისეთი ძირითადი საკითხები, როგორიცაა: 1) საქართველოს მოქალაქეობის შეძენა; 2) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა; 3) საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის წესი.

საქართველოს მოქალაქეობის შეძენა შეიძლება:

ა) დაბადებით;

ბ) საქართველოს მოქალაქეობის მიღებით (ნატურალიზაციით);

გ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

ა) დაბადებით მოქალაქეობის მოპოვება ნიშნავს, რომ პირს მოქალაქეობა ენიჭება მისი დაბადების მომენტიდან. მოქალაქეობა ძირითადად სწორედ ამ გზით მოიპოვება. დაბადებით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება ხდება ისეთი პრინციპების მიხედვით, როგორიცაა: 1) ეროვნული, ანუ „სისხლის“ პრინციპი და 2) ტერიტორიული ანუ „ნიადაგის“ პრინციპი.

ეროვნული, ანუ „სისხლის“ პრინციპის თანახმად ბავშვს, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის საქართველოს მოქალაქეა, მისი დაბადების ადგილის მიუხედავად, საქართველოს მოქალაქეობა ენიჭება; თუკი ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე სხვა სახელმწიფოსი, ბავშვი ჩაი-

თვლება საქართველოს მოქალაქედ, თუ: ა) დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე; ბ) დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ მის ერთ-ერთ მშობელს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე აქვს; გ) ერთ-ერთი მშობელი ბავშვის დაბადების მომენტისათვის (დაბადების ადგილის მიუხედავად) საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცნობია.

იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა, თუმცა ბავშვის დაბადების მომენტისათვის ორივე მშობელი ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, ასეთ პირობებში საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი უნდა გადაწყდეს მშობელთა შეთანხმებით. მაგრამ თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ, ბავშვის მოქალაქეობის საკითხი წყდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ბავშვი დაიბადა.

ა) **დაბადებით მოქალაქეობის შეძენა ტერიტორიული ანუ ნიადაგის პრინციპების** საფუძველზე, არ უკავშირდება ბავშვის მშობლების მოქალაქეობას. ამ დროს პირს ენიჭება იმ სახელმწიფოს მოქალაქეობა, რომლის ტერიტორიაზეც დაიბადა იგი. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს „ნიადაგის“ პრინციპის ცალკეულ შემთხვევებს. საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა ბავშვებს მიენიჭებათ საქართველოს მოქალაქეობა, თუ ისინი დაიბადნენ საქართველოს ტერიტორიაზე;

ბ) **ნატურალიზაციით** მოქალაქეობის შეძენა ნიშნავს, რომ უცხო სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი ხდება საქართველოს მოქალაქე.

დაბადებით მოქალაქეობის შეძენისაგან განსხვავებით, ნატურალიზაციას ახასიათებს თავისებურებები.

ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მისაღებად პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მუდმივად ცხოვრობდეს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 10 წლის მანძილზე;

ბ) დადგენილ ფარგლებში იცოდეს ქართული ან აფხაზური ენა;

გ) დადგენილ ფარგლებში იცოდეს საქართველოს ისტორია და კანონმდებლობა;

დ) საქართველოში ჰქონდეს სამუშაო ადგილი ან რაიმე უძრავი ქონება. კანონით დაშვებულია ცალკეული კატეგორიის პირების გათავისუფლების შესაძლებლობა ამ პირობების შესრულებისაგან. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტს, გამონაკლისის სახით, უფლება აქვს ზემოთ აღნიშნული პირობების შეუსრულებლად მიიღოს საქართველოს მოქალაქედ პირი, თუ:

ა) კაცობრიობისა და საქართველოს წინაშე მიუძღვის განსაკუთრებული დამსახურება თავისი სამეცნიერო-საზოგადოებრივი საქმიანობით, ან აქვს საქართველოს ინტერესების შესაბამისი პროფესია და კვალიფიკაცია;

ბ) მისი მიღება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მოქალაქეობის შეძენას **საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.**

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად, მოქალაქეობის მისაღებად შეიძლება გათვალისწინებული იყოს საქართველოს მოქალაქეობის შეძენის ისეთი საფუძვლები, რომელიც კანონში არ არის ჩამოთვლილი.

სხვა საფუძვლებით საქართველოს მოქალაქეობის შეძენა კი გულისხმობს შემდეგ შემთხვევებს:

ა) ორივე მშობლის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღებისას მათი 14 წელს მიუღწეველი ბავშვებიც ხდებიან საქართველოს მოქალაქეები;

ბ) თუ საქართველოს მოქალაქეობა შეიძინა ერთ-ერთმა მშობელმა, მეორე კი რჩება სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ, მაშინ 14 წელს მიუღწეველი ბავშვებიც მშობელთა ერთობლივი შუამდგომლობით შეიძლება გახდნენ საქართველოს მოქალაქეები;

გ) თუ ერთ-ერთი მშობელი იძენს საქართველოს მოქალაქეობას, ხოლო მეორე რჩება მოქალაქეობის არმქონე პირად, ბავშვი ხდება საქართველოს მოქალაქე;

დ) ბავშვი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირია და მას შვილად აიყვანენ საქართველოს მოქალაქეები, ხდება საქართველოს მოქალაქე;

ე) პირი, რომელიც დაქორწინდება საქართველოს მოქალაქეზე, ან მასთან ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე სამი წლის გან-

მავლობაში, შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ შეღავათიანი პირობებით.

საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა;

ბ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;

გ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

საქართველოს სახელმწიფო ცნობს საქართველოს მოქალაქის უფლებას მოქალაქეობიდან გასვლაზე. თუმცა ამ უფლების რეალიზაციისათვის აუცილებელია კანონით განსაზღვრული პირობების დაცვა. კერძოდ, პირი საქართველოს მოქალაქეობიდან გავა, თუ საქართველოს სახელმწიფოს წინაშე არა აქვს შეუსრულებელი მოვალეობა, მოხდილი აქვს სამხედრო სამსახური და არ გააჩნია ისეთი ქონებრივი ვალდებულებები, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქეთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებით ინტერესებთან.

მოქალაქეობიდან გასვლა არ შეიძლება, თუ პირი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისმგებაში ან მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება.

საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა განიხილება, როგორც სახელმწიფო-სამართლებრივი სანქციის თავისებური ფორმა იმ პირის მიმართ, რომელმაც საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ყოფნის პერიოდში უხეშად დაარღვია სამოქალაქო ვალდებულებები ან ჩაიდინა საქართველოს მოქალაქეობის კანონმდებლობისათვის შეუთავსებელი მოქმედებები. მაგალითად, პირი დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ: საქართველოს კომპეტენტური ორგანოების უნებართვოდ შევა უცხო სახელმწიფოს სამხედრო სამსახურში, პოლიციაში, იუსტიციის ორგანოებსა და მმართველობის სხვა ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში; ასევე, თუ მუდმივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე 2 წლის განმავლობაში, საქართველოს მოქალაქეობას შეიძენს ყალბი დოკუმენტებით.

სხვა საფუძველზე საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა შეიძლება გამოიწვიოს არსებითად მხოლოდ ერთმა გარემოებამ: 14 წელს მიღწეული ბავშვის მშობლების საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლამ,

რომლის დროსაც შესაბამისად იცვლება ბავშვის მოქალაქეობაც.

მშობლების მოქალაქეობის შეცვლისას და შვილად აყვანისას ბავშვების მოქალაქეობა 14-დან 18 წლამდე შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მათი თანხმობით.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია და 1993 წლის საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონი აწესრიგებს მოქალაქეობის არმქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებს. მოქალაქეობის არმქონე პირი გულისხმობს ადამიანს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და ასევე არ გააჩნია სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობისადმი თავისი კუთვნილების მტკიცებულებები.

საქართველოს მოქალაქეობის შეძენისა და შეწყვეტის საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ღებულობს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებულ განცხადებასა და წარდგინებას წინასწარ იხილავს და ამზადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რომლის კოლეგიაზეც მტკიცდება შესაბამისი დასკვნა მოქალაქეობის საკითხთა წინასწარი განხილვის თაობაზე.

საქართველოს მოქალაქეობის შეძენის, შეწყვეტის ან აღდგენის შესახებ განცხადების ან წარდგინების დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილებისას — განკარგულებას.

საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტებია მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი. აღნიშნული დოკუმენტები პირს მიეცემა 16 წლის ასაკიდან.

საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტებს გასცემს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები, ხოლო სხვა სახელმწიფოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეზე პასპორტი გაიცემა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულებების მიერ.

§2. კონსტიტუციური უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების სისტემა

ყველა კონსტიტუციური უფლება, თავისუფლება და მოვალეობა

ქმნის სისტემას, რომლის ელემენტები, როგორც წესი, მიმართულია უმეტესად ადამიანის ქცევის განსაზღვრულ სფეროზე და მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები შეიძლება დავყოთ სამ ძირითად ჯგუფად. ესენია: 1. პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები; 2. სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და თავისუფლებები; 3. პირადი უფლებები და თავისუფლებები.

1. პოლიტიკურ უფლებათა და თავისუფლებათა რიცხვს განეკუთვნება: ა) მოქალაქეთა სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლება როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლობის მეშვეობით; ბ) ყველა მოქალაქის თანაბარი უფლებაა დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ ის აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს; გ) რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება; დ) გაერთიანების უფლება, რაც გამოიხატება კანონით დადგენილ ფარგლებში ნებისმიერი საზოგადოებრივი გაერთიანების, პროფესიული კავშირის, პოლიტიკური პარტიისა და სხვა პოლიტიკური გაერთიანების შექმნაში; ე) ინფორმაციის უფლება, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს სიტყვისა და აზრის თავისუფლებას, ბეჭდვისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების თავისუფლებას, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მიღების უფლებას, ნებისმიერი კანონიერი საშუალებით ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას; ვ) შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებას.

კანონმდებლობით გათვალისწინებულია ამ უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობა, თუ მათი რეალიზაცია საფრთხეს უქმნის სახელმწიფო უშიშროებას, ტერიტორიულ მთლიანობას ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას.

2. **სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და თავისუფლებები** მოქალაქეებს ანიჭებს შესაძლებლობას სახელმწიფოსაგან გარკვეულ პირობებში მიიღონ სათანადო მატერიალური მდგომარეობა და განსაზღვრონ ადამიანების იურიდიული შესაძლებლობები ეკონომიკურ სფეროში. ეს უფლებები და თავისუფლებებია:

ა) შრომის თავისუფლება;

ბ) სოციალური უზრუნველყოფის უფლება;

გ) გაფიცვის უფლება;

ე) ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების უფლება;

ვ) საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება;

ზ) ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება;

თ) კულტურულ ცხოვრებაში თავისუფალი მონაწილეობისა და კულტურული ფასეულობებით სარგებლობის უფლება.

3. **პირადი (სამოქალაქო) უფლებები და თავისუფლებები** არის ბუნებრივი და ფუძემდებლური უფლებებისა და თავისუფლებების ერთობლიობა, რომელიც ქმნის სწორედ ადამიანის მთელი სამართლებრივი სტატუსის საფუძველს.

საქართველოს კონსტიტუციით პირად უფლებებსა და თავისუფლებებს მიეკუთვნება:

ა) სიცოცხლის უფლება, რაც ნიშნავს, რომ არც ერთ ადამიანს, როგორი მოქმედებაც არ უნდა ჩაიდინოს მან, მაინც არ შეიძლება წაერთვას სიცოცხლე, სახელმწიფოს მიერაც კი. 1997 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა გააუქმა სიკვდილით დასჯა.

ბ) ადამიანის თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება, რაც გულისხმობს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე პირის დაკავების ან დაპატიმრების აკრძალვას.

გ) ღირსებისა და პატივის ხელშეუხებლობა;

დ) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რაც გულისხმობს მიმოწერის, ყველა სახის საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილებისა და სხვა კავშირების საიდუმლოების დაცვას, ბინის ხელშეუხებლობას;

ე) პიროვნებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი გადაადგილების, ასევე საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება;

ვ) სახელმწიფო დაწესებულებაში მათზე არსებული ინფორმაციის გაცნობის უფლება, თუ ეს ინფორმაცია არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას;

ზ) სასამართლო წესით დაცვის უფლება;

თ) სინდისის, აღმსარებლობისა და რელიგიის თავისუფლება.

ადამიანის უფლებების უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური პრინციპია უდანაშაულობის პრეზუმფცია რაც ნიშნავს, რომ ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

ყველა უფლება და თავისუფლება თავისთავად წარმოადგენს არა

მხოლოდ მოქალაქის თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობას, არამედ მის მოვალეობასაც – განახორციელოს ისინი კანონის ფარგლებში და მათი რეალიზაციის პროცესში არ დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები. ამ ზოგადი დებულების გარდა, კონსტიტუციამ ცალკე გამოყო კონკრეტული მოვალეობის ნუსხა. ესენია:

ა) საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დაცვა;

ბ) ქვეყნის დაცვის მოვალეობა, რაც მისი შინაარსის პირდაპირი გაგების გარდა, გულისხმობს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლას;

გ) მოქალაქეთა მიერ სახელმწიფო გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.

დ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებისათვის ზრუნვა.

საქართველოს კონსტიტუციამ სათავე დაუდო მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში ახალი ინსტიტუტის დამკვიდრებას საქართველოს სახალხო დამცველის სახით.

საქართველოს სახალხო დამცველი აირჩევა 5 წლის ვადით საქართველოს პარლამენტის მიერ. მის უფლებამოსილებას შეადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელება. მას შეიძლება მიმართოს ნებისმიერმა მოქალაქემ. კანონის დარღვევის ან ბოროტმოქმედების გამოვლენის შემთხვევაში სახალხო დამცველი უფლებამოსილია, მიუთითოს შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს და შესთავაზოს მათი გამოსწორება. უარის თქმის შემთხვევაში მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს ან პარლამენტს. მისი საქმიანობისათვის დაბრკოლების შექმნა კანონით ისჯება.

§3. უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლები

საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეების გარდა, იმყოფებიან ასევე უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები.

უცხოელების სხვადასხვა კატეგორიის სამართლებრივი მდგომარეობა ერთნაირი როდია. მაგალითად, არსებობს პირთა შეზღუდული წრე, რომლებსაც განსაკუთრებული პრივილეგიები და იმუნიტეტი (მაგალითად, დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების თანამშრომლები, მათი ოჯახის წევრები და სხვა) გააჩნიათ. ამ პირე-

საქართველოში აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებები ერთმანეთს არ ემთხვევა. კერძოდ, აქტიური საარჩევნო უფლება ყველა მოქალაქეს ენიჭება 18 წლის ასაკიდან, იმ პირის გარდა, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლო განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში. პასიური საარჩევნო უფლების მიღება კი დაკავშირებულია გარკვეულ ასაკობრივ ცენზთან. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობით მოქალაქე პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩიონ 25 წლის ასაკიდან.

ცენტრალური ადგილი არჩევნების შესახებ არსებულ ნორმებს შორის ეკუთვნის საქართველოს საარჩევნო სისტემის კონსტიტუციურ პრინციპებს, რომელთა მიხედვით საქართველოში არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. ამ პრინციპებმა უნდა განაპირობოს სწორედ მოსახლეობის ფართო მასების მონაწილეობის უზრუნველყოფა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში.

საყოველთაოობა მოქმედი საარჩევნო სისტემის უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული პრინციპია, რაც ნიშნავს, რომ სუბიექტური საარჩევნო უფლება ენიჭება ყველა მოქალაქეს გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ, იმ პირების გარდა, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.

არჩევნების საყოველთაობის ერთ-ერთი გარანტიაა ამომრჩეველთა სიების შედგენის წესი.

თანასწორობის პრინციპი ავსებს და ავითარებს არჩევნების საყოველთაობას.

აღნიშნულის უზრუნველყოფა ხდება იმით, რომ ამომრჩეველი შეიძლება შეყვანილ იქნეს მხოლოდ ერთ სიაში და მის მიხედვით ხმა მისცეს მხოლოდ ერთხელ. ყველა ამომრჩეველი, არჩევნების შესახებ კანონის 33-ე და 55-ე მუხლში აღნიშნული შემთხვევების გარდა, კენჭისყრის დროს ავსებს ორ ბიულეტენს: ერთ ბიულეტენს, რომელშიც მაჟორიტარული წესით წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატებია შეტანილი და მეორე ბიულეტენს, რომელშიც პროპორციული წესით დასახელებული პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო ბლოკებია.

აღსანიშნავია, რომ არც ერთი ამომრჩეველი არ სარგებლობს რაიმე პრივილეგიით.

პირდაპირი არჩევნები დეპუტატსა და ამომრჩეველს შორის მჭიდრო კავშირის უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომლის თანახმად დეპუტატები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში აირჩევიან უშუალოდ ამომრჩევლების მიერ, ე.ი. ყოველგვარი შუალედური არჩევნების გარეშე, როგორც ეს ხდება მრავალსაფეხურიანი სისტემის დროს.

არჩევნების ასეთი წესის დროს ამომრჩეველი მხოლოდ პირადად აძლევს ხმას. სხვა პირის ნაცვლად ხმის მიცემა დაუშვებელია.

ფარული კენჭისყრა საქართველოს საარჩევნო სისტემის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომელიც გულისხმობს ისეთ წესს, რომლის დროსაც ამომრჩეველი აძლევს ხმას სხვა პირებისაგან დამოუკიდებლად და ჩაურევლად.

ფარული კენჭისყრა ამომრჩეველთა თავისუფალი ნების გამოხატულების გარანტიაა. კენჭისყრა ეწყობა ამისათვის საგანგებოდ გამოყოფილ შენობებში, სადაც საკმაო რაოდენობით არის მოწყობილი კაბინები ან ოთახები. ბიულეტენების შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება, მათ შორის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისაც. თუმცა, კანონი ამ შემთხვევაშიც უშვებს გამონაკლისს. კერძოდ, ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი, უფლება აქვს კაბინაში ან ოთახში მიიწვიოს ნებისმიერი პირი, საარჩევნო კომისიის წევრის, ნდობით აღჭურვილი პირის, არჩევნებში მონაწილე პარტიის წევრის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებულისა და მეთვალყურის გარდა.

საარჩევნო პროცესი გულისხმობს საარჩევნო კანონმდებლობის საფუძველზე არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის უფლებამოსილი სუბიექტების საქმიანობას.

საარჩევნო პროცესი იწყება არჩევნების თარიღის დადგენიდან, რომელსაც აწესებს საქართველოს პრეზიდენტი.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ იმ პარტიას, რომლის ინიციატივაც დადასტურებულია 50 000 ამომრჩევლის ხელმოწერით, ან რომელსაც არჩევნების დანიშვნის დროისათვის ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში; მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში კი წარდგენის უფლების მქონე პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ კანდიდატს, ასევე პირს, რომლის არჩევნებში მონაწილეობის ინიციატივა დადას-

ტურებულია 1000 ხელმოწერით მაინც, ან პირს, რომელიც ბოლო არჩევნებში არჩეული იყო პარლამენტის წევრად.

წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები ტარდება საარჩევნო ერთეულების მიხედვით.

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გათვალისწინებით, იქმნება 85 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი.

ორგანოები, რომლებიც ხელმძღვანელობენ არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პროცესს, საარჩევნო კომისიები ეწოდებათ.

საარჩევნო კომისიებს ეკისრებათ ძირითადი ფუნქციები არჩევნების ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის. ისინი ახორციელებენ კონტროლს საარჩევნო კანონმდებლობის ზუსტად შესრულებაზე, რეგისტრაციაში ატარებენ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს, ადგენენ ამომრჩეველთა სიებს, ორგანიზაციას უკეთებენ ხმის მიცემასა და უზრუნველყოფენ ხმების დათვლას, იხილავენ არჩევნების მომზადებასა და ჩატარების საკითხებთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს.

საარჩევნო კომისიები თავისი მიზნობრივი დანიშნულებისა და ძირითადი ფუნქციების მიხედვით შეიძლება დავყოთ 3 ჯგუფად:

ა) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

ბ) საოლქო საარჩევნო კომისია;

გ) საუბნო საარჩევნო კომისია.

რეგისტრაციის შემდეგ დეპუტატობის კანდიდატები სარგებლობენ ხელშეუხებლობით, კერძოდ, არჩევნების შედეგების შეჯამებამდე ისინი არ შეიძლება მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დააკავონ, დააპატიმრონ ან გაჩხრიკონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობის გარეშე, თუ პარლამენტის წევრობის კანდიდატს არ წაასწრებენ დანაშაულის ადგილზე. თუმცა აქაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

რეგისტრაციის შემდეგ არჩევნების ჩატარების დღემდე პარტიებს, საარჩევნო ბლოკებსა და დეპუტატობის კანდიდატებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო კამპანიაში. ამ მიზნით შეუძლიათ ისარგებლონ უფასო საერთო დროით, რომელიც თანაბრადაა განაწილებული მათ შორის, ასევე დაამზადონ წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფურცლები, ფოტომასალები (პლაკატები) და ა.შ.

არჩევნების დღეს წინასაარჩევნო აგიტაციის ჩატარება დაუშვებელია.

კენჭისყრა წარმოებს არჩევნების დღეს დადგენილი დროის განმავლობაში.

კენჭისყრის დამთავრების შემდეგ ხდება ხმების დათვლა. სწორედ აქ იჩენს თავს საქართველოს საარჩევნო სისტემის სპეციფიკა. როგორც ცნობილია, არსებობს საარჩევნო სისტემის შემდეგი სახეები: 1) მაჟორიტარული და 2) პროპორციული. საქართველოში გამოიყენება ორივე ეს სისტემა, ანუ საარჩევნო სისტემის შერეული ფორმა.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის დროს საარჩევნო ოლქში წარმოდგენილია თითო კანდიდატი ყველა პოლიტიკური ორგანიზაციიდან ან დამოუკიდებელი კანდიდატი. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობას იმ ოლქში, სადაც ის იყრიდა კენჭს, მაგრამ არანაკლებ კენჭისყრის მონაწილეთა ერთი მესამედის.

პროპორციული სისტემით კი დეპუტატობის მანდატები ნაწილდება არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის მათი საარჩევნო სიებისათვის მიცემულ ხმათა პროპორციული რაოდენობის მიხედვით. ასეთი სისტემისას ამომრჩეველი ხმას აძლევს ამა თუ იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის სიას, ხოლო მოცემული სიიდან არჩეულად ითვლება კანდიდატთა ის რაოდენობა, რომელიც შეესაბამება ამ სიისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობას.

საქართველოში პროპორციული სისტემით არჩევნებისას სავალდებულოდ გამოცხადდა ამომრჩეველთა შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვა.

ხმების დათვლის პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცედურაა გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტენების დათვლა, რადგან თუ ბიულეტენი კანონის შესაბამისად არ არის შევსებული, იგი საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ ბათილად ჩაითვლება. ბათილად ითვლება ისეთი ბიულეტენი, რომლის მიხედვითაც შეუძლებელია დადგინდეს, თუ რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.

ბათილად შეიძლება ცნობილ იქნეს არა მხოლოდ ბიულეტენი, არამედ საარჩევნო უბნებში ჩატარებული არჩევნებიც. ამ შემთხვევაში ცენტრალური საარჩევნო კომისია ნიშნავს ხელახალ კენჭისყრას, რომელიც უნდა ჩატარდეს ორი კვირის ვადაში.

§2. საქართველოს პარლამენტი

საქართველოს კონსტიტუცია (48-ე მუხლი) ახასიათებს საქართველოს პარლამენტს, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების განმახორციელებელ ორგანოს. პარლამენტი საკანონმდებლო წესით არეგულირებს ქვეყნის ცხოვრებას და ხელს უწყობს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

საქართველოს არც ერთი კანონი არ შეიძლება იქნეს მიღებული, თუ იგი არ არის განხილული და მოწონებული პარლამენტის მიერ, ხოლო თვით პარლამენტს საქართველოს უფლებამოსილების ფარგლებში სრული და განუსაზღვრელი კომპეტენცია გააჩნია საკანონმდებლო სფეროში.

პარლამენტი აირჩევა 4 წლის უფლებამოსილების ვადით, რომელიც შედგება 235 წევრისაგან. აქედან, 150 პარლამენტის წევრი აირჩევა პროპორციული, ხოლო 85 მაჟორიტარული სისტემით, მაგრამ არსებობს სხვა, კერძოდ, კონსტიტუციის მე-11 მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი. ამასთან, საგულისხმოა, რომ რესპუბლიკის საბჭო დაკომპლექტდება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან, სენატი კი — აფხაზეთში, აჭარასა და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან.

ა) **საქართველოს პარლამენტის კომპეტენცია.**

პარლამენტის კომპეტენცია ნიშნავს მისი იურიდიულად დადგენილი უფლებამოსილებების ერთობლიობას, რომლითაც განისაზღვრება მისი ადგილი და როლი სახელმწიფო ორგანოთა ერთიან სისტემაში.

საქართველოს პარლამენტის კომპეტენცია საკმაოდ მრავალფეროვანია. კერძოდ, არსებობს პარლამენტის უფლებამოსილებები: საკანონმდებლო, საფინანსო, მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის (კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში), სახელმწიფო ორგანოების ფორმირების სფეროებში.

ბუნებრივია, რომ საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებათა

გამოვლინება საკანონმდებლო ხასიათს ატარებს, რადგან, ჯერ ერთი, იგი საკანონმდებლო ხელისუფლების განმახორციელებელი უმაღლესი ორგანოა და, მეორე, მხოლოდ მისი პრეროგატივაა კანონის მიღების უფლება.

საქართველოს პარლამენტის კანონები მიიღება განსაკუთრებული წესით, რომლის რეალიზაციაც ხდება საკანონმდებლო პროცესში. საქართველოში საკანონმდებლო პროცესი შედგება რამდენიმე სტადიისაგან.

პირველი სტადია ეს არის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების განხორციელება, ანუ ის, თუ ვის გააჩნია პარლამენტში განსახილველად კანონპროექტის შეტანის უფლება. საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის თანახმად, საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: საქართველოს პრეზიდენტს, პარლამეტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30 000 ამომრჩეველს.

მეორე სტადია მოიცავს **კანონპროექტის განხილვას** პარლამენტში. ეს განხილვა ხდება სამი წაკითხვით.

პირველი წაკითხვისას განიხილება მისი ძირითადი დებულებები, საკითხი მისი მიღების აუცილებლობის შესახებ ყალიბდება კანონპროექტის კონცეფციის ზოგადი შეფასებით.

მეორე წაკითხვისას კანონპროექტი განიხილება თავების, მუხლების ან მუხლთა ნაწილების მიხედვით. მეორე წაკითხვით მიღებული კანონპროექტი იგზავნება შესაბამის კომიტეტში საბოლოო რედაქტირებისათვის და ინიშნება მესამე მოსმენის თარიღი.

მესამე სტადია არის კანონის მიღება.

მესამე წაკითხვით კანონპროექტში შეუძლიათ მხოლოდ რედაქციული ხასიათის ცვლილებების შეტანა. სხვა რაიმე ცვლილებები არ დაიშვება.

საქართველოს კონსტიტუციური კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სრული შემადგენლობის 2/3. ორგანული კანონპროექტი მიღებულია, თუ მას მხარს უჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

მეოთხე სტადიაზე ხორციელდება კანონის ხელმოწერა და გამოქვეყნება. პარლამენტის მიერ მიღებული კანონი 5 დღის ვადაში გადაეცემა პრეზიდენტს, რომელმაც 10 დღის ვადაში ხელი უნდა მოაწეროს და გამოაქვეყნოს იგი.

თუ პრეზიდენტი 10 დღის ვადაში არ მოაწერს ხელს და უარყ-

ოფს მას, მაშინ იმავე ვადაში, თავისი მოტივირებული შენიშვნებით, უკან უბრუნებს კანონს პარლამენტს. სახეზეა პრეზიდენტის სუსპენსიური ვეტოს უფლების გამოყენება.

პარლამენტი კენჭს უყრის პრეზიდენტის შენიშვნებს უკან დაბრუნებული კანონის შესახებ, რომელთა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ სახის კანონპროექტისათვისაა დადგენილი. თუ პარლამენტი მიიღებს შენიშვნებს, კანონის საბოლოო რედაქცია გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 7 დღის ვადაში აწერს ხელს და აქვეყნებს მას.

იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტმა არ მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონის პირვანდელ რედაქციას. კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი.

თუ პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნებს კანონს, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

აქტების სხვა სახე, რომელსაც ღებულობს საქართველოს პარლამენტი, **დადგენილებაა.**

ბ) პარლამენტის შინაგანი სტრუქტურა.

საქართველოს პარლამენტის საქმიანობის წესი, შინაგანი სტრუქტურა და მუშაობის ორგანიზაცია განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციითა და პარლამენტის რეგლამენტით.

საქართველოს პარლამენტის სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგი სახით:

1. საქართველოს **პარლამენტის თავმჯდომარე** და მისი მოადგილეები წარმოადგენენ პარლამენტის ხელმძღვანელ თანამდებობის პირებს. მათ შორის თითო მოადგილეს ირჩევენ აფხაზეთიდან და აჭარიდან მათივე წარდგინებით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილება საკმაოდ ფართოა. იგი უძღვება პარლამენტის მუშაობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას, საერთო კორდინაციას უწევს პარლამენტის კომიტეტების საქმიანობას, ხელს აწერს პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს, იწვევს პარლამენტის ბიუროს სხდომებს, უფლებამოსილია მოაწყოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა, პარლამენტს წარუდგენს კანდიდატურებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობაზე ასარჩევად და ასრულებს

რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, პარლამენტის გადაწყვეტილებათა ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის მიზნით, პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით ქმნის კომიტეტებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — ქვეკომიტეტებს.

კომიტეტები, როგორც წესი, ადგენენ კანონპროექტებისა და პარლამენტის სხვა აქტების წინასწარ განხილვას, იძლევიან დასკვნებს სხვადასხვა თანამდებობაზე პირების არჩევისას ან დანიშვნისას.

კომიტეტის შემადგენლობაში შეიძლება იყოს მხოლოდ პარლამენტის წევრი. პარლამენტის წევრს შეუძლია იყოს არა უმეტეს ორი კომიტეტის წევრი. კომიტეტის შემადგენლობაში არ შეიძლება იქნენ არჩეულნი: პარლამენტის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები ან სხვა თანამდებობის პირები, რომლებსაც ნიშნავს ან ამტკიცებს პარლამენტი.

პარლამენტის კომიტეტის ამოცანები და ფუნქციებია:

ა) საკანონმდებლო საქმიანობის წარმართვა: პარლამენტის აქტების პროექტების შემუშავება პარლამენტის დავალებით ან საკუთარი ინიციატივით;

ბ) კანონპროექტის წინასწარი განხილვა და დასკვნების მომზადება;

გ) კანონპროექტების საბოლოო დამუშავება პარლამენტის მიერ პირველი, მეორე ან მესამე წაკითხვით მიღების შედეგად;

დ) სახელმწიფო ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების წინასწარი განხილვა;

ე) იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების წინასწარი განხილვა, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციით აირჩევიან, ინიშნებიან და მტკიცდებიან საქართველოს პარლამენტის მიერ, მოცემული პირების მიმართ შესაბამისი დასკვნების მომზადება და სხვა.

საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის თანახმად, პარლამენტის კომიტეტს გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება პარლამენტში.

3. საქართველოს კონსტიტუციის 57-ე მუხლის საფუძველზე პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციისათვის იქმნება პარლამენტის ბიურო. მის შემადგენლობაში შედიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები.

პარლამენტის ბიურო შეიმუშავებს მორიგ სესიაზე პარლამენტის საერთო მუშაობის პროექტს; ქმნის მომავალ თვეში განსახილველ საკითხთა კალენდარს; პარლამენტის დასამტკიცებლად ადგენს მის ბიუჯეტს, კონტროლს უწევს პარლამენტის დადგენილებების შესრულებას და მიღებული კანონების ადგილზე ამოქმედების მდგომარეობას; ამტკიცებს ფუნქციათა განაწილებას პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეებს შორის; რეგისტრაციაში ატარებს საპარლამენტო ფრაქციებსა და ამის შესახებ აცნობებს პარლამენტს; აწესრიგებს პრესაში კანონპროექტების გამოქვეყნების საკითხებს; იღებს გადაწყვეტილებებს სხვა საკითხებთან დაკავშირებით პარლამენტის რეგლამენტის საფუძვლებზე.

4. საქართველოს პარლამენტის წევრები ქმნიან პარლამენტის წევრთა გაერთიანებებს. პარლამენტის წევრების გაერთიანებას პარლამენტის შემადგენლობაში ეწოდება საპარლამენტო ფრაქცია. საპარლამენტო ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს ათზე ნაკლები. საპარლამენტო ფრაქციებში დეპუტატების გაერთიანება განპირობებულია მათი საერთო ინტერესებით.

საპარლამენტო ფრაქციის უფლებამოსილებები ძირითადად პარლამენტის პროცედურულ საქმიანობასთან დაკავშირებით ვლინდება. თუმცა საპარლამენტო ფრაქციას გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლებაც, თავისი წარმომადგენლების მეშვეობით მონაწილეობს პარლამენტის კომიტეტებისა და პარლამენტის ბიუროს მუშაობაში, აქვს სახელობითი კენჭისყრის ჩატარების მოთხოვნის უფლება და სხვა.

გ) საქართველოს პარლამენტის წევრი.

საქართველოს პარლამენტის წევრი ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენელია, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს საკანონმდებლო ხელისუფლება პარლამენტში.

საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე.

ერთი და იგივე პირი არ შეიძლება ერთდროულად იყოს პარლამენტის წევრი და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების ან ადგილობრივი თვითმმართველობის დეპუტატი.

საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის საფუძველზე პარლამენტის წევრის უფლებამოსილება ვადამდე წყდება, თუ:

ა) პირადი განცხადებით უფლებამოსილება მოეხსნა;
ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
გ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
დ) დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა, ან ეწევა სხვა საქმიანობას;
ე) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;
ვ) არასაპატიო მიზეზით 4 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში;
ზ) გარდაიცვალა.

პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სხვა სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას.

პარლამენტის წევრები სარგებლობენ თავისუფალი მანდატით. თავისუფალი მანდატი ეს არის წესი, რომლის თანახმად პარლამენტის წევრი არ არის დაკავშირებული ამომრჩეველთა განაწესებთან და არ არის პასუხისმგებელი მათ წინაშე. შესაბამისად, არ არსებობს ამომრჩეველთა მიერ პარლამენტის წევრის ვადამდე გაწვევის შესაძლებლობა.

აქედან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის წევრი არის არა კონკრეტული საარჩევნო ოლქის წარმომადგენელი, არამედ მთელი სახელმწიფოსი.

საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები. დეპუტატის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

პარლამენტის წევრს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს შეუძლია შეიტანოს კანონპროექტი საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ.

პარლამენტის წევრი სარგებლობს ხელშეუხებლობით. არ შეიძლება მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა პარლამენტის თანხმობის გარეშე.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცე-

მაზე იმ ფაქტის გამო, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სადეპუტატო უფლებამოსილების შესრულების პროცესში.

დ) საქართველოს პარლამენტის სესიები და სხდომები.

საქართველოს პარლამენტის ორგანიზაციული მუშაობის ძირითად ფორმას წარმოადგენს სასესიო მუშაობა.

საპარლამენტო სესია ეს არის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ტარდება პარლამენტის პლენარული სხდომები.

საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ – საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიებზე.

სესიებს, რომლებიც მოიწვევა დადგენილ რაოდენობაზე მეტად და უჩვეულო პერიოდში (სესიებს შორის პერიოდში), საგანგებო სესიები ეწოდება. საგანგებო სესია შეიძლება იყოს რიგგარეშე ანუ ექსტრაორდინალური. რიგგარეშე სესიებს იწვევს საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის, დეპუტატთა არანაკლებ მეოთხედის ან საკუთარი ინიციატივით. საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესია უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს ერთი დღისა პარლამენტის მორიგი სხდომის დაწყებამდე.

პარლამენტის რიგგარეშე სხდომის ჩატარების პრაქტიკაც არსებობს, რომელიც მოიწვევა იმავე წესით, როგორც რიგგარეშე სესია. რიგგარეშე სხდომისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი ტარდება მხოლოდ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სხდომები ტარდება საჯაროდ.

მუშაობა პარლამენტში მიმდინარეობს ქართულ ენაზე. პარლამენტის სხდომა უფლებამოსილად ჩაითვლება, თუ მას ესწრება დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. ამიტომ ყოველი სხდომის დაწყების წინ ეწყობა პარლამენტის წევრთა რეგისტრაცია.

პარლამენტის გადაწყვეტილებები მის სხდომებზე მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით. ღია კენჭისყრა შეიძლება იყოს სახელობითი. პარლამენტის ყველა წევრი ხმას აძლევს პირადად. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია იმავე სხდომაზე განმეორებითი კენჭისყრის ჩატარება.

§3. საქართველოს პრეზიდენტი

ა) საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი სტატუსი, არჩევისა და თანამდებობიდან გადაყენების წესი

საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური.

საქართველოს პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის სტატუსის განმტკიცებით საქართველოს კონსტიტუცია განზოგადებული სახით აკონკრეტებს ამასთან დაკავშირებულ ფუნქციებს.

საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიას.

საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი წესით საქართველოს პრეზიდენტი ღებულობს ზომებს საქართველოს სუვერენიტეტის, მისი დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი ერთიანობის დაცვის მიზნით.

ამ ფუნქციების უკეთ რეალიზაციის მიზნით, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

როგორც სახელმწიფოს მეთაური, პრეზიდენტი საქართველოს წარმომადგენელია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საგარეო ურთიერთობებში.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტად არჩევისათვის დადგენილია, ე.წ. „არათანაბარი მოქალაქეობის" პრინციპი. საქმე ისაა, რომ საქართველოს პრეზიდენტად არჩევის უფლება აქვს არა მის ყველა მოქალაქეს, არამედ მხოლოდ დაბადებით საქართველოს მოქალაქეს 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.

კონსტიტუცია ითვალისწინებს, რომ ერთსა და იმავე პირს არ

შეიძლება ეკავოს პრეზიდენტის თანამდებობა ზედიზედ ორ ვადაზე მეტად.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ინაუგურაციის, ანუ თანამდებობის დაკავების პროცედურა, რომელიც იმართება პრეზიდენტის არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს.

ინაუგურაცია გამოიხატება პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებით საზეიმო ვითარებაში, რომელიც ხორციელდება ხალხის წინაშე.

საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალია, ე.ი. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

მაგრამ კონსტიტუციით გათვალისწინებულია იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების ინსტიტუტი.

საკითხის აღძრის მიზეზი ხდება პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფო ღალატისა და სხვა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევები. ამ კატეგორიებს მკაცრი იურიდიული შინაარსი აქვს, არ შეიძლება მათი თვითნებური ახსნა-განმარტება და კვალიფიკაციურ სამართლებრივ შეფასებას ექვემდებარება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ან საქართველოს უზენაესი სასამართლო, რომელსაც ქვემდებარეობის მიხედვით აქვს გადაცემული საკითხი დასკვნისათვის, უგზავნის პარლამენტს თავის დასაბუთებულ დასკვნას. თუ დასკვნით დასტურდება პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, ან კონსტიტუციის დარღვევა, პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, რომ კენჭისყრაზე დაისვას იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი.

პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

პრეზიდენტმა ვადამდე შეიძლება შეწყვიტოს თავისი უფლებამოსილების შესრულება: გადადგომის ან ჯანმრთელობის გაურესებისას, როცა ვეღარ ასრულებს დაკისრებულ უფლებამოსილებებს. ყველა შემთხვევაში, დროებით მისი მოვალეობის შესრულება ეკისრება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.

ბ) საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენცია

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები ყველაზე უფრო ფართოა აღმასრულებელი ხელისუფლების ჩამოყალიბებასა და განხორციელებასთან დაკავშირებით.

საქართველოს პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების მიზნით აყალიბებს მთავრობის შემადგენლობას.

ამასთან, აღსანიშნავია რომ, მართალია, საქართველოს კონსტიტუციაში გვხვდება ტერმინი „მთავრობა", მაგრამ მას, ისევე როგორც ყველა საპრეზიდენტო რესპუბლიკაში, უფრო პირობითი ხასიათი გააჩნია, ვიდრე ფაქტობრივი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან საქართველოს მთავრობა, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი კოლეგიური ორგანო, თავისი პირდაპირი მნიშვნელობით, არ არსებობს. საქართველოს მთავრობას, როგორც ასეთს, არ გააჩნია საკუთრივ მისი სამართლებრივი სტატუსი და კომპეტენცია, არა აქვს კანონქვემდებარე აქტების გამოცემის უფლება და ა.შ.

საქართველოში აღმასრულებელი ხელისუფლება მთელი თავისი სისრულით ეკუთვნის საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც ახორციელებს მას ერთპიროვნულად. მთავრობას ფაქტობრივად გააჩნია პრეზიდენტთან არსებული სათათბირო ორგანოს ხასიათი. სწორედ ამიტომ არის, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ ახასიათებს საქართველოს პრეზიდენტს, როგორც მთავრობის მეთაურს.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა არ წარმოადგენს კოლეგიურ აღმასრულებელ ორგანოს და არ გააჩნია საპარლამენტო რესპუბლიკაში არსებული მთავრობისათვის დამახასიათებელი კონსტიტუციური შესაძლებლობები, მაინც დიდია მისი წვლილი საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტურად განხორციელების საქმეში.

მთავრობის წევრები — მინისტრები ხელმძღვანელობენ სამინისტროებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყანაში სპეციალიზებული დარგობრივი მმართველობის განხორციელებას სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მინისტრი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე და კანონისა და პრეზიდენტის აქტების საფუძველზე მათ შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს.

საქართველოს პრეზიდენტი ფიცის მიღების შემდეგ იღებს მთავრობის ძველი შემადგენლობის მიერ უფლებამოსილებათა მოხსნას და შეუძლია მასვე დააკისროს მოვალეობათა შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირებამდე. ორი კვირის განმავლობაში პრეზიდენტი ვალდებულია ჩამოაყალიბოს მთავრობის ახალი შემადგენლობა და წარუდგინოს პარლამენტს.

იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტმა მიიღო აცილება პრეზიდენტის მიერ წარდგენილი მთავრობის წევრის მიმართ, ან ვერ დაამტკიცა იგი, პრეზიდენტს უფლება აქვს ხელახლა წარადგინოს იგივე ან ახალი კანდიდატურა. ერთი და იმავე კანდიდატურის წარდგენა პრეზიდენტს შეუძლია მხოლოდ ორჯერ.

აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კოორდინაციას, ურთიერთობებს საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან საქართველოს პრეზიდენტი ახორციელებს სახელმწიფო კანცელარიის მეშვეობით.

სახელმწიფო კანცელარიას ხელმძღვანელობს სახელმწიფო მინისტრი, რომელსაც პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს პარლამენტი. სახელმწიფო მინისტრი შედის მთავრობის შემადგენლობაში და პრეზიდენტის რწმუნებით ასრულებს მის ცალკეულ დავალებებს.

სასამართლო ხელისუფლების ორგანოებთან დაკავშირებით პრეზიდენტი წარადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კანდიდატურებს, ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს პერსონალურად.

საქართველოს პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს, გააჩნია სუსპენსიური ვეტოს უფლება; საქართველოს პარლამენტში შეაქვს კანონპროექტები, ე.ი. აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანონპროექტები მისი მოთხოვნით იხილება რიგგარეშედ. საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს პარლამენტში შეიტანოს წინადადება კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ.

იგი წარმართავს და ახორციელებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, აწარმოებს მოლაპარაკებას უცხო სახელმწიფოებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. პარლამენტის თანხმობით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს, იღებს უცხოეთის სახელმწიფო-

თა, საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას.

საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალია. სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის საქართველოში იქმნება ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი.

ეროვნული უშიშროების საბჭო არის საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო სამხედრო აღმშენებლობისა და თავდაცვის ორგანიზაციის, ქვეყნის უშიშროებასთან დაკავშირებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სტაბილურობისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის სტრატეგიულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მისაღებად.

ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში შედიან: საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც, ამავე დროს, არის მისი თავმჯდომარე, საქართველოს თავდაცვის მინისტრი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, რომელიც, ამავე დროს, არის საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში.

გარდა ამისა, აღნიშნული საბჭოს საქმიანობაში უშუალოდ მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების თავმჯდომარეები. საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს და ათავისუფლებს მხედართმთავრებს, ამტკიცებს სამხედრო ძალების სტრუქტურას.

საქართველოს პრეზიდენტს გააჩნია უფლება, საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში, გამოაცხადოს საომარი მდგომარეობა, სათანადო პირობების არსებობისას დადოს ზავი და არა უგვიანეს 48 საათისა შეიტანოს ეს გადაწყვეტილება პარლამენტში დასამტკიცებლად. ამ უკანასკნელი პირობის დაცვით, შესაბამისი ვითარების არსებობისას, საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში.

კონსტიტუციამ პრეზიდენტის კომპეტენციას მიაკუთვნა რეფერენდუმის დანიშვნის უფლება. პრეზიდენტი რეფერენდუმს ნიშნავს კონსტიტუციის 74-ე მუხლის საფუძველზე, რომელშიც განსაზღვრულია სუბიექტთა ის წრე, ვისაც აქვს რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნის უფლება. პრეზ-

იდენტი რეფერენდუმს ნიშნავს საკუთარი ინიციატივით ან საქართველოს პარლამენტის, არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის მოთხოვნით.

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებას განეკუთვნება მოქალაქეობის საკითხების გადაწყვეტა, პოლიტიკური თავშესაფრის მიცემა, საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების მინიჭება, უმაღლესი სამხედრო, საგანგებო და საპატიო წოდების, უმაღლესი დიპლომატიური რანგების მინიჭება, მსჯავრდებულთა შეწყალება.

პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებებსა და განკარგულებებს, საგანგებო მდგომარეობის დროს კი გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომელიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე.

საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, შეაჩეროს თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა, ან დაითხოვოს ისინი, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნება ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

საქართველოს პრეზიდენტი, ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით, ერთპიროვნულად ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს.

საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, საქართველს პარლამენტს წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. პრეზიდენტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანა.

§4. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების სისტემა

საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები.

აღნიშნული კანონის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში ხორციელდება სოფელში, თემში, დაბასა და ქალაქში. ხელისუფლების განხორციელების ასეთი ფორმა გულისხმობს საქართვე-

ლოს მოქალაქეთა კონსტიტუციით აღიარებულ უფლებას თვითმმართველობის ერთეულებში მათ მიერ შექმნილი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით დამოუკიდებლად გადაწყვიტონ საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

ადგილობრივი მმართველობის სისტემა კი ხორციელდება რაიონებსა და იმ ქალაქებში, რომლებიც არ შედიან რაიონების შემადგენლობაში. ასეთია 6 ქალაქი: ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი. ადგილობრივი მმართველობა განიმარტება, როგორც კანონმდებლობით განსაზღვრული სახელმწიფო აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ურთიერთკოორდინირებული საქმიანობა, რომელიც ადგილებზე მოსახლეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით უზრუნველყოფს სახელმწიფო ინტერესების დაცვას.

კანონმა ერთმანეთისაგან გამიჯნა როგორც ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების კომპეტენცია, ისე მათი თანამდებობის პირების ფუნქციებიც.

კანონის თანახმად, სოფლის, თემის, დაბისა და ქალაქის წარმომადგენლობით ორგანოებს წარმოადგენენ ამ ტერიტორიული ერთეულების საკრებულოები, რომლებიც აირჩევიან მოსახლეობის მიერ პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

საკრებულოს აღმასრულებელი ორგანოა საკრებულოს გამგეობა, რომელიც იქმნება 3-7 წევრის შემადგენლობით. იმ სოფელსა და თემში, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება 3 000 კაცს, არ შეიქმნება საკრებულოს გამგეობა და მის ფუნქციას უშუალოდ განახორციელებს გამგებელი.

იმ ქალაქებში, რომლებიც არ შედიან რაიონების შემადგენლობაში, ხელისუფლების ორგანოა საკრებულო, ხოლო ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს ქალაქის მერია. კანონის თანახმად, მერია არის სახელმწიფო მმართველობის ორგანო, რომელიც იმავდროულად ასრულებს საკრებულოს აღმასრულებელ ორგანოს ფუნქციებს. ასეთი ქალაქების მერები და თბილისის მერი თანამდებობაზე ინიშნებიან უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის მიერ. საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების სისტემა იქმნება მოქალაქეების მიერ საარჩევნო სისტემის ზოგადი პრინც-

იპების საფუძველზე. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში იმ ქალაქის მერები, რომლებიც არ შედიან ადგილობრივი რაიონების შემადგენლობაში, თანამდებობაზე ინიშნებიან და თავისუფლდებიან საქართველოს პრეზიდენტის მიერ ამ რესპუბლიკების შესაბამის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებთან შეთანხმებით.

გამგეობები უზრუნველყოფენ შესაბამისი საკრებულოსა და გამგებლის (მერის) მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას. მათ ფუნქციებში შედის ადგილობრივი ბიუჯეტისა და სხვა პროექტების შემუშავება და შესრულების უზრუნველყოფა

იმ რაიონების გამგებლებისა და ქალაქების მერების კომპეტენციიდან, რომლებიც არ შედიან რაიონის შემადგენლობაში, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში კოორდინაციისა და კონტროლის განხორციელება, რაიონში ადამიანის უფლებებისა და კანონიერების დაცვის საკითხების კონტროლი, გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვ.

მერი უმაღლესი თანამდებობის პირია ქალაქში. იგი თავისი აპარატის მეშვეობით ახორციელებს მერიის აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას.

გამგებელი და მერი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია როგორც საქართველოს პრეზიდენტის, ისე შესაბამისი საკრებულოს წინაშე.

თავი VI. სასამართლო ხელისუფლება

§1. სასამართლო ხელისუფლების ცნება

სასამართლო ხელისუფლება სახელმწიფო ხელისუფლების შტოა, რომელიც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად, კანონით დადგენილი წესითა და ფორმით ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლისა და მართლმსაჯულების ფუნქციას, სამართალდამრღვევთა მიმართ სასჯელისა და სხვა იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით უზრუნველყოფს კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, გამაფრთხილებელ ზემოქმედებას ახდენს როგორც სამართალდამრღვევებზე, ისე სხვა პირებზე.

სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას მხოლოდ სასამართლოები ახორციელებენ. დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების არსებობა და ფუნქციონირება სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია.

კონსტიტუციით დადგენილია, რომ სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით. საქართველოს სასამართლოებია საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოა, ხოლო საერთო სასამართლოები მართლმსაჯულებას ახორციელებენ. სამართ პირობებში შეიძლება შეიქმნას სამხედრო სასამართლოები მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში. საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა ყველა შემთხვევაში დაუშვებელია.

§2. საერთო სასამართლოები

საერთო სასამართლოების სისტემასა და ორგანიზაციას, ამ სასამართლოების მოსამართლის სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ და საქართველოს 1999 წლის 12 მაისის ორგანული კანონი საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ. ამ კანონების თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები და საქართველოს უზენაესი სასამართლო.

რაიონული (საქალაქო) სასამართლო იქმნება რაიონში, ქალაქში, რომელიც არ შედის არც ერთ რაიონში და არ გააჩნია რაიონული დაყოფა, აგრეთვე ქალაქის რაიონში. რაიონული (საქალაქო) სასამართლო შედგება არანაკლებ ორი მოსამართლისაგან. ერთი განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე სამოქალაქო და სხვა საქმეებს, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევების გარდა. რაიონული (საქალაქო) სასამართლო არის პირველი ინსტანციის სასამართლო, სადაც საქმეები განიხილება ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ, კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს საოლქო სასამართლოებია თბილისისა და ქუთაისის

საოლქო სასამართლოები. საოლქო სასამართლო სააპელაციო წესით განიხილავს საჩივრებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებზე და საქმეებს პირველი ინსტანციით, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, აგრეთვე იღებს გადაწყვეტილებებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე. საოლქო სასამართლო პირველი ინსტანციითა და სააპელაციო წესით საქმეებს განიხილავს სამი მოსამართლის შემადგენლობით.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში იქმნება ამ რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ზედამხედველობენ მართლმსაჯულების განხორციელებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში, საქმეებს იხილავენ სააპელაციო წესით და პირველი ინსტანციით, აგრეთვე იღებენ გადაწყვეტილებებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, საკასაციო წესით და პირველი ინსტანციით განიხილავს კანონით განსაზღვრულ საქმეებს, ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე ოცდაათი წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა ხუთი წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა. ნასამართლევი პირის მოსამართლედ დანიშვნა ან არჩევა დაუშვებელია.

რაიონული (საქალაქო), საოლქო და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეების თანამდებობაზე წარდგენა ხორციელდება კონკურსის წესით. მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ცხადდება და ტარდება კონკურსი. საკონკურსო წესით მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევა ხდება საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების, კანდიდატის საქმიანი და მორალური რეპუტაციის, პროფესიული მუშაობის გამოცდილებისა და ფიზიკური მდგომარეობის შეფასების საფუძველზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართვე-

ლოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. რაიონული (საქალაქო) და საოლქო სასამართლოების მოსამართლეებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი იუსტიციის საბჭოს წარდგინებით. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე მოქმედი რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინებით, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წინასწარი წერილობითი თანხმობით. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეებს ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოს წარდგინების საფუძველზე ირჩევენ აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები საქართველოს პრეზიდენტის წინასწარი თანხმობით.

საერთო სასამართლოების ყველა მოსამართლის უფლებამოსილების ვადაა ათი წელი. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, პედაგოგიური საქმიანობის გარდა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური გაერთიანების წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ხოლო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლის — საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს, შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ან საქართველოს პარლამენტს. თუ ისინი არ მისცემენ თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

§3. მართლმსაჯულების კონსტიტუციური პრინციპები

საქართველოს კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციისა და საქმიანობის საკითხებს. კონსტიტუცია ქვეყნის უზენაესი კანონია და, ბუნებრივია, იგი დეტალურად ვერ მოაწესრიგებს მართლმსაჯულებ-

ის განხორციელების კონკრეტულ საკითხებს. კონსტიტუციაში მოცემულია მართლმსაჯულების მხოლოდ ზოგიერთი პრინციპი, რომელიც განსაკუთრებული სიცხადით გამოხატავს დემოკრატიული წესწყობილების არსსა და ბუნებას. ამ პრინციპების კონკრეტული შინაარსი გადმოცემულია დარგობრივ კანონმდებლობაში, კერძოდ, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში, აგრეთვე სასამართლო ხელისუფლების შესახებ სხვა კანონებში.

კონსტიტუცია ადგენს, რომ მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლეთა დამოუკიდებლობა ნიშნავს, რომ არავის, არც ერთ სახელმწიფო ორგანოს თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, თანამდებობის თუ კერძო პირს უფლება არა აქვს ჩაერიოს სასამართლოს საქმიანობაში, ზემოქმედება მოახდინოს მოსამართლეთა რწმენაზე, აიძულოს ისინი გამოიტანონ საქმეზე ესა თუ ის გადაწყვეტილება.

მოსამართლე, თუ სასამართლო საქმეებს იხილავს და წყვეტს დამოუკიდებლად, მხოლოდ კანონის საფუძველზე და თავისი შინაგანი რწმენით, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მას ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას. ყოველგვარი ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია და ისჯება კანონით.

კონსტიტუციით თანახმად, სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ეს შემთხვევები განსაზღვრულია სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით და მიზნად ისახავს სახელმწიფო საიდუმლოებისა და მოქალაქეთა ინტიმური ცხოვრების შესახებ ცნობათა გახმაურების თავიდან აცილებას. სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში საქვეყნოდ ცხადდება. საქმის ღია სასამართლო სხდომაზე განხილვა ხელს უწყობს საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულ, ყოველმხრივ და ობიექტურ გამოკვლევას, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.

კონსტიტუციის დადგენილია, რომ სამართალწარმოება ხორციელდ-

ება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, დაენიშნება თარჯიმანი. თარჯიმნის ხარჯებს სახელმწიფო იხდის. სამართალწარმოების ენის კონსტიტუციური პრინციპი უზრუნველყოფს პროცესის მონაწილეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას, სამართალწარმოების აღმზრდელობით ზემოქმედებას, განსახილველი საქმის ირგვლივ ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის შექმნას, სასამართლო გადაწყვეტილებათა ავტორიტეტის ამაღლებას.

კონსტიტუციით დადგენილია, რომ ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესითა და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. ეს კონსტიტუციური დებულებები, რომელიც უდანაშაულობის პრეზუმფციის სახელწოდებითაა ცნობილი, საფუძვლად უდევს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მთელ საქმიანობას, განსაზღვრავს მათი მუშაობის სტილსა და მეთოდებს, ბრალდებულის სამართლებრივ სტატუსსა და მდგომარეობას დემოკრატიულ სახელმწიფოში.

კონსტიტუციის თანახმად, გარანტირებულია დაცვის უფლება. ეს ნიშნავს, რომ ორგანო და თანამდებობის პირი, რომელიც სამართალწარმოებას ახორციელებს, მოვალეა უზრუნველყოს ეჭვმიტანილი, ბრალდებული და განსასჯელი დაცვის უფლებით, განუმარტოს მათი უფლებები, მისცეს საშუალება დაიცვან თავი კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალებით. დაუშვებელია ბრალდებულის, აგრეთვე საქმეში მონაწილე სხვა პირებისაგან ჩვენების გამოძალვა, მუქარის, ძალადობის ან სხვა რაიმე უკანონო ღონისძიებათა გამოყენებით. ასეთი მოქმედება დანაშაულია და ისჯება კანონით.

კონსტიტუციით დადგენილია სხვა, მეტად მნიშვნელოვანი დებულებები, რაც უზრუნველყოფს მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის პირად ხელშეუხებლობას, მისი პატივისა და ღირსების დაცვას. დადგენილია, მაგალითად, რომ თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს

უფლება აქვს მოითხოვოს დამცველის დახმარება, არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის, არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან თავის ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება და ა.შ. რაც მთავარია, სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. ბრალდების, დაცვისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციები გამოყოფილია ერთმანეთისაგან და არ შეიძლება დაეკისროს ერთსა და იმავე ორგანოს, ანდა ერთსა და იმავე თანამდებობის პირს.

§4. საკონსტიტუციო სასამართლო

საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განსაზღვრულია კონსტიტუციით, საქართველოს 1996 წლის 31 იანვრის კანონით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, საქართველოს 1996 წლის 21 მარტის კანონით საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სამართლებრივი მდგომარეობა განსაზღვრულია, აგრეთვე საქართველოს 1996 წლის 25 ივლისის კანონით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებასა და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა წევრისაგან, რომელთაგან სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს — უზენაესი სასამართლო, ხოლო სამ წევრს ირჩევს პარლამენტი.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შერჩევისას საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტი და უზენაესი სასამართლო ითვალისწინებს კანდიდატის პროფესიულ გამოცდილებას, რომელიც უნდა შეეფერებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაღალ სტატუსს. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადა 10 წელია. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა,

დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკა საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს 5 წლის ვადით. ამავე წესითა და ვადით აირჩევა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ორი მოადგილე. თავმჯდომარედ და თავმჯდომარის მოადგილედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან. პლენუმის შემადგენლობაშია სასამართლოს ცხრავე წევრი, ხოლო კოლეგიის შემადგენლობა განისაზღვრება ოთხი წევრით. პლენუმის სხდომას უძღვება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო კოლეგიის სხდომას ხელმძღვანელობს თავმჯდომარის მოადგილე.

საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს: ა) საქართველოს კონსტიტუციასთან საქართველოს კანონების, პარლამენტის რეგლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის, აფხაზეთისა და აჭარის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი; ბ) დავა სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე; გ) მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხი; დ) დავა რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ; ე) საქართველოს მოქალაქეობისა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი; ვ)საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხი; ზ) საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი; თ) საქართველოს პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრის, გენერალური პროკურორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხი.

საკონსტიტუციო სასამართლო თავის საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, კოლეგიალობის, საქვეყნოობის, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დამოუკიდებლობის, ხელშეუხებლობისა და შეუცვლელობის საწყისებზე. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება და დასკვნა საბოლოოა და გასაჩივრებასა და გადასინჯვას არ ექვემდებარება.

§5. საქართველოს პროკურატურა

კონსტიტუციით დადგენილია, რომ პროკურატურა არის სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, ზედამხედველობს მოკვლევას, სასჯელის მოხდას, მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას. პროკურატურა ერთიანი ცენტრალიზებული სისტემაა, რომლის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. ასეთი კანონი პროკურატურის შესახებ საქართველოს პარლამენტმა მიიღო 1997 წლის 21 ნოემბერს.

პროკურატურა თავის უფლებამოსილებას ახორციელებს კანონით დადგენილი წესით. სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას პროკურორი ზედამხედველობს მოკვლევას, წინასწარ გამოძიებაზე ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას, ზოგიერთი დანაშაულის საქმეზე სრული მოცულობით ატარებს წინასწარ გამოძიებას. პროკურორი უფლებამოსილია სავალდებულო მითითებები მისცეს მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებს, გააუქმოს კონკრეტულ საქმეზე მათი უკანონო გადაწყვეტილებანი, მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაში, ჩამოართვას საქმე ერთ გამომძიებელს და გადასცეს მეორეს, დააბრუნოს საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად, დაამტკიცოს საბრალდებო დასკვნა და წარმართოს საქმე სასამართლოში, განახორციელოს კანონით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

პროკურორი ზედამხედველობს დაკავებულთა მოთავსების ადგილებში პირთა ყოფნას, წინასწარი პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთისა და სხვა შეზღუდვის ადგილებში სასჯელის ან სასამართლოს მიერ დანიშნული სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიების აღსრულების კანონიერებას, აღნიშნულ დაწესებულებებში პირთა ყოფნის კანონით

დადგენილი წესებისა და პირობების დაცვას. პროკურორის მოთხოვნა სავალდებულოა ამ დაწესებულებათა ადმინისტრაციისათვის.

პროკურორი პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოდის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. მას ეკისრება ბრალდების მტკიცების მოვალეობა. პროკურორს უფლება აქვს უარი თქვას ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ შეკრებილი მტკიცებულება არ ადასტურებს ბრალდებას. პირველ და სააპელაციო სასამართლო ორგანოებში პროკურორი მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, მონაწილეობს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, გამოთქვამს აზრს საქმის განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხზე. საკასაციო და სარევიზიო წარმოების სტადიებში პროკურორი მხარს უჭერს თავის საჩივარს ან გამოთქვამს აზრს იმ საჩივრების შესახებ, რომლებიც სამართალწარმოების სხვა მონაწილეებმა შეიტანეს.

აღნიშნული საკონსტიტუციო უფლებამოსილების გარდა, პროკურატურას ევალება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია. პროკურატურა აანალიზებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, ინფორმაციას აწვდის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, მონაწილეობს მათ სხდომებში, შეიმუშავებს დანაშაულთან ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის ღონისძიებებს.

საქართველოს პროკურატურის სისტემას ქმნიან: საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურატურა, საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურები, ქ. თბილისის პროკურატურა, საოლქო პროკურატურები, რეგიონული სამხედრო და სატრანსპორტო პროკურატურები, რაიონის (ქალაქის) პროკურატურები და სასჯელაღსრულებით დაწესებულებათა პროკურატურები.

საქართველოს პროკურატურას ხელმძღვანელობს საქართველოს გენერალური პროკურორი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, 5 წლის ვადით ნიშნავს პარლამენტი. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება დაინიშნოს გენერალურ პროკურორად ორ ვადაზე მეტი ხნით. გენერალურ პროკურორს ჰყავს პირველი მოადგილე და სამი მოადგილე, უფროსი თანაშემწეები, თანაშემწეები და მრჩევლები.

გენერალურ პროკურატურაში არის სამმართველოები, განყოფილებები და სხვა სტრუქტურული დანაყოფები, რომლებსაც ჰყავთ უფროსე-

ბი და მათი მოადგილეები, საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა პროკურორები, უფროსი პროკურორები, პროკურორ-კრიმინალისტები და პროკურორები. გენერალურ პროკურატურაში არის საგამოძიებო ნაწილი, რომელსაც ჰყავს უფროსი და მისი მოადგილეები, განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა უფროსი გამომძიებლები და განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა გამომძიებლები.

გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოა კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიან: გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე და მოადგილეები, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი, საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი, საქართველოს ტრანსპორტის პროკურორი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები, ქ. თბილისის პროკურორი, პროკურატურის სხვა მუშაკები.

სამხედრო პროკურატურას, სატრანსპორტო პროკურატურას, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურებს, ქ. თბილისის პროკურატურასა და საოლქო პროკურატურებს ხელმძღვანელობენ შესაბამისი პროკურორები, რომელთაც ჰყავთ ორ-ორი მოადგილე, უფროსი თანაშემწეები და თანაშემწეები. ამ პროკურატურებში არის განყოფილებები და სხვა სტრუქტურული დანაყოფები, რომელთაც ჰყავთ უფროსები და მათი მოადგილეები, უფროსი პროკურორები, პროკურორ-კრიმინალისტები და პროკურორები. ამ პროკურატურებში არის, აგრეთვე საგამოძიებო ნაწილები, რომელთაც ჰყავთ უფროსები და მათი მოადგილეები, უფროსი გამომძიებლები და გამომძიებლები. მთავარ სამხედრო პროკურატურასა და ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურებში იქმნება სათათბირო ორგანო — კოლეგია.

რაიონისა (ქალაქის) და სასჯელაღსრულებით დაწესებულებათა პროკურატურებს ხელმძღვანელობენ შესაბამისი პროკურორები, რომელთაც შეიძლება ჰყავდეთ მოადგილეები, უფროსი თანაშემწეები და თანაშემწეები, უფროსი გამომძიებლები და გამომძიებლები.

აღნიშნული პროკურატურების ხელმძღვანელი პროკურორები თანამდებობაზე ინიშნებიან 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი შეიძლება თანამდებობაზე დაინიშნოს მხოლოდ ორი ვადით. პროკურატურის ყველა მუშაკი თანამდებობაზე ინიშნება გენერალური პროკურორის მიერ. პროკურატურის მუშაკად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელ-

საც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ფლობს სამართალწარმოების ენას, გავლილი აქვს ორ წლამდე სტაჟირება პროკურატურაში, ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდები, მიღებული აქვს პროკურატურის მუშაკის ფიცი, საქმიანი და მორალური თვისებებით, აგრეთვე ჯანმრთელობის მდგომარეობით შეუძლია პროკურატურის მუშაკის მოვალეობის შესრულება. მრჩევლები და ტექნიკური პერსონალი პროკურატურაში სამუშაოდ მიიღება საკონტრაქტო საფუძველზე. მათი მიღებისა და დათხოვნის წესს ადგენს გენერალური პროკურორი. პროკურატურის მუშაკებს დაკავებული თანამდებობების, სამეცნიერო ხარისხის, კვალიფიკაციისა და სამუშაო სტაჟის შესაბამისად, ენიჭებათ საკლასო წოდებები. კანონით განსაზღვრულია პროკურატურის მუშაკთა სამართლებრივი და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებანიც.

კარი მეოთხე

სამოქალაქო სამართალი

თავი I. სამოქალაქო სამართლის საგანი, მეთოდი და პრინციპები

სამოქალაქო სამართალს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ქართული სამართლის სისტემაში. საბაზრო მეურნეობის პირობებში საზოგადოებრივ ურთიერთობათა უმეტესობა სამოქალაქო საზოგადოების ყოველდღიურ ინტერესს უკავშირდება. ისინი ნორმალური და ნებადართული ურთიერთობებია და წინასწარ ყველა მათგანის დეტალური წარმოდგენა შეუძლებელიცაა. ასეთ ურთიერთობებს ყველაზე სრულყოფილად არეგულირებს სამოქალაქო სამართალი.

სამართლის ამ დარგის სახელწოდება აღმოცენდა რომის იმპერიის წიაღში. მაშინ რომში შექმნილ სამართალს რომაელ მოქალაქეთა სამართალი, ანუ რომაელთა სამოქალაქო სამართალი ეწოდა და მისი რეგულირების სფეროში შევიდა რომაელ მოქალაქეებს შორის წარმოშობილი ქონებრივი, საქორწინო, სამემკვიდრეო, საკუთრებითი, აგრეთვე სხვადასხვა სახის სამართალდარღვევებთან და მათი აღმოფხვრის ღონისძიებებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები. ამ ტერმინით აღინიშნებოდა აგრეთვე სხვა ხალხების მიერ შექმნილი სამართალიც. საბოლოოდ ყოველი ქვეყნის მოქალაქეთა [civitas-ის] საკუთარ სამართალს ცივილური ანუ სამოქალაქო სამართალი [jus civile] დაერქვა. ეს ტერმინი დამკვიდრდა არა მარტო მეცნიერებაში, არამედ კანონმდებლობაშიც.

თანამედროვე პირობებში სამოქალაქო სამართლის ცნებაში თითქმის იგივე ძველი შინაარსია შენარჩუნებული, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ იგი არეგულირებს ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეთა შორის წარმოშობილ არა ყოველგვარ ურთიერთობებს, არამედ მხოლოდ ნაწილს და ისიც სპეციფიკურს. გარდა ამისა, სამოქალაქო ურთიერთობებში სხვა ქვეყნის მოქალაქეებიც შეიძლება ჩაერთონ.

საქართველოს სამოქალაქო სამართალი არეგულირებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. კანონმდებლობით განსაზღვრული ეს ფარგლები საზოგადოებრივ ურთიერთობათა ძალზე ფართო წრეს მოიცავს.

ქონებრივია ყველა ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია ქონების როგორც შექმნასთან (აშენება, დამზადება), მის ბრუნვასთან (ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, სესხება), ისე მოხმარებასთან (გადამუშავება, მომსახურეობის გაწევა). ქონებად კი მიიჩნევა ნებისმიერი ნივთი და არამატერიალური სიკეთე, რომლითაც სარგებლობა და განკარგვა შესაძლებელია. ყველა სახის ქონებრივი ურთიერთობა, რომელიც სამოქალაქო სამართლის ნორმებით წესრიგდება, ორ ნაწილად იყოფა — სანივთო და ვალდებულებით ურთიერთობებად. სანივთოა ისეთი ქონებრივი ურთიერთობები, რომლებიც გამოხატავენ ნივთების მიმართ სტატიკურ საკუთრებით ურთიერთობებს, აგრეთვე ისეთებიც, რომლებიც არამესაკუთრე პირების სხვის ქონებასთან დაკავშირებით წარმოიშობა. ვალდებულებითია ისეთი ქონებრივი ურთიერთობები, რომლებიც დინამიკური ხასიათისაა და სამოქალაქო ბრუნვაში ქონების ჩართვით წარმოიშობა — ხელშეკრულების დადების, სხვისთვის ზიანის მიყენების ან სხვა საფუძველზე.

სამოქალაქო სამართალი არეგულირებს ისეთ ქონებრივ ურთიერთობებს, რომლის მონაწილეებიც ერთმანეთის მიმართ თანაბარ იურიდიულ მდგომარეობაში იმყოფებიან და არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება თავისი ნება თავს მოახვიოს მეორეს. დანარჩენი სახის ქონებრივი ურთიერთობები სამართლის სხვა დარგებით რეგულირდება. აქ ძირითადად იგულისხმება ისეთი ქონებრივი ურთიერთობები, რომელთა მონაწილენი ერთმანეთის მიმართ არა ჰორიზონტალურ, არამედ ვერტიკალურ ანუ დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

საოჯახო ურთიერთობები, თუ ადრე ცალკე დარგით რეგულირდებოდა, ახლა იგი სამოქალაქო ურთიერთობათა ტიპიურ ნაირსახეობად მიიჩნევა და სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფეროს მიეკუთვნება. საოჯახოა ისეთი ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია ქორწინებასთან, მეუღლეთა და ოჯახის სხვა წევრთა პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობებთან, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესებასთან და სხვა ურთიერთობები. ისინი სცილდება ზნეობის სფეროს და მათი დიდი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამო სამართლებრივ რეგულირებას ექვემდებარება.

პირადია ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა ისეთი უფლებების თაობაზე, რომელთა გადაცემა სხვისთვის არ შეიძლება და ამა თუ

იმ პიროვნებასთან არის დაკავშირებული. მათ უმეტესად არაქონებრივი ხასიათი გააჩნიათ. ასეთია მაგალითად, სახელის, პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის, შემოქმედებითი შრომის პროდუქტის ავტორობისა და სხვა უფლებები. ნებისმიერი პირადი ურთიერთობა შეიძლება დაკავშირებულ იქნეს ქონებრივთან. მაგალითად, თუ ავტორობა აპრიორულად ქონებრივი საკითხების მოგვარებასაც გულისხმობს, — პატივის, ღირსების ან ქონებრივი რეპუტაციის შელახვაც შეიძლება მათ აღდგენასთან ერთად, მატერიალური ან მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტასთან იყოს დაკავშირებული. ამიტომ პირად ურთიერთობათა დიფერენციაცია ქონებრივ ურთიერთობებთან მათი კავშირის ხარისხის მიხედვით მიზანშეწონილი არ არის.

სამოქალაქო სამართალი არეგულირებს კერძო ხასიათის საზოგადოებრივ ურთიერთობებს ანუ ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც ცალკეულ პირებს შორის წარმოიშობა. ასეთი პირები კი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი და თანასწორუფლებიანი არიან. მათ კერძო ავტონომია გააჩნიათ და მხოლოდ მათ ნებაზეა დამოკიდებული სამოქალაქო ურთიერთობებში მონაწილეობა. ამ გარემოების გამო სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლის ერთ-ერთი, მაგრამ ძირითადი და არსებითი ხასიათის დარგია. იურიდიულ მეცნიერებაში სამართლის მთელი სისტემის დაყოფა კერძო და საჯარო სამართლად უძველესი დროიდან არის მიღებული. მათ შორის სხვაობას განსაზღვრავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსხვავებული შინაარსი და მათი სამართლებრივი მოწესრიგების განსხვავებული ხარისხი. კერძო პირებს შორის, სრული ავტონომიის საფუძველზე, ურთიერთშეთანხმების შედეგად წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი დარგი კერძო სამართლის სფეროს განეკუთვნება, ხოლო საჯარო ხელისუფლების აღსრულებისას სახელმწიფო ორგანოებსა და სხვა სუბიექტებს შორის წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობები საჯარო სამართლის რომელიმე დარგით (კონსტიტუციური სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, საფინანსო სამართალი, სისხლის სამართალი და სხვ.) რეგულირდება.

სამოქალაქო სამართალი დიდი ხნის მანძილზე კერძო სამართლის სინონიმად მიიჩნეოდა. საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებამ და მათი სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა კერძო სამართლის ახალი დარგების შექმნა. მათ შორის აღ-

სანიშნავია: სამეწარმეო სამართალი (საკორპორაციო სამართალი), გაკოტრების სამართალი, შრომის სამართალი და სხვა. სამოქალაქო სამართლის ძირითადი დებულებები და პრინციპები განმსაზღვრელი და სახელმძღვანელოა კერძო სამართლის სხვა დარგებისათვის. ამ გაგებით, მთელი კერძო სამართლის ზოგად ნაწილს წარმოადგენს სამოქალაქო სამართალი, ხოლო განსაკუთრებულ ნაწილში კერძო სამართლის სხვა დარგები შედის. საკუთრივ სამოქალაქო სამართალიც იყოფა ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილებად. ზოგად ნაწილში თავმოყრილია უზოგადესი დებულებანი სამოქალაქო კანონის მიღებისა და მოქმედების, სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეთა სამართლებრივი მდგომარეობის, გარიგებებისა და ხანდაზმულობის ვადების შესახებ და იგი გამოიყენება როგორც სამოქალაქო სამართლის, ისე მთელი კერძო სამართლის განსაკუთრებული ნაწილისათვის. სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში კი შესულია ისეთი ცალკეული, განსაზღვრული თავისებურებებით დამახასიათებელი ფართო ინსტიტუტები როგორიცაა: სანივთო, ვალდებულებითი, ინტელექტუალური საკუთრების, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თითოეულ მათგანს, თავის მხრივ, გააჩნია ზოგადი დებულებანი, რომელიც ძირითადად მხოლოდ მათ ფარგლებში მოქმედებს. უზოგადეს და ზოგად დებულებათა ცალკე გამოყოფა სამოქალაქო სამართლის ამოსავალი პრინციპების დადგენისა და სამართლებრივი რეგულირების მეთოდის სრულყოფის საფუძველია.

სამოქალაქო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების ძირითად წყაროს საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად წარმოადგენს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ქართველ ცივილისტთა მიერ, სამართლებრივი რეფორმის პროგრამის მიხედვით, განხორციელებული დაუღალავი შრომის შედეგია და კერძო სამართლის ყველაზე სრულყოფილი ძეგლია არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

სამოქალაქო კოდექსი ოთხი წიგნისაგან შედგება. კოდექსის სისტემა ძირითადად სამოქალაქო სამართლის მეცნიერებისა და სასწავლო დისციპლინის სისტემას ემთხვევა.

სამოქალაქო კანონმდებლობა კოდექსის ნორმათა გარდა, სხვა აქტებსაც მოიცავს, რომელთაც სამართლის წყაროს მნიშვნელობა გააჩნია. ასეთია მაგალითად, კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, კანონი მეწარმეთა შესახებ, კანონი სამრეწველო საკუთრების შესახებ, კანონი ჩეკის შესახებ, კანონი თამასუქის შესახებ და სხვ

თავი II. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობანი

ნებისმიერი საზოგადოებრივი ურთიერთობა, მათი სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგების შემდეგ, სამართლებრივ ურთიერთობათა სახეს იძენს. საზოგადოებრივი ურთიერთობა ამ დროს კი არ წყდება, არამედ განაგრძობს არსებობას თავისი შინაარსით, ოღონდ სამართლებრივ ნორმათა ზემოქმედების გარსში ეხვევა და ახალ ფორმას იღებს. ამგვარად, **სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა არის ცალკეულ სუბიექტებს შორის სამოქალაქო სამართლის ობიექტის თაობაზე სამოქალაქო უფლება-მოვალეობათა განაწილებისა და რეალიზაციის პროცესი.**

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა რამდენიმე აუცილებელი ელემენტისაგან შედგება. ესენია: სუბიექტი, ობიექტი, უფლება და მოვალეობა. თუ რომელიმე მათგანი არ არის სახეზე, მაშინ ურთიერთობა სამართლებრივი აღარ იქნება. მაგალითად, სამოქალაქო სამართლებრივია ურთიერთობა, რომელიც წარმოიშვა გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განსაზღვრული თანხის თაობაზე, რომლის მიხედვითაც გამსესხებელს უფლება აქვს დათქმულ დროს მოითხოვოს სასესხო თანხის დაბრუნება, ხოლო გამსესხებელი ვალდებულია დააბრუნოს ნასესხები თანხა.

სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები არიან ფიზიკური პირები ანუ მოქალაქეები და იურიდიული პირები ანუ ორგანიზაციები. მეცნიერებასა და კანონმდებლობაში ისინი პირების სახელწოდებითაა ცნობილი. იურიდიული პირის სახით ღებულობს მონაწილეობას სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში თვით სახელმწიფოც, რომელსაც განსხვავებული სტატუსი არ გააჩნია. იგი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ისე მონაწილეობს, როგორც ნებისმიერი სხვა პირი.

სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა ობიექტია ყოველივე ის, რის თაობაზეც ცალკეულ სუბიექტებს შორის შეიძლება წარმოიშვას ურთიერთობა. ყველაზე გავრცელებულ ობიექტს წარმოადგენს ქონება, ანუ ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდა-

ვად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით და არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

ნივთები შეიძლება იყოს: მოძრავი და უძრავი, სხეულებრივი და არასხეულებრივი, ინდივიდუალური და გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული, მოსახმარი და მოუხმარი, გაყოფადი და გაუყოფადი, მთავარი და საკუთვნეველი და სხვ. ამგვარი დაყოფა განსაზღვრულ სამართლებრივ ნიუანსებთანაა დაკავშირებული, რომელთა მხედველობაში მიღება აუცილებელია კონკრეტული სამოქალაქო სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტისას.

არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომელიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე სიკეთე.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია აგრეთვე პირადი არაქონებრივი სიკეთე – სახელის უფლება, პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, შემოქმედებითი შრომის შედეგის ავტორობა და სხვა. ამგვარად, ობიექტთა შორის შეიძლება იყოს როგორც ნივთები, ისე მოქმედებანი და მრავალი სხვა სიკეთე.

უფლება და მოვალეობა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის განმსაზღვრელი ელემენტებია. სწორედ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები ედება საფუძვლად სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა დიფერენციაციას.

სამოქალაქო სამართლებრივი უფლება არის ცალკეულ პირთა შესაძლებლობა შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რომელიც თავის ინტერესებთანაა დაკავშირებული, ან სხვას მოსთხოვოს თავისი ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავება. მაგალითად, პირს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს საკუთარი ქონება, მოითხოვოს თავისი ქონების დაბრუნება სხვა პირისაგან, ან მოსთხოვოს სხვა პირს, რათა ამ უკანასკნელმა თავი შეიკავოს მისი უფლებების დარღვევისაგან. სამოქალაქო სამართლებრივი მოვალეობა სავალდებულო მოქმედებაა, რომელიც მიმართულია სხვა პირის კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. იგი შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვადადამდგარი ვალდე-

ბულების (მაგალითად, სასესხო თანხის დაბრუნება), ან არამართლზომიერი ქცევის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულების (მაგალითად. ზიანის მიყენებისას მისი ანაზღაურება) შესრულებას. სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულება, ძირითადად, მისი შესაბამისი უფლებითაა განპირობებული.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს. ასეთი დაყოფა ხელს უწყობს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის თითოეული სახის დამახასიათებელი თავისებურებების წარმოჩენას და საკითხის გადაწყვეტისას ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მეტ გარანტიას ქმნის. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების ძირითადი სახეებია: **ქონებრივი და არაქონებრივი, აბსოლუტური და შეფარდებითი, სანივთო და ვალდებულებითი და სხვ.** სამართლებრივ ურთიერთობათა უმნიშვნელოვანესი ნაწილი **ქონებრივი** ხასიათისაა, რომელიც დაკავშირებულია ქონებრივი სიკეთის ერთიდან მეორე პირის ხელში გადასვლასთან. განსაზღვრული ნაწილი არაქონებრივი ხასიათისაა და პირადი არაქონებრივი სიკეთის რეალიზაციასა და დაცვას უკავშირდება. ასეთია მაგალითად, მეუღლის მიერ საცხოვრებელი ადგილის, ან პროფესიის არჩევის უფლებასთან ან პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისას მისი აღდგენის მოთხოვნასთან დაკავშირებით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა.

აბსოლუტურია სამართლებრივი ურთიერთობა, როცა განსაზღვრულ პირთა უფლებას შეესაბამება განუსაზღვრელ პირთა ვალდებულება. მაგალითად, ერთი რომელიმე მესაკუთრე უფლებამოსილია მოითხოვოს ნებისმიერი პირისაგან, რათა მათ თავი შეიკავონ მისი საკუთრების უფლების დარღვევისაგან და ხელი არ შეუშალონ საკუთრებაში არსებული ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებათა განხორციელებაში. **შეფარდებით** სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილი პირის წინაშე ვალდებული პირი განსაზღვრულია (პერსონიფიცირებულია) და მხოლოდ ის არის მოვალე შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება. მაგალითად, სასესხო სამართლებრივ ურთიერთობაში გამსესხებელს უფლება აქვს სესხის დაბრუნება მოსთხოვოს მხოლოდ მსესხებელ კონკრეტულ პირს, ან თავისსაეე ნებართვით მოვალის შეცვლის შემთხვევაში – კონკრეტ-

ულ ახალ მოვალეს. სხვა პირებს კრედიტორის წინაშე არავითარი ვალდებულება არ წარმოეშობათ.

სანივთო სამართლებრივია ისეთი ურთიერთობები, რომლებიც წარმოშობილია საკუთრების უფლების აღმოცენებასა და განხორციელებასთან ან ერთი პირის საკუთრების უფლების ობიექტების სხვა პირთა უფლებებით დატვირთვასთან დაკავშირებით. მაგალითად, სამემკვიდრეო მასაში ამა თუ იმ ქონების ჩართვასთან, ან მესაკუთრის მიწის ნაკვეთის ნაწილის სხვის მიერ გზად გამოყენების მოთხოვნასთან დაკავშირებით წარმოშობილი ურთიერთობა. ასეთი სამართლებრივი ურთიერთობა უმეტესად აბსოლუტური ხასიათისაა.

ვალდებულებით სამართლებრივია ისეთი ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა ცალკეულ ვალდებულებათა რეალიზაციის პროცესში. ისინი ძირითადად ქონების მოძრაობასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ყიდვა-გაყიდვა, სესხი, ქონების ჩუქება, ქირავნობა, ლიზინგი, საბანკო მომსახურება და სხვა ის საფუძვლებია, რომლებიც წარმოშობენ მსგავს სამართლებრივ ურთიერთობებს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა შეფარდებით სამართლებრივი ხასიათისაა.

თავი III. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტები

§1. ფიზიკური პირები

სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა ყველაზე გავრცელებულ სუბიექტებს მოქალაქეები წარმოადგენენ. კერძო ავტონომიისა და ქონებრივი დამოუკიდებლობის საფუძველზე ისინი თვითონ წყვეტენ თუ რა სახის ურთიერთობებში მიიღონ მონაწილეობა. ნორმალურ ურთიერთობათა სიმრავლისა და მრავალფეროვნების პირობებში მათი მატერიალური, კულტურული და ყოფითი მოთხოვნილებების უმრავლესობა კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მეშვეობით რეალიზდება.

სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის მისაღებად მათ უნდა გააჩნდეთ იურიდიული მნიშვნელობის ისეთი კომპონენტები როგორიცაა: სახელი, საცხოვრებელი ადგილი, უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. სახელი ადამიანთა იდენტიფიკაციის ძირითადი

საფუძველია. კერძოსამართლებრივი ურთიერთობა ყოველთვის კონკრეტულ და ზუსტად განსაზღვრულ პირებს შორის წარმოიშობა. სამოქალაქო სახელი ორწევრიანია და შედგება საკუთრივ სახელისა და გვარისაგან. პირის ინდივიდუალიზაციის საშუალებად ხშირად გამოიყენება ფსევდონიმიც. სახელის რეგისტრაცია აუცილებელია და იგი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ხდება. ამდენად, განსაზღვრული სახელის ტარება პირის უფლებაცაა და მოვალეობაც. დამატებით სახელებს სამართლებრივი მნიშვნელობა არ გააჩნია. ფიზიკური პირის სამოქალაქო სახელი მისი პირადი არაქონებრივი სიკეთეა და მისი სხვისთვის გადაცემა დაუშვებელია.

საცხოვრებელი ადგილი ასევე მნიშვნელოვანი საიდენტიფიკაციო საშუალებაა. სამოქალაქო სამართალში მასთან ბევრად არის დაკავშირებული უფლებათა და მოვალეობათა წარმოშობა და რეალიზაცია. ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. არჩევა განპირობებულია იმით, რომ პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი – მათგან, ჩვეულებრივ, საცხოვრებლად ითვლება ის ადგილი, სადაც იგი უმთავრესად იმყოფება. მიღებული პრაქტიკის მიხედვით, ექვსთვიანი ვადით ფაქტობრივი ყოფნა ერთ საცხოვრებელ ადგილზე და ამ ადგილის აღიარება ძირითად საცხოვრებლად, საცხოვრებელ ადგილად მისი მიჩნევის საფუძველია. შესაძლებელია რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი პასუხობდეს აღნიშნულ მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში პირს რამდენჯერმე წარმოეშობა საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები. პირის ჩაწერას საცხოვრებელ ადგილზე არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია. არასრულწლოვანის ან სამეურვეო პირის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლების ან მეურვის საცხოვრებელი ადგილი. პირის საცხოვრებელი ადგილი არ უქმდება თუ იგი იძულების წესით ან სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესასრულებლად განსაზღვრული ვადით ტოვებს ამ ადგილს.

საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებულია **პირის აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად და გარდაცვლილად გამოცხადება**. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკვ-

ლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. ეს ორი პირობა ერთდროულად უნდა არსებობდეს. სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეებს უფლება აქვთ მინდობილი საკუთრების სახით მართონ უკვალოდ დაკარგულის ქონება და სარგებელიც მიიღონ მისგან. ამ ქონებიდან მოხდება უკვალოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფი პირებისათვის სარჩოს გაცემა და ვალების დაფარვა. უკვალოდ დაკარგული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება.

უფრო სერიოზული საფუძვლებია საჭირო პირის გარდაცვალებულად გამოცხადებისათვის. კერძოდ, თუ ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები პირის ადგილსამყოფელის შესახებ, მაშინ სასამართლო მას გარდაცვალებულად გამოაცხადებს. იგივე მოხდება თუ პირი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ანდა საკმარისია მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება.

სამხედრო მოსამსახურე ან სხვა პირი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, შეიძლება გარდაცვლილად გამოცხადდეს არა უადრეს ორი წლისა საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან. პირის გარდაცვალების დღედ მიიჩნევა მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე. შესაძლებელია სასამართლომ გარდაცვალების დღედ აღიაროს მისი სავარაუდო დაღუპვის დღე. გარდაცვალებულად პირის გამოცხადების შემდეგ მის ქონებაზე იხსნება მემკვიდრეობა.

გარდაცვალებულად აღიარებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო აუქმებს მის მიერ მიღებულ შესაბამის გადაწყვეტილებას და პირს უბრუნდება ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც უსასყიდლოდ გადაეცათ სხვა პირებს. ასევე უბრუნდება მას ის თანხა, რომელიც მიღებულ იქნა ხაზინისათვის გადაცემული ქონების რეალიზაციის შედეგად.

ის პირი, რომელმაც სასყიდლით შეიძინა გარდაცვლილად გამოცხადებულის ქონება, მაშინაა ვალდებული დააბრუნოს იგი, თუ ასეთი

ქონების შეძენისას მან იცოდა, რომ პატრონი ცოცხალი იყო.

როგორც ჩანს, სასამართლოს გადაწყვეტილება პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ არ არის სრულიად ობიექტური და საბოლოო ჭეშმარიტების დამდგენი. ორივე შემთხვევაში შესაძლებელია პირი დაბრუნდეს ან აღმოჩნდეს მისი ადგილსამყოფელი. ამიტომ სასამართლოს გადაწყვეტილება პირველ შემთხვევაში სიცოცხლის, ხოლო მეორე შემთხვევაში სიკვდილის პრეზუმფციას ეყრდნობა. ასეთ პრეზუმფციებს სამოქალაქო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაურკვევლობისა და ბუნდოვნობის განსაზღვრულ ვადებში გადასაწყვეტად.

სამოქალაქო სამართალში **უფლებაუნარიანობის** დამკვიდრება დაკავშირებულია ადამიანის თავისუფლებასა და იმის აღიარებასთან, რომ ნებისმიერ პირს გააჩნია შესაძლებლობა ისარგებლოს სამართლებრივი მექანიზმით, რომ ადამიანს, როგორც ასეთს, შეუძლია იყოს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა არის მისი უნარი — ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. იგი განსაზღვრული წინაპირობაა კონკრეტული სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოსაშობად. ამ გაგებით, უფლებაუნარიანობა შეიძლება პირად უფლებათა რიგს მიეკუთვნოს და სავსებით ლოგიკურად ჩაითვალოს კანონის მოთხოვნა, რომ ფიზიკურ პირს არ შეიძლება წაერთვას უფლებაუნარიანობა. უფლებაუნარიანობისა და კონკრეტული სამოქალაქო უფლებების თანაფარდობის გარკვევისას, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ უფლებაუნარიანობის შინაარსის მოცულობა უფრო ფართოა, ვიდრე რომელიმე კონკრეტული სამოქალაქო უფლებისა. მაგალითად, ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, მაგრამ ყველასათვის იგი რეალიზებადი შესაძლებლობა არ არის. იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთი სხვა უფლების შესახებაც. უფლებაუნარიანობა ზოგადად ამკვიდრებს შესაძლებლობას ამა თუ იმ სამოქალაქო უფლების შესაძენად. ამ უკანასკნელის რეალიზება კი დამოკიდებულია განსაზღვრული იურიდიული ფაქტების არსებობაზე.

სამოქალაქო სამართალი ამკვიდრებს ყველა ფიზიკური პირისათვის ერთიან და თანაბარ შესაძლებლობას — ჰქონდეთ სამოქალაქო უფლებები

და მოვალეობები. მოქალაქეობა, ასაკი, ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობა, აგრეთვე სქესი, ეროვნება, ქონებრივი მდგომარეობა, რელიგიისადმი დამოკიდებულება და სხვ. მხედველობაში არ მიიღება. უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები საქართველოს მოქალაქეების თანაბრად სარგებლობენ სამოქალაქო უფლებაუნარიანობით.

საქართველოში ყველა ფიზიკურ პირს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს კერძო საკუთრება, იყოს მემკვიდრე ან მამკვიდრებელი, ჰქონდეს ავტორობის უფლება, დადოს ნებისმიერი კანონით აუკრძალავი გარიგება, მონაწილეობდეს ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებში და სხვა. სამოქალაქო უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან და წყდება პირის გარდაცვალებით. გარდაცვალებად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა. მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე და მისი განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე. პირის გარდაცვალებულად გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომ იგი სიკვდილის ვარაუდს ეყრდნობა მხოლოდ, საფუძვლად ედება უფლებაუნარიანობის შეწყვეტას.

უფლებაუნარიანობა არ არის დამოკიდებული პირის რაიმე თვისებასა და სურვილზე. პასიური ფორმით იგი ყველა ცოცხალ ადამიანს გააჩნია. მაგრამ მარტო უფლებაუნარიანობა არ არის საკმარისი სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში სრულყოფილად მონაწილეობისათვის. საჭიროა აქტიური მოქმედების შესაძლებლობაც. ამას გულისხმობს **ქმედუნარიანობის** შინაარსი. სამოქალაქო ქმედუნარიანობა არის ფიზიკური პირის უნარი თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. ასეთი უნარი ყველას არა აქვს. კანონი ქმედუნარიანობას ანიჭებს მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც თავისი ასაკის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოქმედებათა ნორმალურად განსჯისა და ანგარიშის გაწევის უნარი გააჩნიათ. აღნიშნული კრიტერიუმები ედება საფუძვლად ქმედუნარიანობის ხარისხს. ფიზიკურ პირებს ქმედუნარიანობა შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეთ, ანდა ჰქონდეთ შეზღუდული სახით ან სრული მოცულობით. ამ ნიშნით ისინი შეიძლება რამდენიმე კატეგორიად დაიყოს.

1. 7 წლამდე ასაკის პირები, ანუ მცირეწლოვნები ითვლებიან ქმედუუნაროებად. ისინი სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში

უშუალოდ არ მონაწილეობენ. მათ მიერ ან მათ მიმართ გამოვლენილ ნებას სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს. ამ პირების ნაცვლად სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობას ღებულობს მათი წარმომადგენელი — მშობელი ან მეურვე, რომელიც ქმედუუნარო პირის სახელით გამოდის და მხოლოდ მისთვის იძენს ან კისრულობს განსაზღვრულ სამოქალაქო უფლებებს ან მოვალეობებს.

2. 7-დან 18 წლამდე ასაკის პირები, ანუ არასრულწლოვნები, შეზღუდულქმედუნარიანები (ნაწილობრივ ქმედუნარიანები) არიან. ისინი ასაკის გამო ჯერ კიდევ მოკლებული არიან შესაძლებლობას სრულად მიიღონ მონაწილეობა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში. ამიტომ, საერთო წესის მიხედვით, სამოქალაქო სამართლებრივ გარიგებებში მათი მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წარმომადგენლის — მშობლის ან მზრუნველის თანხმობა, რომელიც თვითონ არ მონაწილეობს მათში. თანხმობის გარეშე დადებული გარიგება სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს. გამონაკლის შემთხვევებში კანონი ითვალისწინებს არასრულწლოვანის მონაწილეობას გარიგების დადებაში წარმომადგენლის თანხმობის გარეშე. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებით იღებს სარგებელს. სარგებლიანობის კრიტერიუმი დადგენილი არ არის და მისი გადაწყვეტა უნდა მოხდეს კონკრეტული გარიგების შეფასების დროს, ეკონომიკური და ზნეობრივ-აღმზრდელობითი მომენტების გათვალისწინებით. იგულისხმება, რომ გარიგების შედეგების შეფასებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს წარმომადგენელი.

შეზღუდულქმედუნარიან პირს ასევე შეუძლია დამოუკიდებლად დადოს გარიგება იმ სახსრების ფარგლებში, რომელიც მას კანონიერმა წარმომადგენელმა ან ამ უკანასკნელის თანხმობით მესამე პირებმა გადასცეს. არასრულწლოვანის მიერ დამოუკიდებლად დადებული გარიგება თუ წარმომადგენელმა მოიწონა, იგი ამ უკანასკნელის თანხმობით დადებულ გარიგებას უთანაბრდება.

3. 18 წლის ასაკიდან პირი ხდება სრულწლოვანი და შესაბამისად — სრული ქმედუნარიანი. ამ ასაკიდან მას ნებისმიერ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის უფლება აქვს. წარმომადგენლის ნებას ასეთ შემთხვევებში სამართლებრივი მნიშვნელობა არ გააჩნია. სრულ ქმედუნარიანობას მოიპოვებს ის პირიც, რომელიც

18 წლის ასაკამდე იქორწინებს, თუნდაც შემდეგ ქორწინება სრულწლოვანებამდე შეწყდეს. სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს არასრულწლოვანის ემანსიპაციას. ეს ის შემთხვევაა, როცა 16 წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს კანონიერი წარმომადგენელი საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას ანიჭებს. ამ დროს არასრულწლოვანი საწარმოს ორგანიზაციასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში სრული ქმედუნარიანობის საფუძველზე გამოდის. როცა საქმე ეხება საწარმოს გაძღოლის უფლების არასრულწლოვანისათვის მინიჭებას, იგი აუცილებლად უნდა შეთანხმდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან.

4. სრულწლოვანი, მაგრამ შეზღუდულქმედუნარიანია ის პირი, რომელიც ჯანმრთელობის გამო ზიანს აყენებს ოჯახს — საკუთარი თავისა და ოჯახის წევრთა ინტერესების საწინააღმდეგოდ ფლანგავს შემოსავალს ან სხვა სახსრებს. ასეთები ძირითადად ნარკომანები და ალკოჰოლიკები არიან. მათ თავიდან სრულად ჰქონდათ ქმედუნარიანობა, მაგრამ შემდეგ დაინტერესებულ პირთა მოთხოვნის საფუძველზე სასამართლო მათ შეზღუდულქმედუნარიანად ცნობს და მათ მიმართ მზრუნველობას აწესებს. ასეთი პირები ქმედუნარიანობის ხარისხით გათანაბრებული არიან არასრულწლოვანებთან.

5. სრულწლოვანი, მაგრამ ქმედუუნაროა ის პირი, რომელსაც ჯანმრთელობის გამო არ შესწევს უნარი, რომ ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებასა და მის შედეგებს. ასეთები ჭკუასუსტები და სულით ავადმყოფები არიან. ჯანმრთელობის მდგომარეობის ამგვარი გაუარესება საფუძვლად ედება სასამართლოს გადაწყვეტილებას მათი ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ. ასეთ შემთხვევაში პირს დაენიშნება მეურვე. ამ საფუძვლით ქმედუუნაროდ შეიძლება აღიარებულ იქნეს არასრულწლოვანიც, მაშინ მას მზრუნველის ნაცვლად დაენიშნება მეურვე.

ქმედუნარიანობის მიხედვით ფიზიკურ პირთა დიფერენციაციას მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროსაც. საერთო წესის მიხედვით ქმედუნარიანი პირი, ამავე დროს, დელიქტუნარიანიც არის, ე.ი. მას გააჩნია იმის უნარი, რომ სხვისთვის მიყენებული ზიანისათვის პასუხი აგოს საკუთარი ნებითა და ქონებით. ქმედუუნარო პირები დელიქტუუნარონი არიან. ისინი პასუხს არ აგებენ მიყენებული ზიანისათვის. მათ ნაცვლად პასუხისმგებლობა ეკისრე-

ბათ მეურვეებს. პასუხისმგებლობის საფუძველი, ასეთ შემთხვევებში, არის მათ მიერ სამეურვეო პირის მიმართ სათანადო ზედამხედველობის გაუწევლობა. პასუხს არ აგებს აგრეთვე 7-დან 10 წლამდე არასრულწლოვანიც. მის ნაცვლად პასუხს აგებს მშობელი ან მეთვალყურეობაზე ვალდებული პირი. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, 10 წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა იმ შემთხვევის გარდა, როცა ზიანის მიყენებისას მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო. იმ შემთხვევაში, როცა ასეთ პირს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებითი ანუ სუბსიდიალური პასუხისმგებლობა ეკისრება მის წარმომადგენლებსაც. კანონით დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირი პასუხს არ აგებს მიყენებული ზიანისათვის. მაგრამ თუ პირმა თვითონ ჩაიყენა თავი ასეთ მდგომარეობაში, ალკოჰოლური სასმელით ან მსგავსი საშუალებების გამოყენებით, იგი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

§2. იურიდიული პირები

საბაზრო მეურნეობის დამკვიდრებამ მნიშვნელოვნად განაპირობა იურიდიული პირების ფართოდ მონაწილეობა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში და საუკეთესო პირობები შექმნა მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების სრულყოფისათვის. იურიდიული პირის კონსტრუქციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იქმნება სამართლის ახალი სუბიექტი, რომლის ქონებაც განკერძოებულია მათი შემქმნელი პირების ქონებისაგან. ასეთ სუბიექტად ერთ შემთხვევაში შეიძლება გამოვიდეს ცალკეულ ფიზიკურ პირთა გაერთიანება კორპორაციების სახით, მეორე შემთხვევაში კი — ქონების გაერთიანების შედეგად წარმოშობილი ორგანიზაციული წარმონაქმნი — ფონდების სახით. აქედან გამომდინარე, იურიდიული პირი არის პოზიტიური სამართლის აბსტრაქტული ცნება, რომელიც შესაძლებლობას ქმნის სამართლებრივ ურთიერთობებში ინდივიდუალური ფიზიკური პირების გარდა, ახალი წარმონაქმნების მონაწილეობის მისაღებად. ფიზიკურ პირთა და ქონებათა გაერთიანების ფორმების სიმრავლის პირობებში სამართალი არჩევს ყველაზე უფრო ოპტიმალურ ფორმას და მას

აღიარებს იურიდიულ პირად ანუ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ.

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. იურიდიული პირის ასეთი კონსტრუქცია სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი საშუალებაა, რადგან მასში თავმოყრილია ყველა ის ძირითადი ნიშანი, რომელიც ნებისმიერი იურიდიული პირისათვის არის დამახასიათებელი.

ეს ნიშნებია: 1. **ორგანიზაციული ერთიანობა** – იურიდიული პირი იქმნება და ფუნქციონირებს კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, მას გააჩნია დადგენილი წესით რეგისტრირებული წესდება ან სხვა სამართლებრივი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია მიზანი და მისი ხანგრძლივი ხასიათი. ფილიალები და წარმომადგენლობები არ არიან იურიდიული პირები.

2. **ქონებრივი დამოუკიდებლობა** – იურიდიულ პირს უნდა გააჩნდეს თავისი ქონება, რის საფუძველზეც შეძლებს იგი სამეურნეო ბრუნვაში მონაწილეობის მიღებას. ეს ქონება მას საკუთრებაში გააჩნია. იგი განცალკევებულია იურიდიული პირის დამფუძნებელთა ან წევრთა ქონებისაგან.

3. **დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობა** – იურიდიული პირი თავისი განკერძოებული ქონებით პასუხს აგებს კრედიტორთა წინაშე. გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება კანონით გათვალისწინებულ იქნეს მისი წევრების პასუხისმგებლობაც. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთ შემთხვევებში იურიდიული პირის ქონება ხელშეუხებელია (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სახელმწიფო საწარმო).

4. **თავისი სახელით გამოსვლა სამოქალაქო ბრუნვასა და სასამართლოში** – ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების შესაბამისად ნებისმიერი იურიდიული პირი უფლებამოსილია თავისი სახელით გამოვიდეს სამოქალაქო ბრუნვაში ან სასამართლოში. ეს ჩვეულებრივ თავისი ორგანოების მეშვეობით ხდება. არავის არა აქვს უფლება

იურიდიული პირის ნებართვის გარეშე მის წარმომადგენლად გამოვიდეს სამოქალაქო ბრუნვაში ან სასამართლოში.

იურიდიულ პირს გააჩნია თავისი სახელწოდება და ადგილსამყოფელი. სახელწოდებაში უნდა აღინიშნოს მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. ფიზიკური პირების სახელისაგან განსხვავებით, იურიდიული პირის სახელწოდება არ მიეკუთვნება პირად არაქონებრივ უფლებათა რიგს. მისი გადაცემა სხვისთვის, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაძლებელია. ასევე იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი ანუ იურიდიული მისამართი. ასეთად ითვლება იურიდიული პირის ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. სხვა ადგილსამყოფელი ჩაითვლება იურიდიული პირის ფილიალის და არა მის ადგილსამყოფელად.

იურიდიული პირების სიმრავლე, მათი ორგანიზაციისა და ფუნქციონირების არაერთგვაროვანი სამართლებრივი საფუძვლები განაპირობებს მათი სხვადასხვა სახეებად დაყოფის აუცილებლობას. კრიტერიუმებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართლებრივი სისტემების სხვადასხვაობა და საქმიანობის ხასიათი.

პირველი კრიტერიუმის მიხედვით იურიდიული პირები იყოფა კერძო სამართლისა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად. კერძო სამართლის იურიდიული პირები იქმნება დამფუძნებელთა ნების თავისუფალი გამოვლენისა და ავტონომიურობის საფუძველზე. ამასთან, კერძო სამართალში ზუსტადაა განსაზღვრული რა სახის იურიდიული პირების შექმნაა შესაძლებელი. საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნა სახელმწიფოს სპეციალური აქტის საფუძველზე ხდება და ამ მხრივ რაიმე შეზღუდვას კანონი არ ითვალისწინებს. ამიტომ საკმაოდ ლოგიკურია მათი სიმრავლე (უპირველესი იურიდიული პირი თვითონ სახელმწიფოა, გარდა ამისა, აქვე შედის ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, სახელმწიფო კორპორაციები, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები, სახელმწიფო ფონდები, პოლიტიკური პარტიები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და სხვ.).

მეორე კრიტერიუმის მიხედვით იურიდიული პირები იყოფა არაკომერციულ და კომერციულ პირებად. არაკომერციულია ისეთი იურიდიული პირი, რომელიც არ მისდევს სამეწარმეო საქმიანობას და

არც შესაბამისი მოგება გააჩნია. ისინი ძირითადად ორგანიზაციულ-მმართველობით, სოციალურ-კულტურულ და სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ფუნქციის შესრულებას ემსახურებიან. ამიტომ ისინი სახელმწიფო ბიუჯეტის ან სხვადასხვა ნებაყოფლობითი შენატანებისა და შეწირულობათა ხარჯზე ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას. კომერციული იურიდიული პირისათვის სამეწარმეო საქმიანობა და მოგების მიღება ძირითად მიზანს წარმოადგენს. ისინი საკუთარი სახსრებით არსებობენ.

კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირები შეიძლება იყვნენ როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის სფეროში. უმეტესად საჯარო სამართლის იურიდიული პირები არაკომერციული ხასიათისაა. ასეთებია მაგალითად, სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეროვნული ბანკი, ბიბლიოთეკა, პარტიები, რელიგიური გაერთიანებები. ასეთ იურიდიულ პირებს უფლება აქვთ აწარმოონ უმნიშვნელო კომერციული საქმიანობა, რომელიც მათ ძირითად მიზნებს არ ეწინააღმდეგება და აქედან მიღებული შემოსავალი მოგების სახით არ უნდა განაწილდეს მათ წევრებს შორის. პრაქტიკაში საკმაოდ იკიდებს ფეხს საბიუჯეტო დაწესებულებათა „კომერციალიზაციის" პროცესი. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება კულტურულ-სანახაობით ორგანიზაციებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, რომელთა საქმიანობაში შემოსავლების მიღება დროის მოთხოვნითაა განპირობებული. სახელმწიფო, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას, იყენებს კერძოსამართლებრივი ხასიათის იურიდიული პირების ფორმებს. ამიტომაა რომ სახელმწიფო საწარმო, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას მისდევს, კერძო სამართლის სუბიექტად ითვლება.

კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კომერციულ იურიდიულ პირებს. მათი სტატუსი განსაზღვრულია მეწარმეთა შესახებ კანონით და შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებითაა წარმოდგენილი: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს), და კოოპერატივი. რაც შეეხება კერძო სამართლის არაკომერციულ იურიდიულ პირებს, ისინი ძირითადად კავშირებისა და ფონდების სახით არსებობენ. მათი სა-

მართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსით. კავშირები წევრობის საფუძველზე შექმნილი იურიდიული პირებია, ხოლო ფონდები – ქონების გაერთიანების საფუძველზე. ამიტომ თუ კავშირს თავისი წევრები გააჩნია, ფონდი უწევრო იურიდიული პირია. აქ ქონებაა თვითონ იურიდიული პირი.

იურიდიულ პირებსაც გააჩნიათ უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, თუმცა მათ გარკვეული სპეციფიკა ახასიათებთ. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ იურიდიულ პირს უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა ერთდროულად წარმოეშობათ სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან და გააჩნიათ მისი ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების რეგისტრაციის მომენტამდე. ფიზიკური პირებისაგან განსხვავებით, იურიდიულ პირს შეიძლება ჩამოერთვას უფლებაუნარიანობა თუ იგი ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა საერთოდ შეიძლება იყოს ზოგადი ანუ უნივერსალური და სპეციალური. ზოგადი უფლებაუნარიანობა იმას ნიშნავს, რომ იურიდიულ პირს შეუძლია ნებისმიერ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში მიიღოს მონაწილეობა მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ურთიერთობები მის წესდებაში იქნება აღნიშნული თუ არა. სპეციალური უფლებაუნარიანობა კი გულისხმობს წესდებით იმ ურთიერთობათა შემოფარგვლას, რომელშიც იგი მიიღებს მონაწილეობას. ამ ფარგლებიდან გასვლა იურიდიული პირის მიერ დადებული გარიგების გაბათილების საფუძველია. სოციალისტური სამოქალაქო სამართალი სპეციალური უფლებაუნარიანობის პრინციპს ეყრდნობოდა. ეს საჯარო სამართლის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობით იყო განპირობებული. საბაზრო მეურნეობის პრინციპებისადმი შესაბამის სამოქალაქო სამართალში ურიდიული პირების უფლებაუნარიანობის საკითხი შემდეგნაირად არის გადაწყვეტილი – კერძო სამართლის იურიდიულ პირს, კომერციული ხასიათისა იქნება იგი თუ არაკომერციული, უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებაში გათვალისწინებული ე. ი. მათ გააჩნიათ უნივერსალური უფლებაუნარიანობა. რაც შეეხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, მათ ახასიათებთ სპეციალური უფლებაუნარიანობა. მათი საქმიანობა მკაცრად უნდა შეესა-

ბამებოდეს წესდებით გათვალისწინებულ მიზნებს.

იურიდიული პირის ნაირსახეობას წარმოადგენს სახელმწიფო. იგი სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში შედარებით იშვიათად მონაწილეობს. მაგრამ ყველა შემთხვევაში, როცა იგი ამ ურთიერთობათა სუბიექტად გამოდის, არაფრით არ განსხვავდება კერძო სამართლის ნებისმიერი მონაწილისაგან. მას ისეთივე უფლებები და ვალდებულებები შეიძლება ჰქონდეს, როგორც მოქალაქეებს ან ნებისმიერ იურიდიულ პირს. სახელმწიფოს მონაწილეობა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ხორციელდება მათი ორგანოების — უმეტესად ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მეშვეობით.

თავი IV. საკუთრების უფლება

ადამიანის ძირითად უფლებათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკუთრების უფლება. იგი ყველაზე ფართო ქონებრივი უფლებაა, რომელშიც სრულყოფილად გამოიხატება მისი მუდმივი ხასიათი და პიროვნული თავისუფლების საფუძველი. სამოქალაქო კოდექსის შინაარსიდან გამომდინარე, **საკუთრების უფლება არის კანონისმიერი ან სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის შესაძლებლობა.** ამით, რა თქმა უნდა, არ უნდა ილახებოდეს სხვა პირთა უფლებები და იგი არ უნდა გულისხმობდეს ამ უფლების ბოროტად გამოყენებას. აქედან გამომდინარე, საკუთრების უფლება, ამავე დროს, განსაზღვრულ მოვალეობებსაც შეიცავს, რომელსაც მესაკუთრე უნდა ასრულებდეს მისი განხორციელების პროცესში.

საკუთრების უფლების აღნიშნულ აბსტრაქტულ და ძალზე ზოგად ცნებაში მთავარი ყურადღება გამახვილებულია მესაკუთრის ძირითად უფლებამოსილებებზე. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მფლობელობა. იგი წარმოადგენს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას, მის ფლობას, თავისუფლად გამოყენების შესაძლებლობას. მფლობელობა უნდა ემყარებოდეს კანონიერ საფუძველს. წინააღმდეგ შემთხვევაში მფლობელობა არაკანონიერი იქნება, მაგალითად, მპარულ ნივთს ქურდი უკანონოდ ფლობს. ამგვარად, კანონიერად განხორციელებული მფლობელობა ძირითადად ნივთის მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციას ედება

საფუძვლად. მფლობელად ითვლება ის პირი, რომელსაც გააჩნია ნივთზე ფლობის უფლებამოსილების მინიჭების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, მფლობელად არ ჩაითვლება ის პირი, რომელიც, მართალია, ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ და ამ უკანასკნელისაგან მიღებული უფლებამოსილების საფუძველზე. მფლობელობა შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. თუ პირს ნივთი დროებით გააჩნია, ფლობის უფლებით ან ფლობის ვალდებულებით (დამქირავებელი ან შემნახველი), იგი ითვლება პირდაპირ მფლობელად. ფლობის უფლების მიმნიჭებელი ან ფლობის ვალდებულების დამკისრებელი კი ჩაითვლება არაპირდაპირ მფლობელად (გამქირავებელი ან ნივთის შესანახად მიმბარებელი).

მფლობელობა შეიძლება იყოს კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერიც. კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს. არაკეთილსინდისიერია ის მფლობელი, რომელმაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მისი მფლობელობა არამართლზომიერია, მაგალითად, ნივთის შეძენა იმ პირისაგან, რომელსაც მისი გასხვისების უფლება არ ჰქონდა. თუ კეთილსინდისიერ მფლობელს სხვა პირმა ჩამოართვა მფლობელობა, მას სამი წლის განმავლობაში შეუძლია ახალ მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება. შესაძლებელია კეთილსინდისიერ მფლობელს ნივთი არ ჩამოერთვას, მაგრამ ისე შეეშალოს ხელი მფლობელობის განხორციელებაში. ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია მოითხოვოს ხელის შეშლის აღკვეთა და მფლობელობის ხელყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს როგორც ნივთი, ასევე მისგან მიღებული სარგებელი.

მფლობელობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული **სარგებლობის უფლება**. სარგებლობა არის ნივთის ექსპლუატაცია, მისი სასარგებლო თვისებათა გამოყენება. მესაკუთრე უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს მისი ქონება. სარგებლობის უფლება შეიცავს იმის შესაძლებლობასაც, რომ პირმა არ ისარგებლოს თავისი ქონებით. გამონაკლის შემთხვევაში კი, როცა საზოგადო ინტერესები შეიძლება შეილახოს რომელიმე ნივთის გამოუყენებლობით ან მოუვლელობით, შესაძლებელია კანონით დაწესდეს მისი სარგებლობის ან მოვლა-შენახვის ვალდებულება. მსგავს შემთხვევაში მესაკუთრეს უშუალოდ დაეკისრება ასეთი ვალდე-

ბულების შესრულება ან მის ხარჯზე სხვა პირს გადაეცემა ნივთი სარგებლობაში. სარგებლობაც, მფლობელობის მსგავსად, შეიძლება იყოს კანონიერი და უკანონო. მფლობელობაცა და სარგებლობაც შეიძლება ცალ-ცალკე ან ერთად მესაკუთრის მიერ დროებით გადაეცეს სხვას.

განკარგვა ნიშნავს მესაკუთრის მიერ თავისი ქონების იურიდიული და ფაქტობრივი ბედის გადაწყვეტას. იგი ყველაზე არსებითად განსაზღვრავს საკუთრების შინაარსს. ქონების განკარგვის უფლება ყოველთვის მესაკუთრეს გააჩნია. ამ უფლების სხვისთვის გადაცემა ფაქტობრივად საკუთრების უფლების დაკარგვას ნიშნავს. განკარგვის გავრცელებული სახეა ნივთის გასხვისება — გაყიდვა და გაჩუქება, აგრეთვე მისი გამოყენებით მოსპობა და სხვა. მფლობელობისა და სარგებლობისაგან განსხვავებით, განკარგვაში უფრო მეტი იურიდიული ხასიათის ელემენტია მოცემული, ვიდრე ეკონომიკური. საბოლოო ჯამში, მესაკუთრის სტატუსს სამივე ტრადიციული უფლების ერთობლიობა განსაზღვრავს.

საკუთრების უფლების განხორციელება შესაძლებელია კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრულ ჩარჩოებში. ეს გულისხმობს მესაკუთრის ზოგიერთ უფლებამოსილებათა შეზღუდვის შესაძლებლობას. არ შეიძლება საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა საკუთრების უფლების განხორციელებისას არ იკვეთება მესაკუთრის ინტერესების უპირატესობა და, ამგვარად, ამ უფლების გამოყენება არ არის გამოწვეული აუცილებლობით.

მესაკუთრის ზემოაღნიშნული უფლებამოსილებანი შეიძლება ერთ ან რამდენიმე პირს ერთად ჰქონდეს. პირველ შემთხვევაში სახეზე იქნება ინდივიდუალური საკუთრება, მეორეში კი — საერთო საკუთრება. სამოქალაქო კანონმდებლობით ცნობილია საერთო წილადი და საერთო თანაზიარი საკუთრება. საერთო წილადია საკუთრება მაშინ, როცა საერთო საკუთრების ქონებაში თითოეული მესაკუთრის წილი წინასწარ არის განსაზღვრული. მაგალითად, საცხოვრებელი სახლის ხუთი ოთახიდან ორი ეკუთვნის ერთს, ხოლო სამი — მეორე მესაკუთრეს, ე.ი. მთელი ქონება დაყოფილია 2/5 და 3/5-ად. საერთო თანაზიარ საკუთრებაში წილი წინასწარ არ არის განსაზღვრული. მისი განსაზღვრა ხდება ქონების გაყოფისას. მანამდე იგულისხმება, რომ ყველა მესაკუთრეს თანაბრად ეკუთვნის ქონება. მაგალითად, ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ მეუღლეთა მიერ შეძენილი ქონება კანონის

მიხედვით მათი თანაზიარი საკუთრებაა. კანონის გარდა, საერთო საკუთრების ესა თუ ის სახე განისაზღვრება თანამესაკუთრეებს შორის დადებული გარიგების საფუძველზეც. საერთო საკუთრებაში არსებული ქონების მოვლა და შენახვა თანამესაკუთრეთა მოვალეობაა. ყოველ თანამესაკუთრეს აქვს საერთო საკუთრების წილის უპირატესი შესყიდვის უფლება. საკუთრების უფლების წარმოშობა სხვადასხვა ფაქტთანაა დაკავშირებული, მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლება შეიძლება წარმოიშვას მისი დამზადების – შექმნის შედეგად, აგრეთვე სხვადასხვა გარიგების საფუძველზე (ნასყიდობა, ჩუქება, მემკვიდრეობა და სხვ.). ნივთის გადაცემა ერთიდან მეორე მესაკუთრეზე უნდა მოხდეს ნამდვილი უფლებების საფუძველზე. ნივთის გადაცემად ითვლება: შემძენისათვის ნივთის ჩაბარება მფლობელობაში, შემძენისათვის მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება და სხვ. შემძენი შეიძლება ნივთის მესაკუთრე გახდეს მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ არის ნივთის მესაკუთრე. ამ დროს შემძენი აუცილებლად კეთილსნდისიერია, ე. ი. მან არ იცის და არც უნდა იცოდეს, რომ გამსხვისებელი არ არის მესაკუთრე. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება წარმოიშობა მათი გადაცემის მომენტიდან. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია საკუთრების გადაცემა შემძენზე მისი საფასურის გადახდის შემდეგ, თუ ამაზე თანახმაა გამსხვისებელი. საკუთრების უფლება შეიძლება უპატრონო ნივთზე ან ნაპოვნზე წარმოიშვას კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. თუ განძის სახით აღმოჩენილია საგანი, რომელიც ისე დიდხანს იყო დაფლული, რომ შეუძლებელია მისი მესაკუთრის დადგენა, მაშინ იგი სანახევრო საკუთრებაში გადადის აღმომჩენზე და იმ პირზე, რომლის ქონებაშიც იქნა აღმოჩენილი.

უძრავი ნივთების შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული სპეციალური საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. რეგისტრაციისათვის განცხადებით მიმართვა შეუძლია როგორც გამსხვისებელს, ისე შემძენს.

საკუთრების შეძენა შესაძლებელია უფლებებსა და მოთხოვნებზეც. მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს, რომელზეც ისინი გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყო.

კანონით გათვალისწინებულია საკუთრების უფლების შეძენა ხანდაზმულობით. მაგალითად, თუ პირი მოძრავ ნივთს ხუთი წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობს, როგორც საკუთარს, მასზე მოიპოვებს საკუთრების უფლებას. განსხვავებული წესია დადგენილი უძრავი ქონების მიმართ. თუ პირი საჯარო რეესტრში შეტანილია მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრედ ისე, რომ არა აქვს საკუთრების უფლება მასზე, იგი მესაკუთრის უფლებას მოიპოვებს, თუ რეგისტრაცია არსებობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში და ამ ხნის მანძილზე პირი ფლობდა მას, როგორც საკუთარს.

საკუთრების უფლების მოსპობა შესაძლებელია მოძრავი ნივთის სამომხმარებლო გამოყენების საფუძველზე, ან სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დადებით მისი განკარგვისას. უძრავ ნივთზე კი ეს ხდება საკუთრების უფლების მიტოვებით. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია უფლებამოსილი პირის განცხადება უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ. განცხადება უნდა ჩაბარდეს რეესტრის სამსახურს. მხოლოდ ამის შემდეგ იძენს განცხადება სავალდებულო ძალას და საკუთრების უფლება ისპობა.

საკუთრების უფლების დაცვა, სამართლის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, ძირითადად ორი სახის საშუალებით — სანივთო-სამართლებრივი და ვალდებულებით-სამართლებრივი სარჩელების წარდგენით ხორციელდება. სანივთო-სამართლებრივი დაცვის საშუალებებს წარმოადგენს სავინდიკაციო ან ნეგატიული სარჩელის წარდგენა საამართლოში. პირველის შინაარსში შედის მოთხოვნა საკუთარი ნივთის სხვის უკანონო მფლობელობიდან დაბრუნების შესახებ. მეორე შემთხვევაში საქმე ეხება საკუთრების უფლების განხორციელების ხელისშემშლელი გარემოებების აღმოფხვრის მოთხოვნას. ვალდებულებით-სამართლებრივი დაცვა გულისხმობს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევისათვის მესაკუთრის შელახული ქონებრივი უფლებების აღდგენის მოთხოვნას. მესაკუთრის მსგავსად ხდება იმ პირთა უფლებების დაცვაც, რომლებიც, მართალია, არ არიან მესაკუთრეები, მაგრამ მათ კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში იმყოფება ქონება ან შეზღუდული საკუთრების უფლება გააჩნიათ.

თავი V. სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების ცნება და შინაარსი

ვალდებულება ზოგადი ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობაა, რომლის შინაარსი ცალკეულ სუბიექტებს შორის განსაზღვრული ობიექტის თაობაზე უფლება-მოვალეობათა განაწილებას გულისხმობს. **ვალდებულების ძალით ერთი მხარე უფლებამოსილია მეორე მხარეს მოსთხოვოს რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება, ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებულია შეასრულოს მოთხოვნა.**

ვალდებულებაში ყოველთვის ორი მხარე მონაწილეობს — კრედიტორი, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს და მოვალე, რომელიც ვალდებულია გადასცეს ქონება, შეასრულოს სამუშაო, გადაიხადოს ვალი და სხვ., ან არ შეასრულოს განსაზღვრული მოქმედება. კრედიტორის მოთხოვნის უფლებას ყოველთვის შეესაბამება მოვალის კონკრეტული ვალდებულება. შესაძლებელია, ვალდებულებაში რამდენიმე პირი მონაწილეობდეს, მაგრამ მხარე ყოველთვის ორია — კრედიტორი და მოვალე. პირთა სიმრავლე შესაძლებელია ორივე მხარეზე. რამდენიმე კრედიტორს, შესაძლებელია, მოთხოვნის უფლება ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე მოვალის მიმართ და პირიქით — რამდენიმე მოვალეს ვალდებულება გააჩნდეს ერთი ან რამდენიმე კრედიტორის წინაშე. მაგალითად, საცხოვრებელი სახლი შეიძლება ერთმა მესაკუთრემ გაყიდოს და რამდენიმე თანამესაკუთრემაც. ეს სახლი კი შეიძლება შეიძინოს როგორც ერთმა, ისე რამდენიმე პირმა. ვალდებულებაში რთული ურთიერთობაცაა შესაძლებელი. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა ერთი სახის ვალდებულებაში ერთი პირი კრედიტორია, ხოლო მეორე — მოვალე, მათ შორის წარმოშობილ სხვა ვალდებულებებში კი — პირველი პირი მოვალედ გამოდის, მეორე კი — კრედიტორად. ამ დროს თითოეული მათგანი ერთმანეთის კრედიტორიც არის და მოვალეც. ასეთი რამ მარტივ ვალდებულებაშიც გვხვდება. ამ დროს სახეზეა ერთი სახის ვალდებულება, მაგრამ მასში კრედიტორი და მოვალე თითქმის ერთნაირი უფლება-მოვალეობებით გამოდიან. მაგალითად, ნასყიდობასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში გამყიდველი კრედიტორია, როცა გაყიდული ნივთის საფასურს ითხოვს და მოვალეა, როცა გაყიდულ ნივთს სთხოვენ. მყიდველი კი კრედიტორია, როცა ნაყიდ ნივთს

ითხოვს და მოვალეა, როცა მისი საფასურის გადახდას სთხოვენ. კიდევ უფრო მარტივია ვალდებულება, რომელშიც ერთი მხარის უფლებას მისი შესაბამისი ვალდებულება ახლავს თან. ასეთია მაგალითად, სესხთან ან თხოვებასთან დაკავშირებული ვალდებულება.

ვალდებულებაში პირთა სიმრავლის დროს, თუ რამდენიმე პირს ერთნაირი უფლება აქვს მოითხოვოს მთლიანი ვალდებულების შესრულება და მოვალე ვალდებულია ერთჯერადად შეასრულოს იგი, საქმე გვაქვს სოლიდარულ კრედიტორებთან. მაგრამ თუ კრედიტორს ერთჯერადი მოთხოვნის უფლება აქვს, ხოლო მოვალეები ვალდებულები არიან თითოეულმა ცალ-ცალკე მიიღოს მონაწილეობა ვალდებულების შესრულებაში, მაშინ ისინი სოლიდარულ მოვალეებად ითვლებიან. სოლიდარული კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულების მიღება მოთხვნის უფლებას უსპობს სხვა კრედიტორებს, ისე როგორც ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულებების მთლიანად შესრულება ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებს.

ვალდებულებაში ყოველთვის შესაძლებელია კრედიტორის ან მოვალის შეცვლა. კრედიტორის შეცვლას მოვალის თანხმობა არ სჭირდება. მან მხოლოდ უნდა იცოდეს ამ ცვლილებების შესახებ. რაც შეეხება მოვალის შეცვლას, იგი უნდა მოხდეს კრედიტორის თანხმობით, რადგან ამ უკანასკნელისათვის, გარანტირებულობის თვალსაზრისით, სულერთი არ არის ვინ იქნება ვალდებულების შემსრულებელი. კრედიტორის შეცვლას ჰქვია **მოთხოვნის დათმობა**, ხოლო მოვალის შეცვლას კი — **ვალის გადაკისრება**.

სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. თუ ალტერნატიული ვალდებულებებიდან ერთ-ერთი უნდა შესრულდეს, მაშინ არჩევანის უფლება, ჩვეულებრივ, მოვალეს გააჩნია. ვალდებულება ნაწილ-ნაწილ შეიძლება მაშინ შესრულდეს თუ ამაზე თანახმაა კრედიტორი. სხვა შემთხვევებში იგი მთლიანად უნდა შესრულდეს. ფულადი ვალდებულების შესრულება შესაძლებელია როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში. თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული ანუ კურსი (ოქროს შემცველობა) ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის

დროს. ვალუტის შეცვლისას გაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც მისი გამოცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის. ვალდებულების შესრულების დრო და ადგილი განისაზღვრება კანონით ან ხელშეკრულებით. ასევე შეიძლება დადგინდეს შესრულების ხარისხი.

კრედიტორი პასუხისმგებელია მოვალისაგან მიიღოს ვალდებულების შესრულება. ამიტომ მან უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მიადგა მოვალეს შესრულებული ვალდებულების მიღების ვადის ბრალეული გადაცილების გამო. მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალება არსებობს. მათ შორის ძირითადია გირავნობა (მოძრავი ნივთების მიმართ) და ჰიპოთეკა (უძრავი ნივთების მიმართ), ხოლო მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებებია: პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია.

ვალდებულების შეწყვეტის ყველაზე გავრცელებული და ლოგიკური საშუალებაა შესრულება. არსებობს მისი შეწყვეტის სხვა საფუძვლებიც. მათ შორის: **ნოვაცია** (ერთის ნაცვლად მეორე ვალდებულების შესრულების მიღება), **დეპონირება** (შესრულების მიღების დაყოვნებისას ფულის შეტანა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე და სხვ.), **ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა** (ორ პირს შორის არსებული სხვადასხვა მოთხოვნათა შესრულებაში ჩათვლა), **ვალის პატიება, მოვალისა და კრედიტორის ფუნქციების ერთი და იმავე პირის ხელში თავმოყრა, კრედიტორი ან მოვალე ფიზიკური პირის გარდაცვალება, აგრეთვე, იურიდიული პირის ლიკვიდაცია.**

თავი VI. სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებანი

ვალდებულებათა დაყოფას სახელშეკრულებოდ და არასახელშეკრულებოდ საფუძვლად უდევს მის მონაწილეთა ერთმანეთთან ურთიერთობის სამართლებრივი საფუძველი. სახელშეკრულებო ვალდებულებებში უფლება-მოვალეობის წარმოშობა კანონთან ერთად, ძირ-

ითადად, ხელშეკრულების საფუძველზე ხდება. ამ დროს მთავარია ვალდებულების მონაწილეთა შორის დადებული შეთანხმება. ვალდებულებათა აბსოლუტური უმრავლესობა სახელშეკრულებოა. ასეთ ვალდებულებათა რიგს მიეკუთვნება: სესხის, ნასყიდობის, ჩუქების, ქირავნობის და სხვა ნებისმიერი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულება. იგულისხმება რომ ყველა ასეთი ვალებულების წარმოშობა კანონს ეფუძნება. რაც შეეხება არასახელშეკრულებო ვალდებულებებს, ისინი ძირითადად კანონის საფუძველზე წარმოიშობა და მათ მხარეთა წინასწარი შეთანხმება არ უდევს საფუძვლად. მაგალითად, კანონითაა გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება იმ შემთხვევისათვის, როცა ერთი პირი მეორეს ზიანს მიაყენებს არამართლზომიერი ქმედებით. ზიანის მიყენების ფაქტი იურიდიული მნიშვნელობისაა და საფუძვლად ედება ზიანის მიმყენებლის ქონებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობას. იგივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა სახეზეა სხვისი ქონების ხარჯზე უსაფუძვლო გამდიდრება. არასახელშეკრულებო ხასიათისაა ვალდებულება, მაშინაც, როცა იგი წარმოიშობა კანონისა და ერთი პირის ნების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაშიც გამორიცხულია პირთა შორის წინასწარი შეთანხმება ანუ ხელშეკრულება.ზოგჯერ მხოლოდ ერთი პირის ნებაა საკმარისი იმისათვის, რომ ვალდებულება წარმოიშვას. ასეთი ვალდებულების წარმოშობის შესაძლებლობასა და შინაარსს უნდა ითვალისწინებდეს კანონი. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჯილდოს საჯაროდ დაპირება, გარკვეული მოქმედების შესრულებისათვის, ადგენს დამწესებლის ვალდებულებას გადაუხადოს ჯილდო იმ პირს, რომელმაც მოთხოვნილი მოქმედება შეასრულა. არასახელშეკრულებო ვალდებულებები შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული სამოქალაქო სამართალში.

სახელშეკრულებო ვალდებულების ძირითადი საფუძველი ხელშეკრულებაა. იგი წარმოადგენს ორი ან მეტი პირის შეთანხმებას, რაც მიზნად ისახავს სამოქალაქო უფლება-მოვალეობათა წარმოშობას, შეცვლას ან მოსპობას. ხელშეკრულება გარიგების ნაირსახეობაა. ამიტომ, ბუნებრივია, მასზე ვრცელდება ის ზოგადი დებულებები, რაც სამოქალაქო კოდექსით გარიგებების მიმართ არის დადგენილი. მიუხედავად ამისა, მათ შორის არსებითი განსხვავებაა. **გარიგება, რომელ-**

იც სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ მიმართული ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლინებაა, გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ხელშეკრულება. ყოველი ხელშეკრულება ამავე დროს გარიგებაა. მაგრამ ყოველი გარიგება არ არის ხელშეკრულება. ცალმხრივ გარიგებაში შეიძლება ერთი მონაწილე იყოს. მაგალითად, უარის თქმა სამკვიდრო ქონების მიღებაზე ერთი პირის ნებას გამოხატავს. ასეთი მოქმედება არ შეიძლება ხელშეკრულება იყოს, რადგან იგი ყოველთვის გულისხმობს პირთა შორის შეთანხმებას, ე. ი. ხელშეკრულებაში სულ ცოტა ორი პირი მაინც უნდა მონაწილეობდეს. ასეთია მაგალითად, სესხის თაობაზე დადებული შეთანხმება. ამიტომ ხელშეკრულებათა ცალმხრივობა და ორმხრივობა, გარიგებისაგან განსხვავებით, მასში მონაწილე მხარეთა რაოდენობაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მათ შორის უფლება-მოვალეობათა განაწილებაზე. თუ ერთ მხარეს მოთხოვნის უფლება აქვს, ხოლო მეორე ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა, ასეთი ხელშეკრულება ცალმხრივია. მაგალითად, გამსესხებელს უფლება აქვს მოითხოვოს სესხის დაბრუნება, მსესხებელი კი მოვალეა დააბრუნოს იგი. თუკი ხელშეკრულებაში ორივე მხარეს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ უფლებაცა და მოვალეობაც, მაშინ ხელშეკრულება ორმხრივია. მაგალითად, გამყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს გაყიდული ნივთის საფასური და ვალდებულია მყიდველს გადასცეს ნაყიდი ნივთი, ხოლო მყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ნაყიდი ნივთის მისთვის გადაცემა და ვალდებულია გამყიდველს გადაუხადოს მისი ღირებულება. როგორც სესხის, ისე ნასყიდობის ხელშეკრულება გარიგებაა, მაგრამ ორივე შემთხვევაში გარიგება ორმხრივია, რადგან თითოეულ მათგანში ორი პირის ნებაა გამოვლინებული.

ხელშეკრულების ცნება განსხვავდება აგრეთვე ვალდებულებისაგან. ხელშეკრულება იურიდიული ფაქტია და საფუძვლად ედება ვალდებულების წარმოშობას მაშინ, როცა ვალდებულება უკვე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობაა. ამასთან, ხელშეკრულება არ არის ვალდებულების წარმოშობის ერთადერთი საფუძველი, მიუხედავად იმისა, რომ ივი სხვა საფუძველთა შორის ყველაზე გავრცელებულია.

სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილია ხელშეკრულების დადების თავისუფლება. კერძო სამართლის სუბიექტებს კანონის ფარგლებში

შეუძლიათ თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. ძირითად ხელშეკრულებათა სახეებს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს. გარდა ამისა, შეიძლება ისეთ ხელშეკრულების დადებაც, რომელიც თუმცა არ არის გათვალისწინებული კოდექსით, მაგრამ არ ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს. მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო ხელშეკრულების დადება არ შეიძლება მაგალითად, კანონი კრძალავს ისეთი ხელშეკრულების დადებას, რომლის საგანს მომავალი ქონება შეადგენს. არ შეიძლება, აგრეთვე პირის სიცოცხლეში, მისი სამკვიდროდან გამომდინარე, სავალდებულო წილისა და საანდერძო დანაკისრის თაობაზე ხელშეკრულების დადება.

ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. მხარეთა შეთანხმება ორი სტადიისაგან შედგება. ერთია, წინადადების შეთავაზება და მეორე — შეთავაზებული წინადადების მიღება. ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადებას ეწოდება **ოფერტი**, ხოლო წინადადების მიმცემ მხარეს კი — **ოფერენტი**. წინადადების მიღებაზე თანხმობა არის **აქცეპტი**, ხოლო წინადადების მიმღები მხარე — **აქცეპტანტი**. ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობით. წერილობითი ხელშეკრულება, თავის მხრივ, შეიძლება იყოს მარტივი და სანოტარო. მარტივი წერილობითი ფორმისათვის საკმარისია ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელის მოწერა (მაგალითად, სესხის ხელშეკრულება), ხელშეკრულების სანოტარო დამოწმება კი სავალდებულოა კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში (მაგალითად, უძრავი ნივთის ნასყიდობა). ხელშეკრულება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დადებულად, თუ მხარეები შეთანხმდებიან ყველა **არსებით პირობაზე**. არსებითად კი ითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ და აუცილებელია მოცემული სახის ხელშეკრულებისათვის. არსებითია ასევე ის პირობებიც, რომლებზეც თუნდაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიიღწევა შეთანხმება. არსებითი პირობების გარდა, შესაძლებელია სხვა პირობებიც არსებობდეს. მათ მიეკუთვნება, მაგალითად, **ჩვეულებრივი და შემთხვევითი პირობები**. ჩვეულებრივია პირობა, რომელიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხელშეკრულებით, მაგრამ არ არის აუცილებელი. ხელშეკრულების დადება მასზე არაა დამოკიდებული. ასეთ

პირობას კანონი ავტომატურად ითვალისწინებს, მაგალითად, პირობა იმის თაობაზე, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველზე უნდა გადავიდეს ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკი. შემთხვევითია ისეთი პირობა, რომელიც შეიძლება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყოს ან არა, მაგრამ ჩვეულებრივი პირობისაგან განსხვავებით, იგი ავტომატურად არ იგულისხმება. მაგალითად, იმავე ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაყიდი ნივთის მყიდველის ბინაზე მიტანა გამყიდველმა უნდა განახორციელოს თუ არა, შეიძლება არც იქნეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მაგრამ იგი მაინც ჩაითვლება დადებულად.

განსაზღვრული მნიშვნელობა ენიჭება **სტანდარტულ პირობებს**. ისინი წინასწარჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობებია. მაგალითად, გამყიდველი მყიდველს შეთავაზებულ ნივთთან ერთად წარუდგენს წინასწარგანსაზღვრულ ფასს. თუ მყიდველი მიიღებს მას, იგი ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი გახდება.

სახელშეკრულებო ვალდებულებებში მხარეთა უფლება-მოვალეობების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება ხელშეკრულებით იქნეს გათვალისწინებული. ყოველ შემთხვევაში ისეთ ვალდებულებებში, რომლებიც სესხის, ნასყიდობის, ჩუქების, ნარდობის, გირავნობის, იჯარისა და სხვა ხელშეკრულებათა საფუძველზე წარმოიშობა, კანონი მათი შინაარსის ყველა დეტალს ვერ მოიცავს. სხვა მდგომარეობაა არასახელშეკრულებო ვალდებულებებში. აქ მხარეთა ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული მათი წარმოშობა და ბუნებრივია, რომ კანონმა უნდა განსაზღვროს ვალდებულების შინაარსი. სხვისთვის ზიანის მიყენება ან სხვის ხარჯზე უსაფუძვლო გამდიდრება არამართლზომიერ მოქმედებათა შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის საფუძველია. ასეთ ვალდებულებაში კრედიტორია პირი, რომელსაც ზიანი მიადგა სხვისი არამართლზომიერი მოქმედებით. სწორედ მას აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. მოვალეა ის პირი, რომელმაც ზიანი მიაყენა დაზარალებულს. სამოქალაქო კოდექსი დელიქტურ ვალდებულებათა შინაარსის განმსაზღვრელ დებულებას ასე აყალიბებს: „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“. მასში გადმოცემულია არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის საფუძვლებიც. მათ მიეკუთვნება: 1.

მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით სხვისთვის ზიანის მიყენების ფაქტი. ზიანი ნიშნავს პირადი არაქონებრივი ან ქონებრივი სიკეთის ხელყოფას, მის შემცირებასა და დაკნინებას. მასში არა მარტო რაიმე სიკეთის ფაქტობრივი დანაკლისი იგულისხმება, არამედ ის შემოსავალი, რომელსაც დაზარალებული მიიღებდა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას ადგილი რომ არ ჰქონოდა. ასეთი მიუღებელი შემოსავალი უმეტესად მოგების სახით წარმოიდგინება. 2. ზიანი გამოწვეული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ ზიანი მართლზომიერი მოქმედების შედეგად დადგა. აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობის პირობებში სხვისთვის ზიანის მიყენება მართლსაწინააღმდეგოდ არ ითვლება. 3. დამდგარ ზიანსა და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. თუ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას ზიანი ლოგიკურად არ გამოუწვევია და მისი მიზეზი სხვა გარემოება გახდა, ბუნებრივია, პასუხისმგებლობა არ უნდა დადგეს. 4. მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ბრალეული ხასიათის უნდა იყოს. ბრალის ფორმას მნიშვნელობა არა აქვს. პასუხისმგებლობა დადგება ასეთი მოქმედების არა მარტო განზრახვით, არამედ გაუფრთხილებლობით ჩადენითაც. გამონაკლის შემთხვევებში კანონი ითვალისწინებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობასაც. მაგალითად, მარწმუნებელი ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც რწმუნებულმა სხვას მიაყენა მარწმუნებლის მითითების საფუძველზე განხორციელებული მოქმედებით. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს მარწმუნებელს ბრალი მიუძღვის თუ არა. იგივე შეიძლება ითქვას მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობაზეც.

სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა ზიანის სრულად ანაზღაურებას გულისხმობს და იგი უმეტესად ნატურით ანაზღაურების პრინციპს ეყრდნობა. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ზიანის ანაზღაურება მისი შესაბამისი ოდენობის ფულით უნდა მოხდეს.

ფულადი ფორმით ხდება აგრეთვე არაქონებრივი, მორალური ზიანის ანაზღაურებაც. ზიანი ასეთ შემთხვევაში გამოიხატება მძიმე ფიზიკურ ან მორალურ განცდებში, რაც სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულმა მოქმედებამ გამოიწვია. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაწესდეს

ქონებრივი ზიანისაგან დამოუკიდებლად, ყველა შემთხვევაში ასეთი ანაზღაურება გონივრული და სამართლიანი უნდა იყოს.

ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი მისი ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა სამი წელია იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის მიყენების ფაქტის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

თავი VII. საოჯახო სამართალი

§1. საოჯახო სამართალი და მისი ამოცანები

ოჯახი საზოგადოების ძირითადი უჯრედია. მისი განმტკიცებისათვის ზრუნვა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ოჯახი სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოზარდ თაობათა ღირსეულად აღზრდაში, საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური პროგრესის უზრუნველყოფაში, დემოკრატიული პროცესების გაუმჯობესებაში. აქ ყალიბდება ადამიანის ხასიათის საფუძვლები, ზნეობრივი და კულტურული ღირებულებებისადმი მისი დამოკიდებულება. ამიტომ სახელმწიფო დაინტერესებულია, რომ ოჯახი იყოს მტკიცე, ზნეობრივად ჯანსაღი და მატერიალურად უზრუნველყოფილი.

ოჯახზე ზრუნვის დადასტურებაა მორალის პრინციპების საფუძველზე იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგება, რომელიც დაკავშირებულია ქორწინებასთან, ოჯახის წევრთა შორის პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობათა განაწილებასთან, მეურვეობასა და მზრუნველობასთან, ქორწინების შეწყვეტასა და მის შედეგებთან. აღნიშნულ ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმების ერთობლიობა წარმოადგენს საოჯახო სამართალს, რომელიც სამოქალაქო სამართლის შემადგენელი ძირითადი ინსტიტუტია.

საოჯახო სამართლის ძირითადი წყაროა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის მეხუთე წიგნი მთლიანად ეთმობა საქორწინო და საოჯახო ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირებას.

საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს: ოჯახის შემდგომი განმტკიცება; საოჯახო ურთიერთობათა დამყარება ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით საქორწინო კავ-

შირზე; ოჯახის ყველა წევრის მატერიალური ანგარიშიანობისაგან თავისუფალი ურთიერთსიყვარულის, მეგობრობისა და პატივისცემის გრძნობა; სამშობლოს ერთგულების სულისკვეთებით ოჯახის მიერ შვილების აღზრდა; დედისა და ბავშვის ინტერესების ყოველმხრივი დაცვა; ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის დანერგვა და სხვა.

აღნიშნული ამოცანების განხორციელების ამოსავალი პრინციპია ქალისა და მამაკაცის უფლებათა თანასწორობა. დაქორწინების დროსა და შემდგომ საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლებათა პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, ან რაიმე უპირატესობათა მინიჭება სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, ეროვნული კუთვნილებისა და რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და საცხოვრებელი ადგილის, აგრეთვე სხვა გარემოებათა მიხედვით. ამ პრინციპების დაცვა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით.

§2. ქორწინების წესი და პირობები

ქორწინება არის კანონის მოთხოვნათა საფუძველზე ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც მათთვის ურთიერთსანაცვლო უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობს. საოჯახო კანონმდებლობით განსაზღვრულია ქორწინების რამდენიმე აუცილებელი პირობა, რომელთა დაუცველობაც მისი გაბათილების საფუძველია. ამ პირობებს შორის მთავარია საქორწინო ასაკი და დასაქორწინებელ პირთა თანხმობა.

კანონით ქორწინებისათვის საჭიროა, რომ მექორწინენი განსაზღვრულ ასაკს იყვნენ მიღწეული. საქორწინო ასაკად დაწესებულია თვრამეტი წელი. გამონაკლის შემთხვევაში თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით. ასეთი თანხმობის არარსებობის დროს დაქორწინების ნებართვა შეიძლება გასცეს სასამართლომ. მექორწინეთა მაქსიმალური ასაკი განსაზღვრული არ არის.

მომავალ მეუღლეთა ურთიერთთანხმობა ქორწინებაზე დაქორწინების ნებაყოფლობის პრინციპის გამოხატულებაა. ქალიცა და მამაკაციც თანაბრად თავისუფალი არიან და დამოუკიდებლად წყვეტენ დაქორწინების საკითხს. ისეთ შემთხვევაში, როცა თანხმობა მიღებულია მოტყუებით, დაშინებით, ფსიქიკური ან ფიზიკური ძალადობით, ქორ-

წინება ბათილად უნდა გამოცხადდეს. მართალია, დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლებისა და ახლობლების რჩევა-დარიგებებს, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა მაინც მექორწინეებს ეკუთვნით.

კანონმდებლობით მტკიცედაა დაცული ერთქორწინების პრინციპი. არ შეიძლება ქორწინების რეგისტრაციაში გატარდეს ის პირი, რომელიც უკვე იმყოფება სხვა ქორწინებაში. ახალი ქორწინება შესაძლებელია ადრინდელ მეუღლესთან განქორწინების შემდეგ. ქორწინებათა ოდენობა განსაზღვრული არ არის, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მონოგამიის პრინციპს.

კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა ქორწინების აკრძალვა ახლო ნათესავებს შორის. არ შეიძლება დაქორწინდნენ აღმავალი და დაღმავალი ხაზის ნათესავები: მშობლები და შვილები, მშვილებლები და შვილად აყვანილები, პაპა-ბებიები და შვილიშვილები. არ შეიძლება დაქორწინება აგრეთვე ღვიძლ და არაღვიძლ და-ძმებს შორის. ახლო ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვა ემყარება არა მარტო საზოგადოებაში მოქმედ ზნეობრივ ნორმებს, არამედ მომავალი თაობის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ მეცნიერულ მედიკო-ბიოლოგიურ მოსაზრებებსაც. ახლო ნათესავებს შორის ქორწინება უარყოფითად მოქმედებს მომავალი თაობის ჯანმრთელობაზე. ამან შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა მემკვიდრეობითი ავადმყოფობა, მაგალითად, ჭკუასუსტობის ზოგიერთი სახე, ყრუ-მუნჯობა და სხვ.

კანონით აკრძალულია სულიერად ავადმყოფი და ჭკუასუსტი პირების დაქორწინება, რომელთაც არა აქვთ იმის უნარი, რომ შეიგნონ თავიანთი მოქმედების მნიშვნელობა. სხვა სახის ავადმყოფობა, რა მძიმეც არ უნდა იყოს, ქორწინების დამაბრკოლებელი არ არის. მექორწინეებს მხოლოდ ის ევალებათ, რომ ერთმანეთს აცნობონ თავიანთი ავადმყოფობისა და ადრინდელი ქორწინების შესახებ.

ზემოაღნიშნული პირობების დაუცველობა იწვევს ქორწინების ბათილობას. ეს ნიშნავს იმ იურიდიული შედეგების გაუქმებას, რომელიც ნამდვილი ქორწინებისთვისაა დამახასიათებელი. ქორწინების გაბათილება სასამართლოს კომპეტენციაში შედის. სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე არავის შეუძლია ქორწინება ბათილად ჩათვალოს, თუნდაც საკმაო მონაცემები ჰქონდეს იმის შესახებ, რომ

ქორწინება კანონის მოთხოვნათა დარღვევით მოხდა.

ქორწინების გაბათილება განსხვავდება ქორწინების შეწყვეტისაგან, ანუ გახქორწინებისაგან. განქორწინებისას იგულისხმება, რომ ქორწინება თავიდან მოხდა კანონის მოთხოვნათა საფუძველზე, განსაზღვრული დროის განმავლობაში არსებობდა და მეუღლებს შორის წარმოშობილი იყო საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობანი, მაგრამ შემდეგ, ისევ მეუღლეთა ნების გამოვლენის საფუძველზე შეწყდა. განქორწინება შეიძლება როგორც სასამართლოში, ისე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში.

ქორწინებისათვის აუცილებელი პირობების არსებობის შემთხვევაში მისი რეგისტრაცია ხორციელდება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოში. მხოლოდ ასეთი ქორწინება წარმოშობს მეუღლეობრივ უფლება-მოვალეობებს. სხვა ორგანოებში ან ეკლესიაში რეგისტრირებული ქორწინება არავითარ იურიდიულ შედეგებს არ წარმოშობს. მექორწინეებს პირადად შეაქვთ განცხადება საროში. დაქორწინება ფორმდება განცხადების შეტანიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ. განცხადების შეტანიდან ქორწინების რეგისტრაციამდე დადგენილი ერთთვიანი ვადა მომავალი ოჯახის სიმტკიცის ერთგვარი გარანტიაა და, ამავე დროს, მექორწინეთა გრძნობების შემოწმების შესაძლებლობაც. პრაქტიკა მოწმობს, რომ რაც უფრო კარგად და დიდხანს იცნობენ ერთმანეთს მექორწინეები, ოჯახიც უფრო მყარი და ხანგრძლივია. სარო-ში შეტანილი განცხადება ძალაშია ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ კიდევ ორი თვის განმავლობაში. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, ერთთვიანი ვადის შემცირება დასაშვებია საპატიო მიზეზების არსებობისას. განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას (მაგალითად, ბავშვის დაბადება, ერთ-ერთი მექორწინისათვის სიცოცხლის რეალური საფრთხე და სხვ.) ქორწინების რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს განცხადების შეტანის დღესვე. ქორწინების რეგისტრაცია წარმოებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში მექორწინეთა მიერ არჩეული ადგილის მიხედვით. ქორწინების რეგისტრაცია ხორციელდება ორი სრულწლოვანი მოწმის თანდასწრებით. ნიშნობა ანუ დასაქორწინებელ პირთა წინასაწარი თანხმობა არ წარმოშობს შემდგომში დაქორწინების ვალდებულებას. ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ.

უცხოელი მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირების დაქორწინება საქართველოს მოქალაქეებთან ხდება საერთო საფუძველზე. მასში იგულისხმება ის სამართლებრივი რეჟიმი, რაც ქორწინებისათვის საქართველოს კანონმდებლობით არის დადგენილი. საქართველოში უცხოელთა დაქორწინებისათვის აუცილებელია მათი ქვეყნის სათანადო ოგანოების ცნობა, რომ არ არსებობს ამ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი.

§3. მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები

მეუღლეებს თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებები გააჩნიათ. მეუღლეთა პირად ურთიერთობებს მატერიალური და ეკონომიკური შინაარსი არა აქვს. ისინი ქორწინების საფუძველი და ნამდვილი შინაარსია. ქონებრივი ურთიერთობა შედარებით მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისაა. თუმცა საბაზრო მეურნეობის პირობებში მათი მნიშვნელობა საგრძნობლად იზრდება.

საოჯახო კანონმდებლობით მოწესრიგებულია მეუღლეთა შორის წარმოშობილი ისეთი არაქონებრივი ურთიერთობანი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეუღლეთა თანასწორობის უზრუნველყოფის, მათი პიროვნების სრულყოფილად განვითარებისა და ოჯახის სიმტკიცისათვის. მათ მიეკუთვნება: გვარის, საცხოვრებელი ადგილის, პროფესიის არჩევასა და სხვა უფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობანი.

დაქორწინებისას მეუღლეები თავიანთი სურვილის მიხედვით ირჩევენ ერთ-ერთი მათგანის გვარს, ან თითოეული ინარჩუნებს ქორწინებამდელ გვარს. დასაშვებია მეუღლეთა შეერთებული გვარების ტარება. ჩვეულებრივ ისინი საერთო გვარს, უმეტესად კი ქმრისას ატარებენ, რათა შვილებთან ერთად საერთო გვარი ჰქონდეთ. საერთო გვარი პრაქტიკულად უფრო ადვილს ხდის ქორწინებასთან და შვილების ყოლასთან დაკავშირებული უფლებებისა და შელავათების განხორციელებას. ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ გვარის გამოცვლა მეუღლეებს შეუძლიათ საერთო საწყისებზე. ერთი მეუღლის მიერ გვარის გამოცვლა ავტომატურად არ იწვევს მეორე მეუღლის გვარის გამოცვლას. განქორწინების შემდეგ ყოფილ მეუღლეს შეუძლია ატაროს ქორწინების დროს მიღებული გვარი, ან სასამართლოს სთხოვოს ქორწინებამდელი გვარის აღდგენა. მეორე მეუღლის სურვილს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს.

მეუღლეთაგან თითოეული თავისი შეხედულებისამებრ წყვეტს საშუაოს ან პროფესიის საკითხს. არც ერთ მათგანს არ შეუძლია საკუთარი ნება თავს მოახვიოს მეორეს, ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ საქმიანობაში ან მიღებული სპეციალობის გამოყენებაში. თანაბარი უფლებებით სარგებლობენ მეუღლეები საცხოვრებელი ადგილის არჩევის დროსაც. ოჯახში საერთო მეურნეობის წარმოებას, ზრუნვას ოჯახის წევრთა მატერიალური უზრუნველყოფისათვის, მათი სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, საფუძვლად განსაზღვრული მატერიალური ბაზა უდევს. მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობა, არაქონებრივის მსგავსად, ეყრდნობა წმინდა დემოკრატიულ საწყისებს, რომელთა არსია მეუღლეთა თანასწორობა, დედისა და არასრულწლოვანი შვილის ინტერესების დაცვა და უზრუნველყოფა.

მეუღლეებს შეიძლება ჰქონდეთ ინდივიდუალური (განცალკევებული) და საერთო ქონება. ინდივიდუალურია ქონება, რომელიც ერთერთ მეუღლეს ეკუთვნის და თვითონვე განკარგავს მას. ასეთია: ქორწინებამდელი, აგრეთვე ქორწინების პერიოდში მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონება, პირადი მოხმარებისათვის შეძენილი ნივთები და სხვ. მეუღლეთა საერთო საკუთრებაა მათ მიერ ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება. ასეთია, უპირველეს ყოვლისა, მეუღლეთა ერთობლივი მოხმარების საგნები, აგრეთვე ფულადი დანაზოგი, მისი მიღების წყაროს მიუხედავად. გარდა ამისა, მეუღლეთა საერთო საკუთრებაში შედის: ერთ-ერთის მიერ კრედიტით შეძენილი ნივთი, ობლიგაციისა და ლატარიის ბილეთები, ერთ-ერთი მეუღლის სახელზე შეტანილი ანაბარი. საერთოდ ჩაითვლება თითოეული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაში ქორწინებამდე არსებული ქონება, თუ ქორწინების შემდეგ დახარჯული თანხის შედეგად მისი ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასეთი ქონება თანასაკუთრებად იწოდება და მისი მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა მეუღლეთა შორის შეთანხმების საფუძველზე ხდება.

მეუღლეებს თანაბარი უფლება აქვთ ასეთ ქონებაზე იმ შემთხვავშიც კი, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო მეურნეობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი. არც იმასა აქვს მნიშვნელობა, ვინ შეიძინა

ქონება — ერთ-ერთმა მეუღლემ თუ ორივემ ერთად.

მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება შეიძლება მათ შორის გაიყოს მათივე ნება-სურვილის მიხედვით, თუ მეუღლეთა შორის დადებულ საქორწინო ხელშეკრულებაში აღნიშნულია ამის შესახებ. საოჯახო კანონმდებლობის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს მეუღლეთა შორის საქორწინო ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა. ხელშეკრულება შეიძლება კანონისაგან განსხვავებულად არეგულირებდეს მეუღლეთა მხოლოდ ქონებრივ და არა პირად ურთიერთობებს. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე მის შემდეგ ნებისმიერ დროს და მასში გათვალისწინებულ იქნეს ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას. ქორწინების რეგისტრაციამდე დადებული საქორწინო კონტრაქტი ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციიდან. იგი შეძლება შეიცვალოს ან შეწყდეს ნებისმიერ დროს მეუღლეთა ურთიეთშეთანხმებით. განქორწინება კი ყოველთვის საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია.

მეუღლეთა თანასაკუთრება შეიძლება გაყოფის საგანი გახდეს. როგორც ქორწინების დროს, ისე განქორწინებისას. კანონით თანასაკუთრების გაყოფისას მეუღლეებს თანაბარი წილი ეკუთვნით. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება სასამართლომ გაითვალისწინოს ერთ-ერთი მეუღლის ინტერესები და გადაუხვიოს აღნიშნული წესიდან. კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გაიზარდოს, თუ მეორე თავს არიდებდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას ან საერთო საკუთრების ქონებას ფლანგავდა ოჯახის ინტერესების საზიანოდ.

კანონი იცავს მეუღლის ქონებრივ ინტერესებს, თუ მეორე მეუღლე მონაწილეობს სხვადასხვა ქონებრივ გარიგებაში თავისი და არა ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთ დროს მეუღლეს ვალს ახდევინებენ მისი ინდივიდუალური საკუთრებიდან და იმ წილიდან, რომელიც მას თანასაკუთრებაში ეკუთვნის. თუ ვალი აღებულია ოჯახის ინტერესებისათვის მეუღლეთაგან თუნდაც ერთ-ერთის მიერ, იგულისხმება, რომ ვალი საერთოა და გადახდილ უნდა იქნეს ორივე მეუღლის თანაზიარი ქონებიდან.

მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობაში მნიშვნელოვანია ერთმანე-

თის მიმართ მატერიალური დახმარების ვალდებულება. მეუღლეები კანონით ვალდებული არიან საჭიროების შემთხვევაში მატერიალური დახმარება აღმოუჩინონ ერთმანეთს. თუ არაშრომისუნარიანი მეუღლე ან ცოლი ორსულობის პერიოდში, აგრეთვე მშობიარობიდან სამი წლის განმავლობაში საჭიროებს მატერიალურ დახმარებას და მეორე მეუღლე უარს აცხადებს ამაზე, მაშინ მას შეუძლია სასამართლოს მიმართოს. ასეთი წესი არსებობს განქორწინების შემდეგაც, ოღონდ იმ შემთხვევისათვის, თუ ერთ-ერთმა მეუღლემ შრომის უნარი ქორწინების პერიოდში განქორწინებიდან ერთი წლის განმავლობაში დაკარგა.

სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს მეუღლე მეორე მეუღლის რჩენის მოვალეობისაგან ან განსაზღვრული დროით შეზღუდოს ეს მოვალეობა, თუ მეუღლეები ქორწინებაში იმყოფებოდნენ ხანმოკლე დროით, ან თუ მატერიალური დახმარების მომთხოვნმა მეუღლემ უღირსი საქციელი ჩაიდინა მეორე მეუღლის მიმართ, აგრეთვე თუ მატერიალური დახმარების მომთხოვნის მეუღლის შრომისუნარიანობა გამოწვეულია სპირტიანი სასმელების ან ნარკოტიკულ ნივთიერებათა ბოროტად გამოყენებით, ანდა მის მიერ დანაშაულის ჩადენით.

მეუღლის სასარგებლოდ გადახდილი სახსრების ოდენობა განისაზღვრება ყოველთვიურად გადასახდელი მტკიცე თანხის სახით, მეუღლეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

მეუღლისაგან სარჩოს მიღების უფლება მოისპობა იმ შემთხვევაში, თუ უკვე არ არსებობს ზემოაღნიშნული პირობები ან სარჩოს მიმღები განქორწინებული მეუღლე ხელახლა დაქორწინდება.

§4. მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობათა წარმოშობა

მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის ძირითადი საფუძველია ბავშვის დაბადება რეგისტრირებულ ქორწინებაში და სისხლით ნათესაობა.

ბავშვის დაბადება იურიდიულ ფაქტად იქცევა მას შემდეგ, რაც მოხდება მისი რეგისტრაცია მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში. დედასა და შვილს შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის საკმარისია მათ შორის სისხლით

ნათესაობის – დედისაგან ბავშვის დაბადების ფაქტი. მნიშვნელობა არა აქვს იმას, იმყოფებოდა თუ არა დედა რეგისტრირებულ ქორწინებაში იმ პირთან, ვისგანაც ბავშვი შეეძინა. რაც შეეხება მამასა და შვილს შორის მსგავსი ურთიერთობის წარმოშობას, იგი სისხლით ნათესაობასთან ერთად, ძირითადად, დაკავშირებულია ქორწინების რეგისტრაციასთან, იმ შემთხვევების გარდა, როცა პირი ნებაყოფლობით აღიარებს არარეგისტრირებული ქორწინების დროს გაჩენილი ბავშვის მამობას ან მისი მამობა დადგინდება სასამართლო წესით.

რეგისტრირებული ქორწინებით გაჩენილ ბავშვს სახელსა და გვარს მშობლების სურვილით აკუთვნებენ. არარეგისტრირებული ქორწინებით გაჩენილ ბავშვს მიეკუთვნება დედის გვარი, ხოლო სახელი და მამის სახელი – ამ უკანასკნელის სურვილით. ბავშვს, რომელიც ჩაისახა ქორწინების პერიოდში და დაიბადა მისი მშობლების განქორწინების ან ქორწინების ბათილად აღიარების შემდეგ, სახელს, მამის სახელსა და გვარს საერთო საწყისებზე აკუთვნებენ.

მამობის ნებაყოფლობით აღიარება ცალმხრივი იურიდიული აქტია, რომელიც მამასა და შვილს შორის განსაკუთრებულ სამართლებრივ ურთიერთობებს წარმოშობს. ქორწინების გარეშე გაჩენილი ყველა ბავშვის მამობის აღიარება დასაშვებია, არა აქვს მნიშვნელობა როდის გაჩნდნენ ისინი, არასრულწლოვანები არიან თუ სრულწლოვანები. ბავშვთან სამართლებრივი ურთიერთობის წარმოსაშობად მთავარია მამაკაცის სურვილი. დედა მხოლოდ თანხმობას აცხადებს იმაზე, რომ მოცემული პირი აღიარებულ იქნეს ბავშვის მამად. თვითონ დედა უკვე იმყოფება აღნიშნულ ურთიერთობაში. მამობის აღიარების დროს მამაკაცის სურვილის გადამწყვეტ მნიშვნელობას ისიც ადასტურებს, რომ სარო-ში პირი მამად შეიძლება გატარდეს დედის გარდაცვალების ან მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაშიც. მამობის აღიარება პირს შეუძლია ბავშვის დედასთან დაქორწინების შემთხვევაშიც, მაგრამ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში მისი სურვილი განცხადებულ უნდა იქნეს. თუ პირი თავის ცოლის შვილის მამად მისი თანხმობის გარეშე გატარდა, მას შეუძლია ამ ჩანაწერის გაუქმება მოითხოვოს.

იმ შემთხვევაში, როცა ბავშვის მშობლები დაქორწინებული არ არიან და პირი აცხადებს, რომ იგი არ არის გაჩენილი ბავშვის მამა, ზოგჯერ

შეიძლება მამობა სასამართლო წესით დადგინდეს. მამობის დადგენის შესახებ სასამართლოში განცხადების შეტანა შეუძლიათ ბავშვის დედას, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და სხვა დაინტერესებულ პირებს. მამობის იძულებითი წესით დადგენა შესაძლებელია შემდეგ გარემოებათა არსებობის შემთხვევაში: 1. ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობის წარმოება ბავშვის დაბადებამდე; 2. ბავშვის ერთად აღზრდა ან რჩენა; 3. დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც სავსებით ადასტურებენ პირის მამობის აღიარებას.

ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობის წარმოება ბავშვის დაბადებამდე სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი ურთიერთობა ბავშვის დაბადების მომენტამდე უნდა გაგრძელდეს. ხშირად ქალის დაორსულება საფუძვლად ედება მასთან მამაკაცის ურთიერთობის შეწყვეტას. ამიტომ ასეთი ურთიერთობის შეწყვეტა ბავშვის დაბადების მომენტამდე არ შეიძლება მამობის დადგენის შესახებ სარჩელის დაუკმაყოფილებლობის საფუძველი გახდეს. მხედველობაში არ მიიღება დედისა და მოპასუხე პირის ერთად ცხოვრება, თუ იგი ბავშვის ჩასახვამდე შეწყდა. მთავარია დადგინდეს, რომ მშობლები ერთად ცხოვრობდნენ ბავშვის ჩასახვის მომენტში და ასე გრძელდებოდა გარკვეული პერიოდი. ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებაში იგულისხმება: ერთ საცხოვრებელ ბინაში ცხოვრება, ერთად კვება, ურთიერთზრუნვა, ნივთების შეძენა საერთო სარგებლობისათვის და სხვ.

ბავშვის ერთად აღზრდასა და რჩენაში არ იგულისხმება ამ ორი მომენტის თანდამთხვევა, საკმარისია ერთ-ერთი მათგანის არსებობა. შეიძლება მამა ბავშვის სარჩენად ხარჯებს არ იღებდეს, მაგრამ ზრუნავდეს მის აღზრდაზე და, პირიქით, შეიძლება მამა უშუალოდ არ ზრდიდეს ბავშვს, მაგრამ გარკვეულ ხარჯებს იღებდეს მის სარჩენად.

დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც სავსებით ადასტურებენ მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას, შეიძლება იყოს: წერილები, ანკეტები, მოპასუხის განცხადებები და სხვა ფაქტობრივი მონაცემები.

ზემოაღნიშნულ გარემოებათაგან ერთ-ერთის არსებობა მამობის იძულებითი დადგენის საფუძველია. ეს იმას ნიშნავს, რომ მოპასუხეს არ შეუძლია წარადგინოს სასამართლოში მისი მამობის გასაბათილებელი საბუთები.

მშობლების უფლება-მოვალეობათა წარმოშობა ზოგჯერ შეიძლება არ იყოს დაკავშირებული სისხლით ნათესაობასთან. ეს ხდება ისეთ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს შვილად აყვანასთან. საოჯახო კანონმდებლობით დადგენილია, რომ ნაშვილები და მისი შთამომავლობა მშვილებლებისა და მის ნათესავთა მიმართ, ხოლო მშვილებლები და მისი ნათესავები ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მიმართ პირადი და ქონებრივი უფლებებითა და მოვალეობებით უთანაბრდებიან შთამომავლობით ნათესავებს. ამასთან, ნაშვილები კარგავს პირად და ქონებრივ უფლებებს და თავისუფლდება მოვალეობებისაგან თავისი ღვიძლი მშობლებისა და სხვა ნათესავების მიმართ. ამგვარად, შვილად აყვანილი პირი ყოველნაირად უთანაბრდება ღვიძლ შვილს.

შვილად აყვანა შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის და მხოლოდ მაშინ, როცა ეს მისი ინტერესებიდან გამომდინარეობს. მშვილებელი 16 წლით მაინც უნდა იყოს შვილობილზე უფროსი. შვილად აყვანა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით, სათანადო წესების დაცვის საფუძველზე. შვილად აყვანა ძალაში შედის გადაწყვეტილების გამოტანიდან. შემდეგ კი გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა იქნეს რეგისტრირებული სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში.

§5. მშობელთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა

მშობლებსა და შვილებს შორის წარმოშობილი ურთიერთობა მრავალმხრივია. მათში მთავარია შვილების აღზრდასთან დაკავშირებული ურთიერთობა. ბავშვების აღზრდა ოჯახის ძირითადი ამოცანაა. ბავშვი ეკუთვნის არა მარტო მშობლებს, არამედ მთელ საზოგადოებას, სახელმწიფოს. ამიტომ შვილების აღზრდა განიხილება, როგორც დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმე და მიიჩნევა არა მარტო ზნეობრივ, არამედ სამართლებრივ მოვალეობადაც. მშობლების უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისას საოჯახო კანონმდებლობა ადგენს ქცევის ისეთ ზოგად ზნეობრივ და იდეურ პრინციპებს, რომელთა შინაარსშიც მთელი სისრულით ვლინდება ზნეობისა და პედაგოგიკის პრინციპები ახალგაზრდობის აღზრდასთან დაკავშირებით. მშობლებს ევალებათ აღზარდონ შვილი ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად. ბავშვის აღზრდა გულისხმობს პატრიოტიზმის პრინციპებზე აღზრდას, სიმართლისადმი, პატიოსნებისადმი, შრომისა და კოლექ-

ტივიზმისადმი სიყვარულის გრძნობით აღზრდას. შვილების აღზრდაში მშობლებს თანაბარი უფლებები და თანაბარი მოვალეობები გააჩნიათ. მშობლების უფლება-მოვალეობები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ხშირად ურთიერთგანპირობებულია.

მშობელთა ერთ-ერთი ძირითადი უფლება-მოვალეობაა შვილის პირადად აღზრდა. მხოლოდ მშობლიურმა სიყვარულმა უნდა შექმნას ბავშვებზე ზრუნვისა და აღზრდისათვის საჭირო პირობები. მშობლებს უფლება აქვთ თვითონ აღზარდონ შვილები ან სხვას გადასცენ ისინი აღსაზრდელად. აღსაზრდელად გადაცემის უფლება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის სწორად აღზრდის ინტერესებს. მშობლებს უფლება არა აქვთ უარი თქვან შვილის აღზრდაზე. მშობლების ვალდებულება — აღზარდონ თავიანთი შვილები, გრძელდება ამ უკანასკნელთა სრულწლოვანების მიღწევამდე. მშობლები, სპეციალური დანიშვნის გარეშე, შვილების ბუნებრივი მეურვეები და მზრუნველები არიან. მშობლებს უფლება აქვთ დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების ინტერესები ნებისმიერ დაწესებულებასა და მათ შორის სასამართლოშიც. მშობლებს უფლება აქვთ განკარგონ თავიანთი მცირეწლოვანი შვილების ქონება. საერთო წესის მიხედვით, ქალაქად ოჯახში მშობლებისა და შვილების ქონება გაყოფადია. ეს იმას ნიშნავს, რომ შვილებს არა აქვთ ინდივიდუალური საკუთრების უფლება მშობლების ქონებაზე ამ უკანასკნელთა გარდაცვალებამდე. მაგრამ თუ შვილები თავიანთი შრომით ან სახსრებით მონაწილეობას ღებულობენ ქონების შექმნასა და შეძენაში, მაშინ ისინი მშობლების ქონების თანამესაკუთრენი იქნებიან. შვილებმა შეიძლება მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიიღონ რაიმე ქონება, რომლის დამოუკიდებელი განკარგვაც მათ სრულწლოვანების შემდეგ შეეძლებათ. მანამდე კი მშობლები თვითონ განკარგავენ შვილების ქონებას (მცირეწლოვანებისას) ან თანხმობას აძლევენ შვილებს (არასრუწლოვანებს) მის განკარგვაზე.

მშობლები ამ უფლება-მოვალეობებს ურთიერთშეთანხმებით ახორციელებენ. ერთად მცხოვრებ მეუღლეებს შორის ასეთ საკითხებზე დავა იშვიათად წარმოიშობა, მაგრამ, რადგან იგი საერთოდ გამორიცხული არ არის, სადავო საკითხებს სასამართლო გადაწყვეტს.

იმ შემთხვევაში, როცა განქორწინების ან სხვა მიზეზის გამო

მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდნენ არასრულწლოვანი შვილები. მშობელს, რომელიც შვილთან ერთად არ ცხოვრობს, უფლება აქვს ურთიერთობა ჰქონდეს ბავშვთან და ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს მის აღზრდაში. მეორე მშობელს კი უფლება არა აქვს ხელი შეუშალოს მას ამ უფლება-მოვალეობათა განხორციელებაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის აღზრდის ინტერესებს. ცალ-ცალკე მცხოვრებ მშობლებს შორის დავას სასამართლო გადაწყეტს. დავა უნდა გადაწყდეს მშობლების უფლება-მოვალეობათა სრული თანასწორობისა და ბავშვების სწორი აღზრდის ინტერესებიდან გამომდინარე. ბავშვის ინტერესებში იგულისხმება არა მარტო მატერიალური, არამედ მორალური პირობების შექმნა. შედარებით რთულია საკითხი მაშინ, როცა ორივე მშობელს ბავშვის აღზრდისათვის ერთნაირი პირობები გააჩნიათ. ასეთ შემთხვევაში ანგარიში უნდა გაეწიოს თვით ბავშვის სურვილს, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ათ წელზე მეტი ხნისაა. შვილები მექანიკურად არ უნდა განაწილდეს მოდავე მშობლებს შორის. სასამართლო ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში, იმ დებულებიდან გამომდინარე, რომ ოჯახურ კოლექტივს კეთილმყოფელი გავლენის მოხდენა შეუძლია ბავშვის აღზრდაზე, შვილებს ტოვებს ერთ-ერთ მშობელთან. ცალკე მცხოვრებ მშობელს ამით არ ერთმევა უფლება, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ხელახლა დააყენოს მისთვის ბავშვის გადაცემის საკითხი, თუ მასთან ბავშვის აღზრდისათვის საჭირო პირობები უკვე შეიქმნა და თანაც მეორე მშობელი სათანადოდ არ ზრუნავს ბავშვის აღზრდაზე. იმის მიხედვით, თუ რომელ მშობელთან დარჩება აღსაზრდელად ბავშვი, მეორე მშობელი ვალდებულია მის სასარგებლოდ იხადოს ალიმენტი.

მშობლები ვალდებულნი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი და არაშრომისუნარიანი სრულწლოვანი შვილები, რომლებიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებენ. თუ მშობლები ნებაყოფლობით არ ასრულებენ შვილების რჩენის მოვალეობას, მაშინ სასამართლო მათ დააკისრებს გარკვეული ოდენობით ალიმენტის გადახდას. ეს უმეტესად ხდება მეუღლეთა განქორწინების დროს, როდესაც ცალკე მცხოვრები მშობელი მატერიალურად არ მონაწილეობს შვილის აღზრდაში. არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ ალიმენტის

გადახდა ხორციელდება მშობელთა შეთანხმებით. თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, ამას განსაზღვრავს სასამართლო როგორც მშობლების, ისე შვილის რეალური მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის შვილებს, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რაც გამოწვეულია ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებითა და სხვა გარემოებებით. ამ დროს გადასახდელი თანხის ოდენობა განისაზღვრება ფაქტობრივად გაწეული ხარჯების გათვალისწინებით და იგი არ არის დამოკიდებული ხელფასის ან სხვა შემოსავლის ოდენობაზე.

მშობლები ვალდებულნი არიან ალიმენტი უხადონ თავიანთ სრულწლოვან, მაგრამ შრომისუუნარო შვილებს. ასეთებად ითვლებიან შრომის ინვალიდები. მართალია, მათ შეუძლიათ იმუშაონ და სათანადო ანაზღაურებაც მიიღონ, მაგრამ, თუ ეს ანაზღაურება არ არის საკმარისი მათ სარჩენად, ასეთ შემთხვევაში მშობლებს დაეკისრებათ ალიმენტის გადახდა შვილების სასარგებლოდ. ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება ყოველთვიური მტკიცე თანხის სახით. ალიმენტი მშობლებს გადახდებათ შვილების ინვალიდობისა და მათთვის მატერიალური დახმარების საჭიროების პერიოდში.

მშობლებს, თავის მხრივ, უფლება აქვთ ალიმენტი მოითხოვონ თავიანთი სრულწლოვანი შვილებისაგან. ამისთვის აუცილებელია მშობლები შრომისუუნარონი იყვნენ და მატერიალურ დახმარებას საჭიროებდნენ. ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება მყარი თანხით და იგი დამოკიდებულია მხარეთა მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობაზე. როცა მშობლები ერთი შვილისაგან მოითხოვენ ალიმენტს, სასამართლოს შეუძლია სხვა სრულწლოვანი შვილებიც ჩართოს ვალდებულებაში. სრულწლოვან შვილებს ევალებათ არაშრომისუნარიანი მშობლების არა მარტო რჩენა, არამედ მათზე ზრუნვაც. ამ მოვალეობისაგან შვილები მხოლოდ მაშინ თავისუფლდებიან, თუ მშობლები ადრე ბოროტად არიდებდნენ თავს მშობლიურ ვალდებულებათა შესრულებას.

საოჯახო კანონმდებლობის მიხედვით, თუ მშობლები თავიანთ უფლებამოვალეობებს შვილების აღზრდაში ამ უკანასკნელთა ინტერესების საწინააღმდეგოდ იყენებენ, მაშინ შეიძლება დაისვას საკითხი, მათთვის ან ერთ-ერთი მათგანისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ეს უკიდურესი ღონისძიებაა და მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას. მშობლის უფლების ჩამორთმევა შეიძლება მაშინ, თუ ისინი თავს არიდებენ შვილების აღზრდას ან ბორო-ტად იყენებენ მშობლების უფლებებს, კერძოდ, სასტიკად ეპყრობიან შვილებს, მავნე გავლენას ახდენენ მათზე თავიანთი ამორალური, ანტისა-ზოგადოებრივი ყოფაქცევით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მშობლები ქრონიკული ალკოჰოლიკები ან ნარკომანები არიან. ასეთ საფუძვლებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ალიმენტის გადასახადისაგან თავის არიდება, ლოთობა, გარყვნილობა ან პარაზიტული ცხოვრება და სხვ.

ჩვეულებრივ, პირს მშობლის უფლება ჩამოერთმევა ბრალეული მოქმედების გამო. ამიტომ არ შეიძლება მშობლის უფლების ჩამორთ-მევაზე ლაპარაკი, როცა მშობელი თავის უფლება-მოვალეობებს ვერ ასრულებს სულიერი ავადმყოფობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ქრონ-იკული ავადმყოფობის გამო. კანონი იცნობს მხოლოდ ერთ გამონაკ-ლისს — ქრონიკულ ალკოჰოლიკებს ან ნარკომანებს ართმევს მშობ-ლის უფლებას, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების მიმართ მათ არავ-ითარი ბრალი არ მიუძღვით, მაგრამ ასეთი მშობლების ამორალური, ანტისაზოგადოებრივი საქციელი ცუდ გავლენას ახდენს ბავშვზე და ამიტომ ითვალისწინებს კანონი აღნიშნული ღონისძიების გამოყენებას.

მშობლის უფლების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით. არც ერთ სხვა სახელმწიფო ორგანოს არა აქვს უფლება გამოიტანოს დადგენილება მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ.

მშობლის უფლება შეიძლება ჩამოერთვას არა მარტო ერთ, არამედ ორივე მშობელს. უკანასკნელ შემთხვევაში ბავშვი აღსაზრდელად გადა-ეცემა მეურვეს (მზრუნველს) ან საბავშვო დაწესებულებას. მშობ-ლის უფლება შეიძლება პირს ჩამოერთვას როგორც ერთის, ისე სხვა შვილების მიმართაც. ამასთან, სასამართლო გამოიტანს რა გადაწყვეტილე-ბას ამა თუ იმ პირისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის თაობაზე, ამავე დროს, წყვეტს საკითხს მისთვის შვილის სასარგებლოდ ალიმენ-ტის გადახდევინების შესახებ, რადგან მშობლის უფლების ჩამორთმევა არ ათავისუფლებს მშობელს შვილის რჩენის მოვალეობისაგან.

მშობლის უფლებაჩამორთმეული პირი კარგავს შვილთან ნათე-საობაზე დამყარებულ ყველა უფლებას.

მშობლის უფლებაჩამორთმეულ პირს ეკარგება ზოგიერთი სხვა პირადი

და ქონებრივი უფლება. მაგალითად, იგი არ შეიძლება იყოს მშვილებელი, არ შეიძლება მისი დანიშვნა მეურვედ ან მზრუნველად. ასეთი პირი კარგავს იმ შვილის კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლებას, რომლის მიმართაც მშობლის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა და სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის არ იყო აღდგენილი ადრინდელ უფლებებში.

იმ შემთხვევაში, როცა ორივე მშობელს ჩამოერთმევა მშობლის უფლება, ბავშვი გადაეცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. ასევე მოხდება, როცა მშობლის უფლება ჩამორთმეული აქვს ერთ მშობელს, ხოლო მეორე მშობლისათვის ბავშვის გადაცემა შეუძლებელია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ბავშვს უნიშნავენ მეურვეს ან მზრუნველს, ან საბავშვო დაწესებულებებში აბარებენ. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს შეუძლიათ მშობლის უფლებაჩამორთმეულ პირს დართოს შვილის ნახვის ნება, თუ ეს მავნე გავლენას არ მოახდენს მის აღზრდაზე.

საოჯახო კანონმდებლობა შესაძლებლად თვლის მშობლისათვის შვილის ჩამორთმევას მშობლის უფლების ჩამოურთმეველად. ეს ისეთ შემთხვევებში ხდება, როცა ოჯახში ბავშვის აღზრდისათვის ცუდი პირობებია. მაგალითად, ეს შესაძლებელია მაშინ, როცა მშობლები სულით ავადმყოფები არიან, რაც აუტანელს ხდის ბავშვის მათთან ცხოვრებას. შვილის ჩამორთმევა უნდა მოხდეს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ასეთი გადაწყვეტილების გამოტანას წინ უნდა უსწრებდეს იმ პირის სასამართლო წესით არაქმედუნარიანად აღიარება, რომელსაც შვილი უნდა ჩამოერთვას. თუ შვილის ჩამორთმევის საფუძველი მოისპო, სასამართლოს შეუძლია მშობლების მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სარჩელით შვილის ინტერესების შესაბამისად, გამოიტანოს გადაწყვეტილება მშობლისთვის შვილის დაბრუნების შესახებ. ასევე შესაძლებელია მშობლის უფლების აღდგენაც. მართალია, მშობლის უფლების ჩამორთმევას უკანო ხასიათი აქვს და მშობლებსა და შვილებს შორის ამ დროს ფაქტობრივად წყდება საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობა, მაგრამ კანონი უშვებს მისი აღდგენის შესაძლებლობასაც.

მშობლის უფლების აღდგენა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ იქნება, რომ მშობლის ყოფა-ქცევა, მისი ცხოვრების პირობები შეიცვალა და მას შეუძლია აღზარდოს შვილი. ამასთან, მშობლის უფლების აღდგენა ნაკარნახევი უნდა იყოს ბავშვის სწორად აღზრდის ინტერესებიდან გამომდინარე. მშობლის უფლების აღდგენა შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით.

თავი VIII. მემკვიდრეობის სამართალი

§1. მემკვიდრეობის ცნება და სახეები

მემკვიდრეობა არის გარდაცვლილი პირის ქონების გადასვლა მის მემკვიდრეებზე. ეს ხორციელდება კანონით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას ან ანდერძით. შესაძლებელია, აგრეთვე ორივე საფუძვლის ერთად არსებობაც. იმ ნორმების ერთობლიობას, რომელიც მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს არეგულირებს, მემკვიდრეობის სამართალი ეწოდება. იგი სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. მემკვიდრეობის უფლება კი არის პირის შესაძლებლობა აღიარებულ იქნეს მემკვიდრედ და მიიღოს სამკვიდრო ქონება. მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი სუბიექტები არიან **მამკვიდრებელი** და **მემკვიდრე**.

მამკვიდრებელი ანუ სამკვიდროს დამტოვებელი ის პირია, რომლის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება სხვა პირებზე გადადის. მამკვიდრებელი აუცილებლად ფიზიკური პირი უნდა იყოს. მემკვიდრე კი ის პირია, რომელიც მამკვიდრებლისაგან ღებულობს ქონებას. გარდაცვლილი პირის ქონების მიღება შეუძლია როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს. გამონაკლის შემთხვევებში მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფო — ხაზინის სახით.

საერთო წესის მიხედვით მემკვიდრეებად შეიძლება აღიარებულ იქნენ ის ფიზიკური პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში. კანონით მემკვიდრეობისას მემკვიდრედ შეიძლება იყვნენ მხოლოდ ის შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბადებიან. ანდერძით მემკვიდრეობის დროს, კი შვილების გარდა, შეიძლება სხვა ნათესავებიც იყვნენ მემკვიდრეები თუ ისინი მამკვიდრებლის სიცოცხლეში ჩაისახნენ და მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბადნენ. ეს უნდა მოხდეს მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ათი თვის ფარგლებში.

ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვი მამის მემკვიდრედ მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, თუ მამობა აღიარებულია ნებაყოფლობით ან დადგენილია სასამართლო წესით. თუ შვილი მამაზე ადრე გარდაიცვლება, მაშინ გარდაცვლილის შვილებს შეუძლიათ მოითხოვონ წილი იმ სამკვიდროდან,

რომელიც მათ მამას ეკუთვნოდა. დედის მემკვიდრედ შვილი ყოველთვის ითვლება, მიუხედავად იმისა, დედა რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა შვილის მამასთან თუ არა. არ შეიძლება ერთმანეთის მემკვიდრეებად ჩაითვალონ ის პირები, რომლებიც ერთსა და იმავე დღეს გარდაიცვალნენ თუნდაც რამდენიმე საათის სხვაობით. მათი გარდაცვალების შემდეგ დამოუკიდებლად უნდა გაიხსნას სამკვიდრო თითოეულ მათგანთან დაკავშირებით. თუ მამკვიდრებელი და მემკვიდრე ერთი და იმავე გარემოების გამო გარდაიცვალნენ სხვადასხვა დღეს, მაშინ მემკვიდრე მამკვიდრებელთან ერთად გარდაცვლილად არ ჩაითვლება და მის წილ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებას შეიძენენ უკვე მისი მემკვიდრეები.

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მემკვიდრედ ყოფნის უფლების ჩამორთმევას იმ პირისათვის, რომელიც თავისი საქციელით ხელს უწყობს თავისი ან ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან მათი წილის გაზრდას. ასეთი პირი სასამართლოს მიერ მიჩნეულ უნდა იქნეს უღირს მემკვიდრედ. არ შეიძლება კანონიერ მემკვიდრედ აღიარებულ იქნენ ის მშობლები, რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება, აგრეთვე ის პირები, რომლებიც ბოროტად არიდებდნენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას — ერჩინათ მამკვიდრებელი და ეს გარემოება დადასტურებულია სასამართლო წესით. უღირსი მემკვიდრეობის ფაქტი თუ მამკვიდრებლის სიცოცხლეში გამოვლინდება და დადასტურდება, შესაძლებელია, მან აპატიოს კანონიერ მემკვიდრეს ასეთი საქციელი ან ანდერძით მაინც იგი ცნოს თავის მემკვიდრედ. ანდერძში გამოხატული პატიების შეცვლა არ დაიშვება. პირის უღირს მემკვიდრედ აღიარება შეიძლება მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგაც. მემკვიდრეობის უფლებაჩამორთმეული პირის სამკვიდრო წილი გადადის მემკვიდრეებად მოწვეულ დანარჩენ მემკვიდრეებზე და თანასწორად ნაწილდება მათ შორის.

მემკვიდრეობის სამართლებრივ ურთიერთობათა ობიექტია **სამკვიდრო ქონება**. მასში შედის მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის მისი ქონებრივი აქტივიცა და პასივიც, ე. ი. მოთხოვნის უფლებაცა და გადახდის ვალდებულებაც. სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა. შესაძლებელია, აგრეთვე კომანდიტურ ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში კომანდიტის ან პარტნიორის წილის

სამკვიდრო მასაში ჩართვა. სამკვიდროში არ შედის პირადი ხასიათის ისეთი ქონებრივი უფლებები, რომელიც მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს. ასევე არ შეიძლება ჩართოს სამემკვიდრეო მასაში საგვარეულო წიგნები, სულის მოსახსენიებელი და სხვა საკულტო საგნები, საფლავი და სხვ.

მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა იწყება, ანუ **სამკვიდრო იხსნება** პირის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად მისი გამოცხადების შედეგად. **სამკვიდროს გახსნის** დროდ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღე ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე. კომლში მის საერთო ქონებაზე სამკვიდრო იხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან. სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ იგი ცნობილი არ არის — სამკვიდროს ადგილსამყოფელი. თუ სამკვიდრო სხვადასხვა ადგილას იმყოფება, მაშინ **სამკვიდროს გახსნის ადგილად** მიიჩნევა უძრავი ქონების ან მისი ფასეული ნაწილის ადგილსამყოფელი, ხოლო მოძრავი ქონების შემთხვევაში — მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელი.

მემკვიდრეთა სიმრავლის შემთხვევაში, მათ შორის სამკვიდროს გაყოფამდე, იგი ერთიანი ქონების სახით ეკუთვნის ყველა თანამემკვიდრეს. ამ ქონებიდან შეიძლება გადახდილ იქნეს მამკვიდრებლის მოვლისა და უკანასკნელი აღადმყოფობის მკურნალობის, დაკრძალვის, სამკვიდროს დაცვისა და მართვის, ხელფასის გასტუმრების, ანდერძის აღსრულების აუცილებელი ხარჯები. სამკვიდროს გაყოფა კი უნდა მოხდეს მისი ღირებულებიდან აღნიშნული ხარჯების გამოკლების შემდეგ.

კანონითა და ანდერძით მემკვიდრეობის გარდა, კანონი ითვალისწინებს სამკვიდრო ქონების სხვაზე გადაცემის ერთ სპეციფიკურ სახეს. მას ადგილი აქვს იშვიათ შემთხვევაში. კერძოდ, თუ არც კანონითა და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, აგრეთვე თუ ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, მაშინ გარდაცვლილის ქონება უმემკვიდროდ ჩაითვლება და იგი გადაეცემა სახელმწიფო ხაზინას. ასეთ შემთხვევაში კანონის საფუძველზე მემკვიდრედ სახელმწიფო ჩაითვლება. სხვა შემთხვევაა, როცა პირი თავის ქონებას ანდერძით უტოვებს სახელმწიფოს.

მემკვიდრეობის ნებისმიერი სახის დროს, მემკვიდრე ვალდებუ-

ლია გადაიხადოს მამკვიდრებლის ვალები მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულების ფარგლებში.

§2. მემკვიდრეობა კანონით

მემკვიდრეობის ერთ-ერთი სახე — კანონით მემკვიდრეობა მაშინ იხსნება (ანუ წარმოიშობა), როცა: მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, იგი ეხება ნაწილს, ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილადაა ცნობილი, ანდერძით მემკვიდრე გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნამდე ან უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე. ასეთ გარემოებებში სამკვიდრო უნდა გადავიდეს იმ პირებზე, რომლებიც კანონით არიან აღიარებული მემკვიდრეებად. მათი წრე ფართოა. ფიზიკურ პირთა მემკვიდრეებად მოწვევას კანონი უკავშირებს მამკვიდრებელთან მათი ნათესაური სიახლოვის ხარისხს და ადგენს მათ ხუთ რიგს. თანასწორი წილის უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან:

პირველ რიგში — გარდაცვლილის შვილი, მეუღლე და მშობლები. შვილიშვილები და მათი შვილები მხოლოდ მაშინ ჩაითვლებიან მემკვიდრეებად, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მამკვიდრებლის მემკვიდრედ მიჩნეული მათი მშობელი.

მეორე რიგში — გარდაცვლილის დები და ძმები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები, აგრეთვე მათი შვილები, მემკვიდრეები იქნებიან იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მამკვიდრებლის მემკვიდრე მშობელი. ისინი შვილიშვილებისა და მათი შვილების მსგავსად, თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდათ.

მესამე რიგში — ბებია და პაპა, აგრეთვე მათი მშობლები იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს გახსნის დროს ბებია ან პაპა ცოცხლები აღარ არიან. მნიშვნელობა არა აქვს ბებია ან პაპა დედის მხრიდან არიან თუ მამის.

მეოთხე რიგში — ბიძები,დეიდები და მამიდები.

მეხუთე რიგში — ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები.

რომელიმე მათგანის გარდაცვალების შემთხვევაში მისი შვილები დაინაწილებენ მის კუთვნილ სამკვიდროს.

სამკვიდროს გახსნის დროს წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდ-

რის არსებობა გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეობას.

ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მემკვიდრეობის უფლება არ ეხება ქონების იმ ნაწილს, რომელიც მას მეუღლეთა თანასაკუთრებიდან ეკუთვნის. განქორწინებული მეუღლეები არ შეიძლება მემკვიდრეები იყვნენ ერთმანეთის გარდაცვალების შემდეგ.

სამკვიდროს გახსნის დროს თუ არც ერთი რიგის მემკვიდრე არ არის სახეზე ან მათ უარი თქვეს მემკვიდრეობის მიღებაზე, მაშინ უმკვიდრო ანუ ბეითალმანი ქონება გადადის ხაზინის გამგებლობაში ან იმ დაწესებულების საკუთრებაში, ვის კმაყოფაზეც იმყოფებოდა მამკვიდრებელი.

§3. მემკვიდრეობა ანდერძით

ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც. ქონება შეიძლება ანდერძით გადაეცეს ორგანიზაციას ან სახელმწიფო ხაზინას. მოანდერძე შეიძლება იყოს სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირი, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება. აქედან გამომდინარე, ანდერძი არის ცალმხრივი ნების გამოვლინება და სრულებითაც არ არის საჭირო მემკვიდრის თანხმობა. მემკვიდრემ შეიძლება არც იცოდეს ანდერძის არსებობის შესახებ.

ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად მოანდერძემ. წარმომადგენლის მეშვეობით მისი შედგენა არ შეიძლება. ანდერძი უნდა შეიცავდეს ერთი მამკვიდრებლის ნების გამოვლინებას. ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივად ანდერძის შედგენა არ დაიშვება. მხოლოდ მეუღლეებს შეუძლიათ შეადგინონ ერთობლივი ანდერძი ურთიერთმემკვიდრეობის შესახებ. ასეთი ანდერძი გაუქმდება ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით მხოლოდ იმ პირობით თუ მეორე მეუღლე ცოცხალია.

მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძით განსაზღვროს თითოეული მემკვიდრის წილი ან მიუთითოს თუ რომელი ქონება რომელ მემკვიდრეზე გადავა. თუ ქონების დანაწილება ანდერძში არ არის მითითებული, მაშინ იგი თანაბრად ნაწილდება მემკვიდრეებს შორის. თუ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული, მაგრამ მასში მხოლოდ ერთი მათგანის წილია განსაზღვრული, მაშინ სხვა მემკვიდრეები

დანარჩენ ქონებას თანაბრად მიიღებენ.

ანდერძი თუ მამკვიდრებლის მთელი სამკვიდრო ქონების სხვაზე გადაცემას არ ითვალისწინებს, მაშინ მის გარეთ დარჩენილი ქონება განაწილდება კანონით გათვალისწინებულ მემკვიდრეებზე, მიუხედავად იმისა, მათგან რომელიმეს უკვე ერგო ანდერძით ქონების ნაწილი თუ არა. ასეთ შემთხვევაში ერთი და იგივე პირი ანდერძითაც ღებულობს ქონებას და კანონით მემკვიდრეობითაც. იმ შემთხვევაში კი, როცა მთელი სამკვიდრო ქონება ანდერძით განაწილებული იყო რამდენიმე პირს შორის და ერთ-ერთი მათგანი სამკვიდროს გახსნის მომენტში ცოცხალი აღარ არის, მის წილ ქონებაზე კანონით მემკვიდრეობა არ წარმოიშობა და იგი თანაბრად განაწილდება სხვა მემკვიდრეებს შორის.

მოანდერძის უკანასკნელი ნების უხარვეზო გამოვლინების გარანტირების მიზნით, კანონი ანდერძის ფორმის განსაზღვრას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს. ანდერძი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით. მისი ზეპირი ფორმა დაუშვებელია. წერილობითი ანდერძი, თავის მხრივ, ორგვარი შეიძლება იყოს — სანოტარო წესით დამოწმებული ან ამგვარი დამოწმების გარეშე. სანოტარო ფორმა გულისხმობს იმას, რომ ანდერძი შედგენილ და ხელმოწერილ იქნეს მოანდერძის, ხოლო დადასტურებული — ნოტარიუსის მიერ. დასაშვებია ანდერძი მოანდერძის სიტყვებით ჩაიწეროს ნოტარიუსმა ორი მოწმის თანდასწრებით. ასეთი ანდერძი უნდა წაიკითხოს მოანდერძემ და ნოტარიუსისა და მოწმის თანდასწრებით მოაწეროს ხელი. ანდერძის დადასტურებისას ნოტარიუსთან კანონით შეიძლება გათანაბრდნენ სხვა პირები (გემის კაპიტანი, ხომალდის მეთაური, ექსპედიციის უფროსი, მთავარი ექიმი და სხვ). თუ მოანდერძე რაიმე მიზეზით თვითონ ვერ მოაწერს ხელს, შეიძლება მისი თხოვნით ანდერძს ხელი მოაწეროს სხვა პირმა, რის შესახებაც უნდა აღინიშნოს ანდერძში.

ყრუ-მუნჯი და ბრმა პირი ანდერძს ადგენს ნოტარიუსთან მოწმეთა თანდასწრებით. საანდერძო განკარგულებას ხელი უნდა მოაწერონ მოწმეებმა და დაადასტუროს ნოტარიუსმა.

კანონი იცავს ანდერძის საიდუმლოებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ნოტარიუსსა და მოწმეებს ან პირებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ანდერძს მოანდერძის ნაცვლად, უფლება არა აქვთ სამკვიდროს გახსნამდე გაამხილონ ცნობები მისი შინაარსის, შედგე-

ნის, შეცვლის ან გაუქმების შესახებ.

მოანდერძეს შეუძლია თავისი ხელით დაწეროს ანდერძი და ხელი მოაწეროს მას. ასეთი ანდერძი დალუქული კონვერტით შესანახად გადაეცემა ნოტარიუსს მოწმეთა თანდასწრებით. ასეთი **შინაურული ანდერძის** შედგენას მოწმეები არ ესწრებიან და მათ არც იციან მისი შინაარსი. შინაურული ანდერძისაგან განსხვავდება **დახურული ანდერძი**, რაც იმას ნიშნავს, რომ მოანდერძის სურვილით მოწმეებმა ანდერძი უნდა დაადასტურონ მისი შინაარსის გაუცნობლად. ისინი მხოლოდ უნდა ესწრებოდნენ ანდერძის შედგენას. დახურული ანდერძის დადასტურებისას მოწმეებმა უნდა მიუთითონ, რომ ანდერძი შედგა პირადად მოანდერძის მიერ მათი თანდასწრებით, მაგრამ ისინი არ გასცნობიან მის შინაარსს.

ნებისმიერი სახის ანდერძში აუცილებლად უნდა მიეთითოს მისი შედგენის თარიღი. ამას მნიშვნელობა აქვთ თუნდაც იმიტომ, რომ ერთი პირის მიერ შედგენილი რამდენიმე ანდერძიდან გაირკვეს რომელია ახალი და რომელია გაუქმებული.

მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ, ნოტარიუსი ნიშნავს დღეს და დაინტერესებულ პირებს გააცნობს ანდერძის შინაარსს. ანდერძის გაცნობის პროცედურა უნდა გაფორმდეს ოქმით.

მიუხედავად იმისა, რომ ანდერძის თავისუფლება მემკვიდრეობის სამართლის ძირითადი პრინციპია, კანონი ითვალისწინებს მის შეზღუდვას მამკვიდრებლის ოჯახის წევრთა ინტერესებიდან გამომდინარე. კანონით მემკვიდრეთა განსაზღვრული წრისათვის მიკუთვნებულია **სავალდებულო წილის** უფლება. კერძოდ, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ასაკისა და შრომისუნარიანობის, აგრეთვე ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. კანონით მემკვიდრეთა სხვა რიგის წარმომადგენლებს ასეთი უფლება არ გააჩნიათ. თითოეული მემკვიდრის სავალდებულო წილის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა კანონით მემკვიდრე, რომლებიც მოწვეული იქნებოდნენ სამკვიდროს მისაღებად, ანდერძი რომ არ ყოფილიყო. ანდერძით მემკვიდრეები კი მხედველობაში არ მიიღებიან. სავალდებულო წილის მთლიანი მოცულობა განისაზღვრება მთელი სამკვიდროდან იმ ქონების ჩათვლით, რომელიც

გათვალისწინებულია საანდერძო დანაკისრის ან საერთო სარგებლობის მიზნით რაიმე მოქმედების შესასრულებლად. საანდერძო დანაკისრის ანუ ლეგატის საფუძველზე მოანდერძეს შეუძლია დააკისროს მემკვიდრეს ერთი ან რამდენიმე პირის სასარგებლოდ რაიმე ვალდებულების შესრულება სამკვიდროს ხარჯზე (ნივთის გადაცემა საკუთრებაში, განსაზღვრული სამუშაოს შესრულება და სხვ.).

საანდერძო დანაკისრის მიმღები პასუხს არ აგებს მამკვიდრებლის ვალებისათვის. აქედან გამომდინარე, პირს, რომელსაც სავალდებულო წილის მიღების უფლება აქვს და, ამავე დროს, საანდერძო დანაკისრის მიმღებიც არის — ლეგეტიარია, შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილი თუ უარს იტყვის საანდერძო დანაკისრის მიღებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას სავალდებულო წილზე საანდერძო დანაკისრის ღირებულების ფარგლებში. ამით ფაქტობრივად საანდერძო დანაკისრის გარანტირებული შესრულების უზრუნველყოფა ხდება.

მოანდერძეს კანონის გათვალისწინებით ყოველთვის შეუძლია **შეცვალოს ან მოშალოს ანდერძი.** მას ასევე შეუძლია რამდენიმე ანდერძი შეადგინოს. ახალი ანდერძი აუქმებს ძველს. თუ ისინი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, მაშინ შეიძლება რამდენიმე ანდერძი ერთდროულად იყოს ძალაში.

§4. სამკვიდროს მიღება

სამკვიდროს მიღების უფლება მემკვიდრეს წარმოეშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. სამკვიდროს მიღება ერთნაირად ხდება კანონითა და ანდერძით მემკვიდრეობის დროს. სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა და გამოხატავს მემკვიდრის ნებასა და სურვილს — დაეუფლოს სამკვიდრო ქონებას. მხოლოდ ხაზინისათვის ქონების გადაცემისას მისი ნება არ არის საჭირო. მას საერთოდ არა აქვს უფლება უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე. კანონის მიხედვით მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. სამკვიდროს მიღება შეუძლია ქმედუნარიან პირს. ქმედუუნარო და შეზღუდულქმედუნარი-

ანი პირები სამკვიდროს იღებენ მათი კანონიერი წარმომადგენლების მეშვეობით. სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზი საპატიოდ მიიჩნევა. ვადის გასვლის შემდეგ სამკვიდრო შეიძლება მიღებულ იქნეს სასამართლოსათვის მიმართვის გარეშეც, თუ თანახმა იქნება სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე.

თუ მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ სამკვიდროს მიღებამდე გარდაიცვალა, მაშინ სამკვიდროდან მისი წილის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე. ამას **მემკვიდრეობით ტრანსმისია** ეწოდება.გარდაცვლილი მემკვიდრის მემკვიდრეებმა სამკვიდრო უნდა მიიღონ ვადამდე დარჩენილი ხნის განმავლობაში. თუ ეს დრო სამ თვეზე ნაკლებია, მაშინ იგი სამ თვემდე უნდა გაგრძელდეს.

მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან.

მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მან შეიტყო ან უნდა შეეტყო სამკვიდროს მისაღებად თავისი მოწვევის შესახებ. საპატიო მიზეზის არსებობისას ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ ორ თვემდე. სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა უნდა გაფორმდეს სანოტარო ორგანოში. მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სხვა პირთა სასარგებლოდ, კანონით ან ანდერძით მემკვიდრეთა რიცხვიდან. სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა დაუშვებელია იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც ცნობილი არიან ულირს მემკვიდრეებად ან რომელთაც ანდერძით ჩამოერთვათ მემკვიდრეობის უფლება.

თუ მემკვიდრე უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე და არ უთითებს იმას, თუ ვის სასარგებლოდ ამბობს უარს, მაშინ მისი წილი შეემატება მემკვიდრეებად მოწოდებულ კანონით მემკვიდრეთა წილს. მაგრამ თუ მთელი სამკვიდრო ანდერძით იყო განაწილებული, მაშინ იგი გაიყოფა ანდერძით მემკვიდრეებს შორის მთელ სამკვიდროში თითოეული მათგანის წილის პროპორციულად.

სამკვიდროს გაყოფა ხდება მისი მიმღები მემკვიდრეების შეთანხმებით იმ წილის მიხედვით, რაც თითოეულ მათგანს კანონით

ან ანდერძით ერგებათ. თანამემკვიდრეთა შეთანხმებით დასაშვებია მთელი სამკვიდროს გაყიდვა და მემკვიდრეთა შორის ფულის განაწილება მათი წილის შესაბამისად.

თუ მემკვიდრეთა შორის არიან პირები, რომელთა ადგილსამყოფელიც ცნობილი არ არის, დანარჩენი მემკვიდრეები მოვალენი არიან მიიღონ გონივრული ზომები მათი ადგილსამყოფელის დასადგენად და სამკვიდროს მისაღებად მემკვიდრეთა მოსაწვევად.

მემკვიდრეები ვალდებულნი არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად. ასევე უფლება აქვთ მემკვიდრეებს მოსთხოვონ მამკვიდრებლის მოვალეებს სავალო სახსრები. უმკვიდრო ქონების ხაზინაზე გადასვლისას, ხაზინა პასუხს აგებს მამკვიდრებლის ვალებზე სხვა მემკვიდრეების მსგავსად. კრედიტორთა მოთხოვნები მემკვიდრეებმა უნდა დააკმაყოფილონ ერთჯერადი გადახდის გზით, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მემკვიდრეებად მოწვეულ პირებს შეუძლიათ სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოსაგან მოითხოვონ სამკვიდრო მოწმობა, რომელიც ადასტურებს მასში აღნიშნული პირის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტს. მისი გაუქმება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს მიერ. სამკვიდრო მოწმობის მიღება ყოველთვის არ არის სავალდებულო. ზოგიერთი სამემკვიდრეო უფლება მის გარეშეც ხორციელდება. სამკვიდრო მოწმობის მიღება სავალდებულოა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. უძრავი ქონების ან ავტომანქანის მემკვიდრეობისას სამემკვიდრეო დოკუმენტის შექმნა აუცილებელია. სამკვიდრო მოწმობის მისაღებად საჭიროა სანოტარო ორგანოსადმი განცხადებით მიმართვა. ეს შეიძლება სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსთვიანი ვადის გასვლამე და შემდეგაც. სამკვიდრო მოწმობა კი მემკვიდრეებს ეძლევათ სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ ნებისმიერ დროს. ექვს თვეზე ადრე მოწმობა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ სანოტარო ორგანოს მოეპოვება ცნობა, რომ მოწმობის მთხოვნელ პირთა გარდა სხვა მემკვიდრეები არ არიან.

მემკვიდრეები, რომლებსაც სამკვდრო არ მიუღიათ კანონით დად-

მემკვიდრეები, რომლებსაც სამკვდრო არ მიუღიათ კანონით დადგენილ ვადაში, შეიძლება შეტანილ იქნენ სამკვიდრო მოწმობაში ყველა იმ მემკვიდრის თანხმობით, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო. ასეთი თანხმობა გაცხადებულ უნდა იქნეს წერილობით სამკვიდროს მოწმობის გაცემამდე. სამკვიდრო მოწმობა გაიცემა როგორც მთელ სამკვიდროზე, ისე მის ნაწილზეც. მოწმობა მიეცემა ყველა მემკვიდრეს ერთად ან თითოეულს ცალ-ცალკე მათი სურვილისამებრ. სამკვიდრო მოწმობის მიცემა ერთი მემკვიდრისათვის სამკვიდროს ნაწილზე არ ართმევს უფლებას სხვა მემკვიდრეებს, მიიღონ მოწმობა სამკვიდროს დანარჩენ ნაწილზე.

სამკვიდრო მოწმობის მიღება შეუძლიათ მემკვიდრის მემკვიდრეებსაც იმ ქონებაზე, რომელიც დარჩა თავდაპირველი მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, თუკი სამკვიდროს გახსნიდან სამკვიდრო მოწმობის მიღებამდე გარდაიცვალა თავდაპირველი მამკვიდრებლის მემკვიდრე.

.კარი მეხუთე

სამოქალაქო საპროცესო სამართალი

თავი I. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცნება და მისი სუბიექტები

სამოქალაქო საპროცესო სამართალი იმ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობაა, რომელიც სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვა-გადაწყვეტასთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობებს აწესრიგებს.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. განასხვავებენ სამოქალაქო სამართალწარმოების შემდეგ სახეებს: 1) სასარჩელო წარმოებას; 2) გამარტივებულ წარმოებას; 3) უდავო (განსაკუთრებულ) წარმოებას.

სამოქალაქო სამართალწარმოების ყველაზე უფრო გავრცელებული სახეა სასარჩელო წარმოება, რომელიც ყოველთვის გულისხმობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე მხარის არსებობას, ესენი არიან – მოსარჩელე და მოპასუხე. მოსარჩელე არის პირი, რომელმაც აღძრა სასამართლოში სარჩელი თავისი დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესის დასაცავად, ხოლო მოპასუხე ის პირია, რომელმაც, როგორც მოსარჩელე ფიქრობს, დაარღვია ან სადავო გახადა მოსარჩელის უფლება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად, „სასამართლოში მხარეებად შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში კი მხარეებად შეიძლება იყვნენ ის ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები“. მაშასადამე, სამოქალაქო პროცესის სუბიექტები ძირითადად არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც აღჭურვილი არიან საპროცესო უფლებაუნარიანობითა და საპროცესო ქმედუნარიანობით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 80-ე მუხლის თანახმად, საპროცესო უფლებაუნარიანობა ეს არის პირის უნარი ჰქონდეს სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები. ფიზიკური პირის საპროცესო უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი დაბადების მომენტიდან და შეწყდება მისი გარდაცვალებით. იურიდიული პირის საპროცესო

უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და შეწყდება მისი ლიკვიდაციის რეგისტრაციის მომენტიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის თანახმად, საპროცესო ქმედუნარიანობა ესაა პირის უნარი თავისი მოქმედებით განახორციელოს სასამართლოში საპროცესო უფლებები და შეასრულოს საპროცესო მოვალეობები, აგრეთვე დაავალოს საქმის წარმოება წარმომადგენელს. სრული საპროცესო ქმედუნარიანობა ფიზიკურ პირს წარმოეშობა სრულწლოვანების, ე.ი. 18 წლის ასაკის მიღწევისას, ასევე იმ პირს, რომელიც იქორწინებს 16 წლის ასაკიდან კანონის მოთხოვნათა დაცვით. იურიდიული პირის საპროცესო ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

შვიდიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანთა, აგრეთვე შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები. ამასთან, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვანიც.

საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა არასრულწლოვანს უფლება აქვს პირადად დაიცვას თავისი უფლება სასამართლოში, იყოს მოსარჩელე ან მოპასუხე. საქმე ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ისეთ შემთხვევას, როგორიცაა არასრულწლოვანის „ემანსიპაცია“ (ანუ უფლებრივი გათანაბრება სრულწლოვანთან). ამას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა არასრულწლოვანს კანონით მინიჭებული აქვს ქორწინების განკარგვის უფლება, ანდა დაინიშნება იგი საწარმოს ხელმძღვანელად (სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლი).

თავისებური საპროცესო მდგომარეობა უჭირავთ მცირეწლოვანებსა და ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს, რომელთა უფლებებსაც სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მეურვეები. მათი შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია საქმეში ჩააბას მცირეწლოვანიც. ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ერთ მნიშვნელოვან სიახლეს, რომელსაც ქმედუუნარო მხარის საპროცესო წარმომადგენელი ეწოდება სახელდობრ, თუ სარჩელი შეტანილია ქმედუუნარო მხარის წინააღმდეგ, რომელსაც არა ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლო მოსარჩელის განცხადების საფუძ-

ველზე ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს, თუკი მისი განუხილველობა ზიანით ემუქრება მოსარჩელეს. თუ საქმის წარმოების დროს გაირკვა, რომ სარჩელი აღძრულია ქმედუუნარო პირის მიერ, რომელსაც არ ჰყოლია კანონიერი წარმომადგენელი, მაშინ საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად, კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნამდე, შეიძლება მოსარჩელეს დაენიშნოს საპროცესო წარმომადგენელი. წინააღმდეგ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად სასამართლო განუხილველად დატოვებს სარჩელს (განცხადებას), თუ იგი შეიტანა ქმედუუნარო პირმა, ხოლო სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია დაუნიშნოს მას საპროცესო წარმომადგენელი.

იურიდიული პირის საპროცესო ქმედუნარიანობას ახორციელებს მისი წარმომადგენელი (მართვის ორგანო) – დირექტორი, პრეზიდენტი, გამგეობა, პროკურისტი ანდა სპეციალური წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი (მაგალითად, ადვოკატი).

ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები, მიეკუთვნება არარეგისტრირებული კავშირი, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა, იურიდიული პირის ფილიალი და ა.შ.

სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ანდა რამდენიმე მოპასუხისადმი (რასაც საპროცესო თანამონაწილეობა ეწოდება). თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად თანამონაწილეობა დასაშვებია:

1) თუ სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება (მაგალითად, თუ ნივთი, რომელზეც აღძრულია სარჩელი, რამდენიმე პირის საერთო საკუთრებაში იმყოფება; 2) თუ სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლიდან (მაგალითად, ქონებას ზიანი მიაყენა რამდენიმე პირმა); 3) თუ სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი (ნებისმიერ სარჩელს აქვს ორი ელემენტი: საგანი და საფუძველი. საგანი არის თვითონ მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი, ხოლო საფუძველი კი – ის ფაქტები და გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. მაგალითად, თუ მოსარჩელე მოითხოვს

მოპასუხისაგან გასესხებული თანხის დაბრუნებას (სარჩელის საგანი), მან უნდა მიუთითოს, რომ მხარეებს შორის დადებულია სესხის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მოპასუხეს ეკისრება თანხის უკან დაბრუნება. მისი დაბრუნების ვადა დადგა, მაგრამ მოპასუხე მაინც არ აბრუნებს ნასესხებ თანხას (სარჩელის საფუძველი).

ზოგჯერ სამოქალაქო პროცესში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ მესამე პირებმაც. მესამე პირი ის პირია, რომელიც შემოდის მხარეთა შორის უკვე დაწყებულ პროცესში თავისი საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. მესამე პირების ორი სახე არსებობს: 1) მესამე პირები, რომლებიც აცხადებენ დავის საგანზე დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას; 2) მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე (მაგალითად, A-მ აღძრა სარჩელი B-ს მიმართ ტელევიზორის დაბრუნების შესახებ. გაიგო რა ამის შესახებ, C-მ აღძრა სარჩელი A-სა და B-ს წინააღმდეგ, რომ სადავო ტელევიზორი მისი საკუთრებაა. ამ შემთხვევაში C იქნება მესამე პირი, რომელიც აცხადებს დავის საგანზე დამოუკიდებელ მოთხოვნას. ანდა მაგალითად, უნივერსიტეტის კუთვნილი ავტომანქანით მძღოლმა მიაყენა A -ს ზიანი. ასეთ შემთხვევაში უნივერსიტეტის, ანუ მოპასუხის მხარეზე უნდა ჩაებას ზიანის მიმყენებელი მძღოლი, რომელიც არის დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირი. თუ უნივერსიტეტს დაეკისრება ზიანის ანაზღაურება, მას შეუძლია რეგრესის, ანუ უკუმოთხოვნის წესით მძღოლს გადაახდევინოს შემდეგში ზიანის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხა).

თავი II. საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავს უფლების დაცვისათვის სასამართლოში მიმართვის ფორმას (წესს). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მესამე მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ სასამართლო შეუდგეს ამა თუ იმ უფლების დაცვას, ამისათვის პირმა უნდა მიმართოს სასამართლოს სარჩელით, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი— განცხადებით (მაგალითად, უდავო წარმოების დროს).

სასარჩელო სამართალწარმოების აღძრა ხორციელდება სარჩელით. სარჩელი არის დარღვეული ან სადავო უფლების დასაცავად სასა-

მართლოსადმი მიმართვა (სარჩელის პროცესუალური მხარე) და მოსარჩელის მიერ მოპასუხისადმი წაყენებული სადავო სამართლებრივი მოთხოვნა (სარჩელის მატერიალური მხარე). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შედგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. 178-ე მუხლში მოცემულია სასარჩელო განცხადების შინაარსი, კერძოდ, სარჩელში უნდა აღინიშნოს:

1. სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვთ სარჩელი;

2. მოსარჩელის გვარი, სახელი და მისამართი, ხოლო თუ მოსარჩელე იურიდიული პირია — მისი სახელწოდება და მისამართი;

3. მოპასუხის გვარი, სახელი და მისამართი, ხოლო თუ მოპასუხე იურიდიული პირია — მისი სახელწოდება და მისამართი;

4. წარმომადგენლის გვარი, სახელი და მისამართი, თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს;

5. მოსარჩელის მოთხოვნა;

6. გარემოებანი, რომელზედაც მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამყარებს;

7. სარჩელის ფასი, თუ შესაძლებელია სარჩელის შეფასება;

8. სარჩელისათვის თანდართული დოკუმენტების ნუსხა.

ასეთია სარჩელის სავალდებულო რეკვიზიტები ანუ მოთხოვნები, რომელსაც უნდა პასუხობდეს სარჩელი.

სარჩელი და მასზე თანდართული საბუთები (მაგალითად, სესხის ხელშეკრულების ასლი, ქორწინების მოწმობის ასლი, მკურნალობის ხარჯების ასლი, მიყენებული ზიანის ოდენობის ექსპერტის მიერ შედგენილი აქტის ასლი, და ა.შ.) სასამართლოს უნდა წარედგინოს იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა. სარჩელს უნდა დაერთოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, რწმუნებულება (მინდობილობა), რომელიც ადასტურებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას — აღძრას სარჩელი და ხელი მოაწეროს მას.

თუ სარჩელი ჩამოყალიბებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მას თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი, მაშინ სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ. მოსამართლე ვალდებულია ასეთი განჩინება გამოიტანოს ხუთი დღის ვადაში. თუ ამ ხნის განმავლობაში მოსამართლე განჩინებას არ გამოიტანს, მაშინ ითვლება, რომ სარჩელი მიღებულია ამ ვადის გასვლის

შემდეგ. ასეთი განჩინების მიღებას ან ხუთდღიანი ვადის გასვლას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამეთუ მოსამართლე ვალდებულია გასცეს განკარგულება ამ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის გადაგზავნის შესახებ. გარდა ამისა, სარჩელის მიღების შემდეგ მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არ შეიძლება რომელიმე სხვა სასამართლომ ან ორგანომ განიხილოს.

იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლის შეხედულებით სარჩელი არ არის შედგენილი კანონის მოთხოვნათა დაცვით, ანდა სახელმწიფო ბაჟი გადახდილი არ არის, მაშინ მოსამართლე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უმოძრაოდ დატოვების შესახებ, რასაც აცნობებს მოსარჩელეს და მისცემს მას ვადას ხარვეზების შესავსებად. თუ ამ ვადაში ხარვეზები შევსებული არ იქნება, სარჩელი არ ჩაითვლება სასამართლოში შეტანილად და მოსარჩელეს დაუბრუნდება.

სარჩელი შეიძლება კარგად იყოს შედგენილი და მისი შინაარსის ყველა მოთხოვნას პასუხობდეს, მაგრამ სასამართლომ მაინც არ მიიღოს იგი წარმოებაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლებს, კერძოდ, მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს, თუ:

1) სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას (სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარება კანონით განსაზღვრულ იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობაა, რომელთა ფარგლებშიც სასამართლოს შეუძლია მიიღოს და განიხილოს საქმეები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 11-ე მუხლი იმ სამართლებრივი ურთიერთობების სანიმუშო ჩამონათვალს შეიცავს, რომლიდანაც წარმოშობილ საქმეებს განიხილავს სასამართლო, სახელდობრ, სასამართლო განიხილავს: სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს, უდავო წარმოების საქმეებს, საქმეებს მოქალაქეების მიერ ნორმატიული აქტების მართლზომიერების უარყოფის შესახებ და ა.შ. ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. კანონით სასამართლოებს შეიძლება დაექვემდებაროს სხვა კატეგორიის საქმეების განხილვაც).

2) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ (პროცესის რომელ სტადიაშიც არ უნდა მოხდეს ამ გარემოებების გამორკვევა, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება განჩინებით).

3) ამ ან სხვა სასამართლოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანსა და იმავე საფუძვლით (არ შეიძლება ერთი და იგივე სარჩელი ერთდროულად განიხილებოდეს იმავე სასამართლოში სხვა მოსამართლის თუ სხვა სასამართლოს შემადგენლობის მიერ, ან სხვა სასამართლოში. თუკი სასამართლო მაინც მიიღებს ასეთ სარჩელს წარმოებაში, მაშინ 275-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად იგი სარჩელს განუხილველად დატოვებს).

4) მხარეებს დადებული აქვთ ხელშეკრულება, რომ მათ შორის დავა გადასაწყვეტად გადაეცეს კერძო არბიტრაჟს (თუ სასამართლომ მიიღო ასეთი სარჩელი და შემდგომში გაირკვა, რომ მხარეებს შორის დადებულია ხელშეკრულება დავის კერძო არბიტრაჟზე გადაცემის შესახებ, მაშინ სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას).

5) საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 13-24-ე მუხლები ეძღვნება განსჯადობას, მას შემდეგ, როდესაც გაირკვევა, რომ საქმე უწყებრივად ექვემდებარება სასამართლო ორგანოებს, წამოიჭრება საკითხი, თუ კონკრეტულად რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს დავა. ამ კითხვაზე იძლევა პასუხს სწორედ განსჯადობის ინსტიტუტი. იმასთან დაკავშირებით, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულმა კანონმა გაითვალისწინა ორი პირველი ინსტანციის სასამართლო – რაიონული და საოლქო სასამართლოები, ბუნებრივია, მათ შორის უნდა მოხდეს უფლებამოსილებათა გამიჯვნა. ასეთი გამიჯვნა მოგვცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა, რომლის მე 14 მუხლის მიხედვით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები და თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოები პირველი ინ-

სტანციით განიხილავენ: ა) დავებს, თუ სარჩელის ფასი აღემატება 500000 ლარს; ბ) ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს.

სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ დანარჩენ საქმეებს განიხილავენ რაიონის (ქალაქის) სასამართლოები.

საერთო წესიდან გამომდინარე, სარჩელი სასამართლოს წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ შეიტანება სასამართლოში ამ პირის ადმინისტრაციის ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო იურიდიული პირის ფილიალის მიმართ კი — მისი ადგილმდებარეობის მიხედვით არსებულ სასამართლოში. .

სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ შეიტანება სასამართლოში ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იმ მოპასუხის მიმართ, ვისაც არა აქვს საქართველოში საცხოვრებელი ადგილი, სასამართლოს წარედგინება მოპასუხის ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სარჩელები სასამართლოს წარედგინება ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით (ნივთობრივი განსჯადობა), მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სარჩელები სასამართლოს წარედგინება მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების დადების ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც იგი უნდა შესრულებულიყო და ა.შ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს).

ბ) სარჩელი შეიტანა ქმედუუნარო პირმა (ქმედუუნაროდ ითვლება შვიდ წლამდე ასაკის მცირეწლოვნები, ასევე სრულწლოვანი პირები, რომლებიც ჯკუასუსტობის ან სულიერი ავადმყოფობის გამო სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ თუ საქმის წარმოების დროს გაირკვა, რომ სარჩელი აღძრულია ქმედუუნარო პირის მიერ, რომელსაც არა ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლოს შეუძლია, რომ მას დაუნიშნოს საპროცე-

სო წარმომადგენელი. მუხლი 82-ე).

7) დაინტერესებული პირის სახელით განცხადება შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე (დაინტერესებულად ითვლება პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ მისი უფლება დარღვეულია ან სადავოდაა გამხდარი. ამასთან, მას შეუძლია საქმე აწარმოოს სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოში მხარეების წარმომადგენლად შეიძლება იყვნენ:

ა) ადვოკატი;

ბ) ორგანიზაციის თანამშრომლები – ამ ორგანიზაციების საქმეებზე;

გ) ერთ-ერთი თანამონაწილე – დანარჩენ თანამონაწილეთა დავალებით;

დ) სხვა ქმედუნარიანი პირი.

წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. თუკი სხვისი უფლების დასაცავად სარჩელის შემტან პირს არა აქვს სათანადოდ გაფორმებული უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე, სასამართლომ ასეთ შემთხვევაში არ უნდა მიიღოს მისგან სარჩელი).

სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. მასში უნდა მიეთითოს აგრეთვე, თუ როგორ უნდა იქნეს აცილებელი საქმის აღძვრის დამაბრკოლებელი გარემოებები. განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ, უნდა ჩაბარდეს მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი საბუთები. ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა 12 დღის განმავლობაში მისი გადაცემის ან გამოცხადების მომენტიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასარჩელო წარმოებაში ყოველთვის მონაწილეობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე მხარე –მოსარჩელე და მოპასუხე, რომლებსაც საპროცესო კანონმდებლო-

ბა თანაბარ საპროცესო უფლებებს ანიჭებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოპასუხეს, რომლის მიმართაც აღძრულია სარჩელი, მინიჭებული აქვს უფლება დაიცვას თავი მის მიმართ წაყენებული სასარჩელო მოთხოვნისაგან. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განასხვავებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ორ საშუალებას: 1) შესაგებელსა და 2) შეგებებულ სარჩელს.

მოპასუხის შესაგებელი არის მისი ახსნა-განმარტება, რომლის მიზანია სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულობის გაქარწყლება ან სასამართლოს მიერ სარჩელის განსახილველად მიღების არამართლზომიერების დადასტუნება (მაგალითად, მოპასუხე მიუთითებს, რომ მან ვალი უკვე დააბრუნა, ანდა არ შეეძლო რომ მიეყენებინა ზიანი, რამეთუ ამ დროს იგი არ იმყოფებოდა საქართველოში, ანდა მასსა და მოსარჩელეს შორის დადებულია ხელშეკრულება დავის კერძო არბიტრაჟისათვის განსახილველად გადაცემის შესახებ და ამიტომ სასამართლოს არ უნდა მიეღო საქმე წარმოებაში).

რაც შეეხება შეგებებულ სარჩელს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის სასამართლოს მიერ მისი მიღების პირობებს: 1) თუ შეგებებული სარჩელი მიმართულია თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნის ჩასათვლელად (მაგალითად, მოსარჩელემ აღძრა სარჩელი და მოითხოვა მოპასუხისაგან სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი თანხის უკან დაბრუნება, ხოლო მოპასუხემ კი აღძრა სარჩელი და მოითხოვა მოსარჩელისაგან მისთვის ნარდობის ხელშეკრულებით აშენებული სახლის ღირებულების გადახდა, ე.ი. ამ დროს მოხდება სასარჩელო მოთხოვნათა გაქვითვა); 2) თუ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას (მაგალითად, მოსარჩელემ აღძრა სარჩელი მოპასუხის მიმართ ნივთის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, ხოლო მოპასუხემ კი აღძრა შეგებებული სარჩელი სადავო ნივთის მის საკუთრებად ცნობის შესახებ); 3) თუ შეგებებულ და თავდაპირველ სარჩელს შორის ურთიერთკავშირია და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწორად და სწრაფად გადაწყდება (მაგალითად, გამქირავებელმა აღძრა სარჩელი გაქირავებული ნივთის უკან დაბრუნების შესახებ, ხოლო დამქირავებელმა კი აღძრა შეგებე-

ბული სარჩელი დაჭირავებული ნივთის ნაკლის გამოსწორებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ).

პირვანდელი და შეგებებული სარჩელის ერთად განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება, რომელშიც უნდა მიეთითოს დაკმაყოფილდა თუ არა პირვანდელი ან შეგებებული სარჩელი. სასამართლო გადაწყვეტილებაში ცალ-ცალკე უნდა დასაბუთდეს თუ რა საფუძველით ეთქვა უარი, ან რა საფუძველით დაკმაყოფილდა პირვანდელი თუ შეგებებული სარჩელი.

სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ მოსამართლე (ანდა მისი დავალებით მოსამართლის თანაშემწე) ამზადებს საქმეს სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად. საქმის მომზადების მიზანია მისი დროულად განხილვა, ერთ სასამართლო სხდომაზე დამთავრება და სწორად გადაწყვეტა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების (სარჩელის) მიღებიდან არა უგვიანეს ხუთი თვის განმავლობაში, ხოლო ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებისას, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნების შესახებ საქმეებს კი – არა უგვიანეს 20 დღის).

საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით, მოსამართლე ვალდებულია: 1) გადაუგზავნოს მოპასუხეს სარჩელისა (განცხადების) და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლი; 2) დაუნიშნოს მოპასუხეს ვადა, რათა მან წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელზე დართული საბუთების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს.

მოპასუხის წერილობით პასუხში მითითებულ უნდა იქნეს: ა) ცნობს თუ არა მოპასუხე სარჩელს; ბ) თუ სარჩელს არ ცნობს, რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ; გ) რა მტკიცებულებებით შეიძლება დაასაბუთოს ეს გარემოებები; დ) რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არა აქვს განზრახული შეგებებული სარჩელის აღძრა ან ხომ არ გამოთქვამს ეჭვს სარჩელის მიზანშეწონილობაზე, ხომ არ ექნება აცილება სასამართლოს ან მოსა-

მართლის მიმართ და ა.შ.; ე) ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად; ვ) რომელი მოწმე უნდა იქნეს გამოძახებული სასამართლო სხდომაზე.

მოპასუხის წერილობითი პასუხი და მასზე დართული საბუთების ასლები მოსამართლემ უნდა გადაუგზავნოს მოსარჩელეს. მოსარჩელეს უფლება აქვს წარუდგინოს მოსამართლეს დამატებითი მტკიცებულებები, აგრეთვე აცნობოს მას თავისი მოსაზრებები მოპასუხის წერილობითი პასუხის მიღებიდან 5 დღის ვადაში. მოსამართლემ საქმის მომზადების მიზნით უნდა განახორციელოს ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 203-ე მუხლით გათვალისწინებული მოქმედებები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლი ითვალისწინებს მოსამზადებელი სხდომის დანიშვნას. მოსამზადებელი სხდომა არ არის სასამართლოს მთავარი სხდომა, სადაც მიმდინარეობს საქმის განხილვა და მხარეთა ზეპირი შეჯიბრი, ასევე იგი არაა საქმის მომზადების სტადიის აუცილებელი ელემენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე შეიძლება მომზადებულად ჩაითვალოს და ასეთი სხდომა მოსამართლემ არ ჩაატაროს. მოსამზადებელ სხდომას მოსამართლე დანიშნავს იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები საფუძველს აძლევს მას ივარაუდოს, რომ: ა) მხარეებმა შეიძლება საქმე მორიგებით დაამთავრონ; ბ) მოპასუხემ ცნოს სარჩელი; გ) მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, ანდა თუკი, მოსამართლის აზრით, სასამართლოში განხილვისათვის საქმის მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს.

იმ შემთხვევაში, თუკი მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ანდა მხარეები მორიგდებიან, სასამართლო გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ხოლო თუ მოპასუხე ცნობს სარჩელს, მოსამართლე გამოიტანს გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. მოსამზადებელ სხდომაზე არ შეიძლება მხარეთა დაუსწრებლად გადაწყვეტილების გამოტანა.

ყველა იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ, რომელიც, მოსამართლის აზრით, აუცილებელი იყო საქმის მომზადებისათვის, იგი გამოიტანს განჩინებას მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ. განჩინებაში მითითებული უნდა იყოს სხდომის ჩატარების ადგილი, დღე, რიცხვი და დრო (საათი).

საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე თანამიმდევრუ-

ლად მიმდინარე რამდენიმე ეტაპისაგან შედგება.

პირველი ეტაპი — ესაა სასამართლოს მთავარი სხდომის გახსნა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვისათვის დანიშნულ დროს სასამართლო შედის სხდომის დარბაზში. მოსამართლე, ხოლო თუ საქმეს არჩევს კოლეგიური სასამართლო, ამ სასამართლოს თავმჯდომარე, ხსნის სასამართლოს მთავარ სხდომას და აცხადებს, თუ რომელი საქმე განიხილება. სასამართლოს სხდომის მდივანი მოახსენებს დამსწრეთ განსახილველ საქმეზე მოწვეულ პირთა გამოცხადებას ან რა ცნობები არსებობს მათი გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ. სასამართლო ადგენს გამოუცხადებელ პირთა ვინაობას, აგრეთვე ამოწმებს წარმომადგენელთა უფლებამოსილებას. ამის შემდეგ მოსამართლე წინადადებას აძლევს მოწმეებს, რომ დატოვონ სხდომის დარბაზი. მხარეები, წარმომადგენლები, მოწმეები, სპეციალისტები, თარჯიმნები, აგრეთვე სასამართლოს სხდომის დარბაზში მყოფი ყველა მოქალაქე ვალდებული არიან დაიცვან დადგენილი წესი და უსიტყვოდ დაემორჩილონ მოსამართლის განკარგულებას.

ამის შემდეგ თავმჯდომარე (მოსამართლე) აცხადებს სასამართლოს შემადგენლობას, აგრეთვე იმას, თუ ვინ მონაწილეობს ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, სასამართლო სხდომის მდივნად და განუმარტავს მხარეებს, რომ მათ შეუძლიათ განაცხადონ აცილება, თუ იგი სასამართლოს მიერ საპატიოდ ცნობილი მიზეზით არ იყო გაცხადებული საქმის მოსამზადებელ სტადიაზე. მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ აღძრან სასამართლოს წინაშე ახალი შუამდგომლობები (მაგალითად, დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის ან გამოთხოვის შესახებ). სასამართლო შუამდგომლობებს დააკმაყოფილებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი საპატიო მიზეზით არ იყო აღძრული სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების სტადიაზე. თუ შუამდგომლობების დაკმაყოფილება მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გადადოს საქმის განხილვა სხვა დროისათვის. საქმის განხილვის გადადებისას სასამართლო დანიშნავს მისი ხელახალი განხილვის დღეს და ამას აცნობებს გამოცხადებულ პირებს, რასაც ისინი ადასტურებენ თავიანთი ხელმოწერით. საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში სასამართლო დაჰკითხავს გამოცხადებულ მოწმეებს. ახალ სასამართლო სხ-

დომაზე ამ მოწმეთა ხელმეორედ დაბარება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება.

სასამართლოს მთავარი სხდომის მეორე ეტაპი — ესაა საქმის განხილვის დაწყება. მისი არსებითად განხილვა იწყება მოსამართლის მიერ საქმის მოხსენებით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მასალებს, ხოლო თუ ამ საქმეზე ჩატარდა სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა, მაშინ — ამ სხდომის მასალებსა და ოქმს. მოსამართლის მიერ საქმის მოხსენების შემდეგ სიტყვა ახსნა-განმარტებისათვის ეძლევათ მხარეებს (სასარჩელო სამართალწარმოება აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებზე. შეჯიბრებითობის პრინციპის მიხედვით მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ის ფაქტები და გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას, ხოლო მოპასუხემ კი უნდა დაამტკიცოს ის ფაქტები და გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის შესაგებელს. ე.ი. სამოქალაქო პროცესში მტკიცების ტვირთი განაწილებულია თვითონ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის. რაც შეეხება უშუალოდ ამ ფაქტებისა და გარემოებების დამადასტურებელ საშუალებებს, ანუ მტკიცების საშუალებებს, მათ მიეკუთვნება: ა) მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტება; ბ) მოწმის ჩვენება; გ) წერილობითი მტკიცებულებები; დ) ნივთიერი მტკიცებულებები; ე) ექსპერტის დასკვნა).

პირველად სასამართლო მოისმენს მოსარჩელისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებას, კერძოდ, თუ როგორია მისი მოთხოვნა, რა გარემოებებს ემყარება ეს მოთხოვნა, რით ადასტურებს ამ გარემოებებს, კვლავაც უჭერს თუ არა მხარს ამ მოთხოვნებს და უარს ხომ არ ამბობს სარჩელზე, ხომ არ სურს საქმის მორიგებით დამთავრება და სხვა. შემდეგ სასამართლო მოისმენს მოპასუხისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებებს, კერძოდ, როგორია მისი შესაგებელი, ხომ არ ცნობს სარჩელს, ხომ არ სურს საქმის მორიგებით დამთავრება და სხვა.

მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის დროს მათ შეუძლიათ წამოაყენონ ახალი მოსაზრებები, ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა გაცხადებული საქმის მოსამზადებელ სტადიაზე ან მხარეთა ზეპირი შეჯიბრის დაწყებამდე. თუ სასამართლო გაითვალისწინებს ამ ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებს,

მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სთხოვოს სასამართლოს საქმის განხილვის გადადება, რათა მოემზადოს ამ ახალ გარემოებათა თუ მტკიცებულებათა გასაქარწყლებლად.

სასამართლოს ნებართვით თითოეულ მხარეს შეუძლია შეკითხვა მისცეს მოწინააღმდეგესა და მის წარმომადგენელს. მხარეთა შეჯიბრებას ხელმძღვანელობს სასამართლო. იგი ხსნის, წარმართავს და წყვეტს შეჯიბრს.

მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ სასამართლო შეუდგება წარმოდგენილ მტკიცებულებათა შემოწმება-გამოკვლევას (მოწმის დაკითხვა, ექსპერტის დაკითხვა, ახალი წარმოდგენილი წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევა და ა.შ.). საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების განხილვისა და შემოწმების შემდეგ სასამართლო ეკითხება მხარეებსა (მოსარჩელე და მოპასუხე) და მათ წარმომადგენლებს, ხომ არ სურთ რაიმე დაუმატონ საქმის მასალებს. თუ ასეთი სურვილი არ გამოითქვა, სასამართლო საქმის გამოკვლევას დამთავრებულად აცხადებს.

ამის შემდეგ იწყება მესამე ეტაპი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ მხარეთა პაექრობა (შეჯიბრება). პაექრობა შედგება მხარეებისა და მათი წარმომადგენლების სიტყვებისაგან.

პირველად გამოდიან მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი, შემდეგ მოპასუხე და მისი წარმომადგენელი. მესამე პირი, რომელმაც განაცხადა დაწყებულ პროცესში დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნა და მისი წარმომადგენელი გამოდიან მხარეების შემდეგ. მესამე პირი, რომელიც არ აცხადებს დავის საგანზე დამოუკიდებელ მოთხოვნას და მისი წარმომადგენელი გამოდიან იმ მოსარჩელის ან მოპასუხის შემდეგ, რომლის მხარეზედაც მესამე პირი მონაწილეობს საქმეში.

მას შემდეგ, რაც პაექრობის ყოველი მონაწილე წარმოთქვამს სიტყვას, მათ შეუძლიათ ხელმეორედ გამოვიდნენ ამ სიტყვასთან დაკავშირებით. უკანასკნელი რეპლიკის უფლება ყოველთვის ეკუთვნის მოპასუხესა და მის წარმომადგენელს. მხარეთა პაექრობის შემდეგ სასამართლო გადის გადაწყვეტილების მისაღებად, რის შესახებაც უცხადებს სხდომის დარბაზში დამსწრე პირებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, რაც გულისხმობს იმას, რომ საქმის აღძრა

სასამართლოში დამოკიდებულია თვით მხარეთა ნებაზე და პროცესი მიმდინარეობს მათი აქტიური მონაწილეობით, ანუ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოება, რომელზედაც ამყარებს თავის მოთხოვნას ან შესაგებელს. იმისათვის, რომ მხარეებმა მონაწილეობა მიიღონ სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში, საჭიროა, ისინი გაფრთხილებულ იქნენ პროცესის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ კანონით დადგენილი წესით (სსკ 70-78-ე მუხლები). მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ერთ-ერთი მხარე (ანდა შეიძლება ორივე) არ ცხადდება პროცესზე და ამით ჭიანურდება საქმის განხილვა სასამართლოში. ახალმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა გაითვალისწინა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი, რომლის მიზანიც არის არაკეთილსინდისიერი მხარის (ე.ი. საპატიო მიზეზების გარეშე გამოუცხადებელი მხარე) მიმართ მისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანა მის დაუსწრებლად.

საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ერთმანეთისაგან მიჯნავს სამ შემთხვევას: 1) დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო (მუხლი 229-ე); 2) დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო (მუხლი 230-ე); 3) სარჩელის განუხილველად დატოვება ორივე მხარის გამოუცხადებლობის გამო (მუხლი 231-ე). განვიხილოთ თითოეული ეს შემთხვევა ცალ-ცალკე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მაშასადამე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, დასაშვებია ორი პირობის ერთდროულად არსებობისას: 1) სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე და არავითარი ცნობა მისი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ არ არსებობს და 2) მოპასუხე მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას.

თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილებ-

ის გამოტანას, მაშინ სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, მაგრამ თუ მოპასუხე ამის წინააღმდეგია, მაშინ სასამართლო გადადებს საქმის განხილვას. მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იმისა, მოითხოვს თუ არა ამას მოპასუხე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება (ე.ი. მოსარჩელის მოთხოვნა) და სასამართლო დაუსწრებელ გადაწყვეტილებას გამოიტანს.

გამოუცხადებლად ითვლება მხარე მაშინაც, როცა იგი, მართალია, სასამართლო სხდომაზე დანიშნულ დროს გამოცხადდა, მაგრამ უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე.

გამორიცხული არ არის, რომ სასამართლოს სხდომაზე არც ერთი მხარე (ე.ი. არც მოსარჩელე და არც მოპასუხე) არ გამოცხადდეს. ივარაუდება, რომ ორივე მხარემ დაკარგა საქმის განხილვის ინტერესი. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა ყოვლად გაუმართლებელი იქნებოდა, რამეთუ ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა ყოველთვის ხდება ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ. ამიტომაც სავსებით სწორად მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლი, რომ სასამართლოს სხდომაზე ორივე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მთავარი პირობაა ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობა სასამართლოს მთავარ სხდომაზე და გამოცხადებული მხარის თხოვნა სასამართლოს მიმართ, რათა მან გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამავე დროს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლი ითვალისწინებს იმ პირობებს, როცა სასამართლოს ეკრძალება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა: 1) თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო კანონით დადგენილი (მუხლები 70-78-ე) წესით საქმის განხილვა მხარის მონაწილეობის გარეშე,

რომელსაც არ მიუღია შეტყობინება საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ, ყოველთვის წარმოადგენს მის დაუსწრებლად გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს .2) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა ისეთ მოვლენებს, რომელთაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის (მაგალითად, მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, რის შესახებაც ცნობილი გახდა ტელევიზიით, რადიოთი, პრესით ანდა მხარის შეტყობინებით, ასევე გამოუცხადებელი მხარის ავადმყოფობა და ა.შ.).

3) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ (მაგალითად, სსკ 201-ე მუხლი ავალდებულებს მოსამართლეს გადაუგზავნოს მოპასუხეს სარჩელი და წარმოდგენილი საბუთების ასლები, ხოლო მოსარჩელეს კი გადაუგზავნოს მოპასუხის წერილობითი პასუხი და ა.შ.).

4) თუ არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები (ეს წინაპირობები მითითებულია სსკ 186-ე მუხლში, რომელზეც ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. მაგალითად, თუ საქმე არ არის სასამართლოს ქვემდებარე, თუ მხარეთა შორის დადებულია ხელშეკრულება დავის კერძო არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ და ა.შ.).

დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს სსკ 249-ე მუხლის მოთხოვნებს სამოტივაციო ნაწილის ჩამოყალიბების გარეშე (უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე ვისაუბრებთ სასამართლო გადაწყვეტილების დახასიათებისას). მხარეს, რომელიც არ გამოცხადებულა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ეგზავნება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი მისი გამოტანიდან ხუთი დღის ვადაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 236-ე მუხლი ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს, კერძოდ, მხარეს, რომლის წინააღმდეგაც არის გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და რომელიც არ გამოცხადდა სასამართლოს სხდომაზე, შეუძლია გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში შეიტანოს საჩივარი ამ გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საქმის განახლების შესახებ. გასაჩივრების ვადა 10 დღეა, რომელიც იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს ჩაბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის.

საჩივარი გადაეცემა მოსამართლეს, რომელმაც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ საჩივრის მიღება დასაშვებია, იგი გამოიტანს განჩინებას საჩივრის მიღების თაობაზე, რომელშიც უნდა აღინიშნოს საქმის ხელახალი განხილვის დღე, რის შესახებაც მოსამართლე ატყობინებს მხარეებს კანონით დადგენილი (სსკ 70-78-ე მუხლები) წესით. თუკი მოსამართლე არ ჩათვლის დასაშვებად საჩივარის მიღებას (მაგალითად, გავიდა გასაჩივრების 10-დღიანი ვადა), მას გამოაქვს ამის შესახებ განჩინება, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

ამგვარად, საჩივრის მიღებისა და არმიღების საკითხს მოსამართლე წყვეტს ერთპიროვნულად, მაგრამ საკითხი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ უნდა გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე მხარეთა შეტყობინებით.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი (ეს საფუძვლები მოცემულია სსკ 233-ე მუხლში, მასზე ჩვენ ზევით ვისაუბრეთ, კერძოდ, როცა სასამართლოს ეკრძალება 4 შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა), მაშინ სასამართლო აუქმებს მას და გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება, მაგრამ თუ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, მაშინ სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჩივარის დაუკმაყოფილებლობისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

სასამართლოს როგორც ახალი გადაწყვეტილება, ასევე განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევასაც, როცა მხარე, რომელმაც შეიტანა საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ, არ გამოცხადდა დანიშნულ დროს სასამართლო სხდომაზე. ასეთ შემთხვევაში სასამართლო მის მიმართ გამოიტანს მეორე დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. ამის გამო მხარეს აღარ აქვს უფლება გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება იმავე სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში, ისიც მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ არ არსებობდა მეორე დაუსწრებელი გადა-

წყვეტილების გამოტანისათვის შესაბამისი სამართლებრივი წანამძღვრები.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, მიუხედავად იმისა, იგი პირველად იქნება გამოტანილი თუ განმეორებით, იწვევს კიდევ ერთ შედეგს, სახელდობრ, გამოუცხადებლობით გამოწვეული ხარჯები დაეკისრება გამოუცხადებელ მხარეს იმისაგან მიუხედავად, გასაჩივრების შემდეგ მან საქმე მთლიანად მოიგო, თუ ნაწილობრივ.

საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში მთავრდება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანით. სასამართლოს გადაწყვეტილება მართლმსაჯულების აქტია, რომელიც იცავს დარღვეულ ან სადავო უფლებას, ყველასათვის სავალდებულო განსაზღვრულობა შეაქვს სადავო ურთიერთობაში, უზრუნველყოფს მოპასუხე მხარის მიერ თავისი ვალდებულების შესრულებას.

მაშასადამე, სასამართლო გადაწყვეტილების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა – დარღვეული ან სადავო უფლების დაცვა. გადაწყვეტილება მოსამართლეს გამოაქვს წერილობითი ფორმით. თუ გადაწყვეტილება გამოაქვს კოლეგიალურ სასამართლოს, მას ჩამოაყალიბებს ამ სასამართლოს თავმჯდომარე ან ერთ-ერთი მოსამართლე და ხელს აწერს ყველა მოსამართლე, რომლებიც მონაწილეობდნენ მის დადგენაში. გადაწყვეტილების გამოტანა ხდება საქართველოს რესპუბლიკის სახელით. სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

სასამართლო გადაწყვეტილება შედგება ოთხი ნაწილისაგან: 1) შესავალი; 2) აღწერილობითი; 3) სამოტივაციო და 4) სარეზოლუციო ნაწილი.

სასამართლო გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში უნდა აღინიშნოს: გადაწყვეტილების გამოტანის დრო და ადგილი, გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს დასახელება, სასამართლოს შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, მხარეები და მათი წარმომადგენლები, დავის საგანი.

სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში აღინიშნება მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის შესაგებელი.

სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცე-

ბულებანი, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებები, რომლითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას, ასევე ის კანონები, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობს.

სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებებს სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე მითითებას გასაჩივრების ვადასა და წესზე.

სასამართლო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ საქმის განხილვის შემდეგ. გამონაკლის შემთხვევებში, განსაკუთრებით რთულ საქმეებზე და როდესაც ამას მხარე მოითხოვს, დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა შეიძლება გადაიდოს არა უმეტეს 5 დღისა, მაგრამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი სასამართლომ უნდა გამოაცხადოს იმავე სხდომაზე, რომელზედაც დამთავრდა საქმის განხილვა. გამოცხადებული სარეზოლუციო ნაწილი ხელმოწერილ უნდა იქნეს საქმის განხილვაში მონაწილე ყველა მოსამართლის მიერ და დაერთოს საქმეს. მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ გამოცხადებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის სასამართლოს მიერ დამოწმებული ასლი.

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც გამოიტანება სასამართლო პროცესზე ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის გამო. დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. დაუსწრებელ გადაწყვეტილებას არა აქვს სამოტივაციო ნაწილი, რაც იმ გარემოებით აიხსნება, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება — ესაა დაუსწრებლობის გამო გამოტანილი გადაწყვეტილება და არა საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ანუ სარჩელის თუ შესაგებლის ფაქტობრივი და იურიდიული დაუსაბუთებლობის გამო გამოტანილი გადაწყვეტილება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ერთ-ერთი თავისებურება აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ საჭიროა მითითებულ იქნეს მისი გამოტანის საფუძველი, ე.ი. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა მიეთითოს, თუ რა გარემოებებმა განაპირობა მისი მიღება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის დადგენას, თუ როდის შედის სასა-

მართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში, ანუ როდის შეიძლება რომ იგი იძულებით იქნეს აღსრულებული, თუკი ის მხარე, ვის წინააღმდეგაც არის გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება, ნებაყოფლობით არ აღასრულებს მას. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გამოცხადებისთანავე შედის კანონიერ ძალაში:

1) თუ დაუშვებელია სააპელაციო წესით გასაჩივრება (მაგალითად, სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 500 ლარს);

2) თუ გავიდა სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა (სსკ 369-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა 1 თვეა, ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან);

3) სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ, როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ გაუქმდება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის:

1) მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ (საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა 1 თვეა და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან).

2) საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) გასაჩივრებული იყო და იგი არ გაუქმებულა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა იწვევს მთელ რიგ სამართლებრივ შედეგებს, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

1) კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გადაწყვეტილების გასაჩივრება სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციაში დაუშვებელია;

2) გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ დაუშვებელია იმ საქმის ხელმეორედ განხილვა, რომელზეც გამოტანილია გადაწყვეტილება;

3) გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ არ შეიძლება სხვა საქმის განხილვის დროს სადავო გახდეს ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი;

4) კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის;

5) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს იძულებითი წესით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლი ითვალისწინებს გადაწყვეტილებათა დაუყოვნებლივ აღსრულების შესაძლებლობას. სახელდობრ, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები:

1) ალიმენტის მიკუთვნების შესახებ;

2) დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ;

3) მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ;

4) უკანონოდ დათხოვილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ;

5) დაუსწრებელი გადაწყვეტილებები;

6) თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებები (გამარტივებული წარმოება);

7) ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება.

სამოქალაქო საქმის წარმოება სასამართლოში, როგორც წესი, მთავრდება სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანით, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევასაც, როცა საქმის წარმოება შეიძლება დამთავრდეს გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე. ეს არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები საქმის წარმოების შეწყვეტისა და 275-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. ორივე შემთხვევაში საქმის წარმოება მთავრდება სასამართლო განჩინებით. ამასთან, ეს ორი ფორმა როგორც

საფუძვლებით, ისე თავისი შედეგებითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერძოდ, იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომელიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას (მაგალითად, სარჩელი შეიტანა ქმედუუნარო პირმა, ხოლო სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია დაუნიშნოს მას საპროცესო წარმომადგენელი; თუ სარჩელი (განცხადება) დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე; თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე (განმცხადებელი) არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე კი სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების მომხრეა; თუ არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა; თუკი იმავე სასამართლოში არის საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანსა და იმავე საფუძვლით), დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს საერთო წესით, ხოლო საქმის წარმოების შეწყვეტის დროს კი ხელმეორედ სასამართლოში იმავე სარჩელის შეტანა აღარ შეიძლება. საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლებია: 1) საქმე არ უნდა იქნეს განხილული სასამართლოში იმის გამო, რომ იგი არ ექვემდებარება უწყებრივად სასამართლო ორგანოებს; 2) არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანსა და იმავე საფუძვლებით, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის მიღების ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ; 3) მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე; 4) მხარეები მორიგდნენ; 5) საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა; 6) მხარეებს შორის დადებულია ხელშეკრულება, რომ ეს დავა გადასაწყვეტად გადაეცეს კერძო არბიტრაჟს.

სამოქალაქო სამართალწარმოების ერთ-ერთი სახეა გამარტივებული წარმოება. იგი დასაშვებია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როცა სამოქალაქო საქმის განხილვის რთული პროცედურა ზედმეტი ჩანს, რადგან თვითონ აღძრული პრეტენზიის დასაბუთებულობა და სამართლიანობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. გამარტივებულად საქმის განხილვას ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს: ჯერ ერთი, მცირდება საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები და, მეორე, პირი სწრაფად აღწევს უფლების აღდგენასა და დაცვას. გამარტივებული წარმოების წესით განიხილება ორი კატეგორის საქმე:

1) თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული საქმეები; 2) დავალიანების შესახებ საქმეები.

სამოქალაქო სამართალწარმოების დამოუკიდებელი სახეა უდავო (განსაკუთრებული) წარმოება, რომელიც განსხვავდება როგორც სასარჩელო, ისე გამარტივებული წარმოებისაგან.

უდავო (განსაკუთრებული) წარმოების წესით განსახილველ საქმეთა თავისებურებანი მდგომარეობს შემდეგში: 1) ამ კატეგორიის საქმეზე არაა დავა მხარეთა შორის უფლების შესახებ, ე.ი. უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებში დგინდება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები; 2) უდავო წარმოებაში არ არიან მოდავე მხარეები, მესამე პირები და თანამონაწილეები; 3) უდავო წარმოების საქმეთა აღძრა ხდება არა სარჩელით, არამედ განცხადებით; 4) იმ შემთხვევაში, თუ უდავო წარმოების დროს აღიძვრება დავა უფლების შესახებ დაინტერესებულ პირებს შორის, სასამართლომ განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს და განუმარტოს მხარეებს, რომ მათ შეუძლიათ წარადგინონ სარჩელი საერთო წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის თანახმად, უდავო წარმოების წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს: 1) იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ; 2) მოქალაქის უგზო-უკლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ; 3) მოქალაქის ქმედუუნაროდ და შეზღუდულქმედუუნაროდ აღიარების შესახებ; 4) დაკარგულ საწარმდგენლო და საორდერო ფასიან ქაღალდებზე უფლების აღდგენის შესახებ (გამოწვევითი წარმოება); 5) ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ; 6) საწარმოოსა და კავშირის რეგისტრაციის შესახებ; 7) შვილად აყვანის შესახებ.

თავი III. სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრება (აპელაცია, კასაცია)

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები და ზოგ შემთხვევაში განჩინება (მაგალითად, განჩინება საჩივრის დაუკმაყოფილებლობისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ), საოლქო სასამართლოს შესაბამისი კოლეგიების გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გარდა, სააპელაციო სასამართ-

ლოში შეიძლება გაასაჩივრონ მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

სააპელაციო სასამართლოები საქართველოში ცალკე არ არსებობენ. ისინი შექმნილია თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოებში შესაბამისი სააპელაციო პალატების სახით, როგორიცაა: სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატა; სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატა; ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატა.

სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აღემატება 500 ლარს. აპელაციის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ოდენობით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს (მესამე პირს). სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის ვადაში მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან, თუკი მისი გამოცხადების შემდეგ მხარეს არ გამოუთქვამს წერილობითი უარი გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე. სააპელაციო წესით შეიძლება ასევე გასაჩივრდეს განმეორებით გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო საჩივარი შედგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და მისი შინაარსი პასუხობდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მოთხოვნებს. იგი შეტანილ უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა სააპელაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილება. თუ შეტანილი სააპელაციო საჩივარი პასუხობს კანონის მოთხოვნებს, მაშინ პირველი ინსტანციის სასამართლო საქმეს მთლიანად და დაუყოვნებლივ გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს, აგრეთვე დამატებით შემოსულ ყველა მასალას.

სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს საჩივრის მიზანშეწონილობა. თუკი ასეთი შემოწმების შემდეგ გამოვლინდა, რომ სააპელაციო საჩივრის მიღების ესა თუ ის პირობა არ არსებობს, მაშინ სასამართლო გამოიტანს განჩინებას საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელიც შეიძლება საკასაციო წესით გასაჩივრდეს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომების აღმოფხვრის ყველაზე მიზანშეწონილ საშუალებად მიჩნეულ იქნა აპელაცია, ანუ საქმის ხელმეორედ განხილვა უფრო მაღალი ინსტანცი-

ის სასამართლოში. იგი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური მოსამართლეებით და საქმეს იხილავს კოლეგიალურად სამი მოსამართლის შემადგენლობით. საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში, ფორმის თვალსაზრისით, დიდად არ განსხვავდება პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარე პროცესისაგან.

მას შემდეგ, რაც სააპელაციო სასამართლო გამოიტანს განჩინებას სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ, იგი ამ საჩივარსა და დამატებით შემოსული მასალების ასლებს გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს. ამასთან, სააპელაციო სასამართლო ნიშნავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან წერილობით უნდა წარადგინოს თავისი პასუხი საჩივარზე. წერილობით პასუხში უნდა მიეთითოს ეთანხმება თუ არა იგი სააპელაციო საჩივარს და თუ არ ეთანხმება, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება იგი, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ არის საჭირო დამატებითი მოწმის გამოძახება და დაკითხვა და ა.შ.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები. ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს მტკიცებულებები, თუ მხარეს შეეძლო წარედგინა ისინი პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, ან თუ მათი მიღება და განხილვა ხელს შეუშლის სააპელაციო სასამართლოში საქმის დროულად განხილვას და მხარემ უხეში გაუფრთხილებლობის გამო არ წარუდგინა მასალები პირველი ინსტანციის სასამართლოს.

ახალი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესაძლებლობას. იგი დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. საქმის ზეპირი განხილვისას სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია მოწინააღმდეგე მხარის თანხმობით.

სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით.

სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს:

1) იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზეც არის შედგენილი საჩივარი;

2) იმ პირის დასახელებასა და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი;

3) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებასა და მითითებას ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოზე;

4) მითითებას იმის თაობაზე, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული;

5) მითითებას, თუ რაში მდგომარეობს გადაწყვეტილების შეუსაბამობა და კონკრეტულად რას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი;

6) მითითებას გარემოებებზე, რომელიც ასაბუთებს სააპელაციო საჩივარს და მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებს ამ გარემოებებს;

7) სააპელაციო საჩივარზე დართული წერილობითი მასალების ნუსხას.

სააპელაციო სასამართლო საქმის მომზადების შემდეგ გამოიტანს განჩინებას და დანიშნავს საქმის ზეპირი განხილვის დღეს. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს იმ წესების დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია პირველი ინსტანციის სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვა იწყება სასამართლოს ერთ-ერთი წევრის მოხსენებით, რომელიც წარმოადგენს საქმის გარემოებებს, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძვლებს, სააპელაციო საჩივრის შინაარსსა და დასაბუთებულობას, მოწინააღმდეგე მხარის ახსნა-განმარტებას საჩივრის მიმართ. ამის შემდეგ მხარეებს ეძლევათ სიტყვა თავიანთი მოთხოვნებისა და შუამდგომლობების წამოსაყენებლად და დასასაბუთებლად.

პირველად სიტყვით გამოდის საჩივრის შემტანი მხარე, შემდეგ კი — მოწინააღმდეგე მხარე. მხარეებმა ერთმანეთს სასამართლოს ნებართვით შეიძლება მისცენ შეკითხვები. ამის შემდეგ იწყება საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევა და მათი უტყუარობის შემოწმება.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩელის აღძრა დასაშვებია, თუ ამაზე თანახმა იქნება მოწინააღმდეგე მხარე ან სააპელაციო სასამართლო ამას მიზანშეწონილად ცნობს.

სააპელაციო სასამართლოში დავის განხილვის ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ იგი შეზღუდულია სააპელაციო საჩივრის ფარგლებით,

ამიტომ მას შეუძლია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

სააპელაციო სასამართლო აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და საქმეს აბრუნებს იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად: ა) თუ ადგილი აქვს სამოქალაქო საპროცესი კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს, სახელდობრ:

1) თუ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;

2) თუ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიულია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, ისეთი შემთხვევების გარდა, როცა ასეთი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;

3) თუ გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;

4) თუ დარღვეულია პროცესის საჯაროობის პრინციპი;

5) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული ან დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია (აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ სასამართლომ შეუფარდა კანონი, რომელიც არ უნდა შეეფარდებინა, ან არასწორად განმარტა კანონი, ან საერთოდ არაა მითითება კანონზე);

6) თუ გადაწყვეტილებას ხელს არ აწერს ის მოსამართლე, რომელიც მასში არის მითითებული;

7) თუ გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ადრე მონაწილეობდნენ ამ საქმის განხილვაში;

8) თუ საქმეში არ არის სასამართლო სხდომის ოქმი;

ბ) გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილებით არასწორად ეთქვა უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე შეტანილი საჩივრის დაშვებაზე;

გ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორად გამოტანილი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებაა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში სააპელაციო სასამართლოს

შეუძლია გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე დააბრუნოს ხელახლა განსახილველად, ანდა უფლება აქვს არ გადაგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი.

თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ გამოიტანს გადაწყვეტილებას. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას საქმეზე.

სააპელაციო სასამართლო გააუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და გამოიტანს თავის ახალ გადაწყვეტილებას:

1) თუ დაშვებულია შეცდომა გადაწყვეტილების ფაქტობრივ საფუძველში (მაგალითად, სასამართლომ დადგენილად ცნო ისეთი გარემოება, რომლის დასადასტურებლად რაიმე მტკიცებულება არ არსებობს საქმეში, ანდა უარი უთხრა მხარეს მოწმის გამოძახებასა და დაკითხვაზე, თუმცა ამ მოწმეს შეეძლო დაედასტურებინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ესა თუ ის გარემოება, ანდა უარი უთხრა მხარეს ექსპერტიზის დანიშვნაზე, თუმცა კი მხარის მიერ განცხადებულ იქნა წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულების სიყალბის შესახებ და ა.შ.);

2) თუ დაშვებულია შეცდომა გადაწყვეტილების იურიდიულ საფუძვლებში (მაგალითად, სასამართლომ გამოიყენა ის კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ან არასწორად განმარტა კანონის არსი და შინაარსი).

აღნიშნულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო არ აბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში და თვითონ ღებულობს ახალ გადაწყვეტილებას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს კანონის მოთხოვნებს (ანუ იგი შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილისაგან). გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს:

1) პირი, რომელმაც შემოიტანა სააპელაციო საჩივარი;

2) საჩივრის შემტანი პირის მოთხოვნა;

3) გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი;

4) საფუძვლები, რომელთა გამოც სააპელაციო სასამართლომ შეცვალა ან გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება;

5) სააპელაციო სასამართლოს დასკვნები და მიღებული გადაწყვეტილება.

ცხადია, რომ თუკი შეიძლება შეცდეს პირველი ინსტანციის სასამართლო, ასევე შესაძლებელია შეცდომაში შევიდეს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოც. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ კანონის აზრი და შინაარსი ყველა მოსამართლეს ერთნაიად არ ესმის, რაც იმის საშიშროებას ქმნის, რომ ერთნაირი საქმე სხვადასხვა სასამართლოში შეიძლება სხვადასხვანაირად გადაწყდეს. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კანონების ერთგვაროვნად გაგება, მიზანშეწონილად იქნა აღიარებული საკასაციო ინსტანციის სასამართლოს შექმნის აუცილებლობა.

საკასაციო სასამართლოს უმთავრესი ამოცანაა შეამოწმოს საქმის იურიდიული მხარე, ის, თუ რამდენად სწორადაა შეფარდებული სამართლის ნორმა, ან რამდენად სწორადაა გაგებული იმ ნორმის აზრი და შინაარსი, რომელიც სასამართლომ გამოიყენა. მაშასადამე, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს ძირითადი უფლებამოსილებაა შეცვალოს ან გააუქმოს გადაწყვეტილება (განჩინება), თუ დარღვეულია ან არასწორად არის გამოყენებული პროცესუალური ან მატერიალური კანონი (ნორმა).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს, აგრეთვე საოლქო სასამართლოს კოლეგიების გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და იგი იწყება ორივე მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. საკასაციო საჩივარი დასაშვებია ქონებრივ-სამართლებრივი დავისას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება აღემატება 1000 ლარს. საკასაციო საჩივარი უნდა ეფუძნებოდეს იმას, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა მიღებული.

სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ:

1) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა;

2) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა;

3) არასწორად განმარტა კანონი.

საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ

ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

სასამართლო გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ:

1) საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;

2) საქმე განიხილა სასამართლომ ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული იმ შემთხვევების გარდა, როცა ასეთი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;

3) გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;

4) გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;

5) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული ან დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;

6) გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც მასში არიან აღნიშნული;

7) გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;

8) საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სააპელაციო და საოლქო სასამართლოს კოლეგიის გადაწყვეტილებები. საკასაციო საჩივარი შეიტანება წერილობითი ფორმით საოლქო სასამართლოს შესაბამის პალატაში (სააპელაციო სასამართლოში) ან კოლეგიაში, რომელიც საკასაციო საჩივარსა და მთლიანად საქმეს დაუყოვნებლივ გადაუგზავნის საკასაციო სასამართლოს.

საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს:

1) იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც შედგენილია საჩივარი;

2) იმ პირის დასახელებასა და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი;

3) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებასა და

მითითებას ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოზე;

4) მითითებას იმის თაობაზე, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული;

5) მითითებას, თუ რა მოცულობით საჩივრდება გადაწყვეტილება, გასაჩივრების საფუძვლებსა (კასაციის მიზეზები) და განმარტებას იმის თაობაზე, მოითხოვს თუ არა მომჩივანი გადაწყვეტილების გაუქმებასა თუ შეცვლას;

6) მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომელიც ადასტურებს საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება;

7) საკასაციო საჩივარზე დართული წერილობითი მასალების ნუსხას;

8) საკასაციო საჩივარის შემტანი პირის ხელმოწერას.

თუკი საკასაციო საჩივარი არ პასუხობს ჩამოთვლილ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მათ დროს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი არ მიიღება.

საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების თავისებურებები განპირობებულია ამ სასამართლოს დანიშნულებითა და უფლებამოსილებით: იგი მოწოდებულია შეამოწმოს მხოლოდ გადაწყვეტილების იურიდიული მხარე, კერძოდ ის, თუ რამდენად სწორადაა გამოყენებული კანონი. ამიტომ პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებისაგან განსხვავებით, აქ საჭირო არ არის მტკიცებულებათა შეგროვება, რომლებიც საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოებებს დაადასტურებს.

მას შემდეგ, რაც საკასაციო სასამართლო გამოიტანს განჩინებას საჩივარის მიღებისა და საქმის მომზადების შესახებ, იგი ამ საჩივარსა და თანდართული მასალების ასლებს გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს და დაუნიშნავს მას ვადას წერილობითი პასუხის წარმოდგენისათვის.

საკასაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვა იწყება სასამართლოს ერთ-ერთი წევრის მოხსენებით. მომხსენებელი აცნობს დამსწრეთ საქმის ვითარებას, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძვლებს, საკასაციო საჩივრის შინაარსს, მოწინააღმეგე მხარის ახსნა-განმარტებას საჩივრის მიმართ. ამის შემდეგ მხარეებს ეძლევათ სიტყვა თავიანთი განცხადებების გასაკეთებლად და დასასაბუთებლად.

საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ თუ საკასაციო სასამართლოს საქმის განხილვა არ მიაჩნია საჭიროდ, მას შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს ზეპირი განხილვის გარეშე, რის შესახებაც უნდა ეცნობოს მხარეებს.

სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე შეგებებული სარჩელის აღძვრა და ხარჯების განსაზღვრა საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ, ამიტომაც საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაც უნდა პასუხობდეს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მხარეები აყენებენ.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს ყველა იმ რეკვიზიტს, რომელიც ჩამოყალიბებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლში (სახელდობრ, შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილები). გარდა ამისა, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულ უნდა იქნეს:

1) პირი, რომელმაც შემოიტანა საკასაციო საჩივარი;

2) საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;

3) გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი;

4) საფუძვლები, რომელთა გამოც საკასაციო სასამართლომ შეცვალა ან გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება;

5) საკასაციო სასამართლოს დასკვნები და მიღებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუკი:

1) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი;

2) სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ მისი გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. სხვა შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას, იგი მხოლოდ გააუქმებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და დააბრუნებს

საქმეს ხელახლა განსახილველად ამავე სასამართლოში. მაგალითად, სააპელაციო სასამართლომ არ დანიშნა ექსპერტიზა წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულების სიყალბის შესამოწმებლად, არ დაკითხა მოწმედ ის პირი, რომლის ჩვენებასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ საქმის ირგვლივ არსებულ გარემოებათა დასადგენად.

იმ შემთხვევაში, როდესაც საკასაციო სასამართლოს თვითონ ვერ გამოაქვს დასკვნა, იგი აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, საქმეს აბრუნებს ხელახლა განსახილველად იმის მითითებით, თუ რომელი ფაქტები საჭიროებს გამოკვლევას, რა მტკიცებულებებია შესაკრები და სხვა რა საპროცესო მოქმედება უნდა შეასრულოს სააპელაციო სასამართლომ.

მაშასადამე, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონეა იმ საკითხის გადაწყვეტა თუ რა შემთხვევაში უნდა გამოიტანოს საკასაციო სასამართლომ თვითონ გადაწყვეტილება და რა შემთხვევაში აუქმებს იგი მას (მთლიანად ან ნაწილობრივ) და აბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საკასაციო სასამართლომ თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, თუ ეს გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა მიღებული და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა (მაგალითად, ექსპერტიზის ჩატარება, ნივთიერ მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერება და ა.შ.). სხვა შემთხვევაში (ე.ი. როცა სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა) საკასაციო სასამართლო ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას. იგი გააუქმებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და საქმეს დააბრუნებს ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობას. ასეთი დასაშვებია მხოლოდ ორ შემთხვევაში: 1) თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი; 2) ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლოში შესულია განცხადებები

როგორც ერთი და იმავე, ასევე ორივე მხარის მიერ ერთდროულად გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, სასამართლომ უნდა შეაჩეროს ეს უკანასკნელი, ვიდრე არ იქნება განხილული განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის შესახებ.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება) დაინტერესებული მხარის (ე.ი. იმ პირის, ვისთვისაც გადაწყვეტილების ბათილად ცნობა რაიმე სამართლებრივ შედეგს იწვევს) განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუკი:

1) გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ამ საქმის განხილვაში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას სააპელაციო, ანდა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ აგრეთვე ის პირები, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან. მოსამართლის აცილების სხვა საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლში);

2) ერთ-ერთი მხარე, ან თუ მას კანონიერი წარმომადგენელი სჭირდება, ასეთი წარმომადგენელი არ იყო მოწვეული საქმის განხილვაში.

განცხადება აღნიშნული საფუძვლებით გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ დაუშვებელია, თუ მხარეს შეეძლო ამ საფუძვლების წამოყენება საქმის განხილვისას, შესაბამისად პირველი ინსტანციის, სააპელაციო თუ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ:

1) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია;

2) დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის ყალბი დასკვნა, არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება;

3) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და წარმომადგენელთა ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება;

4) სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა;

5) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ;

6) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე სასამართლოში საქმის განხილვის დროს რომ წარმოდგენილიყო, მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას გამოიწვევდა.

განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში, განცხადება შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ.

განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ უნდა შეიცავდეს:

1) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებას;

2) მითითებას იმ საფუძველზე, რომელთა გამოც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა ან საქმის განახლება;

3) მითითებას იმ გარემოებებზე, რომელიც მოწმობს, რომ დაცულია განცხადების შეტანის ვადა ამ გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებზე;

4) მითითებას განსჯადობის წესების დაცვის თაობაზე;

5) მითითებას იმის შესახებ, თუ რა ზომითა და რა ფარგლებში

მოითხოვს განმცხადებელი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას ან მის შეცვლას.

თუ განცხადება არ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს განმცხადებელს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს დროს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსო, განცხადება აღარ მიიღება.

გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ განცხადების განხილვაში დაუშვებელია იმ მოსამართლის მონაწილეობა, რომელსაც კანონის მიხედვით არ უნდა მიეღო მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში, ან რომლის დანაშაულებრივი ქმედობის გამო აღიძრა საქმე განახლების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს. თუ განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ დასაშვებია, მაშინ სასამართლომ უნდა განსაზღვროს დრო საქმის ზეპირი განხილვისათვის. თუ საქმის ზეპირი განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლო თავის განჩინებით უარს იტყვის მის დაკმაყოფილებაზე. თუ გამოირკვა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანია, მაშინ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სასამართლო გააუქმებს თავისი განჩინებით.

გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმე, რომელზედაც ეს გადაწყვეტილება იყო გამოტანილი, თავიდან უნდა იქნეს განხილული სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად

კარი მეექვსე

საკორპორაციო სამართალი

თავი I. ზოგადი დებულებანი

საკორპორაციო სამართალი კერძო სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი კონსტიტუციით გათვალისწინებული გაერთიანების თავისუფლების პრაქტიკული განხორციელების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. სხვანაირად რომ ვთქვათ, საკორპორაციო სამართალი პირთა გაერთიანებების სამართალია; უცხოური სიტყვა კორპორაცია ხომ გაერთიანებას ნიშნავს.

კერძო სამართალი პირებს გაერთიანებების შექმნის სხვადასხვა შესაძლებლობებს სთავაზობს. ერთ შემთხვევაში მათ შეუძლიათ შექმნან იურიდიული პირები,ხოლო სხვა შემთხვევაში ისინი ერთიანდებიან იურიდიული პირის შექმნის გარეშე. აქედან გამომდინარე, **კორპორაციები (გაერთიანებები) შეიძლება დაიყოს იურიდიულ პირებად და გაერთიანებებად, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.** პირველს განეკუთვნებიან: კავშირები, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებები (სპს), კომანდიტური საზოგადოებები (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები (შპს), სააქციო საზოგადოებები (სს) და კოოპერატივები; არაიურიდიული კორპორაციებია ამხანაგობები და არარეგისტრირებული კავშირები.

საქმიანობის საგნის მიხედვით, კორპორაციები შეიძლება დაიყოს სამეწარმეო (კომერციულ) და არასამეწარმეო (არაკომერციულ) კორპორაციებად. სამეწარმეო კორპორაციების სტატუსი მოწესრიგებულია კანონით მეწარმეთა შესახებ, ხოლო არასამეწარმეო კორპორაციები განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსით.

კორპორაციის ერთ-ერთი ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო მიზნებისათვის. ამის მაგალითია ამხანაგობა.

მაშასადამე, საკორპორაციო სამართალი პირთა გაერთიანებების სამართალია და აწესრიგებს როგორც იურიდიული პირი გაერთიანებების სამართლებრივ მდგომარეობას, ისე არაიურიდიული პირი გაერთიანებების სტატუსს.

თავი II. გაერთიანებები (კორპორაციები), რომლებიც წარმოადგენენ იურიდიულ პირებს

§1. არაკომერციული იურიდიული პირები

არაკომერციულ იურიდიულ პირებს ქართული კერძო სამართლის მიხედვით წარმოადგენენ კავშირები (ასოციაციები). მათი სტატუსი მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსით.

ა) კავშირის ცნება

კავშირი არის იურიდიული პირი, რომელშიც საერთო მიზანს ისახავს რამდენიმე პირი და მისი არსებობა დამოუკიდებელია მასში წევრთა შემადგენლობის ცვლილებისაგან (სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

კავშირი კრებითი სახელწოდებაა იმ არაკომერციული გაერთიანებებისათვის, რომლებიც ჩვენი რეალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებობენ. ესენია: კლუბები, ცენტრები, ინსტიტუტები, აკადემიები, გაერთიანებები, ასოციაციები და ა.შ. ყველა თავსდება კავშირის ფორმაში. თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ „ცენტრი“ ან „ინსტიტუტი“კომერციული იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმითაც არსებობდეს. მათ შორის განსხვავება ზუსტად აღსაქმელი რომ იყოს, კანონი იმპერატიულად მოითხოვს სახელწოდებისათვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დართვას. მაგალითად, საკალათბურთო კლუბი, „თბილისის დინამო“ რეგისტრირებული კავშირი, ჭადრაკის კლუბი რეგისტრირებული კავშირი და ა.შ.

საქართველოში ხშირია შემთხვევები, როცა არაკომერციული იურიდიული პირის სახელწოდებაში ჩართავენ ტერმინს „ასოციაცია“. ასოციაცია არ არის რაიმე სპეციალური ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იგი კავშირის სინონიმია.

მართალია, კავშირი წევრობაზეა დაფუძნებული და ამიტომაც იგი კორპორაციულად ორგანიზებულ იურიდიულ პირებს განეკუთვნება, მაგრამ მისი არსებობა დამოუკიდებელია მასში წევრთა ცვლილებაზე. მაგალითად, მწერალთა კავშირიდან რომელიმე წევრის გასვლამ არ უნდა გამოიწვიოს მისი დაშლა.

პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი იმის შესახებ, თუ რა

განასხვავებს კავშირს კომერციული იურიდიული პირებისაგან, როგორიცაა მაგალითად, შპს, სს და ა.შ. ზოგ განსხვავებაზე სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ მიუთითებს:

ა. კავშირის საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება წევრებს შორის დაუშვებელია. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი მნიშვნელოვან კომერციულ გარიგებებს დებს და დიდ შემოსავალსაც იღებს. მაგრამ კლუბის წევრებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ რაიმე წილი კლუბის მოგებიდან. კომერციული იურიდიული პირები კი სწორედ იმიტომ იქმნება, რომ მათმა წევრებმა (პარტნიორებმა) მოგება მიიღონ. ასე რომ, კომერციული იურიდიული პირების მოგების განაწილება მათ წევრებს შორის სრულიად ბუნებრივია;

ბ. კომერციული იურიდიული პირების ქონება დაყოფილია წილებად (აქციებად), რომელთაც დამოუკიდებელი ქონებრივი ღირებულება აქვთ. წილთა მესაკუთრეებს შეუძლიათ მათი თავისუფალი განსხვისება. კავშირის ქონება წილებად არ არის დაყოფილი და არც მათი განსხვისებაა შესაძლებელი. კავშირის წევრი თავის წევრობას სხვა პირს ვერ მიჰყიდის;

გ. კომერციული იურიდიული პირებიდან წევრთა (პარტნიორთა) გასვლა ყოველთვის დაკავშირებულია ქონებრივ შედეგებთან (წილის კომპენსაცია, მოგების ნაწილის მიღება და ა.შ.). კავშირიდან წევრის გასვლას ასეთი ქონებრივი შედეგები არ მოსდევს. გამონაკლისი შეიძლება გათვალისწინებული იყოს საწევრო შესატანების მიმართ;

დ. უმრავლეს კომერციულ იურიდიულ პირებში გათვალისწინებულია მინიმალური საწესდებო კაპიტალის შეტანის მოვალეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაუშვებელია იურიდიული პირის დაფუძნება. ეს ეხება შპს-ს, სს-ს, კოოპერატივს. მსგავსი რამ კავშირებისათვის უცხოა.

კავშირის დახასიათებისას საინტერესოა საკითხი — შეუძლიათ თუ არა მათ, როგორც არასამეწარმეო იურიდიულ პირებს, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. 30-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება კავშირებს სამეწარმეო საქმიანობის უფლებამოსილებას ანიჭებს, თუკი ეს საქმიანობა ემსახურება კავშირის მიზნებს. მაგალითად, იურისტთა კავშირმა შეიძლება დააფუძნოს კომერციული ორგანიზაცია და მისი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით დააფინანსოს კავშირის მიზნები; მაგრამ რისი უფლებაც არაკომერციულ იურიდიულ პირებს არა აქვთ, ესაა მოგების განაწილება კავშირის წევრებს შორის.

ბ) კავშირის დაფუძნება

კავშირი, ისევე როგორც ნებისმიერი კერძოსამართლებრივი ორგანიზაცია, იქმნება პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე. ამ დროს კავშირის დაფუძნების მსურველი პირები განსაზღვრავენ საერთო მიზანს, მისი მიღწევის საშუალებებს, ირჩევენ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, ადგენენ აუცილებელ დოკუმენტებს და ა.შ.

უპირველესი პირობა კავშირის დასაფუძნებლად არის იმ თანამოაზრეთა შეკრება, რომელთაც სურთ საერთო მიზნის მისაღწევად გაერთიანდნენ და შექმნან კავშირი. ეს პირები კავშირის პირველი წევრები იქნებიან. სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, კავშირის დასაფუძნებლად აუცილებელია ასეთი ხუთი წევრის არსებობა მაინც.

სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს სპეციალური დამფუძნებელი ხელშეკრულების შედგენის აუცილებლობას. თუმცა დამფუძნებლებს თვითონ შეუძლიათ ასეთი ხელშეკრულება შეადგინონ. კოდექსი სავალდებულო დოკუმენტად მიიჩნევს წესდებას, რომლის რეკვიზიტებსაც 32-ე მუხლი დაწვრილებით განსაზღვრავს.

გ) წესდების სამართლებრივი ბუნება

წესდება ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტია, რომელსაც სამოქალაქო კოდექსი კავშირის დასაფუძნებლად აუცილებლად მიიჩნევს. იგი კავშირის ორგანიზაციასა და სტრუქტურას აწესრიგებს. ამიტომ უნდა აღვნიშნოთ, რომ წესდება შიდაორგანიზაციული აქტია, რომლის მინიმალურ რეკვიზიტებსაც კოდექსი განსაზღვრავს. ეს მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ კრედიტორებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე, საქმიანობის საგანზე, ხელმძღვანელ ორგანოებზე, გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურაზე, წევრობაზე და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილი მოსალოდნელი იქნებოდა ქაოსი სამართლებრივ ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლში დეტალურად არის განსაზღვრული წესდების რეკვიზიტები. თუ წესდება ამ მონაცემებს არ შეიცავს, მაშინ იგი ბათილად მიიჩნევა და კავშირი რეგისტრაციაში არ უნდა გატარდეს.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ წესდების სავალდებულო და ფაკულტატური რეკვიზიტები. პირველი აუცილებელია ყველა წეს-

დებისათვის, მეორე კი დამოკიდებულია დამფუძნებელთა ნებაზე: სურთ თუ არა მათ ამ დებულებათა შეტანა.

კავშირის დაფუძნებისას წესდების სავალდებულო რეკვიზიტებს განეკუთვნება: ა. საქმიანობის მიზნები; ბ. სახელწოდება; გ. ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი); დ. ქონების ლიკვიდაციისა და განაწილების წესი; ე. კავშირის დამფუძნებლების, გამგეობის ყველა წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი, გამგეობის სხდომების დანიშვნისა და მათზე გადაწყვეტილებების მიღების წესები; ვ. კავშირის წევრთა უფლებამოსილება.

წესდების ფაკულტატური რეკვიზიტებია: ა. მმართველობისა და კონტროლის სხვა ორგანოების ფუნქციები; ბ. კავშირის წევრთა კრების უფლებამოსილება.

წესდებაზე აუცილებელია ყველა დამფუძნებლის ხელმოწერა. წესდება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

დ) კავშირის რეგისტრაცია

კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის რეგისტრაციას გადამწყვეტი იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა აქვს. კავშირი, როგორც იურიდიული პირი, წარმოიშობა მხოლოდ რეგისტრაციის შედეგად.

კავშირი რეგისტრაციაში ტარდება სასამართლოში მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება არსებობს მაშინ, როცა წესდება შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და რეგისტრაციისათვის წარდგენილი იურიდიული პირის მიზნები არ ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს (31-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება). როგორც ჩანს, წესდების, როგორც დამფუძნებელთა ნების გამოვლენის, ნამდვილობისათვის კანონი ისეთივე მოთხოვნებს ითვალისწინებს, რასაც გარიგების ნამდვილობისათვის. შეესაბამება თუ არა წესდება ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მოწმდება ჯერ ნოტარიუსის მიერ, ხოლო შემდეგ — სასამართლოს მიერ რეგისტრაციისას.

რეგისტრაციისათვის სასამართლოს უნდა წარედგინოს განცხადება რეგისტრაციის შესახებ და წესდება. ორივე ამ დოკუმენტს ხელს უნდა აწერდნენ დამფუძნებლები და გამგეობის წევრები.

ინფორმაცია კავშირის რეგისტრაციის შესახებ ქვეყნდება პრესაში. ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა. გარდა ამისა, ყოველ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს რეესტრის ჩანაწერებს და მოითხოვოს წერილობითი ამონაწერები.

მიუხედავად იმისა, რომ კავშირები კერძო სამართლის იურიდიულ პირებს წარმოადგენენ, კანონი მათზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას ითვალისწინებს. კონტროლის ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენს რეგისტრაციის გაუქმება. სამოქალაქო კოდექსი რეგისტრაციის გაუქმების რამდენიმე საფუძველს იცნობს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია კავშირის მიერ საქმიანობის ხასიათის შეცვლა. კერძოდ, რეგისტრაცია უქმდება, თუ ეს ორგანიზაციები არსებითად სამეწარმეო საქმიანობაზე გადავიდნენ. ამ საფუძვლით რეგისტრაციის გაუქმებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კავშირს პრინციპულად აქვს კომერციული საქმიანობის განხორციელების უფლება. ასეთი საქმიანობით მიღებული შემოსავალი მათ მიზნებს უნდა ხმარდებოდეს. ბუნებრივად დაიბადება კითხვა: როგორ უნდა განისაზღვროს, არსებითად სამეწარმეო საქმიანობაზე გადავიდა თუ არა კავშირი ამ შემთხვევაში ორი ძირითადი კრიტერიუმია განმსაზღვრელი: ა. გამოიყენება თუ არა სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი კავშირის მიზნებისათვის და ბ. ხომ არ ინაწილებენ ამ საქმიანობით მიღებულ შემოსავალს მოგების სახით კავშირის წევრები. თუ ეს ორი პირობა დაირღვა, მაშინ რეგისტრაცია უნდა გაუქმდეს.

რეგისტრაციის გაუქმების სხვა ზოგადი საფუძვლები გამომდინარეობს 31-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან: თუ კავშირის მიზნები ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს.

ე) ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ ორგანოთა კომპეტენციას, რომლებიც უფლებამოსილნი არიან წარმოადგინონ კავშირი მესამე პირებთან ურთიერთობაში. ამგვარი გადაწყვეტის ძირითადი მიზანი არის კრედიტორებისა და მესამე პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა. თუ ჩვენ კავშირის მესვეურებს იმის უფლებას მივცემდით თვითონ განესაზღვრათ ორგანოთა სახეები, ეს დიდ ქაოსსა და არეულობას გამოი-

წვევდა. ამ შემთხვევეში ძნელი იქნებოდა იმის გარკვევა, თუ ვინ არის რეალურად უფლებამოსილი გასწიოს ხელმძღვანელობა კავშირის შიგნით ან წარმოადგინოს იგი გარეშე პირებთან ურთიერთობაში.

ორგანო, რომელიც აღჭურვილია ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებით, გამგეობაა. გამგეობა შედგება წევრებისაგან. ისინი უფლებამოსილნი არიან უხელმძღვანელონ კავშირს. იმავდროულად ეს მათ მოვალეობასაც შეადგენს. ამ ხელმძღვანელობის ფარგლებს ორგანიზაციის შიგნით განსაზღვრავს წესდება (36-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

გამგეობა შეიძლება შედგებოდეს როგორც ერთი, ისე რამდენიმე წევრისაგან. თუ გამგეობა რამდენიმე წევრისაგან შედგება, მაშინ დადგება მათ შორის კომპეტენციის გამიჯვნის საკითხი. წესდებას შეუძლია გამგეობის წევრებს მიანიჭოს ერთპიროვნულად ხელმძღვანელობის უფლებამოსილება ანდა დააწესოს ორი ან რამდენიმე პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა. როცა წესდება ორი ან რამდენიმე პირის ერთობლივ ხელმძღვანელობას ითვალისწინებს, მაშინ დადგება საკითხი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს პრაქტიკულად — როგორ უნდა იქნეს გადაწყვეტილებები მიღებული, რა წესით უნდა წარმოადგინონ გამგეობის წევრებმა კავშირი? ყველა ეს საკითხი პრაქტიკული მნიშვნელობისაა. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: გამგეობა შედგება ათი წევრისაგან. კავშირმა უნდა იქირავოს შენობა ოფისისათვის, ე. ი. უნდა დადოს ქირავნობის ხელშეკრულება. წესდებით გამგეობის წევრები ერთობლივი ხელმძღვანელობისათვის არიან უფლებამოსილნი. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ქირავნობის ხელშეკრულებას კავშირის სახელით ყველა ათივე წევრმა უნდა მოაწეროს ხელი? ანდა ფართის გამქირავებელი ვალდებულია, რომ გამგეობის ყველა წევრთან აწარმოოს მოლაპარაკება? ეს დიდ სირთულეებს შექმნიდა. ამიტომ, როცა ხელმძღვანელობის ერთობლივ უფლებამოსილებაზეა საუბარი, იგულისხმება გადაწყვეტილებების მიღების ფორმა თვით გამგეობის შიგნით. გარე ურთიერთობებში კი გამგეობის ერთ-ერთი წევრის მიერ გამოვლენილი ნება ნამდვილად უნდა მივიჩნიოთ.

შიდახელმძღვნელობითი საქმიანობის გარდა, გამგეობის წევრები უფლებამოსილნი არიან სპეციალური მინდობილობის გარეშე წარმოადგინონ კავშირი მესამე პირებთან ურთიერთობაში. მათი წარმო-

მადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვას ძალა აქვს მხოლოდ მაშინ, თუ ამის შესახებ რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

გამგეობის წევრების გარდა, კავშირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს ასევე „სპეციალურ წარმომადგენელს“ (36-ე მუხლის პირველი ნაწილი). სპეციალური წარმომადგენელი არ არის გამგეობის წევრი, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში მას უფლება აქვს უხელმძღვანელოს კავშირის ან ფონდის საქმიანობის ამა თუ იმ სფეროს და გამოვიდეს მესამე პირებთან ურთიერთობაში. ამ სფეროებს შეიძლება განეკუთვნოს: კავშირის გაზეთის (ჟურნალის) გამოცემა, პრესასთან ურთიერთობა, სპორტული ან სხვა განყოფილების ხელმძღვანელობა და ა.შ. რადგანაც ზემოდასახელებულ სფეროებში სპეციალურ წარმომადგენელს გარიგებების დადება უხდება, იგულისხმება, რომ იგი ამ გარიგებათა დასადებად სათანადო უფლებამოსილებით არის აღჭურვილი.

მართალია, გამგეობის წევრების უფლებამოსილება საკმაოდ ფართოა როგორც ხელმძღვანელობის, ისე წარმომადგენლობის სფეროში, მაგრამ პასუხისმგებლობაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. თუ მათი ბრალეული მოქმედების გამო კავშირს ზიანი მიადგა, ისინი თავიანთი პირადი ქონებით აგებენ პასუხს. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაუშვებელია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ე) კავშირის ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესი

სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს კავშირის სავალდებულო და ფაკულტატურ ორგანოებს. პირველს განეკუთვნება **საერთო კრება** და გამგეობა, ხოლო მეორეს — კომისიები (42-ე მუხლი) ან სხვ საკონსულტაციო ორგანოები (43-ე მუხლი).

საერთო კრება. იმის გამო, რომ კავშირი წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირია, ეს წევრები განსაზღვრავენ კავშირის საქმიანობის ყველა ძირითად საკითხს. ამიტომაც კავშირის წევრთა საერთო კრება წარმოადგენს მართვის უმაღლეს ორგანოს. კავშირის წევრები მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სწორედ ამ კრების მეშვეობით იღებენ. აქედან გამომდინარე, კანონი ზუსტად განსაზღვრავს კრების მოწვევის პროცედურას და მასზე გადაწყვეტილებების მიღების წესს.

კავშირის წევრთა საერთო კრებას იწვევს გამგეობა. კრების მოწვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს წერილობითი ან ბეჭდვით

ორგანოში ინფორმაციის გამოქვეყნებით. როგორც წესი, კავშირი მრავალი წევრისგან შედგება. ყველა წევრისათვის წერილობით შეტყობინების გაგზავნა პრაქტიკულად რთულია. ამიტომ კანონი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ კრება მოწვეულ იქნეს ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებით. თუ კონკრეტულად რომელ ორგანოში უნდა გამოქვეყნდეს განცხადება კრების მოწვევის შესახებ, ამას კავშირის წესდება განსაზღვრავს. განცხადება კრების მოწვევის შესახებ უნდა გაკეთდეს კრების ჩატარებამდე ორი კვირით ადრე მაინც (41-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

საერთო კრების მოწვევის პერიოდულობა კავშირის წესდებაზეა დამოკიდებული, მაგრამ მინიმალურ ნორმებს კანონი აქაც განსაზღვრავს – კრება წელიწადში ერთხელ მაინც უნდა იქნეს მოწვეული. კრების ჩატარების პერიოდულობა დამოკიდებულია კავშირის ინტერესებზე. საერთო კრების მოწვევა შეუძლია ასევე წევრთა ერთ მეათედს (41-ე მუხლის პირველი ნაწილი).

მიუხედავად იმისა, თუ ვინ იწვევს კრებას – გამგეობა თუ კავშირის წევრები – მის მოწვევასთან ერთად უნდა გამოცხადდეს დღის წესრიგიც. ეს კანონის იმპერატული მოთხოვნაა და მას მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგი უკავშირდება. კერძოდ, ისეთ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც დღის წესრიგში წინასწარ არ იყო შეტანილი, ბათილია (41-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ამ ნორმის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ კავშირის წევრებს მიეცეთ შესაძლებლობა წინასწარ გაეცნონ განსახილველ საკითხს და ნაჩქარევი გადაწყვეტილებებით არ შელახონ როგორც კავშირის წევრთა, ისე მთლიანად კავშირის ინტერესები.

მართალია, საერთო კრება კავშირის მართვის უმაღლესი ორგანოა, მაგრამ მისი კომპეტენცია არ არის შეუზღუდავი. საერთო კრების კომპეტენციას განსაზღვრავს კავშირის წესდება, თუმცა კანონი მინიმალურ მოთხოვნებს აქაც აწესებს: გამგეობის კომპეტენციაში შემავალი საკითხები არ შეიძლება გადაწყვიტოს საერთო კრებამ (41-ე მუხლის მე-3 ნაწილი). თუ რა შედის გამგეობის კომპეტენციაში, ერთ შემთხვევაში განსაზღვრავს კანონი (მაგალითად, კავშირის წარმოდგენა მესამე პირებთან ურთიერთობაში), ხოლო მეორე შემთხვევაში – თვითონ წესდება. კანონით განსაზღვრული კომპეტენციის შეცვლა

წესდებით დაუშვებელია, ე. ი. წესდება ვერ დააკისრებს საერთო კრებას, რომ ამ უკანასკნელმა წარმოადგინოს კავშირი მესამე პირებთან ურთიერთობაში. ეს გამგეობის პრეროგატივაა.

სამართლებრივად მნიშვნელოვანია კავშირის წევრთა საერთო კრებაზე გადაწყვეტილებათა მიღების წესი და პროცედურა. 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. იმავდროულად, კანონი განსაზღვრავს საკითხთა წრეს, რომელთა გადასაწყვეტად ხმათა უბრალო უმრავლესობა საკმარისი არ არის. წესდების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია ხმათა ორი მესამედი, ე. ი. 75%-ზე მეტი, ხოლო კავშირის მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებას სჭირდება ყველა წევრის ხმათა ოთხი მეხუთედი. ე. ი. 80%-ზე მეტი. კრებაზე გადაწყვეტილების მიღებისას იგულისხმება კავშირის წევრების მონაწილეობა კრების მუშაობაში. მაგრამ კანონი იმის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს, რომ კავშირის წევრებმა კრებაზე დაუსწრებლად მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში, ამისათვის კი საჭიროა წერილობითი შეტყობინება.

გამგეობა. გამგეობას ირჩევს წევრთა საერთო კრება ოთხი წლის ვადით. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა ვადით არჩევასაც. გამგეობს წევრები შეიძლება იყვნენ როგორც კავშირის წევრები, ისე გარეშე პირებიც.

იმ ზოგადი წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი კომპეტენციის გარდა, რომელსაც სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს, წესდება დაწვრილებით უნდა აწესრიგებდეს გამგეობის კომპეტენციას, ჩამოთვლიდეს იმ შეზღუდვებს, რომელიც სავალდებულო იქნება გამგეობისათვის. მაგალითად, თუ საკითხი ეხება კავშირის უძრავი ქონების დაგირავებას ან მის გასხვისებას, აუცილებელია კავშირის წევრთა საერთო კრების წინასწარი თანხმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგება ბათილად ჩაითვლება.

კავშირის რეგისტრაციისათვის აუცილებელია გამგეობის არჩევა. ეს იმას ნიშნავს, რომ კავშირის დამფუძნებლები კავშირის შექმნისას ირჩევენ გამგეობას. წესდებით უნდა განისაზღვროს ასევე გამგეობის წევრთა რაოდენობა. თუ გამგეობის წევრთა რაოდენობა ვერ აღწევს წესდებით დადგენილ მინიმალურ ნორმას, მაშინ გამგეობის დანარ-

ჩენ წევრებს სასამართლო ნიშნავს გარდამავალი დროისათვის, ვიდრე არ იქნება საერთო კრება მოწვეული.

გამგეობის წევრობა დამყარებულია ნდობაზე, რომელიც კავშირის წევრებს გამგეობის წევრების მიმართ აქვთ. ამიტომ შრომის ხელშეკრულების მსგავსი ხელშეკრულება კავშირსა და გამგეობის წევრებს შორის არ ფორმდება. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გადაწყვეტილება გამგეობის არჩევის შესახებ შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს (მე-40 მუხლის მე-2 ნაწილი). ეს პრაქტიკულად გამგეობის წევრების გამოწვევას ნიშნავს. გამგეობის წევრების გამოწვევა შეიძლება დამოკიდებული იყოს მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობაზე, რომლის დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. ეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის შეფასების დროს უნდა გადაწყდეს.

კავშირის სხვა ორგანოები. კავშირის წევრთა საერთო კრებისა და გამგეობის გარდა, კავშირს შეიძლება ჰქონდეს სხვა ორგანოებიც. მათ განეკუთვნება **კომისიები და საკონსულტაციო საბჭოები.** სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ზოგადად განსაზღვრავს ამ ორგანოების კომპეტენციასა და შემადგენლობას. 42-ე მუხლის მიხედვით, კომისიები იქმნება კრებებს შორის პერიოდში მისივე ფუნქციების განხორციელების მიზნით. ეს არ არის შემთხვევითი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კავშირის მრავალრიცხოვან წევრთა შეკრება ხშირად შეუძლებელია, ბევრი საკითხი კი საშურად მოითხოვს საერთო კრების გადაწყვეტილებას. ამიტომ აუცილებელია ისეთი ორგანოს არსებობა, რომელიც ამ საკითხებს გადაჭრის და სისტემატურად გააკონტროლებს გამგეობის საქმიანობას. ასეთ შესაძლო ორგანოდ სამოქალაქო კოდექსი ასახელებს კომისიებს. ვინაიდან კომისიას საერთო კრების ფუნქციები ეკისრება, ამიტომ მისი შემადგენლობა მხოლოდ კავშირის წევრებიდან ირჩევა.

კომისიებისაგან განსხვავებული ფუნქციები ეკისრებათ საკონსულტაციო საბჭოებს, რომლებიც ასევე კავშირის წევრთა საერთო კრების მიერ იქმნება. მათი საქმიანობა ცალკეულ საკითხებზე რჩევების მიცემით შემოიფარგლება და სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღების უფლება მათ არა აქვთ. ამიტომაც უშვებს სამოქალაქო კოდექსი იმის შესაძლებლობას, რომ საკონსულტაციო საბჭოების შემადგენლობაში იყვნენ კავშირის არაწევრებიც (43-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ზ) კავშირის წევრობა

კავშირის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი. კავშირის წევრობისათვის არა აქვს მნიშვნელობა, იურიდიული პირი კერძო სამართლისაა თუ საჯარო სამართლის, კომერციულია თუ არაკომერციული.

კავშირის წევრობა შეიძლება წარმოიშვას კავშირის დაფუძნების ან არსებულ კავშირში წევრად შესვლის შედეგად. მისი დაფუძნებისას, თუ კავშირში წევრად შესვლისას, ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ნების გამოვლენასთან, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია. ამიტომ ასეთი ნების გამოვლენა წარმოადგენს გარიგებას.

კავშირში წევრად მიღება ხდება გამგეობის მიერ. ამისათვის აუცილებელია წევრობის მსურველის წერილობითი განცხადება. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გაწევრიანების სხვა პირობებსაც. პრაქტიკულად დაისმება საკითხი თუ რა პროცედურაა აუცილებელი გაწევრიანებისათვის. კანონი დაწვრილებით ამის შესახებ არაფერს ამბობს. ეს პროცედურა ცალკეული კავშირის თავისებურებებზეა დამოკიდებული. ზოგ შემთხვევაში აუცილებელია კავშირში წევრობის მსურველი პიროვნების შესწავლა, მისი განცხადების განხილვა გამგეობის სხდომაზე და ა.შ. ხშირ შემთხვევაში გაწევრიანებისათვის საკმარისია, ე. წ. კავშირისათვის მიერთების განცხადება, რომლითაც შემსვლელი აღიარებს კავშირის წესდებას და კისრულობს ვალდებულებას, რომ დაიცავს წესდებით გათვალისწინებულ წესებს. არის შემთხვევები, როცა კავშირის წესდება წევრად მიღებას ითვალისწინებს ავტომატურად — ამა თუ იმ მოქმედების განხორციელების შედეგად, მაგალითად, საწევროს შეტანა და ა. შ.

კავშირის წევრობა პირადი ხასიათის უფლებაა. კომერციულ საზოგადოებაში, წევრობისაგან განსხვავებით, იგი არ არის ქონებრივ უფლებებთან უშუალო კავშირში (მაგალითად, იგი არ იძლევა მოგების მიღების უფლებას). აქედან გამომდინარე, წევრობა არ გადაეცემა სხვა პირებს და არც მემკვიდრეობით გადადის (44-ე მუხლის მე-3 ნაწილი). მაგალითად, წარმოუდგენელია, რომ მწერალთა კავშირის წევრმა მწერალმა გაყიდოს თავისი წევრობა ან გადაცვალოს იგი სხვაგან წევრობაზე. იმავდროულად, კანონის ეს ნორმა არ არის იმპერატიული. კანონი სხვაგვარი მოწესრიგების შესაძლებლობასაც ითვალ-

ისწინებს. მაგალითად, საფეხბურთო კლუბებში ფეხბურთელების ხშირი ცვლა, მათი ყიდვა-გაყიდვა არცთუ იშვიათად უკავშირდება მოცემულ კლუბში წევრობის გაცვლას სხვა კლუბის წევრობაზე.

მართალია, კავშირი პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციაა და იგი თვითონ წყვეტს საკითხს, თუ ვინ მიიღოს წევრად, მაგრამ არის შემთხვევები, როცა კავშირის მხრიდან არჩევანის შესაძლებლობა შეზღუდულია. ეს ის შემთხვევებია, როცა კავშირი წევრობის მსურველისათვის ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციას საარსებო სოციალური და სხვა ამოცანების განხორციელებისას (44-ე მუხლის მე-5 ნაწილი). ასეთ დროს კავშირი ვალდებულია მიიღოს წევრობის მსურველი კავშირის წევრად. ანალოგიურ საარსებო ფუნქციას დღევანდელი საქართველოს პირობებში მრავალი კავშირი შეიძლება ასრულებდეს (ინვალიდთა კავშირი, ომის მონაწილეთა კავშირი და ა.შ.) მათი წევრები ზოშჩენკოს მდგომარეობაში რომ არ აღმოჩნდნენ, კანონი დამცავ მექანიზმს ითვალისწინებს: დაუშვებელია მათთვის უარის თქმა წევრად მიღებაზე, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება კავშირის ძირითად პრინციპებს.

კავშირის წევრობის განხილვისას პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი წევრობის შეწყვეტის შესახებ. სამოქალაქო კოდექსი წევრობის დაკარგვის სამ საფუძველს იცნობს: წევრის გარდაცვალება, წევრობიდან გასვლა, წევრის გარიცხვა. ზემოთ უკვე ითქვა, რომ კავშირის წევრის გარდაცვალება არ იწვევს წევრობის გადასვლას მემკვიდრეობით. ამიტომ უფრო საყურადღებოა წევრობის დაკარგვის სხვა საფუძვლების განხილვა. როგორც კავშირში გაწევრიანებაა ნებაყოფლობითი, ასევე ნებაყოფლობითია კავშირიდან გასვლაც. ყოველი წევრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კავშირიდან გასვლის შესახებ. ამასთან, წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს კავშირიდან გასვლის განსაზღვრულ ვადას. ასეთი ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. ამ შეზღუდვის მიზანია არარაობად არ იქცეს კავშირიდან გასვლის უფლება და წევრს არ შეექმნას დაუსაბუთებელი წინაღობები ამ უფლების განხორციელების პროცესში. თუ კავშირიდან გასვლა გამოწვეულია საპატიო მიზეზით, მაშინ ვადის დაწესება სავალებულო არ არის. თუ რა უნდა ჩაითვალოს საპატიო მიზეზად, სამოქალქო კოდექსი ამას არ განსაზღვრავს. ეს კონკრეტ-

ული ფაქტის შეფასების საკითხია. წევრობის დაკარგვის ყველაზე მძიმე შემთხვევაა კავშირიდან გარიცხვა. ამ დროს წევრობის დაკარგვა კავშირის წევრის ნების საწინააღმდეგოდ ხდება და რეპრესიული, დასჯითი ღონისძიების ხასიათს ატარებს. სამოქალაქო კოდექსი კავშირიდან წევრის გარიცხვის უფლებას მხოლოდ წევრთა საერთო კრებას აძლევს. ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარიცხულ წევრს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს თავისი დარღვეული უფლების აღსადგენად (44-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

კავშირის წევრობა დაკავშირებულია განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებთან, რომელთა ერთობლიობა კავშირის წევრობის შინაარსს შეადგენს. ამ უფლება-მოვალეობების ჩამონათვალს კანონი არ ითვალისწინებს. ეს კავშირის წესდების საქმეა. იმავდროულად, წევრების უფლება-მოვალეობათა განსაზღვრა წესდების სავალდებულო რეკვიზიტია. კავშირის რეგისტრაციისას წესდება აუცილებლად უნდა შეიცავდეს კავშირის წევრთა უფლებებსა და მოვალეობებს.

კავშირის წევრის მოვალეობათაგან, პირველ რიგში, აღსანიშნავია საწევრო გადასახადის შეტანის მოვალეობა. როგორც წესი, წესდება თანაბრად განსაზღვრავს წევრთა შესატანის ოდენობას. თუმცა არ არის გამორიცხული შესატანის დიფერენცირება. პრაქტიკულად ეს ხდება მაშინ, როცა ფიზიკურ პირებთან ერთად კავშირის წევრებად გვევლინებიან იურიდიული პირებიც. მათი შესატანის ოდენობა ოდნავ მეტია, ვიდრე ფიზიკური პირების. შესატანის ოდენობის განსხვავების მიუხედავად, წევრებს მაინც თანაბარი უფლებები აქვთ. მაგრამ წესდება აქაც შეიძლება ითვალისწინებდეს პრივილეგირებულ უფლებებს.

თანამედროვე კავშირების საქმიანობის იმანენტურ ნაწილს შეადგენს წევრების მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენება. ამ ღონისძიებათა ძირითადი მიზანია კავშირის წევრების მიერ წესდებით აღიარებული წესების დაცვის უზრუნველყოფა. ვინც თანამედროვე სპორტული კავშირების მოღვაწეობას ადევნებს თვალყურს, აშკარად დარწმუნდება, თუ რა ხშირად და რა ეფექტურად იყენებენ დისციპლინურ ღონისძიებებს ისეთი საყოველთაოდ აღიარებული ორგანიზაციები, როგორიცაა: ფიფა, უეფა, ფიდე, ნაციონალური საფეხბურთო ფედერაციები, ცალკეული სპორტული კლუბები და ა.შ. ამ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებათა სახეები სრულიად განსხვავებულია.

თ) კავშირის ლიკვიდაცია

კავშირის ლიკვიდაცია გულისხმობს კავშირის, როგორც იურიდიული პირის ამოშლას რეესტრიდან და არსებობის შეწყვეტას. ლიკვიდაცია არ არის ერთჯერადი აქტი. იგი პროცესია და გრძელდება მანამ, სანამ ამ იურიდიული პირების კრედიტორები არ დაკმაყოფილდებიან და არ დასრულდება მიმდინარე საქმეები.

კავშირის ლიკვიდაციის მრავალი საფუძველი არსებობს. ზოგ მათგანზე სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ მიუთითებს. კერძოდ, 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კავშირის ლიკვიდაცია ხდება წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიზნის მიღწევის შედეგად, გაკოტრების ან რეგისტრაციის გაუქმებისას. კავშირის ლიკვიდაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა გადაწყვეტილების მიღება ლიკვიდაციის შესახებ; მისი მიღება შეუძლია კავშირის წევრთა საერთო კრებას. კანონში პირდაპირ არ არის მითითებული თუ ხმათა რა რაოდენობაა საჭირო ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. ამას წესდება განსაზღვრავს. მაგრამ 41-ე მუხლის მე-4 ნაწილის ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ხმათა რაოდენობა არ უნდა იყოს ორ მესამედზე ნაკლები.

კავშირის ლიკვიდაციის პროცედურას ხელმძღვანელობს გამგეობა, მაგრამ განსაკუთრებული შემთხვევების არსებობისას შეიძლება სხვა ლიკვიდატორების დანიშვნა. ასეთ დანიშვნას კავშირის ლიკვიდაციისას ახდენს სასამართლო. ლიკვიდატორების უფლებამოსილება იგივეა, რაც გამგეობის წევრების, ასევე იდენტურია მათი პასუხისმგებლობაც. კავშირის სალიკვიდაციო პროცესის ბოლო ეტაპი დარჩენილი ქონების განაწილებაა. თუ ვის უნდა გადაეცეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება, წესდების გადასაწყვეტია. თუ წესდება ასეთ უფლებამოსილ პირებს არ განსაზღვრავს, მაშინ ქონება ავტომატურად არ ნაწილდება კავშირის წევრებს შორის. ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა არაკომერციულ და კომერციულ იურიდიულ პირებს შორის. ამ უკანასკნელთა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის. კავშირის შემთხვევაში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომ დარჩენილი ქონება გადაეცეს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე კავშირს, რომლებიც იმავე ან მსგავს მიზნებს ემსახურებიან, რასაც ლიკვიდირებული კავშირი. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს, მაშინ შეიძლება მიღე-

ბულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების საქველმოქმედო ორგანიზაციის ან სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. ინფორმაცია კავშირის ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს. ქონების განაწილება კი შესაძლებელია გამოქვეყნებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

§ 2. კომერციული იურიდიული პირები

კომერციული (სამეწარმეო) იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობა განსაზღვრულია მეწარმეთა შესახებ კანონში. კანონი განამტკიცებს როგორც სამეწარმეო საქმიანობის ცნებას, ისე იმ კორპორაციების სტატუსს, რომლებიც შეიძლება ამ საქმიანობის განსახორციელებლად შეიქმნას.

საკორპორაციო სამართალი იცნობს სამეწარმეო კორპორაციების შემდეგ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) და კოოპერატივი.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განსაზღვრისას კანონი მიმართავს numerus clausus პრინციპს, ე. წ. დახურულ რიცხვთა კანონს: სამეწარმეო საქმიანობაში დასაშვებია საწარმოთა მხოლოდ ის ფორმები, რომლებიც განმტკიცებულია კანონში. ახლა განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ა) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება

სპს ერთ-ერთი ძველი და მეტად გავრცელებული სავაჭრო (სამეწარმეო) საზოგადოებაა. მას იცნობს დასავლეთის ყველა ქვეყნის სამართალი. განმსაზღვრელი ამ ტიპის საზოგადოებაში არის: პარტნიორთა სოლიდარული პასუხიმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე.

მეწარმეთა შესახებ კანონის 20.1 მუხლის შესაბამისად, **სპს არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები — უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით.**

სპს-ის პარტნიორები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

ბ) კომანდიტური საზოგადოება

კს პირთა წევრობაზე დაფუძნებულ სავაჭრო საზოგადოებათა ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა. კანონის 34-ე მუხლის თანახმად, საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას, არის კომანდიტური საზოგადოება, თუ ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის (პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები — კომპლემენტარები).

კს-ის პარტნიორები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. კომპლემენტარი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი.

გ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. საზოგადოების პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე (მეწარმეთა შესახებ კანონის 44-ე მუხლი).

შპს-ის დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც — როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს.

შპს-ის საწესდებო კაპიტალი შეადგენს ორი ათას ლარს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში შპს-ები ითვლება ყველაზე მოქნილ და პოპულარულ კომპანიებად. ამიტომ პრაქტიკაში მეწარმეები ყველაზე მეტად ამ ფორმას მიმართავენ. არც საქართველოა გამონაკლისი: შპს-ები მეწარმეთა საქმიანობის მოწყობის ფრიად გავრცელებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა.

დ) სააქციო საზოგადოება

დასავლეთის ქვეყნებში სააქციო საზოგადოებები, როგორც წესი, მსხვილი სამრეწველო და კომერციული საზოგადოებებია. მსოფლიოში ცნობილი ფირმები, როგორიცაა: მერსედეს-ბენცი, ფორდი, ჯენერალ-მოტორზი და ა.შ., არსებობენ სააქციო საზოგადოებების ფორმით.

მეწარმეთა შესახებ კანონი სააქციო საზოგადოებას ერთ-ერთ

ძირითად სამეწარმეო საზოგადოებად მიიჩნევს და 51.1 მუხლში განმტკიცებს მის დეფინიციას: **სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იმავე ნომინალური ღირებულების მქონე აქციებად.**

აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში.

სს-ის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. აქციონერი პასუხს არ აგებს სს-ის ვალდებულებებზე.

სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი თხუთმეტი ათასი ლარია.

ე) კოოპერატივი

ისტორიულად კოოპერატივები XIX საუკუნეში წარმოიშვა. მათი აღმოცენების ძირითად მოტივს თვითდახმარება წარმოადგენდა, ე.ი. ეს იყო წევრთა ორგანიზაციის ისეთი ფორმა, რომლის ძირითად მიზანს შეადგენდა მასში გაერთიანებული წევრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამ მიზნით შეიქმნა პირველი სამომხმარებლო კოოპერატივები ინგლისში (1827 და 1844 წლებში), გერმანიაში რაიფაიზენის კოოპერატივი (1871წ.) და ა.შ.

კოოპერატივების დეფინიცია მოცემულია კანონის 60.1 მუხლში: **კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული, ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლების გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.**

როგორც აღინიშნა, ჩამოთვლილი საზოგადოებები სამეწარმეო საქმიანობის სფეროში იქმნება. სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად (მეწარმეთა შესახებ კანონის 1.1 მუხლი).

სამეწარმეო საქმიანობა უნდა იყოს მართლზომიერი. იგი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი სამართლის ნორმებს ან ეს საქმიანობა კანონით არ უნდა იყოს აკრძალული. მეწარმეობა უნდა ატარებდეს **არაერთჯერადი საქმიანობის** ხასიათს.

ესა თუ ის საქმიანობა სამეწარმეოდ რომ ჩაითვალოს, აუცილებელია, იგი ხორციელდებოდეს მოგების მიზნით. ამ შემთხვევებშიც გადამწყვეტია მოგების მიღების სურვილი. ფაქტობრივად და რეალურად მიიღო თუ არა მეწარმემ მოგება, პრაქტიკულად დიდ როლს არ თამაშობს. ამასთან, არ არის აუცილებელი, საწარმოთა წესდებაში ჩაიწეროს, რომ საზოგადოების მიზანია მოგების მიღება, როგორც ეს ხშირად ხდება ჩვენ სამეწარმეო პრაქტიკაში. როცა პირი საკუთარი მოწყობის ფორმად ირჩევს მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებულ ერთერთ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, ივარაუდება, რომ მისი საქმიანობა წარმართულია მოგების მისაღებად, მიუხედავად იმისა, რეალურად ნახავს თუ არა იგი მოგებას.

დამოუკიდებლობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას განასხვავებს სხვა სახის საქმიანობისაგან. უწინარეს ყოვლისა, ლაპარაკია სამართლებრივ და არა ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე. ეკონომიკურად თითქმის ყველა საწარმო რამდენადმე დამოკიდებულია სხვებზე. სამართლებრივი დამოუკიდებლობა ნიშნავს, რომ მეწარმე თვითონ იღებს გადაწყვეტილებებს საქმიანობის ნებისმიერ საკითხზე, ასევე თვითონ არის პასუხისმგებელი ამ საქმიანობიდან წარმოშობილ რისკზეც.

შეიძლება საქმიანობა გარეგნული ნიშნებით შეესაბამებოდეს ზემოთ დახასიათებულ პირობებს, მაგრამ იგი არ მიიჩნევა სამეწარმეო საქმიანობად. მათ მიეკუთვნება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო და სანოტარო, სააუდიტო, სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა.

პირველ რიგში, აქ ლაპარაკია ე. წ. თავისუფალ პროფესიებზე, რომლებიც დასავლეთის თითქმის არც ერთ ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობად არ ითვლება. თავისუფალი პროფესიების განხილვისას, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში მიიღება ამ პირთა პირადი, პიროვნული მოღვაწეობა. მაშინ, როცა სამეწარმეო საქმიანობა, უპირველესად, გულისხმობს კაპიტალის ჩადებასა და სხვისი შრომის მაქსიმალურ გამოყენებას.

საქმიანობათა მეორე ჯგუფს (სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო და სანოტარო, სააუდიტო, სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო) შეიძლება ჰქონდეს მეწარმეობის პრეტენზია. მაგრამ იმის გამო, რომ აქ მათი პირადი შრომა და ღვაწლია განმ-

საზღვრელი და წინწამოწეული, არ მიიჩნევენ ამ პირთა საქმიანობას მეწარმეობად. საგადასახადო კონსულტაციის საქმიანობაც არ ითვლება სამეწარმეო საქმიანობად.

სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო საქმიანობა ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც გლეხობის პირადი ინტერესებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად განხორციელებული საქმიანობა. ისტორიულად მეწარმეობა ვაჭრობის განვითარების საფუძველზე წარმოიშვა. ამიტომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების თავდაპირველი წარმოებისაგან იგი ყოველთვის განსხვავდებოდა. ამის გამო მას სამეწარმეო საქმიანობად არ აღიარებდნენ.

ვ) საზოგადოების დაფუძნება

საკორპორაციო სამართალი უზრუნველყოფს თავისუფლებას საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების არჩევისას რამდენიმე გამონაკლისის გათვალისწინებით: ა) სპს, კს და კოოპერატივის შესაქმნელად საჭიროა მინიმუმ ორი პირის არსებობა; ბ) შპს და სს დასაარსებლად ასევე აუცილებელია მინიმალური საწესდებო კაპიტალის არსებობა; გ) კს-ში კომპლემენტარი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი.

კანონი ითვალისწინებს კიდევ ერთ შეზღუდვას: საწარმო, კოოპერატივების გარდა, რომელშიც ორმოცდაათზე მეტი პარტნიორია, უნდა ჩამოყალიბდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ფორმით. ეს ნორმა ნაკარნახევია ეკონომიკური პოლიტიკის მოტივებით. ივარაუდება, რომ ორმოცდაათი პარტნიორის არსებობა მოგებაზე ორიენტირებულ საზოგადოებებში ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს დიდი კაპიტალის მქონე საწარმოსთან, რომელიც აუცილებლად სააქციო საზოგადოების ფორმით უნდა არსებობდეს. იმპერატიული ნორმების როლი აქ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ფორმის საზოგადოებაში.

საზოგადოების დასაფუძნებლად, როგორც წესი, საჭიროა მომავალი პარტნიორების მიერ განსაზღვრული გეგმის განხორციელება, რითაც პირები ამ საზოგადოებაში თავიანთ მონაწილეობას ადასტურებენ. ამას საკორპორაციო სამართალში ეწოდება შესატანი.

შესატანი შეიძლება განხორციელდეს როგორც ფულადი, ასევე არაფულადი შესატანის სახით.

ფულადი შესატანის დროს თანხა შეიძლება განისაზღვროს ნების-

მიერი ვალუტით, მაგრამ საზოგადოების საბუღალტრო წიგნებში ეს თანხა აღინიშნება ეროვნული ვალუტით იმ კურსის შესაბამისად, რა კურსიც შეტანის დროს ჰქონდა ეროვნულ ვალუტას. მაგალითად, შპს-ის დაფუძნების დროს ოთხმა პარტნიორმა საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განსაზღვრა 2000 ამერიკული დოლარით, ხოლო თითოეულის შესატანი კი – 450 ამერიკული დოლარით. ეს თანხა საბუღალტრო წიგნებში აღინიშნება შესაბამისი ეროვნული ვალუტით, თუმცა პარტნიორებს საზოგადოების წესდებაში შეუძლიათ მიუთითონ, რომ მათ გადახდეს ამერიკული დოლარი. იგივე წესი ვრცელდება სხვა ვალუტებზეც.

არაფულადი შესატანი შეიძლება განხორციელდეს როგორც ქონების (ნივთის), ასევე არაქონებრივი ფასეულობის (მაგალითად, მომსახურება, საავტორო უფლება და ა.შ.) შეტანის გზით.

არაფულადი შესატანის გზით საწესდებო კაპიტალის შექმნისას კანონი ერთ თავისებურებას ითვალისწინებს. თუ ასეთი შესატანი შეიტანება შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის საზოგადოებათა როგორიცაა, მაგალითად, კს, შპს დასაარსებლად, მაშინ **იგი უნდა შეფასდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ (არაფულადი შესატანის შეფასება)**. დამოუკიდებელ ექსპერტად მიიჩნევა სააუდიტო საზოგადოების პირი ან აუდიტორი, რომელსაც სახელმწიფოსაგან აქვს უფლებამოსილება, შეამოწმოს საწარმოთა საბუღალტრო საქმე და ანგარიშიანობა ზოგადად და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების თანახმად. ამასთან, ეს პირი ან საზოგადოება ეკონომიკურად და პიროვნულად დამოუკიდებელი უნდა იყოს შესამოწმებელი საწარმოსაგან ან მათი თანამდებობის პირთაგან.

დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ შედგენილი დასკვნა არაფულადი შესატანის შესახებ დაერთვება საზოგადოების წესდებას და სხვა მასალასთან ერთად წარედგინება სამეწარმეო რეესტრს რეგისტრაციისათვის.

შეტანაზე ვალდებული პარტნიორი (მაგალითად, კომანდიტი) საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს არაფულადი შესატანის იმ ღირებულებისათვის, რომელიც ამ ობიექტს რეგისტრაციის მომენტში ჰქონდა. შესაძლებელია, რომ არაფულადი შესატანის შეფასების დასკვნიდან საზოგადოების რეგისტრაციამდე გავიდეს გარკვეული დრო და ამ ობიექტის ღირებულება შემცირდეს ან გაიზარდოს. მიუხედავად ამისა, ღირებულების შეფასების კრიტერიუმი ექსპერ-

ტის დასკვნაში აღნიშნული ღირებულებისაგან განსხვავებული და დამოუკიდებელი იქნება.

საზოგადოების დაფუძნებისას განხორციელებული შესატანის განკარგვის უფლება, შესატანის შემდეგ, აქვს საზოგადოებას — საზოგადოება ხდება ამ ქონების მესაკუთრედ.

თუ შესატანი ობიექტის ღირებულება დათქმულ თანხაზე ნაკლებია, მაშინ იგი უნდა შეივსოს ფულით. მაგალითად, მომავალ პარტნიორს უნდა შეეტანა 1500 ლარი. მან არაფულადი შესატანის სახით შეიტანა კომპიუტერი, რომლის ღირებულება არის 1300 ლარი. დანარჩენი 200 ლარი მან უნდა შეიტანოს ფულით. ხოლო თუკი **არაფულადი შესატანის ღირებულება აღემატება დათქმულ თანხას, ზედმეტი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია.** მაგალითად, პარტნიორს უნდა შეეტანა 1000 ლარი. მან შეიტანა კომპიუტერი, რომლის ღირებულება 1300 ლარია. განსხვავება 300 ლარი მას არ დაუბრუნდება.

საწესდებო კაპიტალი არის ქონება, რომელიც აუცილებელია შპს-ის ან სააქციო საზოგადოების დაარსებისათვის. შპს-ის დროს იგი შეადგენს 2000 ლარს, ხოლო სს-ის შემთხვევაში — 1500 ლარს. ასეთ სავალდებულო მინიმუმს საწესდებო კაპიტალისათვის კანონი კოოპერატივებს არ უწესებს. მინიმალურ საწესდებო კაპიტალს თითოეული კოოპერატივი თვითონ განსაზღვრავს. კს-ში, შპს-ში, სს-სა და კოოპერატივებში შესატანის დაბრუნება დაიშვება მხოლოდ **საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით.** საწესდებო კაპიტალის შემცირებად ითვლება მისი ოფიციალური რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში. ამისათვის კი საჭიროა ცვლილებების შეტანა საზოგადოების წესდებაში. ამ ნორმის მიზანია კრედიტორების დაცვა და მათი მოთხოვნების რეალური უზრუნველყოფა. ამიტომ, თუ საწესდებო კაპიტალის შემცირება მოხდა ამ შემცირების ოფიციალური რეგისტრაციის გარეშე, მაშინ საზოგადოება კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს საწესდებო კაპიტალის იმ ოდენობით, რომელიც მას შემცირებამდე ჰქონდა. მაგალითად, შპს-ის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2000 ლარს, რომელშიც ერთ-ერთი პარტნიორის წილია 250 ლარი. ამ უკანასკნელმა გაიტანა თავისი წილი ისე, რომ სამეწარმეო რეესტრში ეს არ ყოფილა რეგისტრირებული. როცა მისი პასუხისმგებლობა დადგება, იგი პასუხს აგებს 250 ლარის ოდენობით, ხოლო საზოგადოება, როგორც წესი, მთელი თავისი ქონებით პლუს

250 ლარი, რომლის უკან დაბრუნება არ იყო რეგისტრირებული.

შესატანის ნახევარი შეტანილ უნდა იქნეს წესდების ხელის მოწერისთანავე, თუ წესდება უფრო მეტის შეტანას არ ითვალისწინებს. წესდების ხელმოწერისთანავე შესატანის გადახდა გულისხმობს, ფაქტობრივად, შესატანის განხორციელებას საზოგადოების რეგისტრაციამდე. ფულადი შესატანი აისახება ბანკის ანგარიშზე ფულის შეტანის დამადასტურებელ ქვითარზე. ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედებდა წესი, რომლის თანახმადაც ბანკი მხოლოდ დროებითი რეგისტრაციის მოწმობის საფუძველზე უხსნიდა საზოგადოებას ანგარიშს, რაც უდავოდ ართულებდა საზოგადოების რეგისტრაციის პროცედურას. მეწარმეთა კანონი ამგვარ პროცედურას არ ითვალისწინებს. ამიტომ ბანკში დროებითი ანგარიშის გასახსნელად საკმარისია სანოტარო წესით დამოწმებული და პარტნიორების მიერ ხელმოწერილი წესდების წარდგენა.

გადასახადის შეტანის გაჭიანურება შეიძლება პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის საფუძველი გახდეს. ამის შესახებ ყოველი პარტნიორი წერილობით აფრთხილებს შეტანაზე ვალდებულ პარტნიორს. ამ გაფრთხილებაში მითითებულ იქნება შესატანის გადახდის დამატებითი ვადა, რომელიც არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები. ამ ვადის უშედეგოდ გასვლის გამო, გარიცხვის გარდა, კანონი სხვა შედეგებსაც ითვალისწინებს. კერძოდ, ეს პარტნიორი მთლიანად კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც. ამის შესახებ მას ეცნობება წერილობით.

თუ საზოგადოებას წარმოეშობა ზარალი, რომელიც გამოწვეულია შესატანის შეუსრულებლობით, დანარჩენი პარტნიორები პასუხს აგებენ სოლიდარულად, ხოლო გარიცხული პარტნიორის პასუხისმგებლობა ძალაში რჩება. თუკი ამ უკანასკნელს უნდა შეეტანა არაფულადი შესატანი, მაშინ იგი შეიცვლება ფულადი შესატანით და გადანაწილდება დანარჩენ პარტნიორებს შორის, რომელიც შეიტანება მათ მიერ წილის შესაბამისად.

ზ) პარტნიორის ცნება

პარტნიორი არის ერთ-ერთი სამეწარმეო საზოგადოების წევრი (მონაწილე), რომელსაც აქვს საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები საზოგადოების მიმართ. „პარტ-

ნიორი“ არის კრებითი სახელწოდება იმ პირებისა, რომლებიც შეიძლება იყვნენ საზოგადოების დამფუძნებლები ან მოგვიანებით შემოვიდნენ საზოგადოებაში.

ვინ შეიძლება იყოს პარტნიორი? პარტნიორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი.

ფიზიკური პირი, როგორც პარტნიორი. კანონი არ ყოფს ფიზიკურ პირებს მოქალაქეებად ან არამოქალაქეებად, უცხოელებად ან არაუცხოელებად. კანონის კონცეფციაა, რომ პარტნიორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი მოქალაქეობის, სქესის, კანის ფერის, ასაკისა და ა.შ. მიუხედავად.

ამრიგად, პარტნიორი შეიძლება იყოს უცხოელი მოქალაქეც და მოქალაქეობის არმქონე პირი და მას რაიმე სპეციალური ნებართვის აღება ამისათვის არ სჭირდება. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნორმაა, რომელიც ხელს უწყობს უცხოურ ინვესტიციებს და თანაბარ პირობებში აყენებს მათ ქართველ მეწარმეებთან ერთად.

პარტნიორი შეიძლება იყოს ასევე არასრულწლოვანიც. სრული ქმედუნარიანობის დადგომამდე მისივე უფლება-მოვალეობები განხორციელდება მისივე წარმომადგენლების მიერ. პარტნიორი, პირველ რიგში, გამოხატავს მესაკუთრის მონაწილეობას სამეწარმეო საზოგადოებაში. ამიტომ ასაკი აქ განსაზღვრული არ არის. სულ სხვაა დირექტორად (ე. ი. მმართველად, მენეჯერად) არჩევის საკითხი. აქ სრულ ქმედუნარიანობასთან ერთად სხვა პირობებიც უნდა იყოს სახეზე.

პარტნიორი შეიძლება იყოს ყოველი იურიდიული პირიც. მხოლოდ გარკვეული შეზღუდვები მოქმედებს: იურიდიული პირი არ შეიძლება იყოს სპს-ისა და კს-ის პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი (კომპლემენტარი).

პარტნიორი შეიძლება იყოს ასევე სახელმწიფოც. სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნების დროს სახელმწიფოს ინტერესებს წარმოადგენენ მისი ორგანოები, მაგალითად, სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და ა.შ. ეს უკანასკნელები არ არიან იურიდიული პირები, როგორც ეს ხშირად გავრცელებულია თანამდებობის პირთა წარმოდგენებში.

საკორპორაციო სამართალი განამტკიცებს **პარტნიორთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს — თანაბარ პირობებში პარტნიორებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. თანაბარი პირობები,** უწინარეს ყოვ-

ლისა, გულისხმობს ხმათა თანაბარ რაოდენობას საზოგადოებაში. ხმათა რაოდენობა დამოკიდებულია საზოგადოებაში წილის ოდენობაზე. ამიტომ თანაბარი პირობების პრინციპი შეიძლება სხვაგვარად ასე ჩამოყალიბდეს: თითოეულ პარტნიორს აქვს საზოგადოებაში თავისი წილის შესაბამისი უფლებები და მოვალეობები. თუ პარტნიორთა წილი თანაბარია, მაშინ ამ პარტნიორების უფლება-მოვალეობაც თანაბარი იქნება.

თანასწორუფლებიანობის ამ ზოგადი პრინციპიდან შეიძლება არსებობდეს გამონაკლისიც: ჯერ ერთი, როცა კანონი თვითონ განსაზღვრავს მას და, მეორე, როცა საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, პარტნიორები მიიღებენ ასეთ გადაწყვეტილებას. პირველის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ კომანდიტური საზოგადოება. აქ შეიძლება კომპლემენტარსაც და კომანდიტსაც თანაბარი წილი ჰქონდეს. მაგრამ ამ შემთხვევაში წილთა თანაბრობა არ განსაზღვრავს მათ თანასწორუფლებიანობას. კერძოდ, კომანდიტის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ მისი საგარანტიო თანხით, ხოლო კომპლემენტარი მთლიანად აგებს პასუხს მთელი თავისი ქონებით კრედიტორების წინაშე. მეორე შემთხვევა უფრო მიზანშეწონილობით არის განპირობებული: თანაბარი წილის მიუხედავად, პარტნიორებმა შეიძლება ერთ-ერთ მათგანს მიანიჭონ მეტი უფლებები. ამ შემთხვევაში მოტივაციას მნიშვნელობა არა აქვს.

წილის სიდიდისა და საზოგადოებაში პარტნიორის მდგომარეობის მიუხედავად, ყოველ პარტნიორს აქვს უფლებები, რომელიც კანონით ენიჭებათ და მათი შეზღუდვა ან აკრძალვა დაუშვებელია. ამ უფლებებს მიეკუთვნება: ა) წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება; ბ) წლიური ანგარიშის სისწორის შემოწმების უფლება; გ) ამ მიზნით საზოგადოების საბუღალტრო წიგნების შემოწმება უშუალოდ ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით; დ) საზოგადოების ორგანოებისათვის წლიური ანგარიშის შესახებ განმარტებების მოთხოვნის უფლება. ეს უკანასკნელი უფლება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ წლიური ანგარიშის დამტკიცებამდე.

პარტნიორთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა ის გარემოება, რომ არასწორად შედგენილი ანგარიშის შემოწმებისას გაწეული ხარჯები საზოგადოებას ეკისრება. ჩამოთვლილი უფლებები არ არის ამომწურავი. საზოგადოების წესდება შეიძლება სხვა უფლებებსაც ითვალისწინებდეს.

თ) რეგისტრაციის ცნება

კანონი მეწარმეთა შესახებ განსაზღვრავს საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს — **საწარმოს რეგისტრაცია სავალდებულოა.**

რეგისტრაცია არის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებისა და მოვლენების შეტანა სახელმწიფო რეესტრში (მაგალითად, სამეწარმეო რეესტრში). როგორც წესი, რეგისტრაციას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ერთი, როგორც ფაქტის, მოვლენის აღნიშვნისა და მეორე კონსტიტუციური. კანონი მეწარმეთა შესახებ განამტკიცებს სწორედ მეორე სახის რეგისტრაციას: **რეგისტრაციას აქვს გადამწყვეტი იურიდული ფაქტის მნიშვნელობა** — სამართლებრივად რაღაც მოვლენა მხოლოდ რეგისტრაციის შედეგად წარმოიშობა.

კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს ორი სახის რეგისტრაციას: საწარმოსა და საწარმოების საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების რეგისტრაციას. რეგისტრაციის პირველ სახეს განსაზღვრავს იმერატიული ნორმა: საწარმოს რეგისტრაცია სავალდებულოა. **საწარმო, როგორც ამ კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. სამეწარმეო რეესტრი** საჯარო (სახელმწიფო) რეესტრის ნაირსახეობაა, რომელშიც აღირიცხება მეწარმეთა კანონით გათვალისწინებული ფაქტები და მოვლენები.

მომავალმა პარტნიორებმა შეიძლება განახორციელონ საწარმოს ჩამოსაყალიბებლად აუცილებელი ყველა მოქმედება: მოამზადონ წესდება, მოაწერონ ხელი მას, სანოტარო წესით დაადასტურონ იგი და ა.შ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ საწარმო წარმოიშვა. ამისათვის აუცილებელია საწარმოს რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში. ამდენად, კანონი რეგისტრაციას კონსტიტუციურ მნიშვნელობას ანიჭებს.

რეგისტრაცია არ არის თვითმიზანი. **მისი ძირითადი ფუნქციაა საჯაროობის გზით დაიცვას მესამე პირები და კრედიტორები.** ე. ი. ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს რეესტრის მასალებს და გაიგოს, თუ რა ქონების მესაკუთრეა საწარმო. ესე იგი, რეგისტრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის პასუხისმგებლობის გარდაუვალობისა და ამ პასუხისმგებლობის მოცულობის ზუსტი ფიქსაცია.

რეალური ცხოვრება, ურთიერთობები ყოველთვის განსხვავდება

სამართლებრივი ნორმებით დადგენილი ურთიერთობებისაგან. ამიტომ ის, რაც დადგენილია კანონით, თავისთავად არ ნიშნავს, რომ უეჭველად შესრულდება, ე. ი. შესაძლებელია, რომ ზოგმა პირმა არ გაატაროს თავისი საწარმო რეგისტრაციაში. ამ დროს მთავარი პრობლემაა კრედიტორების დაკმაყოფილების შესაძლებლობა და მისი რეალურობის უზრუნველყოფა.

მეწარმეებს რეგისტრაციის გარეშეც შეუძლიათ საქმიანობა, ოღონდ კრედიტორების წინაშე ისინი პასუხს აგებენ არა როგორც ამა თუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები, არამედ როგორც კერძო პირები. მაგალითად, სამმა პირმა გადაწყვიტა შექმნას შპს. შეადგინეს წესდება, მოაწერეს ხელი, დაამოწმეს სანოტარო წესით, მაგრამ არ გაუტარებიათ საზოგადოება რეგისტრაციაში. ამასობაში მათ საზოგადოების სახელით დადეს გარიგებები, რომლიდანაც წარმოიშვა ვალდებულებები. ასეთ შემთხვევაში საზოგადოება კი არ აგებს პასუხს კრედიტორის წინაშე იმ პრინციპის მიხედვით, რითაც შპს (ე. ი. მხოლოდ თავისი ქონებით), არამედ — პარტნიორები. მაშასადამე, ამგვარი მოქმედებისათვის სამივე ეს პირი პასუხს აგებს მთელი პირადი ქონებით პერსონალურად, შეუზღუდველად როგორც სოლიდარული მოვალეები (2,5 მუხლის მე-2 აბზაცი). თუ დამფუძნებლებმა ვალდებულების წარმოშობის შემდეგ საზოგადოება რეგისტრაციაში გაატარეს, მაშინ ისინი კვლავ პერსონალურად და პირადი ქონებით აგებენ პასუხს ამ ვალდებულებებისათვის. ამგვარად, ეს პასუხისმგებლობა ძალაში რჩება საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგაც.

მთავარი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ წესს, მდგომარეობს იმაში, რომ სწორედ ქონებრივი ურთიერთობების მონაწილეები მოქმედებენ კანონის შესაბამისად. ეს ის შემთხვევაა, როცა კერძო ინტერესები და მიზნები კანონის ნორმის შესრულების გარანტიაა ისე, რომ სახელმწიფოებრივი იძულება არ არის აუცილებელი.

ი) სამეწარმეო რეესტრი

მეწარმეთა შესახებ კანონით შემოღებულ სიახლეთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია **სამეწარმეო რეესტრი**. ადრე მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სამეწარმეო რეესტრს და მას არც იმ

მნიშვნელობას ანიჭებდა, რომელიც რეესტრს საბაზრო ეკონომიკის პირობებში აქვს. სამეწარმეო რეესტრი იმ ფაქტების საჯარო (სახელმწიფო) ნუსხაა, რომელსაც ეკონომიკურ ურთიერთობებში სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს.

სამეწარმეო რეესტრს უძღვება სასამართლო, ე.ი. საწარმოს რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო.

ა) სამეწარმეო რეესტრი არის საჯარო. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სამეწარმეო რეესტრს და მიიღოს მისი ამონაწერები. რეესტრის საჯაროობის ამ პირველ გამოხატულებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სტაბილური ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად. კერძო პირი თუ საწარმო, სანამ ხელშეკრულებას დადებდეს სხვა საწარმოსთან, მას შეუძლია სასამართლოში მიიღოს კონტრაგენტი, საწარმოს შესახებ სრული ინფორმაცია, კერძოდ, თუ ვინ არიან საზოგადოების პარტნიორები, ვინ არის დირექტორი ან სავაჭრო წარმომადგენელი, რამდენი აქვს საწესდებო კაპიტალი და ა.შ. დღემდე ეს მონაცემები საიდუმლოდ ითვლებოდა და გამგეობები დაინტერესებულ პირებზე ამ მონაცემებს არ გასცემდნენ.

რეესტრის საჯაროობის მეორე გამოხატულებაა **სარეგისტრაციო ფაქტები — სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს სასამართლო აქვეყნებს.** ჩანაწერი ქვეყნდება მთლიანად, იმ შემთხვევების გარდა, როცა კანონი არ თვლის სავალდებულოდ ყველა მონაცემის გამოქვეყნებას.

ბ) სამეწარმეო რეესტრში შეიტანება ის ფაქტები, რომელსაც ეკონომიკურ ურთიერთობებში სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, პირველ რიგში, ლაპარაკია **რეგისტრაციაუნარიან ფაქტებზე.** თავისთავად ეს ფაქტები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: ერთია **რეგისტრაციასავალდებულო** და მეორე — **რეგისტრაციაშესაძლო ფაქტები.** პირველს განეკუთვნება ისეთი ფაქტები, რომლებიც აუცილებლად უნდა გატარდეს რეგისტრაციაში. მაგალითად, მონაცემები პარტნიორთა და დირექტორების შესახებ, საწესდებო კაპიტალის შემცირება და ა.შ. თუ არ მოხდა ამ ფაქტების რეგისტრაცია, მაშინ ისინი იურიდიული ძალის არმქონედ ითვლება და ბათილია მესამე პირთათვის. მეორეს მიეკუთვნება ისეთი ფაქტები, რომელთა რეგისტრაცია არ არის სავალდებულო, მაგრამ შეიძლება მათი რეგისტრაცია და მესამე პირთათვის მნიშვნელობას ისინი მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ იძენენ. სამეწარმეო რეესტრს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა

აქვს. იგი ამარტივებს და იოლს ხდის მეწარმეების დამოკიდებულებას. მათი ნორმალური ურთიერთობებისათვის საჭირო მონაცემების გამოქვეყნება სტაბილურ და საიმედო წინაპირობებს უზრუნველყოფს სამეწარმეო საქმიანობისათვის. თანამედროვე მსოფლიოში, განსაკუთრებით კი კომუნისტური საზოგადოების დაშლის შემდეგ, მეტად ინტენსიური გახდა ე. წ. საერთაშორისო თაღლითების მოღვაწეობა. ისინი ხშირად ოქროს მთების აშენებას ჰპირდებიან და ამ მიზნით დებენ მეტად ძვირადღირებულ კონტრაქტებს. სინამდვილეში კი არაეითარი სახსრები არ გააჩნიათ. სამეწარმეო რეესტრი იცავს კომერციული ურთიერთობების მონაწილეებს ამგვარი თაღლითობისაგან.

კ) პასუხისმგებლობა

პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართლის უმიშვნელოვანესი ინსტიტუტია. მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის გარემოება განაპირობებს, რომ **სამეწარმეო საზოგადოებათა კლასიფიკაცია არსებითად პასუხისმგებლობის ხასიათითა და მოცულობით განისაზღვრება.** უფრო ზუსტად, ამ საზოგადოებათა დაყოფა სწორედ პასუხისმგებლობის მიხედვით ხორციელდება. ერთ შემთხვევაში გვაქვს სპს, რომელშიც როგორც საზოგადოების, ასევე პარტნიორების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შეუზღუდველია; მეორე შემთხვევაში სახეზეა კს, რომლის პარტნიორების ერთი ნაწილის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შეზღუდულია (კომანდიტები); მესამე შემთხვევაში არსებობს შპს, რომლის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება საზოგადოების ქონებით, ხოლო მის პარტნიორების – მხოლოდ შესატანების ოდენობით და ა.შ. ეს არის ე. წ. **საგარეო პასუხისმგებლობა,** როცა საკითხი ეხება სამეწარმეო სუბიექტების ურთიერთობას კრედიტორებთან, მესამე პირებთან.

ასევე **პასუხისმგებლობა არებობს თვით საზოგადოების შიგნით,** როცა ლაპარაკია პარტნიორების პასუხისმგებლობაზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისას (მაგალითად, შესატანის შეუტანლობა), ანდა დირექტორების პასუხისმგებლობაზე საზოგადოების წინაშე.

საკორპორაციო სამართალი განსაზღვრავს სპს-ის პარტნიორებისა და კს-ის პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორების (კომლემენტარების) პასუხისმგებლობის საკითხს. **სპს-ის პარტნიორები და კს-ის კომპლემენტარები მათი საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად.** ეს ნიშნავს, რომ საზოგადოების

ვალდებულებებზე თითოეული პარტნიორი პასუხს აგებს უშუალოდ, მთლიანად, პირდაპირ, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით.

სპს-ისა და კს-ის პასუხისმგებლობა მნიშვნელოვნად განსხვავდება შპს-ისა და სს-ების პასუხისმგებლობისაგან. ამ უკანასკნელთა შემთხვევაში კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს საზოგადოების ქონება. ამიტომაც არის, რომ მათ დასაარსებლად კანონი აუცილებელ მინიმალურ საწესდებო კაპიტალს ითვალისწინებს. სპს-ისა და კს-თვის ასეთი ქონების არსებობა აუცილებელი არ არის — კრედიტორების წინაშე პასუხს პარტნიორები აგებენ.

აღნიშნული პარტნიორები პასუხს აგებენ შეუზღუდავად, მთელი თავიანთი ქონებით. თუ სპს-ის რომელიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა შეზღუდულია რაიმე განსაზღვრული თანხით, მაშინ სახეზეა კს. ყველა სხვა შემთხვევაში სპს-ის პარტნიორებისა და კს-ის კომპლემენტარების პასუხისმგებლობა შეუზღუდავია. სპს-ისა და კს-ის მნიშვნელოვანი თავისებურებაა ისიც, რომ კრედიტორს შეუძლია საზოგადოების ვალდებულებების შესრულება უშუალოდ მოსთხოვოს ნებისმიერ პარტნიორს. ამიტომ კრედიტორი, როგორც წესი, თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიმართავს იმ პარტნიორს, რომელსაც შესწევს გადახდის უნარი, თუნდაც გარიგება კრედიტორს სხვა პარტნიორთან ჰქონდეს დადებული. ამის გამო ამბობენ, რომ სპს და კს კრედიტორების დაცვის მნიშვნელოვანი ფორმაა. გარდა იმისა, რომ კრედიტორი უშუალოდ მიმართავს სპს-ის ნებისმიერ პარტნიორს, მას შეუძლია პარტნიორს მოსთხოვოს ვალდებულების მთლიანი შესრულება. პარტნიორის მოტივები, რომ მან ამ გარიგების შესახებ არაფერი იცოდა, მხედველობაში არ მიიღება.

პარტნიორების ეს პირადი პასუხისმგებლობა გამოიყენება ყველა სახის ვალდებულების მიმართ, რომელიც საზოგადოების სახელით არის წარმოშობილი. ეს ნიშნავს, რომ პარტნიორების სოლიდარული პასუხისმგებლობა ვრცელდება არა მხოლოდ სახელშეკრულებო, არამედ დელიქტურ ვალდებულებებზეც (ე. ი. ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებზეც).

როდის აგებენ სპს-ის პარტნიორები და კს-ის კომპლემენტარები პასუხს? მხოლდო იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი პარტნიორის მიერ მოქმედება განხორციელებულია საზოგადოების სახელით. პასუხისმგებლობა დგება მაშინაც, როცა მოქმედება არ არის საზოგადოების სახ-

ელით განხორციელებული, მაგრამ აშკარაა, რომ ამ მოქმედების შედეგები გამიზნულია საზოგადოებისათვის, ან ეს შედეგები მოხმარდა საზოგადოებას. პარტნიორის მიერ ვალდებულება კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე სრულდება პირდაპირ ისე, რომ არ არის საჭირო საზოგადოების ქონებაზე, მის აქტივებსა და პასივებზე მითითება. აქედან გამომდინარე კი, **კრედიტორს აქვს უფლება ერთ-ერთ პარტნიორს მოსთხოვოს მისი შესრულება.** მართალია, ყველა პარტნიორი ვალდებულია დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა, მაგარმ ერთ-ერთი პარტნიორის მიერ ამ ვალდებულების შესრულება ათავისუფლებს დანარჩენ პარტნიორებს კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობისაგან.

პრაქტიკაში ხშირად რთულდება იმის გარკვევა, პარტნიორმა ესა თუ ის გარიგება საზოგადოებისთვის ან მისი სახელით დადო თუ არა. ამიტომ საკითხის გარკვევისას ყურადღება უნდა დაეთმოს იმის დადგენას, მოუტანა თუ არა ამ მოქმედებამ საზოგადოებას რაიმე სარგებელი. თუ ეს სახეზეა, მაშინ ჩაითვლება, რომ ამ მოქმედებიდან წარმოშობილ ვალდებულებებზე კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პარტნიორები იმ წესით, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ.

სპს-ის პარტნიორებისა და კს-ის კომპლემენტარების სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპი კანონითაა განსაზღვრული. ამიტომ **პარტნიორებს არა აქვთ უფლება სხვაგვარი წესები განსაზღვრონ, ან გაათავისუფლონ ერთ-ერთი მათგანი პასუხისმგებლობისაგან.** მაგალითად, სამმა მოქალაქემ ჩამოაყალიბა „სპს ავტომანქანების სარემონტო სამსახური“. მათ ცალ-ცალკე სახელოსნოები აქვთ, საქმიანობენ დამოუკიდებლად, მაგრამ რამდენიმე სფერო გაერთიანებულია და ამიტომაც შექმნეს სპს. თავიანთ წესდებაში ჩაწერეს, რომ ისინი ერთმანეთის ვალდებულებებზე პასუხს არ აგებენ, თუმცა საქმიანობენ ერთიანი საფირმო სახელწოდებით და მიღებულ შემოსავალს ინაწილებენ წესდებით განსაზღვრული პრინციპებით. **პარტნიორებს შორის ამგვარი შეთანხმება არ არის იურიდიული ძალის მქონე და იგი ბათილია მესამე პირისათვის.** ე. ი. როცა აღნიშნული მოქალაქეები სპს-ას ქმნიდნენ, არ ჰქონდათ უფლება უარი ეთქვათ სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპზე. ეს საკანონმდებლო მოთხოვნა სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობის, მესამე პირთა ინტერესების დაცვის გარანტიაა. როცა ხელშეკრულება იდება სპს-თან, ცნობილია, რომ ვალდე-

ბულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თითოეული პარტნიორთაგანი აგებს პასუხს. ეს არის იმპერატიული ნორმა და პარტნიორების სხვაგვარ შეთანხმებას არავითარი ძალა არ გააჩნია.

ლ) მესამე პირის ცნება

მესამე პირის ცნება კერძო სამართლის ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი ცნებაა. მეწარმეთა შესახებ კანონი „მესამე პირებს" იყენებს იმ პირთა აღსანიშნავად, რომლებიც: ა) არ არიან სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორები; ბ) წარმოადგენენ მომავალი გარიგებების მხარეს; გ) არ წარმოადგენენ გარიგების მხარეს, მაგრამ გარიგება შეიძლება დაიდოს მათ სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ (ე. ი. გარიგება შეიძლება შეეხოს მათ ინტერესებს).

მესამე პირი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, იურიდიული პირი, ასევე სახელმწიფოც. როცა კანონი საუბრობს ამა თუ იმ შეთანხმების ბათილობაზე მესამე პირისათვის (მაგალითად, კანონის 3.2 მუხლის ბოლო წინადადება), იგულისხმება საზოგადოების არაპარტნიორი, მაგრამ საზოგადოების მიერ დადებული გარიგების შესაძლო მხარე. მესამე პირად ჩაითვლება ასევე ყველა ის პირი, რომელსაც შეიძლება წარმოეშვას მოთხოვნა საზოგადოების ან მისი პარტნიორების მიმართ.

მ. საწარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

იმის მიხედვით, თუ რომელ საზოგადოებებთან გვაქვს საქმე, კანონი განსხვავებულად აწესრიგებს საზოგადოების მართვის ორგანოების საკითხს. მაგალითად, სპს-ისა და კს-ის მართვის ძირითადი ორგანოებია — პარტნიორთა საერთო კრება და ხელმძღვანელი პარტნიორები, შპს-ებში — პარტნიორთა კრება და დირექტორები, ხოლო სს-ებსა და კომპლემენტარებში — აქციონერთა (კოოპერატივის წევრთა) საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი (გამგეობა).

კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს საზოგადოებათა ორ ჯგუფს, რომელშიც განსხვავებულად არის მოწესრიგებული ხელმძღვანელობის საკითხი.

პირველ ჯგუფს განეკუთვნება სპს და კს. ამ საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ პარტნიორებს. კერძოდ, სპს-ში — ყველა პარტნიორს. თუ რამდენიმე პარტნიორიდან ერთ-ერთს დაეკისრება დირექტორობა, მას ეწოდება დირექტორ-პარტნიორი. კს-ში ხელმძღვანელობის უფლება

მხოლოდ პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს აქვთ, რომლებსაც დირექტორ-პარტნიორები ეწოდებათ რაც შეეხება კომანდიტებს ისინი გამორიცხული არიან საზოგადოების მართვიდან.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება შპს, სს, კოოპერატივი. მათში ხელმძღვანელობის ფუნქცია აკისრიათ დირექტორებს. დირექტორი შეიძლება იყოს როგორც პარტნიორი, ასევე გარეშე პირი.

ხელმძღვანელობით საქმიანობად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზანს.

არა ყველა პირის ან ყოველგვარი საქმიანობა მიიჩნევა ხელმძღვანელობით საქმიანობად, არამედ მხოლოდ კანონის 9.1 მუხლში დასახელებული პირების მოქმედება. ეს მოქმედება მიზნად უნდა ისახავდეს საზოგადოებისადმი მომსახურებას. ეს მიზანი შეიძლება გამოიხატოს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ. მაგალითად, როცა ავტოქარხნის დირექტორი დებს ხელშეკრულებას ქარხანასთან საბურავების მიწოდების შესახებ, ამით იგი პირდაპირ ემსახურება საწარმოს მიზანს. მაგრამ თუ იგი რესტორანში პატიჟებს საბურავების ქარხნის დირექტორს, რომელიც სტუმრად იმყოფება და უნდა გააფორმოს ეს ხელშეკრულება, ესეც ჩაითვლება საზოგადოების საშსახურისათვის განხორციელებულ მოქმედება ოღონდ ამჯერად არაპირდაპირ მომსახურებად.

საზოგადოების მიზნებისათვის განხორციელებული მოქმედება უნდა ანაზღაურდეს საზოგადოების მიერ.

ერთმანეთისაგან განსხვავდება საზოგადოების ხელმძღვანელობის ერთპიროვნული და კოლეგიური ფორმები. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთი პარტნიორის ან დირექტორის მიერ საზოგადოების ერთპიროვნულად მართვის უფლებამოსილებას, მაგრამ აგრეთვე აწესებს, რომ ორი დირექტორი მხოლოდ ერთობლივად შეიძლება გაუძღვეს საზოგადოებას, ანდა ყველა დირექტორი ვალდებული იყოს ერთად გასწიოს ხელმძღვანელობა.

საზოგადოების ხელმძღვანელობის ულებამოსილებები შეიძლება ზოგ შემთხვევაში შეიზღუდოს. ასეთი შეზღუდვის ყველაზე გავრცელებული ფორმაა გარკვეული საქმეებისათვის სამეთვალყურეო ორგანოების ან საზოგადოების კრების აუცილებელი თანხმობის დაწესება. მაგალითად, სააქციო საზოგადოება ,,ქართული ფილმის'' წესდება ითვალისწინებს, რომ დირექტორებს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე არა აქვთ

უბრავი ქონების გაყიდვის ან დაგირავების უფლება. ეს მოთხოვნა კანონის 55.9-ე მუხლის ბ პუნქტიდან გამომდინარეობს. ამიტომ კონტრაგენტი, რომელიც დირექტორთან დებს მიწის ნაკვეთის ყიდვის ხელშეკრულებას, უნდა დაინტერესდეს, აქვს თუ არა დირექტორს ასეთი თანხმობა.

საზოგადოების ხელმძღვანელობის საგარეო ურთიერთობები ხელმძღვანელობითი საქმიანობის მეტად მნიშვნელოვანი სფეროა. 9.4-ე მუხლის თანახმად, დირექტორ-პარტნიორები და დირექტორები საზოგადოებას წარმოადგენენ მესამე პირთან ურთიერთობაში. ამასთან, მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს. ეს ნიშნავს:

ა) არ შეიძლება დირექტორებს აეკრძალოთ ამ თუ იმ გარიგებათა დადება, იმ გარიგებების გარდა, რომლებიც კანონით სხვა ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება;

ბ) არ შეიძლება დირექტორებს შეეზღუდოს კონტრაგენტების არჩევის უფლებამოსილება.

დირექტორების გარდა, მესამე პირთან ურთიერთობაში საზოგადოება შეიძლება სხვა პირებითაც იყოს წარმოდგენილი. კერძოდ, პროკურისტით ან სავაჭრო წარმომადგენლით. ამიტომ საზოგადოების წესდებით ზუსტად უნდა განისაზღვროს წარმომადგენლობითი უფლებებით აღჭურვილი პირები ერთპიროვნულად იმოქმედებენ თუ ერთობლივად, სხვებთან თუ პროკურისტებთან ერთად. წარმომადგენლობის სახე და წესი აღინიშნება სამეწარმეო რეესტრში.

პარტნიორ-დირექტორებსა და დირექტორებს არა აქვთ უფლება პარტნიორების თანხმობის გარეშე მისდიონ იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით. მაგალითად, თუ პირი მუშაობს შპს ავტომანქანების სარემონტო სამსახურში დირექტორად, მას არ შეუძლია იყოს სხვა საწარმოს დირექტორი. თუ ეს საწარმო სპს ან კს-აა, მას არა აქვს უფლება მათში მიიღოს მონაწილეობა პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის სახით.

მიუხედავად ამისა, პირებს შეიძლება მიეცეთ თანხმობა ასეთი საქმიანობისათვის. ამ თანხმობას იღებს პარტნიორთა საერთო კრება, ხოლო სააქციო საზოგადოებაში კი — სამეთვალყურეო საბჭო. კონკურენციის აკრძალვას არ ექვემდებარება ამ თუ იმ საზოგადოე-

ბის დირექტორების მუშაობა დირექტორად ამ საზოგადოების შვილობილ საზოგადოებაში ან ფილიალებში.

ნებართვის ოფიციალური გაცემის გარდა, არსებობს ასევე მეორე გზა, როცა პარტნიორებმა წინასწარ იცოდნენ, რომ მომავალი დირექტორი უკვე ეწეოდა ასეთ საქმიანობას სხვა საზოგადოებაში, მაგრამ მისთვის ამ საქმისათვის თავის დანებება არ მოუთხოვიათ.

რა შედეგები მოჰყვება კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევას? კერძოდ, ა) დამრღვევი ვალდებულია უკან დააბრუნოს ამ საქმიანობით მიღებული სიკეთე; ბ) დათმოს გასამრჯელოს მიღების მოთხოვნება და გ) აანაზღაუროს ის ზარალი, რაც საზოგადოებას მიადგა მისი საქმიანობის შედეგად.

გადაწყვეტილებას ამ უფლების გამოყენების შესახებ იღებენ პარტნიორები, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას — სამეთვალყურეო საბჭო.

საზოგადოების ხელმძღვანელები მოვალენი არიან საქმეებს გაუძღვნენ ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით.

ამ მოვალეობის შესრულებისათვის დირექტორები პასუხს აგებენ საზოგადოების წინაშე პირადად და მთელი თავისი ქონებით. თუ რამდენიმე დირექტორია სახეზე, მათ სოლიდარული პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ეკისრებათ მათ, ე. ი. დირექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ არ მიუძღვის ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც მიადგა საზოგადოებას და ისინი მოქმედებდნენ ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით.

საზოგადოების ხელმძღვანელი დამოუკიდებელი და, ამავე დროს, მნიშვნელოვანი პირია. იგი ბევრ სასუხისმგებლო გადაწყვეტილებას იღებს, მართავს საზოგადოების ყოველდღიურ საქმეებს. ამიტომ იგულისხმება, რომ ის პარტნიორებზე უკეთ იცნობს საზოგადოების საქმეებს. დირექტორი არ უნდა იყოს პარტნიორების გადაწყვეტილებათა ბრმა შემსრულებელი. პირიქით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან მას არ ათავისუფლებს ის გარემოება, რომ იგი პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად მოქმედებდა. საზოგადოებას შეუძლია დირექტორისაგან ზიანის ანაზღაურება მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოითხოვოს: თუ ეს აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად.

თავი III. კორპორაციები, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს

კერძოსამართლებრივი არა ყველა გაერთიანება მთავრდება იურიდიული პირის შექმნით. ხშირია შემთხვევები, როცა გაერთიანების მსურველები არ არიან დაინტერესებული შექმნან იურიდიული პირი. არის შემთხვევები, როცა შესაქმნელ იურიდიულ პირს ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი — რეგისტრაცია — აკლია და ამის გამო იგი ვერ მიიღებს იურიდიული პირის სტატუსს. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა გაერთიანების ფორმა, რომელიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენს, არის არარეგისტრირებული კავშირი და ამხანაგობა.

§1. არარეგისტრირებული კავშირი

არარეგისტრირებული კავშირები ცხოვრებაში საკმაოდ პოპულარულია. მშობელთა კომიტეტები სკოლებში, ქუჩის კომიტეტები, ქალთა საბჭოები და ა.შ. ის ორგანიზაციები, რომელთათვისაც არ არის სავალდებულო იურიდიულ პირად ჩამოყალიბება.

რეგისტრირებული კავშირისაგან განსხვავებით, რომლის სტრუქტურისა და მართვის ორგანოებს განსაზღვრავს კანონი, არარეგისტრირებული კავშირის მოწყობისა და სტრუქტურის საკითხები განისაზღვრება ამ კავშირის წევრთა ურთიერთშეთანხმებით (45-ე მუხლის პირველი ნაწილი). ურთიერთშეთანხმების სამართლებრივი დოკუმენტი შეიძლება იყოს წესდება ან ხელშეკრულება.

რეგისტრირებული კავშირის მსგავსად, არარეგისტრირებულ კავშირსაც შეიძლება ჰქონდეს თავისი საფირმო სახელწოდება, რომლითაც ის საქმიან ურთიერთობებში გამოდის. ამ სახელწოდებას უნდა ჰქონდეს დამატება „არარეგისტრირებული კავშირი“. ეს აუცილებელია, რათა შეცდომაში არ შევიდნენ ის პირები, რომელთაც ურთიერთობა აქვთ კავშირთან.

არარეგისტრირებული კავშირის მართვის ორგანოების სტრუქტურას კანონი არ განსაზღვრავს. ეს კავშირის წევრთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული. მაგრამ კანონი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ არარეგისტრირებული კავშირი წარმოდგენილი იყოს კავშირის წევრების ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებით (45-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

არარეგისტრირებული კავშირის ქონების ძირითად წყაროს შეადგენს კავშირის წევრთა საწევრო შესატანები. როგორც შესატანები, ისე ამ შესატანებით შეძენილი ქონება შეადგენს არარეგისტრირებული კავშირის საერთო ქონებას. კრედიტორების მოთხოვნები არარეგისტრირებული კავშირის მიმართ შეიძლება დაკმაყოფილდეს ამ ქონებიდან. პასუხისმგებლობის დახასიათებისას მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ არარეგისტრირებული კავშირის პასუხისმგებლობასთან ერთად, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს კავშირის წევრების სოლიდარულ პასუხისმგებლობასაც. კერძოდ, კავშირის კრედიტორების წინაშე, როგორც სოლიდარული მოვალეები, პერსონალურად აგებენ პასუხს კავშირის ის წევრები, რომლებიც მისი სახელით მოქმედებდნენ.

პოსტსოციალისტურ სამართლებრივ ცნობიერებაში პრობლემური შეიქნა საკითხი იმ ორგანიზაციებისათვის საბანკო ანგარიშების გახსნის შესახებ, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. სამოქალაქო კოდექსმა ეს საკითხი მოაწესრიგა. სამოქალაქო კოდექსის 1517-ე მუხლის ა ქვეპუნქტის თანახმად, ეროვნული ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს საბანკო მომსახურების ხელშკრულებათა თავისუფალი დადება იმ ორგანიზაციული წარმონაქმნებისათვის, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. პრაქტიკულად ეს ნიშნავს იმას, რომ არარეგისტრირებულ კავშირს შეიძლება ბანკში ჰქონდეს ისეთივე ანგარიშები, როგორიც აქვთ იურიდიულ პირებს.

თავისი სამართლებრივი ბუნებით არარეგისტრირებული კავშირი ჰგავს ამხანაგობას, რომლის სამართლებრივ საფუძველს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება წარმოადგენს. ამიტომ პრაქტიკულად იბადება კითხვა – თუ რა განსხვავებაა ამ ორ ფორმას შორის. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის აუცილებლობა იმითაც არის განპირობებული, რომ არც ერთი ეს ორგანიზაციული წარმონაქმნი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. ამ მსგავსების მიუხედავად, განსხვავება მათ შორის მაინც არსებითია, კერძოდ, ეს განსხვავებებია:

ა. არარეგისტრირებული კავშირი იქმნება არასამეწარმეო, ე. წ. იდეალური მიზნებისათვის; ამხანაგობის შექმნისას კი უფრო საერთო სამეურნეო მიზნების მიღწევა დომინირებს (930-ე მუხლი);

ბ. არარეგისტრირებული კავშირის საქმიანობა არ არის ორიენტირებული მოგების მიღებაზე, მაშინ, როცა ამხანაგობის საქმიანობა

მიზნად ისახავს ასეთი შემოსავლების მიღებას და კანონიც ითვალისწინებს შემოსავლების განაწილების წესს (935-ე მუხლი);

გ. ამხანაგობის ყველა მონაწილე სოლიდარულად აგებს პასუხს ამხანაგობის კრედიტორების წინაშე (937-ე მუხლი), მაშინ, როცა არარეგისტრირებული კავშირის დროს პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც კავშირის სახელით მოქმედებდნენ.

§2. ამხანაგობა (ერთობლივი საქმიანობა)

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად (მუხლი 930-ე).

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს წერილობით ან ზეპირად. თუ ხელშეკრულება დადებულია წერილობით, მაშინ იგი უნდა შეიცავდეს: ა. მონაწილეთა დასახელებასა და მისამართს; ბ. მონაცემებს ერთობლივი საქმიანობის სახეობისა და მიზნის შესახებ; გ. მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს; დ. მართვის ორგანოთა სტრუქტურასა და ფუნქციებს; ე. მონაწილეთა შორის შემოსავლების, ზიანის განაწილების წესსა და პირობებს; ვ. ხელშეკრულებიდან გასვლის წესს; ზ. საქმიანობის ხანგრძლივობას; თ. ხელშეკრულების მოშლისა და დარჩენილი ქონების განაწილების წესს.

მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანები. თუ ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული მისი ოდენობა, თითოეული მონაწილე მოვალეა შეიტანოს იგი თანაბრად. მისი შეტანა შესაძლებელია როგორც ქონებით, ასევე მომსახურების წესით.

თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შესატანები წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას.

წილი ქონების ან უფლების სახით არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირს ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე. უარი თანხმობაზე დაიშვება მხოლოდ პატივსადები მიზეზების არსებობისას. ხელშეკრულების დანარჩენ მონაწილეებს აქვთ მესამე პირისათვის გადასაცემი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.

თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, მისი მონაწილეები ერთობლივად უძღვებიან საქმეებს და წარმოადგენენ ამხანაგობას

მესამე პირებთან ურთიერთობაში. ყოველი გარიგების დადებისას საჭიროა ხელშეკრულების ყველა მონაწილის თანხმობა. შემოსავლები მონაწილეებს შორის ნაწილდება წილის შესაბამისად.

ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა ის მოთხოვნები ერთმანეთის მიმართ, რომლებიც გამომდინარეობს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან, არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს.

ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

ერთობლივი საქმიანობის მონაწილეები ვალდებულნი არიან არ გაახმაურონ ამ საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

თუ ხელშეკრულება პირდაპირ არ განსაზღვრავს ერთობლივი საქმიანობის ვადას, ყოველ მონაწილეს ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ამ საქმიანობაში მონაწილეობაზე. ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია ისეთ დროს ან ისეთ გარემოებაში, რომელიც საზიანო იქნება ერთობლივი საქმიანობისათვის.

ერთ-ერთი მონაწილის გასვლა იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას. ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთ-ერთი მონაწილის გასვლას ერთობლივი საქმიანობის შეუწყვეტლად. ასეთ შემთხვევაში გამსვლელის წილი განაწილდება სხვა მონაწილეებს შორის. გამსვლელ მონაწილეს წილის კომპენსაცია მიეცემა ფულადი სახით.

ბათილია შეთანხმება, რომელიც აუქმებს ან ზღუდავს ხელშეკრულებიდან მონაწილის გასვლის უფლებას.

კარი მეშვიდე

შრომის სამართალი

თავი I. შრომის სამართლის ცნება და საგანი

შრომის სამართალი კერძო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. იგი ძირითად როლს ასრულებს მუშაკსა და დამსაქმებელს შორის შრომითი ურთიერთობის რეგულირების საქმეში.

იმისათვის, რათა განისაზღვროს შრომის სამართლის ცნება, უნდა გაირკვეს შრომითი ურთიერთობის არსი.

შრომითი ურთიერთობა ნებელობითი ურთიერთობაა (მხარეთა ნების საფუძველზე აღმოცენებული ურთიერთობა). იგი იქმნება წარმოების პროცესში ადამიანის შრომითი მონაწილეობის შედეგად და მისი რეგულირება ხდება შრომის სამართლის ნორმებით.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ შრომის სამართალი აწესრიგებს არა ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას (მაგალითად, დიასახლისის შრომა თავის ოჯახში), არამედ შრომას საზოგადოებრივ წარმოებაში.

შრომის სამართლის საგანს, ანუ რეგულირების ობიექტს წარმოადგენს არა მხოლოდ შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის პროცესში წარმოშობილი ურთიერთობები, არამედ ისეთი ურთიერთობებიც, როგორიცაა: მუშა-მოსამსახურეთა უფლება მონაწილეობდნენ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში; სახელმწიფო სოციალური დაზღვევა; ზედამხედველობა შრომის კანონმდებლობის შესრულებაზე და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შრომის სამართალი აწესრიგებს შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის პროცესში წარმოშობილ და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობებს მონაწილეთა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად. სწორედ ამ ურთიერთობათა კომპლექსია შრომის სამართლის რეგულირების საგანი, ანუ რეგულირების ობიექტი, რომელთა შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა შრომით ურთიერთობებს ენიჭება.

შრომის სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, მუშაკი და მეორე მხრივ, — დამსაქმებელი.

შრომის სამართლებრივ ურთიერთობებში მუშაკი (მუშა ან მოსამ-

სახურე) შეიძლება იყოს როგორც ჩვენი ქვეყნის მოქალაქე, ასევე უცხოელიც, ხოლო დამსაქმებლად შეიძლება გამოვიდეს როგორც საჯარო სამართლის, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირი (საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია მისი ადმინისტრაციის სახით). კანონი საჯარო სამსახურის შესახებ ადგენს მოსამსახურეთათვის განსხვავებულ წესებს, მაგრამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შრომის კანონთა კოდექსის მოქმედება ვრცელდება საჯარო მოსამსახურეებზეც.

შრომის სამართლებრივი ურთიერთობა გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, კერძოდ, აღნიშნულ ურთიერთობაში მონაწილე მხარეს (მუშაკს) ეკრძალება თავისი უფლებამოსილება სხვას დაუთმოს, ე.ი. თავის მაგივრად დამსაქმებლის ნებართვის გარეშე სხვა პირი ჩააბას შრომით ურთიერთობებში, ასევე დამსაქმებელს არა აქვს უფლება სათანადო საფუძვლის გარეშე ერთი მუშაკი შეცვალოს სხვა მუშაკით.

შრომის სამართლებრივი ურთიერთობა ხანგრძლივი პროცესია. იგი გრძელდება მანამდე, სანამ არ შეწყდება ამ ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი, ამასთან, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებებიც განსხვავებულია. დამსაქმებელს შეუძლია განახორციელოს დისციპლინური ხასიათის ღონისძიებანი იმ მუშაკის მიმართ, რომელიც არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს შრომით მოვალეობებს, არღვევს შინაგანაწესსა და შრომის კანონმდებლობას, რაც შეეხება მუშაკს, იგი უნდა მოქმედებდეს შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) ფარგლებში.

შრომის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველს იურიდიული ფაქტები წარმოადგენენ.

შრომის სამართლებრივი ურთიერთობის აღმოცენების ძირითადი საფუძველია შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი), მაგრამ ზოგიერთი კატეგორიის მუშაკისათვის ასეთი ურთიერთობის წარმოშობას წინ უსწრებს სხვა იურიდიული ფაქტი, კერძოდ, იმ პირთათვის, რომლებიც სამუშაოზე მიიღებიან კონკურსის წესით (მეცნიერ მუშაკები, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მუშაკები და ა.შ.), შრომის ხელშეკრულების დადებას წინ უსწრებს მოცემულ თანამდებობაზე მათი კონკურსის წესით არჩევა, ხოლო იმ მუშაკებისათვის, რომლებიც არჩევის წესით იკავებენ თანამდებობას, მათთან შრომის ხელშეკრულების დადებას წინ უსწრებს არჩევნების ჩატარების ფაქტი და ა.შ.

თავი I. შრომის ხელშეკრულება

ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებთან ერთად საქართველოს კონსტიტუცია მოქალაქეებს ანიჭებს შრომის უფლებას, ამასთან, საბჭოთა კონსტიტუციისაგან განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს შრომის თავისუფლებას.

კონსტიტუციით აღიარებულ შრომის თავისუფლებაში იგულისხმება მოქალაქის უფლება – თავის შეხედულებისამებრ შრომისადმი სურვილის, უნარისა და პროფესიის შესაბამისად შეარჩიოს სამუშაო ან საერთოდ არ იმუშაოს.

კონსტიტუციით მინიჭებული შრომის თავისუფლების რეალიზაციის ძირითადი ფორმაა შრომის ხელშეკრულება ანუ კონტრაქტი.

შრომის კანონმდებლობა იძლევა შრომის ხელშეკრულების ლეგალურ განმარტებას, კერძოდ, შრომის ხელშეკრულება არის შეთანხმება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და მუშაკს შორის, რომლითაც ერთი მხარე – საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს მუშაკი შრომის სათანადო პირობებით, გადაუხადოს ხელფასი იმ ოდენობით, რაც შრომის ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, ხოლო მეორე მხარე – მუშაკი ვალდებულებას იღებს შეასრულოს გარკვეული სამუშაო სპეციალობის, კვალიფიკაციისა და თანამდებობის გათვალისწინებით, დაიცვას შრომის ხელშეკრულების პირობები, დაემორჩილოს შრომის შინაგანაწესს.

როგორც განმარტებიდან ჩანს, მხარეებად შრომის ხელშეკრულებაში გამოდიან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია (დამქირავებელი), ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, და მუშაკი (დაქირავებული), როგორც სამუშაოს შემსრულებელი.

შრომის ხელშეკრულება განსაზღვრავს მოცემულ ორგანიზაციაში მუშაკის სამართლებრივ მდგომარეობას, რომლის შინაგანაწესსაც იგი უნდა დაემორჩილოს.

შრომის ხელშეკრულების საგანია მუშაკის ყოველდღიური შრომითი საქმიანობა, ე.ი. ცოცხალი შრომა, ხოლო შრომის პროცესი შრომის ხელშეკრულებაში ვალდებულების შესრულების საშუალებაა.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ შრომის ხელშეკრულება არის ორმხრივი შეთანხმება, იგი არ შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობით, ასევე არ დაიშვება შრომითი ვალდებულების სხვა პირზე დაკისრება.

შრომის უფლება-ქმედუნარიანობა მუშაკს სრული მოცულობით აღმოუცენდება თექვსმეტი წლის ასაკიდან, თუმცა კანონის თანახმად გამონაკლის შემთხვევებში საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფესიულ კომიტეტთან შეთანხმებით შეიძლება სამუშაოზე მიღებულ იქნეს პირი, რომელსაც თხუთმეტი წელი შეუსრულდა. სწავლისაგან თავისუფალ დროს, მშობლის ან მისი შემცვლელი პირის თანხმობით, მსუბუქი სამუშაოს შესასრულებლად სამუშაოზე შეიძლება მიღებულ იქნეს თოთხმეტი წლის ასაკის პირიც.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონით საჯარო სამსახურის შესახებ.

აღნიშნული კანონის თანახმად, სახელმწიფო მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია ოცდაერთი წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს, აქვს საშუალო განათლება და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

ორგანიზაცია, იურიდიული პირი იმ შემთხვევაში გამოდის შრომის სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად, თუკი მას გააჩნია უფლება-ქმედუნარიანობა სამუშაოზე მიიღოს და გაათავისუფლოს მუშაკი. შრომის სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად შეიძლება გამოვიდეს ასევე ისეთი ორგანიზაცია, რომელიც არ არის იურიდიული პირი, მაგრამ ახორციელებს მის ფუნქციებს, მაგალითად, ფილიალი. დამსაქმებლის როლში შეიძლება გამოვიდეს ასევე ფიზიკური პირი.

ორგანიზაციის სახელით მუშაკთან შრომის ხელშეკრულებას (კონტრაქტს) დებს მისი ხელმძღვანელი ან ადმინისტრაციის წარმომადგენელი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელმძღვანელი მუშაკები და პასუხისმგებელი თანამდებობის პირები თანამდებობებზე მიიღებიან დანიშვნის ან არჩევის წესით, ხოლო დანიშვნა ხდება ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ.

შრომის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს: 1. განუსაზღვრელი ვადით; 2. განსაზღვრული ვადით; 3. გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით.

განუსაზღვრელი ვადით იდება შრომის ხელშეკრულება, როდესაც მხარეების მიერ გარკვეულია სამუშაო ადგილი, მუშაკის შრომითი ფუნქცია და ხელფასის ოდენობა, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ დამატებით პირობებზეც. უმეტეს შემთხვევაში იდება სწორედ ასეთი ჩვეულებრივი ხელშეკრულება.

შრომის ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით, მუშაობის პერიოდის წინასწარი მითითებით, არ უნდა აღემატებოდეს სამ წელს.

გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით დადებული შრომის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელია სამუშაოთა მოცულობისა და ხასიათის წინასწარი განსაზღვრა. აღნიშნული ხელშეკრულება შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: 1. შრომის ხელშეკრულება დროებით სამუშაოზე; 2. შრომის ხელშეკრულება სეზონურ სამუშაოზე; 3. შრომის ხელშეკრულება გარკვეული სამუშაოს შესრულებაზე, რომლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია შესასრულებელი სამუშაოს დამთავრებაზე.

§1. შრომის ხელშეკრულების დადების წესი

შრომის კანონმდებლობა ადგენს მუშაკის სამუშაოზე მიღების გარკვეულ წესს და იძლევა იურიდიულ გარანტიებს.

სამუშაოდ მიღებისას დაუშვებელია ადამიანის უფლებათა პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

შრომის კანონმდებლობა ასევე კრძალავს სამუშაოზე მიღებისას ქალებისათვის უარის თქმასა და მათთვის ხელფასის შემცირებას ორსულობისა ან სამ წლამდე ასაკის ბავშვთა ყოლის მოტივით, ხოლო

მარტოხელა დედებისათვის თოთხმეტ წლამდე ასაკის ბავშვის ყოლის (თექვსმეტ წლამდე ინვალიდი ბავშვის ყოლის) გამო.

ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის წესდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებული ახალგაზრდების, აგრეთვე თვრამეტ წლამდე ასაკის სხვა პირთა სამუშოსა და წარმოებაში პროფესიული სწავლებისათვის მიღების ჯავშანი. აკრძალულია სამუშაოზე და პროფესიული სწავლებისათვის ჯავშნის ანგარიშზე გაგზავნილ პირთა მიღებაზე უარის თქმა. ასეთი უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

ამდენად, შრომის კანონთა კოდექსით პირდაპირაა განსაზღვრული ის შემთხვევები, როდესაც მუშაკს არ შეიძლება უარი ეთქვას სამუშაოზე მიღებისას.

შრომის ხელშეკრულების დადებისას, მხარეთა შეთანხმებით შესასრულებელი სამუშაოსათვის შესაბამისობის შემოწმების მიზნით, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საგამოცდო ვადა.

საგამოცდო ვადის პირობები განისაზღვრება შრომის ხელშეკრულებით, საგამოცდო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ადმინისტრაციას შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ მუშაკს დაუწესოს მოკლევადიანი საგამოცდო ვადა, ეს დამოკიდებულია სამუშაოს ხასიათსა და მის სირთულეზე. საგამოცდო ვადა იანგარიშება კალენდარული დღეებით, ე.ი. მასში შედის არასამუშაო დღეებიც. საგამოცდო ვადაში ითვლება მხოლოდ ფაქტობრივად ნამუშევარი დრო. თუ სამუშაო ვადა დამთავრდა და ადმინისტრაცია თვლის, რომ შედეგი არადამაკმაყოფილებელია, მას აქვს უფლება მოშალოს მუშაკთან დადებული შრომის ხელშეკრულება. სამუშაოდან ასეთი გათავისუფლება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

საგამოცდო ვადის გარეშე სამუშაოზე მიიღებიან პირები, რომლებსაც არ შესრულებიათ თვრამეტი წელი; მუშაკი, რომელიც მისი თანხმობით გადაჰყავთ სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ან რომელსაც სამუშაოდ გზავნიან ტერიტორიულად სხვა ადგილას. საგამოცდო ვადა არ დაუწესდებათ პირებს, რომლებიც სამუშაოზე იგზავნებიან პროფესიული სწავლების გავლის შემდეგ ჯავშნის ანგარიშზე; აგრეთვე პირები, რომლებიც სამუშაოზე მიიღებიან განსაზღვრული ვადით ან გარკვეული სამუშაოს შესრულების

ვადით, ასევე არჩევით თანამდებობებსა და კონკურსის წესით მისაღებ პირებს.

საქართველოს კანონში საჯარო სამსახურის შესახებ აღნიშნულია, რომ პირს, რომელსაც მოხელის სამსახურში მიღების უფლება აქვს, შეუძლია მის თანამდებობაზე დანიშვნისას გამოიყენოს ექვსთვიანი საგამოცდო ვადა. საჯარო სამსახურში მიღებისას გამოსაცდელი ვადა არ გამოიყენება კანონმდებლობით მითითებულ ზოგიერთ შემთხვევებში.

მუშაკთა გარკვეული კატეგორია შრომის ხელშეკრულების დადებამდე გაივლის სამედიცინო შემოწმებას. სამუშაოზე მისაღები პირის სამედიცინო შემოწმება ემსახურება შრომის დაცვის საქმეს. იგი ტარდება როგორც მუშაკის, ასევე მოსახლეობისა და საწარმოო ინტერესების დაცვის მიზნით.

სამედიცინო შემოწმებას გადიან: 18 წლამდე ასაკის პირები; მძიმე სამუშაოებზე (მათ შორის მიწისქვეშა სამუშაოებზე), ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე დასაქმებული პირები; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით კვების მრეწველობის, საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის საწარმოთა, წყალსადენის ნაგებობათა, აგრეთვე ისეთ სამუშაოებზე მომუშავე პირები, რომელთაც უშუალო კონტაქტი აქვთ ადამიანებთან.

ზოგიერთ შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულების დადებას შეიძლება წინ უსწრებდეს კონკურსის გამოცხადება, რომლის შედეგების შეჯამების საფუძველზე შეიძლება დაიდოს შრომის ხელშეკრულება. ასეთ თანამდებობებს განეკუთვნება უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა, მეცნიერ მუშაკთა ვაკანტური თანამდებობები, ასევე თეატრების, ტელევიზიისა და შემოქმედებითი მუშაკების საშტატო ადგილები.

კონკურსის წესით თანამდებობაზე დანიშვნას ითვალისწინებს ასევე კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, რომლის თანახმადაც, პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს კონკურსის შედეგების გათვალისწინებით.

სამუშაოზე მიღებისას მუშაკმა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციას უნდა წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი, შრომის წიგნაკი; ხოლო თუ პირველად იწყებს მუშაობას და შრომის წიგნაკი არა აქვს, ცნობა ადრინდელი საქმიანობის შესახებ; განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა; სამხედრო ბილეთი, ასევე ცნობა ჯანმრთელობის მდგო-

მარეობის შესახებ, თუ ამას ითვალისწინებს სამუშაოს სპეციფიკა.

აკრძალულია სამუშაოზე მისაღები პირებისაგან კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი საბუთების მოთხოვნა, მაგალითად, ადრინდელი სამუშაო ადგილიდან დახასიათება, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

შრომის ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით და ძალაშია მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან, თუ მასში სხვა რამ არ არის მითითებული.

სამუშაოზე მიღება ფორმდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ბრძანებით (განკარგულებით). ბრძანების (განკარგულების) გამოცხადების შესახებ მუშაკს უნდა ჩამოერთვას ხელწერილი.

ადმინისტრაცია ვალდებულია პირს, რომელიც პირველად იწყებს მუშაობას, საქმიანობის დაწყების პირველსავე კვირას შეუვსოს შრომის წიგნაკი. შრომის წიგნაკი ივსება ყველა მუშასა და მოსამსახურეზე, რომლებიც საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობენ ხუთ დღეზე მეტს.

შრომის წიგნაკში შეაქვთ შემდეგი მონაცემები: მუშაკის გვარი, სახელი, ასაკი, განათლება, პროფესია, მონაცემები მუშაობის, ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლის შესახებ, სამუშაოდან წასვლის მიზეზი, წახალისებისა და დაჯილდოების სახეები და ა.შ. დისციპლინური სასჯელი შრომის წიგნაკში არ ჩაიწერება.

მუშაობის პერიოდში შრომის წიგნაკი ინახება ადმინისტრაციასთან და მუშაკს მიეცემა შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში იმავე დღეს.

§2. მუშათა და მოსამსახურეთა სხვა სამუშაოზე გადაყვანა

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში კადრების რაციონალურად გამოყენების, აგრეთვე კვალიფიციური კადრების სხვადასხვა რეგიონებში გადანაწილების მიზნით, ფართოდ გამოიყენება კანონმდებლობა მუშა-მოსამსახურეთა სხვა სამუშაოზე გადაყვანის შესახებ.

შრომის კანონმდებლობა კრძალავს მუშათა და მოსამსახურეთა დასაქმებას შრომის ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე. მუშაკის სხვა სამუშაოზე გადაყვანა შესაძლებელია მხოლოდ შრომის ხელშეკრულების მხარეთა ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში.

მუშაკის სხვა სამუშაოზე გადაყვანად ითვლება მუდმივ სამუშაოზე შრომის ხელშეკრულების ისეთი არსებითი პირობების შეცვლა, როგორიცაა: სამუშაო ადგილი, სამუშაოს სახეობა, პროფესია, სპეციალობა, თანამდებობა, შრომის ხელფასი და შრომის სხვა მნიშვნელოვანი პირობები.

სხვა მუდმივ სამუშაოზე გადაყვანა იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, აგრეთვე სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ან ტერიტორიულად სხვა ადგილას თუნდაც საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან ერთად, დასაშვებია მხოლოდ მუშის ან მოსამსახურის თანხმობით. სხვა სამუშაოზე გადაყვანა შეიძლება გამოწვეული იყოს კვალიფიკაციის ამაღლებით, მუშაკის მიერ სხვა პროფესიის შეთავსებით ან შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის გაზრდით, მუშაკის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნით. სხვა სამუშაოზე გადაყვანა შეიძლება განპირობებული იყოს ატესტაციის შედეგითაც და ა.შ.

მუშაკის თანხმობა სხვა მუდმივ სამუშაოზე გადაყვანისას შეიძლება გამოხატული იყოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი სახით. საერთოდ, სასურველია თანხმობა გამოიხატოს წერილობითი ფორმით — განცხადებით ანდა ბრძანებაზე მუშაკის ხელმოწერით.

სხვა მუდმივ სამუშაოზე გადაყვანამდე ადმინისტრაცია ვალდებულია მუშაკს გააცნოს ახალი სამუშაოს სპეციფიკა და შრომის პირობები.

შრომის კანონმდებლობით ასევე დასაშვებია მუშაკის დროებით გადაყვანა შრომის ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ სხვა სამუშაოზე, რომელიც შეიძლება მოხდეს როგორც ადმინისტრაციის ინიციატივით, ასევე მუშაკის თხოვნით.

ადმინისტრაციას უფლება აქვს საწარმოო აუცილებლობის გამო, ან მოცდენის შემთხვევაში მუშაკი დროებით, თანხმობის გარეშე, გადაიყვანოს სხვა სამუშაოზე. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციის განკარგულების შეუსრულებლობა ჩაითვლება შრომის დისციპლინის დარღვევად, ხოლო მუშაკის სამუშაოზე გამოუცხადებლობა კი — სამუშაოს გაცდენად.

საწარმოო აუცილებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციას უფლება აქვს ერთ თვემდე ვადით გადაიყვანოს მუშები და მოსამსახურეები შრომის ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ სამუშაოზე იმავე საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში ან ტერიტორიულად იმავე ადგილას მდებარე სხვა საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, ამ

შემთხვევაში შრომა უნდა ანაზღაურდეს შესრულებული სამუშაოს მიხედვით, მაგრამ არანაკლებ წინანდელი საშუალო ხელფასისა.

ამგვარი გადაყვანა დასაშვებია: სტიქიური უბედურების, საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად თუ სალიკვიდაციოდ, ან მათი შედეგების დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად; უბედური შემთხვევების, მოცდენის, ქონების დაღუპვის ან გაფუჭების თავიდან ასაცილებლად და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში.

პრაქტიკაში გავრცელებულია საწარმოო აუცილებლობის გამო მუშაკთა სხვა სამუშაოზე გადაყვანის ისეთი სახე, როგორიცაა: მუშაკის გადაყვანა შრომის ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ სამუშაოზე დროებით, ერთ თვემდე ვადით, კალენდარული წლის განმავლობაში, სამუშაოზე გამოუცხადებელი მუშის ან მოსამსახურის შესაცვლელად. იგი გამოიყენება მუშაკის ავადმყოფობის, შვებულებაში ყოფნის შემთხვევაში და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კატეგორიულად იკრძალება კვალიფიციური მუშებისა და მოსამსახურეების გადაყვანა არაკვალიფიციურ სამუშაოზე.

მუშაკის სხვა სამუშაოზე დროებით გადაყვანა, საწარმოო აუცილებლობის გამო, უნდა გაფორმდეს ბრძანებით, რომელშიც აღინიშნება გადაყვანის ვადა და მიზეზი. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს მუშაკის თანხმობის შემთხვევაში.

საწარმოო ხასიათის მიზეზების გამო, დასაშვებია გარკვეულ სამუშაოთა დროებითი შეჩერება. მუშახელის მოცდენის თავიდან აცილების მიზნით, კანონი უშვებს მუშებისა და მოსამსახურეების გადაყვანას სხვა სამუშაოზე მათი სპეციალობისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით მოცდენის მთელი დროის მანძილზე, ხოლო ტერიტორიულად იქვე მდებარე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ერთ თვემდე ვადით. ამ შემთხვევაში მუშებსა და მოსამსახურეებს უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი, ხოლო იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ვერ ასრულებენ ნორმებს ან გადაყვანილი არიან დროებლივი ანაზღაურების სამუშაოზე, უნარჩუნდებათ თავიანთი სატარიფო განაკვეთი (სარგო).

კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზოგიერთ შემთხვევაში, კერძოდ, ავადმყოფობის, ფეხმძიმობის გამო ან ბავშვის კვებასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციამ მუშაკის თხოვნით უნდა უზრუნველყოს მისი სხვა სამუშაოზე დროებით გადაყვანა.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უფრო მსუბუქ, დაბალხელფა-

სიან სამუშაოზე გადაყვანის დროს მუშებსა და მოსამსახურეებს შეუნარჩუნდებათ წინანდელი საშუალო ხელფასი ორი კვირის განმავლობაში სამუშაოზე გადაყვანის დღიდან, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში წინანდელ საშუალო ხელფასს ინარჩუნებენ დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების მთელი დროის მანძილზე, ან იღებენ დახმარებას სახელმწიფო, სოციალური დაზღვევის ხაზით.

ორსულ ქალებს სამედიცინო დასკვნის შესაბამისად შეუმცირდებათ გამომუშავებისა და მომსახურეობის ნორმები ან ისინი წინანდელი საშუალო ხელფასის შენარჩუნებით გადაჰყავთ სხვა უფრო მსუბუქ სამუშაოზე, რომელიც გამორიცხავს არახელსაყრელი საწარმოო ფაქტორების ზემოქმედებას.

წლინახევრის ასაკამდე ბავშვიანი ქალები იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ადრინდელი სამუშაოს შესრულება, წინანდელი საშუალო ხელფასის შენარჩუნებით გადაჰყავთ სხვა სამუშაოზე, ვიდრე ბავშვს წლინახევრის ასაკი შეუსრულდება.

აღნიშნულ შემთხვევაში მუშაკის მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანის უზრუნველყოფა ადმინისტრაციის მოვალეობაა. თუკი ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო მუშაკის მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანა, იგი უფლებამოსილია გამოცხადდეს სამუშაოზე, შეასრულოს სამუშაო შესაძლებლობის ფარგლებში და მიიღოს წინანდელი საშუალო ხელფასი.

§3. შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა მართლზომიერად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი და დაცულია მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის არსებული წესი.

შრომის კანონმდებლობის თანახმად, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საერთო საფუძვლებია:

ა. მხარეთა შეთანხმება. შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეთა შეთანხმებით ძირითადად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები დადგენილ ვადაზე ადრე წყვეტენ ვადიან შრომის ხელშეკრულებას, ანდა გარკვეული სამუშაოს შესრულების მიზნით დადებულ შრომის ხელშეკრულებას ამ სამუშაოს დამთავრებამდე.

ბ. ვადის გასვლა. შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლა, თუ

იგი დადებული იყო განსაზღვრული ან გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია, მაგრამ თუ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ შრომითი ურთიერთობა ფაქტობრივად გრძელდება და არც ერთი მხარე არ ითხოვს მის შეწყვეტას, შრომითი ურთიერთობა ფაქტობრივად გრძელდება განუსაზღვრელი ვადით.

გ. პირის სამხედრო სამსახურში გაწვევა ან სამხედრო სამსახურში შესვლა, რასაც მოჰყვება შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო სამსახურში გაწვეული პირი საპატიო მიზეზის გამო სამსახურიდან ვადაზე ადრე გათავისუფლდა, მას სამუშაო უნდა მისცეს ადგილობრივი მმართველობის ორგანომ.

დ. შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა მუშაკის ან ადმინისტრაციის ინიციატივით. აღნიშნული საფუძველი შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის ყველაზე გავრცელებული საფუძველია.

ე. მუშაკის თანხმობით მისი სხვა სამუშაოზე, მათ შორის არჩევით თანამდებობაზე გადასვლა. მუშაკის თანხმობით სხვა სამუშაოზე გადასვლისას აუცილებელია მისივე წერილობითი თანხმობა, ხოლო არჩევით თანამდებობაზე გადასვლისას საჭიროა თანამდებობაზე არჩევის აქტის წარდგენა.

ვ. საწარმოო აუცილებლობის ან სამუშაო რეჟიმის შეცვლის გამო სხვა სამუშაოზე გადაყვანისას მუშაკის უარი, შეიძლება შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი გახდეს.

ზ. სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, რითაც მუშაკი მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით პირობითი მსჯავრისა და განაჩენის აღსრულების გადადების გარდა, ან სხვა სასჯელით, რომელიც სხვა სამუშაოს გაგრძელების შესაძლებლობას გამორიცხავს. სხვა სასჯელად ჩაითვლება გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, პირობითი მსჯავრი შრომაში სავალდებულო ჩაბმით და სხვა.

შრომის კანონთა კოდექსი ადგენს მუშაკის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის ორ განსხვავებულ წესს: განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა მუშაკის ინიციატივით და ვადიანი ხელშეკრულების მოშლა მუშის ან მოსამსახურის ინიციატივით.

მუშაკს უფლება აქვს მოითხოვოს ადმინისტრაციისაგან განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა, რის შესახებაც მან ორი კვირით ადრე წერილობით უნდა გააფრთხილოს ადმინისტრაცია, ხოლო საპატიო მიზეზით შრომის ხელშეკრულების შეწყვეტისას ადმინისტრაცია წერილობით სამი დღით ადრე უნდა იქნეს გაფრთხილებული. საპატიო მიზეზად ჩაითვლება: ავადმყოფი ოჯახის წევრის ან პირველი ჯგუფის ინვალიდის მოვლა; თანამდებობაზე არჩევა; საშუალო სპეციალურ ან უმაღლეს სასწავლებელში, ასპირანტურაში ან ორდინატურაში ჩარიცხვა წარმოებიდან მოწყვეტით და ა.შ.

აღნიშნული ვადების გასვლის შემდეგ მუშაკს უფლება აქვს შეწყვიტოს მუშაობა და შრომის ხელშეკრულება ძალადაკარგულად ჩაითვლება. ადმინისტრაცია მოვალეა გაუსწოროს მუშაკს საბოლოო ანგარიში და დაუბრუნოს შრომის წიგნაკი.

მუშაკისა და ადმინისტრაციის შეთანხმებით შრომის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს დადგენილ ვადაზე ადრეც.

გაფრთხილების იურიდიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილი ვადის გასვლამდე არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის ნების გარეშე შეწყვიტოს შრომის ხელშეკრულება.

ვადიანი შრომის ხელშეკრულების (განსაზღვრული ვადით, აგრეთვე გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით დადებული ხელშეკრულების) ვადამდე მოშლა მუშაკის ინიციატივით არ დაიშვება. ამ წესიდან დაშვებულია გამონაკლისი. ვადიანი შრომის ხელშეკრულების ვადამდე მოშლა მუშაკის მოთხოვნით დასაშვებია:

ა) მუშაკის ავადმყოფობის ან ინვალიდობის გამო, რაც აბრკოლებს ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოს შესრულებას; ბ) ადმინისტრაციის მიერ შრომის კანონმდებლობის, კოლექტიური ან შრომის ხელშეკრულების დარღვევის დროს; გ)სხვა საპატიო მიზეზების გამო.

შრომის კანონმდებლობა ადგენს მოქალაქეთა შრომითი უფლების იურიდიულ გარანტიას, ამასთან, განსაზღვრავს ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს. ასეთი საფუძვლების აღმოცენების მიზეზი შეიძლება იყოს სამუშაოსათვის შეუფერებელი მუშაკის უარყოფითი სუბიექტური თავისებურებანი, საწარმოო ხასიათის გარემოებანი და ა.შ.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას შეუძ-

ლია ვადამდე მოითხოვოს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა:

1. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის ან მუშაკთა რიცხოვნობის, ან შტატების შემცირების გამო.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს თუ საჭირო აღარ არის მისი შემდგომი მუშაობა. მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა შტატების შემცირების გამო, დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ იგი გამომდინარეობს საწარმოო ინტერესებიდან. მუშაკთა რიცხოვნობის ან შტატების შემცირებისას სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება ენიჭებათ იმ მუშაკებს, რომლებიც უფრო მაღალი კვალიფიკაციითა და შრომისნაყოფიერებით გამოირჩევიან, ხოლო თანაბარი პირობების შემთხვევაში დარჩენის უპირატესობა ეძლევა: ოჯახის მეპატრონეს — თუ კმაყოფაზე ჰყავს ორი ან მეტი პირი, ასევე მარტოხელა დედებსა და ქალებს, რომლებსაც ჰყავთ სამ წლამდე ასაკის ბავშვი; იმ პირს, რომლის ოჯახში არ არის დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე სხვა პირი; აგრეთვე იმ პირს, რომელსაც ამ საწარმოში, დაწესებულებასა ან ორგანიზაციაში მუშაობის უფრო ხანგრძლივი სტაჟი აქვს; ომისა და სამხედრო ინვალიდებს, იმ ოჯახის წევრებს, რომელთა მარჩენალიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაიღუპა ან უგზო-უკლოდ დაიკარგა; გამომგონებლებსა და აგრეთვე იმ პირს, რომელიც ამ საწარმოში, დაწესებულებასა ან ორგანიზაციაში დასახიჩრდა ან მიიღო პროფესიული დაავადება.

რაც შეეხებათ ორსულ ქალებსა და იმ ქალებს, რომლებსაც სამ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ (მარტოხელა დედებს — 14 წლამდე ასაკის ან 16 წლამდე ინვალიდი ბავშვის ყოლისას), მათი დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით დაუშვებელია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სრული ლიკვიდაციის შემთხვევის გარდა.

2. თუ გამოვლინდა, რომ მუშაკი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას არასაკმარისი კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

ფაქტობრივად ამ პუნქტში მოცემულია ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლის ორი დამოუკიდებელი საფუძველი: ა/ არასაკმაო კვალიფიკაცია და ბ/ ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც მუშაკს ხელს უშლის სამუშაოს შესრულებაში.

თუ მუშაკი არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას ან შესასრულებელ სამუშაოს — ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია, ან არა აქვს უნარი

სათანადოდ იმუშაოს. შეუფერებლობა შეიძლება გამოვლინდეს შრომის პროცესის დროს არსებითი შეცდომების დაშვებაში, სისტემატიურად წუნდებული პროდუქციის გამოშვებაში და ა.შ. ფაქტობრივად დარღვევები გამოწვეულია მუშაკის არასაკმაო კვალიფიკაციის გამო.

არასაკმაო კვალიფიკაციის მოტივით სამუშაოდან შეიძლება გათავისუფლდეს მუშაკი, რომელმაც დადებითი შეფასება ვერ მიიღო ატესტაციის დროს.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თანამდებობის ან სამუშაოსათვის შეუფერებლობა დამტკიცებულ უნდა იყოს სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ შრომისუნარიანობის ნაწილობრივი დაკარგვა (თუ მუშაკი მაინც ასრულებს შრომით მოვალეობებს და სამუშაო არ ვნებს მის ჯანმრთელობას) არ შეიძლება გახდეს შრომის ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.

3. მუშაკის მიერ შრომის ხელშეკრულება ან შრომის შინაგანაწესის სისტემატიური შეუსრულებლობის, ან მის მიერ სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენის გამო, თუ მუშაკის მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება.

მუშაკის მიერ შრომის ხელშეკრულების ან შრომითი შინაგანაწესის სისტემატიურად შეუსრულებლობის გამო მისი სამუშაოდან გათავისუფლება მართლზომიერია, თუკი მის მოქმედებასა ან უმოქმედობაში მჟღავნდება შრომის ხელშეკრულებით ან შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა არასაპატიო მიზეზით და დარღვევა სისტემატიურია, ე.ი. ერთი სამუშაო წლის განმავლობაში მუშაკის მიმართ გამოყენებული იყო დისციპლინური სასჯელი, რომელსაც შედეგი არ მოჰყვა.

როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს მუშაკის მიერ სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენა; გაცდენად ჩაითვლება მუშაკის სამუშაოზე გამოუცხადებლობა მთელი სამუშაო დღის განმავლობაში.

არასაპატიო მიზეზით გაცდენად ჩაითვლება ასევე: საკუთარი სურვილით განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულების შეწყვეტისათვის დადგენილი გასაფრთხილებელი ვადის (ორი კვირა, ზოგ შემთხვევაში სამი დღე) გასვლამდე სამუშაოდან წასვლა, ანდა

განსაზღვრული ვადით დადებული შრომის ხელშეკრულებით მომუშავე მუშაკის მიერ დადგენილ ვადაზე ადრე სამუშაოს მიტოვება.

4. სამუშაოზე გამოუცხადებლობისას დროებითი შრომისუუნარობის გამო ზედიზედ ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით მიცემული შვებულების ჩაუთვლელად; აღნიშნული ოთხთვიანი ვადა არ ვრცელდება შრომითი დასახიჩრებისა და პროფესიული დაავადების დროს, აგრეთვე იმ დაავადებებს, რომლებზედაც ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ მკურნალობის უფრო ხანგრძლივი ვადაა დაწესებული. იმ პირებს, რომლებმაც დაკარგეს შრომის უნარი შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების გამო, სამუშაო ადგილი (თანამდებობა) უნარჩუნდებათ შრომის უნარის აღდგენამდე ან ინვალიდობის დადგენამდე.

აღნიშნული საფუძვლით დათხოვნის საკითხი რომ დაისვას, ავადმყოფობა უნდა მიმდინარეობდეს განუწყვეტლივ ზედიზედ ოთხი თვის განმავლობაში, არ დაიშვება ავადმყოფობის ცალკეული პერიოდების შეჯამება.

5. თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სამუშაოზე აღადგენენ მუშაკს, რომელიც ასრულებდა ამ სამუშაოს. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაცია ვალდებულია მუშაკი, მისი თანხმობით, გადაიყვანოს სხვა სამუშაოზე. ადმინისტრაცია თავისუფლდება ამ მოვალეობისაგან თუ მას სხვა სამუშაო არ გააჩნია.

6. თუ მუშაკი სამუშაოზე გამოცხადდება არაფხიზელ მდგომარეობაში, ნარკოტიკულ ან ტოქსიკურ საშუალებათა ზემოქმედების ქვეშ.

მუშაკის არაფხიზელ, ნარკოტიკულ ან ტოქსიკურ საშუალებათა ზემოქმედების მდგომარეობაში სამუშაოზე გამოცხადებისას, ოქმს ადგენს ადმინისტრაცია, ან არასაუწყებო დაცვის მუშაკი, რომელიც იცავს საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას. მუშაკის აღნიშნულ მდგომარეობაში ყოფნა შეიძლება დამტკიცდეს აგრეთვე სამედიცინო დასკვნითა და მოწმეთა ჩვენებით. ადმინისტრაციას უფლება აქვს მუშაკი იმ დღეს (იმ ცვლაში) არ დაუშვას სამუშაოზე, ხოლო თუ ქმედება სისტემატიურ ხასიათს მიიღებს, იგი შეიძლება გახდეს სამუშაოდან დათხოვნის საფუძველი.

7. იმ მუშაკის ბრალეული ქმედების გამო, რომელიც პასუხისმგებელია ფულად ან სასაქონლო ფასეულობაზე, თუ ეს ქმედება ადმინ-

ისტრაციის მხრიდან ქმნის მის მიმართ ნდობის დაკარგვის საფუძველს, ან სამუშაო ადგილზე ქონების დატაცებისას (მათ შორის, წვრილმანი დატაცების დროსაც), რაც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ან იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომლის კომპეტენციაშიც შედის ადმინისტრაციული სახდელის დადება.

ნდობის დაკარგვის მოტივით სამუშაოდან შეიძლება გათავისუფლდნენ მუშაკები, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან ფულად ან სასაქონლო ფასეულობას (მის მიღებას, შენახვას, ტრანსპორტირებასა და განაწილებას), მათ მიერ ბრალეული ქმედების ჩადენის შემთხვევაში, რაც ადმინისტრაციას უფლებას აძლევს მათ მიმართ უნდობლობა გამოხატოს. ეს ქმედება უნდა დადასტურდეს ობიექტური მონაცემებით.

რაც შეეხება სამუშაო ადგილზე ქონების დატაცებას (მათ შორის წვრილმან დატაცებას), აქ იგულისხმება სხვისი ნივთის მითვისება ან გაფლანგვა, თუ ეს ნივთი იმყოფებოდა მიმთვისებლის ან გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით. აღნიშნული ფაქტის თაობაზე უნდა არსებობდეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი.

8. სასამართლოს გადაწყვეტილებით სპეციალიზებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში მუშაკის იძულებით გაგზავნის გამო.

შრომის ხელშეკრულების აღნიშნული საფუძველი გამოიყენება ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების მიმართ. ისინი შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ოჯახის წევრთა, ახლო ნათესავების შუამდგომლობით, სასამართლოს გადაწყვეტილებით იგზავნებიან იძულებითი მკურნალობისათვის.

სასამართლოს გადაწყვეტილება იძულებითი მკურნალობის შესახებ წარმოადგენს მუშაკთან შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

9. დადგენილი წესით მუშაკის ქმედუუნაროდ აღიარების გამო. ქმედუუნაროდ აღიარება ხდება სასამართლოს მიერ. აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება გახდეს მუშაკთან შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი;

10. იმ მუშაკის მიერ ამორალური გადაცდომის ჩადენის გამო, რომელიც აღმზრდელობით ფუნქციას ასრულებს და რაც შეუთავსებელია მუშაობის გაგრძელებასთან.

ამორალურ გადაცდომად ითვლება მორალისა და საერთო ცხოვრების წესების დარღვევა როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ასევე საერთოდ ყოფა-ცხოვრებაში. აღნიშნული მოტივით შეიძლება შეწყდეს შრომის ხელშეკრულება იმ მუშაკებთან, რომლებიც ასრულებენ რა პედაგოგიურ და კულტურულ-აღმზრდელობით ფუნქციებს, ჩაიდენენ ამორალურ (უზნეო) საქციელს.

ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) შეწყვეტის ზემოთ მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. ადმინისტრაციას შეუძლია გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებიც.

შრომის კანონმდებლობით აკრძალულია შვებულებაში ყოფნის, ანდა დროებითი შრომისუუნარობის დროს მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა. აღნიშნული წესი არ ვრცელდება ჩვენ მიერ მითითებულ მეოთხე პუნქტზე, კერძოდ, სამუშაოზე გამოუცხადებლობა დროებითი შრომისუუნარობის გამო, ზედიზედ ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მთლიანი ლიკვიდაცია.

შრომის ხელშეკრულების მოშლა ადმინისტრაციის მიერ უნდა მოხდეს პროფკავშირის კომიტეტის, ხოლო იქ, სადაც პროფკავშირის კომიტეტი არ არის — პროფკგუფორგის ერთპიროვნული თანხმობის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვის განმავლობაში.

ადმინისტრაციის ინიციატივით ზოგიერთი კატეგორიის მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლებას პროფკავშირის თანხმობა არ სჭირდება, კერძოდ: იმ მუშაკებისა, რომლებიც სამუშაოდან თავისუფლდებიან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის გამო; იმ პირებისა, რომლებიც მიღებული არიან სამუშაოდ საგამოცდო ვადით და დადებითი შეფასება ვერ დაიმსახურეს; იმ მუშაკებისა, რომლებიც შეთავსებით მუშაობენ და თავისუფლდებიან შეთავსებითი სამუშაოდან; საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის, მისი მოადგილეების, ხელმძღვანელი მუშაკების დათხოვნისას, რომელთაც ირჩევენ, ამტკიცებენ ან ნიშნავენ თანამდებობაზე სახელმ-

წიფო ხელისუფლების ან მმართველობის ორგანოები, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოქალაქეთა სხვა გაერთიანებები.

შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა ფორმდება ბრძანებით (განკარგულებით). ბრძანებასა და შრომის წიგნაკში მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის მიზეზი ზუსტად უნდა აღინიშნოს.

შრომის წიგნაკში ჩანაწერი სამუშაოდან გათავისუფლების მიზეზის შესახებ ფორმდება მოქმედი კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით, ასევე მითითებულ უნდა იქნეს შესაბამისი კანონის მუხლი, პუნქტი. მუშის ან მოსამსახურის ინიციატივით, ავადმყოფობის, ინვალიდობის, მოხუცებულობის დროს პენსიაზე გასვლის, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ან ასპირანტურაში ჩარიცხვისა და სხვა მიზეზების გამო, რომელსაც კანონმდებლობა განსაზღვრულ შეღავათებსა და უპირატესობას ანიჭებს, შრომის ხელშეკრულების მოშლისას და სამუშაოდან დათხოვნისას შრომის წიგნაკში აუცილებლად უნდა აღინიშნოს ეს მიზეზები.

სამუშაოდან დათხოვნისას მუშაკს შრომის წიგნაკს აძლევენ დათხოვნის დღეს.

ადმინისტრაციის ბრალით შრომის წიგნაკის გაცემის დაყოვნების შემთხვევაში, მუშაკს ეძლევა საშუალო ხელფასი იძულებითი გაცდენის მთელი დროისათვის.

შრომის ხელშეკრულების შეწყვეტისას, მთელ რიგ გარემოებებთან დაკავშირებით, მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ გასასვლელი დახმარება ერთი თვის საშუალო ხელფასის ოდენობით. ასეთი გარემოებებია:

პირის სამხედრო სამსახურში გაწვევა ან ამ სამსახურში შესვლა; საწარმოო აუცილებლობის ან სამუშაო რეჟიმის შეცვლის გამო სხვა სამუშაოზე გადაყვანისას მუშაკის უარი; თუ გამოვლინდა, რომ მუშაკი არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას ან შესასრულებელ სამუშაოს არასაკმაო კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო; სამუშაოზე გამოუცხადებლობისას დროებით შრომისუნარობის დროს ზედიზედ ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში; ადმინისტრაციის მიერ შრომის კანონმდებლობის, კოლექტიური ან შრომის ხელშეკრულების დარღვევის დროს; საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის, მუშაკთა რიცხოვნობის ან შტატების შემცირების შემთხვევაში.

შრომის კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გათავისუფლებულ

მუშაკთათვის კომპენსაციებს და მთელ რიგ შეღავათებს, კერძოდ, მუშაკები, რომლებიც გათავისუფლებულ იქნენ საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან მუშაკთა რაოდენობისა და შტატების შემცირების გამო, მათი შრომითი უფლებები გარანტირებულია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მათ უნდა მიეცეთ სხვა სამუშაო იმავე ანდა სხვა საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, მათი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით, ხოლო თუ ასეთი სახის სამუშაო არ არის, მათივე სურვილითა და საზოგადოებრივ მოთხოვნათა გათვალისწინებით უნდა მიეცეთ სხვა სამუშაო, ანდა ახალი პროფესიის შესწავლის შესაძლებლობა შესაბამისი სამუშაოთი დაკმაყოფილების გათვალისწინებით.

აღნიშნულ შემთხვევაში მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ მუშაკებს უნდა ეცნობოს ორი თვით ადრე მაინც.

ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის დროს ადმინისტრაცია ან სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია ორი თვით ადრე აცნობოს შრომითი მოწყობის ორგანოს მუშაკთა მასობრივი გათავისუფლების შესახებ, მათი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მითითებით.

როგორც აღნიშნეთ გათავისუფლებულ მუშაკებს ეძლევათ ასევე გასავლელი დახმარება ერთი თვის საშუალო ხელფასის ოდენობით და უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი შრომით მოწყობამდე, მაგრამ დათხოვნის დღიდან არა უმეტეს ორი თვის განმავლობაში, ასევე უნარჩუნდებათ უწყვეტი შრომის სტაჟი, თუ დათხოვნის შემდეგ წყვეტილი მუშაობის ხანგრძლივობა სამ თვეს არ აღემატება.

თავი III. სამუშაო დრო და დასვენების დრო

§1. სამუშაო დროის ცნება და სახეები

სამუშაო დროდ ითვლება კანონმდებლობით განსაზღვრული დრო, რომლის განმავლობაშიც მუშა ან მოსამსახურე ვალდებულია კანონისა და შრომის შინაგანაწესის შესაბამისად შეასრულოს მასზე დაკისრებული სამუშაო.

შრომის კანონმდებლობა ითვალისწინებს სამუშაო დროის შემდეგ სახეებს: ნორმალური ხანგრძლივობის სამუშაო დრო, შემცირებული ხანგრძლივობის სამუშაო დრო, არასრული სამუშაო დრო.

სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვის ვალდებულება ეკისრე-

ბათ როგორც მუშა-მოსამსახურეებს, ასევე ადმინისტრაციას.

სამუშაო დრო თავის გამოხატულებას პოულობს სამუშაო დღესა და სამუშაო კვირაში.

სამუშაო დღე ეწოდება სახელმწიფოს მიერ პროფესიული კავშირების მონაწილეობით დღე-ღამის განმავლობაში დადგენილი სამუშაო დროის ხანგრძლივობას.

სამუშაო კვირა ეწოდება კანონით დადგენილ სამუშაო დროის ნორმას კალენდარული კვირის განმავლობაში.

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო დროის ნორმალური ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს კვირაში 41 საათს, საჯარო მოსამსახურეებისათვის კი — 40 საათს.

სამუშაო დროის ხანგრძლივობის ნორმირებას სახელმწიფო ახორციელებს პროფესიული კავშირების მონაწილეობით. არ შეიძლება სამუშაო დროის ხანგრძლივობის ნორმების შეცვლა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და პროკავშირის კომიტეტს ან მუშაკთა შორის შეთანხმებით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ექვსდღიანი სამუშაო კვირის დროს ყოველდღიური მუშაობის (ცვლის) ხანგრძლივობა, როცა კვირის ნორმა 41 საათია, არ უნდა აღემატებოდეს 7 საათს, თუ კვირის ნორმა 36 საათია — 6 საათს, ხოლო როცა კვირის ნორმა 24 საათია — 4 საათს.

მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებისთვისაც დაწესებულია ხუთდღიანი კვირა, სამუშაო დღის (ცვლის) ხანგრძლივობა განისაზღვრება შრომის შინაგანაწესით, ანდა ცვლიანობის განრიგით.

მუშებისა და მოსამსახურეებისაგან განსაზღვრულ წრეს შრომის დაცვის მიზნით უწესდება სამუშაო დროის შემცირებული ხანგრძლივობა (ნორმალურ შვიდსაათიან სამუშაო დღეზე ნაკლები, ხელფასის შენარჩუნებით). შემცირებული სამუშაო დრო დადგენილია:

1. 16-დან 18 წლამდე ასაკის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის 36 საათი კვირაში, ხოლო 15-დან 16 წლამდე ასაკის პირებისათვის, ასევე 14-დან 15 წლამდე ასაკის მოსწავლეებისათვის, რომლებიც არდადეგების დროს მუშაობენ 24 საათს კვირაში.

2. შრომის მავნეპირობებიან სამუშაოზე დასაქმებული მუშებისა

და მოსამსახურეებისათვის არა უმეტესი 36 საათი კვირაში.

საქართველოს კანონმდებლობით ასევე წესდება სამუშაო კვირის შემცირებული ხანგრძლივობა ცალკეული კატეგორიის მუშაკებისათვის (მასწავლებლები, ექიმები და სხვები).

სამუშაო დროის შემცირებული ხანგრძლივობა განისაზღვრება ექვსდღიანი სამუშაო კვირის მიხედვით. ხუთდღიანი სამუშაო კვირის პირობებში სამუშაო დროის დღიური ხანგრძლივობა შესაბამისად დიდდება, მაგრამ სამუშაო საათების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შვიდ საათს.

შემცირებული სამუშაო დღე დადგენილია უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებისათვის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკთათვის. შემცირებული ხანგრძლივობის სამუშაო დროით სარგებლობს აგრეთვე ექიმთა გარკვეული კატეგორია, საშუალო და უმცროსი სამედიცინო პერსონალი.

შემცირებული სამუშაო დღე დაწესებულია სახელმწიფო საწარმოებში მომუშავე უსინათლოებისათვის, I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის, რომლებიც მუშაობენ მათთვის სპეციალურად განკუთვნილ საწარმოებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამუშაო დროის შემცირებული ხანგრძლივობით სარგებლობენ 18 წლამდე ასაკის მოზარდები, პირები, რომელთაც შრომა უხდებათ მავნე და მძიმეპირობებიან სამუშაოებზე, პირები, რომელთა შრომაც დაკავშირებულია ინტელექტუალურ დაძაბულობასა და მომეტებულ ნერვიულობასთან.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ შემცირებული ხანგრძლივობის სამუშაო დღე და არასრული სამუშაო დღე.

სამუშაო დროის ხანგრძლივობა კანონითაა განსაზღვრული, მაგრამ მუშებს, მოსამსახურეებსა და ადმინისტრაციას შორის შეთანხმებით როგორც სამუშაოზე მიღებისას, ისე შემდეგაც შეიძლება დაწესდეს არასრული სამუშაო დღე ან არასრული სამუშაო კვირა.

არასრული სამუშაო დღის (ცვლის) შემთხვევაში შრომის რეჟიმი შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს:

1. კვირის განმავლობაში სამუშაო დღის (ცვლის) ხანგრძლივობა შეიძლება შემცირდეს საათების განსაზღვრული რაოდენობით.

2. კვირის განმავლობაში შემცირდეს სამუშაო დღეთა ოდენობა, ამასთან, სამუშაო დღის (ცვლის) ხანგრძლივობა უცვლელი დარჩეს.

3. ერთდროულად შემცირდეს, როგორც სამუშაო დღის (ცვლის) ხანგრძლივობა განსაზღვრული საათებით, ასევე კვირის განმავლობაში დღეთა ოდენობა.

შრომის რეჟიმი შეიძლება ითვალისწინებდეს აგრეთვე სამუშაო დღის დაყოფას ნაწილებად, მაგალითად, განსაზღვრული სამუშაოს შესრულება დღის გარკვეულ მონაკვეთში.

არასრული სამუშაო დღის შრომის რეჟიმი იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ სამუშაო დღის (ცვლის) ხანგრძლივობა არ უნდა იყოს ოთხ საათზე ნაკლები, ხოლო კვირის განმავლობაში საათების რაოდენობა ხუთ და ექვსდღიანი სამუშაო კვირის შესაბამისად 20-24 საათზე ნაკლები.

შრომის კანონმდებლობა არასრული სამუშაო დღით ან არასრული სამუშაო კვირით სარგებლობის უფლებას აძლევს ორსულ ქალს, აგრეთვე ქალს, რომელსაც თოთხმეტ წლამდე ასაკის (მათ შორის მის მეურვეობაში) ბავშვი ჰყავს, ან სამედიცინო დასკვნის საფუძველზე უვლის ავადმყოფ ოჯახის წევრს.

ამ შემთხვევაში შრომის ანაზღაურება ხდება ნამუშევარი დროის პროპორციულად ან გამომუშავების მიხედვით.

მუშაობა არასრული სამუშაო დროის პირობით არ იწვევს მუშებისა და მოსამსახურეების ყოველწლიური შვებულების ხანგრძლივობის, შრომის სტაჟის გამოთვლისა და სხვა შრომითი უფლებების რაიმე შეზღუდვას.

ზოგიერთი კატეგორიის მუშებსა და მოსამსახურეებს მუშაობა უხდებათ არანორმირებული სამუშაო დროით. შრომის კანონმდებლობა არანორმირებულ სამუშაო დღეს, როგორც სამუშაო დღის განსაკუთრებულ სახეს, არ ითვალისწინებს. თუმცა, კი შრომის კანონთა კოდექსში იგი ზოგადად მოიხსენიება.

არანორმირებული სამუშაო დღე სამუშაო დღის რეჟიმის ერთერთი სახეა, რომლის დროსაც გარკვეული კატეგორიის მუშაკებისათვის დღის განმავლობაში (ანდა სხვა სააღრიცხვო პერიოდში) შრომის შინაგანაწესით, ანდა ცვლიანობის გრაფიკით დადგენილი სამუშაო დრო გრძელდება დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

არანორმირებული სამუშაო დღე აქვთ: ა)ხელმძღვანელ ადმინისტრაციულ სამმართველო, ტექნიკურ და სამეურნეო პერსონალს; ბ) მუშაკებს, რომელთა სამუშაო დრო მათი მუშაობის ხასიათიდან გამომდინარე, არ

ექვემდებარება ზუსტ აღრიცხვას; გ)მუშაკებს, რომელნიც სამუშაო დღეს ანაწილებენ თავიანთი შეხედულებისამებრ.

არანორმირებული სამუშაო დღის მქონე მუშაკებს ეძლევათ დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის შინაგანაწესით ან შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

ღამის სამუშაოდ ითვლება დრო — საღამოს 10 საათიდან დილის 6 საათამდე. დაწესებული მუშაობის (ცვლის) ხანგრძლივობა ღამით მცირება ერთი საათით. ეს წესი არ ვრცელდება იმ მუშებსა და მოსამსახურეებზე, რომლებისთვისაც უკვე გათვალისწინებულია სამუშაო დღის შემოკლებული ხანგრძლივობა.

ღამის მუშაობის ხანგრძლივობა არ მცირდება, თუ მუშაკი სპეციალურად მიღებულია ღამის სამუშაოების შესასრულებლად, მაგალითად, ღამის დარაჯად.

ღამის სამუშაოების ხანგრძლივობა გათანაბრებულია დღის სამუშაოებთან იმ შემთხვევაში, როცა ეს წარმოების პირობების გამოა აუცილებელი, კერძოდ, უწყვეტ წარმოებაში, აგრეთვე ცვლიან სამუშაოზე, სადაც ექვსდღიანი სამუშაო კვირაა ერთი დასვენების დღით.

ღამის სამუშაოებზე არ დაიშვებიან: ორსული ქალები, ქალები, რომლებსაც ჰყავთ სამ წლამდე ასაკის ბავშვები; მუშები და მოსამსახურეები, რომლებსაც თვრამეტი წელი არ შესრულებიათ; მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც დაავადებული არიან ტუბერკულოზის აქტიური ფორმით. ინვალიდების დასაქმება ღამის სამუშაოებზე შესაძლებელია მხოლოდ მათი თანხმობით და იმ პირობით, თუ ასეთი სამუშაო სამედიცინო რეკომენდაციით მათ არ ეკრძალებათ.

შრომის კანონმდებლობა კრძალავს მუშებისა და მოსამსახურეების დასაქმებას დადგენილი სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ. ამიტომ ზეგანაკვეთური მუშაობა, როგორც წესი, არ დაიშვება.

ზეგანაკვეთურად ითვლება სამუშაო, რომელსაც ასრულებენ დაწესებული ხანგრძლივობის სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ.

ზეგანაკვეთური მუშაობა დაიშვება კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში, კერძოდ: ისეთი სამუშაოების წარმოების დროს, რომელიც აუცილებელია ქვეყნის თავდაცვისათვის, საზოგადოებრივი ან სტიქიური უბედურების, საწარმოო ავარიის,

საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაოების საწარმოებლად (წყალმომარაგება, გაზით მომარაგება, განათლება და ა.შ.), შემცვლელი მუშაკის გამოუცხადებლობისას და ა.შ.

ზეგანაკვეთური მუშაობა დაიშვება ბრძანებით, პროფკავშირის კომიტეტის ნებართვით.

შრომის კანონმდებლობა მიუთითებს იმ პირებზე, რომლებიც არ შეიძლება დაუშვან ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე, ასეთები არიან: ორსული ქალები, ქალები, რომლებსაც სამ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ; მუშები და მოსამსახურეები, რომლებსაც თვრამეტი წელი არ შესრულებიათ; მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც დაავადებული არიან ტუბერკულოზის აქტიური ფორმით, აგრეთვე სხვა კატეგორიის მუშები და მოსამსახურეები კანონმდებლობის შესაბამისად. ქალები, რომლებსაც ჰყავთ სამიდან თორმეტ წლამდე ინვალიდი ბავშვები, ასევე ინვალიდები შეიძლება ჩააბან ზეგანაკვეთურ სამუშაოზე მხოლოდ მათი თანხმობით, ამასთან, მათ იყენებენ მხოლოდ იმ პირობით, თუ ასეთი სამუშაო სამედიცინო რეკომენდაციით მათ არ ეკრძალებათ.

თითოეული მუშაკის ზეგანაკვეთური მუშაობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ საათს ზედიზედ ორი დღის განმავლობაში, მთელი წლის განმავლობაში კი — 120 საათს.

§2. დასვენების დროის სამართლებრივი რეგულირება

დასვენების დრო ეწოდება კანონით დადგენილ სამუშაოსაგან თავისუფალ დროს, რომლის გამოყენებაც მუშებსა და მოსამსახურეებს შეუძლიათ თავისი შეხედულებისამებრ.

დასვენების დროის ძირითადი სახეებია: შესვენება სამუშაო დღის განმავლობაში, დღეთაშორისი და ყოველკვირეული დასვენება; ყოველწლიური უქმე დღეები; შვებულებები.

შესვენება სამუშაო დღის განმავლობაში, მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1. შესვენება, რომელიც მუშა-მოსამსახურეებს ეძლევათ კვებისა და დასვენებისათვის და რომელიც არ შედის სამუშაო დროში; 2. დამატებითი შესვენება, რომელიც მუშა-მოსამსახურეებს ეძლევათ სამუშაო პირობებიდან გამომდინარე ან სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში და რომელიც შედის სამუშაო დროში.

მუშებსა და მოსამსახურეებს კვებისა და დასვენებისათვის ეძლევათ

არა უმეტეს ორი საათის ხანგრძლივობის შესვენება. შესვენების დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება შრომის შინაგანაწესით.

პრაქტიკაში, როგორც წესი, კვებისა და დასვენებისათვის შესვენების ხანგრძლივობა განისაზღვრება ნახევარი საათიდან ერთ საათამდე. წარმოებაში, სადაც სამცვლიანი მუშაობაა, შესვენების ხანგრძივობა შეიძლება განისაზღვროს ოცი წუთით.

შრომის კანონმდებლობა აწესებს დამატებით შესვენებებს, რომელიც მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო. კერძოდ, ქალებს, რომლებსაც წლინახევრის ასაკამდე ბავშვები ჰყავთ, საერთო შესვენების გარდა, ეძლევათ დამატებითი შესვენება ბავშვის კვებისათვის.

ეს შესვენება ეძლევათ სულ ცოტა სამ საათში ერთხელ, არანაკლებ ოცდაათი წუთის ხანგრძლივობით. თუ ქალს ჰყავს წლინახევრის ასაკის ორი ან მეტი ბავშვი, შესვენების ხანგრძლივობა არანაკლებ ერთი საათი უნდა იყოს.

დამატებითი შესვენება ეძლევათ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ზამთრობით მუშაობენ ღია ცის ქვეშ: მტვირთავებს, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ სხვა კატეგორიის მუშაკებსაც.

დამატებითი შესვენება ჩაითვლება სამუშაო დროში და ანაზღაურდება საშუალო ხელფასის მიხედვით.

დროს, სამუშაო დღის (ცვლის) დამთავრების შემდეგ, მომდევნო დღის (ცვლის) დაწყებამდე ეწოდება დღეთაშორისი დასვენება. ერთი სამუშაო დღიდან (ცვლიდან) მეორე სამუშაო დღემდე (ცვლამდე) პერიოდი არ შეიძლება იყოს 12 საათზე ნაკლები და 16 საათზე მეტი.

ხუთდღიანი სამუშაო კვირის დროს მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ კვირაში ორი დასვენების დღე. ექვსდღიანი სამუშაო კვირის დროს კი ერთი საერთო დასვენების დღე კვირაა.

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, სადაც საწარმოო-ტექნიკური პირობების ან მოსახლეობის მუდმივი, განუწყვეტელი მომსახურების აუცილებლობის მიზეზით შეუძლებელია მუშაობის შეჩერება, აგრეთვე სხვა საწარმოებში, სადაც შემოღებულია უწყვეტი წარმოება, მუშებისა და მოსამსახურეების ყოველ ჯგუფს დასვენების დღეები ეძლევათ რიგრიგობით, კვირის სხვადასხვა დღეს, ცვლიანობის განრიგის შესაბამისად.

დასვენების დღეებში მუშებისა და მოსამსახურეების სამუშაოდ გამოწვევის თაობაზე ადმინისტრაცია უნდა შეუთანხმდეს პროფკავშირის კომიტეტს, მისგან ნებართვის მიღების შემდეგ უნდა გაფორმდეს ბრძანება (განკარგულება) მიზეზისა და სამუშაოზე გამოსაწვევ მუშაკთა რაოდენობის აღნიშვნით. გამოუყენებელი გამოსასვლელი დღის ნაცვლად, მუშაკს უნდა მიეცეს სამაგიერო დასვენების დღე, ან დასვენების დღეს მუშაობა აუნაზღაურდეს ორმაგი ოდენობით. დასვენების დღეებში სამუშაოზე არ დაიშვებიან ორსული ქალები, ქალები, რომლებსაც სამ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავთ, 18 წლამდე ასაკის მუშები და მოსამსახურეები, ასევე ინვალიდები მათი თანხმობის გარეშე.

ყოველკვირეული დასვენების დღეების გარდა, მუშები და მოსამსახურეები სამუშაოდან თავისუფლდებიან უქმე დღეებში. ასეთებად დადგენილია: 1 იანვარი — ახალი წელი; 7 იანვარი — უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე; 19 იანვარი — ნათლისღება — უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს განცხადების დღე; 3 მარტი — დედის დღე; უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე (თარიღი გარდამავალია); მიცვალებულთა მოხსენიების დღე (აღდგომის მეორე დღე, თარიღი გარდამავალია); 9 აპრილი — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე; 9 მაისი — ფაშიზმზე გამარჯვების დღე; 26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე; 28 აგვისტო — ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა); 14 ოქტომბერი — მცხეთობა (სვეტიცხოვლის, კვართის დღესასწაულის დღე); 23 ნოემბერი — გიორგობის დღე.

უქმე დღეებში დასაშვებია მხოლოდ ისეთი სამუშაოები, რომელთა შეჩერება შეუძლებელია საწარმოო-ტექნიკური პირობების გამო (მოქმედი საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია), სამუშაოები, რომლებიც გამოწვეულია მოსახლეობის მომსახურების აუცილებლობით, აგრეთვე გადაუდებელი სარემონტო და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები.

მუშებსა და მოსამსახურეებს უქმე დღეებში მუშაობა ორმაგად უნაზღაურდებათ, მათი სურვილის გათვალისწინებით შეიძლება მიეცეთ სამაგიერო დასვენების დღე.

დასვენების დროის მნიშვნელოვანი სახეა ყოველწლიური შვებულე-

ბა, რომელიც მუშაკს ეძლევა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მათი უწყვეტი მუშაობის თერთმეტი თვის გასვლის შემდეგ. სხვა სამუშაოზე გადაყვანის შემთხვევაში ამ სტაჟში იანგარიშება ძველ და ახალ სამუშაოზე მუშაობის შეჯამებული დრო.

თერთმეტი თვის უწყვეტი მუშაობის ვადის გასვლამდე მუშაკის თხოვნით შვებულება ეძლევათ: ქალებს — ორსულობისა და მშობიარობის გამო, შვებულებაში წასვლის წინ ან უშუალოდ მის შემდეგ; თვრამეტ წლამდე ასაკის მუშებსა და მოსამსახურეებს; სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც დათხოვნილი არიან თადარიგში და ორგანიზებული შეგროვების წესით გაიგზავნენ სამუშაოდ — მუშაობის დაწყებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ; ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

შვებულების მიღების უფლებით არ სარგებლობენ დროებით და სეზონურ სამუშაოებზე მომუშავე მუშები და მოსამსახურეები.

მუშაკს ყოველწლიური შვებულება მიეცემა 24 სამუშაო დღის ოდენობით, თუ შრომის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხოლო თვრამეტ წლამდე ასაკის პირებს შვებულება მიეცემათ ერთი კალენდარული თვის ხანგრძლივობით.

ზოგიერთი კატეგორიის მუშაკები, მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, საშუალო სპეციალური სასწავლებლების პედაგოგები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერმუშაკები სარგებლობენ გახანგრძლივებული შვებულებით, რომელიც განისაზღვრება 48 სამუშაო დღით. კანონი საჯარო სამსახურის შესახებ გახანგრძლივებულ შვებულებას აწესებს ასევე საჯარო მოსამსახურეებისათვის, მათ ეძლევათ შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით, ხოლო მოსამსახურეს, რომელსაც აქვს სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობის 10 წელზე მეტი სტაჟი, მიეცემა დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება 15 კალენდარული დღის ოდენობით.

საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში შრომის მავნეპირობებიან სამუშაოებზე დასაქმებული ან არანორმირებული სამუშაო დღის მქონე მუშაკებს ეძლევათ დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის შინაგანაწესით ან შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

შვებულებაში წასვლის რიგს აწესებს ადმინისტრაცია საწარ-

მოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით.

ადმინისტრაცია ვალდებულია მუშაკს არა უგვიანეს 15 დღისა აუწყოს მისი შვებულებაში წასვლის დრო.

საერთო წესის თანახმად, ყოველწლიური შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის არ დაიშვება. გამონაკლის შემთხვევაში ყოველწლიური შვებულების გადატანა ან გაგრძელება დასაშვებია: მუშაკის დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისას, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

იმ შემთხვევაში, თუ მუშაკისათვის მიმდინარე სამუშაო წელს შვებულების მიცემამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშაობის ნორმალურ მსვლელობაზე, დასაშვებია მისი თანხმობით, პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით, შვებულების გადატანა შემდეგი წლისათვის.

აკრძალულია ყოველწლიური შვებულების მიუცემლობა ზედიზედ ორი წლის განმავლობაში, აგრეთვე შვებულების მიუცემლობა თვრამეტ წლამდე ასაკის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, ასევე იმ მუშაკებისათვის, რომლებსაც შრომის მავნე პირობებთან დაკავშირებით, აქვთ დამატებითი შვებულების უფლება.

ოჯახური პირობებისა და სხვა საპატიო მიზეზების გამო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნებართვით მუშაკს შეიძლება მიეცეს მოკლევადიანი (არა უმეტესი ორი კვირისა) უხელფასო შვებულება, რაც ფორმდება ბრძანებით.

მოკლევადიანი უხელფასო შვებულების მიცემა დამოკიდებულია ადმინისტრაციის შესაძლებლობასა და სურვილზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი ადმინისტრაცია ვალდებულია მუშასა და მოსამსახურეს მისცეს უხელფასო შვებულება, კერძოდ: მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც დაშვებული არიან მისაღებ გამოცდებზე უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე დაშვებულთ ეძლევათ შვებულება 15 კალენდარული დღით, ხოლო საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში – 10 კალენდარული დღით.

თავი IV. შრომის ანაზღაურება

შრომის ხელფასი წარმოადგენს მხარეთა შეთანხმების შედეგად შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე შესრულებულ სამუშაოსათვის დადგენილ შრომის სისტემატიურ ანაზღაურებას. საზოგადოებრივ და კერძო სექტორში შრომის ანაზღაურების ოდენობა შეიძლება განისაზღვროს მხარეთა შეთანხმებით, მაგრამ შრომის ანაზღაურება არ უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დადგენილ მინიმალურ ხელფასზე ნაკლები. შრომის კანონთა კოდექსი პირდაპირ მიუთითებს, რომ მინიმალური ხელფასის დაცვა სავალდებულოა ყველა დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად. შრომის ანაზღაურებისა (ხელფასის) და სხვა სახის გასაცემლების ფორმები, სისტემები და ოდენობა გათვალისწინებული უნდა იყოს კოლექტიური ხელშეკრულებით.

მუშებსა და მოსამსახურეებს შრომის ხელფასი ძირითადად ეძლევათ ფულადი ფორმით, დადგენილი სატარიფო განაკვეთის ან მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

ხელფასის სისტემა ეწოდება მუშაკისათვის შრომის ანაზღაურების კანონმდებლობით დადგენილ წესს. ერთმანეთისაგან განასხვავებენ შრომის ანაზღაურების ორ ძირითად სისტემას: დროებლივსა და სანარდოს.

დროებლივი სისტემისას შრომის ანაზღაურება ხდება ფაქტობრივად ნამუშევარი დროის მიხედვით, ხოლო სანარდო სისტემისას კი — გამომუშავებული პროდუქციის ოდენობისა და ხარისხის შესაბამისად.

თავის მხრივ, შრომის ანაზღაურების დროებლივი სისტემა შეიძლება იყოს: საათობრივი, დღიური და თვიური. მოსამსახურეები, როგორც წესი, იმყოფებიან დროებლივი თვიური ანაზღაურების, ხოლო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი კი დროებლივ-პრემიალურ სისტემაზე. საათობრივი ანაზღაურების წესით განისაზღვრება პროდუქციის რაოდენობა, რომელიც მუშაკმა უნდა აწარმოოს განსაზღვრულ დროში.

შრომის ანაზღაურების სანარდო სისტემა კი შეიძლება იყოს: პირდაპირი სანარდო, ირიბი სანარდო — პროგრესული, სანარდო პრემიალური და აკორდული.

შრომის ნორმალური პირობებიდან გადახრის შემთხვევაში მუშაკის შრომა ანაზღაურდება შესაბამისი დანამატით. დანამატის გაცემის წესი და პირობები უნდა განისაზღვროს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ და შეტანილ იქნეს კოლექტიურ ხელშეკრულებაში, მაგრამ არ უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმაზე ნაკლები. მაგალითად, იმ მუშაკებს, რომლებიც ერთსა და იმავე საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თავის ძირითად სამუშაოსთან ერთად ასრულებენ დამატებით სამუშაოს სხვა ძირითადი პროფესიის (თანამდებობის) მიხედვით, ან თავისი ძირითადი სამუშაოდან გაუთავისუფლებლად ასრულებენ სამუშაოზე დროებით არმყოფი მუშაკის მოვალეობებს, ეძლევათ ხელფასის დანამატი პროფესიის (თანამდებობის) შეთავსების ან სამუშაოზე დროებით არმყოფი მუშაკის მოვალეობის შესრულებისათვის.

ზეგანაკვეთური მუშაობის შემთხვევაში შრომის ანაზღაურება ხდება პირველი ორი საათისათვის — ერთნახევარი ოდენობით, მომდევნო საათებისათვის კი — ორმაგი ოდენობით.

უქმე დღეებში მუშაობა ორმაგად უნაზღაურდებათ; ა) მენარდეებს — ორმაგი ფასდებით; ბ) მუშაკებს, რომელთა შრომის ანაზღაურება ხდება საათობრივი ან დღიური განაკვეთით — საათობრივი ან დღიური განაკვეთის ორმაგი ოდენობით; გ) მუშაკებს, რომლებიც თვიურ ხელფასს იღებენ — საათობრივი ან დღიური განაკვეთების ერთმაგი ოდენობით, ხელფასის გარდა, თუ მუშაობა უქმე დღეს წარმოებდა სამუშაო დროის თვიური ნორმის ფარგლებში და საათობრივი ან დღიური განაკვეთის ორმაგი ოდენობით, ხელფასის გარდა, თუ მუშაობა წარმოებდა თვიური ნორმის ზევით.

თუ მუშაკს უქმე დღეებში მუშაობის კომპენსაცია სურს სამაგიერო დასვენების დღის მიცემით, მისი სურვილი უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას ღამით მუშაობისას, იგი განისაზღვრება შრომის ხელშეკრულებით რომელიც იმ თანხაზე მეტი უნდა იყოს, ვიდრე საათობრივი სამუშაოს ანაზღაურებისათვის ხელშეკრულებითაა დადგენილი.

კანონმდებლობა ზეგანაკვეთური მუშაობისათვის არ ითვალისწინებს სამაგიერო დღის მიცემას.

თუკი მუშაკმა დაამზადა წუნდებული პროდუქცია, მაშინ მისი შრომა არ ანაზღაურდება, ხოლო თუ დამზადებული პროდუქცია წუნდებული აღმოჩნდა, მაგრამ იგი მუშაკის ბრალით არ არის გამოწვეული, მას აუნაზღაურდება შესრულებული სამუშაო ვარგისი პროდუქციის თანაბრად.

შრომის კანონმდებლობა ზღუდავს ხელფასიდან დაქვითვას. იგი დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მუშაკს აქვს იმ საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის დავალიანება, სადაც იგი მუშაობს. აქვე აღსანიშნავია, რომ ხელფასი, რომელიც მუშაკს ზედმეტად გადაუხადა ადმინისტრაციამ (მათ შორის კანონის არასწორად გამოყენების შემთხვევაში), არ შეიძლება დაექვითოს მას, იმ შემთხვევების გარდა, როცა გამოთვლისას დაშვებულია შეცდომა.

ხელფასის გაცემისას ყველა დაქვითვის საერთო ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ოც პროცენტს, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — ხელფასის ორმოცდაათ პროცენტს.

ხელფასის გაცემა უნდა მოხდეს სამუშაო ადგილზე, ნახევარი თვის გასვლის შემდეგ, თუ შრომის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ყოველწლიურ კუთვნილ შვებულებაში გასვლისას კი მუშაკს ხელფასი უნდა მიეცეს შვებულების დაწყებამდე სამი დღით ადრე.

მუშაკის სამუშაოდან დათხოვნისას ადმინისტრაცია ვალდებულია დათხოვნის დღეს მისცეს მას კუთვნილი მთელი თანხა და დაუბრუნოს შრომის წიგნაკი. წიგნაკის გაცემის დაყოვნების შემთხვევაში მუშაკს უნდა მიეცეს საშუალო ხელფასი ყოველი იძულებითი გაცდენილი დღისათვის.

თავი V. შრომის დისციპლინა

შრომის დისციპლინა შეიძლება განისაზღვროს, როგორც შრომის შინაგანაწესის მარეგულირებელი, მუშაკებისა და ადმინისტრაციის შრომითი ვალდებულებების დამდგენი, შრომითი მიღწევებისათვის წახალისების ღონისძიებათა, ხოლო შრომითი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის — პასუხისმგებლობის დამდგენი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა.

შრომის კანონმდებლობა ითვალისწინებს შრომის დისციპლინის

უზრუნველყოფის მეთოდებს, რომელთაგანაც უმნიშვნელოვანესია შრომისათვის საჭირო ორგანიზაციული და ეკონომიკური პირობების შექმნა. ამჟამად ეკონომიკური კრიზისის პირობებში, მაშინ, როდესაც საწარმოთა ნაწილი არ მუშაობს, ნაწილში კი შრომის ნორმალური პირობების შექმნა ენერგეტიკისა და ნედლეულის უქონლობის გამო შეუძლებელია, შესაბამისად დაქვეითებულია შრომის დისციპლინა, მაგრამ სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით, მუშაკები მაინც იცავენ მას.

საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში შრომის წესრიგს განსაზღვრავს შინაგანაწესი, რომელსაც ამტკიცებენ შრომითი კოლექტივები ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის წარდგენით ტიპობრივი წესების საფუძველზე. საერთოდ, შრომის შინაგანაწესი შედგება შემდეგი თავებისაგან: 1. ზოგადი დებულებანი; 2. მუშაკთა სამუშაოზე მიღებისა და გათავისუფლების წესები; 3. მუშაკთა ძირითადი მოვალეობანი; 4. დამქირავებლის ძირითადი მოვალეობანი; 5. სამუშაო დრო და მისი გამოყენების წესი; 6. წახალისების ღონისძიებანი შრომაში მოპოვებული წარმატებებისათვის; 7. პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის დარღვევისათვის.

ფაქტობრივად შრომის შინაგანაწესით განისაზღვრება კონკრეტულ ორგანიზაციაში შრომის სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობანი, ხოლო კონკრეტული მუშაკის ინდივიდუალური ვალდებულება — შრომის ხელშეკრულებით.

შრომის დისციპლინის განმტკიცებაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი და მორალური ნორმების ურთიერთქმედების საკითხს.

შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია მიმართავს მორალური და მატერიალური სტიმულირების მეთოდებს.

მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის გამოიყენება წახალისების შემდეგი სახეობები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) პრემიის მიცემა; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ძალიან ხშირად მორალური სტიმულირება ერწყმის მატერიალურს, მაგალითად, მადლობის გამოცხადება და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება.

საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ლოკალური აქტებით, მაგალითად, შრომის შინაგანაწესით, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს

შრომის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი შეღავათები, კერძოდ, საშუალო სპეციალურ ან უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლებლად გაგზავნა, მატერიალური წახალისების ფონდიდან დახმარების მიცემა და ა.შ.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც წარმატებით და კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ შრომით მოვალეობებს, პირველ რიგში, ეძლევათ უპირატესობანი და შეღავათები სოციალურ-კულტურული მომსახურების დარგში (სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები) და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ასეთ მუშაკებს უპირატესობა ენიჭებათ სამუშაოზე დაწინაურების დროს.

შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და პროფკავშირის კომიტეტთან ერთად მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა კოლექტივმა. მორალური ნორმების გარდა, შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ გამოიყენება სამართლებრივი ნორმებიც.

დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება, რაც გამოიხატება მუშაკის მიერ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობასა ან არაჯეროვნად შესრულებაში. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მუშაკის მიერ შრომითი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება ჩაითვლება დისციპლინის დარღვევად იმ შემთხვევაში, თუკი მისი მოქმედება ბრალეულია, ე.ი. მოქმედებს განზრახ ან გაუფრთხილებლად.

შრომის დისციპლინის დარღვევისათვის საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია იყენებს შემდეგ დისციპლინურ სახდელებს: ა) შენიშვნას, ბ) საყვედურს, გ) სასტიკ საყვედურს; დათხოვნას[1].

ადმინისტრაციას შეუძლია დისციპლინური სახდელის სახით სამუშაოდან დაითხოვოს მუშაკი შრომის ხელშეკრულების ან შრომის შინაგანაწესის სისტემატიური შეუსრულებლობის ან მის მიერ სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენის გამო, თუ მუშაკის მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება და ამან შედეგი არ გამოიღო.

---

1. იურიდიულ ლიტერატურაში შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ იხმარება ტერმინი დისციპლინური სახდელი და დისციპლინური სასჯელი. შრომის კანონთა კოდექსში იგი მოიხსენიება როგორც დისციპლინური სასჯელი. ჩვენ მართებულად მიგვაჩნია დისციპლინური სახდელის ხმარება.

დისციპლინური სახდელის სახით სამუშაოდან შეიძლება დაითხოვონ მუშაკი სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში, ან ნარკოტიკულ, ან ტოქსიკურ საშუალებათა ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევაში, აგრეთვე სამუშაო ადგილზე ქონების დატაცებისას (მათ შორის, წვრილმანი დატაცების დროსაც), რაც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ან იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომლის კომპეტენციაში შედის ადმინისტრაციული სახდელის დადება.

დისციპლინური სახდელის დადების უფლება ენიჭება ამისათვის უფლებამოსილ ორგანოს, კერძოდ მას, რომელმაც მიიღო (აირჩია, დაამტკიცა და დანიშნა თანამდებობაზე) მუშაკი სამუშაოზე.

მუშაკებს, რომლებიც დისციპლინურ პასუხს აგებენ დისციპლინის შესახებ წესდებით, დებულებითა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით, დისციპლინური სახდელი შეიძლება დაადონ შესაბამისმა ზემდგომმა ორგანოებმა.

დისციპლინური სახდელის დადებამდე შრომის დისციპლინის დამრღვევს უნდა მოეთხოვოს წერილობითი ახსნა-განმარტება.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დისციპლინური სახდელის შერჩევას ახორციელებს ადმინისტრაცია, ამასთან, აუცილებელი არ არის, რომ დისციპლინური სახდელი გამოიყენონ შრომის კანონთა კოდექსში გათვალისწინებული თანამიმდევრობის მიხედვით, შესაძლებელია პირველად ჩადენილი გადაცდომისათვის, მისი სიმძიმის გათვალისწინებით, მუშაკს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური და ა.შ.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია დისციპლინურ სახდელს იყენებს გადაცდომის გამოვლენისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს ერთი თვის განმავლობაში მისი გამოვლენის დღიდან, მუშაკის ავადმყოფობის ან შვებულებაში ყოფნის დროის ჩაუთვლელად. დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ ბრძანებას მისი გამოყენების მოტივების მითითებით მუშაკს შეატყობინებენ ხელწერილის ჩამორთმევით.

დისციპლინური სახდელი არ შეიძლება დადებულ იქნეს გადაცდომის ჩადენის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ.

შრომის კანონმდებლობა ითვალისწინებს დისციპლინური სახდელის გასაჩივრების წესს. იგი დამოკიდებულია დისციპლინური სახდელის სახეზე. თუ მუშაკს დაედო სახდელი შრომის შინაგანაწესის

საფუძველზე (სამუშაოდან დათხოვნის გარდა), მას უფლება აქვს გაასაჩივროს იგი შრომითი დავის განმხილველ კომისიაში. თუ მუშაკი კომისიის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, უფლება აქვს მიმართოს პროფკავშირის კომიტეტს.

შრომითი დავის განმხილველ კომისიაში მუშაკმა საქმე უნდა გაასაჩივროს დისციპლინური სახდელის დადებიდან სამი თვის ვადაში. თუ კომისია დაადგენს, რომ სახდელი არასწორადაა დადებული, იგი უფლებამოსილია სახდელი გააუქმოს.

შრომის დისციპლინის დარღვევის გამო მუშათა და მოსამსახურეთა სამუშაოზე აღდგენის საქმეს იხილავენ რაიონის (ქალაქის) სასამართლოები.

თუ მუშაკი, რომელსაც დადებული აქვს დისციპლინური სახდელი, ერთი წლის განმავლობაში აღარ ჩაიდენს სხვა დისციპლინურ გადაცდომას, მას სახდელი ავტომატურად მოეხსნება, მაგრამ თუ მან თავი გამოიჩინა როგორც კარგმა და კეთილსინდისიერმა მუშაკმა შეიძლება მოეხსნას დისციპლინური სახდელი ერთი წლის გასვლამდე, როგორც თავისი ინიციატივით, ასევე ხელმძღვანელის ან შრომითი კოლექტივის შუამდგომლობით.

თავი VI. მუშაკთა მატერიალური პასუხისმგებლობა

შრომის კანონთა კოდექსი პირდაპირ განსაზღვრავს შრომის ხელშეკრულების მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, კერძოდ, მუშაკს უფლება აქვს მოითხოვოს შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნა და სამუშაოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის მდგომარეობის მოშლისას მიყენებული ზიანის მთლიანი ანაზღაურება.

უფლებებთან ერთად მუშაკს გარკვეული ვალდებულებებიც აკისრია, კერძოდ, კეთილსინდისიერად შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობა; დაიცვას შრომის დისციპლინა; გაუფრთხილდეს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ქონებას.

აღნიშნული უფლება-მოვალეობების დაცვის გარანტად გვევლინება შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის ხელშეკრულების მხარეთა მატერიალური პასუხისმგებლობა.

შრომის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, ზიანის მიყენების შემთხვევაში, ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ზიანი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით. ამგვარი ანაზღაურების ვალდებულებას, შრომის სამართლის მიხედვით, მატერიალური პასუხისმგებლობა ეწოდება.

იქიდან გამომდინარე, თუ ვის მიერაა მიყენებული ზიანი, განასხვავებენ მუშაკის მატერიალურ პასუხისმგებლობას დამქირავებლის ქონებისათვის მიყენებული ზიანის გამო და დამქირავებლის მატერიალურ პასუხისმგებლობას იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგა მუშაკის ჯანმრთელობას სამუშაოს შესრულების პროცესში, ანდა ზიანისათვის, რაც გამოიხატება მუშაკის სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნაში.

მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება მუშაკს იმ შემთხვევაში, თუ ზიანი მიყენებულია მისი ბრალით. ბრალეულად ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც მუშაკმა ჩაიდინა განზრახ ან გაუფრთხილებლობით. ბრალის ფორმა ზემოქმედებას ახდენს მუშაკის მატერიალური პასუხისმგებლობის სახესა და ოდენობაზე.

ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ პირდაპირი და ნამდვილი ზიანი და არა ის შესაძლო შემოსავალი, რომელიც მხარემ ვერ მიიღო მიყენებული ზიანის გამო.

მატერიალური პასუხისმგებლობის ორ სახეს განასხვავებენ: შეზღუდულსა და სრულს. შეზღუდული მატერიალური პასუხისმგებლობისას ზიანის ანაზღაურება განისაზღვრება მუშაკის ხელფასთან შეფარდებით, მაგალითად, შეზღუდული მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ: მუშაკებს მათი ბრალით მიყენებული ზიანის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს მათი ორი თვის ხელფასისა; თანამდებობის პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით სამსახურიდან მუშაკის უკანონოდ დათხოვნასა ან უკანონოდ სხვა სამუშაოზე გადაყვანაში სამი თვის ხელფასის ოდენობით.

მუშაკს საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო, თუ იგი გამოწვეულია მისი ბრალით, ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა სრული ოდენობით. მაგალითად, თუ ზიანი მიყენებულია მუშაკის დანაშაულებრივი მოქმედებით და დადასტურებულია სასამართლოს გადაწყვეტილებით ან თუ ზიანი მიაყენა მუშაკმა, რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

მუშაკის შეზღუდული და სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შემთხვევები შრომის კანონმდებლობით ზუსტადაა განსაზღვრული.

შრომის კანონმდებლობით ასევე დაშვებულია კოლექტიური (ბრიგადული) მატერიალური პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრებათ მუშებსა და მოსამსახურეებს მათ მიერ ცალკეულ სახეობათა სამუშაოების ერთობლივად შესრულებისას.

კოლექტიურ (ბრიგადულ) მატერიალურ პასუხისმგებლობას აწესებს დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით.

როდესაც მუშაკი ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მისთვის გადაცემულ ფასეულობათა შენახვასთან, დამუშავებასთან, გაყიდვასთან (გადაცემასთან), გადაზიდვასა ან წარმოების პროცესში გამოყენებასთან, მასთან შეიძლება დაიდოს წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

რაც შეეხება საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის ოდენობას, იგი განისაზღვრება ფაქტობრივი დანაკარგების მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე, მატერიალურ ფასეულობათა საბალანსო ღირებულების (თვითღირებულების) შესაბამისად, დადგენილი ცვეთის ნორმების გამოკლებით.

მატერიალურ ფასეულობათა დატაცების, დანაკლისის, განზრახ განადგურების ან განზრახ გაფუჭების დროს ზიანი განისაზღვრება იმ ფასების მიხედვით, რომელიც დაფიქსირებულია ზიანის მიყენებისას.

კვების საწარმოებსა და ვაჭრობებში პროდუქციისა და საქონლის დატაცებით ან დანაკლისით მიყენებული ზიანის ოდენობა განისაზღვრება იმ ფასების მიხედვით, რომელიც დადგენილია ამ პროდუქციისა და საქონლის რელიზაციისათვის.

მუშაკები საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის მიყენებულ ზიანს ანაზღაურებენ ადმინისტრაციის განკარგულებით, ხოლო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები — ხელქვეითობის წესით, ზემდგომი ორგანოს განკარგულებით ხელფასიდან დაქვითვის გზით.

სასამართლო უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვროს მიყენებული ზიანის ოდენობა. მუშას ან მოსამსახურეს შეუძლია მიყენებული ზიანი ნებაყოფლობით აანაზღაუროს

მთლიანად ან ნაწილობრივ. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის თანხმობით მუშაკს აგრეთვე შეუძლია მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად გადასცეს ტოლფასოვანი ქონება ან შეაკეთოს დაზიანებული ნივთი.

თავი VII. შრომის დაცვა

შრომის დაცვა წარმოადგენს სამართლებრივ ღონისძიებათა სისტემას საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში შრომითი მოღვაწეობის პროცესში მუშაკთათვის შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შექმნისათვის და შრომის პირობების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

შრომის უსაფრთხო ჯანსაღი პირობების, არასრულწლოვანთა და ქალთა შრომის დაცვა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით.

შრომის კანონმდებლობა განსაზღვრავს შრომის დაცვის სფეროში საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და მუშაკთა უფლებებსა და მოვალეობებს.

ადმინისტრაცია (დამქირავებელი) ვალდებულია მუშაკს შეუქმნას შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები, საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან ასაცილებლად დანერგოს უსაფრთხოების ტექნიკის თანამედროვე საშუალებანი და უზრუნველყოს ისეთი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, რომლებიც აღკვეთენ მუშებისა და მოსამსახურეების პროფესიული დაავადების წარმოშობას.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ყველა სამუშაო ადგილის სათანადო ტექნიკური მოწყობა და იქ შრომის ისეთი პირობების შექმნა, როგორიც შეესაბამება შრომის დაცვის წესებს (უსაფრთხოების წესებს, სანიტარიულ ნორმებსა და წესებს და სხვა).

საწარმოო შენობები, მოწყობილობა, ტექნოლოგიური პროცესები უნდა შეესაბამებოდეს იმ მოთხოვნებს, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ჯანსაღ და უსაფრთხო პირობებს.

ადმინისტრაცია ვალდებულია მუშებსა და მოსამსახურეებს ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიული, ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის დაცვის სხვა წესების შესახებ. ასეთ ინსტრუქციებს შეიმუშავებს ადმინისტრაცია პროფკავშირის

კომიტეტთან შეთანხმებით. სამინისტროებსა და უწყებებს პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში სახელმწიფო ზედამხედველობის შესაბამის ორგანოებსაც შეუძლიათ დაამტკიცონ შრომის დაცვის ტიპობრივი ინსტრუქციები ძირითადი პროფესიების მუშებისათვის.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, კერძოდ, შრომის მავნე, მძიმე პირობებიან სამუშაოებზე განსაკუთრებულ ტემპერატურულ პირობებში მომუშავე მუშაკებს ეძლევათ სპეცტანსაცმელი, სპეცფეხსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებანი.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ზამთრის პერიოდში მუშაობენ ღია ცისქვეშ ანდა მტვირთავებს, რომლებიც დასაქმებული არიან დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებზე, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში ეძლევათ სპეციალური შესვენებები, რომელიც სამუშაო დროში შედის.

პროფესიულ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით, შრომის მძიმე, მავნე და საშიშ, აგრეთვე ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე დასაქმებული მუშები და მოსამსახურეები სამედიცინო შემოწმებას გადიან როგორც სამუშაოზე მიღებისას, ასევე შემდგომ პერიოდულად. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, სამედიცინო შემოწმებას გადიან ასევე კვების მრეწველობის, საზოგადოებრივი კვების, წყალსადენის ნაგებობათა და სხვა საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშა-მოსამსახურეები.

ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადმინისტრაცია მოვალეა სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, მუშაკი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, მისივე თანხმობით, გადაიყვანოს სხვა შედარებით მსუბუქ სამუშაოზე ვადის შეუზღუდავად. ამ შემთხვევაში მუშაკს წინანდელი საშუალო ხელფასი შეუნარჩუნდება სხვა სამუშაოზე გადაყვანის დღიდან ორი კვირის განმავლობაში, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მას უნარჩუნდება წინანდელი საშუალო ხელფასი დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანის მთელი დროის მანძილზე, ან იღებს დახმარებას სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახით.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია მომუშავე ინვალიდებს დაუწესოს შემცირებული სა-

მუშაო დღე და შრომის შეღავათიანი პირობები სამედიცინო რეკომენდაციის შესაბამისად.

საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მომხდარი უბედური შემთხვევის დროს ადმინისტრაციამ პროფკავშირის კომიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობით დროულად უნდა ჩაატაროს უბედური შემთხვევის გამოკვლევა და აღრიცხვა. დროულად მიიღოს საჭირო ღონისძიება უბედური შემთხვევის მიზეზის აღმოსაფხვრელად, დაზარალებულის მოთხოვნით მისცეს მას უბედური შემთხვევის აქტის დამმოწმებული პირი გამოკვლევის დამთავრებიდან არა უგვიანეს სამი დღისა.

§1 ქალთა შრომა

ქალთა უფლებების დაცვა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ქალს საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობის გარდა, ევალება ისეთი საპატიო მოვალეობის შესრულება, როგორიცაა დედობა. ამ ფუნქციათა წარმატებით შეთავსების სფეროში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის შრომის კანონმდებლობას, რომელიც ქალს საშუალებას აძლევს ჯანმრთელობისათვის უვნებლად შეათავსოს საზოგადოებრივი შრომა დედობასა და ოჯახზე ზრუნვასთან.

შრომის კანონმდებლობა კრძალავს ქალთა შრომის გამოყენებას მძიმე და შრომის მავნეპირობებიან სამუშაოებზე, აგრეთვე მიწისქვეშა სამუშაოებზე, ზოგიერთი მიწისქვეშა სამუშაოების გარდა (არაფიზიკური მუშაობა ან მუშაობა სანიტარიული და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში).

სამუშაოზე მიღებისას აკრძალულია ქალებისათვის უარის თქმა და მათთვის ხელფასის შემცირება ორსულობის ან სამ წლამდე ასაკის ბავშვის ყოლის მოტივით, ხოლო მარტოხელა დედებისათვის 14 წლამდე ასაკის ბავშვის ყოლის (16 წლამდე ინვალიდი ბავშვის) გამო.

აღნიშნული კატეგორიის ქალებისათვის სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმისას ადმინისტრაცია ვალდებულია წერილობითი ფორმით აცნობოს მათ მიზეზი.

ორსული ქალისა და იმ ქალის თხოვნით, რომელსაც თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავს, ან რომელიც სამედიცინო დასკვნის საფუძველზე უვლის ავადმყოფ ოჯახის წევრს, ადმინისტრაცია მოვალეა დაუწესოს მას არასრული სამუშაო დღე ან არასრული სამუშაო კვირა.

დაუშვებელია ქალთა შრომის გამოყენება ღამის სამუშაოებზე, სახალხო მეურნეობის იმ დარგების გარდა, სადაც ეს გამოწვეულია განსაკუთრებული აუცილებლობით და ნებადართულია როგორც დროებითი ღონისძიება, ასევე არ დაიშვება ორსული ქალებისა და იმ ქალების შრომის გამოყენება რომლებსაც სამ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავთ ღამისა და ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე დასვენების დღეებში, ხოლო ქალები, რომლებსაც ჰყავთ სამიდან თორმეტი წლის ასაკამდე ინვალიდი ბავშვები, არ შეიძლება ჩაბმულ იქნენ ზეგანაკვეთურ სამუშაოებში ან გაიგზავნონ მივლინებაში მათი თანხმობის გარეშე.

ქალთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, შრომის ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ მსუბუქ სამუშაოზე, დროებით უნდა გადაიყვანონ ორსული ქალები, ასევე ქალები, რომლებსაც წლინახევრის ასაკამდე ბავშვი ჰყავთ.

ორსულ ქალებს სამედიცინო დასკვნის შესაბამისად შეუმცირდებათ გამომუშავებისა და მომსახურების ნორმები, ან ისინი წინანდელი საშუალო ხელფასის შენარჩუნებით გადაჰყავთ სხვა უფრო მსუბუქ სამუშაოზე, რომელიც გამორიცხავს არახელსაყრელი საწარმოო ფაქტორის ზემოქმედებას.

წლინახევრის ასაკამდე ბავშვიანი ქალები იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ადრინდელი სამუშაოს შესრულება, წინანდელი საშუალო ხელფასის შენარჩუნებით გადაჰყავთ სხვა სამუშაოზე, ვიდრე ბავშვს წლინახევრის ასაკი შეუსრულდება.

საშუალო ხელფასი გამოიანგარიშება უკანასკნელი ექვსი თვის ნამუშევრის მიხედვით (ამ პერიოდში არ იანგარიშება ორსულობისა და მშობიარობის შვებულების დრო).

ორსულობასთან ან წლინახევრის ასაკის ბავშვის კვებასა და მოვლასთან დაკავშირებული მსუბუქი სამუშაოს შესრულების დრო ქალს ჩაეთვლება სამუშაო სტაჟში იმ სპეციალობით, რომელიც შეღავათიან სამუშაოზე გადაყვანამდე ჰქონდა დაკისრებული.

ორსული ქალები და წლინახევრის ასაკამდე ბავშვიანი ქალები შეღავათებით სარგებლობენ ატესტაციისა და კონკურსის ჩატარების დროსაც, მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის ახალი ვადით გადარჩევისას, კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში, საკონკურსო გრაფიკში არ შეიძლება შეტანილ იქნენ ორსული ქალები, და ქალები, რომ-

ლებსაც წლინახევრის ასაკამდე ბავშვი ჰყავთ.

ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით მუშა-მოსამსახურე ქალებს ეძლევათ ანაზღაურებული შვებულება. თუ საერთო წესის თანახმად მუშებსა და მოსამსახურეებს მუშაობის პირველ წელს შვებულება ეძლევათ თერთმეტი თვის უწყვეტი მუშაობის შემდეგ, ქალებს — ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების წინ ან უშუალოდ მის შემდეგ უფლება აქვთ თერთმეტი თვის ვადის გასვლამდე ისარგებლონ ყოველწლიური შვებულებით. აღნიშნულის გარდა, ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევათ შვებულება, რომლის ხანგრძლივობა 70 კალენდარული დღეა მშობიარობამდე და 56 კალენდარული დღე მშობიარობის შემდეგ. გართულებული მშობიარობის ან ორი და მეტი ბავშვის შობის შემთხვევაში შვებულება ეძლევა 70 კალენდარული დღის ხანგრძლივობით. თუ ქალს აქვს არანაკლებ ერთი წლის მუშაობის სტაჟი, ხოლო თვრამეტ წლამდე ასაკის ქალს მუშაობის სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად, მიეცემა ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება ბავშვის მოვლის გამო, სანამ ბავშვი წლინახევრის გახდება. ამ ხნის განმავლობაში ქალს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით ეძლევა დახმარება. მომუშავე ქალებს, რომელთაც არა აქვთ ერთი წლის მუშაობის სტაჟი, დახმარება ბავშვის მოვლის გამო, მიეცემათ ნახევარი ოდენობით.

წლინახევრის ასაკის შემდეგ ბავშვის მოვლის გამო ქალს, მისი განცხადების თანახმად, ეძლევა უხელფასო შვებულება, ვიდრე ბავშვი მიაღწევდეს სამი წლის ასაკს. ეს შვებულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ ნებისმიერ დროს.

დამატებითი უხელფასო შვებულება არ ჩაითვლება მუშაობის იმ სტაჟში, რომელიც იძლევა მომდევნო ყოველწლიური შვებულების მიღების უფლებას.

ქალები, რომლებმაც ახალშობილი ბავშვი იშვილეს, სარგებლობენ იმ შეღავათებითა და უპირატესობით, რაც კანონით დადგენილია მეძუძური დედებისა და იმ ქალებისათვის, რომლებსაც ჰყავთ შვილები რვა წლის ასაკამდე.

ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები თანაბრად ვრცელდება ქალებზეც. ამ საერთო წესიდან შეღავათებია დაწესებული ორსული ქალებისა და იმ ქალებისათვის, რომლებსაც სამ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავთ (მარტოხ-

ელა დედებისათვის — 14 წლამდე ასაკის ბავშვის ან 16 წლამდე ინვალიდი ბავშვის ყოლისას), ასეთი ქალების დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით დაუშვებელია, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სრული ლიკვიდაციის შემთხვევების გარდა, როდესაც დათხოვნა დაშვებულია სავალდებულო შრომითი მოწყობით. აღნიშნული ქალების სავალდებულო შრომით მოწყობას ადმინისტრაცია ახორციელებს აგრეთვე ვადიანი შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, მათი დათხოვნის შემთხვევაშიც. შრომითი მოწყობის პერიოდში მათ უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი, მაგრამ არა უმეტეს სამი თვის განმავლობაში — ვადიანი შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლის დღიდან.

§2. ახალგაზრდობის შრომა

შრომის კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდების შრომის უფლებების დაცვას.

ახალგაზრდა მუშებსა და მოსამსახურეებზე ვრცელდება მთელი რიგი შეღავათები, მათ მიმართ გამოიყენება ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები, როგორიცაა: ახალგაზრდობის შეუფერხებელი შრომითი მოწყობა, ჯავშანი მოზარდების სამუშაოზე მიღებისა და საწარმოო სწავლებისათვის, სწორი პროფესიული ორიენტაცია და ა.შ.

ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის წესდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის, აგრეთვე თვრამეტ წლამდე ასაკის სხვა პირთა სამუშაოსა და წარმოებაში პროფესიული სწავლებისათვის მიღების ჯავშანი.

დაუშვებელია თექვსმეტ წელზე ნაკლები ასაკის პირთა სამუშაოზე მიღება. გამონაკლის შემთხვევაში საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფესიულ კომიტეტთან შეთანხმებით შეიძლება სამუშაოზე მიღებულ იქნენ პირნი, რომლებსაც თხუთმეტი წელი შეუსრულდათ.

კანონმდებლობით დაშვებულია ასევე სწავლებისაგან თავისუფალ დროს თოთხმეტი წლის ასაკის პირთა სამუშაოზე მიღება, მსუბუქი სამუშაოს შესასრულებლად, მშობლის ან მისი შემცვლელი პირის თანხმობით. თვრამეტ წლამდე ასაკის ახალგაზრდა სამუშაოზე მიღება საგამოცდო ვადის გარეშე.

შრომის კანონმდებლობა კრძალავს თვრამეტ წლამდე ასაკის პირთა შრომის გამოყენებას მძიმე, მავნე ან საშიშ პირობებთან და მიწისქვეშა სამუშაოებზე.

თვრამეტ წლამდე ასაკის პირნი სამუშაოზე მიიღებიან მხოლოდ წინასწარი სამედიცინო შემოწმების შემდეგ. მათ შემდგომ თვრამეტი წლის მიღწევამდე ყოველწლიურად უნდა გაიარონ სავალდებულო სამედიცინო შემოწმება. სამედიცინო დასკვნის საფუძველზე უნდა გადაწყდეს არასრულწლოვანის ამა თუ იმ სამუშაოზე დაშვების მიზანშეწონილობა.

არსებობს მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების სია, რომლის მიხედვით საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით აკრძალულია თვრამეტ წლამდე ასაკის პირთა შრომის გამოყენება.

თვრამეტ წლამდე ასაკის მუშათა და მოსამსახურეთა დასაქმება არ დაიშვება ღამის და ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე, აგრეთვე დასვენების დღეებში.

შრომის კანონმდებლობა განსაკუთრებულ შეღავათებს ითვალისწინებს არასრულწლოვანთა სამუშაო დღის განსაზღვრისას, მათთვის დაწესებულია სამუშაო დროის შემცირებული ხანგრძლივობა, კერძოდ, 16-დან 18 წლამდე ასაკის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის 36 საათი კვირაში, ხოლო 15-დან 16 წლამდე ასაკის პირთათვის, ასევე 14-დან 15 წლამდე ასაკის მოსწავლეებისათვის — 24 საათი კვირაში.

თვრამეტ წლამდე ასაკის მუშებისა და მოსამსახურეების ყოველწლიური შვებულება განისაზღვრება ერთი კალენდარული თვის ოდენობით.

როგორც ადრე აღინიშნა, მუშაობის პირველ წელს მუშებსა და მოსამსახურეებს შვებულება ეძლევათ უწყვეტი მუშაობის თერთმეტი თვის გასვლის შემდეგ.

ამ საერთო წესიდან დადგენილია გამონაკლისი, რომელიც ვრცელდება თვრამეტ წლამდე ასაკის პირებზეც. კერძოდ, თვრამეტ წლამდე ასაკის მუშებსა და მოსამსახურეებს უფლება აქვთ მათივე თხოვნით კუთვნილი შვებულებით ისარგებლონ თერთმეტი თვის უწყვეტი მუშაობის ვადის გასვლამდე.

აღსანიშნავია, რომ თვრამეტ წლამდე ასაკის მუშებსა და მოსამსახურეებს ყოველწლიური შვებულება ეძლევათ ზაფხულში ან მათი სურვილის მიხედვით წლის ნებისმიერ დროს.

შრომის კანონმდებლობა ითვალისწინებს რა ყოველწლიური შვებულების გადატანის გამონაკლის შემთხვევებს, კატეგორიულად კრძალავს ყოველწლიური შვებულების მიუცემლობას თვრამეტ წლამდე ასაკის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის.

არასრულწლოვან მუშებსა და მოსამსახურეებთან შრომის ხელშეკრულების მოშლისას გამოიყენება საერთო წესები იმ განსხვავებით, რომ ასეთ პირებთან შრომის ხელშეკრულების შეწყვეტამდე, გარკვეული რეაგირება უნდა მოახდინონ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტმა, მანვე უნდა გამოიკვლიოს მუშაკის სამუშაოდან წასვლის ნამდვილი მიზეზი.

ადმინისტრაციის ინიციატივით თვრამეტ წლამდე ასაკის მუშაკთა დათხოვნა დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და დაუშვებელია შრომითი მოწყობის გარეშე.

შრომის კანონმდებლობა გარკვეულ შეღავათებს აწესებს იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც მუშაობას უთავსებენ სწავლას. შეღავათები ვრცელდება როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ასევე საღამოს (ცვლიანი) საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში წარმოებიდან მოუწყვეტლივ მოსწავლე მუშებსა და მოსამსახურეებზე, ასევე საღამოსა და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე პირებზე.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც დაშვებული არიან მისაღებ გამოცდებზე უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, მისაღებ გამოცდებზე ეძლევათ უხელფასო შვებულება 15 კალენდარული დღით, ხოლო საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში – 10 კალენდარული დღით, სასწავლებლის ადგილზე წასვლისა და უკან დაბრუნების დროის ჩაუთვლელად.

გარკვეული შეღავათებით სარგებლობენ ასევე მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც სწავლობენ საღამოსა და დაუსწრებელ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. მათ უფლება აქვთ სადიპლომო პრაქტიკის (ნაშრომის) მომზადების ან სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების დაწყებამდე ათი სასწავლო თვის განმავლობაში, თუ მათი სამუშაო კვირა ექვსდღიანია, მეცადინეობისათვის მიიღონ სამუშაოდან თავისუფალი ერთი დღე კვირაში ხელფასის ორმოცდაათი პროცენტის ანაზღაურებით, მაგრამ არანაკლებ

უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. მათ უფლება აქვთ სადიპლომო პრაქტიკის (ნაშრომის) მომზადების ან სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების დაწყებამდე ათი სასწავლო თვის განმავლობაში, თუ მათი სამუშაო კვირა ექვსდღიანია, მეცადინეობისათვის მიიღონ სამუშაოდან თავისუფალი ერთი დღე კვირაში ხელფასის ორმოცდაათი პროცენტის ანაზღაურებით, მაგრამ არანაკლებ მინიმალური ოდენობის. თუ სამუშაო კვირა ხუთდღიანია, სამუშაოსაგან თავისუფალი დღეების რაოდენობა იცვლება სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესაბამისად, მაგრამ შენარჩუნებულ უნდა იქნეს სამუშაოდან თავისუფალი საათების რაოდენობა.

ადმინისტრაციას უფლება აქვს სტუდენტთა და მოსწავლეთა თხოვნით აღნიშნული ათი სასწავლო თვის განმავლობაში დამატებით მისცეს მათ სამუშაოდან თავისუფალი ერთი ან ორი დღე კვირაში, ამასთან, უხელფასოდ.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება აქვს ასევე შესაბამისი სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციის რეკომენდაციით საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების უკანასკნელი კურსის სტუდენტებს, საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებს დამატებით მისცეს ერთი თვის უხელფასო შვებულება, უშუალოდ წარმოებაში არჩეული სპეციალობით სამუშაოს გასაცნობად და სადიპლომო პროექტისათვის მასალების მოსამზადებლად.

კარი მერვე

ადმინისტრაციული სამართალი

თავი I. ადმინისტრაციული სამართლის ცნება

ადმინისტრაციული სამართლებრივი ნორმებით რეგულირებულია საკმაოდ მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ურთიერთობები და ამიტომ მისი შესწავლის საგანს, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ფორმირებისა და საქმიანობის გარდა, წარმოადგენს ის საზოგადოებრივი ურთიერთობებიც, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეთა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სტატუსთან, ადმინისტრაციული განცხადებებისა და საჩივრების უფლებასთან, ადმინისრრაციული აქტების მიღებასთან, საჯარო სამსახურის გავლასთან, ადმინისტრაციულ იუსტიციასა და იურისდიქციულ კონტროლთან, ადმინისტრაციულ გადაცდომასა და პასუხისმგებლობასთან, აგრეთვე მრავალ სხვა საკითხთან.

ამდენად, ადმინისტრაციული სამართლის ცნება შეიძლება ზოგადად შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: **ადმინისტრაციული სამართალი არის იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების სფეროში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, აგრეთვე ზოგიერთ ორგანიზაციული (აღმასრულებელი) ხასიათის ურთიერთობებს, რომელსაც ადგილი აქვს აღნიშნული სფეროს ფარგლებს გარეთ.**

სახელმწიფო მმართველობის სფერო, რომელსაც არეგულირებს ადმინისტრაციული სამართალი, სახელმწიფო საქმიანობის ისეთი სახეა, სადაც მრავალფეროვანი სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა. იგი არ გამორიცხავს სხვა დარგების ზემოქმედებას. ყოველივე ეს კი განაპირობებს ადმინისტრაციული სამართლის კავშირს სამართლის სხვა ისეთ დარგებთან, მაგალითად, როგორიცაა: კონსტიტუციური, სისხლის, სამოქალაქო, შრომის, საბაჟო სამართალი და სხვა.

ყველაზე მჭიდრო კავშირი ადმინისტრაციულ სამართალს კონსტიტუციურ სამართალთან აქვს. კონსტიტუციური სამართალი განსაზღვრავს ხელისუფლების სამივე შტოს – საკანონმდებლო აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების სისტემას, მათ ორგანიზა-

ციასა და საქმიანობის პრინციპებს. იგი შედარებით ვრცლად ეხება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების სამართლებრივ სტატუსს. მათ კი განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ადმინისტრაციული სამართლის სისტემაში, ვინაიდან ისინი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის აუცილებელ სუბიექტებს წარმოადგენენ.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები კონსტიტუციური ნორმებიდან გამომდინარეობს. ამის ნათელი დადასტურებაა 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მეოთხე თავი, რომელიც ეხება საქართველოს პრეზიდენტსა და მთავრობას. ამ ნორმებზე დაყრდნობით, 1997 წლის 15 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ", რომელშიც განვრცობა პოვა კონსტიტუციურმა ნორმებმა და უფრო დაწვრილებით აღინუსხა აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები, მათი შექმნის წესი და კომპეტენცია. აღნიშნული კანონი ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ წყაროსაც წარმოადგენს.

ადმინისტრაციული და საფინანსო სამართლის ნორმათა კავშირი ასევე სათავეს იღებს კონსტიტუციური სამართლიდან. კერძოდ, საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მეექვსე თავი ეძღვნება საქართველოს ფინანსებსა და კონტროლს. საფინანსო სამართალს, თავის მხრივ, რეგულირების დამოუკიდებელი საგანიც გააჩნია, რაც დაკავშირებულია საფინანსო სასხრების განაწილებასა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან, საგადასახადო სისტემის ხელმძღვანელობასა და ფინანსურ ურთიერთობებთან. ფულად-საკრედიტო სისტემას სათავეში უდგას ეროვნული ბანკი. მისი უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომლის წევრების არჩევისა და ბანკის პრეზიდენტის დანიშვნის წესი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 96--ე მუხლში, ხოლო ამ საფინანსო ორგანოების საქმიანობის ორგანიზაციას კი შეისწავლის ადმინისტრაციული სამართალი. ამდენად, ამ ორ დარგს შორის კავშირი ნათელია.

ადმინისტრაციული სამართალი გარკვეულწილად დაკავშირებულია სამოქალაქო სამართალთანაც. ხშირად სამართლის ეს ორივე დარგი არეგულირებს ქონებრივ ურთიერთობებს, მაგრამ მათ მოსაწესრიგებლად განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ. სამოქალაქო სამართლებრივი

ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია მხარეთა თანასწორობის პრინციპი და საკითხით დასაშვებია, იგი წარმოიშვას იმ პირებს შორის, რომლებსაც ერთმანეთის მიმართ ურთიერთსანაცვლო უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა კი განსაკუთრებული სპეციფიკურობით გამოირჩევა, კერძოდ, იგი წარმოიშობა ურთიერთდაქვემდებარებულ სუბიექტებს შორის. წინა პლანზე წამოწეულია მხარეთა მოვალეობები. მასში აუცილებელ სუბიექტად გვევლინება სახელმწიფო მმართველობის ორგანო. ამასთანავე, ადმინისტრაციული სამართალი საჯარო სამართლის დარგს მიეკუთვნება, ხოლო სამოქალაქო სამართალი კი — კერძო სამართლისას.

ძალზე შესამჩნევია ადმინისტრაციული სამართლის კავშირი შრომის სამართალთან. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრულია აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილება შრომითი სამართლებრივი რეგულირების სფეროში. ასევე, ხშირად შრომის სამართლებრივი ნორმების გამოყენება უშუალოდ დაკავშირებულია ადმინისტრაციული სამართლის ნორმებთან. მაგალითად, სამუშაოზე პირის მიღებასთან დაკავშირებით ბრძანების გაცემა და ა.შ.

შრომითი სამართლებრივი ურთიერთობების დასაცავად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზედამხედველო სახელმწიფო დეპარტამენტები და ინსპექციები, რომელთა სამართლებრივი მდგომარეობაც ადმინისტრაციული სამართლით განისაზღვრება.

ადმინისტრაციული სამართალი ორგანულად არის დაკავშირებული საბაჟო სამართალთან. საბაჟო საქმეების განხილვის ორგანიზაცია, ამ ორგანოების სტატუსი და სისტემა, იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის ზომები, რომელიც ხელყოფს საბაჟო ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებას, რეგულირებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმებით.

მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა კავშირი აქვს ადმინისტრაციულ სამართალს სისხლის სამართალთან. ადმინისტრაციულ გადაცდომასა და და სისხლის სამართლებრივ დარღვევას შორის გავლებული ზღვარი მეტად პირობითია. მართალია, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მიერ რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები თითქმის ერთნაირია, მაგრამ დაცვის ხერხები და ზემოქმედების ზომები განსხვავებულია.

პრაქტიკულად, ხშირად შეიძლება ადმინისტრაციული გადაცდომა დანაშაულში გადაიზარდოს, მაგალითად, გზებზე მოძრაობის წესების დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, მაგრამ თუ სიჩქარის გადაჭარბებას მოჰყვება ავარია და მძიმე შედეგი, ადმინისტრაციულ გადაცდომას შთანთქავს დანაშაული და პირი პასუხს აგებს არა ადმინისტრაციული, არამედ სისხლისსამართლებრივი წესით. ამდენად, ადმინისტრაციული სამართლის ისეთ ინსტიტუტს, როგორიცაა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, დიდი განსხვავების მიუხედავად, მჭიდრო კავშირი აქვს სისხლის სამართალთან.

ძველი კანონმდებლობის მიხედვით, ერთი წლის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ ჩადენილი ზოგიერთი ადმინისტრაციული გადაცდომისათვის, პირი პასუხს აგებდა სისხლის სამართლის წესით, ხოლო ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ეს წესი შეცვლილია და ასეთ შემთხვევაში მოქალაქის მიმართ ძირითადად დადგება არა სისხლისსამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ამასთანავე, საქართველოში დღესდღეობით მიმდინარე სამართლებრივი რეფორმების ფონზე განხორციელდა დამსჯელობითი პოლიტიკის დეპენალიზაცია. მთელი რიგი დანაშაულებისათვის, რაზეც ადრინდელი კანონმდებლობის მიხედვით გათვალისწინებული იყო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ახალი სისხლის სამართლის კოდექსიდან საერთოდ ამოღებულია და გადატანილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. მაგალითად, ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით გათვალისწინებული იყო პასუხისმგებლობა როგორც ცილისწამებისათვის, ასევე შეურაცხყოფისთვისაც. ახალი სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულია შეურაცხყოფა და იგი დარჩა მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ხოლო ცილისწამებისათვის ახალ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, კვლავ დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცილისწამების დანაშაულის დაბრალებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან უნდა დავასკვნათ, რომ ადმინისტრაციული სამართალი, ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტით, მჭიდროდ უკავშირდება სხვა სამართლებრივ დარგებსაც.

თავი II. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები და ურთიერთობები

§1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები

ადმინისტრაციული სამართალი შედგება მრავალრიცხოვანი სამართლებრივი ნორმებისაგან, რომელთა გარკვეულ ჯგუფებად გაერთიანება წარმოქმნის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ინსტიტუტებს, ასეთი ინსტიტუტებია მაგალითად: ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, საჯარო სამსახური, მოქალაქეთა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მდგომარეობა, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსი და სხვა.

ზემოჩამოთვლილ ნორმებს ზოგად მატერიალურ ნორმათა ჯგუფს მიაკუთვნებენ, ვინაიდან ისინი განსაზღვრავენ სუბიექტების სამართლებრივ მდგომარეობას, მათ ადმინისტრაციულ უფლებებსა და მოვალეობებს. სწორედ ისინი ქმნიან ადმინისტრაციული სამართლის ზოგად ნაწილს. მატერიალურ ნორმათა მეორე სახესხვაობაა კერძო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები, რომელიც განსაზღვრავს მმართველობის კონკრეტულ ორგანიზაციას სხვადასხვა სფეროში და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას კონკრეტული დარღვევისათვის. ამგვარად, ადმინისტრაციული სამართლის სისტემა შედგება: ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან.

ადმინისტრაციულ სამართალში მატერიალურ-ადმინისტრაციული ნორმების გარდა, ვხვდებით პროცესუალურ ნორმებსაც, რომელიც მატერიალური ნორმების პრაქტიკული განხორციელების დროს გამოვლინდება. მათ მეორენაირად მატერიალური ნორმების სიცოცხლის ფორმებსაც უწოდებენ.

ადმინისტრაციულ-პროცესუალური ნორმებით წესრიგდება ადმინისტრაციული საქმის აღძვრა, განხილვა, დადგენილების გამოტანა, მისი აღსრულება და მრავალი სხვა საკითხი. ზოგადად შეიძლება ვთქვათ, რომ ადმინისტრაციული პროცესი ადმინისტრაციული სამართლის ქვედარგს წარმოადგენს.

ნებისმიერი სამართლის ნორმა გარკვეულწილად ზღუდავს სუბიექტის ნებას. ეს განსაკუთრებით შეეხება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ნორმას, რომელიც თავისი იმპერატიული, მბრძანებლური

ხასიათით გამოირჩევა. თუ სამოქალაქო სამართლებრივი ნორმა ზღუდავს სუბიექტის ნებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს სუბიექტს სურს (მაგალითად, დებს ნასყიდობის ხელშეკრულებას), ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები არ არის დამოკიდებული სუბიექტის ნებაზე და მათი შესრულება სავალდებულოა ყოველგვარი მიზანშეწონილობის გარეშე. ამდენად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების სფეროში სახელმწიფოს მიერ დადგენილი სავალდებულო წესების ერთობლიობაა, რომელიც აწესრიგებს აღმასრულებელ საქმიანობას და მათი შესრულება სავალდებულოა იმ სუბიექტების მიერ, ვისაც იგი ეხება.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები შეიძლება დაიყოს იურიდიული ძალის მიხედვითაც. ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია საკანონმდებლო-ადმინისტრაციული ნორმები, პრეზიდენტის ბრძანებულებათა ნორმები, მინისტრების ბრძანებების, საკრებულოს გადაწყვეტილებების, გამგეობის დადგენილებებისა და სხვა აქტების ნორმები.

§2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა ეწოდება.

ადმინისტრაციული სამართლის სპეციფიკურობა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში ვლინდება. კერძოდ, იგი წარმოიშობა ურთიერთდაქვემდებარებულ სუბიექტებს, ანუ იურიდიულად არათანასწორ მხარეებს შორის. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა მყარად არის დაკავშირებული აღმასრულებელ საქმიანობასთან, რაც თავისთავად განაპირობებს აუცილებელი სუბიექტის — მმართველობის ორგანოს აღჭურვას სახელმწიფო ანუ საჯარო სამართლებრივი ინტერესებით. ამდენად, წარმოუდგენელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა მმართველობის ორგანოს მონაწილეობის გარეშე.სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები და, შეიძლება ახასიათებდეთ ერთი მხარის პასუხისმგებლობა მეორის წინაშე. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში ამგვარი რამ გამორიცხულია. იგი არავითარ შემთხვევაში არ წარმოიშობა მხოლოდ ფიზიკურ პირებს შორის და ერთ-ერთი მხარის მიერ

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმის მოთხოვნის დარღვევა არ იწვევს მეორე მხარის წინაშე პასუხისმგებლობას, ვინაიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დარღვევა კვალიფიცირდება, როგორც საჯარო სამართლებრივი ინტერესების ხელყოფა. პასუხისმგებლობა დგება სახელმწიფო უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს ან კიდევ მისი თანამდებობის პირის წინაშე, რომელიც დამოუკიდებლად მოახდენს ზემოქმედებას დამრღვევზე, განურჩევლად იმისა, ეს იქნება ფიზიკური თუ იურიდიული პირი. ამ დროს გამოიყენება ადმინისტრაციული, დისციპლინური ან მატერიალური პასუხისმგებლობის ღონისძიებები და არა სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა თავისი შინაარსით ორგანიზაციული ხასიათისაა. მართალია, საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოებსაც ახასიათებთ ორგანიზაციულობის ელემენტები, მაგრამ ეს მათი საქმიანობის მთავარ ფუნქციას არ წარმოადგენს. საკანონმდებლო ორგანოს მთავარი ამოცანაა კანონშემოქმედებითი საქმიანობა, ხოლო საერთო სასამართლოებისათვის კი — მართლმსაჯულების განხორციელება. რაც შეეხება აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას, აქ წინა პლანზე წამოწეულია სწორედ ორგანიზაციული მოღვაწეობა.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკურობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი წარმოიშობა ნებისმიერი მხარის მოთხოვნით, მაგრამ ამ დროს აუცილებელი არ არის მეორე მხარის თანხმობა. ეს კი ასახვას პოვებს პრაქტიკაშიც. კერძოდ, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში მოქმედებენ მბრძანებლურად, მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში კი იურიდიული ძალა სავალდებულოა მეორე მხარის ნება-სურვილის მიუხედავად.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკურობას წარმოადგენს აგრეთვე ისიც, რომ შეიძლება მის მონაწილე მხარეებს შორის წარმოიშვას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავები. მაგალითად, თუ მოქალაქე არ ეთანხმება აღმასრულებელ ორგანოს ან მისი თანამდებობის პირის რაიმე გადაწყვეტილებას, მას შეუძლია ადმინისტრაციული საჩივრის სახით მიმართოს იმავე ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც მიიღო მისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილება. აღნიშნული გასაჩივრების წესი მოწესრიგებულია საქართველოს ზოგადი ად-

მინისტრაციული კოდექსით. სასამართლოებში ადმინისტრაციული დავების განხილვის წესი ცალკეა დარეგულირებული ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მიხედვით. ადმინისტრაციული დავების თუ ადმინისტრაციული საჩივრების განხილვის დროსაც მოდავე ექვემდებარება დავის თუ საჩივრის განმხილველ ორგანოს, რომლის გადაწყვეტილებაზეცაა დამოკიდებული დავის თუ საჩივრის ბედი.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი არიან როგორც მმართველობის ორგანოები, ისე მოქალაქეები და მათი გაერთიანებები, მაგრამ აქ უნდა გამოიყოს აუცილებელი სუბიექტის — მმართველობის ორგანოს პრიორიტეტული როლი.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს კი წარმოადგენს სუბიექტის კონკრეტული მოქმედება. მაგალითად, გზებზე მოძრაობის წესების საფუძველზე წარმოშობილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია არა მანქანა, არამედ მძღოლებისა და ქვეითად მოსიარულეთა მოქმედებები.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში წინა პლანზე დგას სუბიექტის სავალდებულო ქცევა, ე.ი. მოვალეობა და არა უფლება.

ყურადსაღებია ისიც, რომ თავისთავად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმა არავითარ სამართლებრივ ურთიერთობას არ წარმოშობს, მაგრამ მისი გამოცემის ფაქტი კი შეიძლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველი გახდეს. იურიდიული ფაქტი შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობითაც.

მოქმედება, თავის მხრივ, შეიძლება იყოს როგორც მართლზომიერი, ასევე არამართლზომიერი. მართლზომიერია ისეთი მოქმედება, რომელიც კანონის ფარგლებში ხორციელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების შესაბამისად. ასე მაგალითად, როდესაც მოქალაქე საჩივრით მიმართავს ადმინისტრაციულ ორგანოს, ეს მათ შორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი ხდება. არამართლზომიერია ქმედობა, რომელიც არ შეესაბამება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ნორმას და არღვევს მის მოთხოვნას. იგი შეიძლება გამოიხატოს აქტიური მოქმედებით, მაგალითად, ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევები შეიძლება პირმა ჩაიდინოს როგორც მოქმედებით, მაგალითად, წვრილმანი ხულიგნობა, ტყისთვის სასარგებლო ფაუნის

განადგურება და სხვა, ასევე უმოქმედობითაც, მაგალითად, თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივი მდგომარეობის ან საფინანსო დეკლარაციის წარუდგენლობა, ასევე სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე პირების მიერ მავნე შედეგების სალიკვიდაციოდ ზომების მიუღებლობა და სხვა.

თავი III. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (გადაცდომა)

§1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, დადგენილია მთელი რიგი ისეთი ზოგადსავალდებულო წესები, რომელთა შეუსრულებლობა დიდ გაურკვევლობასა და ქაოსს გამოიწვევდა. ასეთია მაგალითად, გზებზე მოძრაობის, ვაჭრობის, სანიტარიული, ვეტერინარული, სახანძრო, საბაჟო, ბუნების სარგებლობის წესები და მრავალი სხვა.

ამ წესების დაცვა შედის როგორც სახელმწიფოს, ასევე მოქალაქეებისა და ორგანიზაციების ინტერესებში, ვინაიდან ხშირად მათ დარღვევას სავალალო შედეგები მოსდევს. ამიტომ ისინი განმტკიცებული არიან ადმინისტრაციული სანქციებით და მათი შეუსრულებლობა კვალიფიცირდება, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

ამგვარი გადაცდომები თავმოყრილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ადმინისტრაციულ გადაცდომად კოდექსის თანახმად, ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რისთვისაც კანონით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, თუ ის არ იწვევს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსში ამომწურავად განსაზღვრა, თუ რომელი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედობაა დანაშაული და ასევე დააწესა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც მათი ჩადენისათვის, ისეთი სამართალდარღვევა კი, რომლისთვისაც აღნიშნული პასუხისმგებლობა დადგენილი არ არის და კანონით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, მიჩნეულია ადმინისტრაციულ გადაცდომად.

ადრინდელი კანონმდებლობის მიხედვით, სისხლის სამართლის დანაშაულსა და გადაცდომას შორის განსხვავება ვლინდებოდა ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით, მაგრამ ეს იმდენად აბსტრაქტული კრიტერიუმი იყო სამართალშემფარდებლისათვის, რომ კანონმდებელმა საერთოდ უარი თქვა ამ მნიშვნელობით გადაცდომისა და დანაშაულის განსხვავებაზე. ახალმა კანონმდებლობამ დანაშაულისა და გადაცდომის გამიჯვნის ფორმალური კრიტერიუმი შემოიტანა. კერძოდ, გადაცდომა ისეთი ქმედობაა, რომლისთვისაც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაა დაწესებული, ხოლო დანაშაულია ისეთი ქმედობა, რომელიც სისხლის სამართლის კანონით არის გათვალისწინებული და დაწესებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

ამდენად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედობა. მართლწინააღმდეგობა იმას ნიშნავს, რომ სამართალდამრღვევის ქმედობა ეწინააღმდეგება დადგენილ საზოგადოებრივ წესრიგს. ქმედობაში კი, თავის მხრივ, მოიაზრება როგორც მოქმედება, ასევე უმოქმედობაც. შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა პირმა შეიძლება ჩაიდინოს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობითაც.

ბრალი არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედობისა და დამდგარი შედეგისადმი. ბრალი იყოფა ორ ფორმად: განზრახვად და გაუფრთხილებლობად.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებში ზოგჯერ პირდაპირაა მითითებული განზრახი ბრალის ფორმის შესახებ, ასე მაგალითად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ეხება ბეჭდის (ლუქის) განზრახ დაზიანებას ან აგლეჯვას, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ბრალის ფორმის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ყოველმხრივი გაანალიზების საფუძველზე. ისეთი სამართალდარღვევების ჩადენის დროს, როგორიცაა მაგალითად: წვრილმანი ხულიგნობა, ქონების წვრილმანი დატაცება, სამხედრო კომისარიატში გამოუცხადებლობა და ა.შ. პირი მოქმედებს წინასწარი განზრახვით.

თავის მხრივ განზრახ ბრალს ორი ფორმა აქვს: პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირი განზრახვის დროს პირს შეგნებული აქვს თავისი ქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და რაც მთავარია, სურს

ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებს ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობას. ასე მაგალითად, მძღოლი, რომელიც სათანადო ნებართვის გარეშე შედის აკრძალულ ზონაში, შეგნებული აქვს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, მაგრამ მაინც არღვევს აღნიშნულ აკრძალვას. ამ დროს სამართალდამრღვევი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით.

სხვა შემთხვევაში, როდესაც პირს, მართალია, გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედობის მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას და თუმცა არ სურს, რომ დადგეს რაიმე მართლსაწინააღმდეგო შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას, ადგილი აქვს არაპირდაპირ განზრახვას. ასე მაგალითად, პირი უკანონოდ ჩეხავს ტყეს და ხის მასალის გამოტანის დროს აზიანებს ახალგაზრდა ნარგავებს. სამართალდამრღვევმა იცის, რომ მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ნარგავები შეიძლება არ გაიზარდოს ან საერთოდ გახმეს, რაც მას პირდაპირი განზრახვით არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება ამგვარი შედეგის დადგომას. აღნიშნულ შემთხვევაში ტყის უკანონო გაჩეხვა ჩადენილია პირდაპირი განზრახვით, ხოლო ნარგავების დაზიანება — არაპირდაპირი განზრახვით.

გაუფრთხილებელ ბრალსაც ორი ფორმა გააჩნია: თვითმედოვნება და დაუდევრობა. თვითმედოვნების დროს პირი, მართალია ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებს ამ შედეგის თავიდან აცილებას. მაგალითად, ავტომანქანის მძღოლი, რომელიც დიდი სიჩქარით მოძრაობს და უახლოვდება გზაჯვარედინს, ვარაუდობს, რომ წითელ შუქნიშანზე შეაჩერებს მანქანას, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო და გადაკვეთა გზაჯვარედინი, ვინაიდან მუხრუჭებმა უმტყუნა.

დაუდევრობისას კი პირი არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა მოცემულ შემთხვევაში უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდეც მისი გათვალისწინება. მაგალითად, მექანიკოსმა სათანადოდ არ შეაკეთა ავტომანქანა იმ იმედით, რომ მის მიერ ჩატარებული სარემონტო სამუშაოები ყოველთვის ხარისხიანი იყო. გზაში მოძრაობისას კი ავტომანქანას აღმოაჩნდა სერიოზული დეფექტები, რამაც გამოიწვია ავტოსაგზაო შემთხვევა. ამ დროს მექანიკოსი მოქმედებდა დაუდევრად, ვინაიდან მას შეეძლო და უნდა გაეთვალ-

ისწინებინა ის მავნე შედეგი, რაც მოჰყვებოდა მის ქმედობას.

გაუფრთხილებლობით ჩადენილი გადაცდომისათვის, როგორც წესი, იძულების უფრო მსუბუქი ღონისძიებაა დადგენილი, ვიდრე განზრახი სამართალდარღვევისათვის, ამიტომ ქმედობის კვალიფიკაციის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბრალის ფორმის სწორად განსაზღვრას. ზოგჯერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ვხვდებით ისეთ მუხლებსაც, სადაც ბრალის ორივე ფორმაა გათვალისწინებული. მაგალითად, სამხედრო ბილეთის განზრახ გაფუჭება, ან მისი დაკარგვა დაუდევრობით. ზოგიერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობითაც.

გაუფრთხილებლობით ჩადენილი გადაცდომა უნდა განვასხვაოთ კაზუსისაგან, ანუ ისეთი შემთხვევისაგან, როდესაც პირმა არ გაითვალისწინა და კონკრეტულ შემთხვევაში არც შეეძლო, რომ გაეთვალისწინებინა თავისი ქმედობით გამოწვეული შედეგის მავნე ხასიათი. ამ დროს პირი, რასაკვირველია, პასუხს არ აგებს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა შეიძლება იყოს დენადი. დენადია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ქმედობა, რომლის ჩადენა იწყება მოქმედებით ან უმოქმედობით და შემდეგ განუწყვეტლივ ხორციელდება. ასეთი გადაცდომაა, მაგალითად, მოქალაქეთა მიერ სამონადირეო ან გაზის იარაღის შენახვა შინაგან საქმეთა ორგანოების ნებართვის გარეშე. დენადი გადაცდომა დამთავრებულია ქმედების შეწყვეტის მომენტიდან.

დენადი ადმინისტრაციული გადაცდომა, მისი ხანგრძლივობის მიუხედავად, ერთიანია. იგი განსხვავდება განგრძობადი სამართალდარღვევისაგან იმით, რომ ეს უკანასკნელი ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილი ორი ან მეტი ქმედებისაგან შედგება და მთავრდება უკანასკნელი ქმედების ჩადენის მომენტიდან. ასე მაგალითად, მუშას სურს ახალი მაცივრის აწყობა და ამ მიზნით პირველ დღეს ქარხნიდან მოიპარა 10 ლარის ღირებულების ნაწილები, მეორე დღეს — 20 ლარის და ა.შ. სამართალდარღვევის აღმოჩენის დროს დადგინდა, რომ მას მოუპარავს 75 ლარის ღირებულების ნაწილები და, ამდენად, მის მიმართ დადგება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

§2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ჩამოთვლილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სუბიექტების ფართო წრე. ესენი არიან: საქართველოს მოქალაქე ან უცხოელი, რომელმაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩაიდინა საქართველოს ტერიტორიაზე და რომელსაც დარღვევის ჩადენის დროისათვის შეუსრულდა 16 წელი. ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტებად გვევლინებიან თანამდებობის პირები. მათ ნაცვლად ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს იმ იურიდიულ პირს, სადაც ისინი მუშაობენ, ხოლო იურიდიული პირისათვის კი პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ ჯარიმის სახით, რაც შეეხება მშობლებს, ისინი ადმინისტრაციული წესით პასუხს აღარ აგებენ თავიანთი არასრულწლოვანი შვილების ნაცვლად. ყოველი შერაცხადი პირი დამოუკიდებლად აგებს პასუხს ადმინისტრაციული წესით 16 წლის ასაკიდან. გამონაკლისია მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმაა, რომელიც ითვალისწინებს მშობლების ან სხვა შესაბამისი პირების მიერ არასრულწლოვანის აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის სპეციალური სუბიექტები არიან: სამხედრო მოსამსახურეები და შეკრებაზე გაწვეული სამხედრო ვალდებულები, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და უშიშროების რიგითები, ოფიცრები, რომლებსაც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ შესაბამის დისციპლინურ წესდებათა საფუძველზე. ისეთი სამართალდარღვევების ჩადენისათვის, როგორიცაა: საგზაო მოძრაობის, ნადირობისა და გარემოს დაცვის, აგრეთვე საბაჟო წესების დარღვევა, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საერთო საფუძველზე. მათ არ შეეფარდებათ ადმინისტრაციული პატიმრობა.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ ეკისრება პირს, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედობის ჩადენის ან ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების დროს იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარეობაში, ე.ი. არ შეეძლო ანგარიში გაეწია თავისი ქმედობისათვის ან ეხელმძღვანელა ამ ქმედობისათვის ან გაეთვითცნობიერებინა დაკისრებული სახდელი. ქრონიკული სულიერი დაავადების, სულიერი მდგომარეობის დროებითი მოშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ავადმყოფური მდგომარეობის გამო.

§3. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, რომელმაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩაიდინა აუცილებელი მოგერიებისა ან უკიდურესი აუცილებლობის პირობებში.

აუცილებელი მოგერიება ნიშნავს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისაგან დაცვას ხელმყოფისათვის ზიანის მიყენების გზით, თუ ამასთან, გადაცილებული არ იყო აუცილებელი მოგერიების ფარგლები. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად ჩაითვლება დაცვის აშკარა შეუსაბამობა ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან. აუცილებელ მოგერიებად ჩაითვლება, მაგალითად, თუ წვრილმანი ქურდობის ჩადენისას მეპატრონემ ადგილზე წაასწრო ქურდს და ნაქურდალის უკან იძულებითი წესით დაბრუნების დროს მას მიაყენა მსუბუქი დაზიანება. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს აუცილებელი მოგერიების ფაქტს, ვინაიდან ზიანი ადგება უშუალოდ სამართალდამრღვევს.

უკიდურესი აუცილებლობის დროს პირი, მართალია, ჩადის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, მაგრამ ეს გამოწვეულია უკიდურესი აუცილებლობით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის საფრთხე, რაც ემუქრებოდა სამართლით დაცულ სიკეთეს და თუ ეს საფრთხე მოცემულ გარემოებაში არ შეიძლება აცილებული ყოფილიყო სხვა საშუალებით, თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის გზით და თუ დაზიანებული სიკეთე უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე

თუ აუცილებელი მოგერიების დროს, ზიანი ადგება უშუალოდ ხელმყოფელს, უკიდურესი აუცილებლობის დროს კი იმ პირს, რომელსაც საფრთხის წარმოშობაში ბრალი არ მიუძღვის. მაგალითად, მძღოლი, რომელსაც მძიმე ავადმყოფი მიჰყავს საავადმყოფოში, არღვევს გზებზე მოძრაობის წესებს და მანძილის შემოკლების მიზნით გადაუვლის ნათესებს და წაახდენს მათ. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს უკიდურეს აუცილებლობას, ვინაიდან ზიანი ადგება სრულიად უდანაშაულო პირის სიკეთეს. უკიდურესი აუცილებლობის დროს დაზიანებული სიკეთე უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე. მოცემულ შემთხვევაშიც, რა თქმა უნდა, ადამიანის სიცოცხლე ბევ-

რად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნათესებისათვის მიყენებული ზიანი.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის მიხედვით, იმ პირს, ვინც ნებაყოფლობით და საბოლოოდ ხელს აიღებს გადაცდომის ბოლომდე მიყვანაზე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევას წარმოადგენს.

თუ ჩადენილი სამართალდარღვევა უმნიშვნელოა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველ ორგანოს ან თანამდებობის პირს შეუძლია სამართალდამრღვევი გაათავისუფლოს პასუხისმგებლობისაგან და დასჯერდეს სიტყვიერ გაფრთხილებას.

კანონმდებლობის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული გადაცდომის საქმე შესაბამისმა ორგანოებმა არ განიხილეს 2 თვის ვადაში, ან დაკისრებული სახდელი სისრულეში არ მოიყვანეს 3 თვის განმავლობაში, ადმინისტრაციული საქმის წარმოება წყდება და ამ წესით დასჯა არ შეიძლება.

თავი IV. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია ოთხი სახის სამართალდარღვევა: სისხლის სამართლებრივი დარღვევა ანუ დანაშაული, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ანუ გადაცდომა, სამოქალაქო-სამართლებრივი დარღვევა და დისციპლინური სამართალდარღვევა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა თითოეული მათგანისაგან მკვეთრად განსხვავდება. შევადაროთ იგი თუნდაც დისციპლინურ სამართალდარღვევას. თუკი პირველი ხელყოფს საზოგადოებრივ მართლწესრიგს, მეორე ძირითადად დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობასთან და შრომის შინაგანაწესის დარღვევასთან. ზოგჯერ შრომითი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ერთდროულად იწვევს დისციპლინურ და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. მათი სუბიექტები არიან არა მოქალაქეები, არამედ თანამდებობის პირები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ გარკვეული სამსახურეობრივი მოვალეობები. მაგალითად, სახანძრო ან სამშენებლო სამუშაოთა უსაფრთხოების წესების დარღვევა დაწესებულებებში გამოიწვევს როგორც დისციპლინურ ასევე ადმინისტრაციულ

პასუხისმგებლობას. ადმინისტრაციული გადაცდომა განსხვავდება სამოქალაქო-სამართლებრივი დარღვევისაგანაც, რადგან ეს უკანასკნელი დაკავშირებულია სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობასთან ან ზიანის მიყენებით წარმოშობილ ვალდებულებასთან.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივ დარღვევას ანუ დანაშაულს, ის და ადმინისტრაციული გადაცდომა ერთმანეთისაგან ძირითადად იმის მიხედვით განსხვავდება, თუ რამდენად მძიმე შედეგი მოჰყვება მათ ჩადენას. თუ რამდენად საზიანოა ესა თუ ის ქმედობა საზოგადოებისათვის, ამის გამოყვანას ახდენს თვითონ კანონმდებელი, შესაბამისად სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში. დღესდღეობით საქართველოში მიმდინარეობს სამართალშემოქმედებითი საქმიანობის დეკრიმინალიზაციის პროცესი. ახალი სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა მთული რიგი დანაშაულებები და მათთვის დაწესდა მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ასეთებია მაგალითად, ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ვაჭრობის წესების დარღვევა, თვითნებური მშენებლობა, სამხედრო ვალდებულის მიერ სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევა, სახელმწიფო საგადასახადო მოთხოვნების შეუსრულებლობა, ან მათთვის წინააღმდეგობის გაწევა გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების ბოროტი დარღვევა და სხვა.

სისხლის სამართლის კანონმდებლობამ ფაქტობრივად უარი თქვა ადმინისტრაციული პრეიუდიციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შენარჩუნებაზე. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ნარკოტიკულ საშუალებათა, მათი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენა ან შენახვა, ან მათი ხმარება არასამედიცინო მიზნით, რომლის მიხედვითაც ერთი წლის განმავლობაში აღნიშნული ქმედების განმეორებას, ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შემდეგ, მოსდევს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ადმინისტრაციულ გადაცდომას მოჰყვება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, თუმცა ზოგჯერ შეიძლება დადგეს აგრეთვე დისციპლინური პასუხისმგებლობაც, მაგალითად თუ სამხედრო მოსამსახურეები ჩაიდენენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, დადგება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა იურიდიული პასუხისმგებლობის

ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს და იგი განსხვავდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. გადაცდომა უმნიშვნელო სამართალდარღვევაა, ამიტომ სახელმწიფოს მიერ გამოყენებული იძულებითი ღონისძიებებიც უფრო მსუბუქია, ვიდრე დანაშაულის ჩადენის დროს, თუმცა ზოგჯერ ჯარიმის ოდენობა ერთნაირია ზოგიერთი დანაშაულისა და ადმინისტრაციული გადაცდომისათვის. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ იწვევს ნასამართლეობას. აღნიშნული იძულებითი ღონისძიების ზომების დაკისრება არ არის დაკავშირებული პირადი თავისუფლების მკაცრ შეზღუდვასთან, რაც დამახასიათებელია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის. თუ ყველაზე მკაცრი ადმინისტრაციული სახდელის სახე – ადმინისტრაციული პატიმრობა ითვალისწინებს თავისუფლების არამკაცრ შეზღუდვას მაქსიმუმ 2 თვემდე, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით კი სამართალდარღვევის მიმართ, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის დროს, გამოიყენება უვადო თავისუფლების აღკვეთა. იმ შემთხვევაში, თუ პირს ჩადენილი აქვს ერთდროულად ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და დანაშაული, დადგება მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რადგან დანაშაული შთანთქავს ადმინისტრაციულ გადაცდომას. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულებებზე მართლმსაჯულების განხორციელება შეუძლია მხოლოდ სასამართლოებს, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განხილვის უფლება სასამართლოების გარდა, გააჩნია სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებს და საამისოდ უფლებამოსილ სჯარო მოსამსახურეებსაც, როგორიცაა მაგალითად: შინაგან საქმეთა ორგანოები, საგადასახადო, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის, შრომის სახელმწიფო ინსპექციები, საბაჟო ორგანოები, მათი მუშაკები და სხვა.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა განსხვავდება დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან. განსხვავება იმაშია, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სამსახურებრივი ქვემდებარეობის მიუხედავად, დადგება მაშინ, როდესაც დისციპლინური პასუხისმგებლობა, სწორედ ამ უკანასკნელთან არის დაკავშირებული, ე.ი. ისინი ერთმანეთისაგან გაიმიჯნება დისციპლინური და ადმინისტრაციული გადაცდომების სფეროების მიხედვით.

მატერიალური პასუხისმგებლობაც განსხვავდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან, ვინაიდან იგი დადგება მატერიალური ზიანის

მიყენების შემთხვევაში, თუმცა მატერიალურმა ზიანმა შეიძლება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაც გამოიწვიოს. მაგალითად, ნათესების წახდენის დროს პირუტყვის მეპატრონე პასუხს აგებს არა მარტო მიყენებული ზარალის ანაზღაურების სახით, არამედ ადმინისტრაციული წესითაც. კერძოდ, ნათესების წახდენისათვის გათვალისწინებულია ჯარიმა, მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან ერთად. ასეთ შემთხვევაში ჯერ უნდა დადგინდეს ადმინისტრაციული გადაცდომა და პირს დაეკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ხოლო ამის შემდეგ უნდა განისაზღვროს მიყენებული ზარალის ოდენობა და მისი გადახდის წესი. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, როდესაც სამოქალაქო დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ არის გათვალისწინებული, დგება მხოლოდ მატერიალური პასუხისმგებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული, დისციპლინური და მატერიალური პასუხისმგებლობები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, მათ საერთო ნიშანიც აქვთ. კერძოდ, ამ დროს პირის მიმართ არ დგება ნასამართლეობის საკითხი ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით.

თავი V. ადმინისტრაციული სახდელები

ადმინისტრაციული სახდელების ცნება. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი უმეტესწილად დაკავშირებულია ადმინისტრაციული სახდელის შეფარდებასთან. ამდენად, მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადმინისტრაციული სახდელების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებას როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისითაც.

დღესდღეობით საქართველოში შეიმჩნევა ადმინისტრაციული სახდელების გამკაცრება, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ მთელი რიგი დანაშაულებები ამოღებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის კოდექსიდან და გადავიდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სფეროში. მაგრამ აღნიშნულ გარემოებათა გამო, სახდელების გამკაცრება სწორი როდია, ვინაიდან საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ის რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, რაც ჩვენს ქვეყანაშია შექმნილი. მოქმედი კანონმდებლობით ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა გაიზარდა 15 დან 30 დღე-ღამემდე, აგრეთვე მოიმატა ჯარიმების ოდენობამ, ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევა გათვალისწინებულია 2

წლამდე ვადით. ყოველივე ეს კიდევ უფრო ართულებს ისედაც მძიმე ცხოვრების პირობებში მყოფი სამართალდამრღვევის მდგომარეობას.

თავად ადმინისტრაციული სახდელების ცნება მოცემულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული სახდელები წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის მიმართ და მიზნად ისახავს დამრღვევის დასჯასა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას. ამ ცნებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სახდელები, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას, რომელიც შემოფარგლულია სამართლის გარკვეული ნორმით. აქვე კანონმდებელმა განმარტა სახდელის მიზნებიც, რაშიც, პირველ ყოვლისა, მოიაზრება დამრღვევის დასჯა და მოსალოდნელ სამართალდარღვევათა თავიდან აცილება.

ადმინისტრაციული სახდელის სახეები. ადმინისტრაციული სახდელები დადგენილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიერ; ესენია: ა) გაფრთხილება; ბ) ჯარიმა; გ) სპეციალური უფლების ჩამორთმევა; დ) ადმინისტრაციული პატიმრობა; ე) უცხოელის გაძევება საქართველოს ფარგლებიდან.

თუ ჩამონათვალს დაუკვირდებით, შეამჩნევთ, რომ ისინი დალაგებულია სიმძიმის მიხედვით. კერძოდ, შედარებით უფრო მსუბუქ სახდელს მოსდევს უფრო მძიმე ზომა. რა თქმა უნდა, გაფრთხილება სახდელის ყველაზე უფრო მსუბუქი ფორმაა, ვიდრე ჯარიმა ანდა სპეციალური უფლების ჩამორთმევა და ადმინისტრაციული პატიმრობა.

დასახელებული სახდელები შინაარსის მიხედვით იყოფა 3 ჯგუფად: 1) საზოგადოებრივი ხასიათის, როგორიცაა გაფრთხილება; 2) ფულადი სახდელი-ჯარიმა; 3) პირადი შეზღუდვითი ხასიათის, რომელსაც მიეკუთვნება სპეციალური უფლების ჩამორთმევა და ადმინისტრაციული პატიმრობა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სახდელები ძირითადი სახდელებია, ხოლო ისეთი სახდელის სახე კი, როგორიცაა უცხოელის გაძევება საქართველოს ფარგლებს გარეთ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სახდელის სახითაც.

მიუხედავად იმისა, რომ სახდელები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება შინაარსის მიხედვით, მათ მაინც აქვთ საერთო მიზანი – სამართალდამრღვევის გამოსწორება.

გაფრთხილება. გაფრთხილება ყველაზე უფრო მსუბუქი ფორმაა

ადმინისტრაციულ სახდელებს შორის. მის დაკისრებას მხოლოდ მაშინ შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი, თუ ის გაფორმებულია წერილობით ან სხვა დადგენილი ფორმით, როგორიცაა მაგალითად, სპეციალურ ბარათსა ან ტალონზე აღნიშვნა. გაფრთხილება ზეპირი შენიშვნისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ დარწმუნების საშუალებაა და ვინაიდან იგი მიზნად არ ისახავს დამრღვევის დასჯასა და გამოსწორებას, ამდენად, არც წარმოადგენს ადმინისტრაციული სახდელის სახეს. გაფრთხილება საჯაროდ უნდა გამოცხადდეს და უცილებლად წერილობითი ფორმით უნდა იყოს ფიქსირებული.

გაფრთხილება შეიძლება დაეკისროს იმ პირს, რომელიც დადებითად ხასიათდება და თავისი პიროვნების გათვალისწინებით არ იმსახურებს უფრო მკაცრი სახდელის დაკისრებას. ამასთანავე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამართალდამრღვევის ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები და აგრეთვე ბრალის საკითხიც. ამიტომ გაფრთხილება შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც სამართლის ნორმა პირდაპირი ან ალტერნატიულად ითვალისწინებს ამ სახდელის დაკისრებას, არამედ მაშინაც, როდესაც ნორმაში პიროვნების გათვალისწინებით შეიძლება მოხდეს სხვა სახდელის შეცვლა გაფრთხილებით. ასე მაგალითად, ინვალიდებისათვის, რომლებიც არსად არ მუშაობენ, არც ქონება და არც სხვა შემოსავალი არ გააჩნიათ, ჯარიმის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის აღნიშნული ზომა შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილებით.

ჯარიმა. ჯარიმა მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში ადმინისტრაციული სახდელის ყველაზე უფრო გავრცელებული სახეა. იგი არის ერთჯერადი ფულადი გადასახდელი კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის მიხედვით, ჯარიმა შეიძლება განისაზღვროს 0,5 ლარიდან 200 ლარამდე, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში, საერთაშორისო ხელშეკრულებიდან და შეთანხმებიდან გამომდინარე, ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, იგი შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ არა უმეტეს 500 ლარისა ფიზიკური პირებისათვის, ხოლო იურიდიული პირებისათვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 750 ლარს, თუმცა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეიძლება აღნიშნული თანხის გაზრდაც, მაგრამ არაუმეტეს 10000 ადმინ-

ისტრაციული ჯარიმის დაკისრების დროს, მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს დამრღვევის პიროვნება, მისი ქონებრივი მდგომარეობა, შემოსავალი, ოჯახური პირობები და ა.შ.

სამართალდამრღვევმა ადმინისტრაციული ჯარიმა უნდა შეიტანოს საბანკო დაწესებულებაშიარაუგვიანეს 30 დღისა ხოლო თუ ფიზიკური პირი აღნიშნულ ვადაში არ გადაიხდის ჯარიმას და იგი, ამავე დროს, არსად არ მუშაობს, არც სხვა შემოსავალი აქვს და არც ქონება გააჩნია ჯარიმის ამოსაღებად, სახდელის ეს სახე ინვალიდების მიმართ შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილებით, ხოლო ჯარიმის თავის ამრიდებელთა მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობით. რაც შეეხება თანამდებობის პირს, მის მიერ ჯარიმის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში, აღნიშნული სახდელი დაეკისრება იმ იურიდიულ პირს, სადაც იგი მუშაობს. ეს წესი ადმინისტრაციული კანონმდებლობისათვის სიახლეა.

სამართალდამრღვევს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების შესახებ დადგენილება მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში თავისი სურვილისამებრ ზემდგომ ორგანოში ან სასამართლოში. თუ პირი ადმინისტრაციულ საჩივარს შეიტანს ზემდგომ ორგანოში და იგი არ დაეთანხმება მმართველობის ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მას შეუძლია მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის დადგენილებაც საბოლოოა. სასამართლოს მიერ გამოტანილი ჯარიმის გასაჩივრება შეიძლება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში, რაც თავისთავად აჩერებს ჯარიმის აღსრულებას, ჯარიმის ნებაყოფლობითი გადახდის შემთხვევის გარდა. საჩივრის დაუკმაყოფილებლად დატოვების დროს, დამრღვევი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს 15 დღისა, გადაიხადოს ჯარიმა, ხოლო ჯარიმის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში, ამოქმედდება იძულებითი მექანიზმი და აღნიშნული თანხა მას დაექვითება ხელფასიდან, სტიპენდიიდან ან პენსიიდან.

თუ იურიდიული პირი დაჯარიმების შესახებ დადგენილების ან საჩივარზე უარის მიღებიდან სამი დღის ვადაში არ გადაიხდის ჯარიმას ნებაყოფლობით, მაშინ მისი ანგარიშიდან გადაირიცხება აღნიშნული თანხა. თანხის არარსებობის შემთხვევაში ჯარიმის ამოღება ხდება მისი ქონებიდან.

სპეციალური უფლების ჩამორთმევა. სახდელის ეს სახე გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. სპეციალური უფლების ჩამორთმევაში იგულისხმება ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევა, რომელიც განსაზღვრულია 2 წლამდე ვადით, თუკი მძღოლი უხეშად ან სისტემატიურად არღვევს მართვის წესებს. ამ უფლების ჩამორთმევის ვადა არ შეიძლება იყოს 15 დღეზე ნაკლები.

მართვის წესების უხეში და სისტემატიური დარღვევა ერთმანეთისაგან იმის მიხედვით განსხვავდება, რომ უხეში დარღვევისას სახეზე გვაქვს მძიმე შედეგი ან მისი დადგომის შესაძლებლობა, ხოლო სისტემატიური დარღვევის დროს კი ქმედობა შეიძლება არ იყოს მძიმე ხასიათის, მაგრამ იგი რამდენჯერმეა ჩადენილი და ამიტომ სისტემატიურ ხასიათს ატარებს.

სატრანსპორტო მართვის უფლება არ შეიძლება ჩამოერთვას იმ პირებს, რომლებიც ამ საშუალებით სარგებლობენ ინვალიდობის გამო, იმ შემთხვევების გარდა, თუ ისინი სატრანსპორტო საშუალებას მართავენ არაფხიზელ და ნარკოტიკულ საშუალებათა ზემოქმედების მდგომარეობაში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, სატრანსპორტო საშუალებად ჩაითვლება ძრავიანი სახმელეთო, აგრეთვე შინაგანი წყლების სატრანსპორტო საშუალება, მათ შორის მცირე ზომის გემიც.

ადმინისტრაციული პატიმრობა. ადმინისტრაციული პატიმრობა ადმინისტრაციულ სახდელებს შორის ყველაზე უფრო მკაცრი ღონისძიებაა. იგი გულისხმობს პირის იძულებით მოთავსებას სპეციალურ ადგილას არაკვალიფიციური სამუშაოების შესასრულებლად ათიდან ოცდაათ დღემდე ვადით. ამ დროს პირი იზოლირებულია საზოგადოებისაგან. თუმცა ეს იზოლირება არ არის მკაცრი ხასიათის, ვინაიდან სამართალდამრღვევს შეუძლია ისარგებლოს კომუნალური, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურეობით, მაგრამ ამ დროს მას ეკრძალება რაიმე ნივთის შეძენა მაღაზიაში, ამანათების მიღება, ნათესავებსა და მეგობრებთან შეხვედრები. ადმინისტრაციული პატიმრობის მოხდისას კვებისა და მომსახურების სხვა ხარჯებს იხდის ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირი, ხოლო თუ ეს

შესაძლებელია, აღნიშნული ხარჯები დაიფარება შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან.

თუ პირი თავს არიდებს სახდელის მოხდას, მას დაემატება ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა იმ ანგარიშით, რომ საერთო ჯამში იგი არ აღემატებოდეს ორ თვეს. შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკების მიერ ხდება პირის ფიზიკური იძულებით მოთავსება სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას, რომელსაც ისევ შინაგან საქმეთა ორგანოები ადგენენ. აღნიშნული სახდელის დაკისრების შესახებ დადგენილების გამოტანის უფლება აქვს მხოლოდ მოსამართლეს. რაც შეეხება მის აღსრულებას, ეს უკვე შინაგან საქმეთა ორგანოების ფუნქციებში შედის.

ვინაიდან ადმინისტრაციული პატიმრობა ადმინისტრაციული იძულების ყველაზე უფრო მკაცრი ღონისძიებაა, ამდენად, კანონმდებელმა ცალკე გამოყო პასუხისმგებლობის სუბიექტების ის წრე, რომელთაც არ შეძლება შეეფარდოს ადმინისტრაციული პატიმრობა. კერძოდ, 18 წლის ასაკს მიუღწეველ პირებს, ორსულთ, დედებს, რომლებსაც ჰყავთ 12 წლამდე ასაკის ბავშვები, ასევე 60 წელს მიღწეულ ქალებს და მამაკაცებს 65 წლიდან. პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს ამ სახდელის ნაცვლად დაეკისრებათ ადმინისტრაციული ჯარიმა. ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება განსაზღვრულია ისეთი მძიმე სამართალდარღვევებისათვის, როგორიცაა: სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა, წერილმანი ხულიგნობა, დაცული ტერიტორიების რეჟიმის (შინაგანაწესის) დარღვევა, შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნების მუქარა, რეგისტრაციის გარეშე ცხოვრება ან რეგისტრაციაზე უარის თქმა და სხვა ასეთი გადაცდომებისათვის, რომლებიც საზიანოა სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის.

ადმინისტრაციული პატიმრობა განსხვავდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი პირადი შეზღუდვით ხასიათის სასჯელებისაგან როგორიცაა: თავისუფლების შეზღუდვა და ტუსაღობა.

თავისუფლების შეზღუდვა, ადმინისტრაციული პატიმრობისაგან განსხვავებით, გულისხმობს 16 წელს მიღწეული მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე მოთავსებას სპეციალურ დაწესებულებაში – გამასწორებელ ცენტრში, მასზე ზედამხედველობის

მიზნით. ადმინისტრაციული პატიმრობა კი ნიშნავს პირის იძულებითი წესით იზოლაციას საზოგადოებისაგან. ასევე განსხვავებულია აღნიშნული იძულებითი ღონისძიებების დაკისრების ვადებიც. თუკი ადმინისტრაციული პატიმრობა საერთო ჯამში არ შეიძლება აღემატებოდეს 2 თვეს, თავისუფლების შეზღუდვა კი ენიშნება ნასამართლეობის არმქონე, განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებულს — ერთიდან სამ წლამდე, ხოლო გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისთვის კი იგი განისაზღვრება ერთიდან ხუთ წლამდე.

ადმინისტრაციული პატიმრობა, როგორც იძულების ღონისძიება, ასევე მკვეთრად განსხვავდება ტუსაღობისაგან. ეს უკანასკნელი ნიშნავს მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან მკაცრ იზოლაციას, ხოლო ადმინისტრაციული პატიმრობის დროს კი პირს მოათავსებენ სპეციალურ ადგილას არამკაცრი იზოლაციის პირობებში. ე.ი. პირს ამ დროს შეუძლია თავისი ხარჯებით ისარგებლოს ყველა კომუნალური, საყოფაცხოვრებო, თუ სხვაგვარი მომსახურეობით, მაშინ, როდესაც ტუსაღობის დროს პირი არ სარგებლობს ამგვარი შეღავათებით.

ადმინისტრაციული დაკავების ვადა, რომელმაც არ უნდა გასტანოს 8 საათზე მეტს, ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში კი 24 საათს, ჩაითვლება ადმინისტრაციული პატიმრობის ვადაში.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 107-ე მუხლის თანახმად, დადგენილება პატიმრობის შესახებ აღსრულდება დაუყოვნებლივ, მისი გამოტანის შემდეგ, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი აღსრულება უნდა მოხდეს მაშინვე, რამდენიმე დღის განმავლობაში.

უცხოელის გაძევება საქართველოს ფარგლებიდან. ადმინისტრაციული სახდელის ერთ-ერთი სახეა უცხოელის გაძევება საქართველოს ფარგლებიდან. გაძევება ნიშნავს იმ უცხოელის საქართველოს ფარგლების იძულებით დატოვებინებას, რომელიც განზრახ, სისტემატიურად ჩადის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

საქართველოდან ადმინისტრაციული წესით გაძევდება ის უცხოელი, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს სისტემატიურად ჩადის. ამასთანავე, გაძევების პარალელურად მას უნდა დაეკისროს სხვა ადმინისტრაციული სახდელიც, ვინაიდან გაძევება დამატებითი ადმინისტრაციული სახდელია. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის სისტემატიურად ჩადენა გულისხმობს იმას, რომ პირი

ორჯერ და უფრო მეტჯერ ჩადის არა მარტო ერთი და იმავე სამართალდარღვევებს, არამედ მან შეიძლება სხვადასხვა სახის გადაცდომები ერთი წლის განმავლობაში რამდენჯერმე ჩაიდინოს. ასე მაგალითად, თუ უცხოელმა ჩაიდინა წვრილმანი ხულიგნობა ერთი წლის განმავლობაში განმეორებით, მას ჯერ უნდა შეეფარდოს ადმინისტრაციული პატიმრობა, ან ჯარიმა და ამის შემდეგ შეიძლება დამატებითი ადმინისტრაციული სახდელის სახით იგი გაძევებულ იქნეს საქართველოს ტერიტორიიდან. ასევე თუ უცხოელი მოქალაქე სისტემატიურად არღვევს გზებზე მოძრაობის წესებს და, ამავე დროს, ეტანება სპირტიან სასმელებს საზოგადოებრივ ადგილებში, ეს საფუძველს იძლევა მისი გაძევებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართალდამრღვევი მოქმედებს განზრახვით და, ამასთანავე, სამართალდარღვევას ჩადის სისტემატიურად. ამ სახდელის შეფარდება შეუძლია მხოლოდ მოსამართლეს.

თავი VI. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება

§1. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები

ამა თუ იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის დაკისრების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ჩადენილი სამართალდამრღვევის ხასიათი, მის მიერ დამდგარი შედეგები, სამართალდარღვევის პიროვნება, მისი ბრალეულობის ხარისხი (განზრახ ჩაიდინა ესა თუ ის გადაცდომა თუ გაუფრთხილებლობით), ვინაიდან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული სახდელის სახით მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირის მიმართ, თუ მას ბრალი მიუძღვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში.

ამასთანავე, აუცილებელია, რომ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება მოხდეს კანონიერების ფარგლებში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში, აგრეთვე იძულების ზუსტად ის ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებ-

ული სამართალდამრღვევის მიმართ, რაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმით არის გათვალისწინებული. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს დამრღვევის მატერიალურ მდგომარეობასა და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და შესაბამის მუხლებში მითითებულია პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ასევე დამამძიმებელი გარემოებების შესახებ. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ჩამოთვლილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემამსუბუქებელი გარემოებები:

ა) ბრალეულის გულწრფელი მონანიება;

ბ) ბრალეულის მიერ სამართალდარღვევის მავნე შედეგის თავიდან აცილება, ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება;

გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე ან მძიმე პირადი თუ ოჯახური გარემოებების დამთხვევის გამო;

დ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა არასრულწლოვანის მიერ;

ე) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა ორსული, ან იმ ქალის მიერ, რომელსაც 3 წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავს;

ვ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა მუქარით ან იძულებით, ან მატერიალური, თუ სამსახურებრივი თუ სხვაგვარი დამოკიდებულების გამო.

კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს იმ ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევათა საქმეს წყვეტს, თავისი შეხედულებისამებრ შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ის გარემოებაც, რაც ამ კოდექსით გათვალისწინებული არ არის.

რაც შეეხება დამამძიმებელ გარემოებებს, მათი ზუსტად ჩამოთვლა შესაძლებელია.

ასეთი გარემოებებია:

ა) მართლსაწინააღმდეგო ქცევის გაგრძელება მისი შეწყვეტის შესახებ საამისოდ უფლებამოსილი პირის მოთხოვნის მიუხედავად;

ბ) ერთი წლის განმავლობაში ერთგვაროვანი ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის განმეორებით ან სისტემატიურად ჩადენა, რის გამოც პირს ადრე დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი;

გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა ნასამართლევი პირის მიერ;

დ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა ანგარებით ან სხვა ქვენა გრძნობით;

ე) ადმინისტრაციული სამართალდარღვევით მძიმე შედეგების გამოწვევა;

ვ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა მცირეწლოვანის, ღრმად მოხუცებულის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, აგრეთვე ბრალეულისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;

ზ) არასრულწლოვანის ჩაბმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში, ან მისი წაქეზება ამის ჩასადენად;

თ) სამართალდარღვევის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით;

ი) სამართალდარღვევის ჩადენა სტიქიური უბედურების პირობებში, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებულ ტერიტორიაზე;

კ) სამართალდარღვევის ჩადენა მთვრალი ან ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის მიერ. შეიძლება ეს გარემოება კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით არ იყოს მიჩნეული დამამძიმებელ გარემოებად;

ლ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა საყოველთაოდ საშიში საშუალებებით;

მ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა მეორე პირის მატერიალური, სამსახურეობრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამო.

§2. ადმინისტრაციული სახდელის გამოყენება რამდენიმე სამართალდარღვევის ჩადენისათვის

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, თუ პირს ჩადენილი აქვს რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, მას თითოეული დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრება ცალ-ცალკე. ადმინისტრაციული სახდელების შეკრება ან ერთი სახდელის მეორეთი შთანთქმა დაუშვებელია. ასე მაგალითად, თუ

პირი ბოროტად თავს არიდებს მშობლების, შვილების ან მეუღლის მოვლა-პატრონობას და ამავე დროს, იგი ჩაიდენს წვრილმან ხულიგნობას, პირველი დარღვევისათვის მას შეეფარდება ადმინისტრაციული ჯარიმა 45 ლარიდან 75 ლარამდე, ხოლო მეორე ქმედებისათვის კი — ადმინისტრაციული პატიმრობა ვადით 30 დღემდე. მართალია, ამ ორივე სახდელის ერთად დაკისრება იძულების შედარებით მკაცრი ღონისძიებაა, მაგრამ სამაგიეროდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიც ერთდროულადაა ჩადენილი, რისთვისაც პასუხისმგებლობა ძლიერდება.

იმ შემთხვევაში, თუ პირმა დარღვევისათვის მოიხადა სისხლის სამართლის სასჯელი, იგი თავისუფლდება ამავე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელისაგან, ხოლო თუ სამართალდამრღვევმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული გადაცდომა და ამ საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე ორგანო, სახდელი დაეკისრება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევისათვის.

§3. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების ვადები

ადმინისტრაციული საქმის წარმოება დაკავშირებულია მის ეკონომიურობასა და სისწრაფესთან. იმისთვის, რათა ამაღლდეს ადმინისტრაციული სახდელების ეფექტურობა, კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სახდელების დაკისრების შემცირებული ვადები, კერძოდ, ადმინისტრაციული სახდელები შეიძლება დაეკისროს პირს; ა) არა უგვიანეს 2 თვისა, სამართალდარღვევის ჩადენის ან დენადი სამართალდარღვევის გამოვლენის დღიდან; ბ) არა უგვიანეს ერთი თვისა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტიდან, თუ ამასთან, სამართალდარღვევის ჩადენიდან არ გასულა 6 თვეზე მეტი. ამ ვადის გასვლისას დამრღვევი არ გათავისუფლდება საქართველოს ფარგლებს გარეთ გაძევებისაგან. ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა გამოიანგარიშება დღეებითა და საათებით, ხოლო სპეციალური უფლების ჩამორთმევის — წლებით, თვეებითა და დღეებით.

პირი, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და ერთი წლის განმავლობაში არ ჩაუდენია ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, არ ჩაითვლება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ნამყოფ პირად.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოები ქვემდებარეობის წესის მიხედვით, განიხილავენ მთელ რიგ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს. ადრე მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მათ მიერ გამოტანილი დადგენილება საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა, მაგრამ დღესდღეობით ეს წესი შეიცვალა და თუ ადმინისტრაციული გადაცდომის საქმე პირველი ინსტანციის წესით განიხილება ზემოაღნიშნული სასამართლოების მიერ, მათზე დაშვებულია სააპელაციო და საკასაციო წარმოება. ამის საფუძველს იძლევა 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ", რომლის მიხედვითაც თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში შექმნილია ადმინისტრაციულ-საგადასახადო და სხვა საქმეთა პალატები. ისინი წარმოადგენენ მეორე ანუ სააპელაციო ინსტანციებს, ხოლო რაც შეეხება საბოლოო, საკასაციო ინსტანციას, ასეთია საქართველოს უზენაეს სასამართლოში ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა.

სხვა სახელმწიფო ორგანოები, თუ თანამდებობის პირების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს პირის სურვილის მიხედვით, როგორც ზემდგომ ინსტანციაში, ასევე რაიონის (ქალაქის) სასამართლოში. მხოლოდ ამ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და იგი შემდგომ გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება.

რაც შეეხება საოლქო სასამართლოებს, ისინი პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ სარჩელებს ადმინისტრაციულ დავებზე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე, საქართველოს სამთავრობო დაწესებულების, პრეზიდენტის გამგებლობაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, სხვა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის, აგრეთვე პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე, ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმისა და ფოთის საკრებულოებისა და მერიების (მერების) მიერ მიღებული ნორმატიული აქტების კანონიერების თაობაზე.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოები, პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ სარჩელებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე.

თავი VII. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ცალკეული დარღვევისათვის

სამართალი იცნობს სასამართლო და არასასამართლო პროცესუალურ ფორმებს. სასამართლო პროცესუალურ ფორმას მიეკუთვნება სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესები. მათგან განსხვავებით, ადმინისტრაციული პროცესი არასასამართლო პროცესუალური ფორმაა, ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევების განხილვა, სასამართლოების გარდა, სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და მისი თანამდებობის პირების (საჯარო მოსამსახურეების) უფლებამოსილებასაც წარმოადგენს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი თვითონ განსაზღვრავს იმ სამართალდარღვევების ნუსხას, რომელიც რაიონის (ქალაქის) სასამართლოის განხილვის ქვემდებარეა. კერძოდ, ასეთებია: ადმინისტრაციული სამართალდარღვევები მიმართული პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ; საკუთრების ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები; ნარკოტიკულ საშუალებათა, სხვა ძლიერმოქმედ ან შხამიან ნივთიერებათა მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენა ან შენახვა, ან მათი მოხმარება არასამედიცინო მიზნით, ვენერიული სენის ან შიდსის შეყრის წყაროს ან ავადმყოფთა ისეთი კონტაქტების დაფარვა, რომელიც ვენერიული სენის ან შიდსის შეყრის საშიშროებას ქმნის; სამკურნალო საშუალებათა წარმოებისა და ვაჭრობის წესების დარღვევა; გაუფრთხილებლობით სხეულის მსუბუქი დაზიანება; წვრილმანი ხულიგნობა; ნასვამი, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მძღოლის მიერ სატრანსპორტო საშუალებათა მართვა და მრავალი სხვა გადაცდომა. ამავე კოდექსში მითითებულია სხვა სახელმწიფო ორგანოების ქვემდებარე სამართალდარღვევების ნუსხა. ასეთი ორგანოებია: შინაგან საქმეთა, სახელმწიფო საგადასახადო, საბაჟო, სახანძრო, შრომის სახელმწიფო ინსპექციები და სხვა.

ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ზოგიერთ სამართალდარღვევაზე.

წვრილმანი ხულიგნობა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, წვრილმან ხულიგნობად ჩაითვლება საზოგადოებრივ ადგილებში უცენზურო ლანძღვა-გინება, მოქალაქისადმი შეურაცხმყოფელი საქციელი (მომაბეზრებელი გადაკიდება და სხვა ამგვარი ქმე-

დობა), რაც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, მოქალაქეთა სიმშვიდესა და მყუდროებას, — იწვევს ჯარიმას 15-დან 75 ლარამდე, ხოლო თუ საქმის გარემოებების მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომების გამოყენება ჩაითვლება არასაკმარისად — ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით 15 დღემდე. იგივე ქმედობა თუ იგი ჩადენილი იქნება განმეორებით, ალარ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, იგი მხოლოდ გაზრდის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომას და გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 75-დან 150 ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით 30 დღემდე.

აღნიშნული ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე, წვრილმანი ხულიგნობა წარმოადგენს განზრახ მოქმედებას, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, მოქალაქეთა სიმშვიდესა და მყუდროებას, იგი გამოიხატება სამართალდამრღვევის აქტიური მოქმედებით. ხულიგანი შეიძლება მომაბეზრებლად გადაეკიდოს მოქალაქეს, შეურაცხყოფა მიაყენოს მას. რა თქმა უნდა, ყოველგვარი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა არ ჩაითვლება წვრილმან ხულიგნობად, მაგალითად, ხმამაღალი სიმღერა. ასეთი ქმედობა ადმინისტრაციული სამართლის ნორმით არ არის დასჯადი. წვრილმანი ხულიგნობა დანაშაულებრივისაგან იმით განსხვავდება, რომ მისთვის არ არის დამახასიათებელი ისეთი ნიშანი, როგორიცაა აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, აგრეთვე იგი არ გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, უხეშად არ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და არ არის ჩადენილი ძალადობით ან კიდევ ძალადობის მუქარით.

პრაქტიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც წვრილმანი ხულიგნობა გადაიზრდება დანაშაულში, ე.ი. თუ სამართალდამრღვევი წინააღმდეგობას გაუწევს ხელისუფლების წარმომადგენელს ან ხულიგნობის აღმკვეთ სხვა პირს, აგრეთვე გამოიყენებს ცეცხლსასროლ იარაღს, დანას ან სხვა საგანს იარაღად. პირი ამ შემთხვევაში პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.

წვრილმანი ხულიგნობის ჩადენის დროს ოქმს შეადგენს შინაგან საქმეთა ორგანოს წარმომადგენელი, ხოლო აღნიშნული სამართალდარღვევის საქმეს კი განიხილავს რაიონის (ქალაქის) მოსამართლე.

ქონების წვრილმანი დატაცება. ქონების წვრილმანი დატაცება საკუთრების ხელმყოფ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა რიცხვს მიეკუთვნება.

ქონების წვრილმანი დატაცება შეიძლება გამოიხატოს ქურდობის, მითვისების, გაფლანგვის, სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ან თაღლითობის ფორმით. ქურდობა ნიშნავს სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას, თაღლითობა — სხვისი ნივთის დაუფლებას ან ქონებრივი უფლების მიღებას მოტყუებით, ხოლო მითვისების ან გაფლანგვის დროს იგულისხმება, რომ სხვისი მოძრავი ნივთი თავიდან იმყოფებოდა მიმთვისებლის ან გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში და ამის შემდეგ მოხდა მისი მართლსაწინააღმდეგო მითვისება ან გაფლანგვა. აღნიშნული სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებულია ჯარიმა 75 ლარიდან 120 ლარამდე, ან ადმინისტრაციული პატიმრობა ვადით 30 დღემდე.

კანონმდებელმა, ამასთანავე განმარტა, რომ ქონების დატაცება ჩაითვლება წვრილმანად, თუ მისი ღირებულება არ აღემატება 75 ლარს. დატაცებული ქონების ღირებულების გარდა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე რაოდენობა ნატურით (წონა, მოცულობა). შეიძლება დატაცებული ნივთის ღირებულება მცირეა, მაგრამ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მესაკუთრისათვის. რა თქმა უნდა, საქმის განხილვის დროს ყურადღება უნდა მიექცეს აღნიშნულ გარემოებას.

ქონების წვრილმანი დატაცების საქმეს განიხილავს რაიონის (ქალაქის) მოსამართლე.

ნადირობის წესების დარღვევა. ნადირობის წესების დარღვევაში გაერთიანებულია ნადირობისა და თევზჭერის, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის წესების დარღვევა.

თევზისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევა გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას 30 ლარიდან 45 ლარამდე, თანამდებობის პირთათვის — 30 ლარიდან 75 ლარამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ჯარიმის გაზრდას 75 ლარიდან 150 ლარამდე, ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღემდე ვადით.

ნადირობის, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარი სარგებლობის წესების დარღვევა ითვალისწინებს მოქალაქეთა დაჯარიმებას 30 ლარიდან — 45 ლარამდე, თანამდებობის პირთათვის — 30 ლარიდან 75 ლარამდე. იმავე ქმედების განმეორებით ჩადენისათვის დადგენილია ჯარიმა 75 ლარიდან 150 ლარამდე, ან ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღემდე ვადით.

იმისათვის, რომ აღნიშნული სამართალდარღვევისათვის დადგეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, აუცილებელია გაირკვეს სახელდობრ ნადირობის რომელი წესები დაირღვა და კონკრეტულად რაში გამოიხატება იგი. ნადირობისა და თევზჭერის წესების დარღვევისათვის ოქმის შედგენის მიზნით, თუ გადაცდომის ჩადენის ადგილას სამართალდამრღვევის პიროვნების დადგენა შეუძლებელია, ამ წესების დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განმხორციელებელი ორგანოების თანამდებობის პირებს, აგრეთვე პოლიციის მუშაკებს შეუძლიათ სამართალდარღვევის ჩამდენი პირები მიიყვანონ პოლიციაში. თუ უკანონო ნადირობას შედეგად მოჰყვება მნიშვნელოვანი ზიანი, პირი ამ დროს პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

საზოგადოებრივ ადგილებში ალკოჰოლიანი სასმელების გამოყენება ან ასეთ ადგილებში ნასვამ მდგომარეობაში ყოფნა. საზოგადოებრივ ადგილებში ალკოჰოლიანი სასმელების სმა ან ასეთ ადგილებში ნასვამ მდგომარეობაში ყოფნა, არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა მყუდროებას.

ალკოჰოლიანი სასმელების (ლუდის გარდა) სმა ქუჩებში, სტადიონებზე, სკვერებში, პარკებში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სხვა ადგილებში, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოების გარდა, სადაც ალკოჰოლიანი სასმელების სმა ნებადართულია, ან საზოგადოებრივ ადგილებში ნასვამ მდგომარეობაში ყოფნა, რაც ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელია, გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 15 ლარიდან 30 ლარამდე. როგორც ვხედავთ, კანონმდებელმა დააკონკრეტა თუ რა ადგილებში არ შეიძლება ალკოჰოლიანი სასმელების მიღება და, ამავე დროს, დასჯადად ჩათვალა მხოლოდ ისეთ ნასვამ მდგომარეობაში ყოფნა, რომელიც ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელია. ამავე დროს, მან დააწესა ალტერნატიული სახდელი იმისდა მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია სამართალდამრღვევი. თუკი პირი იმავე ქმედებას ჩაიდენს განმეორებით, იგი დაჯარიმდება 30 ლარიდან 45 ლარამდე.

ზემოთ აღნიშნული ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ორჯერ დაედო ადმინისტრაციული სახდელი საზოგადოებრივ ადგილებში ალკოჰოლიანი სასმელის სმისათვის

ან ასეთ ადგილებში ნასვამ მდგომარეობაში ყოფნისათვის, გამოიწვევს დაჯარიმებას 60 ლარიდან 120 ლარამდე, ხოლო თუ ამ საქმის გარემოებათა მიხედვით და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომების მიღება ჩაითვლება არასაკმარისად, ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით 15-დან 30 დღემდე.

შინაგან საქმეთა ორგანოები განიხილავენ აღნიშნულ სამართალდარღვევის პირველ და მეორე ხოლო მესამე სახეს კი – რაიონის (ქალაქის) მოსამართლე.

ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების წესების დარღვევა გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით. ამ მოქმედების ჩადენა გამოიწვევს მოქალაქეთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 30 ლარიდან 75 ლარამდე, თანამდებობის პირთა ან იურიდიულ ირთათვის – გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 75 ლარიდან 150 ლარამდე.

აღნიშნული მუხლი ეხება ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების წესების დარღვევას, მაგრამ თუკი ამას შედეგად მოჰყვება ძეგლების დაზიანება ან განადგურება, პირი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. ჩვენს ტერიტორიაზე აგებულია უამრავი ისტორიული ძეგლი – ბოლნისის სიონის ტაძარი, მცხეთის ჯვრის მონასტერი, ბეთანია, ვარძია, სვეტიცხოველი და მრავალი სხვა. ჩვენში დაცულია ქართული მართლმადიდებლური საგანძური, რომელთა დაცვასა და შენახვას არა მარტო ისტორიული, არამედ უდიდესი სულიერი ღირებულებებიც გააჩნია. ისტორიისა და კულტურის ძეგლებში იგულისხმება არა მარტო ეკლესია-მონასტრები, არამედ ის ღირსშესანიშნავი ადგილები და ნივთები, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ ქართველი ერის ისტორიულ წარსულთან. ასეთებია აგრეთვე ძველი ხელნაწერები, ქანდაკებები, ფრესკები და სხვა.

თავი VIII. საჯარო სამსახური და მოსამსახურე. საჯარო მოსამსახურის ცნება და სახეები

საჯარო სამსახური ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტია. იგი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ძალზე რთული და მრავალმხრივი სოციალურ-სამართლებრივი ინსტიტუტია.

დღესდღეობით საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური თუ სამართლებრივი გარდაქმნების ფონზე კიდევ უფრო გაიზარდა საჯარო სამსახურის როლი. სწორედ ამიტომ საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 31 ოქტომბერს მიიღო კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ", სადაც ჩამოყალიბებულია როგორც საჯარო სამსახურის, ასევე საჯარო მოსამსახურეთა ცნებები და მათი კლასიფიკაცია. აღნიშნული კანონი ეხება საჯარო დაწესებულებებში სახელმწიფო მმართველობის განხორციელებას.

კანონის პირველსავე მუხლში მითითებულია, რომ „საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში". ამგვარად, კანონმდებელმა საჯარო დაწესებულებები დაყო ორ ჯგუფად: 1. სახელმწიფო საჯარო დაწესებულებად და 2. ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებად. შესაბამისად საჯარო მოსამსახურეებად ჩაითვლებიან როგორც სახელმწიფო დაწესებულების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეები. რაც შეეხება იმ სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ: საქართველოს პარლამენტი; საქართველოს სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო; საერთო სასამართლოები; საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს კონტროლის პალატა; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და სააგენტოები, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული და მისი აპარატი.

ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებს, რომლებშიც საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ საკრებულოები და გამგეობები. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში კი საჯარო სამსახურებად გვეელინებიან აფხაზეთისა და აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები.

კანონი ახდენს საჯარო მოსამსახურეთა კლასიფიკაციას და იგი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი;
2. მოხელე;
3. დამხმარე მოსამსახურე;
4. შტატგარეშე მოსამსახურე.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა ჩამოთვლამდე, საჭიროა გავარკვიოთ თავად სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის ცნება. აღნიშნული კანონის მიხედვით „სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა არის საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით გათვალისწინებული ის სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც პოლიტიკურია და არჩევის ან დანიშვნის წესი განისაზღვრება შესაბამისად საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებით". სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებს კი, შესაბამისად წარმოადგენენ:

1. საქართველოს პრეზიდენტი;
2. საქართველოს პარლამენტის წევრი;
3. საქართველოს მთავრობის წევრი;
4. აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი;
5. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელი.

მოხელე ისეთი პირია, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე. მოხელე, რა თქმა უნდა, ანაზღაურებას იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამდენად, მოხელეებად ჩაითვლებიან სხვადასხვა სამმართველოსა და დეპარტამენტის უფროსები, განყოფილებათა უფროსები, ინსპექტორები და სხვა.

დამხმარე მოსამსახურე ტექნიკური მუშაკია, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მიიღება დაწესებულების შტატით გათვალისწინებულ დამხმარე სამსახურის თანამდებობაზე. ასეთი დამხ-

მარე მოსამსახურეები არიან მაგალითად: მბეჭდავი, დარაჯი, დამლაგებელი და ა.შ.

შტატგარეშეა პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით, გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

საჯარო სამსახურის პრინციპები. საჯარო სამსახურის პრინციპები ის ძირითადი დებულებებია, რომლებზე დაყრდნობითაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება სახელმწიფო სამსახური. ეს პრინციპები საერთოა, სახელმწიფო, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვისაც.

საჯარო სამსახურის პრინციპები კანონმდებლობით არის განმტკიცებული, რაც თავისთავად განაპირობებს საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირებისა და მათი მოხელეების საქმიანობის მაღალეფექტურობას. „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-13 მუხლში ჩამოთვლილია საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები:

საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხის ერთგულება, რაც იმაში გამოიხატება, რომ საჯარო სამსახური, უპირველეს ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს ქვეყნისა და მოსახლეობის ინტერესების დასაცავად.

საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობის დაცვა მომსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. როგორც ცნობილია, საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი მას უნდა შეესაბამებოდეს. საჯარო მოსამსახურეებმა განახორციელებენ რა მათზე დაკისრებულ თანამდებობრივ უფლება-მოვალეობებს, უნდა იცოდნენ, რომ მათ მიერ გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული თუ ინდივიდუალური აქტები საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების მიერ დადგენილ მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს.

ადამიანისა და მოქალაქის უფლებების, თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემა. იმისათვის, რათა ავაშენოთ სამართლებრივი სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია პიროვნება ვაღიაროთ უმაღლეს ფასეულობად, ამისათვის კი საჭიროა ყველა საჯარო მოსამსახურემ დაიცვას მოქალაქეთა კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები და თავისუფლებები.

საქართველოს მოქალაქეებისათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა მათი უნარისა და პროფესიული მომზადების შე-

საბამისად. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიხედვით „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს". რა თქმა უნდა, საჯარო სამსახური ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს რასის, სქესის, სოციალური წარმოშობის, რელიგიის თუ ალმსარებლობისა და სხვა კრიტერიუმების მიუხედავად.

მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა არის ძირითადი კრიტერიუმი, რომელიც გამოიყენება ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევისას. ამ დროს უპირატესობა მიენიჭება ყველაზე უფრო ღირსეულ, კომპეტენტურ და მეტი გამოცდილების მქონე პიროვნებას.

საქვეყნოობა გულისხმობს საჯარო სამსახურის გამჭირვალებას, მისი საქმიანობის ღიაობას. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც მთლიანად მიმართულია სწორედ ამ პროცესების დანერგვასთან. გავიხსენოთ თუნდაც აღნიშნული კოდექსის მე-3 თავი, რომელიც ინფორმაციის თავისუფლებას ეხება.

საჯარო სამსახურის უპირატესობა და საერთო ხასიათი ნიშნავს იმას, რომ ასეთი დაწესებულების ორგანოებში არ შეიძლება შეიქმნას პოლიტიკური პარტიები და მათი გაერთიანებები.

მომსახურეთა კადრების სტაბილურობაში იგულისხმება საჯარო მოსამსახურეთა კადრების შედარებითი სიმყარე. მათი დათხოვნა თანამდებობიდან უფრო რთულია, ვიდრე კერძო სტრუქტურებში მომუშავე პირების.

მოსამსახურეთა ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა. ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებულია საჯარო მოსამსახურეთა კანონიერი უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიები.

საჯარო სამსახურში მიღების სპეციალური მოთხოვნები. საჯარო სამსახურში, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არ შეიძლება მოხვდნენ შემთხვევითი პირები, ამიტომ კანონმდებელმა მოქალაქეებს განუსაზღვრა როგორც ძირითადი, ასევე სპეციალური მოთხოვნები სამსახურში მისაღებად.

ძირითადი მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო

მოხელედ შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 23 წელს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას. იგივე პირობებია გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელისთვისაც, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ მათ უნდა ჰქონდეთ საშუალო განათლება მაინც, ხოლო ასაკით უნდა იყვნენ არანაკლებ 18 წლისა.

სპეციალური მოთხოვნების შესაბამისად, საჯარო სამსახურში შესვლისას და აგრეთვე ყოველწლიურად, მოსამსახურეობის პრეტენდენტმა საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურში უნდა წარადგინოს თავისი და ოჯახის წევრების შემოსავლისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაცია. ქონებრივ მდგომარეობაში იგულისხმება შენატანი ბანკში, ფასიანი ქაღალდები, საწარმოს დივიდენდები, მოძრავი და უძრავი ქონება, რომელიც იმყოფება ამ პირთა საკუთრებასა და თანასაკუთრებაში. საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", თანამდებობის პირები ვალდებული არიან თანამდებობის დაკავებიდან ერთი თვის განმავლობაში შეავსონ და წარადგინონ ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაცია. ასევე თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში ყოველი წლის 1-დან 31 იანვრამდე უნდა წარადგინონ ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციები, ხოლო მათი წარუდგენლობა კი იწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით.

სამსახურში მიღებისას აუცილებელია მოქალაქემ წარადგინოს სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი მოთხოვნები შეიძლება შემოიღონ დაწესებულების ხელმძღვანელებმა ან ზემდგომმა უფროსებმა.

საჯარო სამსახურში მისაღებად თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირებს პრეტენდენტმა უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) ავტობიოგრაფია;

გ) ხელწერილი კანონით დადგენილ მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის შესახებ;

დ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;

ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;

ზ) ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის ცნობა საგადასახადო სამსახურიდან;

თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა;

ი) სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნებიც.

მოხელეე სამსახურში მიიღება თანამდებობაზე დანიშვნით ან არჩევით, მაგრამ ყველაზე უფრო დემოკრატიულ ფორმად მიჩნეულია კონკურსის გამოცხადება, რაც მეტ შესაძლებლობას ანიჭებს პრეტენდენტს, რათა მან გამოავლინოს თავისი ნიჭი და უნარი. კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“ უკონკურსოდ შეიძლება დანიშნონ საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის მიერ თანამდებობაზე დასანიშნი, ან ასარჩევი მოხელეები, პარლამენტის მიერ თანამდებობაზე დასანიშნი, ან ასარჩევი მოხელეები, მინისტრის მოადგილეები, თანაშემწეები და მრჩევლები, თანამდებობაზე დროებითი შემცვლელები და კანონით გათვალისწინებული სხვა პირები.

პირი, რომელიც პირველად იქნება მიღებული სამსახურში, დებს ფიცს, რომლის მიხედვითაც იგი ვალდებულია ემსახუროს საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხს, დაიცავს საქართველოს კონსტიტუციას და ა.შ.

მოსამსახურეს ეკრძალება როგორც სამეწარმეო, ასევე პარტიული საქმიანობაც. სახელმწიფო მოსამსახურეს არა აქვს უფლება ეკავოს სხვა თანამდებობა სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობის დაწესებულებაში, იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგანოს წევრი.

საჯარო სამსახურში მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები. „კანონმა საჯარო სამსახურის შესახებ“ განსაზღვრა ის გარემოებები, რომელთა არსებობისას პირები არ მიიღებიან სახელმწიფო სამსახურში. ესენია:

ა) თუ პირი ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა;

ბ) იმყოფება წინასწარი გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში;

გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ;

დ) სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;

ე) სამედიცინო დასკვნის თანახმად მისი ჯანმრთელობა არ აკმაყ-

ოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს;

ვ) თანამდებობის დაკავების შედეგად უშუალოდ სამსახურებრივი ზედამხედველობით უკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს;

ზ) არის უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი, კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა.

მოსამსახურეთა წახალისების ზომები. მოსამსახურეთა მიერ სამსახურეობრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, აგრეთვე ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისათვის წესდება წახალისების შემდეგი ზომები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ერთდროული ფულადი ჯილდო;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) თანამდებობრივი სარგოს თანრიგის ამაღლება.

შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. წახალისების ზომების მართებულად გამოყენება ხელს უწყობს მოსამსახურეთა აქტიურობის ზრდასა და სამსახურეობრივი დისციპლინის განმტკიცებას.

დისციპლინური გადაცდომა და მოსამსახურეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 78-ე მუხლის შესაბამისად დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურეობრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა, ან არაჯეროვნად შესრულება, რაც ყოველთვის ითვლებოდა დისციპლინურ სამართალდარღვევად, აგრეთვე ყურადღება გამახვილებულია მთელ ახალ მომენტებზე. მაგალითად, კანონმდებელმა დისციპლინურ გადაცდომად ჩათვალა დაწესებულებებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება, ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნა, რისთვისაც პირს დაეკისრება ერთდროულად სამოქალაქო და დისციპლინური პასუხისმგებლობა, აგრეთვე ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული ულირსი საქციელი (ბრალეული ქმედება) განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალი კანონის მიხედვით საჯარო მოსამსახურეს ზნეობრივი ნორმების დაცვა ოფიციალურად მოეთხოვება. დისციპლინური გადაცდომისათვის მოხელეს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:

ა) შენიშვნა;

ბ) გაფრთხილება;

გ) არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;

დ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა;

ე) უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა არა უმეტეს ერთი წლისა. ამ პასუხისმგებლობის ზომების დაკისრება სამართალდარღვევისათვის შეუძლია იმ თანამდებობის პირს, ან დაწესებულებას, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება;

ვ) სამსახურიდან დათხოვნა.

ამასთანავე, ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის პირს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ერთი დისციპლინური სახდელი.

დისციპლინური სახდელი მოსამსახურეს არ შეიძლება დაეკისროს გადაცდომის ჩადენიდან 6 თვისა და გადაცდომის გამოვლენიდან 1 თვის გასვლის შემდეგ. ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე ადრე მოხსნა, თუ სამართალდამრღვევმა არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა, თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა მოსამსახურემ. დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე ადრე მოხსნა ფორმდება წერილობით და, ამასთან, ორ პირად. ერთი რჩება იმ თანამდებობის პირთან, ან დაწესებულებაში, რომელმაც აღნიშნული ღონისძიება გაატარა, ხოლო მეორე გადაეცემა თვითონ მოხელეს. ასევე, თუკი მოხელეს ერთი წლის ვადაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.

კარი მეცხრე

სისხლის სამართალი

თავი I. სისხლის სამართლის ცნება

სისხლის სამართალი სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. სისხლის სამართალი საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დადგენილი სამართლის ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც განსაზღვრავს ქმედების დანაშაულებრიობასა და დასჯადობას, პასუხისმგებლობის საფუძვლებს, სასჯელთა სისტემასა და მათი დანიშვნის წესს, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების პირობებს.

ზოგიერთი ევროპელი ხალხების ენაზე ტერმინს – „სისხლის სამართალი“ ორგვარი მნიშვნელობა აქვს, იმისდა მიხედვით, თუ რა იდეაა ჩაქსოვილი მის ცნებაში. თუ ეს დანაშაულის იდეაა, მაშინ მას დანაშაულის სამართალს უწოდებენ, ხოლო თუ პირველ ადგილზე წამოწეულია დანაშაულისათვის დასჯის იდეა, მაშინ იგი დასჯის სამართლის სახელწოდებით გვეელინება.

რუსულ ენაზე – ტერმინი „уголовное право“ ადამიანის საკუთარი თავით პასუხისმგებლობას უკავშირდება, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი დასჯის სამართალია.

ქართულ ენაში „სისხლის სამართალი“ ეტიმოლოგიურად ტერმინ – „სისხლს“ უკავშირდება და თავდაპირველად დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის აღებას გულისხმობდა. ამგვარად, ქართულადაც „სისხლის სამართალი“ დასჯის სამართალია.

სისხლის სამართლის ამოცანაა დაიცვას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები, საქართველოს კონსტიტუციური წყობილება, საკუთრება, წესრიგი და სხვა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესები. ამასთან ერთად, მისი ამოცანაა დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება, როგორც კონკრეტული პიროვნების, ისე საზოგადოების სხვა წევრთა მხრიდან.

სამართლის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, სისხლის სამართლის წყარო მხოლოდ კანონია. სისხლის სამართალი აღიარებს საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის საყ-

ოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, ეფუძნება ერთადერთ აქტს — სისხლის სამართლის კოდექსს.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა იმის გარანტიაა, რომ კერძო და თანამდებობის პირებმა თავი არ იმართლონ კანონის არცოდნით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კანონის არცოდნა არ ათავისუფლებს მოქალაქეს პასუხისმგებლობისაგან.

სისხლის სამართლის კანონი იწყებს მოქმედებას მაშინ, როდესაც მართლსაწინააღმდეგო ქმედება ყველაზე მაღალი საშიშროების შემცველია. სხვა შემთხვევაში კი დგება უფრო მსუბუქი იურიდიული პასუხისმგებლობა, როგორიცაა, მაგალითად, დისციპლინური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

სისხლის სამართლის კოდექსი შედგება ორი ნაწილისაგან: ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან. ზოგადი ნაწილი შეიცავს სისხლის სამართლის ისეთ ნორმებს, რომლებშიც მოცემულია მისი ძირითადი ინსტიტუტები და ცნებები, ასევე იმ მნიშვნელოვან დებულებებს, რაც დაკავშირებულია დანაშაულსა და სასჯელთან. სახელდობრ: ბრალის ფორმები, თანამონაწილეობა, დანაშაულის განვითარების სტადიები, სასჯელის მიზნები, მისი სახეები, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების წესი და პირობები და სხვ.

კერძო ნაწილი კი შეიცავს კონკრეტულ დანაშაულთა სახეებს და განსაზღვრავს მათი ჩადენისათვის სასჯელის სახესა და ზომას (მაგალითად, პასუხისმგებლობას ქურდობისათვის, ბანდიტიზმისათვის, ქრთამის აღებისათვის და სხვა).

სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილები ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს და სისხლისსამართლებრივი ნორმების ერთიან სისტემას ქმნის.

არსებობს ზოგადი წესი, რომლის თანახმადაც საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულის ჩამდენი პირი, თავისი მოქალაქეობის მიუხედავად, პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. გამონაკლისი დაშვებულია უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლებისა და ზოგიერთი სხვა კატეგორიის პირებისათვის, რომლებიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ. მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით.

სისხლის სამართლის კოდექსში მეტად მნიშვნელოვანი დებულებაა ჩამოყალიბებული, რომლის თანახმადაც საქართველოს მოქალაქე, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი არ შეიძლება გადაეცეს სხვა სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თავი II. დანაშაულის ცნება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში აღნიშნულია, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ე.ი. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

მართლწინააღმდეგობა, როგორც დანაშაულის ფორმალური ნიშანი, გულისხმობს, რომ ადამიანის ქმედება არსებული სისხლის სამართლის ნორმის საწინააღმდეგოა, სამართლის ნორმა უარყოფითად აფასებს ადამიანის განსაზღვრულ მოქმედებას ან უმოქმედობას.

მართლწინააღმდეგობა, ჯერ კიდევ ძველი რომის სამართალში გაბატონებული პრინციპის – „არ არსებობს დანაშაული, თუ ამის შესახებ არ არის მითითებული კანონში“ – საკანონმდებლო გამოხატულებაა. ამ პრინციპიდან გამომდინარე, სისხლის სამართალში აკრძალულია კანონის ანალოგიის გამოყენება, თუ იგი არ ამსუბუქებს პირის პასუხისმგებლობას.

ასევე მნიშვნელოვანია დანაშაულის ისეთი ნიშანი, როგორიცაა ბრალეულობა, ანუ პირის სათანადო ფსიქიკური დამოკიდებულება დანაშაულებრივ ქმედებასა და დამდგარი შედეგისადმი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით. იგი გულისხმობს, რომ დამნაშავემ ან შეგნებულად დაარღვია სისხლის სამართლის ნორმა, ან არ მიაქცია ყურადღება გამაფრთხილებელ წესებს, ან საერთოდ არ უფიქრია თავისი მოქმედების მავნე შედეგზე, თუმცა შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა იგი.

სისხლის სამართლის კანონში მითითებული შედეგი შეიძლება დადგეს ბრალის გარეშეც, როდესაც პირი მოქმედებს გაფრთხილების არსებულ ნორმათა შესაბამისად, მაგრამ ზიანი მაინც დგება იმ

გარემოებათა ძალით, რომლის შესახებ მან არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა. მაგალითად, მედდა, რომელმაც ავადმყოფს სხვა წამალი მისცა, პასუხს არ აგებს მისი მოწამვლისათვის, თუ დადგინდება, რომ შეცდომა დაუშვა ფარმაცევტმა და მედდამ არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა ამგვარი საშიშროების შესახებ. ასეთ გარემოებათა დამთხვევას სისხლის სამართალში კაზუსს, ანუ შემთხვევას უწოდებენ, როდესაც მავნე შედეგი დგება ზიანის უშუალო მიმყენებლის ბრალის გარეშე.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ რაიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

მაგალითად, მცირე ღირებულების რვეულის მოპარვა, თუმცა ფორმალურად ქურდობაა, ვინაიდან იგი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შეიცავს, მაგრამ ზიანის უმნიშვნელო ხასიათის გამო, ასეთად არ ჩაითვლება. ამ დაზუსტების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ ფორმალური მსგავსება დანაშაულთან საკმარისი არ არის. ამა თუ იმ ქმედების მცირემნიშვნელოვნად მიჩნევა ფაქტის საკითხია. მცირე მნიშვნელობის სამართალდარღვევამ, რომელიც დანაშაულად არ ჩაითვლება, შეიძლება სხვა სამართალდარღვევის შემადგენლობა შექმნას (მაგალითად, ადმინისტრაციული ან დისციპლინური). ასეთ შემთხვევაში პირის მიმართ გამოიყენება ადმინისტრაციული ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება, რომელიც სისხლის სამართლის სასჯელი არ არის.

დანაშაულებრივ ქმედებათა საშიშროების ხასიათი და ხარისხი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ნათელია, რომ მკვლელობა უფრო საშიშია, ვიდრე ქონების ქურდობა, ხოლო ქურდობა კი უფრო საშიშია ცილისწამებაზე. ამიტომაც არის, რომ ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის სისხლისსამართლებრივი შედეგი გადამწყვეტ გავლენას ახდენს სასჯელის სახესა და ზომაზე.

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსი იძლევა

დანაშაულთა კლასიფიკაციას და მას საფუძვლად უდებს თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალურ ვადას. დანაშაული სამი კატეგორიისაა: ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე.

ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას. მძიმე დანაშაულად ითვლება ისეთი განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათ წელს; აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლისთვისაც თავისუფლების აღკვეთა გათვალისწინებულია ხუთ წლამდე მეტი ვადით. ხოლო რაც შეეხება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, რომელიც მხოლოდ განზრახ შეიძლება იყოს ჩადენილი, მისთვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით, ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

თავი III. ბრალი და მისი ფორმები

დანაშაული უსათუოდ გულისხმობს პირის ქმედებაში ბრალის არსებობას. ბრალის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს დანაშაული. ეს იმას ნიშნავს, რომ დამნაშავეს უნდა ჰქონდეს გარკვეული ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი დანაშაულისა და დამდგარი შედეგისადმი.

ბრალს ორი ფორმა აქვს: განზრახვა და გაუფრთხილებლობა. განზრახვა შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი, ხოლო გაუფრთხილებლობა კი თვითიმედოვნებითა და დაუდევრობით ჩადენილი.

პირდაპირი განზრახვა განზრახვის ისეთი სახეა, როდესაც პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობას.

პირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავე არა მარტო ითვალისწინებს მავნე შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არამედ მისი მოქმედება სწორედ ამ შედეგის დადგომისკენაა მიმართული (მაგალითად, როდესაც დამნაშავე შურისძიების მიზნით მოკლავს დაზარალებულს).

მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის

გათვალისწინება გულისხმობს, რომ ეს შედეგი შეიძლება რაიმე მიზეზით არ დადგეს. ხოლო შედეგის განხორციელების გარდუვალობა კი ნიშნავს, რომ დამნაშავის შეგნება გამორიცხავს ისეთ გარემოებებს, რომელთა გამო სასურველი შედეგი არ დადგება. მაგალითად, თუ პირი, რომელიც ძალიან ღონიერია, ქეიფის დროს წაეჩხუბება სხვას და გადმოაგდებს მას მეათე სართულიდან, უდავოდ უნდა მივიჩნიოთ, რომ დამნაშავე ითვალისწინებდა მსხვერპლის სიკვდილის გარდუვალობას.

რაც შეეხება არაპირდაპირ განზრახვას, უნდა შევნიშნოთ, რომ ქმედება ჩაითვლება არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილად, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

არაპირდაპირი განზრახვის არსებობისას პირი არ მიისწრაფვის საშიში შედეგის დადგომისაკენ, მაგრამ შეგნებულად უშვებს მის დადგომას. მაგალითად, დამნაშავეს სურს, ავიდეს ხალხით სავსე ავტობუსში, რის გამოც ხელს კრავს გვერდით მდგომ მოქალაქეს, რომელიც ჩამოვარდება ავტობუსიდან და ხელის ტრავმას მიიღებს. ამ შემთხვევაში დამნაშავეს არა აქვს სურვილი — ზიანი მიაყენოს ვინმეს, მაგრამ შეგნებულად უშვებს, ურიგდება და გულგრილად ეკიდება ამ შედეგის დადგომას.

გაუფრთხილებლობით დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით.

ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული აქვს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებს.

დამნაშავე თვითიმედოვნებით ჩადის დანაშაულს, როდესაც იგი ზედმეტად თავდაჯერებულია და ქარაფშუტული, გაუმართლებელი ვარაუდი აქვს, რომ შეძლებს დროზე მავნე შედეგის თავიდან აცილებას. მაგალითად, ტაქსის მძღოლი დიდი სიჩქარით მართავს მანქანას და ხედავს, რომ გზაზე გადადის მოხუცი. მძღოლი ითვალისწინებს, რომ მას შეუძლია დაეჯახოს მოხუცს, თუ იგი ნელა გადავა გზაზე, მაგრამ იმედოვნებს, რომ ეს შედეგი არ დადგება, ფიქრობს რა, რომ აქვს დიდი გამოცდილება და შეძლებს მანქანის დროზე დამუხრუჭე-

ბას. მძღოლის უსაფუძვლო ვარაუდი არ მართლდება და მოხუცს მანქანა დაეჯახება.

რაც შეეხება დანაშაულის ჩადენას დაუდევრობით, ეს ხდება მაშინ, როდესაც პირს გაცნობიერებული არა აქვს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალება და შეეძლო კიდეც.

თვითმედოვნებისაგან განსხვავებით, დაუდევრობის დროს პირს საერთოდ არა აქვს გათვალისწინებული ის გარემოება, რომ მის მოქმედებას შეიძლება მძიმე შედეგი მოჰყვეს. თუმცა, როგორც აღინიშნა, მას შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა იგი (მაგალითად, პირი წმენდს იარაღს და წინასწარ არ ამოწმებს, არის თუ არა ტყვია ლულაში, გაისვრის და ბავშვს მძიმედ დააშავებს).

თავი IV. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და დასჯა მთელ რიგ თავისებურებებს შეიცავს. ეს განპირობებულია მათი ფსიქიკის თავისებურებით, ზნეობრივი პრიორიტეტების არასწორი აღქმით, „არაფორმალური ლიდერების", მოზრდილების მავნე ზეგავლენითა და სხვა.

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას ან მისგან გათავისუფლებისას არასრულწლოვნად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა თოთხმეტი წელი, მაგრამ არ შესრულებია თვრამეტი წელი. ზოგჯერ, როდესაც არ არსებობს სათანადო დოკუმენტები, სასამართლო ვალდებულია მიიღოს ზომები არასრულწლოვანთა ასაკის ზუსტად დადგენისათვის.

დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, პირი გარკვეულ ასაკს მიღწეულად ითვლება არა დაბადების დღეს, არამედ შემდეგი დღიდან. თუ ასაკის დადგენა ხდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის საფუძველზე, პირის დაბადების დღედ ითვლება იმ წლის ბოლო დღე, რომელიც ექსპერტების მიერ არის დადგენილი. თუ ექსპერტიზა ვერ ადგენს პირის ზუსტ წლოვანებას და მიუთითებს ზღვარს მინ-

იმალურ და მაქსიმალურ ასაკს შორის, სასამართლო პასუხისმგებლობის საფუძვლად მიიჩნევს ექსპერტიზის მიერ დადგენილ მინიმალურ ასაკს.

სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ის პირი, ვინც თვრამეტ წლამდე ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, თუ მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორება მიზანშეწონილია აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენებით, რაც სასჯელად არ ითვლება.

აღსანიშნავია არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურება, რომელიც გულისხმობს, რომ არ შეიძლება თვრამეტ წლამდე პირის მიმართ უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენება. არასრულწლოვანს თავისუფლების აღკვეთა ენიშნება არა უმეტეს ათი წლის ვადით, რომელსაც ის მოიხდის აღმზრდელობით დაწესებულებაში.

თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ხნით, მაგრამ არა უმეტეს თხუთმეტი წლისა.

არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება მისი ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, ფსიქიკური განვითარების დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სხვა პიროვნული თავისებურებანი და ა.შ.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი ჩათვლის, რომ არასრულწლოვნის გამოსწორება შესაძლებელია აღმზრდებლობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენებით.

სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია აღმზრდელობითი ზემოქმედების ისეთი იძულებითი ღონისძიებები როგორიცაა: გაფრთხილება, საზედამხედველოდ გადაცემა, ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება, ქცევის შეზღუდვა და სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება.

აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებები თავისი ბუნებით სისხლისსამართლებრივი ზომებია; ისინი სახელმწიფო იძულების ზომების ნაირსახეობაა. მათი ძირითადი განსხვავება სასჯელისაგან იმაში მდგომარეობს, რომ ამ ზომების გამოყენება პირის ნასამართლობას არ იწვევს.

გაფრთხილება ეს არის არასრულწლოვანისათვის მისი მოქმედებით მიყენებული ზიანის განმარტება და იმის ახსნა, თუ რა შედეგი მოჰყვება მის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენას.

არასრულწლოვნის საზედამხედველოდ გადაცემა გულისხმობს მის გადაცემას მშობლის ან მისი შემცვლელი პირის ან სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოსათვის. ამ პირებსა და ორგანოს ეკისრებათ მოვალეობა აღმზრდელობითი ზეგავლენა მოახდინონ არასრულწლოვანზე და კონტროლი გაუწიონ მის ყოფა-ქცევას.

სასამართლომ როდესაც არასრულწლოვანს ზიანის ანაზღაურების მოვალეობას დააკისრებს, უნდა გაითვალისწინოს მისი ქონებრივი მდგომარეობა და შრომითი ჩვევები. მაგალითად, ღობის დანგრევისას არასრულწლოვანს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება საკუთარი შრომით აღადგინოს იგი.

არასრულწლოვნის ქცევის შეზღუდვა ნიშნავს მისთვის დროის გარკვეულ მონაკვეთში შინიდან გასვლის აკრძალვას, სპეციალური სახელმწიფო ორგანოს ნებართვის გარეშე სადმე წასვლას, სწავლის განახლების ვალდებულების დაკისრებას და სხვა.

არასრულწლოვნის სპეციალურ-აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება ხდება მაშინ, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სასჯელის მიზნები შეიძლება მიღწეულ იქნეს არასრულწლოვნის მიერ სასჯელის მოხდის გარეშეც.

თუ არასრულწლოვანი სისტემატურად არღვევს აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ ეს ღონისძიება გაუქმდება სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს წარდგინებით და მასალები გადაიგზავნება არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასადგენად.

თავი V. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები

სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს რა დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას, იმავე დროს ითვალისწინებს ისეთ გარემოებასაც, როდესაც პირი ამა თუ იმ ცხოვრებისეულ სიტუაციასთან დაკავშირებით იძულებულია დაარღვიოს კანონი. სისხლის სამართლის კანონმდე-

ბლობა ითვალისწინებს ისეთ გარემოებებს, რომელიც თუმცა ფორმალურად დანაშაულია, მაგრამ მათ არ ახასიათებთ მართლწინააღმდეგობა; და პირიქით, ისინი საზოგადოებრივად სასარგებლოა.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი შემდეგი გარემოებები არსებობს: აუცილებელი მოგერიება, დამნაშავის შეპყრობა, უკიდურესი აუცილებლობა და მართლზომიერი რისკი.

სისხლის სამართლის კოდექსში აღნიშნულია, რომ მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის პირი, რომელიც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ე.ი. ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. აუცილებელი მოგერიების უფლება პირს აქვს იმისდა მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას თავიდან აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას.

მაგალითად, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იქნება პირი, რომელსაც თავს დაესხნენ და სიკვდილით ემუქრებიან. თუ ამ დროს იგი დაასწრებს თავდამსხმელს და მოკლავს მას, იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება.

მართალია, ადამიანის, საზოგადოებისა და ქვეყნის ინტერესების დაცვა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მოვალეობაა, მაგრამ თუ მოქალაქეს არ მივცემთ თავდაცვისა და სხვათა სიკეთის დაცვის უფლებას, დანაშაული უფრო ადვილად იქნება ჩადენილი. ისიც უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, რომ აუცილებელი მოგერიების დაშვება ერთგვარ დამაშინებელ გავლენას ახდენს თავდამსხმელზე.

აუცილებელი მოგერიება მართლზომიერად რომ ჩაითვალოს, იგი შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს: 1. აუცილებელი მოგერიებით უნდა მოხდეს ადამიანის, საზოგადოებრივი და სახელმწიფოს კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვა; 2. დაცვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ხელმყოფისათვის ზიანის მიყენებით; 3. ხელყოფა უნდა იყოს რეალური და იმწუთიერი.

ხელყოფის რეალობა ნიშნავს, რომ თავდასხმა პირის წარმოდგენაში კი არ არსებობს, ან ეჩვენება, არამედ ის სინამდვილეში ხდება. იმწუთიერება კი გულისხმობს, რომ დამნაშავის მხრიდან ხელყოფა უკვე დაწყებულია (მაგალითად, ქურდი ჯიბეში ყოფს ხელს), ან არსებობს თავდასხმის რეალური საფრთხე (მაგალითად, ყაჩაღები

იარაღის მუქარით მოითხოვენ მათთვის ფულის გადაცემას). მომგერიებელი არ უნდა დაელოდოს, რომ დამნაშავის მოქმედებამ რაიმე ზიანი გამოიწვიოს; 4. დაცვა არ უნდა გადასცილდეს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ დაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ მომგერიებელმა არ უნდა მიაყენოს მოწინააღმდეგეს ისეთი ზიანი, რაც ხელყოფის აცილებისათვის არ არის აუცილებელი. იმისათვის, რომ დადგენილ იქნეს ჰქონდა თუ არა ადგილი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას, ყურადღება უნდა მიექცეს ხელყოფის ადგილს, დროს, თავდამსხმელთა რაოდენობას, იარაღს და სხვა.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება უკვე დასჯადია, თუმცა, ცხადია, რომ იგი პირის პასუხისმგებლობას შეამსუბუქებს.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოებაა მოქალაქის მოქმედება, მიმართული დამნაშავის შესაპყრობად მისი ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად, თუნდაც ამ მოქმედებით დამნაშავეს ზიანი მიეყენოს.

დამნაშავის შეპყრობას, ძირითადად, სათანადო სახელმწიფო ორგანოები ახდენენ, მაგრამ მოქალაქეთათვის ამგვარი უფლების მინიჭება დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში კეთილმყოფელ გავლენას ახდენს. ამავე დროს, თუ მოქალაქე ამ უფლებას არ გამოიყენებს, ის პასუხს არ აგებს.

დამნაშავის შესაპყრობად მიმართული მოქმედება რომ მართლზომიერად ჩაითვალოს, იგი შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს:

1) დამნაშავის შეპყრობის მიზანი უნდა იყოს მისი სამართალდამცავ ორგანოებში წარდგენა. ამიტომ თუ მოქალაქე პირს შეიპყრობს, რათა თვითონ გაუსწორდეს მას და, შესაძლოა, ზიანიც მიაყენოს, ეს უკვე დანაშაულია და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამოიწვევს;

2) დამნაშავის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძალადობა (მაგალითად, გათოკვა, სხეულის დაზიანება), მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე უძალიანდება შემპყრობს და ზიანის მიყენება აუცილებელია მისი ხელისუფლების ორგანოებში წარსადგენად. დამნაშავის შეპყრობისას ზიანის მიყენება მართლზომიერად არ ჩაითვლება, თუ დამნაშავეს შედარებით მცირე მნიშვნელობის

დანაშაული აქვს ჩადენილი და რომლისთვისაც თავისუფლების აღკვეთა გათვალისწინებული არ არის (მაგალითად, ვინმეს ცემა).

3) დამნაშავის შესაპყრობად ძალის გამოყენებისას არ უნდა იყოს გადაცილებული მისი შეპყრობისათვის აუცილებელი ზომა, ანუ არ უნდა არსებობდეს აშკარა შეუსაბამობა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და შეპყრობის გარემოებებთან. რაც უფრო საშიშია პირის მიერ ჩადენილი დანაშაული, მით უფრო მეტი ზიანის მიყენებაა დასაშვები.

დამნაშავის შეპყრობა მოქალაქის მორალური მოვალეობაა, ხოლო პოლიციის მუშაკისათვის იგი სამსახურებრივ მოვალეობას წარმოადგენს.

აუცილებელ მოგერიებასა და დამნაშავის შეპყრობას შორის განმასხვავებელი ნიშანი არის, რომ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა წარმოიშობა ხელყოფის მომენტიდან, მაშინ, როდესაც დამნაშავის შეპყრობა ხორციელდება, როგორც წესი, დანაშაულის ჩადენის შემდეგ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ასევე გათვალისწინებულია უკიდურესი აუცილებლობა, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი კიდევ ერთი გარემოება. მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს პირი, რომელიც ჩაიდენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა მის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს, თუ ამ საფრთხის თავიდან აცილება არ შეიძლებოდა სხვა საშუალებით და თუ დაზიანებული სიკეთე ნაკლებმნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გადარჩენილი.

უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მოქმედებს პირი იმ შემთხვევაში, როდესაც, მაგალითად, ავადმყოფი ბავშვის გადასარჩენად მძღოლის ნებართვის გარეშე, რომელიც წინააღმდეგობას უწევს, დაეუფლება და ისარგებლებს მისი მანქანით.

უკიდურესი აუცილებლობის მართლზომიერებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი პირობები: 1) უკიდურესი აუცილებლობის დროს დაცულ უნდა იქნეს ადამიანის, საზოგადოებრივი ან სახელმწიფო ინტერესები; 2) საფრთხის თავიდან აცილება ხდება იმ პირისათვის ზიანის მიყენებით, რომელიც არ მონაწილეობდა საფრთხის წარმოშობაში (ზემოთ მოყვანილ მაგალითში ასეთია ავტომანქანის მძღოლი); 3) ზიანის მიყენება წარმოადგენს საფრთხის თავიდან აცილების ერთადერთ საშუალებას (სხვა შემთხვევაში ბავშვი დაიღუპებოდა) 4) მიყენებული ზიანი

უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე თავიდან აცილებული ზიანი (პირმა მცირე ზიანი მიაყენა ავტომანქანის მძღოლს, რათა უფრო მნიშვნელოვანი სიკეთე — ბავშვის სიცოცხლე გადაერჩინა).

აუცილებელ მოგერიებასა და უკიდურეს აუცილებლობას შორის საერთოა ის, რომ ორივე შემთხვევაში პირის მოქმედება მართლზომიერია, საზოგადოებრივად სასარგებლო და მიმართულია ადამიანის პიროვნებისა და უფლებების, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების დასაცავად.

მათ შორის არსებობს განსხვავებაც: 1) აუცილებელი მოგერიების დროს საფრთხის წყაროა მხოლოდ ადამიანის საშიში მოქმედება, უკიდურესი აუცილებლობის დროს კი საფრთხის წყარო შეიძლება იყოს როგორც ადამიანის მოქმედება (მაგალითად, როდესაც სულით ავადმყოფი სახლს ცეცხლს უკიდებს), ასევე სტიქიური ძალები (მიწისძვრა, ზვავი და სხვა), ცხოველები, ფიზიოლოგიური პროცესები (მაგალითად, სიცივე, როდესაც პირი რომ არ გაიყინოს ტრიალ მინდორში შედის პატარა ქოხში და გასათბობად წვავს იქ არსებულ ნივთებს; 2) აუცილებელი მოგერიების დროს ზიანი ადგება მხოლოდ ხელმყოფს, უკიდურესი აუცილებლობისას კი — იმ პირებს, რომლებსაც საფრთხის წარმოშობაში ბრალი არ მიუძღვით; 3) აუცილებელი მოგერიებისას შეიძლება, რომ ზიანის მიყენება ერთადერთი საშუალება არ იყოს საფრთხის თავიდან ასაცილებლად (მაგალითად, თავდასხმისას პირს შეუძლია გაიქცეს, შველა ითხოვოს), უკიდურესი აუცილებლობის დროს კი ეს საფრთხის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა; 4) აუცილებელი მოგერიების დროს ხელმყოფისათვის მიყენებული ზიანი შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე თავიდან აცდენილი ზიანი, ხოლო უკიდურესი აუცილებლობისას მიყენებული ზიანი ყოველთვის უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე თავიდან აცდენილი ზიანი.

სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი კიდევ ერთი გარემოება — მართლზომიერი რისკი; მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს პირი, რომელიც საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად გამართლებული რისკის პირობებში დააზიანებს სამართლებრივ სიკეთეს.

მართლზომიერი რისკი — ეს პროფესიული რისკია, ვინაიდან იგი შესაძლებელია პროფესიული საქმიანობის ყველა სფეროში. მართლ-

ზომიერი რისკის ყველაზე გავრცელებული სახეებია: მეცნიერული ექსპერიმენტისას თვით ექსპერიმენტის ავტორის რისკი (მაგალითად, მეცნიერის მიერ ვაქცინის თავის თავზე გამოცდა); საწარმოო-სამეურნეო, კომერციული რისკი და სხვა.

რისკი გამართლებულად ჩაითვლება და პასუხისმგებლობას გამორიცხავს იმ შემთხვევაში, თუ: 1) იგი ხორციელდება სოციალურად სასარგებლო მიზნის მისაღწევად (მაგალითად, ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად); 2) აღნიშნული მიზანი არ შეიძლება მიღწეულიყო რისკის გარეშე; 3) პირმა მიიღო ყველა ზომა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

ზემოაღნიშნული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ კონკრეტულ გარემოებებს გარდა, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას სხვა ისეთი ქმედების ჩადენისათვის, რომელიც თუმცა კოდექსში სახელდებით არ არის მოხსენიებული, მაგრამ საკმაოდ აკმაყოფილებს ამ ქმედების მართლზომიერების პირობებს.

თავი VI. დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა

დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს როგორც ერთმა პირმა, ისე რამდენიმე ადამიანმა ერთად, ანუ თანამონაწილეობით. თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული უფრო დიდი საშიშროების შემცველია, ვინაიდან ამ დროს ხდება დამნაშავეთა როგორც ინტელექტუალური, ისე ფიზიკური ძალების გაერთიანება. ამასთან ერთად, დანაშაულში შეიძლება ჩათრეულ იქნეს სუსტი ნებისყოფის ადამიანი. აქედან გამომდინარე, თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა უფრო მკაცრია.

დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში.

ამსრულებლად ჩაითვლება პირი, ვინც უშუალოდ ჩაიდენს დანაშაულს ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობს მის ჩადენაში. ამსრულებლობის ერთ-ერთი სახეა შუალობითი ამსრულებლობა. შუალობითი ამსრულებელია ის პირი, ვინც დანაშაულის ჩადენის

იარაღად გამოიყენებს ისეთ ადამიანს, რომელმაც არ შეიძლება პასუხი აგოს თავისი მოქმედებისათვის (მაგალითად, პირი ასაკის, ან შეურაცხაობის გამო ვერ მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში). ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაეკისრება შუალობით ამსრულებელს, რომელიც თავისი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად იყენებს „ცოცხალ იარაღს“.

თანამონაწილეთა შორის განასხვავებენ ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს. ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას.

წამქეზებელია ის, ვინც განზრახ დანაშაულის ჩასადენად სხვას დაიყოლიებს.

დამხმარედ ჩაითვლება ის პირი, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას. მაგალითად, დამხმარეა ის, ვინც დანაშაულის ჩასადენად მისცემს საშუალებებს, ააცილებს დაბრკოლებებს ან წინასწარ დაჰპირდება, რომ დამალავს დამნაშავეს, დანაშაულის ჩადენის იარაღსა და საშუალებას, დანაშაულის კვალს, დანაშაულებრივი გზით ნაშოვნ საგნებსა და სხვა.

ზოგჯერ ხდება, რომ დანაშაულის ამსრულებელი ჩაიდენს ისეთ ქმედებას, რომელიც დასჯადია სისხლის სამართლის წესით, მაგრამ იგი შეთანხმებული არ ყოფილა სხვა თანამონაწილეებთან. ამას ამსრულებლის ექსცესს უწოდებენ. ასეთ შემთხვევაში პირი დაისჯება როგორც იმ დანაშაულისათვის, რაც თანამონაწილეთა მიერ იყო გამიზნული, ისე შეუთანხმებელი მოქმედების ჩადენისათვის (მაგალითად, ყაჩაღური თავდასხმის დროს ამსრულებელმა სხვა თანამონაწილეებთან შეუთანხმებლად მოკლა მსხვერპლი).

ჯგუფური დანაშაულის სხვადასხვა სახე არსებობს. ეს შეიძლება იყოს ისეთი ჯგუფი, რომელშიც ორი ან მეტი ამსრულებელი წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში. ასევე ჯგუფი, თუ მასში მონაწილენი წინასწარშეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. ყველაზე უფრო საშიშია ჯგუფური დანაშაულის ისეთი სახე, როგორიცაა ორგანიზებული ჯგუფი. ამ დროს დანაშაულს ჩადის წინასწარ შეკავშირებულ პირთა მყარი ჯგუფი, რომელიც შექმნილია რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად (მაგალითად, ბანდა).

თავი VII. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

სისხლის სამართლის ერთ-ერთი მიზანია დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება. ამიტომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირმა წამოიწყო დანაშაული, მაგრამ შემდგომ ნებაყოფლობით აიღო ხელი მის ბოლომდე მიყვანაზე, იგი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ნიშნავს, რომ პირი შეგნებულად, საკუთარი ნებით და საბოლოოდ წყვეტს დანაშაულებრივ საქმიანობას მაშინ, როდესაც მისი ბოლომდე მიყვანის სრული შესაძლებლობა ჰქონდა.

პირის ქმედება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად იქნება აღიარებული მაშინ, როდესაც იგი თავისი ნებით იტყვის უარს დანაშაულის დამთავრებაზე. თუ დანაშაულზე ხელის აღება იძულებით მოხდა, იგულისხმება, რომ ქმედების ჩადენის საშიშროება კვლავ არსებობს და ამიტომ პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ვერ გავათავისუფლებთ.

მაგალითად, დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღება იძულებით ხასიათს ატარებს, თუ პირი ცდილობს სეიფის გახსნას, მაგრამ ვერ მოახერხა მისი რთული კონსტრუქციის გამო.

დანაშაულის ჩადენაზე უარისთქმა საბოლოოა მაშინ, როდესაც პირი დროებით კი არ წყვეტს დანაშაულებრივ საქმიანობას, არამედ მისი გადაწყვეტილება აღარ შეიცვლება.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის შემადგენლობას. მაგალითად, პირმა შეიძინა იარაღი თავისი მტრის მოსაკლავად, ჩაუსაფრდა და იარაღიც მოიმარჯვა, მაგრამ უკანასკნელ წუთში გადაიფიქრა. ამ შემთხვევაში იგი პასუხს აგებს არა პირის მკვლელობის მცდელობისათვის, არამედ იარაღის უკანონოდ შეძენისა და ტარებისათვის.

ზემოაღნიშნული დებულება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ, ვრცელდება აგრეთვე ორგანიზატორზე, წამქეზებელსა და დამხმარეზე, თუ მათ

გადაარწმუნეს ამსრულებელი, დროულად შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოს ან სხვაგვარად შეუშალეს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა.

დამხმარეს აგრეთვე არ დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვა შეესრულებინა შეპირებული ქმედება ანდა ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება.

თუ მათ თავიანთი მოქმედებით ვერ შეძლეს თავიდან აეცილებინათ ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენა, მაშინ მათ მიერ მიღებული ზომები სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას შეიძლება მიიჩნიოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.

დანაშაულზე ხელის აღებად ითვლება ასევე, თუ პირმა თუმცა ყველაფერი გააკეთა დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებისათვის, მაგრამ შემდეგ თავისი ნებაყოფლობითი ქმედებით თავიდან აიცილა ეს შედეგი. ამიტომ პირი არ დაისჯება იმ შემთხვევაში, თუ მოვლენათა მსვლელობისას რჩება შესაძლებლობა კონტროლი გაუწიოს მოქმედებათა წარმართვას და შეუძლია გავლენა მოახდინოს მის განვითარებაზე. მაგალითად, პირი ცეცხლს უკიდებს სახლს, მაგრამ რამდენიმე წუთში ბრუნდება უკან და აქრობს ხანძარს.

კანონმდებლობა არ უკავშირებს დანაშაულის ჩადენის მოტივს ქმედების დაუსჯელობას. პირს შეიძლება ამოქმედებდეს თავისი საქციელის საშიშროების შეგნება, დაზარალებულისადმი სიბრალული ან მოსალოდნელი სასჯელის შიში. მთავარია, რომ პირმა დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება დანაშაულზე ხელის აღების შესახებ მაშინ, როდესაც მას შესაძლებლობა აქვს იგი ბოლომდე მიიყვანოს.

თავი VIII. სასჯელი და მისი სახეები

სასჯელი სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიებაა, რომელიც სახელმწიფოს სახელითა და კანონის საფუძველზე, სასამართლოს მიერ შეეფარდება დანაშაულის ჩამდენ პირს.

სასჯელი დამნაშავეს ართმევს ან უზღუდავს პირად უფლებებსა და თავისუფლებებს, ასევე უმცირებს ქონებრივ სიკეთეს და გამოხატავს დამნაშავისა და ქმედების უარყოფით შეფასებას სახელმწიფოს სახელით.

სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კოდექსშია განსაზღვრული. აღნიშნულია, რომ სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. სასჯელის მიზანი ხორციელდება ძსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რომ მათ გაითავისონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის აუცილებლობა.

სასჯელის მიზნებში ხაზი უნდა გაესვას მსჯავრდებულის მიერ ახალი დანაშაულისა (კერძო პრევენცია) და სხვა მერყევი ელემენტების მიერ დანაშაულის ჩადენის აცილებას (ზოგადი პრევენცია).

სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება.

სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია სასჯელის არსებული სისტემა. არსებობს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელები. ზოგიერთი ძირითადი სასჯელი შეიძლება გამოყენებული იყოს დამატებით სასჯელადაც. ძირითადი სასჯელები გამოიყენება მხოლოდ დამოუკიდებლად და არ შეიძლება მათი შეერთება სხვა სასჯელთან. ასეთი სასჯელებია, მაგალითად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, თავისუფლების შეზღუდვა, ტუსაღობა, ვადიანი და უვადო თავისუფლების აღკვეთა და ზოგიერთი სხვა. ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელთა სახეებიდან შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე.

სასჯელთა სახეებიდან აღსანიშნავია ჯარიმა, რომლის გამოყენების სფერო საკმაოდ ფართოა. ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი. მის ოდენობას სასამართლო ადგენს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა გულისხმობს, რომ მსჯავრდებულს ეკრძალება ეკავოს დანიშვნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში, ანდა ეწეოდეს პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას. მსჯავრდებულისათვის ამგვარი სასჯელის დანიშვნა ნიშნავს, მაგალითად, რომ მას ეკრძალება ისეთი თანამდებობის დაკავება, რაც დაკავშირებულია ფულად და სხვა მატერიალურ ფასეულობის

განკარგვასთან ან ამა თუ იმ საქმიანობის სფეროში განსაზღვრული სპეციალობით მუშაობა (მაგალითად, ექიმობა) და სხვა.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის თავისუფალ დროს უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

გამასწორებელი სამუშაო გულისხმობს მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს სასარგებლოდ ხუთიდან ოც პროცენტამდე თანხის დაქვითვას. ეს სასჯელი მოხდილ უნდა იქნეს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე.

თავისუფლების შეზღუდვა ნიშნავს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის თოთხმეტ წელს მიღწეული მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე მოთავსებას სპეციალურ დაწესებულებაში — გამასწორებელ ცენტრში მასზე ზედამხედველობის განხორციელებით.

ტუსაღობა, როგორც სასჯელის სახე, ითვალისწინებს მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან მკაცრ იზოლაციას.

საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩადენისათვის დამნაშავეს მიესჯება თავისუფლების აღკვეთა. თავისუფლების აღკვეთის ორი სახე არსებობს: ვადიანი და უვადო. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრება ვადით არანაკლებ ექვსი თვისა და არა უმეტეს ოცი წლისა. უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. იგი არ შეიძლება დაენიშნოს იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი, ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი.

მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა ოცდახუთი წელი და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს სასჯელის მოხდა.

სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, ეკონომიკურ პირობებს, მის მისწრაფებას აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს და სხვა.

საქმის გარემოებებზე დაყრდნობითა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით სასამართლოს უფლება აქვს სასჯელი დანიშნოს

პირობით, ე.ი. არ მოახდევინოს დამნაშავეს დანიშნული სასჯელი და განუსაზღვროს მას გამოსწორებისათვის გამოსაცდელი ვადა. თუ ამ ვადის განმავლობაში პირი არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს, პირობით დანიშნული სასჯელი სისრულეში არ მოიყვანება.

თავი IX. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები

ამა თუ იმ კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენა უმეტეს შემთხვევაში განსხვავდება სხვა პირის მიერ ჩადენილი ანალოგიური დანაშაულისაგან საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხითა და ბრალის სიმძიმით. ამიტომ სასამართლოს მიერ ამ ქმედებათა შეფასება ყოველთვის ერთნაირი არ არის. ამან განაპირობა, რომ სასჯელის განსაზღვრისას კანონმდებელი ადგენს მის მინიმალურ და მაქსიმალურ ზღვარს.

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ხორციელდება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარება.

მართალია, სისხლის სამართლის ახალი კოდექსის ზოგად ნაწილში ცალკე მუხლები არ ეთმობა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, მაგრამ კერძო ნაწილის ზოგიერთ მუხლში მათზე პირდაპირ არის მითითებული.

კოდექსში ჩამოთვლილია პასუხისმგებლობის შემდეგი შემამსუბუქებელი გარემოებები:

1) ჩადენილი დანაშაულის მავნე შედეგის თავიდან აცილება (მაგალითად, პირმა სხეული დაუზიანა ადამიანს და თვითონვე აღმოუჩინა დახმარება);

2) დანაშაულის ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების გავლენით, რაც გამოწვეულია დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით (მაგალითად, მართლსაწინააღმდეგო ძალადობის გამოყენებით, მძიმე შეურაცხყოფით);

3) დანაშაულის ჩადენა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით საშიში ხელყოფისაგან დაცვის დროს;

4) დანაშაულის ჩადენა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით;

5) დანაშაულის ჩადენა ორსული ქალის მიერ (ამ დროს ყურადღება ექცევა ორსულობის დროს ქალის ორგანიზმში ფუნქციურ ცვლილებებს, რაც მის ფსიქიკაზე მოქმედებს);

6) გამოცხადება ბრალის აღიარებით (მაგალითად, ავტოავარიაში დამნაშავე პირი ნებაყოფლობით ცხადდება პოლიციაში და აღიარებს თავის დანაშაულს) და ა. შ.

სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს ისეთი შემამსუბუქებელი გარემოებანი, რომლებიც კოდექსში პირდაპირ მითითებული არ არის.

პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებია:

1) დანაშაულის ჩადენა არაერთგზის, ანუ დამნაშავის მიერ ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა. ეს ნიშნავს, რომ დამნაშავე დაადგა არასწორ გზას, მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ იყო ამა თუ იმ გარემოებათა დამთხვევის შედეგი;

2) დანაშაულის ჩადენა ჯგუფურად. ცხადია, რომ თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული მომეტებული საშიშროების შემცველია.

3) დანაშაულის ჩადენა ანგარებით. ამ შემთხვევაში პირის პასუხისმგებლობა მძიმდება იმის გამო, რომ მას ამოძრავებდა მატერიალური გამორჩენის მიღების სურვილი;

4) დანაშაულით მძიმე შედეგის გამოწვევა. მძიმე შედეგში იგულისხმება დაზარალებულის სიკვდილი, მისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და სხვა;

5) დანაშაულის ჩადენა არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის, აგრეთვე დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ. აქ პირის პასუხისმგებლობის დამძიმების საფუძველია დაზარალებულის მდგომარეობა, რომელიც გაცნობიერებული აქვს დამნაშავეს;

6) დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებული სისასტიკით (მაგალითად, მსხვერპლის მოკვლისას მისთვის სხეულის ნაწილების მოკვეთა, დედის წინ შვილის მოკვლა და სხვა);

7) დანაშაულის ჩადენა ისეთი საშუალებით, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას (მაგალითად, ცეცხლის წაკიდება, აფეთქება და სხვა);

8) დანაშაულის ჩადენა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო ა.შ.

პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებათა არსებობისას სასამართლო, როგორც წესი, დამნაშავეს უფრო მკაცრ სასჯელს უნიშნავს.

საერთოდ, სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ითვალისწინებს დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხარისხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით მის მისწრაფებას – ანანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს და სხვა.

თავი X. პასუხისმგებლობა ცალკეული დანაშაულისათვის

§1. პასუხისმგებლობა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშაულისათვის

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანაშაულთა შორის საზოგადოებრივი საშიშროებით გამოირჩევა დანაშაული, მიმართული ადამიანის წინააღმდეგ. ამ დანაშაულთა ჯგუფში კი განსაკუთრებით მძიმეა ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა ანუ მკვლელობა.

მკვლელობა არის მეორე ადამიანისათვის მართლსაწინააღმდეგოდ და განზრახ სიცოცხლის მოსპობა.

სისხლის სამართლის კოდექსი განასხვავებს სხვადასხვა სახის მკვლელობას. მათ შორის განსაკუთრებით საშიშია მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში. ამ სახეს მიეკუთვნება მკვლელობა ორი ან მეტი პირისა; დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის; მცირეწლოვნისა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის; მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით; განსაკუთრებული სისასტიკით, ჯგუფურად, ანგარებით ან დაკვეთით, ხულიგნური მოტივით და სხვა.

მკვლელობის ეს სახეები ძალიან საშიშია. მაგალითად, როდესაც დაქირავებული მკვლელი ფულის მიღების მიზნით სიცოცხლეს უსპობს ადამიანს; ან კიდევ, როდესაც სიგარეტის მოთხოვნაზე უარის მიღებისას დამნაშავე ხულიგნური ქვენაგრძნობით კლავს ადამიანს და სხვა.

სწორედ ამიტომაც არის, რომ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის, სხვა სასჯელთან ერთად, არსებობს უვადო თავისუფლების აღკვეთა.

შედარებით უფრო მსუბუქად ისჯება ისეთი განზრახი მკვლელობა, რომლის ჩადენას არ ახლავს დამამძიმებელი გარემოებები. ასეთია მკვლელობა, რომლის ჩადენის მოტივია შურისძიება, ეჭვიანობა და სხვა, ან კიდევ მკვლელობა ჩხუბში.

სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე გამოყოფს მკვლელობას, ჩადენილს შემამსუბუქებელ გარემოებებში. სახელდობრ, განზრახ მკვლელობას, ჩადენილს უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოწვეულია დამნაშავის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობით, მძიმე შეურაცხყოფით ან სხვა ამორალური ქცევით, აგრეთვე მსხვერპლის არაერთგზისი ამორალური ქმედებით გამოწვეული ფსიქიკური ტრავმით.

შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობად ითვლება ასევე მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებისა და დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით; აგრეთვე დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა მშობიარობისას ან უმალვე მშობიარობის შემდეგ. აქ შემამსუბუქებელ გარემოებად გვევლინება მშობიარე ქალის ფსიქიკური მდგომარეობა. მას მშობიარობის პროცესში დაქვეითებული აქვს თავისი თავისადმი ზედამხედველობისა და კონტროლის უნარი. ამგვარი მდგომარეობა შეიძლება გამოწვეული იყოს საზოგადოების მიერ მისი საქციელის გაკიცხვით და სხვა.

ადამიანის სიცოცხლის მოსპობა შეიძლება გაუფრთხილებლობითაც, როდესაც პირი არ ითვალისწინებს და არ იცავს წინდახედულობის ნორმებს ან თვითდაჯერებული ისე მოქმედებს, რომ თავიდან ვერ იცილებს მძიმე შედეგს.

ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ არის მიმართული ასევე პირის თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიყვანა მსხვერპლისადმი მუქარით ან სასტიკი მოპყრობით ანდა მისი პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირებით.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან იცავს არა მარტო ადამიანის სიცოცხლეს, არამედ მის ჯანმრთელობასაც.

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ჩაითვლება მეორე ადამიანის სხეულის, ორგანოებისა და ქსოვილების ანატომიური მთლიანობის ან ფიზიოლოგიური ფუნქციის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული დარღვევა.

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა დანაშაული ერთმანეთისაგან განსხვავდება დაზიანების ხარისხითა და ბრალის ფორმით. ჯანმრთელობის დაზიანება შეიძლება იყოს მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი. მისი ხარისხის დადგენა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მოვალეობაა.

ამ ჯგუფის დანაშაულთა შორის ერთ-ერთ მძიმე დანაშაულად ითვლება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ე.ი. ჯანმრთელობის ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ანდა გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების, რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან.

კანონმდებელი ცალკე მუხლად გამოყოფს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას, რამაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჯგუფში შედის აგრეთვე ცემა და წამება. ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის აგრეთვე შიდსისა და განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა და სხვა.

§2. პასუხისმგებლობა საკუთრების საწინააღმდეგო დანაშაულისათვის

საქართველოს კანონმდებლობა იცავს როგორც მოქალაქეების, ისე

სახელმწიფოს, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციების საკუთრებას. საკუთრების უფლება ადამიანის სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს მიეკუთვნება. ამის შესახებ საქართველოს კონსტიტუციაში ჩაწერილია, რომ საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედება, რომელიც მიმართულია საკუთრების უფლების დარღვევისაკენ, ე.ი. მესაკუთრისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების ან მისი მიყენების საფრთხის შექმნისაკენ.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ითვალისწინებს სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით. ამ დროს ქონება გადადის პირის ისეთ სარგებლობაში, რაც ზიანს აყენებს ქონების მესაკუთრეს.

სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა დანაშაულს. მათ შორის საკმაოდ გავრცელებული დანაშაულია ქურდობა, ანუ სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

ქურდობა, სხვისი ქონების სხვა მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისაგან განსხვავებით, შედარებით ნაკლები საშიშროების შემცველია. ქურდობისას დამნაშავე არ იყენებს ძალადობას, ასევე თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებასა და სხვა. ქურდობას ფარული ხასიათი აქვს. მისი ჩადენა შეუმჩნეველი რჩება სხვა პირებისათვის, ყველაზე ხშირად ქურდობა ხორციელდება მესაკუთრისა და სხვა ადამიანის დაუსწრებლად (მაგალითად, ღამით დაუცველი საწყობის გაქურდვა, ბინის გაქურდვა მაშინ, როდესაც პატრონი სახლში არ არის და სხვა). ზოგჯერ კი ქურდობა ხდება მესაკუთრის თანდასწრებით, მაგრამ მისგან მალულად, როდესაც დაზარალებული ვერ იგებს, რომ მას ქურდავენ (მაგალითად, ფულის ჯიბიდან, ჩანთიდან ამოცლა და ა.შ.).

ქურდობას ახლავს ზოგიერთი დამამძიმებელი გარემოება, როგორიცაა მაგალითად, ქურდობა ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ, არაერთგზის, დიდი ოდენობით, ბინაში, სადგომსა ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით და სხვა.

ზოგჯერ სხვისი ქონების დაუფლება აშკარა ხასიათს ატარებს;

იგი ხდება ადამიანთა თანდასწრებით და მას გაძარცვას უწოდებენ.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთაგან განსაკუთრებით საშიშია ყაჩაღობა, ანუ თავდასხმა სხვისი ქონების მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ამიტომ ყაჩაღობა არა მარტო ქონების ხელყოფაში გამოიხატება, არამედ თავდასხმასა და სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ ძალადობის გამოყენებაში.

თუ თავდასხმას ახდენს რამდენიმე პირი ჯგუფურად ან ის პირი, რომელიც წინათ ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის და ზოგიერთი სხვა, ყაჩაღობას უფრო საშიში ხასიათი ეძლევა და პასუხისმგებლობაც მძიმდება.

ზემოაღნიშნულის გარდა, ქონება შეიძლება მითვისებულ იქნეს თაღლითობით ანუ მოტყუებით (მაგალითად, ყალბი საბუთების წარდგენით ფულის უკანონოდ მიღებისათვის და სხვა). თაღლითობამ ფართო გავრცელება პოვა საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი მეწარმეობის სფეროში. თუ სხვადასხვა ხერხით განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ხდება დიდი ოდენობით, იგი უფრო მძიმე დანაშაულად ითვლება. დიდი ოდენობაა მაშინ, როდესაც ნივთის ღირებულება ათი ათას ლარს ზევითაა.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლება აგრეთვე ქონების გამოძალვა, სხვისი ქონების განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანება ან განადგურება და სხვა. ამ დანაშაულის ჩადენამ შეიძლება ძალიან მძიმე შედეგი გამოიწვიოს (დაიწვას შენობა-ნაგებობები, განადგურდეს ტყე, მოქალაქეთა ქონება და ა.შ.).

§3. პასუხისმგებლობა ხულიგნობისათვის

საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დანაშაულია ხულიგნობა. ხულიგნობა ისეთი ქმედებაა, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობას ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

ხულიგნობისას უხეშად ირღვევა საზოგადოებრივი წესრიგი და სიმშ-

ვიდე. მას ახასიათებს ცინიზმი, საზოგადოებაში არსებული თანაცხოვრების წესების აშკარა უგულებელყოფა, უხამსი საქციელი, მოხუცებისა და ინვალიდების აბუჩად აგდება და სხვა. ხულიგნობისას არცთუ იშვიათად ხდება მოქალაქეების ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება.

ხულიგნობის საშიშროება იმაშიც მდგომარეობს, რომ ხდება რა საზოგადოების თავშეყრის ადგილას, ხშირად უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას იწვევს.

ხულიგნობის დროს ძალადობის გამოყენება გულისხმობს ცემას, დაზარალებულის ჯანმრთელობისათვის მსუბუქი დაზიანების მიყენებას და სხვა.

დამნაშავეს ხულიგნობის ჩადენისათვის პასუხისმგებლობა უმძიმდება, თუ იგი განხორციელებულია წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ხელისუფლების წარმომადგენლის ან ხულიგნობის აღმკვეთი სხვა პირის მიმართ, ან ხულიგნობისათვის ადრე მსჯავრდებული პირის მიერ. განსაკუთრებით საშიშია ხულიგნობა, თუ იგი ჩადენილია ცეცხლსასროლი იარაღის ან იარაღად სხვა საგნის გამოყენებით. ამ დროს იზრდება დანაშაულის საშიშროება, ვინაიდან იქმნება რეალური საშიშროება ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის. იარაღად სხვა საგნის გამოყენებაში იგულისხმება ყველანაირი ნივთები — ნაჯახი, ქვა, ველოსიპედის ჯაჭვი და სხვა.

§4. პასუხისმგებლობა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ შექმნა ისეთი ძალები, რომელთა გამოყენება გარკვეულ პირობებში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით საშიშია, ამიტომაც ისინი მომეტებული საფრთხის წყაროს წარმოადგენენ. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ის მავნე შედეგი, რაც შეიძლება თან ახლდეს მათ გამოყენებას, დადგენილია გარკვეული ქცევის წესები, რომელთა დარღვევა, ზოგიერთ შემთხვევაში იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ამგვარ საფრთხეს მიეკუთვნება ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებული საშიშროება და სწორედ ამის გამო დადგენილია ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესები, რომელთა

დაცვა როგორც მძღოლის, ისე ყველა ადამიანის ვალდებულებაა.

მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა გულისხმობს სისწრაფის გადამეტებას, აკრძალულ ადგილებში სხვა ტრანსპორტის გასწრებას, წითელ შუქზე გავლას და სხვა. ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა ნიშნავს ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის მართვას, მგზავრთა გადაყვანას ამისათვის მოუწყობელი მანქანებით, ტრანსპორტზე დასადები ტვირთის მოცულობის მოთხოვნის დარღვევას და სხვა. დარღვევის ფაქტის დასადგენად და მისი სწორი შეფასებისათვის ტარდება ავტოტექნიკური ექსპერტიზა.

სისხლის სამართლის კოდექსი სჯის ზემოაღნიშნული წესების დარღვევისათვის იმ პირებს, რომლებიც სატრანსპორტო საშუალებებს, ე.ი. ყველა სახის ავტომობილს, ტრამვაის, ტროლეიბუსს, ტრაქტორს ან სხვა მექანიკურ ტრანსპორტს მართავენ, თუ ამ დარღვევამ გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

მძღოლთა პასუხისმგებლობა უფრო მძიმდება, თუ იმავე ქმედებას მოჰყვა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ასევე ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. განსაკუთრებით იზრდება დამნაშავის პასუხისმგებლობა თუ წესების დარღვევას მოჰყვა ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. ყველა შემთხვევაში პასუხისმგებლობა იზრდება, თუ ეს ქმედებანი ჩადენილია მთვრალ მდგომარეობაში.

სისხლის სამართლის კოდექსი ასევე ითვალისწინებს მგზავრის, ფეხით მოსიარულის ან მოძრაობის სხვა მონაწილის მიერ ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის წესების დარღვევას, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, ასევე ერთი ან რამდენიმე ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

ამ მუხლის შეტანა კოდექსში განპირობებულია იმით, რომ ხშირად მძიმე შედეგი გამოწვეულია ფეხით მოსიარულეთა, ველოსიპედისტების, საქონლის მწყემსების მიერ, რომლებიც არ იცავენ მოძრაობის უსაფრთხოების დადგენილ წესებს. განსაკუთრებით საშიში არიან ის ფეხით მოსიარულენი, რომლებიც გადაურბენენ ტრანსპორტს ან გადადიან აკრძალულ ადგილას, წითელ შუქზე და სხვა. ყოველივე ამას კი სავალალო შედეგამდე მივყავართ.

§5. სატრანსპორტო საშუალების დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე

ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, მისაკუთრების მიზნის გარეშე, არღვევს ტრანსპორტის კანონიერი მფლობელის უფლებებს, თუგინდ მას დროებითი სარგებლობის მიზანი ჰქონდეს.

მესაკუთრის ნებართვის გარეშე ავტომობილის თვითნებური გამოყენება ოჯახის რომელიმე წევრის ან ახლობლის მიერ, თუნდაც მათ მესაკუთრისაგან აკრძალული ჰქონდათ ავტომობილით სარგებლობა, დანაშაულად მაინც არ ჩაითვლება.

ტრანსპორტით დროებითი სარგებლობა გულისხმობს სხვისი მანქანით კომფორტულად გადაადგილებას, თავისი პირადი საჭიროებისათვის გამოყენებას, პრესტიჟული ავტომანქანით თავის მოწონებასა და სხვა. მთავარია, რომ დამნაშავეს მისი მისაკუთრება არ უნდოდეს.

თუკი ავტომანქანის დაუფლება ხდება ტრანსპორტის მითვისების ან ცალკეული აგრეგატისა თუ დეტალის მისაკუთრების მიზნით, დანაშაულებრივი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით.

ავტოტრანსპორტის უკანონო ფლობის ხანგრძლივობას დიდი მნიშვნელობა ეძლევა სასჯელის ზომის განსაზღვრისას. თუ დამნაშავე ოცდაოთხი საათის განმავლობაში ნებაყოფლობით, და ამავე დროს, უვნებლად დააბრუნებს სატრანსპორტო საშუალებას, მას სასჯელი გაუნახევრდება.

ზემოაღნიშნული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ დანაშაული ჩადენილია ჯგუფურად, არაერთგზის ანდა ძალადობით თუ მისი გამოყენების მუქარით.

§6. პასუხისმგებლობა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვის, ტარების, დამზადების, გადაზიდვის, გადაგზავნისა ან გასაღებისათვის

იარაღთან, საბრძოლო მასალასთან, ასევე ფეთქებად ნივთიერებებთან და ასაფეთქებელ მოწყობილობასთან დაკავშირებული დანაშაული

მაღალი საშიშროების მქონეა. ამიტომ იარაღი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმ პირს, რომელსაც საამისო ნებართვა აქვს. ის პირი, ვინც უკანონოდ ეუფლება, ამზადებს ან ატარებს იარაღს, პოტენციური დამნაშავეა. გამორიცხული არ არის, რომ ამ იარაღით დანაშაული იქნეს ჩადენილი ან დაუდევარმა მოპყრობამ ადამიანის მსხვერპლი გამოიწვიოს.

სისხლის სამართლის კოდექსი აწესებს პასუხისმგებლობას ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის სათანადო ნებართვის გარეშე შეძენისა და შენახვისათვის.

იარაღის შეძენა გულისხმობს მის დაუფლებას სხვადასხვა ხერხით, სახელდობრ, ყიდვას, პოვნას, გაცვლას, ჩუქებას, დროებით მფლობელობას და სხვა.

შენახვა კი ნიშნავს იარაღის ფლობას მისი ადგილსამყოფელის მიუხედავად. იგი შეიძლება შენახული იყოს სახლში ან ჩაფლული მიწაში და სხვა.

დამნაშავის პასუხისმგებლობა იზრდება იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ ტარებისათვის. იარაღის ტარება გულისხმობს მის უშუალოდ ფლობას; სახელდობრ, ჯიბით, იღლიის ქვეშ, ჩექმით ტარებას და სხვა.

კანონმდებელი უფრო საშიშად მიიჩნევს აღნიშნული იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ დამზადებას, გადაგზავნას, გადაზიდვასა და გასაღებას.

იარაღის დამზადება იქნება მისი ახლად შექმნა, შეკეთება, გადაკეთება და ა.შ.

გადაზიდვა გულისხმობს იარაღის ყოველგვარ გადაადგილებას, ტრანსპორტირების საშუალებისა და მისი შემდგომი უკანონო შენახვის ადგილის მიუხედავად.

იარაღის გადაგზავნა კი ნიშნავს მის უკანონო გადაადგილებას ფოსტით ან სხვა საშუალებით, როდესაც ტრანსპორტირება ხორციელდება გამგზავნის მონაწილეობის გარეშე.

გასაღებად დაკვალიფიცირდება ქმედება, როდესაც სხვა პირს იარაღი გადაეცემა სხვადასხვა საშუალებით, როგორიცაა მაგალითად, გაყიდვა, გაცვლა, ჩუქება და სხვა.

საყურადღებოა, რომ პირი, რომელმაც სათანადო ორგანოებს ნებაყოფლობით ჩააბარა ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, ფეთქებადი ნივთიერება ან ასაფეთქებელი მოწყობილობა, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

§7. ნარკოტიკული დანაშაული

ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებულ დანაშაულთა საშიშროება, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებაში, პირთა გარკვეული ჯგუფის ფიზიკური მდგომარეობის გაუარესებაში, შრომის უნარის დაქვეითებაში, პიროვნების დეგრადაციაში და სხვა.

ნარკოტიკულ დანაშაულთა საშიშროება განპირობებულია თვით ამ საშუალებათა სპეციფიკით — მათი ხანმოკლე დროის განმავლობაში მოხმარებაც კი იწვევს შეჩვევას. ადამიანი სულ უფრო დამოკიდებული ხდება ნარკოტიკებზე, მიისწრაფვის გაზარდოს მისი დოზა, ხოლო თუ შეძენის საშუალება არა აქვს, მის მოსაპოვებლად ხშირად მიმართავს დანაშაულებრივ ქმედებას.

ამიტომაც არის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სპეციალურ თავს უთმობს ნარკოტიკულ დანაშაულს. ამ თავში, უშუალოდ ნარკოტიკული დანაშაულის გარდა, განხილულია ასევე ფსიქოტროპულ და ძლიერმოქმედ ნივთიერებებთან დაკავშირებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებანი.

ზემოაღნიშნულ დანაშაულთა საგანია ნარკოტიკული საშუალებები, ე. ი. ისეთი მცენარეული და სინთეზური ნივთიერებები, რომლებსაც გამაბრუებელი ზემოქმედება აქვთ და ეიფორიას იწვევენ. ასეთებია, მაგალითად: ჰეროინი, ოპიუმი, მორფიუმი, კოკაინი, აგრეთვე ნარკოტიკულ საშუალებათა შემცველი მცენარეები.

ფსიქოტროპულ ნივთიერებებს კი მიეკუთვნება ისეთი ნივთიერებები, რომელთაც ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულირების ან, პირიქით, დეპრესიული ზემოქმედების უნარი აქვთ.

განსაკუთრებით საშიში და გავრცელებულია სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ისეთი ქმედება, რომელიც ეხება ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო დამზადებას, შეძენას, შენახვას, გადა-

ზიდვას, გადაგზავნას ან გასაღებას.

უკანონო დამზადების ცნებაში იგულისხმება ყოველგვარი მოქმედება, რომლის შედეგადაც მიღებულია მოხმარებისათვის მზა ნარკოტიკული საშუალება, ასევე მისი გადამუშავება ნარკოტიკულ საშუალებათა კონცენტრაციის გაზრდის მიზნით.

შეძენა ნიშნავს ნარკოტიკულ საშუალებათა ყიდვას, გაცვლას, ჩუქებას, ნაპოვნის მითვისებას.

შენახვის ცნებაში იგულისხმება ყოვლგვარი განზრახი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია დამნაშავის მფლობელობაში არსებული ნარკოტიკული საშუალების ადგილსამყოფელთან (ტარება, ბინაში, სარდაფში, სამალავში მისი არსებობა და სხვ.).

გადაზიდვა არის ნარკოტიკულ საშუალებათა ყოველგვარი გადაადგილება ტრანსპორტირების საშუალებისა და მათი შემდგომის უკანონო შენახვის ადგილის მიუხედავად.

გადაგზავნა ნიშნავს ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო გადაადგილებას საფოსტო ან სხვა საშუალებით, როდესაც ტრანსპორტირება ხორციელდება გამგზავნის მონაწილეობის გარეშე.

ნარკოტიკულ საშუალებათა გასაღებაში იგულისხმება მათი გავრცელება ყველანაირი საშუალებით: გაყიდვით, ჩუქებით, გაცვლით, ვალის გადახდით და სხვ.

თუ პირმა ზემოაღნიშნულ მოქმედებათაგან ერთ-ერთი მაინც შეასრულა, ამ შემთხვევაში დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება. თუ ეს მოქმედება ჩადენილია არაერთგზის, ჯგუფურად, ან იმ პირის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი ჰქონდა ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული რაიმე დანაშაული, ან კიდევ ზემოაღნიშნული ქმედება ჩადენილია დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით, ასევე სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მკაცრდება.

ნარკოტიკების ოდენობის დასადგენად ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო ნარკოტიკული საშუალების რაოდენობას (მოცულობა, წონა და ა. შ.), არამედ მის თვისებას, თუ რა ზემოქმედება შეუძლია მოახდინოს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება ასევე ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონოდ

შემოტანა და გატანა, ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა; ნარკოტიკულ საშუალებათა შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა და კულტივირება; მისი წარმოებისათვის ფარული ლაბორატორიის მოწყობა და სხვა.

სისხლის სამართლის კოდექსი, ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ქმედებათა საშიშროებიდან გამომდინარე, აწესებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ნარკოტიკულ საშუალებათა, ფსიქოტროპულ და ძლიერმოქმედ ნივთიერებათა დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევისათვის, რამაც მისი უკანონო ბრუნვაში მოქცევა გამოიწვია.

ამ დანაშაულისათვის პასუხს აგებენ ის პირები, რომლებსაც სამსახურებრივად აქვთ კავშირი ნარკოტიკულ საშუალებათა წარმოებასა და სხვაგვარ მოქმედებათა განხორციელებასთან.

ადგენს რა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ქმედებათა ჩადენისათვის, კანონმდებელი სპეციალურად აღნიშნავს, რომ ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, ფსიქოტროპულ ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას, თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

კარი მეათე

სისხლის სამართლის პროცესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

§1. სისხლის სამართლის პროცესის ცნება და ამოცანები

სისხლის სამართლის პროცესი (სისხლის სამართალწარმოება) სამართლებრივი ნორმების სისტემაა, რომელიც აწესრიგებს მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოსა (მოსამართლის) და სისხლის სამართალწარმოების სხვა მონაწილეთა საქმიანობას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, გამოკვლევისა და განხილვის პროცესში, ადგენს პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს, მათი განხორციელების წესსა და გარანტიებს.

სისხლის სამართლის პროცესის ამოცანაა დაადგინოს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებანი და მისი ჩამდენი პირები, უზრუნველყოს კანონის სწორად გამოყენება, არ დაუშვას უდანაშაულო პირის მსჯავრდება, გამოასწოროს საგამოძიებო და სასამართლო შეცდომები, დაიცვას პროცესის მონაწილეთა უფლებები, დაამკვიდროს საზოგადოებაში კანონის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეების პატივისცემა.

§2. სისხლის სამართლის პროცესის წყაროები

სისხლის საპროცესო სამართლის ნორმებს შეიცავს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სხვა კანონები, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები.

სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი წყაროა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც 1998 წლის 20 თებერვალსაა მიღებული და ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისიდან. ეს არის დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება

საბჭოთა პერიოდის საპროცესო კანონმდებლობისაგან. ამ კოდექსში ასახულია და ახალი შინაარსითაა შევსებული სამართალწარმოების ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორიცაა: უდანაშაულობის პრეზუმფცია, სასამართლო ხელისუფლების უზენაესობა და დამოუკიდებლობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორუფლებიანობა, გასაჩივრების თავისუფლება და სხვა. კოდექსში მკვეთრად არის გამიჯნული ბრალდების, დაცვისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციები, საგრძნობლად არის გაფართოებული პროცესის მონაწილეთა უფლებები და ამ უფლებათა უზრუნველყოფის გარანტიები.

სისხლის სამართლის პროცესის წყაროთა შორის პრიორიტეტული მდგომარეობა უკავია საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. თუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სხვა კანონები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, შესაბამისად მოქმედებს კონსტიტუცია ან საერთაშორისო ხელშეკრულებები ან შეთანხმებები, ხოლო თუ საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, მოქმედებს კონსტიტუცია.

სისხლის სამართალწარმოებისას გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, რომელიც მოქმედებს მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს შეიძლება მოჰყვეს წინათ გამოტანილი პროცესუალური გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამით უმჯობესდება ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის მდგომარეობა.

§3. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილენი

დანაშაულის გახსნა, დამნაშავის მხილება და მისი სამართლიანი დასჯა სახელმწიფოს ფუნქციაა, რომელსაც ახორციელებენ სპეციალური ორგანოები და თანამდებობის პირები: სასამართლო (მოსამართლე), პროკურორი, გამომძიებელი, მოკვლევის ორგანოები და მომკვლევი. აღნიშნული ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აღძრან სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ყველა შემთხ-

ვევაში, მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები დანაშაულის შემთხვევის, დამნაშავე პირთა დასადგენად და დასასჯელად, უზრუნველყონ საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, გამოავლინონ ბრალდებულის ბრალის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, არ დაუშვან უდანაშაულო პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და მსჯავრდება.

აღნიშნული ამოცანების განხორციელებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სასამართლოს. სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, სასჯელი დაუნიშნოს მხოლოდ დამნაშავეს.

პროკურატურა ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, საპროცესო ხელმძღვანელობას უწევს გამოძიებას, ზედამხედველობს მოკვლევის კანონიერებას, მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოში, წარადგენს სამოქალაქო სარჩელს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით, ასაჩივრებს უკანონო და დაუსაბუთებელ განაჩენს, სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებს.

გამომძიებელი არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც აწარმოებს სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარ გამოძიებას. გამოძიების წარმოებისას ყველა გადაწყვეტილებას გამოძიების მიმართულების, საგამოძიებო ვერსიათა წამოყენებისა და შემოწმების, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ გამომძიებელი იღებს დამოუკიდებლად, იმ შემთხვევების გარდა, როცა კანონით გათვალისწინებულია მოსამართლის ბრძანება ან პროკურორის თანხმობა, და პასუხს აგებს მათი სრულად და დროულად ჩატარებისათვის.

მოკვლევის ორგანო არის სახელმწიფო დაწესებულება ან სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რაც საჭიროა დანაშაულის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად, უფლებამოსილია ჩაატაროს თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედება, აგრეთვე წინასწარი გამოძიების დროს აწარმოოს საგამოძიებო თუ სხვა საპროცესო მოქმედება ან მონაწილეობა მიიღოს მის ჩატარებაში გამომძიებლისა და პროკურორის დავალებით.

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებია: ბრალდებული, რომელიც კანონით დადგენილი წესით მიცემულია სისხლის სამართ-

ლის პასუხისგებაში და დაზარალებული, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანა მიადგა უშუალოდ დანაშაულის ჩამდენის ან შეურაცხი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად და დადგენილებით ან განჩინებით ცნობილია დაზარალებულად. ამავე წესით სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობენ სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე, აგრეთვე მათი და დაზარალებულის წარმომადგენლები. სამოქალაქო მოსარჩელეა პირი, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი და სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო სარჩელის წარდგენის გზით ითხოვს ამ ზიანის ანაზღაურებას. სამოქალაქო მოპასუხეა პირი, რომელსაც წაეყენება მოთხოვნა იმ ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც სხვა პირს მიეყენა დანაშაულის ან შეურაცხი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად. ასეთი პირი შეიძლება იყოს თვითონ ბრალდებული ან ის პირი, რომელსაც მატერიალური ან სხვა პასუხისმგებლობა ეკისრება მისი, აგრეთვე შეურაცხი პირის ქმედებისათვის. დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლებად საქმეში მონაწილეობენ ადვოკატები ან სხვა პირები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან წარმოადგინონ თავიანთი ინტერესები. საქმის წარმოებისას ბრალდებულის ინტერესებს იცავს დამცველი, რომლის უფლებამოსილება რეგლამენტირებულია კანონით.

აღნიშნული ორგანოებისა და პირების გარდა, სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობენ პირები, რომელთაც საქმეში არ გააჩნიათ რაიმე პირადი ინტერესი, მაგრამ თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობენ მის სწორად წარმოებასა და გადაწყვეტას. პროცესის ასეთი მონაწილეებია: მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი, სასამართლოს სხდომის მდივანი, დამსწრე. წინასწარი გამოძიების სტადიაზე ხანმოკლე დროით შეიძლება მონაწილეობდეს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი.

პროცესის მონაწილეებს მინიჭებული აქვთ ფართო უფლებები თავიანთი ფუნქციების სწორად განხორციელებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი და მოკვლევის ორგანო ვალდებული არიან განუმარტონ საქმეში მონაწილე პირებს მათი უფლებები და უზრუნველყონ ამ უფლებათა განხორციელების შესაძლებლობა.

§4. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებანი

მოსამართლე, მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევი და სასამართლო სხდომის მდივანი მონაწილეობას ვერ მიიღებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, თუ: ა) იგი არ იყო თანამდებობრივად დანიშნული ან არჩეული კანონით დადგენილი წესით; ბ) ამოიწურა მისი უფლებამოსილების ვადა; გ) საქმე არ არის ამ პროკურორის, გამომძიებლის ან მომკვლევის ქვემდებარე, სასამართლოს განსჯადი; დ) იგი მონაწილეობს ან წინათ მონაწილეობდა იმავე საქმეში როგორც ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დამცველი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩლე, სამოქალაქო მოპასუხე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი, დამსწრე, ანდა ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩლის ან სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი. ე) მას ამ საქმისმწარმოებელ თანამდებობის პირთან ან პროცესის სხვა მონაწილეებთან ნათესაური, მეგობრული თუ სხვა ახლო ურთიერთობა აქვს; ვ) არის სხვა გარემოებანი, რომელიც ეჭვს ბადებს მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში. ძირითადად აღნიშნული და სხვა კანონით განსაზღვრული საფუძვლებით საქმეში მონაწილეობას ვერ მიიღებს, აგრეთვე ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი, დამსწრე, დამცველი, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩლისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი. სათანადო საფუძვლის არსებობისას აღნიშნული პირები ვალდებული არიან განაცხადონ თვითაცილება, ხოლო თუ ამას არ გააკეთებენ, მათი აცილება მოხდება კანონით დადგენილი წესით.

§5. პროცესის მონაწილეთა დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან

მოსამართლეს, პროკურორს, გამომძიებელსა და მომკვლევს უფლება აქვთ მოითხოვონ, რომ სახელმწიფო იცავდეს საქმის წარმოებასთან დაკავშირებით მათ, მათი ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივს, ღირსებასა და ქონებას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. თუ არსებობს მონაცების

მები ასეთი ხელყოფის შესახებ, ეს უნდა შეატყობინონ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურს, რომელიც ვალებულია მიიღოს ამ პირთა დაცვის ზომები. ასეთივე მონაცემების არსებობისას დაზარალებულს, მოწმეს, ექსპერტს, ბრალდებულსა თუ პროცესის სხვა მონაწილეს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს საქმისმწარმოებელ თანამდებობის პირს ან ორგანოს, რომელიც გამოიტანს დადგენილებას (განაჩენს) და სათანადო დაცვის ღონისძიების გასატარებლად გადაუგზავნის შესაბამის სამსახურებს.

§6. მტკიცებულებანი და მტკიცება

დანაშაული წარმოადგენს ქმედებას, რომელიც გარკვეულ კვალს ტოვებს გარე სამყაროში, ადამიანთა ცნობიერებაში, საგნებსა თუ ნივთებზე. დანაშაულის დადგენა ხდება მტკიცებულებათა საშუალებით, დანაშაულებრივი ქმედების შედეგად გარე სამყაროში დატოვებული კვალის გამოვლენის, გამოკვლევის, ფიქსაციისა და შეფასების საფუძველზე. მტკიცებულებებია კანონით გათვალისწინებული წყაროებიდან და წესით მიღებული ცნობები, რომელთა საფუძველზეც მხარეები იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო მომკვლევი, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა მოვლენა ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართალწარმოება, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებს.

სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებად დაშვებულია: ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებები, ასევე ექსპერტის დასკვნა, ნივთიერი მტკიცებულება, საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ოქმები და სხვა დოკუმენტები. მხოლოდ დასაშვებად მიჩნეული მტკიცებულებები შეიძლება დაედოს საფუძვლად გამოძიების ან სასამართლოს გადაწყვეტილებებს. მტკიცებულება დუშვებლად მიიჩნევა, თუ იგი მიღებულია: ა) იმ თანამდებობის პირის ან ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილი არ არის შეკრიბოს მტკიცებულებანი ამ საქმეში; ბ) კანონით გაუთვალისწინებელი წყაროებიდან; გ) კანონით დადგენილი წესის დარღვევით აგრეთვე ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შანტაჟის, პიროვნების აბუჩად აგდე-

ბის ან სხვა უკანონო მეთოდის გამოყენებით; დ) პირისაგან, რომელმაც დაარღვია კანონი ან რომელსაც არ შეუძლია მიუთითოს, რა წყაროდან, სად, როდის და როგორ გამოელინდა მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები.

მტკიცებულების საშუალებით დგინდება სისხლის სამართლის საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი გარემოებანი. ამ გარემოებებს მტკიცების საგანი ეწოდება. კანონის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე უნდა დამტკიცდეს: ა) დანაშაულის შემთხვევა (დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი და სხვა გარემოებანი); ბ) ბრალდებული ან სხვა პირის მოქმედება (უმოქმედობა); გ) მოქმედების (უმოქმედობის) მართლსაწინააღმდეგო ხასიათი; დ) ბრალი, დანაშაულის მიზანი და მოტივი; ე) გარემოებები, რომელიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას; ვ) დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ხასიათი და ოდენობა; ზ) გარემოებანი, რომელიც განაპირობებს სისხლის სამართლის პასუხისგებასა და სასჯელისაგან განთავისუფლებას ან სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებას.

მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების ფაქტობრივი შინაარსი ყველა საქმეზე არ არის ერთნაირი და არც შეიძლება იყოს იმიტომ, რომ განსხვავებულია დანაშაულის ჩადენის ხერხები, საშუალებები, დრო, ადგილი, შედეგები და ა. შ. ყოველ კონკრეტულ საქმეზე მტკიცების საგანში შემავალ გარემოებათა ფაქტობრივ შინაარსს ადგენს მომკვლევი, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო მტკიცების საშუალებით. მტკიცება არის მტკიცებულებათა შეკრების, საპროცესო დამაგრების, შემოწმებისა და შეფასების პროცესი სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. მტკიცება ხორციელდება სასამართლოსა და მხარეთა აქტიური მონაწილეობით. სასამართლოს, მხარეთა შუამდგომლობით, აგრეთვე პროკურორს, გამომძიებელსა და მომკვლევს უფლება აქვთ და ვალდებული არიან ჩაატარონ საპროცესო მოქმედებანი, დაიბარონ და დაკითხონ მოწმეები, მოითხოვონ ექსპერტიზის ჩატარება, გამოითხოვონ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები და ა. შ. დამცველის, აგრეთვე დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხ-

ის წარმომადგენლებს უფლება აქვთ შეაგროვონ მათ მარწმუნებელ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის საჭირო ცნობები, გამოავლინონ და შეკითხვები დაუსვან კერძო პირს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დაკითხული, გამოითხოვონ საჭირო დოკუმენტები სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებიდან, ისარგებლონ კერძო დეტექტივის მომსახურებით და ა. შ. მხარის მიერ შეკრებილი და წარმოდგენილი მტკიცებულებანი ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა შემოწმდეს. თითოეული მტკიცებულება უნდა შეფასდეს ობიექტურად, საქმესთან მისი დამოკიდებულების, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. მომკვლევი, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო მტკიცებულებებს აფასებენ თავიანთი შინაგანი რწმენით. არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარდადგენილი ძალა.

§7. აღკვეთის ღონისძიებები

აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, ხელი არ შეუშალოს საქმეში ჭეშმარიტების დადგენას, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება.

აღკვეთის ღონისძიებებია: ბრალდებულის დაპატიმრება, შინაპატიმრობა, პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა, გირაო, ხელწერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, აგრეთვე არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა და სამხედრო მოსამსახურეების ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა. ამ ღონისძიებებიდან ყველაზე უფრო მკაცრია დაპატიმრება. იგი გამოიყენება მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელსაც ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ორი წლით ან მეტი ვადით, იმ შემთხვევების გარდა, როცა ბრალდებულმა დაარღვია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. დაპატიმრება, როგორც წესი, არ გამოიყენება მძიმე ავადმყოფის, ხანდაზმულის, ორსული და ჩვილბავშვიანი ქალის მიმართ, აგრეთვე იმ პირის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა გაუფრთხილებლობით, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა სამი და მეტი წლის ვადით.

აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას ითვალისწინებენ წაყენებული ბრალდების სიმძიმეს, ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და გონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, შეცვლა და გაუქმება ხდება მოსამართლის ბრძანებით, აგრეთვე სასამართლოს განაჩენითა და განჩინებით (დადგენილებით). წინასწარი გამოძიების სტადიაზე ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმება შეიძლება, აგრეთვე საქმის შეწყვეტის შესახებ პროკურორის მიერ დამტკიცებული მოტივირებული დადგენილებით.

§8. განსჯადობა

სისხლის სამართლის საქმე უნდა განიხილოს იმ სასამართლომ (მოსამართლემ), რომლის განსჯადობასაც იგი განეკუთვნება. განსჯადობის კანონით დადგენილი წესის შეცვლა დაუშვებელია.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადია ყველა საქმე, ზემდგომი სასამართლოების განსჯადი საქმეების გარდა. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიების განსაჯადია საქმეები ისეთი დანაშაულის შესახებ, როგორიცაა: ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევა, სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება, ბანდიტიზმი, კონტრაბანდა, მასობრივი არეულობა, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობა და გაუპატიურება, ადამიანის მოტაცება, მძევლად ხელში ჩაგდება, აფეთქება და კანონის განსაზღვრული ზოგიერთი სხვა დანაშაული. ეს სასამართლოები განიხილავენ, აგრეთვე პროკურატურის მუშაკის (საქართველოს გენერალური პროკურატურის კოლეგიის წევრის გარდა), ადვოკატის, გამომძიებლის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის, ქალაქის მერის, რაიონისა და ქალაქის გამგებლის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურების უმცროს და უფროს ოფიცერთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა საქმეებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განსჯადია: სისხლის სამართლის საქმეები საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, მთავრობის წევრის, მოსამართლის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატისა და მთავრობის წევრის, საქართველოს სახალხო დამცველის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და დესპანის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისა და სამხედრო ძალების უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის, გენერალური პროკურატურის კოლეგიის წევრის ბრალდების გამო, აგრეთვე საქმეებს ისეთი დანაშაულების შესახებ, როგორიცაა: სამშობლოს ღალატი, გენოციდი, ეთნიკური წმენდა, ჯაშუშობა, ტერორისტული აქტი, დივერსია და კანონით განსაზღვრული ზოგიერთი სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

თავი II. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა

§1. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის არსი და მნიშვნელობა

საქმის აღძვრა სისხლის სამართლის პროცესის პირველი, დაწყებითი სტადიაა. აღძვრის გარეშე სისხლის სამართლის საქმე არ არსებობს. დანაშაულის გამოძიება, სისხლის სამართლის პროცესი იწყება საქმის აღძვრით.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შესაბამისი ორგანოები და თანამდებობის პირები ადგენენ დანაშაულის ნიშნებს და იღებენ გადაწყვეტილებას საქმის წარმოების დაწყების შესახებ. საქმის აღძვრა მისი შემდგომი წარმოების საფუძველია. ამ აქტის განხორციელების შემდეგ მომკვლევმა, გამომძიებელმა, პროკურორმა უნდა ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები, რაც აუცილებელია დანაშაულის გასახსნელად, დამნაშავის მხილებისა და

მისი სამართლიანი დასჯის უზრუნველსაყოფად. საქმის აღძვრამდე არ შეიძლება არც ერთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, ჩხრეკის, ამოღებისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების გარდა.

სისხლის სამართლის საქმის დროული და საფუძვლიანი აღძვრა უზრუნველყოფს დანაშაულის სრულ და ყოველმხრივ გამოძიებას, დაზარალებულთა კანონიერი ინტერესების დაცვას, ჩადენილი დანაშაულის შესახებ ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის შექმნას, სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების სწორად და სრულად განხორციელებას.

§2. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბი და საფუძველი

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბია ის წყარო, საიდანაც მომკლევი, მოკვლევის ორგანო, გამომძიებელი ან პროკურორი ღებულობს ინფორმაციას მომხდარი დანაშაულის შესახებ. ეს არის ცნობები, რომელიც აღნიშნულ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს მიაწოდა მოქალაქემ, თანამდებობის პირმა, დაწესებულებამ, ორგანიზაციამ, საწარმომ, ოპერატიულ-სამძებრო ორგანომ, ბრალის აღიარებით გამოცხადებულმა პირმა, ანდა ისინი მოცემულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. საქმის აღძვრის საბაბს წარმოადგენს, აგრეთვე უშუალოდ სამართლწარმოების ორგანოს მიერ საქმის გამოძიებისას აღმოჩენილი და გამოვლენილი ცნობები. ანონიმური ცნობები საქმის აღძვრის საბაბი არ არის. ისინი შეიძლება გადამოწმდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების გზით.

ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. ზეპირი ცნობის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს განმცხადებელი და განცხადების მიმღები თანამდებობის პირი. 16 წელს მიღწეულ განმცხადებელს ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებენ ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ დაუყოვნებლივ განიხილება. თუ პირი დაკავებულია, მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობების შემოწმება და საქმის აღძვრა ხდება პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის სხვა ორგანოში მისი მიყვანიდან არა უგვიანეს 12 საათისა. დანარჩენ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქ-

მის აღძვრას შეიძლება წინ უძღოდეს მიღებული ცნობების შემოწმება, რაც 20 დღეზე მეტ ხანს არ შეიძლება გაგრძელდეს.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველს წარმოადგენს იმ ფაქტობრივი მონაცემების არსებობა, რომელიც დანაშაულის ნიშნებზე მიუთითებს. დანაშაულის ნიშნების არსებობა არ ნიშნავს, რომ უეჭველად ჩადენილია დანაშაული. გამორიცხული არ არის საქმის შემდგომი გამოკვლევის პროცესში არ დადასტურდეს დანაშაულის არსებობა. საქმის აღძვრის მომენტში შეიძლება დამნაშავე ცნობილი არ იყოს, მაგრამ ეს არ არის საქმის აღძვრის დამაბრკოლებელი გარემოება.

§3. დანაშაულის შესახებ ცნობების წინასწარი შემოწმება

დანაშაულის შესახებ მიღებული ცნობები ყოველთვის არ იძლევა საქმის აღძვრის საკითხის გადაწყვეტის საშუალებას. ამ საკითხის გადასაჭრელად ზოგჯერ აუცილებელია ამა თუ იმ გარემოების გარკვევა, მიღებული ინფორმაციის წინასწარი შემოწმება. წინასწარი შემოწმება უზრუნველყოფს საქმის აღძვრის ან არაღძვრის შესახებ სწორი გადაწყვეტილების მიღებას. ამ შემოწმების მიზანს დანაშაულის სრული გახსნა კი არ წარმოადგენს, არამედ იმ ნიშნებისა და გარემოებების გარკვევა და დადგენა, რომელიც მიუთითებს დანაშაულის არსებობის ან არარსებობის შესახებ. შემოწმება ხდება არასაპროცესო მეთოდებით, ახსნა-განმარტების მიღებისა და დოკუმენტების გამოთხოვის გზით, კანონით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების გარეშე. ამ საერთო წესიდან, როგორც უკვე იყო აღნიშნული, კანონი უშვებს ზოგიერთ გამონაკლისს. საჭირო შემთხვევაში ჩხრეკა, ამოღება და შემთხვევის ადგილის დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს საქმის აღძვრამდე.

დანაშაულის შესახებ მიღებული ინფორმაციის წინასწარი შემოწმებისას პირს არ აფრთხილებენ ცრუ ახსნა-განმარტების მიცემისათვის ან ახსნა-განმარტების მიცემაზე უარის თქმისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. შემოწმებისას მიღებული მასალები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად, თუ მათი დამაგრება და გამოკვლევა კანონით გათვალისწინებული წესებით არ მომხდარა.

§4. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა დაზარალებულის საჩივრით

საქმეები დანაშაულთა შესახებ, რომელზედაც ხორციელდება კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა (სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება, შეურაცხყოფა, აგრეთვე ცემა და ცილისწამება დამამძიმებელი გარემოებების გარეშე) აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით, რომელსაც დაზარალებული გადასცემს პროკურორს, თუ ბრალდება წაეყენება კონკრეტულ პირს, ხოლო მოკვლევის ორგანოს ან გამომძიებელს — დანარჩენ შემთხვევაში. საქმეების წარმოება ხდება ჩვეულებრივი წესით და ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო არ წყდება, იმ შემთხვევის გარდა, როცა საქმის შემდგომმა გამოძიებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც დაზარალებულს, ისე ბრალდებულს. თუ აღნიშნულ საქმეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და, ამასთან, დაზარალებულს უმწეო მდგომარეობის ან ბრალდებულზე დამოკიდებულების გამო, არ შეუძლია დაიცვას თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები, პროკურორს უფლება აქვს აღძრას ასეთი საქმე, თუნდაც არ არსებობდეს დაზარალებულის საჩივარი, ოღონდ იმ პირობით თუ ქმედუნარიან დაზარალებულს ამაზე წერილობითი თანხმობა აქვს მიცემული.

საქმეები დანაშაულთა შესახებ, რომელზედაც ხორციელდება კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა (საავტორო და საგამომგონებლო უფლებების დარღვევა, აგრეთვე გაუპატიურება დამამძიმებელი გარემოების გარეშე), დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე შეიძლება აღიძრას პროკურორის მიერ, თუ ამას მოითხოვენ მხარეები ანდა მოითხოვს მხოლოდ დაზარალებული ან მისი კანონიერი წარმომადგენელი. პროკურორს უფლება აქვს აღძრას ამ კატეგორიის საქმე, თუ მას განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ყველა სხვა შემთხვევაში დაზარალებულის საჩივარი უნდა გაეგზავნოს სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია უშუალოდ აღძრას და განიხილოს ამ კატეგორიის საქმეები.

§5. დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობების შემოწმების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება

დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობების შემოწმების საფუძველზე მიღებულ უნდა იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ; ბ) სისხლის სამართლის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ; გ) საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით მასალების გადაგზავნის შესახებ.

თუ არსებობს საკმაო საფუძველი, მოკვლევის ორგანოს, გამომძიებელს ან პროკურორს გამოაქვს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საქმის აღძვრის საბაბი და საფუძველი, სისხლის სამართლის კანონი, რომლის ნიშნების მიხედვითაც საქმე აღიძვრება და საქმის შემდგომი წარმართვა. თუ მოკვლევის ორგანო, გამომძიებელი ან პროკურორი მიღებული ინფორმაციის შემოწმების შედეგად დაინახავენ, რომ არ არსებობს საფუძველი საქმის აღძვრისათვის, გამოიტანენ დადგენილებას საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ. ორივე შემთხვევაში დადგენილების ასლი დაუყოვნებლივ ეგზავნება პროკურორსა და დანაშაულის შემტყობინებელ პირს. თუ დადგინდა, რომ ამ კატეგორიის საქმე არ არის მოცემული უწყების ქვემდებარე, მასალები გადაიგზავნება ქვემდებარეობისამებრ, რაც ეცნობება დაინტერესებულ პირსა თუ ორგანიზაციას.

დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დაინტერესებული პირის მიერ ათი დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს პროკურორთან, ხოლო დადგენილება საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ იმავე ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს როგორც პროკურორთან, ისე სასამართლოში.

თავი III. წინასწარი გამოძიება

§1. წინასწარი გამოძიების ჩატარების პირობები

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ უნდა ჩატარდეს წინასწარი გამოძიება. კერძო ბრალდების საქმეზე წინასწარი გამოძიება ტარდება დაზარალებულის ან განსასჯელის მოთხოვნით,

პროკურორის წინადადებით, თუ მხარეები არ არიან ამის წინააღმდეგი, და მოსამართლის ინიციატივით.

წინასწარი გამოძიების არსი იმაში მდგომარეობს, რომ კანონით უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირები კრებენ და ამოწმებენ მტკიცებულებებს, იკვლევენ დანაშაულის ყველა გარემოებას, ავლენენ და პასუხისგებაში აძლევენ დამნაშავე პირებს, ამზადებენ ყველა წინასწარ პირობას სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისათვის.

წინასწარ გამოძიებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებენ პროკურატურის, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების გამომძიებლები. პროკურორის თანხმობით სისხლის სამართლის საქმე შეიძლება აღძრან და პირველადი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარონ მოკვლევის ორგანოებმაც.

მოკვლევა წინასწარი გამოძიების თავდაპირველი ეტაპია. მოკვლევის ფუნქციებს ახორციელებენ: შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები და ქვედანაყოფები, სამხედრო ნაწილებისა და შენაერთების მეთაურები და სამხედრო დაწესებულებათა უფროსები, სახელმწიფო უშიშროების მოკვლევის ორგანოები, სახელმწიფო საზღვრის დაცვის მოკვლევის ორგანოები, საგადასახადო და საბაჟო სამსახურების ორგანოები, ნაოსნობაში მყოფი ხომალდის კაპიტანი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური დაცვის სამსახური მოკვლევის მასალები გამომძიებელს უნდა გადაეცეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრიდან არა უგვიანეს შვიდი დღისა, ეჭვმიტანილის დაკავებისას — ოქმის შედგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა, პროკურორს — მის მიერ მითითებულ ნებისმიერ ვადაში.

წინასწარი გამოძიება უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს სამი თვის ვადაში. ეს ვადა მოიცავს დროს საქმის აღძვრის მომენტიდან საქმის სასამართლოში წარმართვის, საქმის წარმოების შეწყვეტის ან შეჩერების მომენტამდე. საგამოძიებო ვადის სამ თვეზე მეტი ხნით გაგრძელების უფლება აქვთ ზემდგომ პროკურორებს.

§2. ბრალების წაყენება და შეცვლა

წინასწარი გამოძიება ტარდება იმისათვის, რომ დადგინდეს დამნაშავე და მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ამიტომ, როცა შეგროვდება საკმაო მტკიცებები, რაც საკმარისია დასაბუთე-

ბული ვარაუდისათვის, რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, გამომძიებელს ან პროკურორს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება ამ პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ. დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს მონაცემები ბრალდებულის შესახებ, ბრალდების ფორმულირება და მტკიცებულებანი, აგრეთვე სისხლის სამართლის კანონი, რომელიც ამ დანაშაულს ითვალისწინებს. ზოგიერთი თანამდებობის პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემად აუცილებელია ზემდგომი ინსტანციების თანხმობა. მაგალითად, პარლამენტის წევრის, სახალხო დამცველის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის, უზენაესი სასამართლოს წევრის პასუხისგებაში მიცემა დაუშვებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე.

პირის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ, გამომძიებელი ან პროკურორი დაიბარებს ბრალდებულს, ხოლო თუ იგი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა, უზრუნველყოფს მის იძულებით მოყვანას და მას და მის დამცველს გააცნობს და განუმარტავს დადგენილების შინაარსს, გადასცემს მათ დადგენილების ასლს ბრალდებულის უფლებებისა და მოვალეობების ნუსხასთან ერთად. გამომძიებელი პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს. ბრალდების წაყენების შემდეგ პირველ დაკითხვამდე ბრალდებულს აქვს თავის დამცველთან პირისპირ კონსულტაციის უფლება. ასეთი კონსულტაციის შემდეგ გამომძიებელი დაუყოვნებლივ დაჰკითხავს ბრალდებულს წაყენებული ბრალდების ყველა პუნქტის მიხედვით. დაკითხვაში მონაწილეობენ დამცველი, აგრეთვე პროკურორი, თუ ეს მას საჭიროდ მიაჩნია, ხოლო ზოგ შემთხვევაში ასეთი მონაწილეობა სავალდებულოა.

ბრალდების წაყენება უნდა მოხდეს არა უგვიანეს 48 საათისა იმ მომენტიდან, როდესაც გამოტანილ იქნა დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, ხოლო დანიშნულ დროს, ბრალდებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში — მისი მოყვანის დღეს. თუ პირი ეჭვმიტანილის სახით იყო დაკავებული, დაკავების შესახებ ოქმის შედგენიდან არა უგვიანეს 48 საათისა გამოტანილ უნდა იქნეს დადგენილება მისი ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ, წაეყენოს ბრალდება და დაიკითხოს ბრალდებულად.

წინასწარი გამოძიებისას წაყენებული ბრალდების შეცვლის ან შევსების

საჭიროების შემთხვევაში გამომძიებელს გამოაქვს ახალი დადგენილება პირის ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. გამომძიებელს უფლება აქვს შეწყვიტოს საქმე წაყენებული ბრალდების ამა თუ იმ ნაწილში. საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილებას ამტკიცებს პროკურორი, რის შემდეგ მისი ასლი გადაეცემა ბრალდებულსა და დამცველს. ბრალდების შეცვლის, შევსების ან მასზე უარის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად პრიკურორს უფლება აქვს წინასწარი გამოძიების ნებისმიერ მომენტში მოითხოვოს საქმე არა უმეტეს სამი დღის ვადით.

§3. საგამოძიებო მოქმედება

წინასწარი გამოძიების წარმოებისას, ბრალდების წაყენების გარდა, დანაშაულის სრულად გახსნისა და დამნაშავეთა მხილების უზრუნველსაყოფად ტარდება სხვა საგამოძიებო მოქმედებებიც. ასეთი მოქმედებებია: დაკითხვა, დაპირისპირება, ამოღება, ჩხრეკა, დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ჩვენების ადგილზე შემოწმება, წარდგენა ამოსაცნობად, შემოწმება, ექსპერტიზა, ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვის და გვამის ეგზჰუმაცია. ყველა ეს მოქმედება და მათი ჩატარების წესი დეტალურად არის რეგლამენტირებული კანონით. ყოვლად დაუშვებელია წინასწარი გამოძიების წარმოებისას რაიმე ისეთი მოქმედების ჩატარება, ან იმგვარად ჩატარება, რასაც კანონი არ ითვალისწინებს. კანონით არის განსაზღვრული ის ზოგადი წესებიც, რაც ყველა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას უნდა იყოს დაცული.

გამომძიებელი ვალდებულია საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მონაწილეებს განუმარტოს მათი უფლებები და უზრუნველყოს ამ უფლებათა განხორციელების შესაძლებლობა. მათ უნდა განემარტოთ, აგრეთვე რა მოვალეობები ეკისრებათ და რა შედეგი მოსდევს ამ მოვალეობათა შეუსრულებლობას. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელესა და სამოქალაქო მოპასუხეს გადაეცემათ მათი უფლება-მოვალეობების წერილობითი ნუსხა.

გადაუდებელი აუცილებლობის გარდა, დაუშვებელია საგამოძიებო მოქმედების ღამით ჩატარება. მით უმეტეს დაუშვებელია ძალის, მუქარის, შანტაჟის, მოტყუებისა და სხვა დანაშაულებრივი და უკანონო ხერხების გამოყენება, ამ მოქმედების მონაწილე პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა.

საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას ან უშუალოდ მისი დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელსაც ეცნობიან, აკეთებენ შენიშვნებს და გამომძიებელთან ერთად ხელს აწერენ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მონაწილენი. ზოგ შემთხვევაში აუცილებელია დამსწრე პირები საგამოძიებო მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია პიროვნების ხელშეუხებლობის, საცხოვრებელი ბინის, მიმოწერის, პირადი ჩანაწერის, საფოსტო-სატელეგრაფო და სხვა შეტყობინებების საიდუმლოების შეზღუდვასთან, ტარდება მოსამართლის ბრძანებით.

§4. წინასწარი გამოძიების შეჩერება

წინასწარი გამოძიების წარმოებისას შეიძლება წამოიჭრეს ისეთი გარემოებები, რომელიც შეუძლებელს ხდის მის დამთავრებას, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას. ასეთ შემთხვევაში გამომძიებლის ან პროკურორის დასაბუთებული დადგენილებით წინასწარი გამოძიება შეჩერდება და განახლდება იმის შემდეგ, როცა მოიხსნება შეჩერების საფუძველი. კანონის თანახმად, წინასწარი გამოძიება შეჩერდება იმ შემთხვევაში, თუ: ა) ბრალდებული დაიმალა; ბ) ცნობილი არ არის ბრალდებულის ადგილსამყოფელი; გ) ბრალდებული ფსიქიკურად ან სხვა მძიმე ავადმყოფობით დაავადდა, რაც დადასტურებულია სასამართლო-სამედიცინო ან სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით; დ) დაუდგენელია ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირი; ე) დაისვა კანონის კონსტიტუციურობის ან პირისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევისა თუ მისი უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

წინასწარი გამოძიება შეჩერდება მხოლოდ გამოძიების ვადის გასვლისას, თუ ეს დაკავშირებული არ არის ბრალდებულის ავადმყოფობასთან, კანონის კონსტიტუციურობის ან პირისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევასა თუ მისი უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემასთან. ამასთან, გამოძიება ჩერდება მხოლოდ ყველა მოქმედების ჩატარების შემდეგ, რომელიც შესაძლებელია ბრალდებულის გარეშე.

§5. წინასწარი გამოძიების დამთავრება

წინასწარი გამოძიება მთავრდება საბრალდებო დასკვნის შედგენით ან დადგენილების გამოტანით საქმის შეწყვეტის შესახებ. საბრალდებო

დასკვნის შედგენამდე გამომძიებელი წერილობით ატყობინებს ბრალდებულს, დამცველს, ბრალდებულის კანონიერ წარმომადგენელს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათ წარმომადგენელს და განუმარტავს უფლებას გაეცნონ საქმის ყველა მასალას კანონით დადგენილი წესითა და ფარგლებში. საქმის გაცნობის დრო შეზღუდული არ არის, მაგრამ თუ პროცესის მონაწილე შეგნებულად აჭიანურებს საქმის გაცნობას, გამომძიებელს უფლება აქვს გამოიტანოს პროკურორის მიერ სანქციონირებული დადგენილება საქმის გაცნობის გონივრული და საკმარისი ვადის მითითებით. პროცესის მონაწილის შუამდგომლობითა და მისივე ხარჯებით, დასაშვებია საქმეში არსებული ნებისმიერი დოკუმენტის ასლის გადაღება.

საქმის გაცნობის შემდეგ მხარეს უფლება აქვს აღძრას შუამდგომლობა გამოძიების შევსების, ახალ მტკიცებულებათა მოპოვების, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების, საქმის შეწყვეტის ან სხვა საპროცესო გადაწყვეტილებების მიღების შესახებ. შუამდგომლობას განიხილავს გამომძიებელი, რომლის უარყოფითი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს პროკურორთან. საქმის გაცნობის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ გამომძიებელი და საქმის გამცნობი პროცესის მონაწილე.

საბრალდებო დასკვნა წარმოადგენს წინასწარი გამოძიების აქტს, რომელშიც მოცემულია საქმის შინაარსი, დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი, მოტივები, შედეგები და სხვა გამოძიებით დადგენილი არსებითი გარემოებები, აგრეთვე მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებს ამ გარემოებებს, ცნობები ბრალდებულის ვინაობის შესახებ და წაყენებული ბრალდების ფორმულირება სისხლის სამართლის კანონის მუხლის მითითებით. საბრალდებო დასკვნას საქმესთან ერთად გამომძიებელი დაუყოვნებლივ უგზავნის პროკურორს, რომელიც არა უმეტეს ხუთი დღე-ღამისა მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას. საბრალდებო დასკვნას, დამტკიცების შემთხვევაში, პროკურორი საქმესთან ერთად არა უგვიანეს 48 საათისა განსჯადობის მიხედვით გადაუგზავნის სასამართლოს. ამასთან, საბრალდებო დასკვნის ასლი ბარდება ბრალდებულს, მოთხოვნის შემთხვევაში – დამცველს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათ წარმომადგენლებს.

წინასწარ გამოძიებაში საქმე შეწყდება, თუ არ დადასტურდა

ბრალდებულის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში ან გამოჩნდა სხვა ისეთი გარემოება, რომელიც კანონის თანახმად, გამორიცხავს საქმის შემდგომ წარმოებას ან წარმოადგენს მისი შეწყვეტის საფუძველს: დანაშაულის შემთხვევის ან ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობა, ქმედების დანაშაულობის გაუქმება ახალი კანონის მიერ, ხანდაზმულობის ვადების გასვლა, ამნისტია, ვითარების შეცვლის შედეგად ქმედების საშიშროების დაკარგვა და ა. შ.

თავი IV. სამართალში მიცემა

§1. სამართალში მიცემის არსი და მნიშვნელობა

სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში მიღების შემდეგ უნდა მოხდეს ბრალდებულის სამართალში მიცემა. პროცესის ამ სტადიაზე წყდება საკითხი არსებობს თუ არა საკმაო საფუძველი სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვისათვის, დასაბუთებულია თუ არა წარდგენილი ბრალდება, დაცულია თუ არა წინასწარი გამოძიების წარმოებისათვის კანონით დადგენილი წესი.

სამართალში მიცემის სტადიაზე არ წყდება ბრალდებულის ბრალეულობის საკითხი. სამართალში მიცემა არ ნიშნავს, რომ ბრალდებული აუცილებლად ცნობილ იქნება დამნაშავედ და დაისჯება. პროცესის ამ სტადიაზე მოწმდება მხოლოდ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის იურიდიული და ფაქტობრივი საფუძვლების არსებობა.

სამართალში მიცემის სტადიის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი უზრუნველყოფს სასამართლო განხილვისათვის ისეთი საქმის გატანას, რომელიც სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არის გამოკვლეული და გამოძიებული კანონით დადგენილი ნორმებისა და ფორმის დაცვით. სამართალში მიცემის სტადიაზე მზადდება პირობები მომავალი სასამართლო განხილვის დაუბრკოლებლად ჩატარებისათვის.

§2. სამართალში მიცემის წესი

სამართალში მიცემა ხორციელდება მოსამართლის ან სასამართლოს მიერ იმისდა მიხედვით, თუ რომელი სასამართლოს განსჯადია მოცემული საქმე. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში სამართალში

მიცემას ახორციელებს მოსამართლე ერთპიროვნულად, ხოლო ზემდგომ სასამართლოში – სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა. სასამართლოს სხდომაზე საქმის განსახილველად საკმაო საფუძვლის არსებობისას მოსამართლე გამოიტანს დადგენილებას, ხოლო სასამართლო განჩინებას ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ. სამართალში მიცემის საკითხი მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა გადაწყვიტოს არა უგვიანეს 14 დღე-ღამის, ხოლო რთულ საქმეებზე – არა უგვიანეს ერთი თვისა მის წარმოებაში არსებულ ბოლო საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან. სამართალში მიცემის საკითხის განხილვისას თუ დადგინდა, რომ ბრალდებული მიიმალა და მისი ადგილსამყოფელი არ არის ცნობილი, საქმის წარმოება შეჩერდება ბრალდებულის მოძებნამდე, იმ შემთხვევების გარდა, როცა ბრალდებული საზღვარგარეთაა და თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში ბრალდებულის დაუსწრებლად მოხდება სამართალში მიცემაც და საქმის სასამართლო განხილვაც.

§3. სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომა

არასრულწლოვანთა დანაშაულის ან იმ დანაშაულის საქმეზე, რომლისთვისაც სასჯელად შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა 15 წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე არ ეთანხმება საბრალდებო დასკვნას ან აუცილებელია ბრალდებულის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიების შეცვლა, ტარდება სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომა. საქმე განმწესრიგებელ სხდომაზე განიხილება მოსამართის ან სასამართლოს მიერ. პროკურორის მონაწილეობა განმწესრიგებელ სხდომაში სავალდებულოა.

სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ, დააბრუნოს საქმე დამატებითი გამოძიებისათვის, შეწყვიტოს საქმე წარმოებით, შეაჩეროს საქმის წარმოება ან წარმართოს საქმე განსჯადობით, აგრეთვე გადაწყვიტოს საკითხი აღკვეთის ღონისძიების შესახებ კანონით დადგენილი წესით. ბრალდებულის სამართალში მიცემის შემთხვევაში სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე შეუძლია საბრალდებო დასკვნიდან ამორიცხოს ბრალდების ცალკეული

პუნქტი ან გამოიყენოს სისხლის სამართლის კანონი ნაკლებად მძიმე დანაშაულის შესახებ, თუ, ამასთან, არ იცვლება ბრალდების ფორმულირება. სასამართლოს სხდომაზე საქმის განხილვა იწყება სხდომის თავმჯდომარის მოხსენებით განსახილველი საქმის შესახებ. შემდეგ მოუსმენენ პროკურორს და სხდომაზე დაბარებულ პირებს მათ მიერ განცხადებული შუამდგომლობის გამო. მოისმენენ პროკურორის დასკვნას ამ შუამდგომლობათა შესახებ და მოსამართლე (სასამართლო) სათათბირო ოთახში გამოიტანს დადგენილებას (განჩინებას). განმწესრიგებელ სხდომაზე მოწმეებისა და ექსპერტების გამოძახება დაუშვებელია. განმწესრიგებელი სხდომის დროს სასამართლო სხდომის მდივანი ადგენს ოქმს კანონით დადგენილი წესით.

განმწესრიგებელი სხდომის დადგენილებაში (განჩინებაში) უნდა აღინიშნოს სასამართლო სხდომის დრო და ადგილი, სასამართლოს სახელწოდება, სასამართლოს შემადგენლობა, სხდომის მდივანი, პროკურორი, განსახილველი საქმე და მიღებული გადაწყვეტილება. განჩინებას ხელს აწერს სასამართლოს შემადგენლობა, ხოლო დადგენილებას — მოსამართლე.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის დადგენილება დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნების, აგრეთვე საქმის შეწყვეტის შესახებ მხარეების მიერ შეიძლება ხუთი დღის ვადაში გასაჩივრდეს ზემდგომი სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, ხოლო უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის, აგრეთვე უმაღლესი სასამართლოსა და საოლქო სასამართლოს განჩინებები — უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

§4. სამართალში მიცემის დროს გამოსარკვევი და გადასაწყვეტი საკითხები

სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები თითოეული ბრალდებულის მიმართ: ა) მოცემული სასამართლოს განსჯადია თუ არა საქმე; ბ) ქმედება, რომელიც ბრალდებულს ერაცხება, შეიცავს თუ არა დანაშაულის შემადგენლობას; გ) ქმედებას, რომელიც ბრალდებულს ერაცხება, სწორად აქვს თუ არა შეფარდებული სისხლის სამართლის კანონი;

დ) ხომ არ არის საქმეში გარემოებანი, რომელიც იწვევს საქმის შეწყვეტას ან შეჩერებას; ე) შეკრებილია თუ არა საჭირო მტკიცებულებები სასამართლო სხდომაზე საქმის განსახილველად; ვ) ჩატარდა თუ არა გამოძიება სრულად და ობიექტურად, ხომ არ არსებობს დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნების საფუძველი; ზ) მოკვლევისა და გამოძიების დროს ხომ არ დარღვეულა საპროცესო კანონი; თ) შედგენილია თუ არა საბრალდებო დასკვნა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად; ი) სწორად არის თუ არა შერჩეული აღკვეთის ღონისძიება; კ) მიღებულია თუ არა სამოქალაქო სარჩელის ან შესაძლო საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის ზომები; ლ) უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა მხარის შუამდგომლობა; მ) სწორად არის თუ არა გაერთიანებული ან გამოყოფილი სისხლის სამართლის საქმეები.

თუ მიჩნეულ იქნება, რომ არსებობს საკმაო საფუძველი ბრალდებულის სამართალში მისაცემად, მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა გადაწყვიტოს საკითხები, რომელიც ეხება: დამცველის იძულებითი წესით დანიშვნას, სასამართლო სხდომაზე დასაბარებელ პირებს, დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვას, სხდომის დროს, ადგილსა და ა. შ.

სასამართლოში მიცემის საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლე (სასამართლო) ვალდებულია განიხილოს მხარეებისაგან შემოსული შუამდგომლობები დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვის, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის, სამოქალაქო სარჩელისა და მისი უზრუნველყოფის ზომების შესახებ და განმარტების მისაცემად დაიბაროს შუამდგომლობის განმცხადებელი პირი, თუ იგი ამას მოითხოვს.

ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ მოსამართლეს (სასამართლოს) დადგენილებაში (განჩინებაში) უნდა აღინიშნოს მისი შედგენის დრო და ადგილი, დასკვნა იმის შესახებ, რომ არსებობს სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის საკმაო მონაცემები, სამართალში მისაცემი პირის ზუსტი ვინაობა და იმ ქმედებათა კვალიფიკაცია, რომელიც მათ ერაცხებათ, გადაწყვეტილება შუამდგომლობასა და სასამართლო სხდომის მომზადების შესახებ.

ბრალდებულის სამართალში მიცემის შემდეგ მოსამართლე (სასამართლო) გასცემს განკარგულებას დადგენილებაში (განჩინებაში) აღნიშნული პირების დასაბარებლად, უზრუნველყოფს პროცესის მონაწილეებისათვის საქმის მასალების გაცნობას, იღებს სხვა ზომებს

სასამართლო სხდომის მოსამზადებლად. თუ სამართალში მიცემის საკითხის განხილვისას შეიცვალა ბრალდება, აღკვეთის ღონისძიება ან სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია, განსასჯელს ბარდება მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილების (განჩინების) ასლები. საქმის განხილვა სასამართლო სხდომაზე ვერ დაინიშნება ხუთ დღეზე ადრე ამ დოკუმენტების ჩაბარებიდან. სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვა უნდა დაიწყოს ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ დადგენილების (განჩინების) გამოტანიდან არა უგვიანეს 10 დღისა, ხოლო რთულ საქმეებზე – არა უგვიანეს 14 დღისა.

თავი V. სასამართლო განხილვა და განაჩენის დადგენა

§1. სასამართლო განხილვის ზოგადი დებულებანი

თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სისხლის სამართლის საქმეს პირველი ინსტანციით იხილავენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები, საოლქო სასამართლოები, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი სასამართლოები და საქართველოს უზენაესი სასამართლო. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში საქმეს იხილავს მოსამართლე ერთპიროვნულად. საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში საქმეების განხილვა ხდება სამი მოსამართლის, ხოლო უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში – ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით.

პირველი ინსტანციით საქმეს იხილავენ მოსამართლეები, რომლებიც კანონით დადგენილი წესით დანიშნული ან არჩეული არიან იმ სასამართალოს შემადგენლობაში, რომლის განსჯადიც არის მოცემული საქმე. საქმეს იხილავს მოსამართლეთა ერთი და იგივე შემადგენლობა. თუ რომელიმე მოსამართლეს რაიმე მიზეზით არ შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვაში მონაწილეობა, იგი უნდა შეცვალოს იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლემ და საქმის განხილვა დაიწყოს თავიდან, იმ შემთხვევის გარდა, როცა სასამართლო სხდომას თავიდანვე ესწრება სათადარიგო მოსამართლე თუ მსაჯული, რომლებიც შეცვლიან გასულ მოსამართლესა თუ მსაჯულს და საქმის განხილვა გაგრძელდება.

პირველი ინსტანციის სასამართლო ვალდებულია უშუალოდ გამოიკვლიოს მტკიცებულებები, დაჰკითხოს განსასჯელი, დაზარალებული, მოწმეები, მოისმინოს ექსპერტთა დასკვნები, დაათვალიეროს ნივთიერი მტკიცებულებები, საჭიროების შემთხვევაში გამოაქვეყნოს ოქმები და სხვა დოკუმენტები. სასამართლო განხილვა მიმდინარეობს უწყვეტად, შესვენებისათვის საჭირო დროის გარდა. სასამართლოს (მოსამართლეს) უფლება აქვს სხვა საქმე განიხილოს მხოლოდ მოცემული საქმის წარმოების შეჩერების ან მისი განხილვის ორ დღეზე მეტი ვადით გადადების შემთხვევაში.

საქმის განხილვა სასამართლოში წარმოებს მხოლოდ მოცემულ საქმეზე განსასჯელ პირთა მიმართ და მხოლოდ იმ ბრალდების ფარგლებში, რომლითაც ისინი მიცემული არიან სამართალში, იმ შემთხვევის გარდა, როცა პროკურორმა ბრალდება შეცვალა განსასჯელის სასარგებლოდ. თუ სასამართლო განხილვის დროს პროკურორი შუამდგომლობს განსასჯელისათვის უფრო მძიმე ბრალდების ან ისეთი ბრალდების წაყენებას, რომელიც არსებითად განსხვავდება პირველი ბრალდებისაგან, სასამართლო საქმე ამ ნაწილში, ან მთლიანად დააბრუნებს დამატებითი გამოძიებისათვის. სასამართლო განხილვა მიმდინარეობს ბრალდებისა და დაცვის მხარეთა პოლემიკის სახით. მხარეებს აქვთ თანაბარი საპროცესო უფლებები და შესაძლებლობები. სასამართლოს უფლება არა აქვს შეასრულოს ბრალდების ან დაცვის ფუნქციები. სასამართლო უზრუნველყოფს მხარეთა მიერ მტკიცებულებების წარდგენისა და გამოკვლევისათვის საჭირო პირობებს, იცავს მიუკერძოებლობას და თავს იკავებს საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებათა გამოთხოვისაგან. ამასთან, მოსამართლესა და მსაჯულს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, მხარეთა შუამდგომლობით გამოითხოვონ მტკიცებულებები, დაუსვან შეკითხვები განსასჯელს, დაზარალებულს, მოწმეებს, მიიღონ მონაწილეობა სხვა საპროცესო მოქმედებათა ჩატარებაში.

პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას თავმჯდომარე წარმართავს სასამართლო სხდომას, ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ ყველა საპროცესო მოქმედებას, რაც აუცილებელია მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისა და ჭეშმარიტების დასადგენად, განარიდებს ყველაფერს, რაც არ არის დაკავ-

შირებული განსახილველ საქმესთან, უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას, სხდომის დარბაზში კანონით დადგენილი განაწესის დაცვას. პროცესის ყველა მონაწილე, აგრეთვე სასამართლო სხდომის დარბაზში დამსწრე ყველა პირი მოვალეა დაემორჩილოს თავმჯდომარის განკარგულებას დადგენილი განაწესის დაცვის შესახებ. სხდომის დარბაზში სასამართლოს შემოსვლისა და დარბაზიდან გასვლისას ყველა დამსწრე ფეხზე დგება. პროცესის ყველა მონაწილე ფეხზე მდგომი მიმართავს და აძლევს ჩვენებას სასამართლოს. 16 წლამდე ასაკის პირები, თუ ისინი არ არიან მხარეები ან მოწმეები, სასამართლო სხდომის დარბაზში არ დაიშვებიან. წესრიგის დამრღვევთა მიმართ გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიება: დარბაზიდან გაძევება, საქმის მოსმენის გადადება, ჯარიმის დაკისრება და ა. შ.

სასამართლო სხდომა მიმდინარეობს მხარეთა მონაწილეობით. განსასჯელის დაუსწრებლად საქმის განხილვა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი საქართველოს ფარგლებს გარეთაა და თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას ან განსასჯელი, რომელსაც შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს სამი წლისა, შუამდგომლობის საქმე განიხილონ მის დაუსწრებლად და სასამართლოსაც მიაჩნია, რომ ეს ხელს არ შეუშლის საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას. ამასთან, განსასჯელის დაუსწრებლად საქმის განხილვაში მისი დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა. სასამართლო განხილვაში ყველა შემთხვევაში მონაწილეობს პროკურორი, რომელიც მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, წარმოადგენს მტკიცებულებებს, მონაწილეობს დაცვის მტკიცებულებათა გამოკვლევაში, გამოთქვამს თავის აზრს სასამართლოს გადასაწყვეტ ყველა საკითხზე. პროკურორი ვალდებულია უარი თქვას ბრალდებაზე, თუ იგი არ დადასტურდა სასამართლო განხილვისას. ასეთ შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარდაჭერაზე უარი თქვა დაზარალებულმაც, სასამართლო წყვეტს საქმის წარმოებას. სასამართლო განხილვაში მონაწილეობენ აგრეთვე დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები, რომელთა დაუსწრებლად საქმის განხილვა შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სასამართლო განხილვის დროს გადასაწყვეტ ყველა საკითხზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება, ხოლო მოსამართლეს — დადგე-

ნილება. განჩინება (დადგენილება) დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად საქმის გაგზავნის, მისი წარმოების შეწყვეტის ან შეჩერების, აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, შეცვლის ან გაუქმების, აცილებისა და ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ სასამართლოს (მოსამართლეს) გამოაქვს სათათბირო ოთახში. სხვა განჩინება (დადგენილება) სასამართლოს ან მოსამართლეს გამოაქვს სათათბირო ოთახში ან ადგილზე, რაც შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში. სასამართლო განხილვის დროს გამოტანილი ყველა განჩინება და დადგენილება საჯაროდ უნდა გამოცხადდეს.

სასამართლო განხილვის მიმდინარეობა აისახება სხდომის ოქმში, რომელიც უნდა მომზადდეს და მას ხელი უნდა მოაწერონ სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ და მდივანმა სასამართლო სხდომის დამთავრებიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა, რის შესახებ უნდა აცნობონ მხარეებს, რომელთაც უფლება აქვთ გაეცნონ და გააკეთონ ოქმზე შენიშვნები.

§2. სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი

დანიშნულ დროს თავმჯდომარე ხსნის სხდომას და აცხადებს თუ რომელი საქმე უნდა იქნეს განხილული. შემდეგ სასამართლო სხდომის მდივანი მოახსენებს პროცესის მონაწილეებიდან ვინ გამოცხადდა და თუ არ გამოცხადდა, რა მიზეზით. თავმჯდომარე განუმარტავს თარჯიმანს მის უფლება-მოვალეობას და აფრთხილებს არასწორი თარგმნისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. გამოცხადებულ მოწმეებს გაიყვანს მათთვის განკუთვნილ ოთახში და თავმჯდომარე მიიღებს ზომებს, რათა ისინი დაკითხვამდე არ გაესაუბრონ ერთმანეთს.

თავმჯდომარე აცხადებს სასამართლოს შემადგენლობასა და პროცესის მონაწილეთა ვინაობას, განმარტავს მათი აცილების უფლებასა და წესს. თუ სასამართლო სხდომას ესწრება სათადარიგო მოსამართლე ან მსაჯული, თავმჯდომარე აცხადებს ამის შესახებ და განმარტავს, რომ მასაც შეიძლება განეცხადოს აცილება. თუ საქმის განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ გამოვლინდა, თავმჯდომარე განუმარტავს განსასჯელს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს და მათ წარმომადგენლებს, ექსპერტსა და სპეციალისტს პროცესუალურ უფლებებსა და მოვალეობებს, გადაწყვეტს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ.

§3. სასამართლო გამოძიება

სასამართლო გამოძიება იწყება სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ საბრალდებო დასკვნის სარეზოლუციო ნაწილის წაკითხვით. შემდეგ თავმჯდომარე განასჯელს განუმარტავს მისთვის წაყენებული ბრალდების არსს, ეკითხება, ცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ. თუ ყველა განსასჯელმა მთლიანად ცნო თავი დამნაშავედ და ეს აღიარება ნებაყოფლობითია, არ იწვევს მხარეთა დავასა და სასამართლოს ეჭვს, სასამართლო გამოძიება შეიძლება არ ჩატარდეს ან შეიკვეცოს. განსასჯელის დაკითხვა ყველა შემთხვევაში სავალდებულოა. სასამართლო გამოძიების გაუქმება ან შეკვეცა დაუშვებელია იმ განსასჯელთა საქმეზე, რომელთა ასაკიც 6 წელზე ნაკლებია, ან რომელსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი აქვს, ანდა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს იძლეოდა დამნაშავედ ცნობის საკითხზე, ან ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლის გამოც შეიძლება მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 15 წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

თავმჯდომარე წინადადებას აძლევს განსასჯელს, მისცეს ჩვენება წაყენებული ბრალდების გამო და საქმის სხვა გარემოებათა შესახებ. მას განუმარტავენ, აგრეთვე, რომ უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება და ეს არ იქნება მის საზიანოდ გამოყენებული. ამის შემდეგ განსასჯელს დაჰკითხავენ პროცესის მონაწილეები შემდეგი თანმიმდევრობით: სახელმწიფო ბრალმდებელი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები, მისი დამცველი, სხვა განსასჯელები და მათი დამცველები, ბოლოს კი სასამართლო.

განსასჯელის დაკითხვის შემდეგ იკითხება მოწმეები, დაზარალებულები და ექსპერტები, რომელთაც დაკითხვის წინ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, თავის არიდებისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. სრულწლოვანი მოწმე ჩვენების მიცემის წინ დებს ფიცს: „ვფიცავ ვილაპარაკო სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა“.

სასამართლო გამოძიება შედგება განსასჯელის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან (პირველი ეტაპი), აგრეთვე იმ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან, რომელიც ახასიათებს განსასჯე-

ლის პიროვნებას და გავლენას ახდენს სასჯელის სახესა და ზომაზე (მეორე ეტაპი). მტკიცებულებას ჯერ ბრალდების მხარე წარადგენს, შემდეგ – დაცვის. სასამართლო მტკიცებულებას არ წარადგენს, მაგრამ ხელს უწყობს მხარეებს მათ გამოთხოვაში.

ჯერ იკვლევენ ბრალდების მხარის, შემდეგ – დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობს დაცვის მხარე, შემდეგ – მოსამართლენი, ხოლო დაცვის მხარის წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობს ბრალდების მხარე, შემდეგ კი – მოსამართლენი. სასამართლოს ინიციატივით გამოთხოვილ მტკიცებულებებს ჯერ ბრალდების მხარე იკვლევს, შემდეგ – დაცვის. მოსამართლენი ამ მტკიცებულებათა გამოკვლევაში ბოლოს იღებენ მონაწილეობას.

მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ან წინა სასამართლო განხილვისას მიცემული ჩვენების გამოქვეყნება, აგრეთვე ხმის ჩანაწერის რეპროდუქცია დასაშვებია იმ შემთხვევაში, როცა ეს ჩვენება არსებით წინააღმდეგობაშია ადრინდელ ჩვენებასთან, დასაკითხი პირები არ მონაწილეობენ საქმის განხილვაში ან უარს ამბობენ ჩვენების მიცემაზე.

სასამართლო გამოძიების დროს შეიძლება ჩატარდეს ექსპერტიზა, დათვალიერება, შემოწმება, ამოსაცნობად წარდგენა ექსპერიმენტი და ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვის. ეს მოქმედებანი ტარდება წინასწარ გამოძიებამდე მათი ჩატარების ანალოგიურად. ამასთან, სასამართლოს უფლება აქვს მოკვლევის ორგანოს, გამომძიებელს, პროკურორს მოსთხოვოს ხელშეწყობა ამ მოქმედებათა ჩატარებაში.

მტკიცებულებათა გამოკვლევის შემდეგ თავმჯდომარე გამოჰკითხავს მხარეებს, ხომ არ სურთ სასამართლო გამოძიების შევსება და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რის შემდეგ სასამართლო გამოძიება დამთავრებულად გამოცხადდება.

§4. სასამართლო კამათი და განსასჯელის საბოლოო სიტყვა

სასამართლო გამოძიების დამთავრების შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ იწყება სასამართლო კამათი. სასამართლო კამათი მოიცავს გამოსვლებს, რომლებსაც რიგრიგობით წარმოთქვამენ: სახელმწიფო ან კერძო ბრალმდებელი (დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი, დამცველი

ან განსასჯელი (თუ დამცველი სასამართლო განხილვაში არ მონაწილეობს), სამოქალაქო მოპასუხე ან მისი წარმომადგენელი.

კამათის მონაწილეებს უფლება აქვთ გამოთქვან აზრი განსასჯელის დამნაშავედ ცნობის ან უდანაშაულობის, ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელისა და განაჩენში გადასაწყვეტ სხვა საკითხების შესახებ. ამასთან, მათ უფლება არა აქვთ დაიმოწმონ მტკიცებულება, რომელიც არ გამორკვეულა სასამართლოზე მას შემდეგ, რაც სასამართლო კამათის ყველა მონაწილე გამოვა სიტყვით, თითოეულ მათგანს უფლება აქვს კიდევ ერთხელ, მოკლედ გამოთქვას საწინააღმდეგო აზრი ან შენიშვნა (რეპლიკა) ნათქვამის თაობაზე.

სასამართლო კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვა ეძლევა განსასჯელს, რომელსაც უფლება აქვს უარყოს ბრალდება, დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა ან ნაკლები ბრალი, ახსნას ჩადენილი ქმედების მოტივები და გამოთქვას აზრი განაჩენში გადასაწყვეტ ყველა საკითხზე. ამ დროს განსასჯელისათვის კითხვის დასმა დაუშვებელია. განსასჯელის საბოლოო სიტყვის, აგრეთვე სასამართლო კამათის მონაწილეთა სიტყვის ხანგრძლივობა დროით არ არის შეზღუდული, მაგრამ თავმჯდომარეს უფლება აქვს შეაჩეროს ისინი, თუ ისეთ გარემოებებს ეხებიან, რომელსაც კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან.

განსასჯელის საბოლოო სიტყვის შემდეგ მხარეებს უფლება აქვთ სასამართლოს წერილობით წარუდგინონ განაჩენის ან მისი ცალკეული ელემენტების მათ მიერ შედგენილი ფორმულირება, რომელიც თუმცა სასამართლოსათვის არ არის სავალდებულო, მაგრამ განაჩენის გამოტანისას მისი განხილვა სავალდებულოა. ამის შემდეგ სასამართლო (მოსამართლე) გადის სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად.

§5. განაჩენის ცნება და სახეები

განაჩენი წარმოადგენს მართლმსაჯულების მნიშვნელოვან აქტს, რომლითაც წყდება განსასჯელის ბრალეულობისა და მისთვის სასჯელის შეფარდების საკითხი. განაჩენი დგინდება და ცხადდება საქართველოს სახელით და მას უდიდესი აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს.

განაჩენი შეიძლება იყოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი. ორივე შემთხვევაში იგი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და

სამართლიანი. განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია კანონის მოთხოვნათა დაცვით. განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებებს, რომელიც საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება დამნაშავის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

განაჩენით წყდება ისეთი საკითხები, როგორიცაა: მოხდა თუ არა ქმედება, რომლის ჩადენაც ბრალად ედება განსასჯელს, შეიცავს თუ არა ეს ქმედება დანაშაულის შემადგენლობას, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება განსასჯელმა, შეერაცხება თუ არა ბრალად განსასჯელს ჩადენილი ქმედება, რა სასჯელი უნდა დაენიშნოს განსასჯელს, უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა სამოქალაქო სარჩელი, ვის სასარგებლოდ და რა რაოდენობით, ვის და რა რაოდენობით დაეკისროს სასამართლო ხარჯები და ა. შ.

§6. განაჩენის დადგენისა და გამოქვეყნების წესი

განაჩენი დგინდება სათათბირო ოთახში. საქმის კოლეგიურად განხილვისას განაჩენის დადგენას წინ უძღვის მოსამართლეთა თათბირი, რომელსაც ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც აყენებს სასამართლოს წინაშე გადასაწყვეტ საკითხებს. ყოველ საკითხზე თითოეულმა მოსამართლემ უნდა გასცეს დადებითი ან უარყოფითი პასუხი. არც ერთ მოსამართლეს არა აქვს უფლება თავი შეიკავოს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან. თავმჯდომარე ხმას აძლევს ბოლოს. საკითხები წყდება ხმათა უბრალო უმრავლესობით. გადაწყვეტილება სასჯელის ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შესახებ მოსამართლეებმა შეიძლება მიიღონ მხოლოდ ერთხმად. მოსამართლეს (მოსამართლეებს), რომელსაც განსხვავებული აზრი აქვს, უფლება ენიჭება იგი წერილობით ჩამოაყალიბოს განაჩენის გამოცხადების მომენტიდან შვიდი დღის განმავლობაში. განსხვავებული აზრი დაერთვის საქმეს და მხარეებს უნდა მიეცეთ საშუალება გაეცნონ მათ.

მოსამართლეთა თათბირის შემდეგ უნდა შედგეს განაჩენი, თუ, რასაკვირველია, ამისათვის არსებობს საფუძველი. განაჩენი იწერება სამართალწარმოების ენაზე ცხადი და გასაგები ფრაზებით. მას ხელს აწერს ყველა მოსამართლე, იმათ გარდა, ვისაც განსხვავებული აზრი აქვთ.

განაჩენი შედგება შესავალი, აღწერილობით-სამოტივაციო და სარ-

ეზოლუციო ნაწილებისაგან. შესავალში აღინიშნება ვისი სახელითაა იგი დადგენილი, განაჩენის დადგენის დრო და ადგილი, სასამართლოს შემადგენლობა, სხდომის მდივანი, ბრალმდებელი, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი, დამცველი, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები, მონაცემები მსჯავრდებულის შესახებ და კანონი, რომლითაც მას ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში. აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც სასამართლომ მიიჩნია დადგენილად ან უარყო. სარეზოლუციო ნაწილში გადმოიცემა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება: განსასჯელის სახელი და გვარი, გადაწყვეტილება განსასჯელის დამნაშავედ ცნობისა თუ გამართლების შესახებ, გადაწყვეტილება სასჯელის სახისა და ზომის, სამოქალაქო სარჩელის, ნივთმტკიცებათა შესახებ და ა. შ.

განაჩენის ხელმოწერის შემდეგ სასამართლო (მოსამართლე) ბრუნდება სხდომის დარბაზში და თავმჯდომარე ან რომელიმე მოსამართლე აცხადებს განაჩენს, რომელსაც ყველა დამსწრე ფეხზე ამდგარი ისმენს. პატიმრობაში მყოფი განსასჯელის გამართლების ან სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების, ან ისეთი სასჯელის დანიშვნისას, რომელიც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს სხდომის დარბაზიდან.

განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს ხუთი, ხოლო რთულ მრავალტომიან ან მრავალი პირის საქმეზე არა უგვიანეს თოთხმეტი დღისა, განაჩენის ასლი უნდა გადაეცეს მსჯავრდებულს ან გამართლებულს, აგრეთვე პროცესის სხვა მონაწილეებს მათი მოთხოვნით.

თავი VI. განაჩენისა და სხვა გადაწყვეტილებების გასაჩივრება

§1. აპელაცია

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შესვლამდე სააპელაციო წესით შეიძლება გაასაჩივრონ მხარეებმა. ასეთ საჩივარს განიხილავენ და განაჩენის როგორც დასაბუთებულობას, ისე კანონიერებას შეამოწმებენ შესაბამისად ავტონომიური რე-

სპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა და საოლქო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატები. სააპელაციო საჩივრის შეტანა სავალდებულო წესით იწვევს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვას და ახალი სასამართლო გამოძიების ჩატარებას.

სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ სახელმწიფო ბრალმდებელს, ზემდგომ პროკურორს, დაზარალებულს, მსჯავრდებულს, დამცველს, მსჯავრდებულისა და დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენელს. სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ განაჩენი მხოლოდ სარჩელის საფუძვლისა და თანხის ნაწილში. კერძო სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით შეიძლება გასაჩივრდეს, აგრეთვე რაიონული (საოლქო) სასამართლოს სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილება. საქმის განხილვისას გამოტანილი განჩინება (დადგენილება), რომელიც არ არის შემაჯამებელ ხასიათის, შეიძლება სააპელაციო წესით გასაჩივრდეს განაჩენთან ერთად.

სააპელაციო საჩივარი შეიტანება 14 დღის ვადაში განაჩენის გამოცხადების დღიდან, ხოლო თუ მსჯავრდებული პატიმრობაში იმყოფება, ეს ვადა იანგარიშება მისთვის განაჩენის ასლის ჩაბარების დღიდან. გასაჩივრების ვადის საპატიო მიზეზით გაშვების შემთხვევაში, საქმის განმხილველ სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია მისი აღდგენა. სააპელაციო საჩივრის ფოსტითა და კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებებით გაგზავნისას, საჩივარი შეტანილად ითვლება ამ ორგანიზაციისათვის გადაცემის დღიდან.

საჩივარი სააპელაციო ინსტანციის სასამართალოში შეიტანება განაჩენის დამდგენი სასამართლოს მეშვეობით. შეტანილ უნდა იქნეს საჩივრის იმდენი ეგზემპლარი, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ იგი ამ სასამართლომ გადასცეს მხარეებს, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ საჩივრის ასლი მისი შეტანიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა, ხოლო მომდევნო ხუთი დღის ვადაში იმავე სასამართლოს წარუდგინონ შესაგებელი, რომელიც სააპელაციო საჩივართან და საქმესთან ერთად გაიგზავნება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განაჩენის გამოტანიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს მისი მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა. რთული და დიდი მოცუ-

ლობის საქმეზე ეს ვადა შეიძლება კიდევ 15 დღით გაგრძელდეს. სააპელაციო სასამართლო საქმეს იხილავს სამი მოსამართლის შემადგენლობით, რომელთაგან ერთ-ერთი ინიშნება თავმჯდომარედ.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა. დამცველის მოწვევა და დანიშვნა დასაშვებია იმავე საფუძველზე და იმავე წესით, როგორც ეს ხდება სასამართლო განხილვისას. პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულის საქმის განხილვაში მონაწილეობა მის სურვილზეა დამოკიდებული. დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათ წარმომადგენლებს იძახებენ სასამართლოში, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას. სასამართლოში იძახებენ ყველა მოწმესა და ექსპერტს, რომელთა დაკითხვაც მომჩივნისა და პროცესის სხვა მონაწილეთა აზრით, აუცილებელია.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მოსამზადებელი ეტაპი ტარდება პირველი ინსტანციის სასამართლოს ანალოგიურად. სასამართლო გამოძიება იწყება საქმის შემსწავლელი მოსამართლის მოხსენებით, რომელშიც ჩამოყალიბებული უნდა იყოს საქმის არსი, განაჩენის ძირითადი შინაარსი, აპელანტის მოთხოვნება და საჩივრის შესაგებელის საწინააღმდეგო მოსაზრებები. მომხსენებელმა თავი უნდა შეიკავოს საკუთარი აზრის გამოთქმისაგან. მხარეებს, შემდეგ კი მოსამართლეებს უფლება აქვთ კითხვები დაუსვან მომხსენებელს.

მოსამართლის მოხსენების შემდეგ გამოდის აპელანტი ან მისი დამცველი (წარმომადგენელი) და ასაბუთებს საჩივრის მოსაზრებებს. მხარეებსა და მოსამართლეებს უფლება აქვთ აპელანტს დაუსვან კითხვები. ამის შემდეგ მტკიცებულებას წარმოადგენს ჯერ ბრალდების, ხოლო შემდეგ დაცვის მხარე. მტკიცებულებათა წარმოდგენა და გამოკვლევა ხდება იმავე წესით, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში. ასეთივე წესით ხდება სასამართლო კამათი და განაჩენისა თუ განჩინების დადგენა.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლო განაჩენით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამართლებელ განაჩენს; ბ) აუქმებს პირველი ინსტანციის გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს; გ) შეაქვს ცვლილება პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში; დ) უცვლელად ტოვებს

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) აუქმებს გამამტყუნებელ ან გამამართლებელ განაჩენს და საქმეს უბრუნებს პროკურორს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად ან საქმის განმხილველ სასამართლოს ხელმეორედ განსახილველად; ბ) აჩერებს საქმის წარმოებას კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას; გ) აუქმებს ან ძალაში ტოვებს სასამართლოს კერძო განჩინებას დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა შესახებ; დ) აკმაყოფილებს ან უარყოფს კერძო სააპელაციო საჩივარს.

სააპელაციო ინსტანციას უფლება არა აქვს გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, გამოიყენოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, გაზარდოს სამოქალაქო სარჩელის თანხა, ან მიიღოს მსჯავრდებულისათვის სხვა არასასიკეთო გადაწყვეტილება, თუ საქმის გადასინჯვა ხდება მსჯავრდებულის, დამცველის, მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის საჩივრის საფუძველზე და საჩივარი არ შეუტანია პროკურორს, დაზარალებულს ან ბრალდების მხარის წარმომადგენელ სხვა მონაწილეს. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო არ იზღუდება საჩივრებში მოყვანილი დასკვნებით და ვალდებულია საქმე შეამოწმოს სრული მოცულობით, მათ შორის იმ განსასჯელთა მიმართაც, რომლებსაც საჩივარი არ შეუტანიათ. ამასთან, სააპელაციო ინსტანციას შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს განსასჯელის სასარგებლოდ, მაგრამ უფლება არა აქვს გააუარესოს მათი მდგომარეობა, თუ ბრალდების მხარის წარმომადგენელი პროცესის მონაწილეები თავიანთ საჩივრებში ამას არ ითხოვენ.

სააპელაციო სასამართლოში სხდომის განაწესის დაცვა და ოქმის შედგენა ხდება პირველი ინსტანციის სასამართლოს ანალოგიურად.

§2. კასაცია

საკასაციო წესით შეიძლება მხარეების მიერ გასაჩივრდეს ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა და საოლქო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიებისა და სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატების, აგრეთვე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო

კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენი და სხვა გადაწყვეტილება, რომელიც არ არის შესული კანონიერ ძალაში. საკასაციო საჩივარს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა სამი მოსამართლის შემადგენლობით.

საკასაციო გასაჩივრების სუბიექტები, ვადები და წესი, აგრეთვე საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის ვადები, საქმის მოსასმენად მომზადება და განხილვა, სხდომის განაწესის დაცვა და ოქმის შედგენა სააპელაციო გასაჩივრებისა და წარმოების ანალოგიურია. არსებითი განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ საკასაციო საჩივრის განხილვისას ახალი სასამართლო გამოძიება არ ტარდება და ახალი განაჩენი არ დგინდება.

საკასაციო ინსტანციის სასამართლო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) უცვლელად ტოვებს განაჩენს; ბ) აუქმებს განაჩენს და საქმეს გზავნის დამატებითი გამოძიებისა თუ ხელახალი სასამართლო განხილვისათვის; გ) აუქმებს განაჩენს და წყვეტს საქმეს; დ) ცვლის განაჩენს მსჯავრდებულის სასიკეთოდ. საკასაციო ინსტანციას უფლება არა აქვს დაადგინოს ახალი ფაქტები, გააფართოოს ბრალდების მოცულობა, გამოიყენოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, გაზარდოს სამოქალაქო სარჩელის თანხა, გაამკაცროს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდებულის ყოფნის რეჟიმი ან მიიღოს მისთვის საზიანო სხვა გადაწყვეტილება.

§3. განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო

კანონიერ ძალაში შესული განაჩენი და შემდგომი სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს მთლიანად ან ნაწილობრივ ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო. ახლად აღმოჩენილ გარემოებებს მიეკუთვნება: ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომლითაც დადგენილია რომ ყალბია მოწმის ჩვენება ან ექსპერტის დასკვნა, აგრეთვე სხვა მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო განაჩენს ან განჩინებას; ბ) კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომლითაც დადგენილია მოსამართლის, მომკვ-

ლევის, გამომძიებლის ან პროკურორის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც მის მიერ ჩადენილი იყო ამ საქმის განხილვის დროს; გ) გარემოება, რომელიც განაჩენის ან განჩინების გამოტანის დროს სასამართლოსათვის ცნობილი არ იყო, ხოლო თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, აგრეთვე გამართლებულის ან იმ პირის ბრალეულობას, ვის მიმართაც საქმე იყო შეწყვეტილი; დ) გარემოებანი, რომელიც მოწმობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენ სასამართლოს უკანონო შემადგენლობას, აგრეთვე იმ მტკიცებულებათა დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო განაჩენს. რაც შეეხება ახლად გამოვლენილ გარემოებას, მათ მიეკუთვნება: ა) საქართველო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების დადგენისას გამოყენებული კანონი; ბ) კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ახალი კანონის მიღება, რომელიც აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. გ) გარემოებანი, რომელიც მიუთითებს დაშვებულ სასამართლო შეცდომაზე და რომელმაც თავი იჩინა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხარეებს, ხოლო მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში — მის ნათესავს, დამცველს ან სხვა დაინტერესებულ პირს. საჩივარი შეაქვთ შესაბამისად საქართველოს გენერალურ პროკურორთან, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორთან ან უშუალოდ უზენაესი სასამართლოს საზედამხედველო პალატასა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში.

შეტანილი საჩივრების საფუძველზე საქართველოს გენერალური პროკურორი და ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი გამოითხოვენ შესაბამის სისხლის სამართლის საქმეს და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებას, საჩივრის საფუძვლიანობის შემთხვევაში

აღძრავენ წარმოებას და გამოძიებას ავალებენ პროკურორს ან გამომძიებელს.

საჩივრის შემოწმება ხდება კანონით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების გზით. თუ ვერ დადგინდება საქმის გადასინჯვის საფუძველი, პროკურორი ან გამომძიებელი წყვეტს საქმის წარმოებას მოტივირებული დადგენილებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისად საქართველოს გენერალური პროკურორი ან ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი. დადგენილების ასლი ეგზავნება მომჩივანს, რომელსაც უფლება აქვს ათი დღის ვადაში გაასაჩივროს იგი საქართველოს უზენაესი სასამართლოს საზედამხედველო პალატაში. თუ დადგინდა საქმის გადასინჯვის საფუძველი, პროკურორი ან გამომძიებელი, რომელმაც გამოძიება ჩაატარა, ადგენს მოტივირებულ დასკვნას, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისად საქართველოს გენერალური პროკურორი ან ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი და არა უგვიანეს ათი დღისა წარდგინებით მიმართავს შესაბამისად საქართველოს უზენაეს სასამართლოს საზედამხედველო პალატას ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს.

მხარეებს უფლება აქვთ ახლად გამოვლენილ გარემოებათა საფუძვლით საჩივარი შეიტანონ შესაბამისად უშუალოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საზედამხედველო პალატაში ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში. ყველა შემთხვევაში საზედამხედველო პალატა და პრეზიდიუმი, ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, საქმეს იხილავს და იღებს გადაწყვეტილებას საკასაციო ინსტანციაში საქმის წარმოებისათვის დადგენილი წესით. პრეზიდიუმის დადგენილება მისი გამოტანიდან არა უგვიანეს 7 დღისა, ეგზავნება მხარეს, რომელსაც უფლება აქვს არა უგვიანეს 14 დღისა გაასაჩივროს იგი საქართველოს უზენაესი სასამართლოს საზედამხედველო პალატაში. რაც შეეხება საზედამხედველო პალატის გადაწყვეტილებას, იგი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

VII. განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება

§1. განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლა და აღსასრულებლად მიქცევა

განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება შეიძლება მხოლოდ მათი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. განაჩენი, თუ იგი არ გასაჩივრებულა, კანონიერ ძალაში შედის სააპელაციო ან საკასაციო გასაჩივრების შემდეგ. სააპელაციო ან საკასაციო საჩივრის შეტანის შემთხვევაში, განაჩენი კანონიერ ძალაში შევა ზემდგომი სასამართლოს განჩინების გამოტანის დღიდან, თუ, რასაკვირველია, იგი არ გაუქმებულა. თუ საქმეზე რამდენიმე მსჯავრდებულია და განაჩენი გასაჩივრებულია თუნდაც ერთი რომელიმე მათგანის მიმართ, განაჩენი ყველა მსჯავრდებულის მიმართ კანონიერ ძალაში შევა საქმის ზემდგომ სასამართლოში განხილვის შემდეგ. ანალოგიური წესია დადგენილი პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებისა და მოსამართლის დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლისათვის, თუკი მათი გასაჩივრება შეიძლება. განჩინება და დადგენილება, რომლის გასაჩივრება არ შეიძლება, ძალაში შედის გამოტანისთანავე.

განაჩენი აღსასრულებლად მიიქცევა მისი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს სამი დღე-ღამისა. განაჩენის, განჩინებისა თუ დადგენილების აღსასრულებლად მიქცევა ევალება ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს. განაჩენის აღსრულების შესახებ განკარგულებას მოსამართლე ან სასამართლოს თავმჯდომარე განაჩენის ასლთან ერთად უგზავნის იმ ორგანოს, რომელსაც ევალება განაჩენის აღსრულება. განაჩენის შეცვლის შემთხვევაში განაჩენის ასლს დაერთვის სააპელაციო ინსტანციის განაჩენის ან საკასაციო ინსტანციის განჩინების ასლი. თუ განაჩენი ითვალისწინებს მსჯავრდებულისათვის საპატიო, სამხედრო ან სპეციალური წოდების ანდა სახელმწიფო ჯილდოს ჩამორთმევას, განაჩენის ასლი გაეგზავნება იმ ორგანოს, რომელმაც ეს წოდება თუ ჯილდო მიანიჭა. დაჯარიმებისა და სხვა ქონებრივი სასჯელის ნაწილში განაჩენის აღსრულება ხდება სააღსრულებო წესით.

განაჩენის აღმასრულებელი ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს განაჩენის დამდგენ სასამართლოს აღსრულების შესახებ. საპატიმრო ადგილის ადმინისტრაცია ვალდებულია სასამართლოსა და თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულის ოჯახს შეატყობინოს სად გაიგზავნა იგი სასჯელის მოსახდელად, ხოლო შემდგომ აცნობოს მათ სასჯელის მოხდის ადგილის შეცვლის შესახებ. განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე, სასამართლოს ნებართვით, პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულის ნახვის უფლება აქვთ ახლო ნათესავებს, მსჯავრდებულის მეუღლესა და სხვა პირებს.

§2. განაჩენის აღსრულების გადადება

იმ განაჩენის აღსრულების გადადება, რომლითაც მსჯავრდებულს მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, თავისუფლების აღკვეთა და გამასწორებელი სამუშაოები, შეიძლება ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლით: ა) მსჯავრდებულის მძიმე ავადმყოფობის გამო, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას — მის გამოჯანმრთელებამდე; ბ) განაჩენის აღსრულების მომენტისათვის მსჯავრდებული ქალის ორსულობის გამო — მშობიარობის შემდეგ ერთ წლამდე; გ) თუ მსჯავრდებულ ქალს ჰყავს მცირეწლოვანი ბავშვი — ვიდრე ბავშვი მიაღწევს სამი წლის ასაკს; დ) თუ სასჯელის დაუყოვნებლივ მოხდას შეიძლება მოჰყვეს მსჯავრდებულისათვის ან მისი ოჯახისათვის განსაკუთრებით მძიმე შედეგი ხანძრის ან სხვა სტიქიური უბედურების, მძიმე ავადმყოფობის, ოჯახის ერთადერთი შრომისუნარიანი წევრის მძიმე ავადმყოფობის, სიკვდილის, ან სხვა განსაკუთრებულ გარემოებათა გამო — სასამართლოს მიერ დადგენილი ვადით, მაგრამ არა უგვიანეს სამი თვისა.

ჯარიმის გადახდის გადიდება ან გადავადება შეიძლება ექვს თვემდე ვადით, თუ მსჯავრდებულის მიერ ჯარიმის დაუყონებლივ გადახდა შეუძლებელია.

§3. განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადამწყვეტი სასამართლოები

განაჩენის აღსრულების გადადების საკითხს, აგრეთვე განაჩენის სისრულეში მოუყვანლობისა და ჯარიმის ან თავისუფლების აღკვეთ-

ლად გამასწორებელი სამუშაოების სხვა აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის საკითხებს წყვეტს განაჩენის გამომტანი სასამართლო. თუ განაჩენის აღსრულება ხდება განაჩენის გამომტანი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიის გარეთ, აღნიშნულ საკითხებს წყვეტს იმავე დონის სასამართლო, ხოლო თუ განაჩენის აღსრულების ტერიტორიაზე არ არსებობს იმავე დონის სასამართლო, მაშინ ამ საკითხს ზემდგომი სასამართლო გადაწყვეტს.

საკითხები მსჯავრდებულის ავადმყოფობის ან ინვალიდობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების, შრომა-აღმზრდელობითი პროფილაქტორიუმიდან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გაგზავნის, ერთი შრომა-გასწორების ან შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან სხვა სახის რეჟიმის კოლონიაში, შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან საპყრობილეში ან საპყრობილედან შრომა-გასწორების კოლონიაში გადაყვანის, კოლონია-დასახლებაში მუშაობის დროის საერთო შრომის სტაჟში ჩათვლის შესახებ წყდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილებით სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით, იმის მიუხედავად, თუ რომელმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი.

§4. განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის წესი

განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები წყდება სასამართლოს მიერ სასამართლო სხდომაზე პროკურორის მონაწილეობით. სხდომაზე, როგორც წესი, იბარებენ მსჯავრდებულს, ხოლო თუ მან იშუამდგომლა, მის დამცველსაც. თუკი საკითხი ეხება განაჩენის აღსრულებას სამოქალაქო სარჩელის ნაწილში, იბარებენ აგრეთვე სამოქალაქო მოსარჩელესა და სამოქალაქო მოპასუხეს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ აჩერებს საქმის განხილვას. როდესაც გადასაწყვეტია საკითხი ავადმყოფობის ან ინვალიდობის გამო მსჯავრდებულის გათავისუფლების ან საავადმყოფოში მოთავსების შესახებ, აუცილებელია იმ საექიმო კომისიის წარმომადგენლების დასწრება, რომლის მიერაც გაცემულია დასკვნა მსჯავრდებულის მდგომარეობის შესახებ. იმ საკითხების განხილვისას, რომელიც დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდებულის ყოფნის

მდგომარეობის შეცვლასთან ან მისი ყოფაქცევისადმი კონტროლის განხორციელებასთან, მოიწვევენ ამ ორგანიზაციათა წარმომადგენლებსაც.

საქმის განხილვა იწყება თავმჯდომარის მოხსენებით, რის შემდეგაც სასამართლო მოუსმენს სხდომაზე გამოძახებულ პირებს და პროკურორის დასკვნას. თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობს მსჯავრდებული, მას მიეცემა საბოლოო სიტყვა, რის შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება.

თავი VIII. ცალკეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების თავისებურებანი

§1. კერძო ბრალდების საქმეთა წარმოება

სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანების, შეურაცხყოფის, აგრეთვე დამამძიმებელი გარემოებების გარეშე ჩადენილი ცემისა და ცილისწამების შესახებ საქმეები მოსამართლემ შეიძლება აღძრას მხოლოდ დაზარალებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის საჩივრით. საჩივარი შეაქვთ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. თუ საჩივარი შეტანილია მოკვლევის ორგანოში, გამომძიებელთან ან პროკურორთან, იგი უნდა გადაეგზავნოს სასამართლოს, იმ შემთხვევების გარდა, როცა პროკურორი თვითონ მიიჩნევს საჭიროდ საქმის აღძვრას.

საჩივრის მიღების შემდეგ მოსამართლემ უნდა განუმარტოს განმცხადებელს პასუხისმგებლობა შეგნებულად ცრუ დასმენისათვის და ჩამოართვას ხელწერილი, გამოიძახოს და გააცნოს საჩივარი იმ პირს, რომლის მიმართაც იგია შეტანილი.

კერძო ბრალდების წესით შეტანილი საჩივარი მოსამართლემ უნდა განიხილოს შვიდი დღის ვადაში და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ; ბ) სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ; გ) საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, თუ დაზარალებული შეურიგდა პირს, რომლის მიმართაც შეტანილია საჩივარი.

თუ საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ჩადენილი

დანაშაული სცილდება კერძო ბრალდების ფარგლებს, მოსაჩართლე მასალებს გადაუგზავნის პროკურორს.

კერძო ბრალდების წესით წარმოება შეიძლება დამთავრდეს შერიგებით, სათანბირო ოთახში განაჩენის გამოსატანად სასამართლოს (მოსამართლის) გასვლამდე. თუ შერიგება მოხდა საქმის აღძვრის შემდეგ, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება საქმის შეწყვეტის შესახებ.

სასამართლოში საქმის განხილვამდე არა უგვიანეს სამი დღისა, განსასჯელს უნდა გადაეცეს დაზარალებულის საჩივრის ასლი და მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა გაეცნონ საქმის ყველა მასალას, აღძრან შუამდგომლობა სასამართლო სხდომაზე მოწმეებისა და ექსპერტების გამოძახების შესახებ, გამოითხოვონ და საქმეს დაურთონ წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები.

კერძო ბრალდების საქმის სასამართლო განხილვა ტარდება საერთო წესით. სასამართლო გამოძიება იწყება დაზარალებულის საჩივრის საჯაროდ წაკითხვით. საჩივარს კითხულობს დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი. ჯერ ბრალდების, შემდეგ კი დაცვის მხარე წარმოადგენს მტკიცებულებებს. მხარეებს უფლება აქვთ ჩაატარონ ჯვარედინი დაკითხვა. მოსამართლე შეკითხვებს სვამს ბოლოს.

§2. წარმოება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეებზე

არასრულწლოვანის დანაშაულის საქმის წარმოების თავისებურებები ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის არ შესრულებიათ თვრამეტი წელი.

არასრულწლოვანის დანაშაულის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს უნდა დადგინდეს: ა) არასრულწლოვანის ასაკი (დაბადების რიცხვი, თვე, წელი); ბ) არასრულწლოვანის ცხოვრებისა და აღზრდის პირობები ოჯახსა და სკოლაში; გ) სრულწლოვან წამქეზებელთა არსებობა; დ) არასრულწლოვანის ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონე; ე) არასრულწლოვანი პიროვნების ხასიათის თავისებურებები, მოთხოვნილებები და ინტერესები.

არასრულწლოვანის დანაშაულის საქმეზე ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს დამცველის მონაწილეობა პირვე-

ლივე დაკითხვის მომენტიდან. მომკლევთან, გამომძიებელთან, პროკურორთან და სასამართლოში არასრულწლოვანის გამოძახება ხდება მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების, ანდა იმ დაწესებულების ადმინისტრაციის მეშვეობით, სადაც იზრდება ან სწავლობს არასრულწლოვანი. არასრულწლოვანი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვას დამცველთან ერთად უნდა ესწრებოდეს არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი. დაკითხვაში შეიძლება მონაწილეობდეს, აგრეთვე პედაგოგი ან ფსიქოლოგი. დაკითხვა არ შეიძლება შეუსვენებლივ გაგრძელდეს ორ საათზე მეტ ხანს, ხოლო მთლიანად დღეში – ოთხ საათზე მეტ ხანს. თუ არასრულწლოვანი დაღლილია, დაკითხვა უნდა შეწყდეს აღნიშნული დროის გასვლამდე.

არასრულწლოვანის მიმართ აღკვთის ღონისძიებად დაპატიმრება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მას ბრალად ედება დანაშაული, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წელზე მეტი ვადით. ამასთან, არასრულწლოვანი უნდა მოათავსონ სრულწლოვანი პატიმრებისა და არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით.

არასრულწლოვანის დანაშაულის შესახებ საქმის სასამართლო განხილვას ატარებენ მოსამართლეები, რომლებსაც, როგორც წესი, გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში. სასამართლო განხილვისას არასრულწლოვანი განსასჯელი, მხარეთა აზრის მოსმენის შემდეგ, შეიძლება სასამართლოს (მოსამართლის) განჩინებით (დადგენილებით) გაიყვანონ სასამართლო სხდომის დარბაზიდან, რათა მის დაუსწრებლად გამოიკვლიონ გარემოებები, რომელთაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ მასზე.

არასრულწლოვანი განსასჯელის მიმართ განაჩენის დადგენისას სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია განიხილოს, საჭიროა თუ არა, პირობითი მსჯავრდების შემთხვევაში, არასრულწლოვანს დაენიშნოს საზოგადოებრივი აღმზრდელი, გამოიყენონ თუ არა მის მიმართ ისეთი სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, ან გადაუვადონ თუ არა განაჩენის აღსრულება.

§3. საქმის წარმოება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ

თუ გამოძიების ან სასამართლო განხილვის დროს გამოვლინდა მონაცემები, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ პირი ფსიქიკურად დაავადდა ან სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა პირმა, რომლის შეურაცხადობა საეჭვოა, გამომძიებელს გამოაქვს დადგენილება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონიძიების გამოსაყენებლად წარმოების დაწყებისა და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. ამ დადგენილების გამოტანისთანავე საქმის წარმოებაში დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა. დამცველად დაიშვება მხოლოდ ადვოკატი.

თუ დადგინდება, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა ან შეურაცხმა ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, გაუქმდება მის მიმართ ადრე შერჩეული აღკვეთის ღონისძიება და იგი მოთავსდება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც მას დაუწესდება სპეციალური მკურნალობა.

თუ პირი, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად, გამოჯანმრთელდა ან ისეთ მდგომარეობაშია, რომ შეუძლია სწორი ჩვენების მიცემა და სხვა საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაძლებლობით მონაწილეობა მიიღოს სამართალწარმოებაში და განახორციელოს დაცვის უფლება. მას უფლება აქვს: იცოდეს რაში ედება ბრალი, მისცეს ჩვენება, წარმოადგინოს მტკიცებულებანი, აღძრას შუამდგომლობა, მისცეს აცილება და ისარგებლოს ბრალდებულის სხვა უფლებებით.

გამოძიების დამთავრებისა და პროცესის მონაწილეთა მიერ საქმის გაცნობის შემდეგ გამომძიებელს გამოაქვს დადგენილება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად სასამართლოში საქმის გაგზავნის შესახებ, რომელსაც საქმესთან ერთად გადასცემს პროკურორს, რომელიც სათანადო საფუძვლის არსებობისას საქმეს წარმართავს სასამართლოში, ან შეწყვეტს საქმის წარმოებას, ანდა დააბრუნებს მას დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

აღნიშნული კატეგორიის საქმეზე სასამართლო განხილვა ტარ-

დება ჩვეულებრივი წესით და ზოგიერთი თავისებურებით. სასამართლოს სხდომაში პროკურორისა და დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა. სასამართლო გამოძიება იწყება პროკურორის მიერ საქმის სასამართლოში გაგზავნის დადგენილების საჯარო წაკითხვით. შემდეგ მხარეები წარმოადგენენ და გამოიკვლევენ მტკიცებულებებს, ატარებენ დაკითხვას, დათვალიერებას, უსმენენ ექსპერტებს, ასრულებენ კანონით გათვალისწინებულ სხვა მოქმედებას. სასამართლო გამოძიების დამთავრებისთანავე ტარდება მხარეთა კამათი, რომელშიც მონაწილეობენ: პროკურორი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები. დამცველი კამათში და რეპლიკით გამოდის ბოლოს. მხარეთა სიტყვების მოსმენის შემდეგ სათათბირო ოთახში დგინდება განჩინება კანონით დადგენილი წესით. დადგენილი გარემოებების შესაბამისად სასამართლო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) დადგენილად მიიჩნევს ფსიქიკურად დაავადებისა თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შეურაცხ მდგომარეობაში ჩადენის ფაქტს და იმ პირის მიმართ გამოიყენებს ანდა არ გამოიყენებს სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებას; ბ) შეწყვეტს საქმეს დანაშაულის შემთხვევის ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების არარსებობის, აგრეთვე დანაშაულში თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში ამ პირის მონაწილეობის დაუდასტურებლობის გამო; გ) დააბრუნებს საქმეს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

პირის გამოუკანმრთელების შემთხვევაში სასამართლო პროკურორის წარდგინების, აგრეთვე ამ პირის დამცველის, ახლო ნათესავისა თუ კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე შეცვლის სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებას ნაკლებად მკაცრი ღონისძიებით ან საერთოდ გაუქმებს ამგვარ ღონისძიებას, ანდა მიიღებს გადაწყვეტილებას საერთო წესით საქმის წარმოების განახლების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით.

სარჩევი

ᲙᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა და განვითარება 5

თავი I. სახელმწიფოებრიობის წარმოშობა საქართველოში 5

თავი II. ქართული სამართლის წყაროები 10

თავი III. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა 16

თავი IV. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 18

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია 21

თავი I. ძირითადი ცნებები სახელმწიფოს შესახებ 21

§1. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, როგორც მეცნიერება და სასწავლო დისციპლინა 21

§2. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის ძირითადი თეორიები 22

§3. სახელმწიფოს ცნება, არსი და ტიპოლოგია 25

§4. სახელმწიფოს ძირითადი ნიშნები 28

§5. სახელმწიფოს ფორმის ცნება და სტრუქტურა 30

§6. სახელმწიფოს მექანიზმის ცნება და მნიშვნელობა 36

§7. სახელმწიფოს ფუნქციები 38

§8. სამართლებრივი სახელმწიფო და მისი დამახასიათებელი ნიშნები 40

თავი II. ძირითადი ცნებები სამართლის შესახებ 41

§1. სამართლის არსი, ცნება და ნიშნები 41

§2. სამართლის ტიპოლოგია 43

§3. სამართალი და მორალი 44

§ 4. სამართლის ნორმის ცნება და სტრუქტურა 46

§5. სამართლის ნორმათა სახეები 47

§6. სამართლის წყაროები (ფორმები) 48

§7. ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია 51

§8. სამართლის ნორმების რეალიზაცია 52

§9. სამართლის ნორმათა მოქმედების ფარგლები 54
§10. სამართლის ნორმათა განმარტება 57
§11. სამართლებრივი ურთიერთობები 58
§12. მართლზომიერი ქცევა, სამართალდარღვევა და იურიდიული პასუხისმგებლობა 61
§13. კანონიერება და მართლწესრიგი 64

კარი მესამე
საქართველოს კონსტიტუციური სამართალი 66
თავი I. საქართველოს კონსტიტუციური სამართლის, როგორც სამართლის დარგის ცნება, წყაროები 66
თავი II. საქართველოს კონსტიტუცია, მისი ისტორიული განვითარება და მნიშვნელობა 69
§1. კონსტიტუციის ცნება და არსი 69
§2. კონსტიტუციონალიზმის განვითარება საქართველოში 70
§3. საბჭოთა პერიოდის საქართველოს კონსტიტუციები 72
§4. კონსტიტუციური კანონმდებლობის განვითარება 1995 წლის 24 აგვისტომდე 76
§5. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია 79
თავი III. საქართველოს საზოგადოებრივი წესწყობილების კონსტიტუციური საფუძვლები 81
§1. საზოგადოებრივი წესწყობილების ცნება 81
§2. საქართველოს ეკონომიკური სისტემის კონსტიტუციური საფუძვლები 82
§3. საზოგადოების სოციალური სტრუქტურა 83
§4. საქართველოს პოლიტიკური სისტემა 84
თავი IV. პიროვნება და სახელმწიფო 88
§1. მოქალაქეობის ინსტიტუტი საქართველოში 88
§2. კონსტიტუციური უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების სისტემა 92
§3. უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლები 95
თავი V. საქართველოს საარჩევნო სისტემა და საარჩევნო სამართალი 97
§1. საარჩევნო სამართლის ძირითადი დებულებები 97
§2. საქართველოს პარლამენტი 102
§3. საქართველოს პრეზიდენტი 109
ა) საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი სტატუსი, არჩევისა და თანამდებობიდან გადაყენების წესი 109

ბ) საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენცია 111
§4. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების სისტემა 114
თავი VI. სასამართლო ხელისუფლება 116
§1. სასამართლო ხელისუფლების ცნება 116
§2. საერთო სასამართლოები 117
§3. მართლმსაჯულების კონსტიტუციური პრინციპები 119
§4. საკონსტიტუციო სასამართლო 122
§5. საქართველოს პროკურატურა 124

კარი მეოთხე
სამოქალაქო სამართალი 128
თავი I. სამოქალაქო სამართლის საგანი, მეთოდი და პრინციპები 128
თავი II. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობანი 132
თავი III. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტები 135
§1. ფიზიკური პირები 135
§2. იურიდიული პირები 142
თავი IV. საკუთრების უფლება 147
თავი V. სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების ცნება და შინაარსი 152
თავი VI. სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებანი 154
თავი VII. საოჯახო სამართალი 160
§1. საოჯახო სამართალი და მისი ამოცანები 160
§2. ქორწინების წესი და პირობები 161
§3. მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები 164
§4. მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობათა წარმოშობა 167
§5. მშობელთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა 170
თავი VIII. მემკვიდრეობის სამართალი 176
§1. მემკვიდრეობის ცნება და სახეები 176
§2. მემკვიდრეობა კანონით 179
§3. მემკვიდრეობა ანდერძით 180
§4. სამკვიდროს მიღება 183

კარი მეხუთე
სამოქალაქო საპროცესო სამართალი 187

თავი I. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცნება და მისი სუბიექტები 187
თავი II. საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში 190
თავი III. სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრება (აპელაცია, კასაცია) 211

კარი მეექვსე
საკორპორაციო სამართალი 225
თავი I. ზოგადი დებულებანი 225
თავი II. გაერთიანებები (კორპორაციები), რომლებიც წარმოადგენენ იურიდიულ პირებს 226
§1. არაკომერციული იურიდიული პირები 226
ა) კავშირის ცნება 226
ბ) კავშირის დაფუძნება 228
გ) წესდების სამართლებრივი ბუნება 228
დ) კავშირის რეგისტრაცია 229
ე) ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა 230
ვ) კავშირის ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესი 232
ზ) კავშირის წევრობა 236
თ) კავშირის ლიკვიდაცია 239
§ 2. კომერციული იურიდიული პირები 240
ა) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება 240
ბ) კომანდიტური საზოგადოება 241
გ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 241
დ) სააქციო საზოგადოება 241
ე) კოოპერატივი 242
ვ) საზოგადოების დაფუძნება 244
ზ) პარტნიორის ცნება 247
თ) რეგისტრაციის ცნება 250
ი) სამეწარმეო რეესტრი 251
კ) პასუხისმგებლობა 253
ლ) მესამე პირის ცნება 256
მ) საწარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა 256
თავი III. კორპორაციები, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიულ პირებს 260
§1. არარეგისტრირებული კავშირი 260
§2. ამხანაგობა (ერთობლივი საქმიანობა) 262

კარი მეშვიდე
შრომის სამართალი 264
თავი I. შრომის სამართლის ცნება და საგანი 264
თავი I. შრომის ხელშეკრულება 266
§1. შრომის ხელშეკრულების დადების წესი 268
§2. მუშათა და მოსამსახურეთა სხვა სამუშაოზე გადაყვანა 271
§3. შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები 274
თავი III. სამუშაო დრო და დასვენების დრო 283
§1. სამუშაო დროის ცნება და სახეები 283
§2. დასვენების დროის სამართლებრივი რეგულირება 288
თავი IV. შრომის ანაზღაურება 293
თავი V. შრომის დისციპლინა 295
თავი VI. მუშაკთა მატერიალური პასუხისმგებლობა 299
თავი VII. შრომის დაცვა 302
§1 ქალთა შრომა 304
§2. ახალგაზრდობის შრომა 307

კარი მერვე
ადმინისტრაციული სამართალი 311
თავი I. ადმინისტრაციული სამართლის ცნება 311
თავი II. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები და ურთიერთობები 315
§1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები 315
§2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები 316
თავი III. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (გადაცდომა) 319
§1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება 319
§2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტი 323
§3. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები 324
თავი IV. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა 325
თავი V. ადმინისტრაციული სახდელები 328
თავი VI. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება 335
§1. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები 335
§2. ადმინისტრაციული სახდელის გამოყენება რამდენიმე სამართალდარღვევის ჩადენისათვის 337
§3. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების ვადები 338

თავი VII. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა
ცალკეული დარღვევისათვის 340
თავი VIII. საჯარო სამსახური და მოსამსახურე. საჯარო
მოსამსახურის ცნება და სახეები 345

კარი მეცხრე

სისხლის სამართალი 353
თავი I. სისხლის სამართლის ცნება 353
თავი II. დანაშაულის ცნება 355
თავი III. ბრალი და მისი ფორმები 357
თავი IV. არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი
პასუხისმგებლობის თავისებურებანი 359
თავი V. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი
გარემოებები 361
თავი VI. დანაშაულის ამსრულებლობა და
დანაშაულში თანამონაწილეობა 366
თავი VII. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის
აღება 368
თავი VIII. სასჯელი და მისი სახეები 369
თავი IX. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის
შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები 372
თავი X. პასუხისმგებლობა ცალკეული
დანაშაულისათვის 374
§1. პასუხისმგებლობა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის
საწინააღმდეგო დანაშაულისათვის 374
§2. პასუხისმგებლობა საკუთრების საწინააღმდეგო დანაშაულისათვის 376
§3. პასუხისმგებლობა ხულიგნობისათვის 378
§4. პასუხისმგებლობა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან
ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის 379
§5. სატრანსპორტო საშუალების დაუფლება მისაკუთრების
მიზნის გარეშე 381
§6. პასუხისმგებლობა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის,
ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის
მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვის, ტარების, დამზადების,
გადაზიდვის, გადაგზავნისა ან გასაღებისათვის 381
§7. ნარკოტიკული დანაშაული 383

კარი მეათე

სისხლის სამართლის პროცესი 386

თავი I. ზოგადი დებულებანი 386
§1. სისხლის სამართლის პროცესის ცნება და ამოცანები 386
§2. სისხლის სამართლის პროცესის წყაროები 386
§3. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილენი 387
§4. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებანი 390
§5. პროცესის მონაწილეთა დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან 390
§6. მტკიცებულებანი და მტკიცება 391
§7. აღკვეთის ღონისძიებები 393
§8. განსჯადობა 394
თავი II. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა 395
§1. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის არსი და მნიშვნელობა 395
§2. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბი და საფუძველი 396
§3. დანაშაულის შესახებ ცნობების წინასწარი შემოწმება 397
§4. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა დაზარალებულის საჩივრით 398
§5. დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობების შემოწმების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება 399
თავი III. წინასწარი გამოძიება 399
§1. წინასწარი გამოძიების ჩატარების პირობები 399
§2. ბრალდების წაყენება და შეცვლა 400
§3. საგამოძიებო მოქმედება 402
§4. წინასწარი გამოძიების შეჩერება 403
§5. წინასწარი გამოძიების დამთავრება 403
თავი IV. სამართალში მიცემა 405
§1. სამართალში მიცემის არსი და მნიშვნელობა 405
§2. სამართალში მიცემის წესი 405
§3. სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომა 406
§4. სამართალში მიცემის დროს გამოსარკვევი და გადასაწყვეტი საკითხები 407
თავი V. სასამართლო განხილვა და განაჩენის დადგენა 409
§1. სასამართლო განხილვის ზოგადი დებულებანი 409
§2. სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი 412
§3. სასამართლო გამოძიება 413
§4. სასამართლო კამათი და განსასჯელის საბოლოო სიტყვა 414
§5. განაჩენის ცნება და სახეები 415
§6. განაჩენის დადგენისა და გამოქვეყნების წესი 416
თავი VI. განაჩენისა და სხვა გადაწყვეტილებების გასაჩივრება 417

§1. აპელაცია 417
§2. კასაცია 420
§3. განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო 421
VII. განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება 424
§1. განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლა და აღსასრულებლად მიქცევა 424
§2. განაჩენის აღსრულების გადადება 425
§3. განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადამწყვეტი სასამართლოები 425
§4. განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის წესი 426
თავი VIII. ცალკეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების თავისებურებანი 427
§1. კერძო ბრალდების საქმეთა წარმოება 427
§2. წარმოება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეებზე 428
§3. საქმის წარმოება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ 430

Основы грузинского права

(на грузинском языке)

Издательство „Меридиани“

Тбилиси

2013

გამომცემლობა „მერიდიანი“,

ბზე. როგორც წესი, არ ვრცელდება საქართველოს იურიდიქცია. რაც შეეხება უცხოელთა უმრავლესობას, რომლებიც მუდმივად ან დროებით იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე, მთლიანად ექვემდებარებიან მის იურისდიქციას და ეკისრებათ იურიდიული პასუხისმგებლობა მის წინაშე სამართლებრივი ნორმების შეუსრულებლობისათვის.

უცხოელები საქართველოს ტერიტორიაზე სარგებლობენ საკმაოდ ფართო სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პირადი უფლებებითა და თავისუფლებებით, ასევე ზოგიერთი პოლიტიკური უფლებითა და თავისუფლებით (მაგალითად, პროფკავშირებში გაერთიანების უფლება, აზრის გამოხატვის თავისუფლება და სხვა). თუმცა უცხოელებისათვის ეროვნული რეჟიმის მინიჭება არ ნიშნავს მათი სამართლებრივი მდგომარეობის დამთხვევას საქართველოს მოქალაქეების სამართლებრივ მდგომარეობასთან. საქართველოს კანონმდებლობა უცხოელების მიმართ ადგენს განსხვავებულ წესებს.

კერძოდ, უცხოელის საქართველოს ტერიტორიაზე დროებითი ყოფნის ან მუდმივი ცხოვრების საფუძველია სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული სპეციალური ნებართვა. აუცილებელ შემთხვევაში დაშვებულია უცხოელის გადაადგილების შეზღუდვა ქვეყნის ტერიტორიაზე, ან მათ მიერ საცხოვრებელი ადგილის შერჩევა. უცხოელებს არ გააჩნიათ უფლება აირჩიონ ან არჩეულ იქნენ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებსა და სხვა არჩევით ორგანოებში, მონაწილეობა მიიღონ რეფერენდუმში. ისინი არ შეიძლება დაინიშნონ ცალკეულ თანამდებობებზე.

განსაკუთრებული ადგილი კონსტიტუციურ უფლებებს შორის უკავია თავშესაფრის უფლებას. თავშესაფარი გულისხმობს საქართველოს მიერ უცხოელი მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირისათვის თავის ტერიტორიაზე შემოსვლისა და უსაფრთხო ცხოვრების შესაძლებლობის მიცემას. თავშესაფრის უფლება მიეცემა იმ პირს, რომელსაც სხვა სახელმწიფოში დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედებისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.

პოლიტიკურ ემიგრანტებს კონსტიტუციით გარანტირებული აქვთ, რომ ისინი არ გადაეცემიან იმ სახელმწიფოებს, საიდანაც ჩამოვიდნენ საქართველოში და განიცდიდნენ დევნას. თავშესაფრის მიცემის საკითხს წყვეტს საქართველოს პრეზიდენტი.

თავი V. საქართველოს საარჩევნო სისტემა და საარჩევნო სამართალი

§1. საარჩევნო სამართლის ძირითადი დებულებები

არჩევნები არის საარჩევნო უფლების მქონე პირთა მიერ ხმის მიცემისა და ამ პირთა დადგენილი უმრავლესობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო და თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოთა ჩამოყალიბების საშუალება.

სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები დაკავშირებულია საზოგადოებრივი ურთიერთობების საკმაოდ რთულ კომპლექსთან, რომლებშიც მონაწილეობენ სრულიად განსხვავებული სუბიექტები: ამომრჩევლები, სახელმწიფო ორგანოები, საარჩევნო კომისიები და სხვა. აქედან გამომდინარე, **საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემას, რომელიც დაკავშირებულია არჩევნების გზით სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირებასთან, საარჩევნო სისტემა ეწოდება.**

თუ საარჩევნო სისტემა არჩევნების პროცესში ჩამოყალიბებული რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობებია, მაშინ **საარჩევნო სამართალი ეს არის სამართლის ნორმების სისტემა, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირების წესს.**

გარდა ამისა, საარჩევნო სამართალი სუბიექტური გაგებით, გულისხმობს ასარჩევი ორგანოების ჩამოყალიბებაში მონაწილეობის პრინციპებსა და პირობებს. ამის მიხედვით განასხვავებენ: ა) აქტიურ საარჩევნო უფლებასა და ბ) პასიურ საარჩევნო უფლებას.

აქტიური საარჩევნო უფლება ეს არის საერთო საარჩევნო უფლება, ანუ ხმის უფლება სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში. ეს უფლება გამოიყენება არა მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისათვის, არამედ ასევე საყოველთაო სახალხო კენჭისყრის, ანუ რეფერენდუმის შემთხვევაშიც.

პასიური საარჩევნო უფლება კი არის პირის უფლება, თავად იქნეს არჩეული სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევით ორგანოებში.